

**პროგნოზის სისტემათა
კალიტრა ევროგაერთიანებაში
შემსვლელ ქვეყნებში**

თბილისი 2008



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სასჯელსრულებასა და პრობაციის
სასწავლო ცენტრი



თარგმანი: ალექსანდრე არაყიშვილი

რედაქტორი: ეკატერინე ქირია

© საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა.

© გამოცემა მომზადდა და დაიბეჭდა შედეგების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (SIDA) და გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) პროექტის „სასჯელსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში.

ჭირატი: 300

ISBN 978-9941-0-0711-8

1. წინასიტყვაობა

2001 წლის ნოემბერში ქ. ვარშავაში შეხვედრისას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები იხილავდნენ რა პრობაციის სამსახურებს, წარმოიშვა იდეა, შეექმნათ წიგნის - „პრობაცია და პრობაციის სამსახურები - ევროპული პერსპექტივა“ - ანალოგიური ნაშრომი. პუბლიკაციამ წარმოაჩინა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ენობრივი, სოციალური, რელიგიური, კულტურული და პოლიტიკური სხვაობები აისახებოდა როგორც ცხოვრების სხვადასხვა სტილში, აგრეთვე ქვეყნებისა და რეგიონების მრავალფეროვნებაში. გასაკვირი არ არის, რომ აღმოსავლეთ ევროპაში პრობაციის თანამედროვე ფორმებმა და ისტორიამ გამოავლინა ანალოგიური სახესხვაობები.

2. პრობაციის სისტემების ისტორიული განვითარება

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე საბჭოეთის გავლენა ვრცელდებოდა 80-იანი წლების ბოლოდან 90-იანი წლების დასაწყისამდე. 1989 წელს რუმინეთსა და ჩეხეთში მოხდა რევოლუციები (ჩეხეთის შემთხვევაში ხავერდოვანი რევოლუცია) მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში 1990-1991 წლებში არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოვიდნენ დემოკრატიული მთავრობები. სლოვენიაში საბჭოთა კავშირს 1948 წელს დააღწია თავი, თუმცა 1991 წლამდე კომუნისტურ ქვეყნად დარჩა. საბჭოთა კავშირში არ არსებობდა სოციალური მუშაკის პროფესია იმ გაგებით, როგორც დასავლეთის ქვეყნებში იყო. საბჭოეთის დომინირების დროს ალტერნატიული სასჯელები და პრობაცია არ იყო ფართოდ გავრცელებული, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ნორმები გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის კოდექსსა და საპროცესო კანონმდებლობაში (ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, ლატვია). მეორე მსოფლიო ომამდე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ოკუპირებული იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის მიერ სხვადასხვა პერიოდით. მაგალითად, ბულგარეთი 500 წლის მანძილზე, მე-19 საუკუნის ბოლომდე, იმყოფებოდა თურქეთის მმართველობის ქვეშ.

ყველა ქვეყანას ჰქონდა სურვილი გამხდარიყო ევროგაერთიანების წევრი. ბულგარეთი ერთ-ერთი პირველი იყო ევროპული ქვეყნებიდან, რომელსაც 1904 წლის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ჰქონდა პირობით ვადამდე გათავისუფლება, ხოლო 1905 წლიდან - პირობითი მსჯავრი. ჩეხოსლოვაკიამ 1918 წელს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გაითვალისწინა მთელი რიგი ზომები, რაც იმ პერიოდისათვის დიდ სიახლედ ითვლებოდა. უნგრეთმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაამკვიდრა ახალი სამართლებრივი სისტემა და სისხლის სამართლის კოდექსი. პირველი სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულ იქნა 1878 და 1896 წლებში. აღნიშნული სამართლებრივი აქტები იყო ძალაში და მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე მხოლოდ მცირე სახეცვლილება განიცადა. 1933 წლის სისხლის სამართლის კოდექსი საბჭოთა კანონმდებლობის გავლენით მნიშვნელოვნად შეიცვალა და დაამკვიდრა ისეთი ზომები, როგორებიცაა: შემწყნარებლობა არასრულწლოვნების მიმართ, პირობითი მსჯავრი ზედამხედველობით ან ვალდებულებებით და დაავადებულთა მკურნალობა. 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა როგორც პირობით სასჯელს, ისე პირობით გამასწორებელ სამუშაოებს მშრომელთა ზედამხედველობის ქვეშ. 1951 წელს სლოვენის მიერ მიღებული კანონმდებლობა ითვალისწინებდა პატიმრების დახმარებას პატიმრობიდან გათავისუფლების შემდგომ. რაიონული სახალხო საბჭოების ეგიდით შეიქმნა გათავისუფლებულ პატიმართა

დახმარების კომიტეტები, რომლებიც ნებაყოფლობით საფუძველზევ საქმიანობდნენ. სლოვენის 1959 წლამდე ჰქონდა შუამავლობის თითქმის ისეთივე მოდელი, როგორც დღეს აქვს და ორგანიზებული იყო ყველა ადგილობრივ საბჭოში, თუმცა ის უარყოფილ იქნა 1965 წლის შემდეგ.

ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის ჩეხეთი, ესტონეთი და ლიტვა, სასჯელგადავადებულებს ტოტალური რეჟიმის გავლენით აკონტროლებდნენ პოლიციის ორგანოები, რომლებიც ხშირად იყენებდნენ რეპრესიულ ზომებს. საბჭოთა რეჟიმი არ უშვებდა არანაირ საზოგადოებრივ მოძრაობას ან ორგანიზაციას, კომუნისტური პარტიის მიერ დაფინანსებულის გარდა.

1991 წელს ჩეხეთის რესპუბლიკამ დაიწყო ექსპერიმენტი „ალტერნატივები არასრულწლოვნებისათვის სასამართლოს გარეშე“, რომლის მიზანიც იყო ისეთი სისხლის სამართლის საქმეების მორიგეებით გადაწყვეტა, რომლებშიც გარეული იყვნენ არასრულწლოვნები. ამ პროექტმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა პროზაციის ოფიცერთა მოძავილის განსაზღვრაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ აღმოსავლეთ ევროპის პროზაციის სამსახურების განვითარებაზე გავლენა იქონიეს დასავლეთის ქვეყნებმაც, ვინაიდან ეს პროგრესი აგრეთვე მხარდაჭერილ იქნა მათ მიერ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დანაშაული ყოველწლიურად იზრდება. ზოგიერთი ამ ქვეყნიდან მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას იყენებს, კერძოდ, გრძელვადიან პატიმრობას, რაც ერთი მხრივ, იწვევს ციხეების გადატვირთვას, მეორე მხრივ კი, არ ხდება დანაშაულის კლება. აღნიშნული ნათლად წარმოაჩენს მსჯავრდებულებზე ზედამსხედველობისა და კონტროლის აუცილებლობას, ალტერნატიული სასჯელების განვითარებისა და პროზაციის სამსახურის - როგორც ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ალტერნატიული სანქციების აღსრულებაზე - გაზრდილ მნიშვნელობას.

მოუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 50 წლის მანძილზე იყვნენ საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ, მათი პროზაციის სამსახურები საკმაოდ სხვადასხვანაირად განვითარდა. აღნიშნავენ, რომ ამ ქვეყნებში საბჭოეთის გავლენის დროს ძალიან მცირე ყურადღება ექცეოდა პროზაციის სამსახურს და ალტერნატიულ სანქციებს. ამ მოკლე პერიოდში აღნიშნულმა ქვეყნებმა, დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, მიადწიეს ძალიან დიდ პროგრესს. ეს მიდწევა შესაძლებელი იყო როგორც ახალი კანონმდებლობის დანერგვით, აგრეთვე საზოგადოების მხრიდან ბრალდებულებისა და პატიმრების მიმართ ახალი მიდგომების ჩამოყალიბებით. ზოგიერთი ქვეყანა ძალიან სწრაფად წავიდა წინ, ზოგიერთი კი - უფრო თანმიმდევრულად.

მოელი რიგი პროზაციის სისტემებისა შეიცავს დაზარალებულთა მხარდაჭერას; ჩეხეთის პროზაციის სამსახურში შუამდგომლობა (მედიაცია) გამოიყენება ამ სამსახურის შექმნის მომენტიდან; სლოვენია აგრეთვე მიიღო ანალოგიური კანონმდებლობა, თუმცა ფართოდ არ გამოიყენება.

2.1 ადრეული დახმარების გაწევა პატიმრებისთვის

ბულგარეთის საკანონმდებლო სისტემა შეიქმნა მე-19 საუკუნის ბოლოს. ამ დროს მიღებულ იქნა ციხის კანონებიც. აღნიშნულმა საფუძველი ჩაუყარა ციხეებში სოციალურ სამუშაოებსა და ჰუმანურ მოპყრობას, რაც დღესაც აქტუალურია. ბულგარეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში პირობით ვადამდე გათავისუფლება დამკვიდრდა 1904 წლიდან.

ესტონეთში დამოუკიდებლობის პირველ პერიოდში (1918-1940) არ არსებობდა პრობაციის მსგავსი სამსახურები. სოციალური კეთილდღეობა ორგანიზებული იყო ადგილობრივი ორგანოებისა და რამდენიმე მოხალისეთა ასოციაციის მიერ. უნგრეთში პატიმართა მიმართ საპრობაციო ღონისძიებები საუკუნეების წინ ხორციელდებოდა მარტივი ფორმით. ამ პერიოდში ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე გავლენა ჰქონდა ეკლესიას. პატიმართა მდგომარეობაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა რეგულირდებოდა ადრეული პერიოდებიდან, კერძოდ, 1878 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური ბიუჯეტი, რომლის შევსებაც ხდებოდა ჯარმცემებით. 1954 წლის კაბინეტის მიერ მიღებული რეზოლუციით გაიკა ბრძანება, რომ დასაქმებისას უპირატესობა უნდა მიანიჭებოდათ ციხიდან გათავისუფლებულ პატიმრებს, რაც დღესაც უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მიზანი ამ სახის მზრუნველობის განისაზღვრა შემდეგნაირად: ხელის შეწყობა გათავისუფლებულ პატიმართა სოციალურ ინტეგრაციაში და შესაბამისი პირობების შექმნა მისი მხარდაჭერისათვის. არსებობს თანამშრომლობის ძალიან ბევრი მაგალითი ციხეს, პრობაციასა და სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოებს (ფაბრიკა-ქარხნები) შორის: პირობით ვადადმე გათავისუფლებულ მსჯავრდებულებს არა მარტო საშუალოთი უზრუნველყოფდნენ, არამედ აცხოვრებდნენ ქარხნის საერთო საცხოვრებელში. 1923 წლიდან ლატვიაში ციხის შემდგომ პერიოდში მზრუნველობა ხორციელდებოდა მოხალისეთა ორგანიზაციების მიერ, ხოლო 1934 წლიდან დაემატა მეურვეობის სისტემა. მეურვეები ინიშნებოდნენ იმისათვის, რომ ემუშავათ პატიმრებთან და მისი ოჯახის წევრებთან, რა დროსაც მათ უპირატესობა უნდა მიენიჭებინათ დასაქმებისა და საჭიროების შემთხვევაში, გათავისუფლების შემდეგ საცხოვრებელი უზრუნველყოფისათვის.

რუმინეთის კანონმდებლობამ იტალიური კომიტეიზმის გავლენით გაითვალისწინა რეაბილიტირებული ბრალდებულის კონცეფცია. 1936 წლის სისხლის სამართლის კოდექსში პირველად აისახა იდეა სასჯელის გადავადების, პირობითი გათავისუფლებისა და შემდგომი მზრუნველობისა. 1936 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ყველა რაიონული სასამართლოსგან მოითხოვდა ზედამხედველობას მოხალისეთა ორგანიზაციებზე (არასამთავრობო სექტორი), რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ყოფილ პატიმრებზე, განსაკუთრებით კი, არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის პრობლემების მოგვარებაზე. აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა აგრეთვე სასჯელის გადავადებას, რომელიც უმეტესად მოკლევადიანი პატიმრობისას გამოიყენებოდა. ამ ახალი სისხლისსამართლებრივი ნორმების მიღებისას კანონმდებლებმა გაითვალისწინეს უფრო მეტად სასჯელის გადავადება დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ვიდრე პრობაცია პატიმრობის ნაცვლად, ისევე, როგორც ეს დანერგულია ანგლო-საქსურ სისტემაში.

პირველი მინიშნება პატიმრობის შემდგომ დახმარებაზე გვხვდება 1951 წლის კანონმდებლობაში. გათავისუფლებულ პატიმართა დახმარების კომიტეტები შეიქმნა რაიონულ სახალხო საბჭოებში, რომლებიც მუშაობდნენ ნებაყოფლობით საფუძვლებზე. 1973 წლის სისხლის სამართლის სანქციათა აღსრულების აქტმა მკაფიოდ განსაზღვრა, რომ გათავისუფლებულ პატიმართა შემდგომ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი ორგანო იყო სოციალური მზრუნველობის მუნიციპალური საბჭო, რომელსაც ეს ამოცანა დაკისრებული ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან. სოციალური შრომის ცენტრებში შეიქმნა საკოორდინაციო კომიტეტები, რომლებიც აერთიანებდნენ ყველა საზოგადოებრივ სამსახურს. მათი მოვლეობა იყო სასჯელმოხდელ პატიმართა პრობლემების მოგვარება. აგრეთვე გაძლიერდნენ ციხის სოციალური სამსახურები და ერთობლივ ღონისძიებებს ახორციელებდნენ ციხის გარეთ არსებულ ანალოგიურ სამსახურებთან ერთად. აღნიშნული

გათავისუფლების შემდგომი პროექტები წარმოადგენდა პატიმართა ინდივიდუალური მკურნალობის შემადგენელ ნაწილს.

1994 წლიდან ციხეებში დანერგილი იყო ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობის პროექტები, საზოგადოებაში არსებულ სამსახურებთან ერთად. 1981 წლიდან ხორციელდებოდა ალკოჰოლზე დამოკიდებულ პირთა რეაბილიტაციის პროგრამები, რომლებშიც ჩართული იყვნენ გარედან მოწვეული სპეციალისტებიც. ციხის შემდგომი მზრუნველობის სამუშაოები მიმართული იყო პატიმართა გათავისუფლებისათვის მომზადებისა და ისეთი უნარ-ჩვევების შესწავლისაკენ, როგორცაა სამსახურის მოძებნა, ფინანსური საკითხების გადაჭრა და სხვა პრობლემების მოგვარება საზოგადოებრივი მზრუნველობის ორგანიზაციებთან ერთად. პატიმარს შეეძლო ემუშავა ციხის გარეთ, უმეტესწილად, გათავისუფლებამდე ბოლო ექვსი თვის მანძილზე, თუ ეს შეესაბამებოდა მკურნალობის პროგრამას.

2.2 პრობაციის სისტემაში მომუშავე პროფესიონალები და მოხალისეები

ზოგიერთ ქვეყანაში არ არსებობს ნებაყოფლობითი მუშაობის ტრადიცია (მოხალისეები) და პრობაცია ყოველთვის ანაზღაურებადი თანამშრომლების მიერ ხორციელდება. ამის ნათელი მაგალითია ჩეხეთის რესპუბლიკა, სადაც შრომისა და სოციალური ურთიერთობების სამინისტროს მიერ დაქირავებულმა სოციალურმა კურატორებმა დაიწყეს პრობაციის მსგავსი ღონისძიებების განხორციელება 1970 წლიდან. ამავე პერიოდიდან ციხის სოციალურმა მუშაკებმა დაიწყეს ანალოგიური საქმიანობა. 2000 წლიდან დაიწყო პილოტური პროგრამა პრობაციის მომავალ თანამშრომელთა კვალიფიციური ტრენინგისა. პროექტს ერთობლივად აფინანსებდნენ ფონდი „ღია საზოგადოება - პრალა“, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის კონსტიტუციური და სამართლებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, იუსტიციის სამინისტრო და სოციალური შრომისა და სისხლის სამართლის განვითარების ასოციაცია.

ესტონეთში პრობაციის სისტემაში მოხალისეთა ჩართულობას არეგულირებს პრობაციის ზედამხედველობის აქტი. მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანია მისცეს შესაძლებლობა საზოგადოებას დაეხმაროს მსჯავრდებულებს. დღესდღეობით პრობაციის დეპარტამენტში ათი ასეთი უხელფასო მუშაკია.

უნგრეთში ჯანმრთელობის სამინისტროს 9/1966 დეკრეტით შესაძლებელი გახდა მოხალისე პრობაციის ოფიცერთა დანიშვნა. პრობაციის სამსახურის განვითარების ვალდებულება დაეკისრა ადგილობრივ საბჭოებს დამატებითი დაფინანსების გარეშე. მოუხელდავად ამისა, უნგრეთში არ ხდება მოხალისეთა შრომის გამოყენება არც ერთ სამსახურში, თუმცა არის საქმიანობის სფეროები, რომლებშიც შესაძლებელია მათი ჩართვა. ლატვიამ ციხის დეპარტამენტის მიერ შექმნილი იყო ოთხი დახმარების გამწვევი საზოგადოება, რომლებსაც თავიანთი წარმომადგენლობები ჰქონდათ იმ დიდ ქალაქებში, რომლებშიც ციხეები იყო ძირითადად თავმოყრილი. ისინი ზედამხედველობდნენ პირობით და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულებს, მატერიალურად ეხმარებოდნენ მათ და მათი ოჯახის წევრებს. სლოვენიაში 1984 წლიდან შეიქმნა მსჯავრდებულის მრჩეველის მოდელი, რომელიც მცირე დამატებითი კვლავ არსებობს. მრჩეველთა როლს ხშირად ასრულებდნენ სოციალური ფაკულტეტის სტუდენტები და სოციალური სამსახურების თანამშრომლები. პატიმრისა და ციხის ადმინისტრაციის მხრიდან შესაბამისი თხოვნის შემთხვევაში, ადგილობრივი ცენტრები უფლებამოსილი არიან პირის პატიმრობის პერიოდში გამოყონ მრჩეველი. მრჩეველის ფუნქციებია: მხარდაჭერისა და თავისუფალი საუბრის უზრუნველყოფა, გარე სამყაროსთან კავშირის

დამყარება, დადებითი უნარ-ჩვევების გამომუშავება, ზეწოლის ქვეშ ყოფნისას პრობლემების მოგვარება, საკუთარი თავის მიმართ პასუხისმგებლობის გაზრდა, ხალხის მიმართ ნდობა და ემოციების კონტროლი.

2.3 სახელმწიფო სამსახურების საქმიანობის უზრუნველყოფისას კერძო ორგანიზაციების ჩართულობა სახელმწიფო სტრუქტურებსა და კანონებში

ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს ვალდებულებებს საპრობაციო ზედამხედველობის დროს. პირობითი მსჯავრის პერიოდში სასამართლომ შეიძლება ნება დართოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან პრობაციონერის სამსახურის შრომით კოლექტივს პირობითი მსჯავრის პერიოდში აწარმოონ მასზე გამასწორებელი ზედამხედველობა. ასევე შესაძლოა სასამართლომ დააკისროს პირს ზემოხსენებული ზედამხედველობა, თუ განაჩენი ავალდებულებს პრობაციონერს ისწავლოს ან იმუშაოს. ეს შესაძლოა მოხდეს აგრეთვე პირობით ვადამდე გათავისუფლებისას. სამწუხაროდ, ეს ვალდებულებები არ სრულდება, ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობს პრობაციის სამსახური, რომელიც ამას განახორციელებს. აქედან გამომდინარე, საპატიმრო სასჯელები წარმოადგენს სასჯელთა 80%-ს, ვინაიდან არ არსებობს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკა.

პრობაცია და პრობლემათა მოგვარება ბულგარეთში სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხია და ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად დაკავებული არიან პრობლემათა მოგვარების საკითხებით, ფინანსდებიან უცხოური ორგანიზაციების ან დონორების მიერ. ყველა ორგანო, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს, ფინანსდება სახელმწიფოს ან უცხოური დონორების მიერ.

ჩეხეთის რესპუბლიკაში სისხლის სამართლის კოდექსი მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში ბიზნესის, შრომითი კოლექტივების, სოციალური ორგანიზაციებისა და ეკლესიების ჩართვის საშუალებას იძლევა.

ესტონეთის პრობაციის ზედამხედველობის აქტი იძლევა პრობაციის ფუნქციების გადანაწილების საშუალებას პრობაციის ზედამხედველობის ასოციაციებზე, რომლებსაც პრობაცია თავიანთ დებულებაში ერთ-ერთ მიმართულებად აქვთ წარმოდგენილი. დღესდღეობით ასეთი ორგანიზაციები არ შექმნილა და კვლავ სახელმწიფო სექტორის ვალდებულებას წარმოადგენს.

უნგრეთში კერძო ფონდების გაზრდის ან ცენტრალური თუ ადგილობრივი სამთავრობო ორგანოებისათვის დაფინანსების მოპოვების ტიპურ გზას წარმოადგენს დამაკავშირებელი ნებაყოფლობითი ორგანიზაციების შექმნა. ამის ნათელი მაგალითია არასრულწლოვან და მოზრდილ პრობაციონერთათვის პრობაციის ოფიცერთა ასოციაციების შექმნა. მას შემდეგ, რაც მოზრდილთა პრობაციის სამსახური აღარ წარმოადგენს სამინისტროს ან სამოქალაქო სააგენტოს სტრუქტურას, ის, ფაქტობრივად, გაურკვეველ ორგანოდ გადაიქცა. აქედან გამომდინარე, პრობაციის ოფიცრების შრომა უცხოა როგორც სამართალდამცავი ორგანოებისათვის (გამომდინარე მისი სოციალური ხასიათიდან), ისე სოციალური ორგანიზაციებისათვის (გამომდინარე მისი სამართალდამცავი ფუნქციებიდან). ყოველივე ზემოთქმული კი ნათლად ასახავს, რომ ეს სისტემა არ არის მზად არც სტრუქტურულად და არც ფუნქციონალურად დააკმაყოფილოს 21-ე საუკუნის მოთხოვნები.

ლატვიაში წარსულ წლებში უცხოურმა ფონდებმა დააფინანსეს რამდენიმე პროექტი, რომლებიც შეეხებოდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას. ლატვიის ორ ქალაქში პილოტური პროექტები მხარდაჭერილი იყო კანადის კოლეჯებისა და

უნივერსიტეტების ასოციაციის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების და ლატვიის სოროსის ფონდის მიერ. როდესაც ლატვიაში ფუნქციონირება დაიწყო პრობაციის სამსახურმა, ამ პერიოდში კანონმდებლობა იძლეოდა საშუალებას, რომ პრობაციის ფუნქციები შეესრულებინათ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რაც დღესაც წარმატებულად გრძელდება. ამ შემთხვევაში, ეროვნულ სამსახურს ენიჭება კოორდინატორის როლი და ახორციელებს კონტროლს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა ყოველივე შესრულდეს დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

ლიტვაში პრობაციის როლის გაგებისათვის პირველი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო 1999 წლიდან, მას შემდეგ, რაც შეიქმნა კანადურ-ლიტვური გამასწორებელი პროექტი. გამასწორებელმა ინსპექციებმა პოლიციიდან გადაინაცვლეს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში. ამავე დროს, ფონდმა „ღია საზოგადოებამ“ წამოიწყო ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა ლიტვის პრობაციის განვითარების გეგმის შექმნას. აღნიშნული ინიციატივა ნაყოფიერად მიმდინარეობს და ითვალისწინებს პრობაციის ფუნდამენტური, თეორიული და კონცეპტუალური საკითხების გადაწყვეტას მისი შემდგომი განვითარებისათვის. გამასწორებელი ინსპექტორები უზრუნველყოფენ კონტროლსა და ზედამხედველობას და ამავე დროს, კოორდინაციას უწევენ მუნიციპალური სოციალური სამსახურების, შრომის ბაზარზე არსებული კომპანიებისა და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ დახმარებებს. მუნიციპალური სოციალური კეთილდღეობის ცენტრები ასეთი ტიპის დახმარების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ვინაიდან ეს ფონდები ფინანსდება ადგილობრივად, დახმარების დონეც დამოკიდებულია იმ რაიონის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებზე, რომელშიც ცხოვრობს ბრალდებული. მუნიციპალური სოციალური სამსახურები არ ახორციელებენ კონტროლს, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც მათ პერიოდულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია პოლიციას. 1990 წლიდან 2000 წლამდე პრობაციის სოციალური შრომის ასპექტები განხორციელდა მხოლოდ ორი ნებაყოფლობითი ორგანიზაციის მიერ (ლიტვის პატიმართა დახმარების ასოციაცია და პირობითი მსჯავრის მქონე პირთა ზედამხედველობის ორგანიზაცია). 2000 წლამდე ნებაყოფლობით ორგანიზაციებს არ ჰქონდათ აღიარებული სტატუსი სისხლის სამართლის დარგში. დღესდღეობით მათ დაიწყეს მეტი აღიარების მოპოვება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი ორგანიზაციების შექმნას. ნებაყოფლობითი ორგანიზაციების უმეტესობა სრულიად დამოუკიდებელია და ფინანსდება უცხოეთიდან ან ადგილობრივი სამთავრობო ფონდებიდან. ვინაიდან მათ არა აქვთ უფლება მსჯავრდებულებს გაუწიონ ზედამხედველობა, მათს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სოციალური დახმარება. ამავე დროს, მათ კარგი ურთიერთობა აქვთ გამასწორებელ ინსპექციებთან და შეთანხმებული არიან, რომ მსჯავრდებულის ცუდად მოქცევის შემთხვევაში, მათ მიაწვიან ინფორმაციას.

რუმინეთში დანაშაულის ზრდის გამო 1996 წელს იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა უფრო შემოქმედებითი მიდგომა სისხლის სამართლის მიმართ. ამ მიმართულებით ერთ-ერთი პირველი ნაბიჯები იყო ექსპერიმენტული პრობაციის ცენტრის შექმნა. ამ ინიციატივამ გააერთიანა საზოგადოება, ციხეების გენერალური ადმინისტრაცია, ადგილობრივი სასამართლოები და სხვადასხვა თანამდებობის პირი. მიზანი იყო რუმინეთში არსებული სისხლისსამართლებრივი და სოციალური ასპექტით პრობაციის ზოგიერთ ელემენტზე ცდის ჩატარება (მაგალითად, ზედამხედველობა საზოგადოების მხრიდან, წინასამართლო მოხსენება და ა. შ.). თავიდან ექსპერიმენტი მხარდაჭერილი იყო დიდი ბრიტანეთის „KNOW HOW“-ს ფონდის მიერ. ეს პროექტი ახლაც გრძელდება იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერით, რათა პრობაციის სამსახური ფუნქციონირებდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. მთავარი მიზანია პრობაციის სამსახურისათვის ინფრასტრუქტურა შეიქმნას ყველა სოფლის დონეზე და მათ ითანამშრომლონ

ადგილობრივ ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან. ამ შემთხვევაში ძირითად სირთულეს წარმოადგენს ნებაყოფლობითი ორგანიზაციებისათვის დაფინანსების წყაროს მოძიების საკითხის გაურკვეველობა.

სლოვენიაში ციხეებს კარგად დარეგულირებული ურთიერთობა აქვთ სხვადასხვა უნივერსიტეტის ფაკულტეტთან, სტუდენტები ახორციელებენ პრაქტიკულ სამუშაოებს და პროექტებს ციხეებში. ციხეები აგრეთვე მუშაობენ დასაქმების სამსახურებთან, სოციალური უზრუნველყოფის ცენტრებთან, კარიტასთან (CARITAS), (წითელ ჯვართან, სამინისტროებთან, არასამთავრობო სექტორთან, კერძო და ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან. წლების მანძილზე სასამართლოს დადგენილების საფუძველზე სოციალური სამსახურები ახორციელებდნენ ზედამხედველობას. სასამართლოები ძალიან იშვიათად იყენებენ სასჯელის ისეთ ფორმას, როგორც არის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, ვინაიდან არ არსებობს ორგანიზაციული სტრუქტურა ამ მიმართულებით და სოციალური დასაქმების ცენტრებიც არ არიან შესაბამისად აღჭურვილი.

პრობაციის სამსახურების საკანონმდებლო საფუძვლები და დებულებები

3.1 დებულებები

წარმატებული სოციალური სამუშაოები მოითხოვს სტრატეგიის, ვალდებულებების და თანასწორი საფუძვლების არსებობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისეთ სამსახურს, როგორც არის პრობაცია, ჰქონდეს ზუსტად განსაზღვრული დებულება. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ორ ქვეყანას, ჩეხეთის რესპუბლიკასა და რუმინეთს, აქვს ზუსტად განსაზღვრული დებულება. ჩეხეთის პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის დებულებაში ჩაწერილია შემდეგი: „დამნაშავეებთან ურთიერთობისას ალტერნატიული მეთოდების შეთავაზება წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის საგანს, რაც დანაშაულთან მიმართებით უზრუნველყოფს ეფექტური საზოგადოებრივი სანქციებისა და ნორმების გამოყენებას“. ამ მიზნის მისაღწევად ჩეხეთის პრობაციისა და შუამავლობის სამსახური შუამავლობასა და ზედამხედველობას უზრუნველყოფს ბრალდებულებასა და დაზარალებულს (მსხვერპლს) შორის კონფლიქტის გადასაწყვეტად, რა დროსაც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას და სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამავე დროს, დებულება ხაზს უსვამს ჩეხეთის პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის მნიშვნელობას დანაშაულის პრევენციისა და ახალი დანაშაულის ჩადენის აღბათობის შემცირებისთვის. რუმინეთის სოციალური და რეინტეგრაციის სამსახურის დებულებაში დიდი პრიორიტეტი ენიჭება დანაშაულის შემცირებას და საჭიროების გარეშე, პატიმრობისას ხარჯების შემცირების მნიშვნელობას. რუმინეთის პრობაციის სამსახურის დებულება ჩეხეთის პრობაციის სამსახურის დებულებისგან განსხვავდება იმით, რომ იქ არაფერია ნათქვამი პრობაციის სამსახურის ჩართვაზე წინასწარი გამოძიების პროცესში, პატიმრობის შემდგომ ან მანამდე დახმარების შესახებ. აღნიშნული გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ რუმინეთში, ისევე როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, პრობაციის სამსახურის შექმნის მიზანი იყო ციხეების გადატვირთულობისაგან გათავისუფლება.

ლიტვაში გამასწორებელი ინსპექტორატი არის უპირველესი ორგანიზაცია, რომლის ვალდებულებას წარმოადგენს ალტერნატიული სანქციების იმპლემენტაცია და

ზედამხედველობა. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ გამასწორებელი ინსპექტორატები წარმოადგენენ ციხეების დეპარტამენტის შემადგენელ ნაწილს, დებულება და საპრობაციო ღონისძიებების მიზნები იგივეა, რაც მთელი გამასწორებელი სისტემისათვის. ინსპექტორატის საქმიანობა ეფუძნება იმ დებულებას, რომელიც ფორმულირებული იყო ციხის დეპარტამენტის მიერ. ამ პატარა ფორმის დებულებაში აღნიშნულია: „სასჯელთა აღსრულებისას ჰუმანური და დემოკრატიული სისტემის შექმნა“. ამ დებულებას ორი მიზანი აქვს: 1) წინასწარი და საპატიმრო სასჯელების აღსრულება; 2) დასჯის სისტემის შექმნა პატიმრობითა და თავისუფლების შეზღუდვით. აღნიშნული დებულება ნათლად მიუთითებს, რომ მეტი უპირატესობა მინიჭებული აქვს საპატიმრო სასჯელებსა და ზომებს და მხოლოდ მცირე ადგილი უკავია არასაპატიმრო სასჯელებს.

ესტონეთში პრობაცია შედის იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში. სამინისტროს არა აქვს შექმნილი დამოუკიდებელი დებულება პრობაციის სამსახურისათვის, მაგრამ საქმიანობს ოთხწლიანი გეგმის საფუძველზე, რომელიც შექმნილია მთლიანი სისხლის სამართლის სისტემისათვის. აღნიშნულ გეგმაში გაწერილია მოკლე და გრძელვადიანი მიზნები, რომელშიც პრობაციაც ვათვალისწინებულია.

უნგრეთში პრობაციის სამსახურებს არ გააჩნიათ დებულებები. უნგრული კანონმდებლობის ავტორების განმარტებით, ეს გამოწვეულია იმით, რომ პრობაცია ხორციელდება ორი სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ: არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახური და სრულწლოვანთა პრობაციის სამსახური. ორივე ორგანიზაცია მოქმედებს სხვადასხვა საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე და უნდა დააკმაყოფილოს სხვადასხვა სტანდარტი. არასრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრები წარმოადგენენ სოციალურ მუშაკებს, რომლებიც დაეკარავენ არიან მეურვეობის ოფისების მიერ და წარმოადგენენ ოჯახისა და სოციალური ურთიერთობების სამინისტროს სააგენტოს. ეს ოფიცრები თავიანთ ფუნქციას ხედავენ სოციალური დახმარების გაწევაში, რაც უნდა გახდეს ხელის შეწყობი არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის პრევენციისა. ისინი საქმიანობენ დებულებით, რომელიც ფორმულირებულია სოციალურ მუშაკთა ეთიკურ კოდექსში. მეორე მხრივ, სრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრები არა მხოლოდ ეხმარებიან და რჩევენს აძლევენ ბრალდებულებს, არამედ ზედამხედველობენ კიდევ პრობაციონერთათვის დადგენილი ვალდებულებების შესრულებას.

პრობაციის სამსახურები ჯერ არ შექმნილია ბულგარეთში, ლატვიასა და სლოვენიაში. ბულგარეთში ეს სისტემა შეიქმნება 2003 წლიდან. ახალი პრობაციის სამსახურის ძირითადი მიზნები და საფუძვლები ფორმულირებულია სისხლის სამართლის კოდექსსა და სასჯელის აღსრულების კოდექსში შემდეგნაირად:

- 1) საზოგადოების დანაშაულისაგან დაცვა;
- 2) რესოციალიზაციის პროცესში ჩართულ ყველა ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ხელშეწყობა და მსჯავრდებულთა მხარდაჭერა პატიმრობისა და მის შემდგომ პერიოდში მათი ეფექტური რეაბილიტაციისა და დანაშაულის ახლიდან ჩადენის ალბათობის შემცირებისათვის.

ლატვიაში მთავრობას გადაწყვეტილი აქვს პრობაციის სამსახურის შექმნა, ხოლო პარლამენტი უახლოეს პერიოდში აპირებს პრობაციის კანონის მიღებას. აღნიშნული კანონიდან და დებულებიდან გამომდინარე, ლატვიის პრობაციის სამსახურს ექნება სამი მიზანი:

- ბრძოლა დანაშაულთან;
- საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული სანქციების კოორდინაცია და ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა;

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა.

ერთი შეხედვით, დებულებები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მიუხედავად ამისა, პრობაციის სამსახურების საქმიანობა დიდად არ განსხვავდება. დებულებებში პრობაციის პოლიტიკის ძირითადი ელემენტები აღწერილია ზოგადად და ეს არ შეიძლება განხილულ იქნეს ცალკე იმ სისხლის სამართლის სისტემისგან, რომელშიც პრობაციის სამსახურები საქმიანობენ. აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ ეს პრობაციის სამსახურები ძალიან ახალია და კვლავ განვითარების ეტაპზეა. ეს კი ნიშნავს, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ძირითადი პრინციპების ფორმულირებას და შესაბამისად, ორგანიზაციული სისტემების განვითარებას. დებულებები და გრძელვადიანი განვითარების გეგმები ჩამოყალიბებულია პოლიტიკურ კონტექსტში და პრიორიტეტები ასახულია იმ დროის პოლიტიკური და სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის კლიმატზე. თუ სტრატეგიული საფუძვლები უფრო ყურადღებით მიმოიხილება, ნათელი გახდება, რომ უპირატესობა ენიჭება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, რისკის განსაზღვრებას და სასჯელის ეფექტურ აღსრულებას მსჯავრდებულთა ზედამხედველობის მეშვეობით. სულ უფრო მეტ ქვეყანაში უპირატესობა ენიჭება საზოგადოებრივ სანქციებსა და ზომებს, რომლებიც მიმართულია დაზარალებულთა საჭიროებებისა და ბრალდებულის მიერ ზიანის ანაზღაურებისაკენ. ასეთი მდგომარეობაა რუმინეთში, ესტონეთში, ლატვიასა და ჩეხეთში.

3.2 ძირითადი ამოცანები

თუ ვინმე შეამოწმებს ევროგაერთიანებაში შემსვლელი ქვეყნების პრობაციის სამსახურებს, გამოავლენს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

სასამართლო ხელისუფლებისა და სხვა ორგანოების უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის ინფორმაციით (წინასაგამომიებო და სოციალური მდგომარეობის მოხსენებები), რათა დაეხმაროს მათ განაჩენის გამოტანასა და სხვა გადაწყვეტილების მიღებაში;

საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების განვითარება, ორგანიზება, ზედამხედველობა და დარწმუნება მათს სრულყოფილ განხორციელებაში;

ბრალდებულის სამართლებრივ სისტემასთან ნებისმიერ დონეზე კავშირისას სოციალური შრომის მეთოდებზე დამყარებული, პრაქტიკული, ფინანსური, სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარებისა და მზრუნველობის გაწევა;

ბრალდებული პირისათვის სასამართლო დევნის ასაკობრივად შესაბამისი სქემების შემუშავება, ხელის შეწყობა და მათი უზრუნველყოფა;

საპრობაციო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირების კონტროლი და ზედამხედველობა;

საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად კლიენტის პირადი პასუხისმგებლობების განსაზღვრა;

ბრალდებულის დაცვა ახალი დანაშაულის ჩადენისაგან პირადი დისციპლინისა და საკუთარი თავის მიმართ ნდობის გაჩენით;

წვლილის შეტანა უსაფრთხო საზოგადოების შექმნაში, ბრალდებულის მხარდაჭერის გზით, გახდეს საზოგადოების კანონმორჩილი წევრი; მისი ეფექტური ზედამხედველობითა და მონიტორინგით, რათა მან არ ჩაიდინოს ხელშეწყობილი დანაშაული და იმ უნარ-ჩვევების განვითარებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ბრალდებულის სოციალურ რეინტეგრაციას;

კლიენტის თვისობრივი მდგრადობისა და სოციალური რესურსების იდენტიფიკაცია, განვითარება და მისი გამოსწორებისათვის პოზიტიური ცხოვრების სტილის შექმნა;

დაკავებულების მხარდაჭერა და გაათვისებულებისათვის მომზადება;

ციხიდან გათავისუფლებულ პატიმართა დახმარების უზრუნველყოფა;
ბრალდებულთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა;

საზოგადოებრივი სანქციებისა და ნორმების განსახორციელებლად სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, საზოგადოებისა და ბიზნესის ჩართვა საპრობაციო პროექტების ორგანიზებისათვის;

ბრალდებულის ოჯახისთვის დახმარების გაწევა, რათა გაუმჯობესდეს მასთან ბრალდებულის ურთიერთობა და რესოციალიზაციის დამაბრკოლებელი პირობების თავიდან აცილება;

მსჯავრდებულ-დაზარალებულის შუამავლობის ორგანიზება;

გირაოს მოთხოვნებზე ზედამხედველობის გაწევა;

საზოგადოების დაცვა კონფლიქტის მოგვარების ეფექტური სისტემით და რისკის შემცირება, რაც დაკავშირებულია კრიმინალურ საქმიანობასთან.

ვეროგაერთიანებაში შემსვლელ ქვეყნებში პრობაციის სამსახურებს ამ ვალდებულებების სხვადასხვა კომბინაცია აქვთ. პრობაციის სამსახურები მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში მუშაობენ პატიმრებთან, აწარმოებენ შუამავლობას დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის, ამზადებენ მოხსენებებს სოციალური გამოკითხვის თაობაზე და ახორციელებენ ზედამხედველობას გირაოს შემთხვევაში დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე. ეს ყოველივე გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ზოგიერთი ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოები არ ცნობენ ამ ამოცანებს, ვინაიდან მათ სამართლებრივსა თუ ორგანიზაციულ სტრუქტურას ესაჭიროება განვითარება. ძალიან ბევრ მოხსენებაში ასევე ხაზგასმულია, რომ პრობაციის სამსახურის ამოცანების შესასრულებლად არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსები. პრაქტიკულად, ყველა პრობაციის სამსახური უპირატესობას ანიჭებს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

1. საპრობაციო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ყველა მსჯავრდებულის ზედამხედველობა;
2. სასამართლოსა და პროკურატურისათვის წინასაგამომიებო მოხსენების მომზადება;
3. საზოგადოებრივი სანქციებისა და ნორმების განვითარება, მომზადება და ზედამხედველობა.

წინასწარი გამოძიების პროცესში მხოლოდ ჩებეთის რესპუბლიკისა და სლოვენის პრობაციის სამსახურები აქტიურად ახორციელებენ შუამავლობის (მედიაციის) პროგრამებს. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ფუნქცია მკაცრად ლიმიტირებულია მხოლოდ არასრულწლოვან ბრალდებულებთან მიმართებით.

3.3 საპრობაციო სამუშაოების ეთიკა და პრინციპები

პრობაციის სამსახურის საქმიანობა, დებულებისა და სტრატეგიული მიზნების გარდა, უნდა ემყარებოდეს ეთიკასა და პრინციპებს, რომლებიც ძალიან დიდ როლს ასრულებს. აღნიშნულმა შეიძლება ასახვა მოვოს დებულებაში, პრობაციაში დამკვიდრებულ სტანდარტების ნორმებსა და სოციალურ მუშაკთა ეთიკურ სახელმძღვანელოში. ამ პრინციპებისა და ეთიკური სახელმძღვანელოების მიმოხილვა ნათლად ასახავს, რომ პრობაციის სამსახურებს ამ მიმართულებით სწორი მიდგომა აქვთ. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ისეთი პრინციპები, როგორებიცაა:

1. კლიენტის პიროვნული ღირსების, თავისუფლებისა და საიდუმლოების დაცვა;
2. პატიოსნება, გახსნილობა, პასუხისმგებლობა და კლიენტის დამოუკიდებლობის პატივისცემა;
3. ევოლუტარიზმი: რაც აისახება კლიენტის მიერ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რა მიმართულებით ესაჭიროება მას დახმარება;
4. რეალიზმი, ანუ კლიენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, რეალისტური მიზნების დასახვა და პატიმრობის შემდგომი სირთულეებისათვის მომზადება;
5. კანონიერება: პრობაცია და საშუაველო ღონისძიებები უნდა გამომდინარეობდეს არსებული კანონმდებლობის ფარგლებიდან;
6. ზედმეტი ჩარევისაგან თავის შეკავება: არ შეიძლება საჭიროზე მეტი შეზღუდვის დაწესება, ხოლო ბრალდებულის მდგომარეობა ციხეში, პრობაციაზე ან არასაპატიმრო სასჯელებისას უნდა პასუხობდეს სისხლისსამართლებრივი სისტემის გარეთ არსებულ პირობებს;
7. დროული ჩარევის პრინციპი, ანუ კლიენტის მიერ წარმოებული კრიმინალური საქმიანობის ადრეულ ეტაპზე პრობაციის ოფიცერს უნდა ჰქონდეს საშუალება მასთან დროული კავშირისა, რათა მოხდეს შესაბამისი რეაგირება;
8. ჩარევის განგრძობადობის პრინციპი;
9. სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის მზადყოფნა;
10. ტრანსპარენტულობა: სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე ორგანოებისათვის ანგარიშის გაწევა და კლიენტისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება იმ გარემოებების შესახებ, რომელშიც იგი აღმოჩნდება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში;
11. მოტივაცია: დანაშაულებრივი გავლენისაგან თავის დაღწევაში, კლიენტთა უსაფრთხო მონაწილეობაში ხელშეწყობა.

3.4 სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

ერთ-ერთი ასპექტი, რომლითაც პრობაციის სამსახურები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, არის მიდგომა სრულწლოვან და არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან. ზოგიერთ ქვეყანაში პრობაციის სამსახურები, სრულწლოვან მსჯავრდებულებთან საქმიანობისას პირდაპირ კანონით არიან შეზღუდული, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის პროცესის თანახმად, არსებობს სამართლებრივი ვალდებულებები არასრულწლოვნების მიმართ. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, ბულგარეთსა და უნგრეთში. ამ ქვეყნებში შექმნილია სპეციალური სააგენტოები ან სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან არასრულწლოვანთა დახმარებაზე, ახორციელებენ სოციალურ მიმოხილვას და ხელმძღვანელობენ სასჯელების აღსრულებას. იმ დროს, როცა ბულგარეთში კანონი არასრულწლოვანთა დარღვევების წინააღმდეგ ადგენს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სპეციალიზებულ ოფიცერებს, უნგრეთში, მეურვეობის ოფისების შემადგენლობაში, შეიქმნა სპეციალური არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახური, როგორც ნაწილი ბავშვებზე მზრუნველობის სისტემისა. არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახური არის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენელი სტრუქტურა. უნგრეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მაგალითად, რუმინეთში, სამართლებრივად საპრობაციო ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ.

მალიან ზმირად ისეთ ქვეყნებში, სადაც კანონი არ ყოფს ერთმანეთისგან სრულწლოვან და არასრულწლოვან მსჯავრდებულებს, პრობაციის ოფიცრები არასრულწლოვნებს განიხილავენ, როგორც უპირატეს სამიზნე ჯგუფს. ამის კარგი

მაგალითებია: ესტონეთი, რუმინეთი და ლიტვა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ ქვეყნებში ისეთ საქმეებში, რომლებშიც არასრულწლოვნები არიან გარეული, უფრო ხშირად გამოიყენება საზოგადოებრივი სანქციები და წინასაგამომიებო მოხსენებები. ესტონეთში ყველა ისეთ საქმეში, რომელშიც არასრულწლოვნები არიან გარეული, კანონი ავალდებულებს სასამართლოებს მოითხოვონ წინასაგამომიებო მოხსენებები. ლიტვაში დიდი უპირატესობა ენიჭება არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციას. აღნიშნული წარმოადგენს გამასწორებელი ინსპექტორების მთავარ ამოცანას. ზოგიერთ ქალაქში გამასწორებელი ოფიცრები მუშაობენ შავშვთა დაცვის ცენტრებსა და არასრულწლოვანთა პოლიციის ინსპექტორებთან ერთად, რა დროსაც ახორციელებენ ერთობლივ სპეციალიზებულ პროექტებს არასრულწლოვნებისა და მათი მშობლებისათვის.

რუმინეთში პროზაციის სამსახურისათვის არასრულწლოვნები წარმოადგენენ პრიორიტეტულ ჯგუფს. პროზაციის მრჩეველთა მუშაობა არასრულწლოვნებთან იწყება წინასწარი გამოძიების პროცესიდან და გულისხმობს რისკის განსაზღვრებისა და სოციალური გამოკვლევის მოხსენებების მომზადებას, როგორც პროკურატურისა და სასამართლოებისათვის, ასევე პოლიციისთვის.

3.5 დანაშაულის მსხვერპლი (დაზარალებული)

ტრადიციულად პროზაციის სამსახურები მუშაობენ მსჯავრდებულებთან და არა დაზარალებულთან. უკანასკნელი წლების მანძილზე გაჩნდა პროზაციის სამსახურების ჩართვის ტენდენცია დაზარალებულებთან მიმართებით. პროზაციის სამსახურები კონსულტაციას უწევენ დაზარალებულთა მხარდაჭერის ორგანიზაციებს და თანამშრომლობენ მათთან, თუმცა არ მიიღიან იმაზე შორს, ვიდრე დაზარალებულთა მზრუნველობა და პირდაპირი დახმარებაა. მხოლოდ ჩეხეთსა და ლატვიაში განიხილავენ დაზარალებულებს, როგორც ძირითად სამიზნე ჯგუფს. ამ მიზნით ჩეხეთში პროზაციის სამსახურს ეწოდება პროზაციისა და შუამავლობის სამსახური. ამ სამსახურს კანონით აკისრია შემდეგი ფუნქცია: „დაეხმაროს დაზარალებულსა და დანაშაულის გავლენის ქვეშ მყოფ სხვა პირებს დანაშაულებრივი გავლენისაგან პრევენციაში და „წვლილი შეიტანოს დანაშაულის მსხვერპლთა დაცვაში“ აღნიშნული ამოცანა ხორციელდება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის შუამავლობით, რათა გადაიჭრას კონფლიქტი ორ მხარეს შორის, რა დროსაც დაზარალებული თავს იგრძნობს უსაფრთხოდ და ამავე დროს, დარჩება სამართლებრივი სისტემის რწმენა.

სხვა ქვეყნებში პროზაციის სამსახურები არ არიან პირდაპირი ფორმით ჩართული შუამავლობასა და დაზარალებულთა მხარდაჭერის პროგრამებში. სლოვენიაში ეს ფუნქცია ხორციელდება გენერალური პროკურატურის მიერ. ამ ქვეყანაში შუამავლები (მედიატორები) არიან დამოუკიდებელი მოხალისეები, რომლებიც ხელფასს იღებენ გენერალური პროკურატურის ბიუჯეტიდან. გენერალური პროკურორი უშუალოდ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი საქმეები შეესაბამება მედიაციას (შუამავლობას).

ესტონეთში შუამავლობის საკითხი ჯერჯერობით არ არის სამართლებრივად დარეგულირებული, თუმცა შესაბამისი კანონმდებლობა უახლოეს პერიოდში შეიქმნება. დღესდღეობით დანაშაულის მსხვერპლთა დახმარება წარმოადგენს სოციალური ურთიერთობების სამინისტროს პრიორიტეტს, თუმცა ამ ფუნქციას რეალობაში ასრულებენ ეკლსიები და ნებაყოფლობითი სექტორის წარმომადგენლები. დღესდღეობით ესტონეთში აქტიური საუბარი მიმდინარეობს პროზაციის სამსახურთან მსხვერპლთა დახმარების სამსახურის გაერთიანებაზე, თუმცა, რამდენად შესაძლებელია ამის მიღწევა, ეს ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან პროზაცია სასამართლო ხელისუფლების შემადგენელი

ნაწილია და სახელმწიფო ფუნქციების გატანა ამ სექტორის გარეთ წინააღმდეგობაში მოდის ესტონეთში დამკვიდრებულ ტენდენციებთან.

3.6 დანაშაულის თავიდან აცილება

ყველა ქვეყანა ეთანხმება იმას, რომ დანაშაულის თავიდან აცილება მათი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, თუმცა პრობაციის სამსახურის როლი დანაშაულის თავიდან აცილების პირველ ეტაპზე ძალიან იშვიათად შეიმჩნევა. აღნიშნული, ძირითადად, მხოლოდ მეორე ან მესამე ეტაპზე გვხვდება. პრობაციის სამსახურები დანაშაულის თავიდან აცილების პირველ ეტაპზე არ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს და მათი საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ ადგილობრივ დონეზე კონსულტაციებში მონაწილეობით. ამ კონსულტაციების დროს პარტნიორებს წარმოადგენენ სოციალური სამსახურები, ნებაყოფლობითი ასოციაციები, ადგილობრივი საბჭოები და ზოგჯერ პოლიციაც.

ჩეხეთის რესპუბლიკაში დანაშაულის თავიდან აცილება ნებადართულია კანონით, მაგრამ არ არსებობს არანაირი განმარტება ამ ამოცანის შესრულებისა. უნგრეთში პრობაციის სამსახურის საქმიანობისას არ არსებობს დანაშაულის თავიდან აცილების არანაირი სამართლებრივი საფუძველი, გარდა ზოგადი განსაზღვრებისა, რომ სასჯელის მიზანს წარმოადგენს როგორც მსჯავრდებულის, აგრეთვე სხვა პირების მხრიდან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. რუმინეთში პრობაციის სამსახური ჩართულია არასამთავრობო სექტორის მიერ შექმნილ დანაშაულის თავიდან აცილების პროგრამებში. სლოვენიაში და ლატვიაში არ არსებობს ეროვნულ დონეზე გაწერილი დანაშაულის თავიდან აცილების გეგმა. 1997 წელს სლოვენიაში მთავრობას ჰქონდა მცდელობა შეექმნა დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, თუმცა ფინანსების უქონლობის გამო ეს სტრატეგია მკვდარ ფურცლად იქცა. ლიტვიაში გამასწორებელი ინსპექტორების ცალკეულ პირებთან ან ჯგუფური მუშაობისას არსად არ იკვეთება დანაშაულის ხელშეწყობის პრევენციის მიმართულება.

მხოლოდ ესტონეთისა და ბულგარეთის მთავრობების მიერ შეიქმნა დანაშაულის თავიდან აცილების სპეციალური ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა. ესტონეთში დანაშაულის პრევენციაზე პასუხისმგებელი ორგანოები არიან: დანაშაულის თავიდან აცილების საბჭო და იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და პრობაციის განყოფილება. დანაშაულის თავიდან აცილების პროგრამებში აგრეთვე ჩართული არიან სამინისტროები (განათლების, შინაგან საქმეთა, სოციალური ურთიერთობების) და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

ბულგარეთში დანაშაულის თავიდან აცილების პროგრამები ძირითადად მიმართულია არასრულწლოვნებზე. ამ მიზნით შექმნილია არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების სპეციალური ოფისები. ამ ოფისების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულობების გარემოებათა მიზეზების ანალიზი;

სკოლის ადმინისტრაციასთან, სკოლის მეურვეებსა და მასწავლებლებთან კავშირის დამყარება და სკოლების ხშირი მონახულება;

შეხვედრა ბავშვებთან, მათს მშობლებთან და ლექციების წაკითხვა;

დანაშაულის თავიდან აცილების მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან და სხვა თანამდებობის პირებთან ერთობლივ პროექტებში მონაწილეობა;

3.7 აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრობაციის სამართლებრივი საფუძვლები

უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა სისხლისსამართლებრივმა რეფორმებმა პრობაციის სამსახურები აქცია მთავარ მოთამაშეებად სისხლის სამართლის პროცესში. პრობაციის სამსახურების ამოცანები დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნების სასჯელთა ბუნებასა და სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურაზე. კანონმდებლობა უპირობოდ განსაზღვრავს სისხლის სამართლის რა ეტაპზეა პასუხისმგებელი პრობაციის სამსახური თავის ამოცანებზე, საქმიანობასა და სამიზნე ჯგუფებზე. პრობაციის სამსახურის ამოცანები და კომპეტენცია განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ზოგიერთ ქვეყანაში (ბულგარეთი, უნგრეთი, ლიტვა, სლოვენია), სასჯელის აღსრულების კოდექსი ან გამოსწორების კოდექსი, ციხეში წარმოებულ სოციალური/საპრობაციო საქმიანობის პრინციპებსა და ამოცანებთან ერთად, განსაზღვრავს კრიმინალური სანქციების აღსრულებას, პრობაციის სამსახურის სტრუქტურას, პრობაციის ოფიცერთა მოვალეობებს, საზოგადოებრივი სანქციების აღსრულებას და პრობაციის სამსახურის ჩართულობას ამ პროცესში. ხშირად ამ კოდექსთან ერთად არსებობს სპეციალური კანონები და სამთავრობო რეზოლუციები, რომლებიც არეგულირებენ პრობაციას და მის მსგავს საქმიანობას, რისი მაგალითიც არის კანონი სოციალურ სამსახურებზე და სოციალური მხარდაჭერის კონცეფციის რეზოლუცია ლიტვაში. სხვა ქვეყნებში პრობაციის სამსახურის ამოცანები განსაზღვრული და რეგულირებულია სპეციალური აქტებით, დეკრეტებით და სპეციალური ქარტიებით. ეს აქტები ძირითადად მოიცავს პრობაციის სამსახურების ამოცანებსა და პასუხისმგებლობებს, საპრობაციო სამუშაოების განხორციელების ეთიკურ ნორმებსა და პრინციპებს, მედიატორებისა და პრობაციის მუშაკთა უფლებებსა და მოვალეობებს, პრობაციის სამსახურის თანამშრომელთათვის საჭირო კვალიფიკაციის აღწერის დანიშნულის ნათელი მაგალითია ჩეხეთის რესპუბლიკის კანონი N257/2000 პრობაციისა და მუშაულობის სამსახურის შექმნის შესახებ, რომელიც დეტალურად აღწერს სამსახურის საქმიანობას, სტრუქტურას და მსჯავრდებულებსა და დაზარალებულებთან მუშაობისას მოვალეობებსა და ვალდებულებებს. ეს კანონი ასევე არეგულირებს და აღწერს სამსახურის უფლებამოსილებას, სისხლისსამართლებრივი სისტემის შიგნით და გარეთ არსებულ ორგანოებთან თანამშრომლობისას თანამშრომელთა სტატუსსა და გრადაციას, მათს უფლებებსა და მოვალეობებს, თანამშრომელთათვის საჭირო კვალიფიკაციას. აღნიშნული სამსახურის მეორე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ქარტია, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს სტრუქტურას, ადგილობრივი ცენტრებისა და მმართველი ორგანოს უფლებებს, სამსახურის საგანმანათლებლო სისტემას და რეგიონალურ ოფისებში თანამშრომელთა დანიშვნის წესს. ანალოგიურად, რუმინეთში პრობაციის სამსახურის საკანონმდებლო საფუძვლები ემყარება სპეციალურ კანონს, რომელიც შექმნილია სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების საფუძვლებზე. კანონი 129/2002 განსაზღვრავს სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის სამსახურის პრინციპებსა და სტრუქტურას. ეს კანონი აგრეთვე მოიცავს თანამშრომელთა ტრენინგის მოთხოვნებს და არეგულირებს შესაბამის პროცედურულ პრობლემებს.

ესტონეთში პრობაციის სისტემის საქმიანობა და პრინციპები დარეგულირებულია სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მეშვეობით. დამატებით, კიდევ არსებობს საპრობაციო ზედამხედველობის აქტი, რომელიც არეგულირებს სამსახურის სტრუქტურას, ამოცანებსა და თანამშრომელთათვის საჭირო

კვალიფიკაციას. სხვა სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულია იუსტიციის მინისტრისა და გენერალური მდივნის ბრძანებებით.

უნგრეთში პრობაციის ოფიცერთა ფუნქციები დარეგულირებულია სისხლის სამართლის კოდექსითა და სასჯელთა აღსრულების წესდებით. აღნიშნული ფუნქციები აგრეთვე განსაზღვრულია იუსტიციის სამინისტროსა და არასრულწლოვანთა შემთხვევაში ოჯახური და სოციალური ურთიერთობების სამინისტროს წესდებებში.

მას შემდეგ, რაც ლატვიაში შეიქმნება პრობაციის სამსახური, ყველა საკითხი დარეგულირდება კანონით პრობაციის სამსახურის შესახებ, რომლის მიღებაც მოსალოდნელია 2003 წელს პარლამენტის მიერ. ეს კანონპროექტი აგრეთვე ადგენს პრობაციის სამსახურისათვის რეგიონალური და ეროვნული მრჩეველთა საბჭოების შექმნას.

დღესდღეობით სლოვენიაში არ არსებობს პრობაციის სამსახური ან კანონი, რომლის საფუძველზეც შეიქმნებოდა შესაბამისი სამსახური. ის ამოცანები, რომლებიც სხვა ქვეყნებში იგულისხმება, როგორც საპრობაციო სამუშაოები, სლოვენიაში ხორციელდება შუამავლების, სასამართლოების მიერ დანიშნული მზრუნველების, სოციალური სამუშაოების ცენტრებთან თანამშრომლობით ციხის თანამშრომლებისა და სოციალური მუშაკების მიერ. აღნიშნული საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლები გამომდინარეობს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კოდექსებიდან, სასჯელთა აღსრულების აქტიდან და გენერალური პროკურორისა და იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემული ინსტრუქციებიდან.

4. საპრობაციო საქმიანობა: ციხიდან საზოგადოებამდე

4.1 სისხლისსამართლებრივი ქმედობის დროს მთავარ მონაწილეებს წარმოადგენენ: ეკვიტანტილი, მისი ადვოკატი, პოლიცია, მოსამართლე და პროკურორი, რა დროსაც დაზარალებული, მწიფე და ექსპერტები თამაშობენ აქტიურ როლს. ტრადიციულად ამ პროცედურებში პრობაციას არანაირი როლი არ გააჩნია; ასეთ შემთხვევებში სოციალური სამსახურების ფუნქცია პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა ზედამხედველობა და წინასწარ პატიმრობაში მყოფთა მხარდაჭერაა. აღნიშნული კვლავ წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანებს ახალი პრობაციის სამსახურებისათვის, მაგრამ უმეტეს ქვეყნებში საპრობაციო ღონისძიებების განხორციელება წინასწარი პატიმრობისა და სასჯელაღსრულების სისტემიდან გარეთ გამოსვლამდე აღარ იზღუდება.

უკანასკნელი წლების მანძილზე ყველა დასავლეთევროპულ ქვეყანაში სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე შეიმჩნევა პრობაციის სამსახურის როლის ზრდის ტენდენცია. გამომდინარე იქიდან, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კანონმდებლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, პრობაციის სამსახურების ჩართვა ხდება სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. ისეთ ქვეყნებში, როგორც არის ჩეხეთი, უნგრეთი, ლატვია და სლოვენია, პრობაციის სამსახურები ჩართული არიან წინასწარი გამოძიების პროცესიდან მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში ეს აკრძალულია. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, მათ მაინც აქვთ საერთო - საზოგადოების ჩართულობა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სტიმულირებული ევროპის საბჭოს რეკომენდაციებით და ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, როგორებიც არიან ციხის საერთაშორისო რეფორმა, სოროსის ფონდი და კოლოპი, წინ მიიწევენ საზოგადოებაზე ორიენტირებული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის შესაქმნელად, რაც ხელს უწყობს მსჯავრდებულთა რეინტეგრაციისა და მსხვერპლთა დახმარების პროცესში

საზოგადოების როლის ზრდას. აღნიშნული ხაზს უსვამს ისეთი ორგანიზაციის საჭიროებას, რომელიც, კერძო ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებთან ერთად, ორგანიზებას, ზედამხედველობასა და კონტროლს გაუწევს საზოგადოებაზე ორიენტირებული სანქციების აღსრულებას. ამ ახალი ტიპის სანქციებისა და ზომების გაცნობა ხელს უწყობს სისხლის სამართლის სისტემაში პრობაციის სამსახურის როლის ზრდას.

4.2 საზოგადოებრივი სანქციები და ზომები

აღმოსავლეთ ევროპის უმრავლეს ქვეყნებში დანაშაულის სწრაფი ზრდა იწვევს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანას, რაც, თავის მხრივ, იწვევს სასჯელთა გამკაცრებას. 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში ამ ქვეყნების სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაში შეიმჩნეოდა პატიმრობის ვადის ვირტუალური კლება. 90-იან წლებში ციხეებში იზრდებოდა პატიმართა რაოდენობა, ვინაიდან სასჯელთა ფორმებმა განიცადა უმნიშვნელო ცვლილებები, ან თითქმის არ შეცვლილა. ამ ქვეყნებში მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია რეპრესიების შემცირება, თუმცა უმნიშვნელოდ. ევროგაერთიანებაში შესვლის მსურველ ქვეყნებში კრიმინალური ვითარების ზრდა იწვევდა პატიმრობის ვადის ზრდასაც, რაც თავისთავად გამომდინარეობდა ალტერნატიული სანქციების უქონლობითა და საზოგადოების მიერ მკაცრი სასჯელების მხარდაჭერიდან.

უკანასკნელი წლების მანძილზე ყველა ქვეყანაში დადგა საკითხი არასაპატიმრო საზოგადოებრივი სანქციებისა და ნორმების საჭიროებისა. ბულგარეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, რუმინეთსა და ლიტვაში პირობითი მსჯავრისა და პატიმრობის ალტერნატიული სანქციების ფართოდ გამოყენება საფუძველი დაუდო საპატიმრო ვადების შემცირებას. უმრავლეს ქვეყნებში, ეს ახალი ტიპის სანქციები და ნორმები წარმოადგენდა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის რეფორმის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ციხის ხარჯებისა და პატიმართა რაოდენობის შეზღუდვა. მეორე მხრივ, ამ ქვეყნებში გაჩნდა დამნაშავეებსა და დანაშაულთან ალტერნატიული გზების მოძიების, კერძოდ, დაზარალებულთათვის დახმარების გაწევისა და დამნაშავეთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინტერესი. მსჯავრდებულებთან მიმართებით საზოგადოებრივ სანქციებს უფრო მეტი როლი აკისრიათ, ვიდრე საპატიმროებს, ვინაიდან ეს ხელს უწყობს მათი პასუხისმგებლობისა და სოციალური უნარ-ჩვევების ზრდას და უსახავს მათ გამოსწორების გზებს.

თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებულ კანონმდებლობას შევადარებთ რამდენიმე წლის წინანდელთან, ნათლად გამოჩნდება, რომ პრიმიტიული და ლიმიტირებული სანქციების ისეთი ტიპები, როგორებიც არის პატიმრობა, ჯარიმა, პირობითი ან გადავადებული, უბრალოდ აღარ არსებობს. ახალ კანონმდებლობაში ჯარიმებისა და სხვა ზომების განვრცობა მოხდა ისეთი ფორმის სანქციებით, როგორებიც არის გაფრთხილება, შუამავლობა, სასჯელის გადავადება ზედამხედველობით, შინაპატიმრობა, გირაო, საგანმანათლებლო ზომები (ძირითადად არასრულწლოვნებისთვის), საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, კომპენსაცია და რესტიტუცია, უფლებების ჩამორთმევა, ტრენინგის კურსები, გონებრივი ტრენინგის პროგრამები, მკურნალობის პროგრამები, ზედამხედველობისა და დასწრების ბრძანებები, საპრობაციო თავშესაფრებში გაჩერება, ინტენსიური ზედამხედველობა ან პრობაციის ბრძანება, განსაზღვრულ დროს სახლში ყოფნის ბრძანება, კომბინირებული ბრძანებები და კიდევ მრავალი სხვა.

ჯერჯერობით მწელია ამ სანქციების როლის განსაზღვრა ციხეში პატიმართა რაოდენობის შემცირებასა და საზოგადოების მხრიდან მზარდაჭერის მოპოვებასთან დაკავშირებით. ამ სანქციებიდან ძალიან ბევრი ჯერ კიდევ ექსპერიმენტულ ფაზაშია, ან ელოდება ფორმალურ იმპლემენტაციას (ბულგარეთი). ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე საზოგადოებრივი სანქციების გავრცელების არეალი. იმ დროს, როდესაც ლატვიაში 497 დანაშაულიდან მხოლოდ 87 ისჯება საზოგადოებრივი სანქციებით, ესტონეთში ყველა სახის დანაშაული, რომელიც ისჯება 2 წლამდე პატიმრობით, შესაძლებელია შეიცვალოს ალტერნატიული სანქციებით. თუ რა შემთხვევებში შეიძლება საზოგადოებრივი სანქციების გამოყენება, ასევე განსაზღვრულია საკანონმდებლო აქტით. საზოგადოებრივი სანქციები შეიძლება იყოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის ფორმები. გარდა ამისა, საზოგადოებრივი სანქციები სრულიად განსხვავდებიან თავიანთი სადამსჯელო ხასიათითა და სიმკაცრის არსით. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შემთხვევაში, კერძოდ: საათების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიესაჯოს, სლოვენიაში არის 240, ლატვიაში 280, უნგრეთსა და ლიტვაში -300, ბულგარეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში - 400 და ლიტვაში - 1000 მაშინ, როცა ესტონეთში 2 წლამდე პატიმრობა შეიძლება შეიცვალოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით. ესტონეთში პატიმრობის 1 დღე უთანაბრდება 4 საათს, ხოლო სხვა ქვეყნებში პატიმრობის 1 დღე გათანაბრებულია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის 2-დან 6 საათს (უნგრეთი).

თუ თვალს გადავავლებთ საზოგადოებრივი სანქციების გამოყენების პრაქტიკულ ეფექტს, ვნახავთ, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, შუამავლობა და სხვა სახის სანქციები მტკიცედ იკიდებენ ფეხს. აქედან გამომდინარე, ევროგაერთიანებაში შემსვლელი ქვეყნები დიდად არ განსხვავდებიან დასავლეთის ქვეყნებისგან, რისი ნათელი მაგალითიც არის ჩეხეთის რესპუბლიკა. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში 1996 წელს დაიწყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, 1997 წელს იგი გამოყენებულ იქნა 1.600-ჯერ, ხოლო 2001 წელს - 8.835-ჯერ. პირობითი გასამართლების გადადების ფაქტები გაიზარდა 1.600-დან 11.000-მდე. მიუხედავად იმისა, რომ გადადებულმა სასჯელების რიცხვმა საპრობაციო ზედამხედველობით და მის გარეშე, დაიკლო 37.000-დან 36.543-მდე, ეს რიცხვი მაინც ძალიან დიდია 2001 წელს გამოტანილ არაპირობით სასჯელებთან შედარებით.

ლატვიაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს, კერძოდ: 2001 წელს ყველა დანაშაულის 8% ჩაიდინეს იმ პირებმა, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. 1990 წელს ეს რიცხვი იყო 14.6% მაშინ, როცა დანაშაულის გამეორება მოხდა მისჯილთა 37%-ში. 2001 წელს ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 55% და 26%. 2001 წელს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა გამოყენებულ იქნა 3.662-ჯერ, რაც წარმოადგენს დანაშაულთა 2.8%-ს, თუმცა გასულ წლებთან შედარებით 20%-ით დიდია.

სლოვენიასა და ესტონეთში ფიქსირდება სასჯელის გადავადების ზრდა. ამავე დროს იზრდება სხვა არასაპატიმრო სასჯელების რიცხვიც. ესტონეთში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის რიცხვი გაიზარდა 75-დან 681-მდე, ხოლო სლოვენიაში, სადაც არ არსებობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელის ფორმა, სულ უფრო ხშირად გამოიყენება შუამავლობა და სისხლისსამართლებრივი დევნის გადავადება.

ბულგარეთში, რუმინეთსა და ლიტვაში არსებობს პატიმრობის ალტერნატიული სანქციები. ლიტვაში სასჯელის ასეთ ფორმას წარმოადგენს უხელფასო გამასწორებელი სამუშაოები. ეს სანქცია წარმოადგენს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ნაირსახეობას, თუმცა რეალურად წარმოადგენს ფინანსურ სანქციას, სადაც მსჯავრობიულს ვალდებულება ეკისრება იმუშაოს თავის სამუშაოზე და გარკვეული პროცენტის ხელფასიდან იხადოს ბიუჯეტში. სასჯელის ეს ფორმა 2002 წელს გამოყენებულ იქნა 1200-ჯერ, თუმცა უახლოეს პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსში მოხდება ცვლილება და შეიცვლება

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით. ამვე წელს 11.566 პირს მისჯილი ჰქონდა საპატიმრო სასჯელი. 10.245-ს კი - არასაპატიმრო. ბულგარეთში 2001 წელს არასაპატიმრო სასჯელთა რაოდენობა გაიზარდა 13.100-მდე. რუმინეთში საპატიმრო სასჯელების რაოდენობა 1995 წლიდან 2001 წლამდე 50.000-დან შემცირდა 30.000-მდე, როდესაც არასაპატიმროები გაიზარდა 22.000-დან 26.000-მდე.

4.3 წინასაგამოძიებო სანქციები და ზომები

ევროგაერთიანებაში შემსვლელი ქვეყნების პრობაციის სამსახურები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას ერთვებიან აღსრულების პროცესში, რომლის დროსაც ისინი პასუხისმგებელი არიან სასჯელზე არსებული დამატებითი პირობების ზედამხედველობაზე. ეს სასჯელები შეიძლება იყოს: პირობითი, გადავადებული, პირობით ვადამდე გათავისუფლება, არასაპატიმრო ჯარიმა ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის მსგავსი ზომა.

ვინაიდან წინასაგამოძიებო ეტაპზე დიდი გავლენა აქვს დამნაშავეებთან ურთიერთობების ახალი გზების ძიებას, ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს, შესაძლებლობების ფარგლებში, სასამართლო განხილვის თავიდან აცილებას. ალტერნატიული სანქციების განვითარებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ციხეში პატიმართა 25%-ს წარმოადგენდნენ იმ კატეგორიის ადამიანები, რომლებსაც სასჯელი ჯერ არ ჰქონიათ შეფარდებული (უნგრეთი, ესტონეთი, სლოვენია). უფრო მეტიც, ეს პირები წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას არიან ისეთ მძიმე პირობებში, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის მიხედვით, წინასწარი პატიმრობა უნდა ხორციელდებოდეს ადამიანურ პირობებში და ადამიანური ღირსების დაცვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალტერნატიული სანქციების დანერგვის ძირითადი მიზეზი იყო როგორც სასამართლო აპარატისა და ციხეების გადატვირთვისგან გათავისუფლება, აგრეთვე მსჯავრდებულთა სისხლისსამართლებრივი პროცესისგან ყურადღების გადატანა. აღნიშნული ხშირად ხორციელდება ფუნქციების გადამისამართებით მოსამართლისგან პროკურორზე. ეს ფუნქციები მათ აძლევს საშუალებას გადაავადონ სამართლებრივი დევნა (ჩეხეთი, ლატვია, უნგრეთი, სლოვენია), დაავალონ ფინანსური ხარჯების ანაზღაურება ან შუამავლობა, კომპენსაცია ან რეპარაცია; უზრძანონ ისეთი ზომების შესრულება, როგორც არის გირაო, პოლიციის ზედამხედველობა, განსაზღვრული ადგილის ან პირის მონახულების აკრძალვა და კონკრეტული საქმიანობის ჩამორთმევა. ასეთი სახის ზომები სხვადასხვა სახით ხორციელდება თითქმის ყველა ქვეყანაში. ბულგარეთში, ლიტვაში, ესტონეთში, ლატვიასა და სლოვენიაში წინასწარი გამოძიების პროცესში ბრალდებულის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს პოლიციის განყოფილებაში რეგულარულად გამოცხადების დაწესების გზით. აღნიშნულის უგულველყოფა გამოიწვევს მის დაკავებას და დაპატიმრებას.

ზოგიერთი წინასაგამოძიებო ჩარევა, როგორებიცაა შინაპატიმრობა (ბულგარეთი, ლიტვა, ესტონეთი, ლატვია, უნგრეთი, სლოვენია), არასრულწლოვნებისთვის საგანმანათლებლო ზომები (ესტონეთი), იძულებითი სამედიცინო მკურნალობა (ბულგარეთი), იდენტიფიკაცია იმ ზომებისა, რომელიც სასამართლოს გამოაქვს სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ. ასეთი სახის ჩარევები შესაძლებელია გამოყენებული იყოს როგორც დამატებითი პირობები გადავადებული სასჯელებისას, აგრეთვე წინასწარი გამოძიებისას მიმდინარე ჩარევებისას.

წინასაგამოძიებო ალტერნატიული სანქციების გამოყენება ძირითადად დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმესა და ბუნებაზე, დამნაშავეს ასაკზე, გამომდინარეობს თუ არა ის საზოგადოებრივი ინტერესიდან და ხდება თუ არა

მსხვერპლის კომპენსაცია. მაგალითად, ჩეხეთში, სასამართლოს გარეშე გადაწყვეტილების გამოტანისას შეთანხმება მიღწეული უნდა იყოს არა მხოლოდ მსჯავრდებულთან, არამედ აგრეთვე დაზარალებულთანაც.

ძალიან ხშირად ჩარევა ხორციელდება პრობაციის პერიოდში, როდესაც პრობაციონერს გასამართლების თავიდან აცილების მიზნით დაკისრებული აქვს რიგი აკრძალვებისა და პირობებისა. აღნიშნული არ გულისხმობს, რომ პრობაციის პერიოდში ზედამხედველობას ახორციელებს პრობაციის სამსახური. ბევრი სახეობის ჩარევა ხორციელდება არა პრობაციის სამსახურების, არამედ პოლიციის მიერ. რუმინეთში, უნგრეთსა და ლატვიაში წინასაგამოძიებო პერიოდში საპრობაციო ღონისძიებები ხორციელდება მხოლოდ არასრულწლოვნების მიმართ. ისეთ ქვეყნებში, სადაც კანონი უშვებს ამ ეტაპზე პრობაციის გავრცელებას სრულწლოვნებზე, აკრძალულია პოლიციისათვის, პროკურატურისათვის და სასამართლოსათვის მსჯავრდებულის შესახებ მის წარსულზე ინფორმაციის მიწოდება, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ბრალდებულზე. იმ შემთხვევაში, თუ კანონი უშვებს შუამავლობას მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის, პრობაციის სამსახური შესაძლოა იყოს მხარეებს შორის კონფლიქტის მოგვარების ინიციატორი და მხარდამჭერი (ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვენია). მთელ ევროპაში ჩეხეთის რესპუბლიკა არის უნიკალური, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას გირაოს დროს.

4.4 ალტერნატიული სანქციები და ზომები

საწინააღმდეგოდ დასავლეთევროპულ ქვეყნებში არსებული ტენდენციისა, საპატიმრო სასჯელის შედეგად მიღებული უარყოფითი ეფექტის მინიმუმამდე დაყვანისა, საზოგადოებრივი სანქციების ფართოდ გამოყენების დამკვიდრების გზით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საპატიმრო სასჯელების ნაცვლად ალტერნატიული სასჯელების გამოყენება დღევანდელ დღემდე ლიმიტირებული იყო. ვალდებულებების ისეთი სახეები, რომელთა განხორციელებაც დაკისრებული აქვს პრობაციის სამსახურს, მაგალითად, ნახევრად თავისუფლება, ელექტრონული მონიტორინგი, პროგრამები ციხის გარეთ და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დღესაც არ ხორციელდება. ერთადერთი ვალდებულება, რომელიც ყველა ქვეყანაში სრულდება, არის პირობით გათავისუფლება. საპრობაციო პერიოდში ყველა ქვეყანაში, სლოვენისა და რუმინეთის გარდა, პირობითი მსჯავრი ყოველთვის ხორციელდება ზედამხედველობით. ასეთი სახის ზედამხედველობას ყოველთვის ახორციელებს პრობაციის სამსახური და შეიძლება ერთოდეს იგივე პირობები, რაც პირობით გათავისუფლებისას ახლავს თან. ძირითადად, ეს იგივე პირობებია, რომლებიც გამოიყენება სასჯელის გადავადებისას, კერძოდ: მოთხოვნა ახალი დანაშაულის ჩადენისგან თავის შეკავებისა, ზედამხედველობის გარეშე სახლის ტერიტორიის მხოლოდ განსაზღვრული დროით დატოვებისა, განსაზღვრული ადგილების მონახულების შეზღუდვა, ზედამხედველ ორგანოსთან მუდმივი კონტაქტის ვალდებულება.

სხვა ტიპის ზომებიც, რომლებიც განვითარდა, არის ვადამდე გათავისუფლება და პატიმრობა შაბათ-კვირას (სლოვენია), პატიმრობის გადავადება (ბულგარეთი) და განსაზღვრულ დროს სახლში ყოფნის ვალდებულება (ლიტვა).

გამომდინარე იქიდან, რომ ამ ქვეყნებში ალტერნატიული სანქციების რაოდენობა ძალზე ლიმიტირებულია, საპატიმრო სანქციების შესამცირებლად ისინი ხშირად მიმართავენ ისეთ ხერხებს, როგორიცაა ამნისტია და შეწყალება. ამის უფლება ძირითადად მინიჭებული აქვთ ქვეყნის მეთაურებს, ვიცე-პრეზიდენტებს, მთავრობას ან იუსტიციის მინისტრს. შეწყალებას და ამნისტიას აქვთ ერთ-ერთი შემდეგი ფორმა: გამამტყუნებელი

განაჩენის მაღალიანი ან ნაწილობრივი გაუქმება, სასჯელის შემსუბუქება ან უფრო მსუბუქით შეცვლა და უპირობო შეწყალება. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში პრობაციის სამსახურის როლი შემოიფარგლება შეწყალების ან ამნისტიის მიმართვის მხარდაჭერით. ვინაიდან უმეტესწილად ამნისტია და შეწყალება ხორციელდება იმ პერიოდში, როდესაც პიროვნებას არა აქვს საპრობაციო ვადა, ამ პროცესში პრობაციის სამსახურის განსაზღვრული სამართლებრივი როლი ძალიან მცირეა. ეს კი ნიშნავს, რომ პატიმართა გათავისუფლება ხდება ყოველგვარი მომზადების, სოციალური მხარდაჭერისა და საზოგადოებრივი აზრის შესაბამისი მომზადების გარეშე, რომელიც, როგორც წესი, ასეთ ფაქტებზე უარყოფითად რეაგირებს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს საკითხი წარმოადგენს რეალურ პრობლემას, რისი ნათელი მაგალითებიც არის, მაგალითად, ლიტვა (2001 წელს 2.271 ამნისტირებული და 4.897 შეწყალებული) და სლოვენია (2001 წელს 955 პირს შეუმცირდა სასჯელი). რუმინეთის კანონი 129/2002 პრობაციის სამსახურს ანიჭებს უფლებამოსილებას იზრუნოს შეწყალებულ პირთა სოციალურ რეინტეგრაციაზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება თვითონ მოითხოვს ამას. შეწყალებულ პირთა მხარდასაჭერად და შესაბამისი რესურსების მოსაძიებლად პრობაციის სამსახურის მიერ დიდი თანამშრომლობის ხელშეკრულება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სააგენტოებთან.

5. პრობაციის ამოცანათა კატეგორიები

5.1 მოხსენებები

როდესაც ხდება გადაწყვეტილების მიღება, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ბრალდებულის დაკავებასთან, აგრეთვე საპატიმრო თუ არასაპატიმრო სანქციის გამოტანასთან, მეტი უპირატესობა ენიჭება პატიმრობას და სხვა, შორს მისაღწევ სანქციებს. არჩევანის მიღების პროცესი მოითხოვს ინფორმაციას მსჯავრდებულის შესახებ პოლიციიდან, პროკურატურიდან და სასამართლოდან, აგრეთვე მისი სოციოფსიქოლოგიური, სოციოეკონომიკური და კულტურული წარსულის შესახებ. ის, თუ რა დონეზე და ვისთან უნდა მოიყაროს თავი აღნიშნულმა ინფორმაციამ, დამოკიდებულია ცალკეულ ქვეყნებში არსებულ სისხლის სამართლის პროცესზე და სანქციათა სახესხვაობებზე. როგორც აქამდე აღვნიშნეთ, უკანასკნელი წლების მანძილზე ორივე მიმართულების განვითარებამ გამოიწვია პრობაციის როლისა და ამოცანების ზრდა სისხლის სამართლის სისტემაში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს წერილობითი ან ზეპირი მოხსენების მომზადება შესაბამისი თანამდებობის პირისათვის. ზოგიერთ ისეთ ქვეყანაში, როგორც არის, მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკა, მოხსენება შეიძლება მოთხოვნილი იყოს სხვა მხარეების მიერაც (მაგალითად: დაზარალებული, მსჯავრდებული, ადვოკატი, მშობლები, არასრულწლოვნებთან მომუშავე და სოციალური მუშაკი).

პრობაციის მიერ მომზადებული მოხსენების ფორმები დამოკიდებულია მიზეზზე, ადრესატზე და იმაზე, თუ პროცესის რა ეტაპზე მოითხოვება იგი. მათ შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი ფორმები: სოციალური გამოკითხვის, წინასაგამომიებო, საექსპერტო ინფორმაცია, რომელშიც აისახება მსჯავრდებულის ან დაკავებულის პირადი და ფსიქოსოციალური მდგომარეობა, ზედამხედველობის შემფასებელი და შესაბამისი თანამდებობის პირისათვის რჩევის მიმცემი. პრობაციის სამსახურის მიერ მომზადებული მოხსენებები ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. აღნიშნული დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებზე მოხსენების საკიროების შესახებ და იმ ინფორმაციის

შესახებ, რომელსაც ეს მოხსენება უნდა შეიცავდეს. იმ ქვეყნებში, სადაც პრობაციის მიერ მოხსენებების მომზადება წარმოადგენს საკანონმდებლო ვალდებულებას, ეს მოხსენებები, ძირითადად, მიმართულია არასრულწლოვნების მიმართ და შეიცავენ წინასაგამოძიებო და სოციალური გამოკითხვის შემცველ ინფორმაციას.

ვინაიდან უმეტეს ქვეყნებში სასჯელებისა და ნორმების გამოტანა ხდება სასამართლოს სხდომის შემდეგ, ეს მოხსენებები, ძირითადად, მოითხოვება მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილების მისაღებად. ძირითადად, ეს მოხსენებები შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: დანაშაულის ჩადენის გარემოებები, ბრალდებულის სოციალური, ფინანსური და ფსიქოლოგიური გარემოებები, რისკის განსაზღვრება, ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი და მსჯავრდებულის მზადყოფნა გამოსწორებისათვის. წინასაგამოძიებო მოხსენება, ძირითადად, შეიცავს სასამართლოსათვის სასჯელის ფორმის გამოტანის რჩევას. ისეთ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ბრალმძებელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს წინასაგამოძიებო პროცესში, პრობაციის სამსახურის მიერ მომზადებულ მოხსენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სანამ მსჯავრდებული წარდგება სასამართლო პროცესზე. აღნიშნული ხორციელდება ჩეხეთის რესპუბლიკაში, უნგრეთში და როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვნებს - რუმინეთში.

5.2 სანქციებისა და ზომების აღსრულება

ბევრი სანქცია და ზომა (ჯარიმა, სასჯელის გადაადგება ზედამხედველობის გარეშე, პირობითი მსჯავრი, შინაპატიმრობა, კონფისკაცია, შეწყალება, ამნისტია) ხორციელდება პრობაციის სამსახურის მონაწილეობის გარეშე. საზოგადოებრივი სანქციების დანერგვის შემდეგ პროკურორებისა და მოსამართლეების მიერ ამ არასაპატიმრო სანქციების აღსრულება ხდება პრობაციის სამსახურის მიერ. ბევრ ქვეყანაში პრობაციის სამსახურს აკისრია ვალდებულება განახორციელოს ისეთი სანქციების მომზადება, ზედამხედველობა და მენეჯმენტი, როგორებიც არის პრობაცია, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, შუამავლობა და სოციალური ტრენინგის კურსები. ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის რუმინეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი და ლატვია, პრობაციის სამსახურის სააგენტოების ამოცანაა შეხვედრებისა და შეთანხმებების ორგანიზება მსჯავრდებულებსა და იმ სააგენტოებს შორის, რომლებშიც უნდა მოხდეს სანქციების აღსრულება. პრობაციის სამსახურის მიერ წარმოებული ყოველდღიური საქმიანობის ნაწილს წარმოადგენს სასჯელისა და მასზე დართული პირობების შესრულება და შესაბამისი თანამდებობის პირისთვის მოხსენების წარდგენა. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, პრობაციის სამსახურს ევალება აღნიშნულის შესახებ აცნობოს შესაბამის პროკურორს ან მოსამართლეს. ლიტვაში ამ ამოცანებს ახორციელებენ გამასწორებელი ინსპექტორები, ხოლო სლოვენიაში ისეთი სანქციების აღსრულება, როგორიც არის, მაგალითად, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, ხდება ერთობლივად, ცხისა და სოციალური საქმიანობის ცენტრების მიერ. ლატვიაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის აღსრულება ევალება პრობაციის სამსახურს, ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, რომელთაც, თავის მხრივ, ევალებათ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის შესაბამისი პირობების შექმნა ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის კოორდინატორების არჩევა.

პრობაციის სამსახურები არასაპატიმრო ან ნახევრად საპატიმრო სასჯელებისა და ზომების აღსრულებისას ასევე ხშირად არიან ჩართული მსჯავრდებულთა მიმართ თერაპიული ღონისძიებების განხორციელებაში (ნარკომაწივენი და ალკოჰოლიკები, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი მსჯავრდებულები, აგრესიული ან საშიში

მსჯავრდებულები, სექსუალური დამნაშავეები). ბევრ ქვეყანაში ექსპერიმენტული პროგრამები შეიქმნა ადგილობრივ სოციალურ სამსახურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან და ციხეებთან ერთად.

5.3 მზრუნველობა, დახმარება და მხარდაჭერა

მესამე უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მსჯავრდებულთა მიმართ მზრუნველობისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ძირითადად, ასეთი საქმიანობის მიზნებია კლიენტისათვის კანონმორჩილი ცხოვრების სწავლება და დახმარება საზოგადოებაში არსებობის ისეთი ფორმების გამოხატვაში, რომელიც მისაღები იქნება როგორც მისთვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად პრობაციის სამსახური საქმიანობს სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: აწვდის ინფორმაციას და აღლევს რჩევას, ეხმარება მატერიალური და არამატერიალური პრობლემების მოგვარებაში, უწევს პრაქტიკულ დახმარებას, შუამავლობს, მიმართავს სხვა ორგანოებს, უწევს თერაპიულ დახმარებას, ციხიდან გათავისუფლებულებს უზრუნველყოფს საცხოვრებლით და ა. შ.

მოგვიანებით ჩატარებული დეტალური ანგარიშიდან ნათელია, რომ მზრუნველობა, დახმარება და მხარდაჭერა ყველა მნიშვნელოვანი ასპექტებია. ეს ამოცანები შეიძლება ვიგულისხმობთ, როგორც ყველა სახის საპრობაციო საქმიანობის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ფართოდ ასახავს როგორც მატერიალურ (საცხოვრებლით უზრუნველყოფა, სამუშაო, ხელფასი, დასვენება), აგრეთვე არამატერიალურ (ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ემოციურ, სამართლებრივ) პრობლემებს. პრობაციის სამსახურის ჩარევის სახე დამოკიდებულია პრობლემის ხასიათზე, ჩადენილი დანაშაულის ბუნებაზე (განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნარკოტიკულ, სექსუალურ დანაშაულებს და აგრესიულ დამნაშავეებს) და კლიენტის კატეგორიას (მენტალურად გაუწონასწორობლებს, ნარკომანებს, ლოთებს, ეთნიკურ უმცირესობებს). ბევრ ანგარიშში მითითებულია, რომ დასახული ამოცანების მისაღწევად სამსახურები განიცდიან ფინანსური რესურსების, აღჭურვილობის, შესაბამისი სამუშაო პირობებისა და კადრების უკმარისობას. სწორედ ამ მიზეზების გამო ბევრ ქვეყანაში პრიორიტეტი ენიჭებათ მცირეწლოვნებს.

ციხის შიგნით წარმოებული სამუშაოები მოითხოვს სპეციალურ აღნიშვნას. ყველა ქვეყანაში სოციალურ სამუშაოებს ციხეებში ასრულებენ სპეციალური სოციალური სამსახურები. ამ სამსახურებში თანამშრომლები ძირითადად არიან სოციალური მუშაკები და მცირე რაოდენობით მასწავლებლები, ფსიქოლოგები და ფსიქიატრები. ძალიან ხშირად ამ სამსახურებს ეხმარებიან არასამთავრობო ორგანიზაციები და ნებაყოფლობითი ორგანიზაციები. ამ სოციალური სამსახურების საქმიანობა განსხვავდება ერთმანეთისგან ყველა ციხესა და ქვეყანაში. ბულგარეთში სოციალური სამუშაოები ციხეში შეიძლება შეიცავდეს სპეციალურ, ინდივიდუალურსა და ჯგუფურ მუშაობას, პატიმართა ფსიქოლოგიურ დახმარებას, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას, რელიგიურ დახმარებას, ოჯახის წევრებთან კავშირების აღდგენას და პატიმრის გათავისუფლებისათვის მომზადებას. ყოველივე ამის მიზანია პატიმრის სოციალური უნარების განვითარება და მისი კანონმორჩილი ცხოვრებისათვის მომზადება. მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში არის ჩართული პრობაციის სამსახურები უფრო ფართოდ, ვიდრე სოციალური სამუშაოების წარმოება. მაგალითად, რუმინეთში სოციალური და რეინტეგრაციის სამსახური ახორციელებს ციხიდან გათავისუფლებისათვის მოსამზადებელ და სხვა სახის პროგრამებს ციხის განათლების დეპარტამენტთან ერთად, რომელიც ამ მიზნით ქირაობს სოციალური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური განათლების მქონე

პირებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ უმეტეს ქვეყნებში პრობაციის სამსახური მუშაობს ციხის გარეთ და არ არის ჩართული მსჯავრდებულის გათავისუფლებამდე.

5.4 შუამავლობა

ტრადიციულად საპრობაციო სამუშაოები კონცენტრირებულია მსჯავრდებულზე. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში ეხმარება დანაშაულის მსხვერპლს პრობაციის სამსახური და მხარდაჭერას უცხადებს მას. აღნიშნული განსაკუთრებით ნათლად აისახება ჩეხეთის რესპუბლიკაში, სადაც სახელწოდება „პრობაციისა და შუამავლობის სამსახური“ ასახავს პრობაციის სამსახურის ჩართულობას დანაშაულის მსხვერპლის (დაზარალებულის) მხარდაჭერაში. ამ შემთხვევაში შუამავლობა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც პრობლემის მოგვარების საშუალება სასამართლოს გარეშე. შუამავლობას სხვადასხვა ფორმა აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში გაგებული უნდა იყოს, როგორც კონფლიქტის მოსაგვარებლად ალტერნატიული მეთოდების გამოყენება შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ. როგორც აღწერილია ჩეხურ მოხსენებაში, შუამავლობა, ერთი მხრივ, გამოიყენება უმტკივნეულოდ კონფლიქტური მდგომარეობის მოსაგვარებლად და მეორე მხრივ, გამოსავლის მოძიებაში, რომელიც ხელს შეუწყობს პროკურორს ან მოსამართლეს სხვა ზომების ან პატიმრობის ალტერნატიული სასჯელების შეფარდებაში. აღნიშნულის უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ამ გზით ხდება დაზარალებულისათვის ზიანის სწრაფად კომპენსირება, აჩქარებს მცირე დანაშაულობების მიმართ პასუხისმგებლობის გრძობას, ზრდის ბრალდებულის სოციალურ პასუხისმგებლობას და ამ საკითხის მოგვარებაში მის მონაწილეობას.

გზა, რომლითაც გამოიყენება შუამავლობა სისხლისსამართლებრივ სისტემაში, ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. ისევე როგორც ჩეხეთის რესპუბლიკაში, ლატვიაშიც, თანახმად ახალი კანონისა პრობაციის შესახებ, შუამავლობა დადგენილია, როგორც მთავარი ამოცანა ბრალდებულ-დაზარალებულს შორის. სლოვენიაში 2000 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემოღებული იყო შუამავლობის ფორმა, თუმცა მისი განხორციელება დაეკისრა არა პრობაციის სამსახურს, არამედ ნებაყოფლობით მომუშავე პირებს, რომლებიც ხელფასს იღებენ გენერალური პროკურატურის ბიუჯეტიდან.

უნგრეთში შინაგან საქმეთა სამინისტრომ შექმნა დაზარალებულთა მხარდაჭერის სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც თავის საქმიანობას 19 რეგიონში ავრცელებდა დაზარალებულთა დახმარების 12 ადგილობრივი ოფისის მეშვეობით. ესტონეთში დაზარალებულთათვის მზრუნველობა და მხარდაჭერის გაწევა ევალება სოციალური ურთიერთობების სამინისტროს. შუამავლობას და სხვა შესაბამის პროგრამებს, სოციალური ურთიერთობების სამინისტროს მხარდაჭერით, პრობაციის სამსახურზე მეტად ახორციელებენ ეკლესია და ნებაყოფლობითი ორგანიზაციები.

ლიტვაში, რუმინეთსა და ბულგარეთში პრობაციის სამსახურები არ არიან ჩართული შუამავლობასა და დაზარალებულთა მხარდაჭერის საქმეში. მიუხედავად აღნიშნულისა, შეიძლება მოიძებნოს რამდენიმე მაგალითი თანამშრომლობის პრობაციის სამსახურსა და დაზარალებულთა მხარდაჭერის ნებაყოფლობით ორგანიზაციებს შორის.

5.5 ციხის შემდგომი მზრუნველობა

ევროპაში დაარსებული პირველი პრობაციის სამსახურების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ციხიდან გათავისუფლებულ პატიმრებზე შემდგომი მზრუნველობა. ბევრ დასავლეთ ევროპის ქვეყანაში პრობაციის სამსახურებისათვის დღესაც მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ციხიდან გათავისუფლებულ პატიმრებზე შემდგომი მზრუნველობა. შემდგომი მზრუნველობა შეიძლება ხორციელდებოდეს ინდივიდუალურად, ოჯახის ან სამსახურის მხარდაჭერით, კონსულტაციით, საცხოვრებელი უზრუნველყოფით და უნარჩვევების შესწავლით.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შემდგომი მზრუნველობა არ წარმოადგენს პრობაციის სამსახურის ძირითად ამოცანას. ერთადერთი გამონაკლისი არის ბულგარეთი, სადაც პრობაციის ოფიცრები ეხმარებიან ყოფილ პატიმრებს საზოგადოებაში ინტეგრაციასა და ამისთვის შესაბამისი პირობების შექმნაში. შემდგომი მზრუნველობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ყოფილი პატიმრების სურვილით, რომლებიც ითხოვენ დახმარებას სამსახურის მოძებნაში, ღამის გასათევის მოძიებაში, მკურნალობასა და შესაბამისი განათლების მიღებაში. აღნიშნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად პრობაციის ოფიცრები მუშაობენ ადგილობრივ ორგანოებთან, დამპირავებლებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან ერთად.

ლატვიაში პრობაციის შესახებ მიღებული ახალი კანონის თანახმად, პრობაციის სამსახურის ამოცანას წარმოადგენს ციხის შემდგომი მზრუნველობა. გარდა იმ ქვეყნებისა, სადაც პრობაციის სამსახურებს ვვალეზათ ზედამხედველობა პირობითი მსჯავრისას, სხვა ქვეყნები საერთოდ არ არიან ჩართული შემდგომ მზრუნველობაში. საპრობაციო ვადის გასვლის შემდეგ პრობაციის სამსახურები ასრულებენ თავიანთ საქმიანობას. იმ შემთხვევაში, თუ ყოფილ პატიმარს ესაჭიროება დახმარება, მან უნდა მიმართოს სოციალურ სამსახურებს ან არასამთავრობო სექტორს, რომლებსაც ხანდახან შეუძლიათ დაეხმარონ ყოფილ პატიმრებს საკვებით, თავშესაფრით ან სხვა საშუალებებით (ლიტვა).

6. პრობაციის სისტემის ორგანიზება

6.1 უმრავლეს ქვეყნებში არის პირდაპირი კავშირი იუსტიციის სამინისტროსა და სისხლის სამართლის სანქციებს შორის, რისი ნათელი მაგალითიც არის უნგრეთი, რომლის ორგანიზაციული სტრუქტურა ქვემოთ არის მოყვანილი. ყველა ქვეყანას პრობაციის სისტემის ორგანიზებისათვის არჩეული აქვს სხვადასხვა გზა.

პრობაციის სამსახურში დასაქმებულებს უმეტესად აქვთ უმაღლესი განათლება, კერძოდ: სოციალური მუშაკის, იურისტის, სოციოლოგის, მასწავლებლის, ფსიქოლოგის, თეოლოგის ან სამედიცინო. ყველა ქვეყანას სურვილი აქვს, რომ ამ საქმიანობაში ჩართული ხალხი იყოს უმაღლესი განათლების მქონე. ზოგიერთ ქვეყანას აქვს სპეციალური, სამსახურში მისაღები პროგრამები, მაგრამ ბევრი კვლავ უჩივის კვალიფიციური კადრების სიმცირეს.

ბულგარეთში იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელია ციხისა და გამასწორებელი დაწესებულებების მართვაზე. ამ ქვეყანაში არ არის შექმნილი დამოუკიდებელი პრობაციის სამსახური, ხოლო არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებულ ისეთ საპრობაციო ამოცანებს, როგორებიცაა რეაბილიტაციისა და მკურნალობის პროგრამები, შემდგომი მზრუნველობა და გამოსწორება, ასრულებს სხვადასხვა სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანო. ციხის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ციხეებში წარმოებულ სოციალურ

სამუშაოებზე. ციხიდან გათავისუფლებულ არასრულწლოვნებსა და სრულწლოვნებზე შემდგომ მზრუნველობას ახორციელებს ზედამხედველობის კომისია. არასრულწლოვანთა დარღვევებზე რეაგირებისათვის შექმნილია დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოები, როგორებიცაა არასრულწლოვანთა დარღვევების თავიდან აცილების ადგილობრივი კომისიები და არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფისები. ზოგიერთი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ამ ორგანოებთან ერთად, მუშაობს ციხისა და სისხლის სამართლის რეფორმის მიმართულებით პროექტების შემუშავებაში. 2002 წლიდან დაიწყება პრობაციის ცენტრების ჩამოყალიბების სამი პილოტური პროექტი სამ ქალაქში (სოფია, ზლაგოევგრადი და კუსტინდოლი).

ჩეხეთის რესპუბლიკაში პრობაციასა და შუამავლობაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტრო. სისხლის სამართლის პოლიტიკაში პრობაციისა და შუამავლობის სამსახური წარმოადგენს ახალ ორგანოს, რომელიც წარმოიშვა სოციალური სამუშაოებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ურთიერთქმედების შედეგად. ამ ორი დისციპლინის გაერთიანებამ სისხლის სამართლის სისტემაში საფუძველი ჩაუყარა ახალი პროფესიის წარმოქმნას.

ესტონეთის პრობაციის სამსახურის სისტემა წარმოადგენს სტანდარტულ, ცენტრალიზებულ ეროვნულ სტრუქტურას, რომელიც შექმნილია, როგორც შემადგენელი ნაწილი ქვეყნისა და საქალაქო სასამართლოების სისტემისა და მათ საქმიანობაზე პასუხისმგებელი ორგანო არის იუსტიციის სამინისტრო. იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაშია რამდენიმე დეპარტამენტი, რომლებიც იყოფა სამმართველოებად. ამ სამმართველოების ამოცანაა მთავრობის შესაბამისი მიმართულებების კოორდინაცია და განვითარება. სამსახური საქმიანობაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს სასამართლო დეპარტამენტის დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სამმართველო. აღნიშნული სამმართველო უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობას ყოველდღიური პრაქტიკული სახელმძღვანელოთი, აკონტროლებს ზედამხედველობას, ორგანიზებას უწევს ტრენინგებს და სხვა ორგანოებთან ურთიერთობისას წარმოადგენს პრობაციის სამსახურს. ესტონეთში პირველი ინსტანციისა და საქალაქო სასამართლოების დონეზე შექმნილია ჩვიდმეტი პრობაციის ორგანო. იუსტიციის სამინისტრომ უცხოელ ექსპერტებთან ერთად ტრენინგი ჩატარა ოცდათხუთმეტ ოცდაათი წლის განმავლობაში.

უნგრეთში საპრობაციო საქმიანობას ახორციელებს ორი ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობაც დამოკიდებულია სამიზნე ობიექტების ასაკზე. პრობაცია შეიძლება მიესაჯოს 14-დან 18 წლამდე ასაკის პირს, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს წარმოადგენს თოთხმეტი წელი. თუ დანაშაულის ჩადენის მომენტში პირის ასაკი სცილდება 18 წელს, მაშინ პრობაციას ახორციელებს სრულწლოვანთა პრობაციის სამსახური.

ლატვიაში განხილვის საგანს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში პრობაციის სამსახურის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც იქნება ცენტრალური დეპარტამენტი და 26 რეგიონალური სამსახური. ამ სამსახურში პოლიტიკის განვითარებასა და დანერგვაზე პასუხისმგებელი იქნება მრჩეველთა საბჭო.

ლიტვაში ყველა სისხლისსამართლებრივი სასჯელის (გარდა ჯარიმისა) აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს ციხეების დეპარტამენტი. ციხის დეპარტამენტი ზედამხედველობას უწევს რეგიონალურ გამასწორებელ ინსპექტორატებს. ხუთ მსხვილ ქალაქში შექმნილი რეგიონალური ინსპექტორატები ზედამხედველობას უწევენ ადგილობრივ გამასწორებელი ინსპექციების ოფისებს. იმ დროს, როდესაც საპატიმრო სასჯელის მთავარ აღმასრულებელ წარმომადგენს კონტროლი, პრობაციის შემთხვევაში კონტროლი და დახმარება დაბალანსებულია. გამასწორებელი ინსპექციების მთავარ პასუხისმგებლობას წარმოადგენს როგორც სასჯელთა აღსრულება, ისე

ზედამხედველობა და დახმარება ალტერნატიული სანქციების აღსრულებისას. ერთადერთი ორგანო მთელ სისტემაში, რომელსაც შეუძლია განახორციელოს კონტროლი, არის გამასწორებელი ინსპექცია, ხოლო სხვა ორგანიზაციები კონცენტრირებული არიან მსჯავრდებულის სოციალურ დახმარებაზე. ისინი ურთიერთობენ ყველა სახის მსჯავრდებულთან, მათ შორის, არასრულწლოვნებთან. გამასწორებელი ინსპექციებისათვის, მსჯავრდებულთათვის, შესაბამისი სოციალური დახმარების გაწევა პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ სათანადო რესურსი და არ ჰყავთ შესაბამისი თანამშრომლები. მსჯავრდებულებს სულ უფრო მეტ დახმარებას უწევენ მუნიციპალური სოციალური სამსახურები. მსჯავრდებულებს, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხადეს სასჯელი, სოციალური დახმარების ცენტრები უწევენ ისეთივე დახმარებას, როგორსაც სხვა ჯგუფებს. გამასწორებელი ინსპექციები ახორციელებენ არაფორმალურ თანამშრომლობას სოციალური კეთილდღეობის ცენტრებთან. დღესდღეობით მუნიციპალური სოციალური კეთილდღეობის სააგენტოები გამასწორებელ ინსპექციებს აწვდიან ინფორმაციას იმ პირთა ყოფაქცევის შესახებ, რომლებსაც არა აქვთ დაკისრებული ზედამხედველობა.

რუმინეთში პრობაციის სამსახური არის იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეული. ამ ორგანოს მართავს იუსტიციის სამინისტროს სოციალური მზრუნველობისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი. პრობაციის სამსახური ადმინისტრაციული თვალსაზრისით ანგარიშვალდებულია სასამართლოს პრეზიდენტების, ხოლო პროფესიული თვალსაზრისით სოციალური მზრუნველობისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის წინაშე. აღნიშნული დეპარტამენტი განსაზღვრავს სამუშაო მეთოდებს, ავითარებს პოლიტიკას და ადგენს სტანდარტებს. დღესდღეობით ამ სამსახურის შემადგენლობაშია 28 ადგილობრივი სამსახური, რომლებიც ფარავენ ქვეყნის მთელი ტერიტორიის 60%-ს.

დღესდღეობით სლოვენისა არ გააჩნია პრობაციის სამსახური და იგეგმება პილოტური პროექტი პრობაციისა და სხვა ალტერნატიული სანქციების დასაწერად. უნგრეთს არ გააჩნია ნებაყოფლობით დაქირავებულთა გამოყენების პრაქტიკა, თუმცა გასაკეთებელი ძალიან ბევრია. იუსტიციის და სოციალური ურთიერთობების სამინისტროები პასუხისმგებელი არიან როგორც იმ მრჩეველთა საქმიანობაზე, რომლებიც მუშაობენ სოციალურ მუშაკებად, ფსიქოლოგებად და მასწავლებლებად, აგრეთვე იმ მრჩეველთა პასუხისმგებლობების განსაზღვრაზე, რომლებსაც ევალებათ სასჯელგადავადებულების ზედამხედველობა.

6.2 ცენტრალიზებულად ორგანიზებული სახელმწიფო პრობაციის სამსახური

აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში პრობაციის სამსახურები წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებსაც აკონტროლებს ცენტრალური მთავრობა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ ორგანოს მმართველი ორგანო აუცილებლად იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულია.

ბულგარეთში სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე მეთოდოლოგიის განვითარებისა და კვლევების საბჭო წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურას დეპარტამენტს. ამ საბჭოს შემადგენლობაში შედიან იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს, ჯანმრთელობის სამინისტროს, კასაციის უზენაესი სასამართლოს, პროკურატურის, საგამომიებო სამსახურის და ამ დარგში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია დროებით დაკავებული უმცირესობებისა და არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფისების თავშესაფრით დაკმაყოფილებაზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პასუხისმგებელია 8 წლის ზევით ასაკის არასრულწლოვნებისათვის გამასწორებელი სკოლებით უზრუნველყოფაზე. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ზედამხედველობა და სოციალური სამუშაოების წარმოება წარმოადგენს საზოგადოებრივი ზედამხედველების, სოციალური მუშაკებისა და არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფისების ვალდებულებას. არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფისებს მართავს და აკონტროლებს ეროვნული პოლიცია რაიონული ოფისების მეშვეობით. ინსპექტორებს, რომლებიც მუშაობენ არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფისებში, უნდა ჰქონდეთ წარსულში მასწავლებლად მუშაობის სტაჟი. სამსახურში მათს აყვანას ახორციელებს ეროვნული პოლიცია. ამ ორგანოს მუშაობას ზედამხედველობას უწევს პროკურატურა.

ჩეხეთის რესპუბლიკაში პრობაციისა და შუამავლობის სამსახური წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს, ჩართულია სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე და ახორციელებს პრობაციასა და შუამავლობას სასამართლოების, პოლიციისა და პროკურატურისათვის. ზავშვებისა და ახალგაზრდების დაცვის და სოციალური სამსახურები აგრეთვე ახორციელებენ სოციალურ სამუშაოებს. აღნიშნული გულისხმობს სოციალური კურატორების სისტემას, რომლებიც მუშაობენ ადმინისტრაციების რაიონულ ოფისებში და უწევენ დახმარებას ციხიდან ახლად გათავისუფლებულ პირებსა და სოციალურად არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფთ. ამ სამსახურის თანამშრომლებს ზედამხედველობას უწევს შრომისა და სოციალური ურთიერთობების სამინისტრო და ანგარიშვალდებული არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე.

ესტონეთში სისტემა ცენტრალიზებულია. 1998-2001 წლებში, როდესაც შეიქმნა პრობაციის სამსახური, ის პირდაპირ იმართებოდა იუსტიციის სამინისტროს მიერ. 2002 წლიდან პრობაციის სამსახური გადავიდა სასამართლო სისტემის სტრუქტურაში. ვინაიდან დღესდღეობით მიმდინარეობს სასამართლო რეფორმა, სულ უფრო იზრდება იუსტიციის სამინისტროს როლი პრობაციის სამსახურის მართვის საქმეში.

უნგრეთში არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა პრობაციები საქმიანობენ რეგიონალურ დონეებზე და წარმოადგენენ სხვადასხვა სტრუქტურის შემადგენელ ნაწილებს. არასრულწლოვანთა პრობაცია წარმოადგენს ბავშვთა ზედამხედველობის სისტემის შემადგენელ ნაწილს, ხოლო სრულწლოვანთა პრობაცია სასამართლო სისტემისას. სრულწლოვანთა პრობაცია შედის ეროვნული იუსტიციის საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში. სასამართლოების შემადგენლობაში შედის რამდენიმე სამმართველო. მათ შორის ერთ-ერთი არის სისხლის სამართლის სამმართველო, რომლის შემადგენლობაშიც შედის პრობაციის სამსახური.

რუმინეთში პრობაციის სამსახური ადმინისტრაციული თვალსაზრისით ანგარიშვალდებულია სასამართლოს პრეზიდენტის, ხოლო წარმოებული სამუშაოების პროფესიული თვალსაზრისით იუსტიციის სამინისტროს სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის წინაშე. პრობაციის სამსახურები აგრეთვე განთავსებული არიან რაიონულ სასამართლოებში, რომლებიც თავისუფალი არიან თავიანთი ყოველდღიური საქმიანობისას.

6.3 შერეული მოდელები

აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნებისა, პრობაციის ელემენტების დასანერგად თანამშრომლობენ კერძო ორგანიზაციებსა და სხვა ქვეყნებთან.

ბულგარეთში იმ ახალგაზრდას და მისი ოჯახის წევრებს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან გათავისუფლდა გამასწორებელი სკოლიდან, დახმარებას და სოციალურ მხარდაჭერას უწევენ რეგიონალური სოციალური სამსახურების მიერ დანიშნული სოციალური მუშაკები. არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის განათლების მისაღებად მუშაობენ აგრეთვე საზოგადოებრივი ზედამხედველები. ისინი წარმოადგენენ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი კომისიის სტრუქტურულ ერთეულს. ეს ორგანიზაცია შექმნილია მუნიციპალურ ადმინისტრაციაში. ადგილობრივი კომისიის შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი ხელისუფლების ის თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ განათლებისა და ჯანმრთელობის საკითხებზე: პოლიციის ოფიცრები, სოციალური სამსახურის თანამშრომლები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, იურისტები, ექიმები, საზოგადოებაში ცნობილი პირები. მათ ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის მერი. ამ შეხვედრებს ესწრება რაიონის პროკურატურის წარმომადგენელი. მუნიციპალურ საბჭოებში შექმნილია საზედამხედველო კომისიები, რომლებიც ციხის შემდგომ ზრუნავენ იმ მსჯავრდებულებზე, რომლებიც ცხოვრობენ მათს რაიონში. ბულგარეთში 90-იანი წლების ბოლოს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ციხეებში განახორციელა პატიმართა რეაბილიტაციის პროექტები. აღნიშნული პროექტები დაფინანსებულ იქნა ფონდ „ღია საზოგადოება - ბულგარეთის“ და COLPI-ს, DFID-ის, PRI-ს, PHARE-ACCESS-ისა და სხვა ევროგაერთიანების პროგრამების მიერ.

უნგრეთში არასრულწლოვნების და სრულწლოვნების პრობაციის ოფიცრები მუშაობენ სისხლის სამართლის სასამართლოებთან, პროკურატურასთან, ციხეებთან, ადგილობრივ ორგანოებთან, ზავშეთა დაცვის სამსახურებთან, ზავშეთა მზრუნველობის სამსახურებთან, ოჯახის მხარდაჭერის ცენტრებთან, ჯანდაცვის სამსახურებთან და ა. შ. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან დაკავშირებით სრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრები მუშაობენ დასაქმების ცენტრებსა და სამუშაოს მიმცემებთან. პრობაციის საკითხებთან მიმართებით, სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრები მუშაობენ ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან.

ლიტვაში, როგორც წესი, არასამთავრობო ორგანიზაციები კლიენტებს უზრუნველყოფენ უფასო სუკეებით, რჩევებით და ხანდახან საცხოვრებლით. არასრულწლოვნები წარმოადგენენ ყველაზე მტკივნეულ ჯგუფს, რის გამოც ამ მიმართულებით რამდენიმე ორგანიზაცია მუშაობს. კოორდინაცია ზედამხედველ და დახმარების გამწევ ორგანოებს შორის არაფექტურია. მას შემდეგ, რაც გამასწორებელი ინსპექციები გადავიდა ციხის დეპარტამენტის შემადგენლობაში, იმ ორგანოებს შორის, რომლებიც ეხმარებიან ერთსა და იმავე პირებს, თანამშრომლობა უფრო ეფექტური გახდა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, რუმინეთის ყველა რეგიონში შეიქმნება პრობაციის ინფრასტრუქტურა, რომელიც იმუშავებს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. ამ პროცესში ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს არასამთავრობო სექტორის დაფინანსების წყარო. დღესდღეობით უცნობია გადაიხდის თუ არა სახელმწიფო ფულს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გაწეულ საქმიანობაში; იმუშავენ თუ არა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ნებაყოფლობით საფუძველზე და ა. შ. პრობაციის საქმიანობა დაყოფილია რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასა და პრობაციის სამსახურს შორის, რომელთა თანამშრომლობის სტრატეგია დამტკიცებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ. 2000 წლისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელდა 11 პილოტური პროექტი. ამათგან მხოლოდ 4 განხორციელდა ციხეებში.

ყველა ეს პროექტი დაიწყო მინისტრის ბრძანების საფუძველზე და დაფინანსებულ იქნა ფონდ „ღია საზოგადოება რუმინეთის“ მიერ. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა პრობაციის როლი საზოგადოებასთან მიმართებით და ჩამოყალიბდა მკვიდრო პროფესიული კავშირები პრობაციასა და ციხეებს შორის.

6.4 ზოგიერთი ორგანიზაციული დეტალი

საზოგადოებრივი ფენომენის შედარება საერთაშორისო დონეზე წარმოადგენს ძალიან რთულ საქმეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კულტურათა შორის დიდი განსხვავებაა. ამ საკითხში მთავარ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს შედარების კარგი კონცეფცია. ბევრ შემთხვევაში უცნობია, ერთნაირად ესმით თუ არა ეს კონცეფციები ყველა ქვეყანაში და თუ არა, მაშინ რით ასხვავებენ. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს აღმოსავლეთ ევროპის პრობაციის სამსახურებთან მიმართებით (მაგალითად, უცნობია, თუ რას წარმოადგენს ბევრი საქმე, ან რამდენი კაცისგან შედგება სტრუქტურული ერთეული).

იმისათვის, რომ გავაკეთოთ შედარება, თუ რას წარმოადგენს ბევრი საქმე, საჭიროა ვიცოდეთ, თითოეულ ქვეყანაში რა ძალისხმევა არის მიმართული ყოველი ცალკეული საქმისთვის. ანალოგიური მიდგომა საჭირო სტრუქტურული ერთეულების მიმართაც.

6.5 საქმეთა რაოდენობა და სტრუქტურული ერთეულების ზომები

სტრუქტურული ერთეულების სიდიდესთან დაკავშირებით ძალიან ცოტა ინფორმაცია არსებობს, რის გამოც ვერ ხერხდება სრული სურათის ასახვა. ზოგიერთ ქვეყანაში პრობაციის სამსახური ფართოდ არის წარმოდგენილი, ზოგიერთში კი მხოლოდ განვითარების ეტაპზეა და ვერ ფარავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას.

ბულგარეთში არის 12 ციხე სრულწლოვნებისთვის, ერთი არასრულწლოვნებისთვის და 24 ციხის საერთო საცხოვრებელი. ციხის სისტემაში მუშაობს 201 სოციალური მუშაკი, რომელთა შორის 157 სოციალური ინსპექტორია, 30 ფსიქოლოგი; ციხიდან გასვლაში მსჯავრდებულებს დახმარებას უწევს 14 ინსპექტორი. აღნიშნული პირები დანიშნისას გადიან ტრენინგს ციხის სასწავლო ცენტრში, ხოლო სხვა სახის მომზადება ხორციელდება ციხის დეპარტამენტსა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ყველა სოციალურ მუშაკზე გადანაწილებულია 63 პატიმარი.

ჩეხეთის რესპუბლიკაში პრობაციისა და შუამავლობის სამსახური შედგება სათავო ოფისისა და რეგიონალურ სასამართლოებში განთავსებული 74 ცენტრისგან. პრობაციის ოფიცრებს უფლება აქვთ არ განახორციელონ შუამავლობა და ზედამხედველობა ერთდროულად. 2002 წლის იენისისათვის ამ სამსახურში თანამშრომელთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 197 თანამშრომელს (150 ოფიცერი, 36 თანამშემე და 11 სათავო ოფისის თანამშრომელი).

ესტონეთში პირველი ინსტანციის სასამართლოებში შექმნილია 17 პრობაციის დეპარტამენტი, რომელშიც 187 პრობაციის ოფიცერი 7.077 კლიენტს უწევს ზედამხედველობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თითო ოფიცერზე მოდის 38 საქმე, თუმცა საქმეთა რაოდენობა ყველა რეგიონში განსხვავებულია. საქმეთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც ამ სისტემაში არსებობს, 40-45-ია, რაც იძლევა ეფექტური საქმიანობის საშუალებას. პრობაციის დეპარტამენტი აგრეთვე იყენებს ნებაყოფლობით დაქირავებულ პირთა შრომას, თუმცა ამ დროისათვის ასეთი სულ 10 მუშაკია. ყველა

პრობაციის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც პასუხისმგებელია პრობაციის ოფიცერთა და სამდივნოს მუშაობაზე. პრობაციის დეპარტამენტები განთავსებულია ან სასამართლოში, მაგრამ დამოუკიდებელი შესასვლელით, ან სულ სხვა შენობაში.

უნგრეთში 241 პრობაციის ოფიცერია, რომელთა შორის 177 ოფიცერი მუშაობს არასრულწლოვნებთან, 64 კი - სრულწლოვან მსჯავრდებულებთან. არასრულწლოვანთა შემთხვევაში, კანონი ადგენს საქმეთა მაქსიმალურ რაოდენობას 45-ს, რაც იძლევა ნაყოფიერი მუშაობის საშუალებას, ასეთი დათქმა არ არსებობს სრულწლოვანთა საქმეებთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულწლოვნებთან მომუშავე პრობაციის ოფიცერთა საქმეების რაოდენობა ხშირად 400-იდან 600-ს აღწევს, რაც არ იძლევა ნორმალური საქმიანობის საშუალებას.

ლოტვა დაყოფილია 53 მუნიციპალიტეტად და თითოეულ ერთეულში შექმნილია ინსპექციები. რეგიონალური ოფისები, გარდა თავიანთი საქმიანობისა, პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი ინსპექციების საქმიანობაზეც. ამ სამსახურში თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 5 დირექტორს, 5 დირექტორის მოადგილეს, 130 ოფიცერს და 120 ინსპექტორს. თითოეულ ინსპექტორზე მოდის 120 საქმე.

რუმინეთში 2001 წლიდან შეიქმნა 102 პრობაციის საბჭო და დაიყო 28 გუნდად, რომელთა ფუნქციასაც წარმოადგენს 4 ადგილობრივი და ერთი რეგიონალური სასამართლოების გადაწყვეტილების აღსრულება. კანონი არ ადგენს საქმეთა მაქსიმუმს. სამსახურს ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული დირექტორი.

6.6 დაფინანსება

აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში პრობაციის სამსახურებს აფინანსებს სახელმწიფო. ზოგიერთ მათგანს აფინანსებს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო ზოგიერთს - ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. ზოგიერთ ქვეყანაში დაფინანსება ხდება ევროგაერთიანების, ზოგიერთში კი - დამოუკიდებელი წყაროების მიერ.

6.7 ციხეების ხარჯთან მიმართებით პრობაციის ხარჯის შეფარდება

იქ, სადაც არსებობს ინფორმაცია, ნათელია, რომ პრობაცია უფრო იაფია, ვიდრე საპატიმრო სასჯელები.

ბულგარეთში ციხის სამსახურს არ გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი და მას აფინანსებს იუსტიციის სამინისტრო. სხვა ორგანოები, რომლებიც აგრეთვე ჩართული არიან საპრობაციო საქმიანობაში, ფინანსდებიან შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების მიერ.

ჩეხეთის რესპუბლიკის ციხის დეპარტამენტის ბიუჯეტზე არ არსებობს ინფორმაცია. ესტონეთში ყოველი პრობაციონერის ზედამხედველობა თვეში 30 ევრო ჯდება მაშინ, როდესაც პატიმრის შენახვა ამავე პერიოდში 300 ევრო ღირს. პრობაციას აფინანსებს სახელმწიფო და ნათლად ჩანს, თუ რამდენად იაფია საპატიმრო სასჯელებთან მიმართებით.

უნგრეთში პატიმართა რაოდენობა შეადგენს 17.000-ზე მეტს და წელიწადში ერთი პატიმრის ხარჯი 7.495 ევროზე მეტია. ვინაიდან ამ ქვეყანაში წარმოდგენილია ორი პრობაციის სამსახური, რომელთაგან არასრულწლოვნების არის მზრუნველობის ოფისის შემადგენელი ნაწილი, ხოლო სრულწლოვანთა - სასამართლოების, ამიტომ არ არსებობს

ხარჯებით ნაწილის ზუსტი ფინანსური აღრიცხვა. დამოუკიდებელი ბიუჯეტის გარეშე შესაძლებელია მხოლოდ დაახლოებით გამოთვლა.

ლიტვაში, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გამასწორებელი ინსპექციები ზედამხედველობას უწევენ თითქმის იმავე რაოდენობის კლიენტებს, რაც ციხეებში პატიმართა რაოდენობაა, მათ გამოყოფილი აქვთ 24-ჯერ ნაკლები თანხა, ვიდრე ციხის სამსახურს.

რუმინეთში სამსახურის მიერ გაწეული ხარჯი პრობაციონერზე წარმოადგენს 143 ევროს წელიწადში, რა დროსაც პატიმრის შენახვის წლიური ხარჯი 11-ჯერ მეტია და შეადგენს 1.685 ევროს. აღნიშნულმა იკონდენ არა მარტო ის, თუ სად დაიხარჯა მათი დაუდო პრობაციის განვითარებას.

სლოვენიაში სოციალური სამუშაოების ცენტრები ფინანსდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ამ ქვეყანაში არ არსებობს ინფორმაცია საზოგადოებრივი და სხვა შესაბამისი სანქციების ხარჯებით ნაწილის შესახებ. რაც შეეხება პატიმარს, მისი შენახვა სახელმწიფოს უჯდება წელიწადში 2.015 ევრო.

ესტონეთში დიდი ყურადღება ენიჭება შესრულებული სამუშაოს შეფასების მეთოდს, რათა გადასახადის გადამხდელმა იკონდენ არა მარტო ის, თუ სად დაიხარჯა მათი ფული, არამედ ისიც, თუ რა შედეგი იქნა მიღწეული.

6.8 აუდიტი

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პრობაციის სამსახურები ხარჯით ნაწილზე ანგარიშვალდებული არიან იუსტიციის სამინისტროს ან იმ სახელმწიფო ორგანოს წინაშე, რომელიც მათ აფინანსებს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ არ არსებობს აუდიტი, რომელიც მათ საქმიანობას გარედან შეამოწმებს, შიდა სტრუქტურული შემოწმებაც საკმაოდ შკაცრად მიმდინარეობს.

6.9 დაფინანსების პრობლემები

ამ თავში პრობაციის სამსახურების როლისა და წარმოებული სამუშაოების მიმოხილვა ხაზს უსვამს სამსახურების კომპეტენციას არსებული კანონმდებლობის ფარგლებში. ცალკეული თავები ნათლად ასახავს ცალკეულ ქვეყნებში არსებულ ჩავარდნებს კანონის მოთხოვნებსა და რეალურად წარმოებულ საქმიანობას შორის. ხანდახან ეროვნულ კანონმდებლობებში ასახულია ალტერნატიული პროცედურები, სანქციები, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია, რაც უპირატესობას ანიჭებს პრობაციას ფართო სპექტრით, მაგრამ არ იძლევა მათი გამოყენების დეტალურ აღწერას. გარდა ამისა, ორგანიზაციული სტრუქტურა არ არის შესაბამისად განვითარებული და არ იძლევა მათი პრაქტიკული გამოყენების საშუალებას.

ბულგარეთში არსებობს პატიმრობის ალტერნატიული სანქციების სისტემა, მაგრამ სტრუქტურის გაუმართაობა არ იძლევა ამ ზომების გამოყენების საშუალებას. 2002 წლიდან სისხლის სამართლის კოდრექსში ინიცირებული იქნება სასჯელის ახალი ფორმა - პრობაცია, რაც საფუძველს უყრის ახალი სისტემის (პრობაციის) შექმნას, მაგრამ 2003 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ამ სამსახურის დაფინანსება, რაც იმის მანიშნებელია, რომ პრობაციის სამსახური არ შეიქმნება 2004 წლამდე.

ლიტვაში ხაზს უსვამენ, რომ დაფინანსების საკითხი ძალზე საჩოთიროა, გამომდინარე ამ ქვეყნის სუსტი, გარდამავალი ეკონომიკური მდგომარეობიდან (პოსტსაბჭოთაიდან კაპიტალისტურზე) და მოსახლეობას არ აქვს სურვილი ჩართული იყოს ნებაყოფლობით საქმიანობაში მსჯავრდებულებთან. დამოუკიდებლობის პირველი ეტაპის გავლისა და ევროგაერთიანებაში შესვლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ამ ქვეყანაში ძალიან ბევრ დარგში მიმდინარეობს რეფორმა. ეკონომიკური სიძნეელები წარმოშობს პოლიტიკურ არასტაბილურობას, რასაც გავლენა აქვს გამასწორებელ სისტემაში ალტერნატიული სანქციების დანერგვაზე. პატიმართა შენახვისათვის საჭირო რესურსების სიმცირისა და საერთაშორისო მოლოდინის შედეგად ლიტვა ზეწოლას განიცდის იქ დამკვიდრებული მკაცრი სასჯელებისათვის. ლიტვაში გამასწორებელი ინსპექტორატებისათვის არსებული დაფინანსება საკმარისია ძირეული საქმიანობისა და თანამშრომელთა ხელფასებისათვის, მაგრამ ტრენინგების, რესურსებისა და თანამშრომელთა არასაკმარისი რაოდენობა არ იძლევა მსჯავრდებულთათვის შესაბამისი სოციალური დახმარების გაწევის საშუალებას.

უნგრეთში არსებული რესურსების სიმცირე აისახება პრობაციის ოფიცერთა გადატვირთულობაზე (საქმეების რაოდენობა), რაც არ იძლევა საქმიანობის პროფესიონალურად წარმართვის საშუალებას. ხელფასის ოდენობა განსაზღვრულია კანონმდებლობით და მოსამართლეები იღებენ ბიუჯეტის უმეტეს ნაწილს. ხელფასის გადანაწილების სისტემა ანალოგიურია ყველა სასამართლოში.

რუმინეთში არსებული რესურსების სიმცირე ნიშნავს, რომ ციხიდან გათავისუფლებული პატიმრების მხოლოდ მცირე რაოდენობას შეუძლია მიიღოს დახმარება. პრობაციის ეროვნული სამსახურის ჩამოყალიბება ძალიან რთულია, ვინაიდან თანამშრომლები არ არიან შესაბამისად მომზადებული, არ არსებობს საგანმანათლებლო პროგრამები, არ არსებობს გამოცდილება ამ დარგში და არ არიან ექსპერტები. თანამშრომლების საქმიანობა არ არის განსაზღვრული, რაც იწვევს ბევრ გაუგებრობას. პრობაციის ოფიცრები სტატუსით ფაქტობრივად გათანაბრებული არიან კანცელარიის თანამშრომლებთან და მათი ხელფასი ძალიან დაბალია. პრობაციის მრჩეველები თავიანთი კარიერის დასაწყისში იღებენ საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლებს, რის გამოც ხშირად ტოვებენ სამსახურს უკეთესი მოძიების მიზნით.

6.10 რეგისტრაცია და შეფასება

ყველა მოყვანილ ქვეყანაში პრობაციის სამსახურები აწარმოებენ საქმეებს, მაგრამ რეგისტრაციის სისტემის დამაკმაყოფილებლობა ძალიან დაბალია. ამ ქვეყნებში არ არსებობს მაგალითი სისტემისა, სადაც მსჯავრდებული გადის სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა საფეხურს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პრობაციის სამსახურებში კლიენტთა რეგისტრაცია კომპიუტერიზებულია, თუმცა ფორმები ყველგან სხვადასხვანაირია.

ბულგარეთში არსებობს ცენტრალური საინფორმაციო ბაზა, რომელიც ასევე ასრულებს კრიმინალური ჩანაწერების სისტემის როლს და მასში რეგისტრირებულია ყველა მსჯავრდებული პირი. ყველა პატიმარზე შექმნილია დოსიე, რომელიც რეგულარულად ახლდება. ამ ინფორმაციას იყენებენ სოციალური მუშაკები, როდესაც ადგენენ სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას და რისკის განსაზღვრას, აზრადებენ მოხსენებას პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე, შეწყალებაზე ან რევიზის შეცვლაზე. ერთ-ერთი კრიტერიუმში, რომლის საფუძველზეც ხდება სოციალურ მუშაკთა სამსახურში აყვანა, არის პატიმართა დოსიეებისათვის მოხსენების მომზადების ხარისხი.

ჩვენთვის რესპუბლიკაში პრობაციისა და შუამავლობის ცენტრები აწარმოებენ დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს კლიენტთა შესახებ. სტატისტიკა საქმეთა რაოდენობისა და ამოცანების შესახებ ინახება ელექტრონული ფორმით, კომპიუტერში. მომავალში დაგეგმილი მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოების საინფორმაციო ბაზებს შორის შესაბამისი კავშირის დამყარებას, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის ჯეროვან გაცვლას. პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ცდილობს დაამყაროს საინფორმაციო კავშირები სასამართლოებთან, ციხის სამსახურსა და სხვა სოციალურ სამსახურებთან.

ესტონეთში პრობაციის დეპარტამენტი საქალაქურ ხსნის ყველა პრობაციონერზე, რომელთა შესახებაც სასამართლო მიიღებს ბრძანების ასლს და ინფორმაცია მსჯავრდებულის შესახებ შეაქვს პრობაციის ჟურნალში.

უმჯრეთში ძირითადი ბაზა (პრობაციონერთა რაოდენობა; დამთავრებული, მიმდინარე და ახალი საქმეები) შედგება თვითური და წლიური სტატისტიკის საფუძველზე. ამ ინფორმაციას არასრულწლოვნების შესახებ მეურვეობის ოფისი გამოდგენს ადგილობრივ ორგანოებს, ხოლო სრულწლოვნების შესახებ ციხის მოსამართლე იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის ეროვნულ საბჭოს. ვინაიდან არ წარმოებს დეტალური სტატისტიკა, შეუძლებელია ზუსტი ინფორმაციის მოპოვება საპრობაციო საქმიანობის შესახებ. რადგან აღნიშნული ბაზა არ არის დეტალური, მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ აღრიცხვისათვის და არა რეალური შეფასებისა და განვითარების პოლიტიკის დაგეგმვისათვის. ინფორმაციის მოპოვება ამ ბაზიდან საკმაოდ ძნელია და მკვლევრებს, მხოლოდ მცირე გამოწვევის გარდა, არც აინტერესებთ ეს საგანი.

ლიტვაში ინფორმაციის მოპოვება საქმეთა რაოდენობისა და შესრულების შესახებ ადვილია, მაგრამ არ წარმოადგენს დიდი ინტერესის სფეროს. გამასწორებელი ინსპექტორები ამზადებენ კვარტალურ მოხსენებებს მათი საქმიანობის შესახებ, რომელიც ასახავს პოულობს წლიურ მოხსენებაში. ინფორმაცია ინახება აგრეთვე გამასწორებელი ინსპექტორების მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად მიღებულ რეზულტატზე. გამასწორებელი ინსპექტორატების ერთ-ერთი ფუნქციაა მსჯავრდებულთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შენახვა. გამასწორებელი ინსპექტორები ინახავენ ინფორმაციას მისჯილთა ადგილმდებარეობისა და რაოდენობის შესახებ. ეს ინფორმაცია გამოიყენება არა მარტო სასჯელის ეფექტურად აღსრულებისათვის, არამედ აგრეთვე სტრუქტურის განსაზღვრისა და ორგანიზაციის ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის. ეს ინფორმაცია აგრეთვე შესაძლოა გამოყენებული იყოს პოლიციის მიერ ანალიზისათვის. ქვეყანაში არ არსებობს კომპიუტერიზებული საინფორმაციო ბაზა. გამასწორებელი ინსპექტორების მიერ წარმოებული საქმიანობის შესახებ ყველაზე ნაყოფიერი კვლევა ჩაატარა მუშა ჯგუფმა პრობაციის კონცეფციის შექმნისას, რომელიც საქმიანობდა ფონდ „ღია საზოგადოება ლიტვის“ ეგიდით.

რუმინეთში მიიჩნევენ, რომ ინფორმაციის ეროვნული სისტემა საჭიროა პრობაციის საქმიანობის ეფექტური მონიტორინგისათვის. კომპიუტერიზებული სისტემა გამოიყენება თანამშრომელთა და კლიენტთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზისათვის. ყოველი თვის ბოლოს იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო ბაზა ახლდება, რათა ყველას ეცნობოს ახალი გადაწყვეტილებების შესახებ. ყველა პრობაციონერზე შექმნილია ცალკეული საქალაქი, რომლის მიზანიც არის თვალსაჩინოება წარმოებული საზედამხებდებლო საქმიანობისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებისა. პარალელურად მიმდინარეობს კომპიუტერიზებული სისტემის დამონტაჟება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მრავალი სახის სტატისტიკური ანალიზის მოპოვება. ამ სისტემის მიზანია პრობაციის მიერ წარმოებული საქმიანობის შესახებ ხელმძღვანელობის, საზოგადოებისა და ისეთი პარტნიორი ორგანიზაციების ინფორმირება,

როგორებიც არიან სასამართლო და ადგილობრივი ორგანოები. იუსტიციის სამინისტრო პერიოდულად აქვეყნებს სტატისტიკას საქმეთა რაოდენობის შესახებ. იუსტიციის სამინისტროს ექსპერიმენტულ პერიოდში დანიშნული ჰყავდა ინსპექტორები, რომლებსაც ევალებოდათ პრობაციის საქმიანობის შეფასება, რათა მომხდარიყო რუმინეთისთვის პრობაციის შესაბამისი მოდელის დადგენა. ინსპექტორების მეორე მიზანი იყო პროექტების განვითარების შეფასება. რუმინეთში ჯერ არ მომხდარა მთლიანად პრობაციის სისტემის შეფასება.

სლოვენიაში გენერალური პროკურატურის ოფისი ინფორმაციას აქვეყნებს წლიური მოხსენების დროს. ციხის ეროვნული ადმინისტრაცია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს თავის წლიურ მოხსენებაში. არ არსებობს ეროვნული სტატისტიკური ინფორმაცია წინასწარი გამოძიების პროცესში ალტერნატიული სანქციების გამოყენების შესახებ. საჭიროა შეიქმნას ეროვნული სტატისტიკის სისტემა, რომელიც თავს მოუყრის და ასახავს სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ალტერნატიული სანქციების გამოყენების ოდენობას. სლოვენიაში პირადი ინფორმაციის გამოყენება დაცულია კანონით. იმაში დასარწმუნებლად, რომ სისხლის სამართლის სანქციების აღსრულება სამართლებრივია, ციხეებმა უნდა შეაგროვონ, აწარმოონ და შეინახონ ინფორმაცია პატიმართა შესახებ. იუსტიციის სამინისტრო დებულებით ადგენს ინფორმაციის შენახვის წესს. კანონი დიდ ყურადღებას აქცევს პირადი ინფორმაციის დაცულობას და კრძალავს მის არასანქცირებულ გამოყენებას. პირად ინფორმაციაზე დაშვების უფლება შეიძლება მიეცეთ: საინფორმაციო ბაზის ადმინისტრატორს, პირს, რომელსაც ეს უფლება მინიჭებული აქვს ადმინისტრატორის მიერ, პირს, რომელსაც ევალება ციხეების ფუნქციონირების ზედამხედველობა, ან პირს, რომლის შესახებაც არის ეს ინფორმაცია.

ამოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში პრობაციის სამსახურები აწვდიან წლიურ ან კვარტალურ მოხსენებას იუსტიციის სამინისტროს, რომელთა გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია სამინისტრო.

6.11 კლიენტების შეხედულებები და საზოგადოებრივი აზრი

ესტონეთში პრობაციის სისტემა ნაკლებად არის შესწავლილი. დღესდღეობით არ ჩატარებულა კვლევა პრობაციის კლიენტების შეხედულებებისა და ქცევის შესახებ. სოციალური ფაკულტეტის სტუდენტები ახლა იჩენენ ინტერესს ამ მიმართულებით და პირველი კვლევა 2003 წელს გამოქვეყნდება.

უნგრეთში პრობაციის სამსახური არასოდეს ყოფილა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საგანი. დიდი ორგანიზაციები (სასამართლო) ხშირად ატარებენ სხვადასხვა სარეკლამო კამპანიას, ეწევიან PR-პოლიტიკას, გაწეული საქმიანობის აფიშირებას, მაგრამ პრობაციის საკითხები და კლიენტთა საჭიროებები არასოდეს განხილულა.

ლიტვაში არ მომხდარა პრობაციის/სოციალური საქმიანობის შესახებ კლიენტთა შეხედულებების ფართო შესწავლა ან გამოკვლევა. ზოგიერთი ნებაყოფლობითი ორგანიზაცია მოხსენებებში წერს, რომ კლიენტები არ არიან კმაყოფილი სოციალური დახმარებით, ასევე არ გამოკვლეულა კლიენტთა საჭიროებები; ერთადერთი დახმარება, რომელსაც ისინი ითხოვენ, არის მატერიალური/ფინანსური. ლიტვის პრობაციის კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფი ვარაუდობს, აწარმოოს საზოგადოებრივი ურთიერთობების კამპანიები. მათ უნდათ, რომ წარმოაჩინონ არა მხოლოდ პრობაციის უპირატესობანი პატიმრობასთან მიმართებით, არამედ აჩვენონ კლიენტთა მიერ ნებაყოფლობით გაკეთებული ისეთი დადებითი საქმეებიც, როგორებიც

არის, მაგალითად: ქალაქში აღდგენითი სამუშაოები, სამეზობლო გარემოს გაუმჯობესება და ა. შ.

რუმინეთში ინსპექტორთა მოხსენებები და სასამართლოს პრეზიდენტების მიერ წარმოებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ მოსამართლეთა განწყობა პრობაციის მიმართ დადებითია. გამოკვლევა აჩვენებს, რომ სასამართლოს პრეზიდენტების 94%-ის აზრით, კანონი უნდა შეიცვალოს და საზოგადოებრივ სანქციებს მიეცეს მეტი გამოყენება. პრობაციის სამსახური წარმოჩენისათვის აწარმოებს ისეთ აქტივებს, როგორებიც არის: პრესკონფერენციები, ბროშურები, პრეზენტაციები სხვადასხვა კონფერენციაზე და ა. შ.

სლოვენიაში საზოგადოებრივი აზრის ან კლიენტთა შეხედულებების გამოკვლევა არ ხდება. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს კვლევა ციხეებში არსებული სოციალური ფონის შესასწავლად. უკანასკნელი წლების მანძილზე საზოგადოებრივი აზრი მსჯავრდებულთა მიმართ გამკაცრებულია.

მთელ რიგ ქვეყნებში სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ აზრს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრობაციის სამსახურის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოხდება ალტერნატიული სასჯელების იდეის მიწოდება საზოგადოებისათვის. მასმედია ინტერესი კრიმინალის მიმართ გაზრდილია. ესტონეთში იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს PR-ის წარმოებისას წარმოადგენს პრობაციის სისტემის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოების ფართო მასებისათვის. ლიტვაში აღნიშნავენ, რომ მთავრობა დაკავებულია ეკონომიკური ზრდის ტენდენციით და ვინაიდან საზოგადოებრივი აზრი მსჯავრდებულთა მიმართ უარყოფითია, გამასწორებელი სამსახური ვერ ახერხებს შესაბამისი დაფინანსების მიღებას. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ გამოსწორებისათვის ეფექტური და დადამიანური მეთოდების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კერძო სექტორის ჩართვით; აუცილებელი იქნება ნებაყოფლობითი სექტორის მხარდაჭერაც.

7. პრობაციონერთა უფლებები

პრობაციის სამსახურის კლიენტის სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონვენციებითა და ეროვნული კონსტიტუციით. იქ, სადაც ხდება სისხლის სამართლის პროცესის ინიცირება, შეიძლება შეიზღუდოს მსჯავრდებულის ფუნდამენტური ადამიანის უფლებები. შეზღუდვები არ შეიძლება დაწესდეს, სანამ პიროვნებას არ მიეცემა კანონით დადგენილი უფლებამოსილება და თუ პირი მიიჩნევა, რომ ირღვევა მისი უფლებები - შესაბამისი სამართლებრივი დახმარება.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულის უფლებები ირღვევა სისხლისსამართლებრივი სანქციებით ან პროცესუალური ნორმებით, პიროვნების სამართლებრივი სტატუსის შედეგები განსაზღვრულია შესაბამისი სამართლებრივი ნორმით. აღნიშნული ასევე ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა საქმეში ჩართული არიან პრობაციის სამსახურები. თუ პიროვნება მიიჩნევა, რომ მისი უფლებები დაირღვა პრობაციის სამსახურის მიერ, ასეთ შემთხვევაში მისი უფლება არანაირად არ არის დაცული სამართლებრივი ან პენიტენციალური წესდებების მიერ. ასეთი ტიპის უწყსდებები, როგორც წესი, არეგულირებენ პენიტენციალური სისტემის თანამშრომლის მიერ პატიმართა უფლებების დარღვევას და მასში არაფერია ნათქვამი პრობაციის სამსახურზე. აღნიშნული კი გამომდინარეობს იქიდან, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში საზოგადოებრივ სანქციებს და ასეთი სახის სასჯელმისილი პირს ექცევა მცირე ყურადღება.

ზოგიერთ შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს, ისევე როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც მიიჩნევა, რომ მისი უფლებები დაირღვა პრობაციის სამსახურის

მიერ, შეუძლია მიმართოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის მოსამართლეს, პარლამენტის წევრს, ომბუდსმენს (ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, რუმინეთი) ან სპეციალურ ადამიანის უფლებების დამცველ ომბუდსმენს (სლოვენია). მაგალითად, უნგრეთში ომბუდსმენს ყოველთვის არა აქვს უფლება გამოიძიოს საქმე, თუ პირი არის სასამართლო სისტემის წევრი. აქედან გამომდინარეობს, რომ უნგრეთში ომბუდსმენს შეუძლია გამოიძიოს მხოლოდ ისეთი საჩივრები, რომლებიც შეეხება არასრულწლოვნებს და ვერ ჩაერევა, თუ საქმე ეხება სრულწლოვნებს. ეს პროცედურები პრობაციის სამსახურის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედობებისას ითვალისწინებს მხოლოდ მათ მცირე გამოსწორებას. ამან შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობა ან პრობაციის სამსახურის მიმართ კლიენტის კომპენსაციის პასუხისმგებლობა.

პრობაციის კლიენტებს უფლება აქვთ უკმაყოფილება გამოთქვან პირდაპირ პრობაციის ოფიცერთან და თუ ვერ მიაღწევენ შესაბამის შედეგს, მიმართონ ოფიცრის ხელმძღვანელობას ან იუსტიციის მინისტრს (მაგალითად, ბულგარეთში, ლიტვასა და რუმინეთში). ასეთი ტიპის არაფორმალურმა საჩივრებმა შეიძლება არ გამოიღოს შესაბამისი შედეგი და არ იქნეს სერიოზულად განხილული. არსებობს კიდევ ერთი, არასამთავრობო სექტორისათვის მიმართვის საშუალება, თუ მათ აკისრიათ მოვალეობა აწარმოონ ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი ციხეებსა და პრობაციაში (რუმინეთი).

უმრავლეს ქვეყანაში პრობაციის კლიენტთა უფლებები არ არის ნათლად განსაზღვრული და ძირითადად მათ არაფორმალური სტატუსი აქვთ. აღნიშნული ასევე ასახავს იმ ფაქტს, რომ არ არსებობს დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც განიხილავს პრობაციონერთა საჩივრებს პრობაციის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ეს საჩივრები შეიძლება იყოს ყველა ტიპის, კერძოდ: გამოცანების სიხშირე, უკმაყოფილება დაკისრებულ ზედამხედველობაზე, პრობაციის ოფიცრის შეცვლა, კონფიდენციალურობა, პირადი საქმის შენახვის არასათანადოდ დაცვა, ყოველდღიური კონტაქტი, პრობაციის ოფიცრის საქციელი და მიღებული გადაწყვეტილებები და ა. შ. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ინგლისი, უელსი, ჰოლანდია, ნორვეგია, შოტლანდია და შვედეთი, შემუშავებულ იქნა სპეციალური პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთი ტიპის საჩივრების დამოუკიდებელ და ობიექტურ განხილვას. მაგალითად, ესტონეთში პრობაციონერებს უფლება აქვთ პრობაციის ოფიცერთა საქციელზე ან გადაწყვეტილებაზე საჩივრით მიმართონ ზემდგომ სასამართლოს. საჩივრის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებისას სასამართლოს შეუძლია გამოსცეს დირექტივა ან ბრძანება მიყენებული ზარალის კომპენსაციის შესახებ. მხარეებს უფლება აქვთ აგრეთვე მიმართონ სააპელაციო სასამართლოს. ბულგარეთში საზოგადოებრივ სანქციებზე შეფარდებულ პრობაციონერთა უფლებები ასახულია ახალ კანონში სასჯელთა აღსრულების შესახებ, რომელსაც პარლამენტი, სავარაუდოდ, 2002 წელს მიიღებს.

8. არსებული და მომავალი მიღწევები

უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოხდა დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები, რაც სისხლის სამართლის სისტემაზეც აისახა. დღესდღეობით ეს ქვეყნები ხასიათდება მაღალი დანაშაულებრივი მაჩვენებლებით და ზედმეტად გადატვირთული სასამართლოებითა და ციხით. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ყველამ დაიწყო პრობაციის სისტემის შექმნა; ზოგმა უკეთეს შედეგს მიაღწია და ზოგმა ნაკლებს. ყველა ამ ქვეყანას სურვილი ჰქონდა შეექმნა ეფექტური პრობაციის

სამსახური, თუმცა ეს საკმაოდ ძნელი მისაღწევია რესურსების სიმცირის, კვალიფიცირებული თანამშრომლების, შესაბამისი ტრენინგისა და ხშირად ოფისების უქონლობის გამო.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელი წლების მანძილზე მიღწეული პროგრესი ძალზე შთამბეჭდავია. თუ შევადარებთ, რამდენად ნელა მიიწევენ წინ დასავლეთევროპული ქვეყნები, ალბათ, უახლოეს მომავალში ბევრი რამის შესწავლა შესაძლებელი იქნება აღმოსავლეთევროპული ქვეყნებისაგან.

2002 წლის ბოლოს ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსში შევა ცვლილებები და დამკვიდრდება პრობაცია, როგორც სასჯელის ახალი ფორმა, რაც საფუძველს დაუდებს პრობაციის სისტემის შექმნას. ვინაიდან 2002 წელს დაგეგმილია პრობაციის ცენტრის გახსნა ქ. ბლაგოვეგრადში, ხოლო 2003 წლის ბიუჯეტში საერთოდ არ არის გათვალისწინებული ამ სისტემის დაფინანსება, რეალურად პრობაციის სამსახური ფუნქციონირებას დაიწყებს 2004 წლიდან. აღნიშნულის შედეგად განვითარდება ზედამხედველობა გათავისუფლების შემდეგ და ისეთი ალტერნატიული სასჯელების ფორმები, როგორებიც არის პირობითი მსჯავრება და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.

ჩებეთის რესპუბლიკაში პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია როგორც სისხლის სამართლის სისტემის, ასევე სოციალური სამსახურების შემდგომ რეფორმაზე. იმისათვის, რომ მოხდეს ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება ალტერნატიული სასჯელებისა და ვალდებულებების მისაღებად, საჭიროა მოხდეს ჰარმონიზაცია თავთავიანთი საქმიანობის განხორციელებისას პრობაციისა და შუამავლობის სამსახურსა და პოლიციას, სახელმწიფო დამცველსა და სასამართლოებს შორის. ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის სამართლებრივ სისტემაში ინტეგრაციისათვის. ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე თანამშრომლობა იმ ტიპის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, რომლებიც საქმიანობენ სოციალურ სფეროში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ნებაყოფლობითი ორგანიზაციების ჩართვა სასამართლო შუამავლობებში და შუამავალი სამსახურების ვალდებულებების გაზრდა. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურს საქმიანობა ახალი დაწყებული აქვს, მაგრამ დადებითი ნიშნები უკვე არსებობს, რაც აისახა ციხეში პატიმართა რაოდენობის შემცირებაში.

2002 წლის სექტემბერში ესტონეთში ძალაში შევა კანონი, რომლის შედეგადაც გაიზრდება ალტერნატიული სანქციების გამოყენების საშუალება. 2003 წლის სექტემბრიდან ძალაში შევა ახალი სისხლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული საკითხების დარეგულირებას. უახლოეს პერიოდში პრობაციის სისტემაში დაგეგმილია ბევრი ცვლილება როგორც სამართლებრივი თვალსაზრისით, ისე ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი პრობაციის ოფიცრის საქმიანობის შეფასებაა, ვინაიდან ამის მიღწევის შემთხვევაში სისტემა გამართულად იმუშავებს. კომპიუტერული სისტემები კარგად არის განვითარებული და იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს.

უნგრეთში 1996 წელს იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა ექსპერტთა კომიტეტი, რომლის მიზანიც იყო განეხილა არსებული კანონი პატიმრობის შესახებ, მოეზადებინა კანონის აღსრულების ახალი აქტი, რომელშიც უფრო ფართოდ იქნებოდა გათვალისწინებული საზოგადოებრივი სანქციები და ნორმები. 2001 წელს შეიქმნა ახალი კოდიფიკაციის კომისია, რომელსაც უნდა ემუშავა ახალ სისხლის სამართლის კოდექსზე და გაეთვალისწინებინა პატიმრობის ალტერნატიული სანქციები. დამნაშაულის მსხვერპლთა პოლიციები უფრო გაუმჯობესებული იქნება ახალ სისხლის საპროცესო აქტში, რომელიც ძალაში შევა 2003 წლის 1 იანვრიდან. პრობაციის სისტემის გაუმჯობესებისათვის იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა პრობაციის სამსახურის ძირეული ცვლილებები.

ლატვიაში პრობაციის სამსახურის განვითარება ძალიან ადრეულ სტადიაშია, მაგრამ აქვს პოტენციალი ჩამოყალიბდეს უფრო ფართო მყარ სისტემად, რომლის ფუნქციაც იქნება კოორდინაციის უზრუნველყოფა ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებსა და არასამთავრობო სექტორს შორის.

ლიტვაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი 2003 წლის იანვრიდან, როდესაც ძალაში შევა ახალი კოდექსები. 2002 წლის ზაფხულში მოსალოდნელია, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცდეს პრობაციის სამსახურის კონცეფცია. მნიშვნელოვანია, რომ ლიტვის პრობაციის სამსახურის კონცეფცია, რომელიც განვიანსებელი იყო ღია საზოგადოების მიერ, შემომუშავებს იუსტიციის სამინისტროს. ეს შესაძლებლობას მისცემს მთავრობას გამოიყენოს არსებული სტრუქტურა და აღჭურვოს იგი ახალი რესურსებითა და ფუნქციებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილება იქნება გამასწორებელი ინსპექტორატის დეცენტრალიზაცია. ამავე დროს იკვეთება ნებაყოფლობითი სექტორის ჩართულობის ზრდა: იურიდიულმა უნივერსიტეტმა დაიწყო მომზადება სოციალური მუშაკებისა, რომლებიც სპეციალიზდებიან გამოსწორებასა და განსაკუთრებით საზოგადოებრივი სანქციების ზედამხედველობაში. მიმდინარეობს ხანგრძლივი თანამშრომლობა კანდასა და შვედეთთან თანამშრომელთა ტრენინგის მიმართულებით. რუმინეთში სიახლეების აღწერა პრობაციის თვალსაზრისით ძალიან რთულია, ვინაიდან გადაწყვეტილებების მიღება დამოკიდებულია სხვადასხვა ძალებზე. 2002 წლის ახალმა კანონმა წარმოაჩინა ორი ახალი ელემენტი პრობაციისათვის. პირველი არის ის, რომ პრობაციამ ასევე უნდა იმუშაოს პროკურატურასთან; აღნიშნული წარმოადგენს ექსპერიმენტს და ინიცირებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ. ეს პროექტი ხორციელდება ორ ადგილას. მეორე ახალ ელემენტს წარმოადგენს ის, რომ პრობაციამ უნდა იმუშაოს აგრეთვე პირობით ვადამდე გათავისუფლებულებთან, თუ კი მათი მხრიდან იქნება მოთხოვნა. არსებობს კიდევ რამდენიმე ინიციატივა, რომ ციხის შემდგომ მზრუნველობისას პრობაციის დეპარტამენტმა და ციხეების გენერალურმა სამმართველომ იმუშაონ ერთობლივად. იმედია, რომ უახლოეს პერიოდში ამ ორ უწყებას შორის კავშირი უფრო გამყარდება. ახალი სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის საპროცესო კოდექსის თანახმად, რომელიც ძალაში შევა 2003 წელს, სასამართლოებს მისცემს ალტერნატიული სასჯელების გამოყენების მეტ შესაძლებლობას.

სლოვენიას, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ გააჩნია პრობაციის სამსახური, კანონმდებლობაში უკვე გათვალისწინებული აქვს ალტერნატიული სასჯელები, თუმცა არ ხდება მათი პრაქტიკაში დანერგვა. ეს სერიოზულ სისუსტეს წარმოადგენს. აუცილებელია აგრეთვე ისეთი ახალი ნორმების დანერგვა, როგორებიცაა მკურნალობის ბრძანება, რაც ნარკომანებსა და ალკოჰოლიკებს პატიმრობის მკურნალობით ჩანაცვლების საშუალებას მისცემს. მომავალში სლოვენიას ალტერნატიული სანქციების აღსრულებისათვის ესაჭიროება ორგანიზაციული და პროფესიონალური სტრუქტურის განვითარება. ევროპის ქვეყნებით ასეთი ტიპის ძალიან ბევრი სტრუქტურა არსებობს. ეფექტური სტრუქტურის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს ალტერნატიული სანქციების გამოყენების საშუალებას აძლევს მოსამართლეებს. ალტერნატიულ სანქციებთან მიმართებით საჭიროა ტრენინგების ჩატარება, როგორც მოსამართლეებისათვის, აგრეთვე პროცესის სხვა მონაწილეებისათვის. ალტერნატიული სანქციების დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრი და პოლიტიკური მხარდაჭერა.

მომდევნო თავებში ასახულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრობაციის სისტემების განვითარების სხვადასხვა ეტაპი, განსხვავებები და შესაბამისობები. ეს არის „ახალგაზრდა ახალი“ განვითარებები „ძველ“ ქვეყნებში, რომელსაც თან სდევს მოსალოდნელი პრობლემები და სიმნელები, მაგრამ სავე არიან ახალგაზრდული ენთუზიაზმით, ენერჯითა და მონდომებით.

თავი 2

ბულგარეთი

დანიელ სტოიანოვი

ძირითადი ინფორმაცია ბულგარეთის შესახებ და პრობაცია/სოციალური სამსახურის სისტემის ისტორიული განვითარება

1.1 ეკონომიკური და დემოგრაფიული სიტუაცია

ბულგარეთის რესპუბლიკა მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთით. მისი ტერიტორია შეადგენს 110.994 კვადრატულ კილომეტრს. ჩრდილოეთით ბულგარეთს ესაზღვრება რუმინეთი, სამხრეთით თურქეთი და საბერძნეთი, დასავლეთით - მაკედონია და აღმოსავლეთით შავი ზღვა. ბულგარეთის მოსახლეობა შეადგენს 7.973.671 კაცს. ქვეყანაში არის სამი დიდი რელიგიური ჯგუფი: მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც მოსახლეობის 85% არიან, მუსულმანები - 13% და კათოლიკები - 1%. დედაქალაქია სოფია, რომლის მოსახლეობაც შეადგენს 1.173.811 კაცს. რამდენიმე დიდი ქალაქია: პლოვდივი, ბურგასი, ვარნა და როუსე. ოფიციალური ენაა ბულგარული, ანბანი - კირილიცა.

უმუშევრობის დონე 2001 წლის მონაცემებით შეადგენს 19.5%. ამავე წელს დასაქმებულთა 39.5% დაკავებული იყო სახელმწიფო სექტორში, ხოლო 60.3% - კერძოში. 1.5 მილიონი ადამიანი, დაახლოებით 58%, დასაქმებული იყო მომსახურების სფეროში, 858.300 (32.7%) - ინდუსტრიაში და 225.300 (8.6%) - სოფლის მეურნეობაში. მოსახლეობის მთავარ შემოსავალს შეადგენს ხელფასი (39%) და პენსია (21.4%).

1.2 პოლიტიკური მიღწევები და სახელმწიფო სტრუქტურა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბულგარეთი გახდა კომუნისტური ქვეყანა და მოექცა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის ქვეშ. 1946 წლის რეფერენდუმის შემდეგ ბულგარეთი გამოცხადდა რესპუბლიკად. 1989 წლიდან, როდესაც ხელისუფლებაში ჯერ კიდევ კომუნისტური პარტია იყო, დაიწყო დემოკრატიული ცვლილებები. 1990 წელს ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები და 1991 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია. 1991 წელს ბულგარეთი გახდა ევროსაბჭოს წევრი, 1995 წელს - ევროგაერთიანების ასოცირებული წევრი. 1995 წელს ბულგარეთმა მოითხოვა ევროგაერთიანების სრული წევრობა და 1999 წლის დეკემბერს იგი მიწვეულ იქნა ამ საკითხის დასარეგულირებელ მოლაპარაკებებში.

1991 წლის 12 ივლისს მიღებულმა ბულგარეთის კონსტიტუციამ ქვეყანა გამოაცხადა რესპუბლიკად, საპარლამენტო მმართველობის სისტემით, სადაც არის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება.

ბულგარეთის პრეზიდენტი ირჩევა პირდაპირი არჩევის წესით 5 წლით და მისი არჩევა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. პრეზიდენტის ოფისს აქვს ლიმიტირებული უფლებები; მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის ვეტოს უფლება. პრეზიდენტს უფლება აქვს პარლამენტს დაუბრუნოს მიღებული კანონი, მაგრამ მას ერთი და იმავე კანონზე ვეტოს გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ. პრეზიდენტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან უფლებას წარმოადგენს შეწყალება. ბულგარეთში უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა 2001 წლის 18 ნოემბერს. პრეზიდენტად არჩეულ იქნა გიორგი პარანოვი და ვიცე-პრეზიდენტად - გენერალი ანგელ მარინი.

საკანონმდებლო ხელისუფლება კონცენტრირებულია ეროვნულ ასამბლეაში, რომელიც შედგება პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით 4 წლის ვადით არჩეული პარლამენტის 240 წევრისაგან. უკანასკნელი არჩევნები ჩატარდა 2001 წლის 17 ივნისს და არჩეულ იქნენ დემუტატები ოთხი პარტიიდან, კერძოდ: ეროვნულმა მოძრაობამ „სიმეონ მე-2-მ“ მოიპოვა 120 ადგილი, გაერთიანებულმა დემოკრატიულმა ძალებმა - 51 ადგილი, კოალიციამ ბულგარეთისათვის - 48 და მოძრაობამ უფლებებისა და თავისუფლებებისათვის - 21 ადგილი.

მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, რომელიც ბულგარეთში წარმოადგენს მთავარ აღმასრულებელ ორგანოს. მას ირჩევენ ეროვნულ ასამბლეაზე ოთხი წლის ვადით და იგი პასუხისმგებელია მინისტრთა კაბინეტის წარდგენაზე. მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელია კანონპროექტების წარდგენაზე, განხილვასა და დამტკიცებაზე ეროვნული ასამბლეის წინაშე, სადაც ხდება კანონების მიღება.

აღმასრულებელი ორგანოს ცენტრალურ ორგანოებს ქმნიან: მინისტრთა კაბინეტი, მინისტრები და მინისტრის მოადგილეები, ხოლო რეგიონალურ დონეზე მუნიციპალიტეტები და მისი საბჭოები.

1.3 პრობაციისა და სოციალური სამუშაოების სისტემის ისტორიული განვითარება

1.3.1 ადრეული ისტორია

ბულგარეთში არ არსებობს პრობაციის სამსახური, როგორც სპეციალიზებული სტრუქტურა. ამ ქვეყანაში ალტერნატიული სანქციები და პრობაცია არსებობდა მრავალი წლის განმავლობაში და დღესაც ასეთი სახის ქმედობები, განსაკუთრებით კი სოციალური სამუშაოები, პატიმრებთან ძალიან კარგად არის განვითარებული.

მე-19 საუკუნის ბოლოს, 500-წლიანი თურქული მმართველობის შემდეგ, როდესაც ბულგარეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, შეიქმნა ბულგარეთის ეროვნული კანონმდებლობა და მიღებულ იქნა ციხის კანონები. ამ კანონის თანახმად შეიქმნა პატიმართა მიმართ ადამიანური მოპყრობისა და სოციალური სამუშაოების საფუძვლები. ბულგარეთი იყო ერთ-ერთი იმ ევროპულ ქვეყანათაგანი, რომელმაც დანერგა პირობითი მსჯავრი. ეს კანონი ძალაში შევიდა 1905 წელს და გამოიყენებოდა იმ პირობა მიმართ, რომლებმაც დანაშაული პირველად ჩაიდინეს და მიესაჯათ პატიმრობის ერთ წელზე ნაკლები. პირობით ვადამდე გათავისუფლება გათვალისწინებული იყო ბულგარეთის პირველ სისხლის სამართლის კოდექსში 1896 წელს, ხოლო დებულებები ძალაში შევიდა 1904 წელს. კანონი პირობითი მსჯავრის შესახებ მიღებულ იქნა 1905 წლის 31 დეკემბერს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ბულგარეთი საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ იყო, პატიმრობის ალტერნატიული სასჯელები და პრობაცია გამოიყენებოდა ბულგარეთის სისხლისსამართლებრივ პრაქტიკაში. იმ დროს ეს ნორმები არ იყო კარგად განვითარებული და მცირედი სახეცვლილებით კვლავ არსებობს თანამედროვე პრაქტიკაში.

1.3.2 . პრობაციის ზომები 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსში

ბულგარეთის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსში პრობაციის ზომები ეხებოდა სრულწლოვან დანაშაულის ჩამდენ პირებს. ეს ზომებია: გამასწორებელი

სამუშაოები პატიმრობის გარეშე, პირობითი მსჯავრი, პირობით ვადამდე გათავისუფლება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან პირობით გათავისუფლება. 1961 წლის კანონის თანახმად, დადგინდა, რომ ბავშვებს 8-დან 14 წლის ასაკამდე ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. არასრულწლოვანთა დანაშაულების პრევენციის ადგილობრივ კომისიებს დავალათ გამასწორებელი და საგანმანათლებლო ნორმების გაგნობა. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნების მიმართ გამოყენებული გამასწორებელი ნორმების მიზანს წარმოადგენდა მათი გადამზადება და მოზადება მომავალში საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. პროკურორებს მიენიჭათ უფლება, როგორც სამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და პირობითი სასჯელის შეფარდებისა, აგრეთვე სასჯელის გამასწორებელი და საგანმანათლებლო ზომებით შეცვლისა.

ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, შესაძლებელია საპრობაციო ზედამხედველობა. პირობითი სასჯელის დროს სასამართლოს შეუძლია დაავალოს შრომით კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას პირობითი მსჯავრის პერიოდში განახორციელოს ზედამხედველობა პირის მიმართ. სასამართლოს უფლება აქვს აგრეთვე ცალკეულ პირს დაავალოს ზედამხედველობის განხორციელება, თუ სასჯელი შეიცავს პირის მუშაობის ან სწავლის მოთხოვნას. ანალოგიური ნორმები გამოიყენება პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირების მიმართაც, სამწუხაროდ, ეს ნორმები არ გამოიყენება, ვინაიდან არ არსებობს პრობაციის სამსახური, რომელიც აიღებდა პასუხისმგებლობას ამ ნორმების იმპლემენტაციაზე.

არასპატიმრო სასჯელების პრაქტიკული უქონლობა იწვევს ძალიან დიდი რაოდენობით საპატიმრო სასჯელების გამოყენებას, რაც შეადგენს ყველა სასჯელის 80%-ს. მსჯავრდებულთა ნახევარზე მეტი არ ხვდება ციხეში, ვინაიდან მათ უფარდებენ პირობით სასჯელს საპრობაციო პერიოდით 3-დან 5 წლამდე. მაგალითად, 2000 წელს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 31.533 პირზე, რომელთა შორის დააპატიმრეს 17.311, პირობითი მიესაჯა 13.094 პირს და ბრალი მოეხსნა 739-ს. მსჯავრდებულების, დაახლოებით, 15%-ს დაეკისრა ქონებრივი სასჯელი, ძირითადად, ჯარიმა. ყოველ წელს 13.000-მდე პირს ესჯება პირობითი მსჯავრი და ისინი ცხოვრობენ თავისუფლად (ყოველგვარი კონტროლის გარეშე) საზოგადოებაში. ვინაიდან არ არსებობს პრობაციის სამსახური, პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობამ წინა წლებთან შედარებით იკლო 4, 5-ჯერ.

1.3.3. საპრობაციო სამუშაოების წარმოება ციხეებში

ბულგარეთში ერთადერთი ოფიციალური ორგანო, რომელიც მსჯავრდებულების მიმართ ეფექტურად ახორციელებს მონიტორინგსა და ზედამხედველობას, არის ციხის სამსახური. ციხეებში საპრობაციო ღონისძიებებს ახორციელებენ სოციალური სამსახურები. აღნიშნული გულისხმობს მსჯავრდებულებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას, გათავისუფლებისთვის მომზადებას, გარე სამყაროსთან კონტაქტის მხარდაჭერას და პატიმრობის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას.

ოუსტიციის სამინისტრო, განსაკუთრებით კი სასჯელთა აღსრულების მთავარი დეპარტამენტი, არის ის ორგანო, რომელიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული სპეციალური სააგენტოს შექმნით, რომელიც იმუშავებს მსჯავრდებულებთან ციხის გარეთ, საზოგადოებაში. სხვა შემთხვევაში მოხდება ციხეების გადატვირთვა, რაც საფრთხეს შეუქმნის პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. 1995 წელს CDEP-ს ექსპერტებმა შეიმუშავეს პრობაციის სისტემის შექმნის მოდელი ბულგარეთში, რომელიც გულისხმობდა სასჯელთა აღსრულების კანონში ცვლილებების შეტანას, რომლის შედეგად

პირობით ვადამდე გათავისუფლების თავდებობა, ნაცვლად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა, გადაიქცეოდა საპრობაციო ნორმად. ეს მოდელი აგრეთვე ითვალისწინებდა შემდეგს: რეგიონალური და რაიონული პრობაციის ერთეულების შექმნას; სასამართლო პროცესში პრობაციის ოფიცერების, როგორც მაგისტრატის მრჩეველთა მონაწილეობას; პირობით ვადამდე გათავისუფლებას პრობაციის ზედამხედველობით ან მის გარეშე. ეს მოდელი განსახილველად გაგზავნილ იქნა ევროსაბჭოს ექსპერტებთან, რომელიც შემდგომში მოწონებულ იქნა მათ მიერ. მიუხედავად ამისა, იმპლემენტაციის თვალსაზრისით, 1995-დან 2000 წლის ჩათვლით, არანაირი პროგრესი არ მომხდარა. პრობაცია, როგორც პატიმრობის ალტერნატივა, აგრეთვე გააანეს იმ ნებაყოფლობით ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ციხის რეფორმის სფეროში. 1997 წლიდან მრავალი ასეთი სახის წინადადება მიეწოდა იუსტიციის სამინისტროს. დღესდღეობით ციხის სამსახური და ნებაყოფლობითი ორგანიზაციები არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ფარგლებში ახორციელებენ ერთობლივ პროექტს - ციხეებში პრობაციის ნორმების გაცნობა.

1.3.4. პრობაცია, როგორც პატიმრობის ალტერნატივა

2001 წლიდან, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა ეროვნული მოძრაობა „სიმეონ მე-2“, იუსტიციის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ბულგარეთის სისხლის-სამართლებრივ სისტემაში დაემკვიდრებინა პრობაციის სისტემა. 2002 წლის თებერვალში იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სასამართლო სისტემის რეფორმას. სტრატეგიის გრძელვადიანი მიზნის თანახმად, გადაწყვეტილი იყო ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღება, რომელიც დაემყარებოდა როგორც ბულგარულ ტრადიციებს, ისე საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს. იანვარში მიწინასტა საბჭომ მიიღო კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის კოდექსში შედიოდა ცვლილებები და მკვიდრდებოდა ახალი საექცია პრობაცია, როგორც პატიმრობის ალტერნატივა. გადაწყვეტილია, რომ პარლამენტი უახლოეს პერიოდში შეიტანს ცვლილებებს კანონში სასჯელთა აღსრულების შესახებ, რის შედეგადაც დამკვიდრდება ახალი სამართლებრივი ნორმები.

1.3.5 სახელმწიფო ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორი, რომლებიც ჩართული არიან პრობაციის ამოცანების შესრულებაში

ბულგარეთში პრობაცია და რესოციალიზაცია წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების (რომლებსაც აფინანსებს ხელისუფლება) პასუხისმგებლობას. იმავე მიმართულებით მუშაობენ აგრეთვე არასამთავრობოები, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს რესოციალიზაცია და ფინანსდებიან უცხოელი დონორების მიერ. ამ დარგში მომუშავე ყველა ექსპერტი ფინანსდება სახელმწიფოს ან უცხოელი დონორების მიერ. აღნიშნული საქმიანობა როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნების შემთხვევაში, კოორდინირდება ცენტრალიზებულად სახელმწიფო ორგანოს მიერ.

ერთადერთი დეცენტრალიზებული ორგანიზაცია არის მუნიციპალურ დონეზე შექმნილი ზედამხედველობის კომისია, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე პატიმრობის შემდგომი დახმარება.

1.4 შეჯამება

ბულგარეთში სასჯელთა სისტემა ითვალისწინებს პატიმრობის ალტერნატიულ ნორმებს, თუმცა შესაბამისი ორგანოს უქონლობის გამო ეს ნორმები გამოუყენებელი რჩება. ისეთი ნორმები, როგორებიც არის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ ადგილას ცხოვრებისა და საკითხის იძულებით მოგვარება, პრაქტიკულად არ გამოიყენება, მაგრამ არც ამოღებულია. გამასწორებელი სამუშაოები პატიმრობის გარეშე არ შეესაბამება ბულგარეთში არსებულ დღევანდელ სიტუაციას და უფრო მეტ პრობლემას უქმნის ცალკეულ სააგენტოებს, ვიდრე მსჯავრდებულებს. პირობითი მსჯავრის შემთხვევაში არ ხორციელდება მსჯავრდებულთა არანაირი კონტროლი და როგორც საზოგადოებას, ისე თვითონ ამ პირებს მიაჩნიათ, რომ არიან თავისუფალი. იგივე შეიძლება ითქვას ვადაზე ადრე გათავისუფლებულების მიმართაც.

2002 წლიდან ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსში ჩაიწერება პრობაცია, როგორც ახალი სასჯელის ფორმა, რის შედეგადაც უახლოეს პერიოდში პრობაციის სისტემა დაიწყებს ფუნქციონირებას.

პრობაციის სამსახურის საკანონმდებლო ჩარჩოები და დებულება

2.1 საკანონმდებლო ჩარჩოები

პრობაციის მიზნები, ამოცანები და არსი, როგორც სასჯელის ფორმა, სამართლებრივად განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსში. კანონპროექტში სასჯელთა აღსრულების შესახებ, რომლის ნახევარ ჯერჯერობით შეუძლებელია კომენტარებისათვის, დამოუკიდებელ თავად გამოიყოს პრობაციის პროცედურები, მომავალი პრობაციის ცენტრებისა და თავშესაფრების სტრუქტურა და ორგანიზება, პრობაციის ოფიცერთა მოვალეობები, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა და მრავალი სხვა.

პრობაციის საქმიანობას ციხეებში არეგულირებს არსებული კანონი სასჯელთა აღსრულების შესახებ და მისი შესრულების ბრძანება. აღნიშნული არეგულირებს ციხეებში სოციალური სამუშაოების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, პატიმრებთან ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის საფუძვლებსა და პრინციპებს, თანამშრომელთა სამსახურში აყვანის წესს.

ბულგარეთის სისხლის სამართლის სისტემისა და პრობაციის საქმიანობის სრული სპექტრის ნათლად გაგებისათვის აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ არ არსებობს ცალკე სასამართლოები არასრულწლოვნებისთვის და საქმეები იხილება ჩვეულებრივ სასამართლოში. კანონი ასაკის მიხედვით ახდენს დანაშაულის ჩამდენთა და შესაბამისი სასჯელის ნორმების დიფერენციაციას. 18 წლის ზევით პირი ითვლება სისხლის-სამართლებრივად პასუხისმგებელ პირად. 14-დან 18 წლამდე ასაკის პირები შეიძლება მიეცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ ისინი აცნობიერებდნენ თავიანთი ქმედობის შინაარსსა და შედეგს და შეეძლოთ თავიანთი მოქმედების კონტროლი. არასრულწლოვნები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ ვერ აცნობიერებდნენ თავიანთი მოქმედების კრიმინალურ ბუნებას, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეიძლება

მოთავსდნენ გამასწორებელ სკოლაში ან სხვა შესაბამის ადგილას. პირები 14 წლის ქვევით არ არიან სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი და მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამასწორებელი ან საგანმანათლებლო ზომები. არასრულწლოვნებისთვის შექმნილი სპეციალური კანონი ითვალისწინებს ნორმებს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფიცერთათვის, სპეციალური სკოლებისა და უპატრონო ბავშვებისთვის თავშესაფრებით უზრუნველყოფის საკითხს.

2.2 დებულება

2.2.1 ძირითადი

ბულგარეთში 2002 წლის მაისამდე არ არსებობდა პრობაციის ჩამოყალიბებული სისტემა, არათუ ისეთი, როგორც არსებობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, არამედ ისეთიც, როგორიც იყო ევროკავშირში შემსვლელ ქვეყნებში. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ბულგარეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაბამისი კანონის უქონლობა. ბულგარეთში პრობაციის სისტემას გაეცნობიან 2002 წლიდან, მას შემდეგ, რაც პარლამენტი მიიღებს მინისტრთა საბჭოს მიერ შეთავაზებულ დამატებებს შესაბამის კანონმდებლობაში. 2003 წლიდან ბულგარეთი შექმნის პრობაციის სისტემის სტრუქტურას.

პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ სისხლის სამართლის სისტემაში პრობაციის ელემენტები უკვე არსებობს და საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება ძირითადად ციხეებში. მას შემდეგ, რაც კანონში შევა ცვლილებები სასჯელთა აღსრულების შესახებ ციხეებში პრობაციის საქმიანობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

პატიმრებთან ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა;

პრობლემათა მოწესრიგების დაგეგმვა;

გარე სამყაროსთან კავშირის დამყარება;

სხვა სამთავრობო სამსახურებთან მეკავშირეობა.

დღესდღეობით მიმდინარეობს რეფორმა სისხლის სამართლის სისტემისა, რომელიც აგრეთვე მოიცავს სოციალური სამუშაოების და განათლების ნორმების პრაქტიკას. მოხდა რისკის განსაზღვრებისა და პატიმრობის ინდივიდუალური დაგეგმვის ახალი პროგრამების გაცნობა, დიდი ძალისხმევა დაიხარჯა სტრუქტურისა და სოციალურ მუშაკთა პროფესიონალიზმის გაზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პატიმართა მომავლის განსაზღვრაში. ინსპექტორების მოხსენებებს მთავარი როლი ენიჭება ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, რასაც ჰქვია: ვადაზე ადრე გათავისუფლება, რეჟიმის შეცვლა, სხვა ციხეში გადაყვანა და ა. შ.

2.2.2 მსჯავრდებულებთან სოციალური მუშაობის პრინციპები

სოციალური მუშაობის პრინციპები, საფუძველი და მიზნები დეტალურად არის განსაზღვრული სისხლის სამართლის კოდექსის ძირითად საფუძველებში და კანონში სასჯელთა აღსრულების შესახებ. მოკლედ ისინი შემდეგში მდგომარეობს:

საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან: საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება თავი იგრძნოს დაცულად. სოციალური მუშაკის ამოცანაა გამოასწოროს მსჯავრდებული და ასწავლოს კანონმორჩილი ცხოვრება, რათა არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული;

პატივი სცეს კლიენტის პირად ღირსებას: სასჯელთა აღსრულების შესახებ კანონის, მუხლი 2(2)-ის მიხედვით, სასჯელი არ უნდა წარმოართოს ისე, რომ მან ფსიქიკური ზიანი მიაყენოს პატიმარს;

კლიენტის სოციალურ-პედაგოგიური მხარდაჭერა, ისევე როგორც მსჯავრდებულის ზედამხედველობა, ხორციელდება ამისთვის სპეციალურად დანიშნული პირის მიერ, სოცუმპაქტა პირადი მხარდაჭერის საფუძველზე მან ასევე ხელი უნდა შეუწყოს კლიენტის რესოციალიზაციას, რაც დაეხმარება მას უკეთესი მომავლის შექმნაში.

თანამშრომლობა სამთავრობო ორგანოებს, მუნიციპალიტეტებს და არასამთავრობო სექტორს შორის: ყველა ორგანოს თანამშრომლობა, მსჯავრდებულების პატიმრობის და შემდგომ ეტაპზე, რათა მიხედეს მისი ეფექტური რესოციალიზაცია და რეციდივიზმის თავიდან აცილება.

2.2.3 ციხეებში წარმოებული სოციალური სამუშაოების მთავარი ამოცანები და საფუძვლები

სოციალური სამუშაოები ციხეებში ეფუძნება შემდეგ მთავარ ამოცანებსა და საფუძვლებს:

ვოლუნტარიზმი: კლიენტებს ციხეებში აქვთ ინფორმაცია, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ დახმარება. ისინი იღებენ გადაწყვეტილებას, სჭირდებათ თუ არა მათ დახმარება და ნებაყოფლობით ითხოვენ მას. ასეთი სახის კონტრაქტი გრძელდება მთელი პროცესის მანძილზე;

რეალიზმი: ამ პრინციპს აქვს ორი მიმართულება: პირველი, ეს არის კლიენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, რეალური მიზნების დასახვა; მეორე, ეს არის მისი მომზადება იმ სიძნელეებისთვის, რომელიც მას შეხვდება ციხის დატოვების შემდეგ. არ არის გასაკვირი, რომ საზოგადოებას მის მიმართ ექნება უარყოფითი დამოკიდებულება, რაც საკმაოდ ძნელი გადასატანია;

მუშაობას მსჯავრდებულის საუკეთესო შესაძლებლობებთან: კლიენტთან სოციალური მუშაობის მთავარ მიზანს წარმოადგენს ყველა რესურსის დადგენა და განვითარება, რომელიც აქვს კლიენტს: ინტერესები, უნარ-ჩვევები, ოჯახური კავშირები და სხვა;

აღიარება, ნდობა, მხარდაჭერა: სოციალურმა მუშაკმა უნდა აღიაროს, რომ ყველას შეეძლება შეიძლება უკეთესობისაკენ, უნდა სჯეროდეს ყველა კლიენტის შესაძლებლობების და დაეხმაროს მათს განვითარებაში.

მსჯავრდებულის გათავისუფლების წინა პერიოდში სოციალური მუშაკის მუშაობის მიზანი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

კლიენტის სოციალური რესურსებისა და პირადი ხარისხის დადგენა და განვითარება, რათა მოხდეს მისი გამოსწორება და კანონმორჩილი ცხოვრებისათვის მომზადება;

ამვე პერიოდში სოციალური სამუშაოების ამოცანებს წარმოადგენს:

ხაზგასმა კლიენტის პირად შესაძლებლობებზე, რათა მან თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი პრობლემები;

მობილიზაციის გამოყენებით არსებული ფორმალური და არაფორმალური სოციალური რესურსების მხარდაჭერა.

2.2.4 დანაშაულის პრევენცია

ციხეებში თავიანთი ყოველდღიური საქმიანობისას სოციალური მუშაკები არაპირდაპირ მონაწილეობენ დანაშაულის პრევენციის საქმეში, ვინაიდან ისინი უვითარებენ თავიანთ კლიენტებს დადებით უნარ-ჩვევებს, ეხმარებიან მათ იცხოვრონ კანონმორჩილი ცხოვრებით და არ ჩაიდინონ ახალი დანაშაული.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ოფისები არის სპეციალიზებული სახელმწიფო სამსახურები, რომლებიც დაკავებული არიან არასრულწლოვნების დარღვევების თავიდან აცილების საქმიანობით. ამ სამსახურების ინსპექტორები ახორციელებენ შემდეგ ღონისძიებებს:

ანალიზს უკეთებენ არასრულწლოვნის მიერ გარკვეული დანაშაულის ჩადენის მიზეზებსა და გარემოებებს;

თავიანთ რაიონში დადიან სკოლებში, ხვდებიან მასწავლებლებს, ეხმარებიან სკოლის მრჩეველებს და სკოლის კომისიებს მათს საქმიანობაში, რათა თავიდან აიცილონ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენა (თუ ასეთი რამ ხდება);

ხვდებიან და უტარებენ ლექციებს ბავშვებს, მათს მშობლებს და მასწავლებლებს, რა დროსაც განიხილავენ არასრულწლოვნების მიერ დანაშაულთა თავიდან აცილების საკითხებს;

მონაწილეობენ ერთობლივ პროგრამებში სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და იმ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ამ მიმართულებით.

2.3 შეჯამება

2002 წლის მაისამდე ციხეებში წარმოებული სოციალური სამუშაოების მიზნები, პრინციპები და ამოცანები აღწერილი იყო ბულგარეთის კანონმდებლობაში. მას შემდეგ, რაც ბულგარეთში ამოქმედდება პრობაციის სისტემა, სოციალური მუშაკები გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას არსებული კანონმდებლობის ფარგლებში და არ გახდებიან პრობაციის სისტემის ნაწილი.

ბულგარეთში პრობაციის გასაცნობად მოხდება ცვლილებების შეტანა ორ მთავარ კანონში: სისხლის სამართლის კოდექსი და სასჯელთა აღსრულების კანონი. ცვლილებები მზად იქნება 2002 წლის ივნისში. მაქსიმალური ვადაა 2002 წლის ბოლო.

პრობაციის სისტემის ორგანიზაცია

3.1 სასამართლო სისტემის სტრუქტურა


ბულგარეთის სასამართლო სისტემაში მთავარ ორგანოს წარმოადგენს სასამართლოს უმაღლესი საბჭო. სასამართლო წარმოადგენს მთავარ სამართლებრივ ორგანოს, რომლის უფლებამოსილებაც არის სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა. სასამართლო სისტემისა და სტრუქტურის დეტალურად განხილვა მოცემულია ქვემოთ.

საგამოძიებო ოფისის მინიჭებული აქვს მთავარი უფლებამოსილება აწარმოოს გამოძიება დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებზე ფაქტებსა და პირებთან მიმართებით, მიმართოს პროკურატურას და დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. თანახმად კანონისა, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ საქმეებზე გამოძიებლები აწარმოებენ წინასწარ გამოძიებას.

პროკურატურის ფუნქციაა სასამართლო განხილვების დროს დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები და თავისი იურისდიქცია განავრცოს როგორც მოქალაქეების, ისე სახელმწიფო ორგანოების ქმედობაზე. პროკურატურის წარმომადგენლები აგრეთვე ესწრებიან იმ სამოქალაქო საქმეების განხილვას, სადაც ილაზხება სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები. პროკურატურა სტრუქტურულად სასამართლო სისტემის შემადგენელი ნაწილია.

ბულგარეთში სამი ინსტანციის სასამართლოა: პირველი, მეორე (საპელაციო) და მესამე (საკასაციო). სასამართლოები არიან რეგიონალური, რაიონული, სამხედრო, სააპელაციო, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო და კასაციის უმაღლესი სასამართლო. სამართლებრივი საფუძვლები ემყარება კონსტიტუციას (1991), კანონს სასამართლოს შესახებ (1994) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, რომელშიც ცვლილებები შევიდა 1990 და 1999 წლებში.

სქემა 1: სასამართლოს სტრუქტურა ბულგარეთში



რეგიონალური სასამართლოები მოქმედებენ, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოები თავიანთი რეგიონის იურისდიქციის ფარგლებში. როგორც წესი, რეგიონალური სასამართლო საქმეს განიხილავს ღია წესით და მისი გადაწყვეტილება, თუ არ გასაჩივრდა, ძალაში შედის გამოცხადებიდან მეშვიდე დღეს.

რაიონული სასამართლოები (რომლებიც სტატუსით უფრო მაღლა დგანან ვიდრე რეგიონალურები) იხილავენ სისხლის სამართლის საქმეებს, როგორც პირველი ინსტანციები. მათ მინიჭებული აქვთ უფლება განიხილონ რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილებები, როგორც მეორე ინსტანციამ და დააბრუნონ საქმე ხელმოკრე განხილვისათვის ან გამოიტანონ ახალი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო მოქმედებს, როგორც რეგიონალური და რაიონული სასამართლოების ზემდგომი ინსტანცია.

კასაციის უმაღლესი სასამართლო მოქმედებს, როგორც უმაღლესი ინსტანცია, როგორც რაიონული სასამართლოებისათვის, რომელიც რეგიონალურთან მიმართებით მოქმედებდა, როგორც მეორე ინსტანცია, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოსათვის. მის პრეროგატივას წარმოადგენს განმარტებების მიცემა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე, სასამართლოების მიერ კანონის აღსრულებაზე. მისი გადაწყვეტილებები და განმარტებები სავალდებულოა ყველა სასამართლოსათვის.

3.2 სტრუქტურა სახელმწიფო ორგანოებისა, რომლებიც არსით შეესაბამებიან სასჯელის აღსრულებას

სრულწლოვანთა მიმართ სასჯელთა აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს სასჯელთა აღსრულების ცენტრალური დირექტორატი. იუსტიციის სამინისტრო არის ის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ციხეებისა და გამასწორებელი დაწესებულებების მართვაზე. ამას იგი ახორციელებს სასჯელთა აღსრულების ცენტრალური დირექტორატის მეშვეობით.

სასჯელთა აღსრულების ცენტრალური დირექტორატის მთავარი დანიშნულებაა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების საპატიმრო სასჯელების აღსრულება. ამავე დროს, ციხის ადმინისტრაციას ევალება პატიმართა მომზადება კანონმორჩილი ცხოვრებისათვის მათი პირადი და სოციალური განვითარების მეშვეობით. აღნიშნული აგრეთვე მხარდაჭერილია სისხლის სამართლის პრობლემების გამოკვლევებისა და პრაქტიკის განვითარების საბჭოს მიერ. ამ საბჭოს წევრები არიან იუსტიციის სამინისტროს, არასამთავრობო სექტორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ჯანმრთელობის სამინისტროს, კასაციის უმაღლესი სასამართლოს, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს, პროკურატურისა და საგამომიებო ოფისის წარმომადგენლები.

შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია არასრულწლოვანთა ორი ტიპის დაწესებულებაზე: პირველი, ეს არის ახალგაზრდების დაკავების დროებითი თავშესაფარი. ბულგარეთში ასეთი ტიპის ხუთი დაწესებულებაა. ამ დაწესებულებებში ათავსებენ უსახლკარო არასრულწლოვნებს, მათხოვრებს, ნარკოტიკების მომხმარებლებს ან რელი-ზატორებს და მემავებს. ეს დაწესებულება შექმნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და ზედამხედველობას უწევს პროკურატურა. მეორე ტიპის დაწესებულებას წარმოადგენს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ოფისი, რომლის ძირითადი მოვალეობაა არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილება. ეს დაწესებულებები შექმნილია მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილებით და შემდგომ დამტკიცებულია შინაგან საქმეთა


სამინისტროს მიერ. ეს ორგანოები იმართება და კონტროლდება ეროვნული პოლიციის მიერ და მათზე ზედამხედველობას ახორციელებს პროკურატურა.

შეცნელებისა და განათლების სამინისტრო პასუხისმგებელია არასრულწლოვანთა ორი ტიპის დაწესებულებაზე: ერთი არის გამასწორებელი სკოლა-ინტერნატი 8 წლის ზევით ასაკის არასრულწლოვნებისთვის, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული. ეს ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ალტერნატივა, სასამართლოს გადაწყვეტილებით. არსებობს აგრეთვე სპეციალური სკოლები 7 წლის ზევით ასაკის არასრულწლოვნებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი ოჯახური გარემო, აკლიათ ოჯახური მზრუნველობა და რომლებმაც უკვე ჩაიდინეს რამდენიმე დანაშაული, ან არსებობს მათი ჩადენის რისკი. აღნიშნული ღონისძიებების მთავარი მიზანი ოჯახური გარემოს კომპენსაცია უფროა, ვიდრე დანაშაულისათვის პასუხისგება.

სოციალური პოლიტიკისა და შრომის სამინისტრო კოორდინაციას უწევს და ზედამხედველობს თავშესაფრებს, შექმნილთ უპატრონოთა და ბავშვებისათვის, რომლებსაც ვერ აკონტროლებენ მშობლები. ამ თავშესაფრებში, დამის გათენების გარდა, ხდება სოციალური და სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა. ბავშვები აქ რჩებიან მანამ, სანამ მათ არ მოაკითხავს მუერე ან მშობელი და არ გააგზავნის შესაბამის სკოლაში.

3.3 ციხის სისტემა

სქემა 2: ცენტრალური ციხის ადმინისტრაციის სტრუქტურა



3.4 სოციალური სამუშაოები ციხეებში

ბულგარეთის პენიტენციალური სისტემა შედგება სრულწლოვანთა 12 ციხისგან, ერთი გამასწორებელი დაწესებულებისგან არასრულწლოვნებისათვის და 24 ციხის საერთო საცხოვრებლისგან (კოლონიის ტიპის ჩასახლებები). ამ უკანასკნელში სამი ტიპის რეჟიმია: დახურული, ნახევრად უსაფრთხო და ღია. ამ დაწესებულებებს მართავს და ხელმძღვანელობს იუსტიციის სამინისტროს სასჯელთა აღსრულების ცენტრალური დირექტორატი. მეორე ორგანო, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მმართველობის ქვეშაა, არის სისხლის სამართლის პრობლემათა შესწავლისა და განვითარების პრაქტიკის საბჭო. ეს ორგანო, რომელსაც ეწოდება პენიტენციალური ცენტრი, არის სასჯელთა აღსრულების ცენტრალური დირექტორატის შემადგენელი ნაწილი და მის თანამშრომლებს ნიშნავს იუსტიციის სამინისტრო. პენიტენციალურ ცენტრს აქვს ორი განყოფილება: პირველი არის ფსიქოლოგიური ლაბორატორია, რომელიც ახორციელებს ციხის თანამშრომელთა ფსიქოლოგიურ ტესტირებასა და გამოკვლევას, ხოლო მეორე - განათლებისა და გამოკვლევის, რომელიც ახორციელებს კანონმდებლების მომზადებას, სწავლებასა და კვლევებს.

სოციალური სამუშაოებისა და ტრენინგის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს და ზედამხედველობს ციხის დირექტორის იმ მოადგილეს, რომელიც ხელმძღვანელობენ სოციალურ სამუშაოებს, სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებს. დღესდღეობით ციხეებში მუშაობენ: 201 სოციალური მუშაკი, რომელთაგან 157 არის სოციალური ინსპექტორი, 30 ფსიქოლოგი და 14 პრობლემათა მოგვარების სპეციალისტი. ბულგარეთში პატიმართა რაოდენობა შეადგენს, დაახლოებით, 10.000 კაცს და ყოველ სოციალურ მუშაკზე მოდის, დაახლოებით, 63 პატიმარი. ყოველწლიურად თანამშრომლების, დაახლოებით, 5% ტოვებს სამსახურს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. თანამშრომელთა ხელფასი 153 ევროდან 300 ევრომდეა. იგი დამოკიდებულია მუშაობის სტაჟსა და თანამდებობაზე. ყველა ახლად დანიშნული სოციალური მუშაკი გადის ტრენინგს ქ. პლევენის ციხის სასწავლო ცენტრში. ყველა სხვა სახის ტრენინგი ხორციელდება ერთობლივად დეპარტამენტის პენიტენციალური ცენტრისა და ბულგარული თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

სოციალური მუშაკები ასრულებენ შემდეგ ამოცანებს:

პატიმართა დახმარება სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაში;

პატიმართა მომზადება საზოგადოებაში ცხოვრებისათვის სპეციალიზებული ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობით და დახმარება კანონმორჩილ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის;

- სპეციალური ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;
- ფორმალურ და არაფორმალურ პატიმართა ჯგუფებთან მუშაობა;
- სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიების ორგანიზება;
- რელიგიური დახმარება.

ყველა სასჯელმისჯილი მსჯავრდებული ციხეში მოხვედრის შემდეგ ხდება რისკის განსაზღვრების მექანიზმის საგანი, რის საფუძველზეც სოციალური მუშაკები, ითვალისწინებენ რა ჩადენილი დანაშაულის სახეობას, პატიმრობის ვადასა და სხვა კრიტერიუმებს, ადგენენ სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას. ისინი აგრეთვე წერენ სპეციალურ მოხსენებას პატიმრის ყოფაქცევაზე მისი ციხეში ყოფნის დროს, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემდგომში მისი ვადაზე ადრე გათავისუფლების, შეწყალების ან რეემის შეცვლის საკითხის გადაწყვეტისას.

პატივრებთან ჯგუფური მუშაობის მიზანია მისთვის ფსიქოლოგიური სტაბილურობის შექმნა და მისი პირადი შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მის სოციალურ ინტეგრაციას. ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს აგრეთვე მისი მომზადება ციხეში და ციხის შემდგომი ცხოვრებისათვის.

3.5 საპრობაციო მუშაობა არასრულწლოვნებთან

არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან სოციალური მუშაობის წარმოება და ზედამხედველობა არის არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ოფისის ინსპექტორების, სოციალური მუშაკებისა და საზოგადოებრივი ზედამხედველების პასუხისმგებლობის საგანი. არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფისის საქმიანობა იმართება და კონტროლდება ეროვნული პოლიციის მიერ. თანახმად კანონისა, ეს ოფისები ეროვნული პოლიციის შეთავაზებით იქმნება ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურაში და მტკიცდება შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ოფისის ინსპექტორებს ნიშნავს პირადად შინაგან საქმეთა მინისტრი. მათ უნდა ჰქონდეთ მასწავლებლად მუშაობის სტაჟი. შეთავაზებას თანამდებობაზე დასანიშნად აკეთებს ეროვნული პოლიცია. არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფისის შემდეგი ფუნქციები აქვს:

იმ არასრულწლოვნების მეთვალყურეობა, ზედამხედველობა და კონტროლი, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, ან არსებობს დიდი რისკი, რომ ჩაიდინენ დანაშაულს;

იმ არასრულწლოვანთა პოვნა, რომლებიც არიან დანაშაულის, ძალადობის ან არაჯანსაღი მოპყრობის მსხვერპლი; მათი ზედამხედველობა და თვალყურის დევნება.

არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფისის ინსპექტორები აგრეთვე აკვირდებიან არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენის გარემოებებს და მოახსენებენ ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს (სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია და სხვა). არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფისზე ზედამხედველობას ახორციელებს პროკურატურა.

სოციალურ მუშაკებს სოციალური მუშაობის განსახორციელებლად სპეციალურ მუნიციპალურ ცენტრებში ნიშნავენ შემდეგი ფუნქციების შესასრულებლად:

არასრულწლოვნებისთვის, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული და მათი ოჯახის წევრებისთვის დახმარებისა და სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

ახალგაზრდებისთვის, რომლებიც გათავისუფლდნენ სპეციალიზებული სკოლებიდან, დახმარების გაწევა სამსახურისა და საცხოვრებლის მოძიებაში;

სპეციალიზებულ სკოლებში მოთავსებული ბავშვებისათვის სოციალური ტრენინგის ჩატარება.


საზოგადოებრივი ზედამხედველები არასრულწლოვან მსჯავრდებულებსა და მათი ოჯახის წევრებთან აგრეთვე მუშაობენ განათლების მიღების სფეროში. ეს ორგანო სტრუქტურულად არის შემადგენელი ნაწილი არასრულწლოვანთა დარღვევების თავიდან აცილების ადგილობრივი კომისიისა, რომლის თანამშრომლებს მუნიციპალური ბიუჯეტი თვეში 40 ევროს უხდის.

არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის ადგილობრივი კომისია შექმნილია ადგილობრივი მთავრობის სტრუქტურაში. კომისიის თანამშრომელთა რაოდენობა 7-დან 15-მდეა. მას ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის მერი და მისი წევრები შეიძლება იყვნენ ადგილობრივი მთავრობის წევრები, რომლებიც მუშაობენ განათლებისა და ჯანმრთელობის

საკითხებზე, პოლიციის ოფიცრები, სოციალური სამსახურის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, იურისტები, ექიმები და საზოგადოების თვალსაჩინო წევრები. ამ შეხვედრებს ესწრება რაიონული პროკურატურის წარმომადგენელი. არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის ადგილობრივი კომისია არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფისთან, სკოლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ახორციელებს შემდეგ საქმიანობას: დანაშაულის თავიდან აცილება, საპრობაციო ზედამხედველობა, სპეცსკოლის შემდგომი მზრუნველობა, რეკომენდაციების მიცემა დაკავების ადგილებიდან ვადაზე ადრე გასათავისუფლებლად. ბავშვებისათვის შესაბამისი განათლების მისაღებად ოჯახებისათვის დახმარების გაწევა, არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ გამოსასწორებელი ზომების მიღება, მცირეწლოვანი მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და გარემოებების დადგენა, რეკომენდაციების მიცემა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. ისინი აგრეთვე წერენ ყოველწლიურ მოხსენებას არასრულწლოვანთა დარღვევების თავიდან აცილების ცენტრალური ოფისისათვის. ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია ყველა იმ დაწესებულების კოორდინირებულ მუშაობაზე, რომლებიც საქმიანობენ არასრულწლოვანთა დარღვევების მიმართულებით. ამ მიზნით ეს ორგანო ახორციელებს კვლევებს, ამზადებს რეკომენდაციებს საკანონმდებლო ცვლილებებთან მიმართებით და ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას. არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის ცენტრალური ოფისი აგრეთვე ზედამხედველობას უწევს არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის თავიდან აცილების ადგილობრივ კომისიებს.

ცენტრალური კომისია მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაშია და მას თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრის მოადგილე. ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები არიან: მეცნიერებისა და განათლების მინისტრის მოადგილე, სოციალური პოლიტიკისა და დასაქმების მინისტრის მოადგილე და შინაგან საქმეთა სამინისტროს მდივანი, ხოლო კომისიის წევრები არიან: იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილე, კულტურის მინისტრის მოადგილე, ახალგაზრდებისა და ბავშვების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კასაციის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, გენერალური პროკურორის მოადგილე, გამოძიების ეროვნული სამსახურის დირექტორის მოადგილე, ამ დარგში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჩვეულებრივი ხალხი.

სქემა 3: არასრულწლოვნებისათვის სოციალური სამუშაოებისა და პრობაციის უზრუნველყოფა



3.6 ზედამხედველი კომისიები

გათავისუფლებულ პატიმრებზე შემდგომი მზრუნველობა ხორციელდება ზედამხედველი კომისიების მიერ, რომლებიც შექმნილია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ და უწყვეტ მომსახურებას იმ რაიონში მაცხოვრებელ ყოფილ პატიმრებს. ამ კომისიის წევრები არიან: მუნიციპალური საბჭოს, ჯანდაცვის ორგანოების, განათლების სისტემისა და პროფკავშირების წარმომადგენლები. სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები აგრეთვე ხშირად არიან ამ კომისიის წევრები. ამ კომისიის სესიებს ესწრებიან ციხის დირექტორები და რაიონული პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს წარმომადგენლები. მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენს:

პატიმრებისთვის განათლების მიცემისას და გამოსასწორებელი ტრენინგის ჩატარებისას, ციხის ადმინისტრაციის ზედამხედველობა და მისი მხარდაჭერა;

პატიმრებისთვის რეკიმის შეცვლასა და სხვა ციხეში გადაყვანასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება;

რეკომენდაციების შემუშავება იმ პატიმრებისთვის, რომლებმაც მოითხოვეს შეწყალება;

დახმარების გაწევა ყოფილი პატიმრებისათვის სამსახურისა და საცხოვრებლის მოძებნაში და სპეციალური ყურადღების მიქცევა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად;

ზედამხედველობის კომისიის წევრებს უფლება აქვთ მოინახულონ ციხეები, პატიმრები და მოიპოვონ ინფორმაცია ციხის ადმინისტრაციისგან. ამ ორგანოს ფინანსურსა და ადმინისტრაციულ რესურსებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საბჭო.

3.7 საპრობაციო ამოცანები, რომლებიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ

ბულგარეთში 1990 წლიდან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს პროექტებს ციხის სისტემაში, რომლებიც მიზნად ისახავს პატიმართა პრობლემების მოგვარებას. ეს პროექტები ფინანსდება ფონდ „ღია საზოგადოება ბულგარეთისა“ და ერთობლივი სამართლებრივი პროგრამებით OSF-სა და COLPI-ის, DFID-ის, PRI-ს, PHARE-ACCESS-ის მიერ და ვეროგაერთიანების სხვა პროგრამებით. რამდენიმე დიდი პროექტი, რომლებიც ხორციელდებოდა წლების მანძილზე, მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

სოციალური საქმიანობისა და პრაქტიკის ინსტიტუტის მიერ შექმნილია პროექტი „ბულგარეთის ციხეებში სოციალური სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესება“ ამ პროექტის მიზანი იყო ციხეებში, პატიმართა საჭიროებიდან გამომდინარე, სოციალური სამსახურების მუშაობის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობდა მათს რეაბილიტაციას. ამ პროექტის ფარგლებში ტრენინგი ჩაუტარდა 75 სოციალურ მუშაკს, რომლებსაც შეასწავლეს პატიმრებთან ინდივიდუალური მუშაობის საკითხები;

პროექტი „პირველი ნაბიჯები გარეთ“ გულისხმობდა პირველად, მოკლე ვადით დაპატიმრებული ქ. ველკო-ტირნოვოში ციხის საერთო საცხოვრებელში მთავსებული პატიმრების უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობდა შემდგომ მათი პრობლემების მოგვარებას. ამ პროექტის ფარგლებში შეიმუშავეს სპეციალური პროგრამა, რომელიც გაიარა ყველა პატიმარმა. ამ პროექტს ახორციელებდა პატიმართა რეინტეგრაციის ასოციაცია;

პროექტი „ახალი წამოწყებები“ განხორციელდა „ბოზოვ დოლის“ ციხეში და მოიცავდა სპეციალურ ტრენინგს იმ პატიმრებისთვის, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. პროგრამა გულისხმობდა რესოციალიზაციის ცენტრის დაარსებას და ციხის გარეთ არსებული ცხოვრების შესაბამისი გარემოს შექმნას. პატიმრებს საშუალება ეძლეოდათ ციხიდან გათავისუფლებამდე, სამი თვით ადრე, ეცხოვრათ იქ და ჩატარებოდათ სხვადასხვა სახის ტრენინგი;

პროექტი „ციხეებში სოციალური პოლიტიკის რეფორმა“ მოიცავდა ტრენინგს სოციალური დეპარტამენტის დირექტორებისათვის, რომლის მიზანიც იყო ესწავლებინათ მათთვის პატიმრებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები და ციხეში მათი დამკვიდრების წესი. ეს ორი უკანასკნელი პროექტი დააფინანსა ARSP-მ. კარგი თანამშრომლობიდან გამომდინარე, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე

ჩამოყალიბდა იუსტიციის სამინისტროს, სასჯელთა აღსრულების მთავარ დეპარტამენტსა და ARSP-ს შორის, ეს უკანასკნელი 2002 წლის ბოლოსათვის გეგმავს პრობაციის ცენტრის შექმნას ქ. ბლაგოვეგრადში. ეს ხელს შეუწყობს როგორც პატიმრობის ისეთი ალტერნატიული სასჯელების განვითარებას, როგორებიცაა პირობითი მსჯავრი და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, ისე ციხის შემდგომ ზედამხედველობასა და მზრუნველობას.

3.8 შეჯამება

გამომდინარე იქიდან, რომ ბულგარეთში არ არსებობს პრობაციის სამსახური, ისეთი საპრობაციო ღონისძიებები, როგორებიც არის: ციხის შემდგომი მზრუნველობა, სამკურნალო და სასწავლო პროგრამები, გამასწორებელი და სასწავლო პროგრამები არასრულწლოვნებისთვის, ხორციელდება სპეციალიზებული სამსახურების მიერ. ციხის სამსახური პასუხისმგებელია სოციალურ სამუშაოებზე ციხეებში. ზედამხედველი კომისიები ახორციელებენ პატიმართა შემდგომ მზრუნველობას როგორც სრულწლოვნებისთვის, ისე არასრულწლოვნებისთვის. არასრულწლოვანთა დარღვევებზე მუშაობენ სხვა ორგანოები, კერძოდ: არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის ადგილობრივი კომისიები და არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ოფისები. ციხისა და სისხლის სამართლის რეფორმის თვალსაზრისით პროექტებს ახორციელებს მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია. 2002 წლის ბოლოსთვის პილოტური პროექტის სახით, სულ ცოტა, სამი პრობაციის ცენტრი შეიქმნება ქალაქებში: სოფია, ბლაგოვეგრადი და კუსტენდილი.

სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან მუშაობა

4. სანქციების სისტემა

4.1.1 სრულწლოვანი მსჯავრდებულები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 თავში დეტალურად არის აღწერილი ზომები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასწარი გამოძიების პროცესში. სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 თავში ჩამოთვლილია ჯარიმების სახეობები, რომლებიც შეიძლება სასამართლომ მიუსაჯოს სრულწლოვან მსჯავრდებულებს. არსებულ სანქციათა სისტემაში არაფერია ნათქვამი პრობაციასა და საპრობაციო ნორმებზე, ვინაიდან ბულგარეთის სანქციათა სისტემაში პრობაციის გაცნობის წინადადება შეთავაზებული იყო 2001 წლის მეორე ნახევარში, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა ეროვნული მოძრაობა „სიმეონ მე-2“. 2002 წლის იანვარში მომზადდა კანონპროექტი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ცვლილებები შევა სასჯელთა სისტემაში და დამკვიდრდება სასჯელის ახალი ფორმა პრობაცია, როგორც პატიმრობის ალტერნატივა. ბულგარეთის პარლამენტი ამ კანონს მიიღებს 2002 წლის იელისში. ქვემოთ (სქემა 4-6) მოცემულია მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული სანქციებისა და ზომების ჩამონათვალი და კანონპროექტი მისი ცვლილებებისათვის.

სქემა 4: წინასაგამოძიებო ზომები და პირობები (სრულწლოვნები)

*წინასაგამოძიებო ზომები
სრულწლოვნებისათვის*

ძირითადი	პოლიციაში რეგისტრაცია; გირაო; შინაპატიმრობა; წინასაგამოძიებო პატიმრობა.
დამატება	ქვეყნის ტერიტორიის დატოვების აკრძალვა; გარკვეული თანამდებობების დაკავების გადავადება.
სავალდებულო სამედიცინო მკურნალობა	30 დღით ფსიქიატრიულ სავადმყოფოში გამოკვლევების ჩატარება.

პირობები

ფინანსური თავდებობა;
დაზიანებული ქონების კომპენსაცია;
კომპენსაცია და ჯარიმა.

სქემა 5: სასამართლო განხილვის პერიოდის სანქციები (სრულწლოვნები)

ძირითადი სასჯელები

საპატიმრო

უვადო პატიმრობა;
უვადო პატიმრობა, რომელიც არ
ექვემდებარება ხელახლა
განხილვას;
პატიმრობა.

არასაპატიმრო

გამასწორებელი სამუშაოები
პატიმრობის გარეშე;
საპრობაციო ნორმები კონტროლისა და
მხარდაჭერისათვის;
სახელმწიფო ცენტურა;
პირადი ქონების კონფისკაცია;
ჯარიმა.

დამატებითი სასჯელები

სახელმწიფო ცენტურა;
პირადი ქონების კონფისკაცია;
ჯარიმა;
გარკვეული სახელმწიფო
თანამდებობის დაკავების უფლების
ჩამორთმევა;
გარკვეული პროფესიული პრაქტიკის
უფლების დაკარგვა;
ისეთი ჯილდოების ჩამორთმევა,
როგორებიცაა მედლები და ორდენები;
სამხედრო წოდების ჩამორთმევა.

ნორმები

საპატიმრო

პრობაციის საერთო
საცხოვრებელში
მოთავსება;

არასაპატიმრო

მუდმივი მისამართის სავალდებულო რეგისტრაცია;
რეგულარული შეხვედრები პრობაციის ოფიცრებთან;
პრობაციის ცენტრის მიერ ორგანიზებულ საზოგადოებრივ პროგრამებში მონაწილეობა;
სამედიცინო მკურნალობა;
გარკვეული ტერიტორიის მონახულების უფლების აკრძალვა.
საკვალიფიკაციო კურსებზე დასწრება;
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

სავალდებულო სამედიცინო ნორმები

სამედიცინო მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ნათესავეების ზედამხედველობის ქვეშ;
სავალდებულო სამედიცინო მკურნალობა ჩვეულებრივ ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

პირობები

წინასაგამოძიებო დაკავების გადავადება;
პრობაცია;
სასჯელის გადავადება.

სქემა 6: სასამართლო განხილვის შემდგომი პირობები (სრულწლოვნები)

პირობები

ციხის პროგრამები;
პირობითი გათავისუფლება ციხიდან პრობაციის ზედამხედველობით;
შეწყალება/ამნისტია.

4.1.2 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლში მოცემულია ჩამონათვალი იმ სანქციებისა, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია არასრულწლოვნების მიმართ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლში კი მოცემულია წინასაგამოძიებო ზომების ჩამონათვალი. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების (14-დან 16 წლამდე და 16-იდან 18 წლამდე) მიმართ სანქციები უფრო მოკლევადიანია, ვიდრე სრულწლოვნების მიმართ. 16 წლის ასაკამდე არასრულწლოვნების მიმართ ნაცვლად პრობაციისა, გამოიყენება საზოგადოებრივი ცენზურა. ქვემოთ მოყვანილ სქემებში (7-დან 9-მდე) მოცემულია იმ სანქციათა ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს არასრულწლოვნების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისას, მათ შორის, გამასწორებელი ზომები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია არასრულწლოვანთა დარღვევების წინააღმდეგ არსებული კანონის მე-13 მუხლით და სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებებით.

სქემა 7: წინასაგამოძიებო ზომები და პირობები (არასრულწლოვნები)

ზომები	ზედამხედველობა მშობლის ან მზრუნველის მხრიდან; სპეციალიზებულ სკოლაში მოთავსება; არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ოფიცრის ან არასრულწლოვანთა დარღვევების თავიდან აცილების ადგილობრივი კომისიების წევრების მიერ ზედამხედველობა; წინასაგამოძიებო დაკავება.
პირობები	არასრულწლოვანთა დარღვევების წინააღმდეგ კანონის თანახმად გამასწორებელი ნორმების გამოყენება.

სქემა 8: სასამართლო განხილვის პერიოდის სანქციები (არასრულწლოვნები)

ძირითადი სასჯელები

საპატიმრო

პატიმრობა.

არასაპატიმრო

საპრობაციო ზედამხედველობა და 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნების მხარდაჭერა; საზოგადოებრივი ცენზურა.

დამატება

ცალკეული პროფესიის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

ნორმები

საპატიმრო

არ არსებობს;

არასაპატიმრო

საზოგადოებრივი ზედამხედველის მიერ განხორციელებული გამასწორებელი ზედამხედველობა; ცენზურა; მსხვერპლისათვის სავალდებულო ბოდიშის მოხდა; მსჯავრდებულის მიერ მიყენებული ზიანის სავალდებულო შეკეთება; საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა; გამასწორებელი ან სპეცსკოლა; გაფრთხილების მიცემა; პრობაციის 6-თვიანი ვადის პერიოდში სპეცსკოლისათვის შეტყობინება.

პირობები

სასჯელის შეცვლა
გამასწორებელი ნორმებით.

სქემა 9: სასამართლო განხილვის შემდგომი პერიოდი (არასრულწლოვნები)

პირობები

პირობითი გათავისუფლება ციხიდან საპრობაციო ზედამხედველობით; ციხის პროგრამები; შეწყალება/ამნისტია.

4.2 პრობაციის როლი სანქციათა სისტემაში

4.2.1 პრობაციის გამოყენება სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე

სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის საპროცესო კოდექსი წარმოადგენს იმ ორ აქტს, რომლებშიც ასახულია ყველა ის სანქცია, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სისხლის სამართალწარმოების სამივე ეტაპზე: წინასწარი გამოძიების პერიოდში, სასამართლო განხილვის დროს და სასამართლო განხილვის შემდგომ. არასრულწლოვანთა დარღვევების წინააღმდეგ კანონში ასახულია ის გამასწორებელი ზომები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია არასრულწლოვნების მიმართ.

4.2.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი

ბულგარეთში წინასაგამოძიებო პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: საფუძველი, წინასწარი გამოძიება, წინასწარი გამოძიების შემდგომი საპროკურორო საქმიანობა. წინასწარი გამოძიების შემდგომ ეტაპზე იგზავნება მთავარ პროკურორთან, რომელიც განიხილავს საქმეს და აგზავნის სასამართლოში. სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის საპროცესო კოდექსი სისხლის სამართალწარმოების დასრულებისათვის იძლევა შემდგომ საშუალებებს:

ა) სისხლის სამართალწარმოების დასრულება შეთანხმებით. პროკურორი აგზავნის საქმეს სასამართლოში და ითხოვს ორივე მხარეს შორის შეთანხმების დადებას, თუ ეს აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს (სსკ-ს 414 მუხლი): დანაშაული არ იყო ჩადენილი წინასწარი განზრახვით, არ იყო სერიოზული და მიყენებული ქონების ზარალი შესაძლოა ანაზღაურდეს. შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენს ბრალდებულთან ერთად პროკურორის მიერ შეთანხმების მომზადება, რომლის პირობებიც უნდა აკმაყოფილებდეს სისხლის სამართლის კოდექსის 414-ე მუხლის მე-5 ნაწილს, კერძოდ: ჩადენილი იყო თუ არა დანაშაული, ჩადინა თუ არა ეს დანაშაული ბრალდებულმა, ჩადენილი იყო თუ არა დანაშაული წინასწარი განზრახვით, რა კვალიფიკაციას აძლევს ამ დანაშაულს სისხლის სამართლის კანონი, რა სიმძიმის და რომელი სანქციები გამოიყენება და ასე შემდეგ.

ბ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება და ადმინისტრაციული სანქციების შეფარდება. სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე (ა) მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და უზრუნველყოს ჯარიმის გადახდა, ან შეუფარდოს სხვა ადმინისტრაციული სანქცია, როგორცაა, მაგალითად, სამი წლით გარკვეული თანამდებობის ან პროფესიული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდგომი პირობა:

როდესაც წინასწარი განზრახვით ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი ითვალისწინებს 2 წელზე ნაკლებ პატიმრობას ან უფრო ნაკლებ სასჯელს, ან, თუ დანაშაული, რომელიც ჩადენილია წინასწარი განზრახვის გარეშე, ითვალისწინებს 3 წელზე ნაკლებ პატიმრობას ან სხვა უფრო მცირე სასჯელს;

თუ ბრალდებული არ ყოფილა მანამდე გასამართლებელი, ან გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან;

დანაშაულის შედეგად მიყენებული ქონების ზარალი შეიძლება ანაზღაურებული იყოს.

გარკვეული თანამდებობის ან პროფესიული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება მიესაჯოს პირს, თუ ეს გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც განსაკუთრებული სანქცია ჩადენილი დანაშაულისათვის.

გ) ისეთი საქმეების შეწყვეტა, რომლებშიც ჩარეული არიან ოჯახის წევრები: სისხლის სამართლის კანონი ადგენს, რომ ისეთი საქმეების გამო, რომლებიც ეხება ოჯახის წევრებს, არ დაიწყება სამართლებრივი დევნა, თუ არ არსებობს დაზარალებულის საჩივარი. სამართალწარმოება აგრეთვე შეწყდება, თუ დაზარალებული გამოიტანს განცხადებას, ან დაზარალებული და ბრალდებული შერიგდებიან. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია, თუ დაზარალებული და ბრალდებული არიან ოჯახის წევრები, ან დაზარალებული არის ბრალდებულის მეურვე.

დ) არასრულწლოვანთა დარღვევების შემთხვევაში პროკურორის მიერ სამართალწარმოების შეწყვეტა: სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლი, პროკურორს ანიჭებს უფლებას არ წამოიწყოს, ან შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამართალწარმოება, ხოლო სასამართლოს არ გაასამართლოს არასრულწლოვანი, თუ დანაშაული თავისი არსით შეიცავდა ძალიან მცირე რისკს საზოგადოებისათვის. ასეთი საქმეების არსებობისას, არასრულწლოვანს უნდა შესაბამებოდეს ის საგანმანათლებლო ზომები, რომლებიც ასახულია კანონში არასრულწლოვანთა დარღვევების წინააღმდეგ. სასამართლოს შეუძლია მიმართოს საგანმანათლებლო ზომებს, მაგრამ ამის შესახებ უნდა აცნობოს, ან გაუგზავნოს სპეციალური შეტყობინება არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის ადგილობრივ კომისიებს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას არ წამოიწყოს სამართლებრივი დევნა, არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება საგანმანათლებლო ზომები, რომლებსაც უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის ადგილობრივი კომისიები. თუ პროკურორი შეწყვეტს დაწყებული საქმის სამართალწარმოებას, არასრულწლოვანი შეიძლება გაიგზავნოს გამასწორებელ სკოლაში, რის შესახებაც აცნობებს არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის ადგილობრივ კომისიებს.

4.2.1.2 სასამართლო განხილვის ეტაპი

მას შემდეგ, რაც საქმე გადაიგზავნება სასამართლოში, სასამართლო განხილვის დროს მოსამართლეს უფლება აქვს საპატიმრო სასჯელის ნაცვლად გამოიყენოს შემდეგი ალტერნატივები:

ა) პირობითი მსჯავრი (სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლი). თუ განსასჯელი არ ყოფილა მანამდე დაპატიმრებული დანაშაულებრივი ქმედობისათვის და თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ სასჯელის მიზნების მისაღწევად და ბრალდებულის გამოსასწორებლად არ არსებობს საპატიმრო სასჯელის გამოყენების საჭიროება, სასამართლოს შეუძლია 3-დან 5 წლამდე ვადით გადადოს ნებისმიერი სასჯელის შეფარდება. ისეთ საქმეებზე, როდესაც სასჯელი ითვალისწინებს პატიმრობას 3 წელზე მეტი ვადით, გადავადების ვადა არ შეიძლება იყოს სასჯელის ვადაზე მეტი. თუ დანაშაულის ჩადენის პერიოდში ბრალდებული არასრულწლოვანია, ასეთ შემთხვევაში გადავადების პერიოდი 1-დან 3 წლამდეა და ამ ვადაში პირს ეკისრება მუშაობის ან სწავლის ვალდებულება.

ბ) პრობაციის პერიოდში პირობითი მსჯავრი ტრენინგითა და გამასწორებელი ნორმებით. როდესაც სასამართლო გადადებს საპატიმრო სასჯელს, მან შეიძლება მსჯავრდებულის კოლეგებს, თუ ისინი მისცემენ თანხმობას, ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დააკისროს ვალდებულება მსჯავრდებულის მიმართ ტრენინგისა ან

გამასწორებელი ნორმების გამოყენებისა. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება შეთანხმების მიღწევა, ან სასამართლო მიიჩნევს აუცილებლად, აღნიშნული ვალდებულების შესრულება შეიძლება დაეკისროს ცალკეულ პირს. იმ შემთხვევაში, როცა პირს სასჯელს შეუფარდებენ არა იმ ქალაქში, რომელშიც ის ცხოვრობს, რაიონულმა სასამართლომ მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეიძლება გამოითხოვოს საქმე და უზრუნველყოს გამასწორებელი ზომების აღსრულება. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო არასრულწლოვანს მიუსჯის გამასწორებელ ან საგანმანათლებლო ზომებს, ამის შესახებ უნდა ეცნობოს არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის ადგილობრივ ოფისს, რომელიც პასუხისმგებელია მათს აღსრულებაზე.

გ) პირობითი მსჯავრი პრობაციით გადავადებული სასჯელის პერიოდში. როდესაც ხდება სასჯელის გადავადება არანაკლებ ექვსი თვით, სასამართლოს ამ პერიოდში შეუძლია ბრალდებულს დააკისროს საპრობაციო ზომების შესრულება.

დ) პრობაციის ზომები ზედამხედველობისა და მხარდაჭერისათვის. სისხლის სამართლის კოდექსში (მუხლი 43) შესული მთელი რიგი დამატებებისა დეტალურად აღწერს პრობაციის განსაზღვრებას. 1-ლი პარაგრაფი განსაზღვრავს პრობაციას, როგორც სასჯელის ფორმას, რომელიც შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ზომებს: მხარდაჭერასა და ზედამხედველობას და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. მინიმალური ასაკი პრობაციის შეფარდებისა არის 16 წელი. მხარდაჭერისა და ზედამხედველობის პრობაციის ზომები შეიცავს შემდეგს: მისამართის შეტყობინების იძულება, პრობაციის ოფისში გამოცხადება, სპეციალური მოთხოვნების შესრულება და პრობაციის საერთო საცხოვრებელში ცხოვრება. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა შემოიფარგლება წელიწადში 100-დან 300 საათამდე (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა არ შეიძლება გრძელდებოდეს სამ წელზე მეტ ხანს) და უნდა შეიცავდეს სპეციალურ მოთხოვნებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არ წარმოადგენს სასჯელის ფორმებს. ეს მოთხოვნებია: კომპენსაციის გადახდა იმ პერიოდში, რომელიც ასახულია მოთხოვნაში, სამედიცინო მკურნალობის მიღება, გარკვეულ დროს განსაზღვრული ადგილის მონახულების აკრძალვა და ტრენინგებზე დასწრება. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება საპატიო მიზეზის გარეშე დაარღვევს აღნიშნულ მოთხოვნებს, მას პრობაცია შეეცვლება პატიმრობით, შემდეგი გამოანგარიშებით: პრობაციის სამი დღე უთანაბრდება პატიმრობის ერთ დღეს. ასეთ შემთხვევებში პატიმრობა შეიძლება იყოს სამ თვეზე ნაკლები, რაც პატიმრობის მინიმალურ ვადას წარმოადგენს.

4.2.1.3 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი

პატიმრობის ალტერნატივების გამოყენების საშუალება უფრო მეტია სასამართლო განხილვის შემდგომ პერიოდში, ვიდრე დანარჩენ ორ ეტაპზე. მათი გამოყენება უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის კოდექსით, სისხლის საპროცესო კოდექსით, სასჯელთა აღსრულების კანონით და აღსრულების საკანონმდებლო ბრძანებით. აღნიშნული შეიცავს ალტერნატივების მთელ რიგს:

ა) საპატიმრო სასჯელის შეწყვეტა ან გადავადება: შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გარემოებების არსებობისას:

როდესაც მსჯავრდებული ციხეში მშობიარობს;

ოჯახური ან სოციალური ბუნების მქონე გამოანაკლის შემთხვევაში მაქსიმალური ვადით, 3 თვით;

სერიოზული ავადმყოფობისას, სანამ მსჯავრდებული გამოჯანმრთელდება;

სკოლის/უნივერსიტეტის გამოცდების პერიოდში, 10 დღის ვადით.

რაიონის პროკურორის უფლება აქვს შეწყვიტოს სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობას 7 დღეზე ნაკლები ვადით. იმ შემთხვევაში, თუ პატიმრობა ითვალისწინებს მეტ პერიოდს, აღნიშნული ტიპის გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. სასჯელის შეწყვეტის წინადადება შეიძლება მოდიოდეს ციხის დირექტორისგან.

ბ) პირობით ვადამდე გათავისუფლება (სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლი): სასამართლოს შეუძლია პატიმარს შეუფარდოს პირობით ვადამდე გათავისუფლება, თუ მას მოხდელი აქვს პატიმრობის, სულ მცირე, ერთი მესამედი. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული კლასიფიცირდება, როგორც საშიში რეციდივიზმი, მსჯავრდებულს მოხდელი უნდა ჰქონდეს სასჯელის, სულ მცირე, 2/3 და არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს. სასამართლო ამ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დარწმუნდეს, რომ პატიმარი კარგად იქცევა და მზად არის იმუშაოს თავის გამოსწორებაზე. ასეთ შემთხვევებში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პატიმრობის პერიოდში ზედამხედველი სოციალური მუშაკის მოხსენებას. პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადის შეფარდებისას პრობაციის პერიოდი უნდა შეესაბამებოდეს სასჯელის დარჩენილ ვადას. არასრულწლოვნების შემთხვევებში, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ არასრულწლოვანი გამოსწორდა, მას შეიძლება შეეფარდოს პირობით ვადამდე გათავისუფლება სასჯელის 1/3-ის მოხდის შემდეგ.

გ) პირობით ვადამდე გათავისუფლება საპრობაციო ვალდებულებებით (სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლი): აღნიშნულ შემთხვევებში სასამართლო აწესებს იმავე პირობებსა და პროცედურებს, რომლებსაც იყენებს პრობაციის შეფარდებისას.

დ) საპრობაციო ვალდებულებების გაუქმება: იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული თავისი საქციელითა და შრომისმოყვარეობით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს საპრობაციო ვალდებულებები.

ე) შეწყალება: ბულგარეთის კონსტიტუციის 98-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს შეიწყალოს მსჯავრდებული პირი. 1992 წლიდან, კონსტიტუციის 104-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტმა ეს უფლებამოსილება მიანიჭა ვიცე-პრეზიდენტს. პრეზიდენტი ქმნის შეწყალების კომისიას, რომელიც შესაბამის რჩევებსა და რეკომენდაციებს აძლევს ვიცე-პრეზიდენტს. შეწყალების უფლების გამოყენების წინაპირობებს არეგულირებს არსებული კანონმდებლობა. შეწყალების მიმართვის გაკეთების უფლება ბევრ პირს აქვს, თუმცა, როგორც წესი, მისი გამოყენება ხდება მსჯავრდებულის ან მისი ნათესავის მიერ.

ვ) ამნისტია: ამნისტიის თანახმად, პარლამენტს შეუძლია გაათავისუფლოს პირი ცალკეული დანაშაულის ჩადენის პასუხისმგებლობისგან. ბულგარეთში 1984 წლის შემდეგ არ მომხდარა ამნისტიის ისეთი ფორმით გამოყენება, რომელიც შეეხებოდა პატიმრობის განსაზღვრულ პერიოდს. 1998-იდან 1990 წლამდე, ბულგარეთის პოლიტიკური სისტემის ცვლილებიდან გამომდინარე, პარლამენტმა მიიღო ოთხი ამნისტია, ვინაიდან მთელი რიგი დანაშაულობებისა არ შეესაბამებოდა თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებს.

4.3 პენიტენციალური პროგრამები

ყველა სასჯელმისიკლი პატიმრის მიმართ ციხეებში გამოიყენება გამასწორებელი ტრენინგის ინდივიდუალური პროგრამები, რომლებიც ემყარება შემდეგს:

პატიმრის პროცენტის, თვითდაზიანებისა და ძალადობის ტენდენციის, ალკოჰოლზე ან ნარკოტიკებზე დამოკიდებულების, სექსუალური გადახრების და სხვა ფაქტორების შეფასება;

ციხის ექიმის მოხსენებას, პირის ფსიქიკური და მენტალური ჯანმრთელობის და შრომისუნარიანობის შესახებ;

პროფესიული და საგანმანათლებლო კვალიფიკაციის საჭიროებების განსაზღვრა. ინდივიდუალური პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილ დანაშაულს, პატიმრობის ხანგრძლივობასა და ციხის რეჟიმს.

ციხეებში აგრეთვე შესაძლებელია ჯგუფური მუშაობის პროგრამები. ამ პროგრამების თანახმად, პატიმრებს ეხმარებიან ციხეში ადაპტაციაში და გათავისუფლების შემდგომი ცხოვრებისთვის მომზადებაში. ორივე, ჯგუფურ და ინდივიდუალურ, პროგრამებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ჯგუფური მუშაობის პროგრამები უზრუნველყოფს შემდეგს:

კანონმორჩილი ქცევის წესის ჩამოყალიბება;

პრობლემების მოგვარების უნარ-ჩვევები;

იმ სოციალური სამსახურების გაცნობა, რომლებიც უზრუნველყოფილია სხვადასხვა სამსახურის მიერ.

4.4 ზედამხედველობა და მხარდაჭერა პატიმრობის შემდეგ

პატიმრების ვადამდე გათავისუფლებისას სასამართლო ციხის შემდგომ მათზე მზრუნველობასა და ზედამხედველობას აკისრებს ზედამხედველ კომისიებს, ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის ადგილობრივ კომისიებს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს შესაბამისად, შეიძლება ამ ფუნქციების შესრულება დააკისროს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან ცალკეულ პირს, მაგრამ მათ თავიანთი საქმიანობის შესახებ უნდა აცნობონ ზედამხედველ კომისიებს ან არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის ადგილობრივ კომისიებს. ზედამხედველ კომისიას ევალება დაეხმაროს თავის კლიენტს საცხოვრებლის ან სამსახურის მოძებნაში და კანონმორჩილი ცხოვრებისათვის შესაფერისი უნარ-ჩვევების შექმნაში. არასრულწლოვნების შემთხვევაში, აღნიშნულზე პასუხისმგებელი არიან არასრულწლოვანთა დარღვევების თავიდან აცილების ადგილობრივი კომისიები.

4.5 სასჯელის შეფარდების პრაქტიკა

2000 წელს სამოქალაქო და სამხედრო სასამართლოები იხილავდნენ 25.953 საქმეს. ამ პერიოდში სასჯელი შეეფარდა 30.405 პირს. აქედან გამომდინარე, 1999 წელთან შედარებით იკვეთება დანაშაულის ზრდა 8.4%-ით და სასჯელის მოხდა - 3.5%-ით. გასამართლებულ პირთა საერთო რაოდენობიდან 19.072 (63%) იყო 14-იდან 29 წლის ასაკამდე.

2000 წელს 31.533 პირს წაყენა ბრალი, რაც 1999 წელთან შედარებით, 3.3%-ით მეტი იყო. მათგან პატიმრობა შეეფარდა 17.311 პირს, პირობითი - 13.094 პირს და სამართლებრივი დევნა შეწყდა 739 პირის მიმართ. დანაშაულის ჩადენის პერიოდში გასამართლებულ პირთა ნახევარი იყო უმუშევარი და უმეტესობა მათგანი გათავისუფლებული ყოფილი სამსახურიდან. 1999 წელთან შედარებით უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა 2%-ით. უმუშევარ მსჯავრდებულთა 40%-ზე მეტი იყო ახალგაზრდა, 18-დან 29 წლის ასაკამდე. მათგან 29% უმუშევრად დარჩა, როდესაც იხდიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს ან სწავლობდა.

ტაბულა 1-ში წარმოდგენილია 2000 წელს მისჯილ სასჯელთა სახეობები:

ტაბულა 1: 2000 წელს მისჯილ სასჯელთა სახეობები:

დანაშაული ქონების წინააღმდეგ	53.3%
დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ	8%
საყოველთაო საფრთხის მატარებელი დანაშაული	18%
ეკონომიკური დანაშაული	20.7%

1999 წელთან შედარებით 2000 წელს გაიზარდა მდედრობითი სქესის მიერ ჩადენილი დანაშაულის ოდენობა (ტაბულა 2):

ტაბულა 2: 1999 და 2000 წლებში ჩადენილი დანაშაულები სქესის მიხედვით

მსჯავრდებულები სქესის მიხედვით	საერთო რაოდენობა		პროცენტი	
	1999	2000	1999	2000
მამრობითი	23.107	28.061	93.5%	92.3%
მდედრობითი	1.603	2.344	6.5%	7.7%
სასჯელმისჯილთა საერთო რაოდენობა	24.710	30.405	100%	100%

1999 და 2000 წლებში მსჯავრდებულთა ასაკები მოყვანილია მე-3 ტაბულაში:

ტაბულა 3: 1999 და 2000 წლებში მსჯავრდებულები ასაკის მიხედვით

მსჯავრდებულ პირთა ასაკი	საერთო რაოდენობა		პროცენტი	
	1999	2000	1999	2000
14-17	2.631	3.392	10.7%	11.2%
18-29	12.501	15.680	50.6%	51.5%
30-39	5.132	6.374	20.8%	21.0%
40-49	2.755	3.382	11.1%	11.1%
50+	1.291	1.557	5.2%	5.2%
სხვები	400		1.6%	
სასჯელმისჯილთა საერთო რაოდენობა	24.710	30.405	100%	100%

2000 წელს სასჯელმისჯილ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა იყო 3.392, რაც შეადგენდა საერთო რაოდენობის 11.2%-ს. აღნიშნული 1999 წელთან შედარებით შეადგენდა 29%-ით მეტს. 2000 წელს 10 მსჯავრდებული გასამართლებული იყო მკვლელობისათვის წინასწარი განზრახვით, დანაშაულისათვის ქონების წინააღმდეგ - 3.055, ქურდობისათვის - 2.636, მარცვისათვის - 329 და საცხოვრებლის გაქურდვისათვის - 48 პირი.

აღნიშნულ სასჯელმისჯილ არასრულწლოვანთაგან 554-მა, ანუ 16%-მა, დანაშაული ჩადინა ხელმოკრედ, რაც 1999 წელთან შედარებით 39%-ით მეტია. ყველაზე მეტად გაიზარდა ქონებრივი დანაშაული. სასჯელმისჯილ არასრულწლოვანთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენდა მამრობითი სქესის პირი (3.237, 95%), ხოლო მდედრობითი სქესისას - 5% (165). დანაშაულის ჩადენის პერიოდში არასრულწლოვანთა 70% არც მუშაობდა და არც სკოლაში დადიოდა. სასჯელმისჯილ არასრულწლოვანთაგან 904 (26%) დადიოდა სკოლაში და 105 (4%) მუშაობდა. 2000 წელს სასჯელმისჯილ არასრულწლოვანთაგან 169 დადიოდა გამასწორებელ სკოლაში და 101 (3%) იყო არასრულწლოვანთა ციხეში. 2000 წელს სასჯელმისჯილ არასრულწლოვანთა 20% (683) 14 წელს გადაცილებული იყო და დანაშაულის ჩადენის პერიოდში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო 73 იყო 14 წლის ასაკის ქვევით.

ტაბულა 4: 1995-2000 წლებში ციხეებში მოხვედრილთა რაოდენობა

	1995	1996	1997	1998	1999	2000
საერთო რიცხვი	8529	9684	10887	11541	11237	10147
პატიმრობამისჯილი	6661	7107	7736	9347	9848	9169
პატიმართა რაოდენობის შეფარდება 100.000 მოსახლეზე	68.6	73.04	81.6	98.8	104.1	96.9
პატიმრობაში დაბრუნება	1868	2577	3151	2194	1389	978
პირველად ჩადენილი დანაშაული	3128	3344	3686	4501	4639	4352
რეციდივისტები	2697	2855	3113	3737	3923	3682
პირობით ვადამდე გათავისუფლება	826	894	922	1097	1233	1088
მეწყალეებულები	10	14	15	12	53	47

ტაბულა 5: საპატიმრო ვადის ხანგრძლივობა 1995-2000 წლებში

სასჯელის ხანგრძლივობა	1995	1996	1997	1998	1999	2000
1 წელზე ნაკლები	352	429	483	785	703	619
%	6%	7%	7%	9%	8%	8%
1-დან 3 წლამდე	1678	1778	1992	2767	2730	2484
%	28%	29%	29%	32%	32%	31%
3-დან 5 წლამდე	1407	1453	1639	2141	2081	1886
%	24%	23%	24%	24%	24%	24%
5 წელზე მეტი	2388	2539	2646	3074	3012	2943
%	41%	41%	39%	35%	35%	37%
საერთო	5825	6199	6760	8767	8526	7932

2001 წლის 1 იანვრისათვის პატიმართა რაოდენობა იყო 8.971, რაც ფაქტობრივად არ შეეკლია წლის ბოლოსთვის და შეადგენდა 8.994-ს. ამავე წელს გასამართლებამდე წინასწარ პატიმრობაში მყოფთა რაოდენობა 1.457-დან გაიზარდა 1.744-მდე.

უკანასკნელი წლების მანძილზე დაპატიმრებულთა უმეტესობა წარმოადგენდა პირს, რომელიც იყო მენტალური დარღვევებით, ალკოჰოლიკი, ნარკომანი ან სოციალურად დაუცველი. ალკოჰოლიკთა და ნარკომანთა ძირითადი ასაკი 18-დან 24 წლამდეა.

ამავე პერიოდში ციხეებში მიიღეს 7.087 პირი და გაათავისუფლეს 7.059 პატიმარი. ამ უკანასკნელთაგან 900 გაათავისუფლდა პირობით ვადამდე ადრე, ხოლო 9 შეწყალებული იყო. ამავე წელს 23.466 პირი დააკავეს წინასწარი გამოძიების პროცესისას. მათ შორის 5.181 გამოძიების პროცესში იყო, 3.811 წარმოადგენდა პოლიციის მოკვლევის საგანს, 14.309 ელოდებოდა სასჯელის შეფარდებას და 165 კი სამხედრო პროკურორის გადაწყვეტილებას. 1.448 პირი დააკავებული იყო 2-დან 6 თვემდე და 413 - 6 თვეზე მეტი ხნით.

2001 წელს ციხეებში დაფიქსირდა გაათავისუფლების ვადის გადაცილების 76 შემთხვევა. ასეთმა ფაქტებმა 2000 წელთან შედარებით დაიკლო 13 ერთეულით. უმეტესად ასეთი უკანონო დაკავების ფაქტები ერთ თვემდე ვადით იყო.

1997-2001 წლებში შეწყალების კომისიას მიმართეს 5.587 თხოვნით, რომელთაგან დაკმაყოფილდა 1008 საქმე (105 შეწყალებულ იქნა მთლიანად და 903 - ნაწილობრივ).

4.6 შეჯამება

სისხლის სამართლის კანონპროექტის 43-ე მუხლში აღწერილია პრობაცია, როგორც სანქციის სახეობა და საპრობაციო ვალდებულებები ზედამხედველობისა და მხარდაჭერისათვის; გამოიყენება შემდეგი სანქციების შეფარდებისას: იძულებითი საცხოვრებელი და გარკვეულ დასახლებაში ცხოვრების უფლების ჩამორთმევა. აღნიშნულის გარდა, საპრობაციო ვალდებულებები გამოიყენება პირობითი მსჯავრისას, როდესაც საპატიმრო სასჯელის ვადა არ აღემატება სამ წელს და სასჯელის გადავადება არანაკლებ 6 თვეა. სასამართლოს აგრეთვე უფლება აქვს, პირობითი ვადამდე გაათავისუფლებისას პრობაციით 6 თვეზე მეტი ხნის ვადით, შეუფარდოს საპრობაციო ვალდებულებები. კანონპროექტი ითვალისწინებს დამოუკიდებლად, ალტერნატიულ ან დამატებით სანქციის ფორმად პრობაციის გამოყენების საშუალებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის აგრეთვე მომზადებულია დამატებების პროექტი, რომლის თანახმადაც, პრობაციის ოფიცრებმა უნდა მოამზადონ მოხსენებები ბრალდებულის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღებაში.

მას შემდეგ, რაც ბულგარეთში შეიქმნება პრობაციის სისტემა და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება სასჯელთა აღსრულების კანონში, ყველა ზემოთ მოყვანილი ცვლილება დამკვიდრდება ბულგარეთის სასჯელთა სისტემაში. აღნიშნული პროცესის დასრულება მოსალოდნელია 2003 წლის ბოლოსათვის.

დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, რეგისტრაცია

ბულგარეთის სისტემაში არსებული ყველა საპრობაციო ქმედობა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ. უახლოეს პერიოდში ბულგარეთში დაიწყება პრობაციის სისტემის შექმნა, მაგრამ ის დეტალური ინფორმაცია, თუ საიდან მოხდება მისი დაფინანსება, უცნობია. ბიუჯეტს პრობაციის სისტემისათვის გამოყოფს სახელმწიფო, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია იქნება ეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, თუ შევა იუსტიციის

სამინისტროს შემადგენლობაში და ექნება თუ არა მას საკუთარი დაფინანსების გასაზრდელად ფინანსური დამოუკიდებლობა.

დღესდღეობით ციხის სამსახურს არ გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი და მას იუსტიციის სამინისტრო აფინანსებს. სხვა ისეთ სტრუქტურებს, როგორებიცაა ზედამხედველი კომისიები და არასრულწლოვანთა დარღვევების პრევენციის ადგილობრივი კომისიები, რომლებიც ახორციელებენ საპრობაციო საქმიანობას, აგრეთვე აფინანსებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. აღნიშნული ძალიან ართულებს ამ ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის მოპოვებას დაგეგმილი ხარჯების შესახებ. ამგვარი სისტემა ხელს უშლის აგრეთვე მათი ხარჯების სწორად წარმართვას. ყველა ამ სააგენტოს აქვს შიდა სისტემა, რომელიც პასუხისმგებელია ხარჯვით ნაწილზე და ისინი ანგარიშვალდებული არიან მათი დამფინანსებელი ორგანოს წინაშე (იუსტიციის სამინისტრო ან შესაბამისი მუნიციპალიტეტი). ყველა ორგანიზაციაში საბიუჯეტო კონტროლს ახორციელებს ამ ორგანოს მმართველი რგოლი.

ბულგარეთში შექმნილია საერთო საინფორმაციო ბაზა ყველა სასჯელმისიკილ მსჯავრდებულზე და ნასამართლობის შესახებ. აღნიშნული ბაზიდან ინფორმაციის მოპოვების საშუალება აქვთ: პროკურატურას, საგამომიებო ოფისს და სასამართლოს. ყველა პიროვნებას უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია საკუთარი ნასამართლობის შესახებ.

ციხეებში არ ხდება სოციალური სამსახურების საქმიანობის მონიტორინგი. ასეთი სახის სამსახური შეიქმნება უახლოეს პერიოდში, პრობაციის სამსახურის შექმნასთან ერთად.

ბულგარეთში ყველა პატიმარზე შექმნილია სპეციალური საქმე, რომლის განახლებაც მიმდინარეობს რეგულარულად. ამ ინფორმაციას იყენებენ სოციალური მუშაკები, ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმვისა და რისკის განსაზღვრისათვის, ან როდესაც ამზადებენ მოხსენებას ვადამდე გათავისუფლების, შეწყალების ან ციხის რეჟიმის შესაცვლელად. ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც ხდება სოციალური მუშაკების საქმიანობის შეფასება, არის პატიმართა საქმეებში მათ მიერ შედგენილი მოხსენების ხარისხი.

პრობაციის კლიენტთა უფლებები

სისხლის სამართლის კოდექსის კანონპროექტი არ ითვალისწინებს პრობაციონერთა უფლებებს სასამართლო განხილვის პროცესის დროს და წინასწარი გამოძიებისას. სამართალწარმოების ამ ეტაპებზე, მათი უფლებები განსაზღვრულია კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. პრობაციონერთა უფლებები, პრობაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ან საპრობაციო ვალდებულებები მხარდაჭერისა და ზედამხედველობისათვის წარმოადგენს ცალკე ჩამოყალიბებულ პარაგრაფს სასჯელთა აღსრულების კანონის ახალი მუხლისა, რომლის მიღებაც უნდა მოხდეს უახლოეს პერიოდში. ამ მუხლის მიღება პარლამენტის მიერ დაგეგმილია 2002 წლის შუა პერიოდში.

არსებული მიღწევები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უახლოეს წლებში ბულგარეთში შეიქმნება პრობაციის სამსახური. 2002 წელს პარლამენტი მიიღებს შესაბამის ცვლილებებს სისხლის სამართლის კოდექსში. არსებული მთავრობა 2002 წლის ბოლოსათვის გეგმავს შესაბამისი ცვლილებების შეტანას სისხლის სამართლის პროცესში და კანონში სასჯელთა აღსრულების შესახებ. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ 2003 წელს ბიუჯეტი არ არის გათვალისწინებული პრობაციის სისტემისათვის, რეალურად ეს სამსახური ფუნქციონირებას დაიწყებს 2004 წლიდან.

არსებული მიღწევების პარალელურად, პილოტური პროექტების ფარგლებში, რომლებიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო და მუნიციპალური სააგენტოების მიერ, შეიქმნება პრობაციის ცენტრები. აღნიშნული პილოტური პროექტების ფარგლებში მიღწეული გამოცდილება ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს მთავრობას პრობაციის სისტემის ჩამოყალიბებაში.

მისამართები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართები და ვებგვერდები

Ministry of Labour and Social Policy,
2. Triaditza str.,
1051 Sofia,
Bulgaria.
tel.: (+3592) 91 408
fax: (+3592) 986 13 18 or 981 91 72
mlsp@mlsp.government.bg
Ms. Ekaterina Vitkova,
Head of public Relations Unit.

Ministry of Justice,
1 Slavyanska str.,
1040 Sofia,
Bulgaria.
tel.: (+3592) 91 408
pr@mjeli.government.bg
www.mjeli.government.bg
Ms. Marusja Toshkova,
Head of Press and PR Department.

Ministry for Science and Education,
2 Dondukov str.,
1000 Sofia
Bulgaria.
tel.: (+3592) 987 49 51
fax: (+3592) 988 24 85
press_mon@minedu.government.bg

**Mr. Vladimir Dikov,
Head of Press and PR Department.**

**Chief Directorate for the Enforcement of
Punishments,
21 Stoleotov blvd.,
1309 Sofia,
Bulgaria.
tel: (+3592) 31 80 13
fax: (+3592) 32 21 84
gumls@abv.bg
Petur Vassilev, Director.**

**State Agency for Child Protection,
2 Triadidza str.,
1051 Sofia,
Bulgaria.
tel: (+3592) 933 90 30
tel: (+3592) 933 90 40
tel: (+3592) 933 90 50
fax: (+3592) 980 24 15+
sacp@sacp.government.bg
Ms. Velina Todorova,
Head of International Cooperation and
Programmes Directorate
Movement for Penal Reform in Bulgaria,
112 Vitosha blvd.,
1463 Sofia,
bulgaria.
tel: (+3592) 088 466 334
ivan_davidov@hotmail.com
Ivan Davidov.**

**Association for Re-integration of Sentenced
Persons,
50 Aksakov str.,
1000 Sofia,
Bulgaria.
tel: (+3592) 048 972 309
(+3592) 989 39 83
stolco@hotmail.com
www.arsp.net
Daniel Stoyanov,
Chair of Management Board.**

**Institute for Social Practice and Activities,
2 Lulin Planina str., ap.7,
1606 Sofia,
Bulgaria.
tel: (+3592) 088 843 631**

დამატება 1: სტატისტიკა

სტატისტიკური ინფორმაცია 2001 წელს არსებულ პატიმართა შესახებ. ინფორმაცია მოწოდებულ იქნა სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტისა და სასაჯელთა აღსრულების მთავარი დეპარტამენტის მიერ.

ტაბულა ა: 2001 წელს პატიმართა რაოდენობა პატიმრობის ადგილის მიხედვით

ციხე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბელენე	556	580	567	587	585	592	565	588	566	562	540	548
ბობოვ დოლი	283	293	291	289	291	391	412	423	410	399	384	380
ბურგასი	474	489	499	491	491	473	467	462	457	445	431	437
ვარნა	535	529	541	520	513	529	532	533	529	520	502	495
ვრატზა	541	548	549	562	547	566	554	568	553	553	536	520
ლოვეტრი	1206	1219	1231	1264	1270	1296	1274	1241	1254	1258	1245	1244
პაზარდვიკი	716	719	718	723	731	751	769	791	802	777	760	770
პლევენ	510	508	518	533	532	523	525	540	540	539	512	489
პლოვდივი	446	460	443	464	474	461	444	444	418	461	402	419
სლივენ	229	227	232	242	246	247	251	252	251	241	234	234
სოფია	994	1014	984	983	957	882	865	879	877	875	834	834
სტარა ზაგორა	952	976	990	990	989	976	962	984	961	934	004	904
ბოიჩინოვი	72	73	70	81	86	86	77	78	76	76	76	76
ჯამი	7514	7635	7633	7729	7712	7773	7714	7783	7720	7597	7360	7359

ტაბულა ბ: პატიმრები ეთნიკური წარმოშობის მიხედვით 2001 წელს

ბულგარელები	3784
თურქები	1310
რუმინელები	2271
უცხოელები	41
სხვა	108

ტაბულა გ: პატიმართა განათლება და ასაკი 2001 წელს

განათლების დონე	18	19-25	ასაკი 26-35	36-40	40 +
განათლების გარეშე დაწყებითი სკოლა	19	337	355	100	108
ბირითადი სკოლა	33	523	723	147	269
საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასები	3	548	1623	489	776
ტექნიკური სკოლა	0	95	486	190	297
კოლეჯი	0	35	135	43	103
უმალესი	0	0	6	3	14
	0	0	12	10	32

თავი 3

ჩენეთის რესპუბლიკა

ლენკა ოურედნიკოვა
პაველ შტერნი
დაგმარ დუბრაგოვა

ძირითადი ინფორმაცია ჩეხეთის რესპუბლიკის შესახებ და პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება

1.1 პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული სიტუაცია

1992 წლის მეორე ნახევარში, როდესაც ჩეხეთისა და სლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებმა მიაღწიეს შეთანხმებას გაყოფის შესახებ, 1993 წლის 1 იანვარს ჩეხეთის რესპუბლიკამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. დედაქალაქია პრაღა (1.1 მილიონი მაცხოვრებელი). ჩეხეთის რესპუბლიკა, რომელიც 3 ფორმალური ქვეყნისაგან (ზოჰეშია, მორავია, სილეზია) შედგება, მდებარეობს ცენტრალურ ევროპაში და ესაზღვრება გერმანიას, პოლონეთს, სლოვაკიას და ავსტრიას. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, ჩეხოსლოვაკია იყო სოციალისტური ბლოკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც კონტროლდებოდა საბჭოთა კავშირის მიერ. ეკონომიკას, პოლიტიკასა და სოციალურ ცხოვრებას მართავდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია. 1989 წლის ნოემბრის შემდეგ (ხავერდოვანი რევოლუცია) ჩეხეთის რესპუბლიკა გადაიქცა სტაბილური პოლიტიკური სისტემის მქონე დემოკრატიულ ქვეყნად. ქვეყნის მეთაურს წარმოადგენს პრეზიდენტი. მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. საკანონმდებლო ხელისუფლება განაწილებულია პარლამენტის ორ პალატაზე: ქვედა პალატა (200 წევრი) და სენატი (81 წევრი). ქვედა პალატა შედგება სოციალ-დემოკრატებისგან (30%), სამოქალაქო დემოკრატებისგან (25%), კომუნისტებისგან (19%) და ქრისტიან-დემოკრატებისა და მემარჯვენე პარტიების კოალიციისგან (14%). ჩეხეთის რესპუბლიკა არის მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის (გაერო, ნატო, ევროსაბჭო) წევრი და ახლა მოლაპარაკებებს აწარმოებს ევროკავშირის წევრობაზე. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები მოცემულია ტაბულა 1-ში:

ტაბულა 1: ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

მაჩვენებელი	შეფასება	ანგარიშის თარიღი
GDP per capita	6.520 ევრო	21 მარტი, 2002 წელი
GDP growth	3.6%	21 მარტი, 2002 წელი
ჩეხური კრონის		
შეფარდება ევროსთან	3.48 კრონი	18 ივნისი, 2002 წელი
ეროვნული ბიუჯეტის		
დეფიციტი	-68 მილიარდი	5 აპრილი, 2002 წელი
საშუალო თვიური		
ხელფასი	14.204კრ (405 ევრო)	3 ივნისი, 2002 წელი
ინფლაცია	4.7%	9 იანვარი, 2002 წელი
უმუშევრობის დონე	8.1%	31 დეკემბერი, 2001 წელი

1.2 პროზაგია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება

1.2.1 სასჯელის გადავადებისა და პირობით გათავისუფლების განვითარება

ჩეხეთის რესპუბლიკის სამართლებრივი სისტემის განვითარებაზე ძალიან დიდი გავლენა იქონია სოციალურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა. 1918 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკია გახდა დამოუკიდებელი ერთეული, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაინერგა მთელი რიგი ნორმებისა, რომლებიც იმ ეპოქისათვის ძალიან თანამედროვე იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სისხლის სამართლის პოლიტიკა მოექცა ტოტალური კომუნისტური რეჟიმის გავლენის ქვეშ. მიუხედავად აღნიშნული ფაქტისა, ჩეხეთის სამართლებრივ სისტემაში დამკვიდრდა ძალიან ბევრი სამართლებრივი და პროცედურული მეთოდი, რომლებიც ძალიან ჰგავდა პროზაგიას.

ამ სამართლებრივ სისტემაში მთავარი იყო სასჯელის გადავადება (სისხლის სამართლის კოდექსის 58-59 მუხლი) და პირობითი გათავისუფლება. ორივე ნორმა გულისხმობდა სასამართლო განხილვის პროცესში ბრალდებულზე ზედამხედველობას, რასაც სასამართლო ახორციელებდა პოლიციის მეშვეობით და საცხოვრებელ ადგილზე მისი რეპუტაციის განსაზღვრით. დღევანდელი გადასახედიდან აღნიშნული ფორმალურ ხასიათს ატარებს. სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლი ისეთ ორგანიზაციებს, როგორებიცაა შრომითი კოლექტივები, ეკლესია, პროფკავშირები საშუალებას აძლევდა მიეცათ ბრალდებულის რეაბილიტაციის გარანტია. ასეთი გარანტიების მიცემას შეიძლება გავლენა ჰქონოდა სასჯელის შეფარდებაზე და გამოეწვია პირობითი მსჯავრის შეფარდება ან საერთოდ სამართალწარმოების შეწყვეტა. 1980 წელს იმპლემენტირებული პროზაგიის ელემენტების მქონე ნორმები, რომლებსაც ეწოდებოდა „დაცვითი ზედამხედველობა“, მიზნად ისახავდა პოლიციის ორგანოების მიერ ზედამხედველობის განხორციელებას და თავისი არსით რეპრესიული ხასიათისა იყო. ყოფილი რეჟიმის მიერ ასეთი სახის ზედამხედველობა ძალიან ხშირად მიმართული იყო ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების შეზღუდვისკენ და გამოიყენებოდა დისიდენტების მიმართ (მაგალითად, ქარტია 77-ის აქტივისტების მიმართ). ეს ნორმები გაუქმდა 1990 წელს.

1.2.2 სოციალური კურატორები

1970-80-იანი წლების ტენდენციებმა ჩეხეთის რესპუბლიკაში დააჩქარა მუშაობა სოციალურ ქვეყანაზე ფოკუსირებულ მსჯავრდებულების მიმართ. ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე შექმნილ „სოციალური კურატორების“ სისტემას კურირებდა შრომისა და სოციალური ურთიერთობების სამინისტრო. აღნიშნული კურატორების ქსელი გაფართოვდა და დღემდე ფუნქციონირებს. ამ ორგანოს მთავარი დანიშნულებაა ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულებისათვის სოციალური დახმარების გაწევა. ციხის შემდგომი მზრუნველობა, მთლიანად ნებაყოფლობით საფუძველზე, მიმართულია სრულწლოვნებისა და ახალგაზრდების მიმართ. „ახალგაზრდების კურატორების“ ანალოგიური სისტემა შეიქმნა აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, რომელიც დახმარებასა და ზედამხედველობას უწევდა იმ პრობლემურ ბავშვებს, რომელთა მიმართაც მიმდინარეობდა სისხლის, სამოქალაქო და ოჯახური სამართლით რეგულირებული სამართალწარმოება. ახალგაზრდების კურატორები მკიდრო საქმიანობას ეწეოდნენ სასამართლოებთან, სასამართლო მოსმენის დროს აწვდიდნენ მტკიცებულებებსა და

მოსხენებებს ახალგაზრდა მსჯავრდებულთა ოჯახური და სოციალური მდგომარეობის შესახებ. ისინი აგრეთვე ახორციელებდნენ შემდგომ მზრუნველობას ციხიდან გათავისუფლებულ ახალგაზრდებზე. ჩეხეთის რესპუბლიკაში არც ერთი ზემოთ მოყვანილი თანამდებობის პირი არ მუშაობს დაზარალებულებთან და არ ერევა საზოგადოებრივი სანქციების აღსრულებაში. აღნიშნული კურატორების საქმიანობას არეგულირებს 359/1999 კანონი. დღესდღეობით ქვეყანაში, დაახლოებით, 150 სოციალური და 350 ახალგაზრდების კურატორია, რომლებიც მუშაობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებში, მაგრამ მათ ზედამხედველობს შრომისა და სოციალური ურთიერთობების სამინისტრო. ჩეხოსლოვაკიაში ეს სისტემა, განსაკუთრებით კი სოციალური კურატორებისა, ეწეოდნენ პრობაციის მსგავს საქმიანობას. სამწუხაროდ, ტოტალური რეჟიმის პერიოდში სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის არსებულმა განსხვავებულმა პრიორიტეტებმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ არ შეუწყო ხელი პრობაციის სისტემის განვითარებას. 1970 წლიდან სოციალურმა მუშაკებმა დაიწყეს საქმიანობა ციხის სისტემაში. მათს ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენდა პატიმრობის პერიოდში მსჯავრდებულებისათვის დახმარების გაწევა, დემყარებინათ კავშირი ოჯახთან და მოშადებულებიყვნენ ციხიდან გათავისუფლებისათვის.

1989 წლიდან ჩეხეთის რესპუბლიკაში პოლიტიკურსა და სოციალურ სისტემაში მომხდარმა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა საფუძველი ჩაუყარა პრობაციისა და შუამავლობის სისტემის შექმნასაც. ამის ნათელი მაგალითია 1991 წელს დაწყებული ექსპერიმენტი „ალტერნატივები არასრულწლოვნებისთვის ციხის გარეშე“. ეს ექსპერიმენტი მცირე ცვლილებებით ხორციელდებოდა როგორც ქ. პრადაში, აგრეთვე მის გარეთ. 1994 წელს სოციალური სამუშაოების განვითარების ასოციაციამ სისხლის სამართლის სისტემაში წამოიწყო პროექტი, რათა გამოეცვლია პრობაციისა და შუამავლობის ეფექტი. იგი მოიცავდა საპრობაციო ზედამხედველობას, წინასაგამოძიებო მოხსენებას და სასამართლოს გარეშე ზარალის ანაზღაურებასა და შუამავლობას. ამ პროექტებს დიდი გავლენა ექნებათ პრობაციის ოფიცერების შემდგომ საქმიანობაზე. პრობაციისა და შუამავლობის სისტემის დასამკვიდრებლად მომხდარმა ცვლილებებმა შეამცირა საპატიმრო დანაშაულთა რაოდენობა და დაამკვიდრა სხვა სახის ნორმები. 1993 წელს შემოღებულ იქნა სამართლებრივი დენვის პირობითი გადავადება (კანონი 292, 307, 308), 1996 წელს ზარალის ანაზღაურება და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა (კანონი 152/1995, 309-14); 1998 წელს - სასჯელის გადავადება ზედამხედველობით და პირობითი უარი სასჯელზე ზედამხედველობით (კანონი 253/1997).

ახალი საზოგადოებრივი სანქციების იმპლემენტაციაში დასარწმუნებლად მთავრობის საკანონმდებლო აქტით „პროგრამა დანაშაულებრიობის თავიდან ასაცილებლად“ რაიონულ და რეგიონალურ სასამართლოებში შეიქმნა პრობაციის ოფისები. რაიონულ და ზოგიერთ რეგიონალურ სასამართლოში პრობაციის ოფიცერთა საქმიანობას ახორციელებენ სასამართლოს თანამშრომლები. მათს საქმიანობაში ძირითადად შედის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მსჯავრდებულებისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ადმინისტრაციული კონტროლი. ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, ქ.პრადაში, ქ.კარლოვი ვარსა და ქ. ბრნოში პრობაცია და შუამავლობა ხორციელდება სასამართლოებსა და სახელმწიფო ბრალმძებელს შორის მჭიდრო თანამშრომლობით. 2000 წელს შეიქმნა სამოდელო ცენტრები პრადაში, ოსტრავასა და უსტი ნად ლაბემში. ამავე წელს დაიწყო პრობაციის მომავალ ოფიცერთა ტრენინგის პილოტური პროექტი. იგი დაფინანსებული იყო ფონდ „ღია საზოგადოება - პრადის“, COLPI/OSI ბუდაპეშტისა და ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ. პროექტი განაზოცილებს იუსტიციის სამინისტროს შემდგომი განათლების ინსტიტუტმა და კრიმინალური სამართალწარმოებისა და სოციალური სამუშაოების განვითარების ასოციაციამ.

ამ ცვლილებებმა 2000 წელს საფუძველი ჩაუყარა კანონმდებლობაში პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის შექმნას და მიღებულ იქნა 2001 წლის 1 იანვარს. შედეგად შეიქმნა პროცედურების ჩარჩო, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ისეთ საქმეებზე, როგორებიცაა გასამართლებისაგან თავის შეკავება და პატიმრობის ალტერნატივები. აღნიშნული ნორმების განსახორციელებლად მსჯავრდებულს შეუძლია მიიღოს დახმარება, რჩევა და ზედამხედველობა, რომელიც მოიცავს მუშაობას ოჯახთან და მეზობლებთან. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურს აგრეთვე შეუძლია დაეხმაროს დაზარალებულს დანაშაულის გავლენის შემცირებაში. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურს საშუალება აქვს სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე დაეხმაროს სასამართლოებს, სახელმწიფო ბრალდებლებსა და პოლიციას.

2002 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა განახლებული სისხლის სამართლის პროცედურები. ამან შესაძლებელი გახადა ზედამხედველობით პატიმრობის შეცვლა პირობით გათავისუფლებით. ახალმა კოდექსმა განსაზღვრა აგრეთვე ტერმინი ზედამხედველობა, ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მსჯავრდებულის ვალდებულებები და ზედამხედველობის განმახორციელებელი პრობაციის ოფიცრის უფლებამოსილება.

1.3 შეჯამება

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ისტორიული განვითარება დაკავშირებულია ჩეხეთის რესპუბლიკის კულტურულ, სოციალურსა და პოლიტიკურ ისტორიაზე. განხორციელებული მთელი რიგი ფუნდამენტური ცვლილებების გამოწვეული იყო 1989 წელს მომხდარი ცვლადობით. მსჯავრდებულებთან სოციალური სამუშაოების წარმოება გამომდინარეობდა იმ ტრადიციებიდან, რომლებიც არსებობდა ჩეხოსლოვაკიის პირველ რესპუბლიკაში. 1990-იანი წლებიდან დაიწყო სოციალური სამუშაოები მსჯავრდებულებთან და დაზარალებულებთან. 1990 წლიდან სამართალწარმოებაში დამკვიდრდა სასჯელის ახალი ფორმები ალტერნატიული სანქციები. აღნიშნულის იმპლემენტაციისათვის საჭირო გახდა სოციალური მუშაკები და პრობაციისა და შუამავლობის საქმიანობის გამოყენება. ხუთი წლის შემდეგ, როდესაც პრობაციის მუშაკთა სისტემა გახდა სასამართლო სისტემის შემაღგენელი ნაწილი, მაგრამ მის მიმართ მოქმედებდა უამრავი შეზღუდვა, საჭირო გახდა ახალი კანონის მიღება, რომლის თანახმადაც, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა დამოუკიდებელი პრობაციისა და შუამავლობის სამსახური. ამ კანონის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ ემუშაეთ პრობაციის დარგში. პრობაციისა და შუამავლობის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება 2002 წლის იანვარში ახალი სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღება.

პრობაციის სამსახურის საკანონმდებლო საფუძვლები და დებულება

2.1 სამართლებრივი საფუძვლები

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის როლი სისხლის სამართალწარმოებაში განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსში, სისხლის საპროცესო კოდექსში, კანონში პრობაციისა და შუამავლობის შესახებ და სხვა კანონებში. ამ სამსახურისათვის სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს დებულება, რომელშიც განსაზღვრულია სამსახურის სტრუქტურა, ადგილობრივი ცენტრებისა და მენეჯმენტის კომპეტენცია, პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის საგანმანათლებლო სისტემა, ადგილობრივ ოფისებში თანამშრომელთა სამსახურში აყვანა და მათი გაერთიანების შესაძლებლობა.

2001 წლის 1 იანვარს ძალაში შესული კანონი №257/2000 დეტალურად განსაზღვრავს როგორ უნდა იმოქმედოს პრობაციისა და შუამავლობის სამსახურმა, განსაზღვრავს მის სტრუქტურას (რომელიც განხილულია მე-3 ნაწილში) და მსჯავრდებულსა და დაზარალებულთან მუშაობის უფლებებსა და მოვალეობებს. ამ კანონის თანახმად, პრობაცია განსაზღვრულია, როგორც მსჯავრდებულისა და ბრალდებულისათვის ზედამხედველობის ორგანიზება და მისი უზრუნველყოფა, არასაკატიმრო სასჯელების აღსრულება, სასამართლო განხილვის პერიოდში ციხიდან გათავისუფლებისას ზედამხედველობის განხორციელება, მსჯავრდებულისათვის დახმარების გაწევა და სასამართლოსთვის ან პროკურორისთვის შესაბამისი მოხსენების გაკეთება პირობების დარღვევის შესახებ, რომელმაც სამართლებრივი დარღვევა გამოიწვია.

შუამავლობა განმარტებულია, როგორც სასამართლოს გარეშე კონფლიქტის მოსაგვარებლად მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის ჩარევა და სამართალწარმოების დროს ჩარევა, რომლის მიზანია ასეთი კონფლიქტების მოგვარება. შუამავლობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მსჯავრდებულისა და დაზარალებულის ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში.

კანონი აგრეთვე განსაზღვრავს თანამშრომელთა რანგს, მათს უფლებებსა და ვალდებულებებს, სამსახურში საქმიანობისათვის საჭირო კვალიფიკაციას და სამსახურის სხვა ორგანოებთან თანამშრომლობის უფლებამოსილებას. ეს ორგანოები არ შემოიფარგლება მხოლოდ სამართალწარმოების სისტემით. იგი მოიცავს სხვა ორგანოებსაც და სამსახური ახდენს ასეთი სახის თანამშრომლობის კოორდინაციას.

კანონი ადგენს პრობაციისა და შუამავლობის საბჭოს, რომელიც შედგება იუსტიციის სამინისტროს მიერ დანიშნული მოსამართლეებისაგან, პროკურორებისგან, ექსპერტებისა და სამსახურის თანამშრომლებისაგან. ამ საბჭოს ფუნქციაა ზედამხედველობის განხორციელება და რჩევების მიცემა იუსტიციის სამინისტროსთვის.

სისხლის სამართლის კოდექსის ახალი კანონპროექტი, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის იანვარში, მნიშვნელოვნად ზრდის პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის როლს, პირველად ამკვიდრებს ტერმინს „პრობაციის ოფიცერი“ და განსაზღვრავს მუტ უფლებებსა და მოვალეობებს. პრობაციის ოფიცერი წარმოადგენს სისტემის შემადგენელ ნაწილს და მისი ვალდებულებებია:

მსჯავრდებულებისათვის ზედამხედველობის გაწევა, დადებითი გავლენისა და დახმარების აღმოჩენა და მისი ქცევის კონტროლი;

მსჯავრდებულზე და მის სოციალურ გარემოზე ინფორმაციის მოპოვება;

შუამავლობა მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის შეთანხმების მიღწევაზე;

სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სპეციალური ვალდებულებების აღება საკუთარ თავზე, განსაკუთრებით კი ისეთ საქმეებზე, როდესაც ხდება არასაპატიმრო სასჯელების შეფარდება, ან როდესაც ბრალდებული გათავისუფლებულია სასჯელის მოხდისგან, ან როდესაც ხდება ინდივიდუალური ტიპის მკურნალობის ან დამცავი ნორმების შეფარდება.

2.2 მისია, მიზნები, შეფასება, საფუძვლები

2.2.1 დებულება

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის სახელმძღვანელო განსაზღვრავს სამსახურის მისიას, მიზნებს, შეფასებასა და პრინციპებს. დებულება შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

„პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის მისიას წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოებაში შესაბამისი წვლილის შეტანა მსჯავრდებულებთან ურთიერთობისას ალტერნატიული მეთოდების შეთავაზებით და დანაშაულისათვის შესაბამისი პასუხის გაცემის გზით. პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ამ მიზნის მისაღწევად და ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კონფლიქტის დასარეგულირებლად ახორციელებს შუამავლობასა და ზედამხედველობას და უზრუნველყოფს კონფიდენციალურობას კანონის უზენაესობასა და სისხლის სამართალწარმოების პროცესში. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის მისიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დანაშაულის პრევენცია და ახალი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირება.

2.2.2 მიზნები

მსჯავრდებულის ინტეგრაცია: პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის მიზანია იზრუნოს მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ხელმოწერა ჩადენის გარეშე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის ინტეგრაციასა და საზოგადოების უფლებათა პატივისცემაზე;

დაზარალებულთა მონაწილეობა: პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ცდილობს დაზარალებული ჩართოს ანაზღაურების პროცესში, რათა აღუდგინოს მას უსაფრთხოების, მთლიანობის და სამართლებრივი სისტემის მიმართ ნდობის გრძნობა;

საზოგადოების დაცვა: პრობაციისა და შუამავლობის სამსახურს თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების დაცვის საქმეში კონფლიქტის ეფექტური მოგვარებისა და კრიმინალურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის შემცირებით, აგრეთვე ალტერნატიული სანქციებისა და ნორმების ეფექტური იმპლემენტაციით.

2.2.3 შეფასება

ადამიანის უფლებათა პატივისცემა: კლიენტებთან მუშაობა უნდა ემყარებოდეს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და პატივი უნდა სცეს მათს ღირსებასა და ავტონომიურობას;

კანონიერება: საპრობაციო და საშუამავლო საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს არსებული კანონების თანახმად;

ჩარევის ზომიერება: მსჯავრდებულის მიმართ პრობაციის ოფიცერთა ჩარევა არ უნდა სცილდებოდეს სასამართლოს ან პროკურორის მიერ დადგენილ საზღვრებს.

2.2.4 საფუძვლები

თანასწორობა: სამართალწარმოების პროცესში მონაწილე ორგანოებისათვის ანგარიშის ჩაბარება კლიენტთან გაწეული მუშაობის შესახებ და მსჯავრდებულებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება იმ სისტემისა და გარემოებების შესახებ, რომელშიც ისინი მოხვდნენ დანაშაულის ჩადენის შედეგად;

ინდივიდუალიზაცია: კლიენტის მიმართ წარმოებული საქმიანობა უნდა გამომდინარეობდეს საქმის არსიდან და მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა თუ ინტერესებიდან;

დროული ჩარევა: კლიენტთან კავშირის დამყარების მცდელობა სამართალწარმოების ადრულ ეტაპზე;

თანასწორი შესაძლებლობები: ბალანსის პოვნის მცდელობა მსჯავრდებულის, საზოგადოების და დაზარალებულის ინტერესებსა და საჭიროებებს შორის, რათა მოიძებნოს სწორი გამოსავალი არსებულ საქმესთან მიმართებით;

მოტივაცია: დანაშაულის გავლენის შემცირებისათვის კლიენტთა უსაფრთხო მონაწილეობა. მსჯავრდებულისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და რესურსების შექმნაში დახმარება, რაც დაეხმარება მას იმ ჩვევების შეცვლაში, რომლის გამოც ის იმყოფებოდა კანონთან კონფლიქტში. დაზარალებულს ეძლევა საშუალება, იქონიოს აქტიური გავლენა ანაზღაურების პროცესსა და მეთოდებზე.

2.3 სამიზნე ჯგუფები

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის კლიენტები არიან პირები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული და აგრეთვე ისინი, ვინც არიან დანაშაულის მსხვერპლი. დაზარალებულთა წრე განსაზღვრული არ არის. კანონი უზრალოდ ავალებს პრობაციისა და შუამავლობის სამსახურს იმუშაონ ამ ჯგუფთან: „პრობაციისა და შუამავლობის სამსახური უნდა დაეხმაროს დაზარალებულს, ხოლო იმ პირებს, რომლებსაც დანაშაულის შედეგად მიადგათ ზიანი, აღმოუჩინოს დახმარება“ (კანონი №257/2000, მუხლი 4.3), „შეიტანოს თავისი წვლილი დაზარალებულთა უფლებების დაცვაში“ (მუხლი 4.4). დაზარალებულთა მუშაობას აგრეთვე არეგულირებს ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული შუამავლობის სტატუსები (მუხლები 2.2 და 4.2). პრობაციისა და შუამავლობის სამსახური მუშაობს როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან. ყოველი ალტერნატიული სანქციის არსებობისას კანონი ზუსტად განსაზღვრავს მსჯავრდებულთა სამიზნე ჯგუფს. ძირითადად, ალტერნატიული სანქციების შეფარდება შესაძლებელია ისეთ დანაშაულებზე, რომელთა მიმართ კანონი ითვალისწინებს პატიმრობას ხუთ წელზე ნაკლები ვადით. კანონის თანახმად, კლიენტებთან კონტაქტი შესაძლებელია ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი 5 წელზე მეტია. ისეთ შემთხვევებში, როდესაც წინასწარი გამოძიების პროცესში ჩართულია პრობაციისა და შუამავლობის სამსახური, შესაძლებელია ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვანი

როლი შეასრულოს არასაპატიმრო სასჯელის შეფარდების საქმეში. პირობით ვადამდე გათავისუფლების ან პატიმრობის შეცვლის შემთხვევებში აგრეთვე შესაძლებელია კონტაქტი მსჯავრდებულთან, რომელიც სასჯელს იხდის ხუთ წელზე მეტი ხნის ვადით. კანონი პრობაციისა და შეწყალების შესახებ განსაზღვრავს შემდეგ პრიორიტეტულ ჯგუფებს: ახალგაზრდა მსჯავრდებულები, მოზარდი მსჯავრდებულები და ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირები (მუხლი 4.5). პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილება, თუმცა კანონი არ განსაზღვრავს, როგორ უნდა განხორციელდეს იგი (მუხლი 4.5).

2.4 შეჯამება

არსებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის თანახმად, პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ასრულებს შემდეგ ამოცანებს, კერძოდ: ალტერნატიული სანქციების უზრუნველყოფა, მსჯავრდებულების მიმართ პრაქტიკული ზომების გამოყენება, დაზარალებულის ინტერესებისა და საჭიროებების მონიტორინგი, პატიმართა რაოდენობის შემცირებაში წვლილის შეტანა და ხელშეწყობა დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირება.

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის საქმიანობის პრინციპი ეფუძნება აღდგენით სამართალს „restorative Justice“, რომელიც დასჯად დანაშაულს განიხილავს, როგორც სოციალურ ღონისძიებას, რომელსაც გავლენა აქვს საზოგადოების ცხოვრებაზე და ცდილობს გამოასწოროს მის მიერ მიყენებული ზიანი, რა დროსაც ითვალისწინებს ბრალდებულის, დაზარალებულის და საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. ამავე დროს, სამართლიანი სამართალწარმოების კონტექსტიდან გამომდინარე, ეძებს კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარისათვის მისაღებ გამოსავალს.

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა როგორც ადგილობრივმა, აგრეთვე უცხო ქვეყნებში არსებულმა გამოცდილებამ და ევროსაბჭოს მიერ მიღებულმა რეკომენდაციებმა. ჩეხეთში არსებულმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ გამოიწვია მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისაკენ მიმართული სანქციებისა და ნორმების განვითარება და სასამართლო განხილვაში მონაწილე დაზარალებული პირის პოზიციების განმტკიცება. შედეგად შემცირდა პატიმართა რიცხვი და მიმდინარეობს დანაშაულის თავიდან აცილების სფეროს სისტემატური გაუმჯობესება.

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ორგანიზება

3.1 პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა

პრობაციისა და შუამავლობის სამსახური შეიქმნა პრობაციისა და შუამავლობის შესახებ კანონის თანახმად. აღნიშნული სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოს, მოქმედებს სახელმწიფოს სახელით და მას აფინანსებს სახელმწიფო. პრობაციისა და შუამავლობის სამსახური არის იუსტიციის სამინისტროს შემადგენელი ნაწილი. სამსახური მოქმედებს ჩეხეთის მთელ ტერიტორიაზე. მისი სათავე ოფისი მდებარეობს ქ. პრაღაში. ეს

ორგანო შეიქმნა სისხლის სამართლისა და სოციალური სამუშაოების შერწყმის შედეგად და წარმოადგენს ახალ ორგანოს სისხლის სამართალწარმოების პოლიტიკის სფეროში. ამ ორი დარგის კარგად დაბალანსებულმა შერწყმამ სისხლის სამართლის სისტემაში შექმნა ახალი მრავალპროფილიანი პროფესია.


პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის სათავე ოფისი მდებარეობს ქ. პრალაში. მისი რეგიონალური ოფისები განთავსებულია რეგიონალურ სასამართლოებში. ჩეხეთის რესპუბლიკაში შეიცვალა რეგიონების საზღვრები და ნაცვლად 8-ისა, გახდა 13, მაგრამ იუსტიციის სისტემა ფუნქციონირებს ძველი საზღვრების ფარგლებში: 8 - რეგიონალური სასამართლო და 76 - რაიონული. იუსტიციის სისტემაში ცვლილებების შეტანა დაგეგმილია ახალი რეგიონალური პრინციპის მიხედვით 5 წლის შემდეგ.

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი. დირექტორატი (მმართველი რგოლი) წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას და ახორციელებს დაგეგმვას, ტრენინგს, საზოგადოებასთან ურთიერთობასა და კვლევებს. პრობაციისა და შუამავლობის საბჭო, რომელიც წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში არსებულ მრჩეველთა ორგანოს, აგრეთვე მონაწილეობს დაგეგმვასა და განვითარებაში. საბჭოს წევრებს წარმოადგენს მოსამართლეები, პროკურორები, ექსპერტები, პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის თანამშრომლები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები. პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოებისათვის პრობაციისა და შუამავლობის საქმიანობის ხელშესაწყობად პრობაციის ცენტრები განთავსებულია რეგიონალურ სასამართლოებში. დღესდღეობით შექმნილია 74 ასეთი ცენტრი, რომელშიც მუშაობენ პრობაციისა და შუამავლობის ოფიცრები და თანამშრომლები და მათ ხელმძღვანელობენ ოფიცრები, რომლებიც წარმოადგენენ ცენტრის ხელმძღვანელებს. ოფიცრები და თანამშრომლები წარმოადგენენ სახელმწიფო მოხელეებს და ფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ.

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ეფექტური საქმიანობისა და კარგი პროფესიული სტანდარტების მიღწევისათვის საჭიროა მთელი სისტემის ერთობლივი ძალისხმევა. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის სტატუსის თანახმად, პასუხისმგებლობა საქმიანობის კოორდინაციასა და პრაქტიკულ მეთოდებზე დირექტორის მიერ დელეგირებულია ადგილობრივ ცენტრებზე. ეს საშუალებას იძლევა რეგიონში განთავსებული ადგილობრივი ცენტრების მასშტაბით მოხდეს პრაქტიკული განვითარების კოორდინაცია.

მეორე მაგალითს წარმოადგენს რეგიონულ დონეზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეროვება და ანალიზი, რაც შემდგომში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ტრენინგებისა და პროფესიული სემინარებისათვის რაიონულ დონეზე. ასეთი სახის კოორდინაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქმიანობის პირველ წლებში პროფესიული სტანდარტების ჩამოყალიბებაში. ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შედგება 1 სათავე ოფისისაგან და 74 წარმომადგენლობისგან არ უწყობს ხელს ეფექტური საქმიანობის განხორციელებას.

სქემა 1: პრობაციის სამსახურის სტრუქტურა



პრობაციის გუნდი, ცენტრის გუნდის უფროსი; ოფიცრები, თანამშემწეები; 74 გუნდი (ქალაქებში, სადაც ფუნქციონირებენ რეგიონალური სასამართლოები)

8 რეგიონალური კოორდინატორი

3.2 თანამშრომლები

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურში დასაქმებული ოფიცრები და თანამშრომლები განთავსებული არიან თავიანთ ცენტრებში. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ოფიცრს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება სოციალური მეცნიერების ერთ-ერთ დარგში, არ უნდა იყოს ნასამართლები და საკვალიფიკაციო კურსების დამთავრების შემდეგ ჩაბარებული უნდა ჰქონდეს გამოცდები. საკვალიფიკაციო კურსები მიმდინარეობს თორმეტი თვის მანძილზე და ასწავლიან სამართალსა და პრობაციისა და შუამავლობის ვალდებულებებს, კომუნიკაციის ტექნიკის პრაქტიკული ტრენინგით. გამოცდებს იბარებს პრობაციისა და შუამავლობის რეკომენდაციის საფუძველზე იუსტიციის სამინისტროს მიერ დანიშნული ხუთი წევრი.

ნებისმიერი პირი, რომელიც არის 21 წლის ასაკის ზევით და არ ყოფილა ნასამართლები, შეიძლება დაინიშნოს პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის თანამშრომელად. ამისათვის საჭიროა პირს დამთავრებული ჰქონდეს უმაღლესი სკოლა სოციალურ მეცნიერებათა დარგში, გავლილი ჰქონდეს ექვსთვიანი სპეციალური კურსი და შემდგომში ჩაბარებული ჰქონდეს გამოცდები პრობაციისა და შუამავლობის საბჭოს რეკომენდაციით იუსტიციის საბჭოს მიერ დანიშნულ სამისიასთან. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ოფიცრებმა თავიანთი ფუნქციების შესრულებისას უნდა დაიცვან კანონი, სამართლებრივი სტანდარტები და იმოქმედონ მოსამართლის ან წინასწარი გამოძიების პროცესში პროკურორის დავალებების მიხედვით. ამავე დროს, მათ უნდა იმოქმედონ პასუხისმგებლობით, პატივი სცენ და დაიცვან ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და პირადი ღირსება და თავიდან აიცილონ ისეთი ტიპის მოლაპარაკებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სამართალწარმოების ჩავარდნა ან წარმოშვას ეჭვები ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს პრინციპები არ იქნა მტკიცედ დაცული, მოსამართლეს ან წინასწარი გამოძიების პროცესში პროკურორს შეუძლიათ ოფიცერი ჩამოაცილონ საქმეს. აღნიშნულის გარდა, ოფიცრებს ევალებათ თავიანთი საქმიანობის შესრულებისას დაიცვან კონფიდენციალურობა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამის გაკეთება მიჩნეულია დანაშაულად. მათ უფლება აქვთ აგრეთვე ნახონ სასამართლოში, პროკურატურასა და პოლიციაში არსებული სისხლის სამართლის საქმეები. ოფიცრებს უფლება აქვთ არ აწარმოონ შუამავლობა ისეთ საქმეებში, რომლებშიც ერთ-ერთ მხარეს უწევნ ზედამხედველობას. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის თანამშრომლებს აკისრიათ იგივე მოვალეობები და ოფიცრებისგან დელეგირებული სხვა ამოცანები. ოფიცრებსა და თანამშრომლებს ევალებათ იზრუნონ თავიანთი პროფესიული ცოდნის გაღრმავებაზე (კანონი 257/2000). 2002 წლის 1 ივნისის მონაცემებით სამსახური შედგება 150 ოფიცრისგან, 36 თანამშრომლისა და 11 სათავე ოფისის თანამშრომლისგან (სულ 197).

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ოფიცრები და თანამშრომლები, მას შემდეგ, რაც ერთხელ გავლიან კვალიფიკაციას, ვალდებული არიან შეისწავლონ ახალი კანონები და პრობაციისა და შუამავლობის პრაქტიკაში დამკვიდრებული ახალი მეთოდები ტრენინგებისა და პროფესიული თვითგანვითარების მეშვეობით.

3.3 სხვა ტიპის სოციალური სამუშაოები

სხვა სახის სოციალური სამუშაოების პრაქტიკა არსებობს სოციალურ სამსახურებსა და ბავშვთა დაცვაში. აღნიშნული გულისხმობს ახალგაზრდებისა და სოციალური

კურატორების სისტემას და სოციალურ მუშაკებს, რომლებიც საქმიანობენ ბავშვთა დაცვის სფეროში და ახალგაზრდებთან. ამ სამსახურების ადმინისტრირებას ახდენს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს შრომისა და სოციალური ურთიერთობების სამინისტრო. მას შემდეგ, რაც განხორციელდება ადგილობრივი მთავრობების რეფორმა, ფუნქციითა უმეტესობა გადავა ახალ ორგანოში (რაიონები), სადაც ცენტრალურ ადმინისტრაციას მხოლოდ მცირე ელემენტები დარჩება. კანონის თანახმად, პრობაციისა და შუამავლობის სამსახურს ევალება იმუშაოს ზედამხედველობით პირობით გათავისუფლებულ ყველა პატიმართან; ასოცირებული სოციალური სამსახური გადავა საზოგადოებაში.

3.4 შეჯამება

2001 წლის იანვრის კანონით პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის შესახებ შეიქმნა პრობაციისა და შუამავლობის სამსახური. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის შექმნა წარმოადგენდა სისხლის სამართლის რეფორმის ნაწილს. ეს ახალი სისხლის სამართლის პოლიტიკის შემადგენელი ორგანო უზრუნველყოფს ალტერნატიული სანქციებისა და ნორმების ეფექტურ იმპლემენტაციას და გადაწყვეტილების მიღებას.

პრობაციისა და შუამავლობის სამსახური საქმიანობს ჩეხეთის მთელ ტერიტორიაზე. აღნიშნული სტრუქტურა შედგება ორი რიგისაგან: სათავო ოფისი და 74 ცენტრი. ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაცია აღწერილია კანონში.

პრობაციისა და შუამავლობის საბჭო, რომელიც წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს მრჩეველ რგოლს, მჭიდროდ თანამშრომლობს პრობაციისა და შუამავლობის სამსახურთან და ჩართულია პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის განვითარებასა და დაგეგმვაში. საბჭოს წევრები არიან პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის თანამშრომლები, მოსამართლეები, პროკურორები და სხვა ექსპერტები.

სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ სხვა სახის სოციალურ სამუშაოებს ასრულებენ ციხის სოციალური მუშაკები. სამუშაოების შესრულებას ხელმძღვანელობს ციხის ადმინისტრაცია. სოციალური კურატორები და ახალგაზრდების კურატორები, რომელთაც ადმინისტრირებას უწევს შინაგან საქმეთა სამინისტრო და ზედამხედველობს შრომისა და სოციალური ურთიერთობების სამინისტრო, ახორციელებენ სოციალურ სამუშაოებს მსჯავრდებულებთან.

სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მუშაობის წარმოება ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან

4.1 საზოგადოებრივი სანქციების გამოყენების სოციალური კლიმატი

1990 წლიდან ჩეხეთის სისხლის სამართალში დამკვიდრდა საზოგადოებრივი სანქციების ახალი ფორმები. ზოგიერთი მათგანი დამკვიდრდა ყოველგვარი პილოტური პროექტის გარეშე. შედეგად, არსებულ სისხლის სამართალში შესაძლებელი გახდა მთელი რიგი ალტერნატივების მიღება. ძალიან ბევრი ალტერნატიული სანქცია მიღებულ იქნა

ყოველგვარი განმარტების გარეშე, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი გამოყენება. არ მომხდარა ამ სანქციების განხილვა ექსპერტებისა და სხვა ხალხის მიერ, უცნობი იყო მათი პრაქტიკაში დანერგვის ხერხები. ეს გახდა მიზეზი მათი ძალიან მცირე ოდენობით გამოყენებისა. ალტერნატიული სანქციების დამკვიდრების პირველ წლებში პროფესიონალური ინფრასტრუქტურა არაადეკვატური იყო არსებული მოთხოვნებისა (პრობაციისა და შუამავლობის სამსახური შეიქმნა 5 წლის შემდეგ, რაც კანონმდებლობაში გათვალისწინებული იყო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ხოლო ზედამხედველობის განხორციელების მიღებიდან ორი წლის შემდეგ). ალტერნატიული სანქციების მიღების პირველ წლებში არსებული სირთულეების მიუხედავად, რაც გამოწვეული იყო მათი იმპლემენტაციის სირთულით, ამ საკითხის მიმართ მაინც არსებობდა ინტერესი დეპუტატებსა და ცალკეულ პროფესიონალებს შორის. დაინტერესება გამოწვეული იყო ციხის გადატვირთულობისგან გათავისუფლებით, მსჯავრდებულებთან მუშაობის ეფექტური მეთოდების განვითარებითა და დაზარალებულთა ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევით. 2002 წლის იანვარში მიღებული მთელი რიგი სამართლებრივი რეგულირების ნორმებისა იყო ამის ნათელი დადასტურება. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის შექმნა წარმოადგენს საფუძველს საზოგადოებრივი სანქციების დამკვიდრებისა. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ინფორმაციას პრობაციისა და შუამავლობის შესახებ აწვდის პროფესიონალებს და საზოგადოების სხვა წევრებს. ეს ორგანო აგრეთვე თანამშრომლობს პოლიციასთან, სასამართლოსთან, პროკურატურასთან, საზოგადოებასა და ნებაყოფლობით სოციალური სამსახურის სააგენტოებთან.

4.2 პრობაცია და შუამავლობა სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე

4.2.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი

ჩეხეთში დღესდღეობით სამი ინსტანციის სისტემაში შექმნილია ოთხი დონის სასამართლო: რაიონული სასამართლო, რეგიონალური სასამართლო, უმაღლესი სასამართლო და უზენაესი სასამართლო. გარდა ამისა, კიდევ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლისთვის მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში. უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო ფუნქციონირებას დაიწყო 2003 წელს.

სანქციების სისტემა განასხვავებს სასჯელებს. ზომებსა და პირობებს. სასჯელები იყოფა ძირითადად და დამატებითად. აღნიშნული სასჯელების შეფარდება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს მიერ სასამართლო განხილვის შემდეგ. წინასწარი გამოძიების ეტაპზე შესაძლებელია ისეთი ალტერნატიული სანქციების შეფარდება, როგორებიცაა ზედამხედველობა და ფულადი გარანტია. პრობაციის სამსახურის ჩართულობა ასახულია სქემა 2-ში:

სქემა 2: ალტერნატივები წინასწარი გამოძიების ეტაპზე

ალტერნატივები წინასაგამოძიებო დაკავების ეტაპზე

წინასაგამოძიებო დაკავების გარანტიით შეცვლა;
წინასაგამოძიებო დაკავების პირობის მიცემით შეცვლა;

წინასაგამოძიებო დაკავების
ზედამხედველობით შეცვლა;
ფულადი გარანტია.

*პირობით უარზე დამატებული
პირობები*

გასამართლების შეწყვეტა;
გასამართლების პირობითი
შეწყვეტა;
საკითხის მოგვარება
სასამართლოს გარეშე;
აკრძალვები და ვალდებულებები
გასამართლების პირობით
შეწყვეტასთან ერთად:

სისხლის სამართალწარმოება იწყება მაშინ, როდესაც პოლიცია გასცემს ბრძანებას სამართლებრივ გამოძიებაზე. ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის დაკითხვისა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ პოლიცია საქმეს უგზავნის სახელმწიფო პროკურორს. სამართალწარმოების დაწყებიდან სასამართლო მოსმენამდე დადგენილია ორთვიანი პერიოდი, რა დროსაც პროკურორმა უნდა წაუყენოს ბრალი. ეს არის პერიოდი, როდესაც პროზაციისა და შუამავლობის სამსახურს საშუალება ეძლევა ჩაერთოს შუამავლობაში.

4.2.1.1 სახელმწიფო პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლება

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი): წინასწარი მოსმენის პერიოდში გამოძიებულს ან პროკურორს უფლება აქვს გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი და შეწყვიტოს გამოძიება. აღნიშნულის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ ბრალდებულების მიმართ, რომლებიც დაზარალებულების ახლო ნათესავები არიან. მსგავსი ფაქტები ძირითადად ხდება მაშინ, როდესაც სამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი არის ოჯახური კონფლიქტი, მაგრამ დაზარალებული აღწევს შეთანხმებას და წყვეტს სამართალწარმოებას. ამ უფლების გამოყენების პროცესში შესაძლებელია ჩართული იყოს პროზაციისა და შუამავლობის სამსახური, თუმცა დღესდღეობით ეს ნაკლებად ხდება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი დევნის შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული მოახდენს დანაშაულის რეპარაციას (მაგალითად, თუ იგი მიაღწევს შეთანხმებას დაზარალებულთან შუამავლობის მეშვეობით). სასამართლოს, წინასწარი ან ძირითადი განხილვისას, აგრეთვე უფლება აქვს მიიღოს ანალოგიური გადაწყვეტილება.

4.2.1.2 სახელმწიფო პროკურორის უფლებამოსილება

სისხლისსამართლებრივი დევნის პირობითი გადავადება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე და 308-ე მუხლები): სისხლის სამართალწარმოების პროცესში, სადაც პატიმრობის სასჯელი, მაქსიმალური ვადით ხუთი წელი, განსაზღვრულია კანონით,

სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების პროცესში პროკურორს შეუძლია ბრალდებულის თანხმობის შემთხვევაში პირობითად გადაავადლოს სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს, თუ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, მოახდენს მიყენებული ზიანის კომპენსაციას. ან შეთანხმდება დაზარალებულთან კომპენსაციაზე, ან თუ შეთავაზებულ იქნა სხვა სახის კომპენსაცია. გამომდინარე ბრალდებულის ხასიათიდან, ისტორიიდან და საქმის გარემოებებიდან, ეს შეიძლება მიჩნეულ იქნეს გონივრულ გადაწყვეტილებად. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სისხლისსამართლებრივი დევნის გადავადება, დგინდება საპრობაციო პერიოდი ექვსი თვიდან ორ წლამდე. ბრალდებული, რომელიც მიაღწევს შეთანხმებას დაზარალებულთან რეპარაციის საკითხებზე, ვალდებულია პრობაციის პერიოდში შეასრულოს შეთანხმება. ბრალდებულს აგრეთვე ევალება მოიქცეს კარგად პრობაციის პერიოდში და იცხოვროს კანონმორჩილი ცხოვრებით. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული პრობაციის პერიოდში შეასრულებს კომპენსაციის ვალდებულებას და ყველა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, სასამართლოს ან პროკურორს, რომელმაც გამოიტანა თავდაპირველი ბრძანება, შეუძლია ხელახლა გადახედოს საქმეს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, სამართლებრივი დევნა შესაძლებელია განახლდეს. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია აგრეთვე პრობაციის პერიოდში.

საკითხის მოგვარება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 309-314 მუხლები): სასამართლოს, ან წინასწარი გამოძიების პროცესში პროკურორს, შეუძლია დამტკიცოს საკითხის მოგვარება, თუ ბრალდებულს სასჯელის სახით შეეფარდა მაქსიმუმ ხუთ წლამდე პატიმრობა. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა დანაშაულის სერიოზულობას, ბუნებას და დაზარალებულის ხასიათსა და სოციალურ-ფინანსურ გარემოებებს. ბრალდებულმა უნდა აღიაროს დანაშაული და დათანხმდეს დაზარალებულისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, ან ზოგიერთ საქმეზე განხორციელოს რეპარაცია და სასამართლოში გადაიხადოს თანხა საერთო კეთილდღეობის ფონდში ან დანაშაულის მსხვერპლთა ფონდში. ასეთ შემთხვევებში საჭიროა მსჯავრდებულისა და დაზარალებულის შეთანხმება.

წინასწარი დაკავების შეცვლა თავდებობით ან პირობის მიცემით: წინასწარი გამოძიების პროცესში პროკურორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გაათავისუფლოს ბრალდებული წინასწარი დაკავებიდან და შეუცვალოს იგი თავდებობით ან წერილობითი ვალდებულებით.

4.2.1.3 მოსამართლის უფლებამოსილება წინასწარი გამოძიების პროცესში გადაწყვეტილების მიღებაზე

წინასწარი დაკავების შეცვლა თავდებობით ან პირობის მიცემით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი): ისეთ საქმეებში, რომლებშიც შეიძლება გამოტანილი იყოს წინასწარი დაკავება, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს იგი, თუ მსჯავრდებულს თავდებში ჩაუდგება კერძო პირი ან შესაფერისი პიროვნება. პატიმრობა შესაძლოა აგრეთვე შეიცვალოს, თუ მსჯავრდებული აღიარებს ვალდებულებას, რომ იცხოვრებს კანონმორჩილი ცხოვრებით და აღარ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევებში, თუ პირს დაევალება გამოცხადება სასამართლოში, პოლიციაში ან პროკურატურაში, მათ აუცილებლად წინასწარ უნდა აცნობონ შესაბამის ორგანოებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ. ბრალდებულმა ასევე უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ყველა სხვა ვალდებულება. მსჯავრდებულის ხასიათიდან გამომდინარე, მოსამართლემ უნდა

გაითვალისწინოს, მისაღებია თუ არა ამის განხორციელება. ამ საკითხებთან დაკავშირებით შესაძლებელია სასამართლოს დახმარება აღმოუჩინოს აგრეთვე პრობაციისა და შუამავლობის სამსახურმა, თუმცა ასეთი ფაქტები ძალზე იშვიათია.

4.2.1.4 წინასწარი დაკავების პროცესში მოსამართლეებისა და პროკურორების სამართლებრივი უფლებამოსილება (პრობაციისა და შუამავლობის გამოყენება)

წინასწარი დაკავების შეცვლა ზედამხედველობით: მსჯავრდებულის ბუნებისა და არსებული საქმის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია პატიმრობის შეცვლა ზედამხედველობით, რომელსაც განახორციელებს პრობაციის ოფიცერი. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსჯავრდებული არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, სასამართლოს, ან წინასწარი გამოძიების პროცესში პროკურორის რეკომენდაციით, მოსამართლეს შეუძლია გასცეს ბრძანება პირის პატიმრობაში დაბრუნების თაობაზე.

4.2.1.5 შესაძლო სასამართლო გადაწყვეტილებები

გასამართლება, რომელიც არ არის მოჩივრის მიერ მხარდაჭერილი;
გასამართლების კასაცია;

უარის თქმა გასამართლებაზე. სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს მსჯავრდებულის გასამართლება მცირე დანაშაულისათვის, თუ მსჯავრდებული აღიარებს დანაშაულს და ცდილობს სიტუაციის გამოსწორებას. იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, საჭიროა ბრალდებულს ჰქონდეს კარგი წარსული.

4.2.1.6 შესაძლო სასამართლო გადაწყვეტილებები (პრობაციისა და შუამავლობის გამოყენება)

გასამართლების პირობითი კასაცია;

საკითხის მოგვარება;

ეფექტური მონაწიეობის სპეციალური ვალდებულება. ისეთ შემთხვევებში, თუ ბრალდებული გასამართლებულია შეკეთების ხარჯების გადაუხდელობისთვის, თუმცა შემდგომ გადაიხდის და დანაშაულს არ გამოუწვევია დიდი ზიანი, მოსამართლეს შეუძლია შეწყვიტოს გასამართლება.

4.2.2 პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის როლი

4.2.2.1 ძირითადი კომენტარები

წინასწარი გამოძიების პროცესში პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის საქმიანობა შემოიფარგლება დანაშაულის გამოწვევ მიზნებზე ინფორმაციის მოპოვებითა

და მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარების ხელის შეწყობით. პრობაციისა და შუამავლობის სამსახური შესაძლოა ჩართული იყოს აგრეთვე საქმესთან დაკავშირებული სპეციალური გარემოებების მოგვარებაში ან პატიმრობის ნაცვლად სხვა სასჯელის შეფარდებაში ან არსებული პატიმრობის სხვა სახის ზომით შეცვლაში. მსჯავრდებულთან მიმართებით აღნიშნული გულისხმობს მეთოდებისა და საშუალებების მოძიებას, რომლის საშუალებითაც იგი განასორციელებს დანაშაულის შედეგების რეპარაციას და დაადგენს დანაშაულის ჩადენის წინაპირობებს. მსჯავრდებული ამ შესაძლებლობების შესახებ წინასწარ უნდა იყოს გაფრთხილებული. დაზარალებულთან მიმართებით პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ეხმარება მიყენებულ ზიანის დადგენაში, მისი შემსუბუქების ზეგების მოძიებაში და სთავაზობს ამ დანაშაულის მოგვარებაში აქტიურ ჩართვას. დაზარალებული აგრეთვე უნდა იყოს ინფორმირებული ამ შესაძლებლობის შესახებ. წინასაგამომიებო ეტაპზე პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ასორციელებს შუამავლობას და ეხმარება საქმის გარემოებებისა და კონფლიქტის მხარეების მოლოდინის შეფასებაში.

შუამავლობა გაგებულია, როგორც ჩარევა სასამართლომდე მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის კონფლიქტის მოგვარების მიზნის მისაღწევად. აღნიშნული ხორციელდება, როგორც ნაწილი სამართალწარმოებისა და მისი მიზანია შეთანხმების მიღწევის დაჩქარება მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის.

წინასწარი გამოძიების პროცესში პრობაციის საქმიანობა შემოიფარგლება მხარეებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებით სამართალწარმოებისათვის, რათა მხარდაჭერის იქნეს ალტერნატიული სანქციების გამოყენება. ამის მაგალითია შესაბამისი მოხსენების გაკეთება სასამართლოსთვის ან პროკურორისთვის (რომელიც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე) მსჯავრდებულის სასიათსა და გარემოებებზე და ამ საკითხის მიმართ დაზარალებულის პოზიციაზე. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის მიზანია პატიმრობის ალტერნატივის იდენტიფიკაცია. ამ ეტაპზე არ არის საჭირო მსჯავრდებულის იანხმობა პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ჩართვის თაობაზე, ვინაიდან ამასთან დაკავშირებით ბრძანება გაცემული აქვს სასამართლოს.

აღძრულ საქმესთან მიმართებით პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ცენტრებმა შეიძლება მიიღონ მოთხოვნა საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით. ასეთი სახის მოთხოვნა შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლო ორგანოებიდან (პოლიცია, პროკურორი, მისამართლე) ან სხვა მხრიდან: დაზარალებული, მსჯავრდებული, ერთ-ერთი მხარის ადვოკატი, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მშობლებისგან, სოციალური მუშაკისგან ან შესაბამისი პირისგან. ასეთ შემთხვევებში ცენტრები სასწრაფოდ უნდა დაუკავშირდნენ შესაბამის პროკურორს და ითხოვონ მისი თანხმობა საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით.

4.2.2.2 შუამავლობა მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის

შუამავლობას შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი მოლაპარაკების ფორმა. შუამავლობა, ერთი მხრივ, ხორციელდება დანაშაულის შედეგად გამოწვეული კონფლიქტური მდგომარეობის დასარეგულირებლად და მეორე მხრივ, მოსამართლისა და პროკურორისათვის გამოსავლის მოსაძებნად, რაც დაეხმარება მათ გამოიყენონ ისეთი ნორმები, როგორცაა ბრალდების პირობითი შეწყვეტა, სასჯელის ალტერნატიული ნორმები ან პატიმრობის ალტერნატიული სასჯელები.

4.2.2.3 წინასაგამოძიებო მოხსენებები

წინასაგამოძიებო მოხსენებები შეიცავს არა მხოლოდ ინფორმაციის მოგროვებას, არამედ კლიენტის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივაციას, შედეგებს და სასამართლოსა და პროკურორის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სწორად აღქმისთვის მზადყოფნას.

პრობაციის მიერ მომზადებული წინასაგამოძიებო მოხსენება უნდა იყოს ნათელი და ობიექტური. იგი უნდა იყოს სტანდარტული ფორმის და უნდა შეიცავდეს შემდეგს:

კლიენტის პირადული გარემოებები (ოჯახური მდგომარეობა, დასაქმება, ფინანსური მდგომარეობა, სოციალური კონტაქტები, როგორ ატარებს თავისუფალ დროს);

დანაშაული და მისი მოგვარება (კლიენტის კრიმინალური ისტორია, მისი დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ, დაზარალებულის პერსპექტივები, დანაშაულის მოგვარების გზები);

ანგარიში პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის კლიენტთან კონტაქტისა და რა ფორმით თანამშრომლობდა ეს უკანასკნელი სამსახურთან;

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის მოსაზრებები და რეკომენდაციები შემდგომი ნაბიჯების შესახებ.

ამ მოხსენებაში შესაძლოა ჩაიწეროს ასევე იმ პირთა მოსაზრებები, ვისთანაც კლიენტს ჰქონდა კავშირი, კერძოდ: სკოლა, დამსაქმებელი ან ჯანდაცვის დაწესებულება. მოხსენებას აგრეთვე ეცნობა კლიენტი და მას შეუძლია ჩაწეროს თავისი მოსაზრებები. თუ არ არსებობს მოხსენების პირადად განხილვის საშუალება, მაშინ ის ფოსტით უგზავნება კლიენტს.

მოხსენება მსჯავრდებულის შესახებ წარმოადგენს გირაოს შეფარდების ერთ-ერთ ეტაპს. აღნიშნულისათვის მიმდინარეობს ინფორმაციის მოპოვება მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის გარემოებებზე, ხასიათსა და მოტივაციაზე, მის სოციალურ მდგომარეობასა და გათავისუფლების შემთხვევაში მართლზომიერად მოქცევის სურვილზე. გირაოს შესაფარდებლად შესაძლოა აგრეთვე გარკვეული პირობების შეთანხმება სხვა ორგანიზაციებთან.

4.2.2.4 ალტერნატიული სანქციების მხარდაჭერა

შუამავლობის გარდა, არსებობს სხვა ზომები, რომლებიც ალტერნატიული სანქციების საფუძველს წარმოადგენენ, მაგალითად, თუ მსჯავრდებული დათანხმდება ბრალდების პირობით გადავადებას, ან საქველმოქმედო ფონდს გადასცემს თანხას. კანონის თანახმად (2002 წელს ძალაში შესული სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლი), სასამართლოს მიერ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შეფარდებისას პრობაციისა და შუამავლობის სამსახურმა უნდა შეაფასოს აგრეთვე მსჯავრდებულის დამოკიდებულება ბრძანების მიმართ და მასთან შესაბამისობა. ისეთ საქმეებზე, რომლებიც შეეხება ზვევების მხარდაჭერისათვის (არსებობისათვის) თანხის გადაუხდელობას, იმისათვის, რომ სასამართლომ გამოიტანოს გადაწყვეტილება ეფექტური ანაზღაურების შესახებ, პრობაციისა და შუამავლობის სამსახური სასამართლო განხილვამდე ესაუბრება მსჯავრდებულს, რათა მან დროულად განახორციელოს ანაზღაურება. აღნიშნული ამოცანები არ შეიცავს შუამავლობას ან ზედამხედველობას და შესაძლოა განხორციელდეს დამოუკიდებლად.

4.2.2.5 ზედამხედველობა გირაოს დროს

გირაოს დროს ზედამხედველობისას პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ფუნქციას წარმოადგენს როგორც ცალკეულ საქმეებზე არსებული შეზღუდვებისა და გირაოს პირობების ზედამხედველობა, ისე კანონმორჩილი ცხოვრების მხარდაჭერა. ეს ისეთივე საშუალოა, როგორც სრულდება მსჯავრდებულთა ზედამხედველობისას, რაც გულისხმობს შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებას და სასამართლოსათვის ან პროკურორისთვის მოხსენებით მიმართვას, როგორც ეს ხდება წინასაგამოძიებო მოხსენებისას.

4.2.2.6 სხვა სოციალური სამსახურების როლი

არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც მოხდება ადვოკატის ინფორმირება, საქმეში ერთგებიან ახალგაზრდების კურატორები. მთელი სამართალწარმოების პროცესში კურატორები გვერდში უდგანან არასრულწლოვნებს და სასამართლოსათვის ამზადებენ შესაბამის მოხსენებას. ვინაიდან კურატორები წარმოადგენენ ბავშვთა მზრუნველობის სამსახურის წარმომადგენლებს, ისინი აგრეთვე წერენ რეკომენდაციებს ჯვარედინი დაკითხვისა და საბოლოო ანგარიშის შესახებ.

4.2.3 სასამართლო განხილვის ეტაპი

4.2.3.1 ძირითადი

სასამართლო განხილვის ეტაპზე სანქციები შეიძლება დაიყოს სასჯელებად, ნორმებად და პირობებად (სქემა №3). არსებობს ძირითადი და დამატებითი სასჯელები. ძირითადი სასჯელები იყოფა საპატიმროდ და არასაპატიმროდ. მათი უმეტესობა გამოიყენება, როგორც ალტერნატივა (გადავადებული სასჯელები, გადავადებული სასჯელები ზედამხედველობით, ჯარიმები). სასამართლოს შეუძლია აგრეთვე გამოიყენოს ისეთი საშუალებები, რომლებიც არ განიხილება სასჯელებად. არასაპატიმრო სასჯელების დროს პრობაციის სამსახურის როლი აისახება ზედამხედველობისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ზომები აგრეთვე იყოფა საპატიმროდ და არასაპატიმროდ. პირობები, რომლებიც შეიძლება დადგენილი იყოს სასამართლოს მიერ, ეფუძნება აკრძალვებსა და მოვალეობებს.

4.2.3.2 პრობაცია და შუამავლობა

მას შემდეგ, რაც პროკურორის მიერ მოხდება ბრალის წაყენება, საქმე იგზავნება სასამართლოში. სასამართლო განხილვის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს სასჯელის გადავადების ზომები, სასჯელის ალტერნატივები, პატიმრობის გარდა, სხვა სასჯელი და პატიმრობა. სანქციები, რომელთა შეუარდების უფლებაც აქვს სასამართლოს, მოცემულია სქემა №3-ში:

სქემა №3: სასამართლო განხილვისა და შემდგომ ეტაპზე არსებული
სანქციების მიმოხილვა

<i>ძირითადი სასჯელები</i>	<i>სასამართლო განხილვის ეტაპი</i>	<i>სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი</i>
საპატიმრო	პატიმრობა	პირობით გათავისუფლება; პირობით გათავისუფლება ზედამხედველობით; გასამართლებისგან პირობით გათავისუფლება; გადასახლება; ცალკეული საქმიანობის აკრძალვა.
არასაპატიმრო	პატიმრობის ალტერნატივები: სასჯელის გადავადება; სასჯელის გადავადება ზედამხედველობით; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; ჯარიმა; ცალკეული საქმიანობის აკრძალვა; გასახლება; კონფისკაცია; სამხედრო წოდების ან საპატიო ტიტულის ჩამორთმევა.	სასჯელის ალტერნატივები: უარის თქმა სასჯელზე; პირობით უარის თქმა სასჯელზე ზედამხედველობით; ეფექტური მონაწილეობა.
დამატებითი სასჯელები	ჯარიმა; გადასახლება; ცალკეული საქმიანობის აკრძალვა;	
არასაპატიმრო ზომები საპატიმრო ზომები	მკურნალობის ბრძანება (ალკოჰოლი, ნარკოტიკები, სექსუალური დანაშაული)	სავალდებულო მკურნალობა; უსაფრთხოებაზე

	ალზრდა (არასრულწლოვანთათვის)	მზრუნველი დაწესებულებიდან პირობით გათავისუფლება.
პირობები	საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისას, სასჯელის გადავადებისას, სასჯელის გადავადებისას ზედამხედველობით აკრძალვები და მოვალეობები ერთობლიობაში.	აკრძალვებისა და მოვალეობების ერთობლიობა პირობითი გათავისუფლებისას ზედამხედველობით ან მის გარეშე.

პრობაციისა და შუამავლობის გამოყენებისას ყველაზე ხშირად ხდება შემდეგი სანქციების შეფარდება:

- გასამართლების გადავადება პირობით;
- საკითხის მოგვარება;
- სასჯელისგან პირობით გათავისუფლება ზედამხედველობით.

სასჯელისაგან პირობით გათავისუფლება შესაძლებელია, თუ ჩადენილია მცირე დანაშაული და მსჯავრდებული მზად არის განახორციელოს რეპარაცია და თუ დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, სხვა არაფერია საჭირო, გარდა პრობაციის პერიოდში ქცევის მონიტორინგისა. სასამართლომ შეიძლება მიიღოს აგრეთვე კერძო ორგანიზაციის ან ცალკეული პირის რწმუნება, რომ იზრუნებენ მსჯავრდებულის გამოსწორებაზე. როდესაც სასამართლო მსჯავრდებულს უსჯის სასჯელის პირობით შეჩერებას, ამავე დროს მას ეფარდება პრობაცია მაქსიმუმ ერთი წლით, რომლის დროსაც მასზე უნდა განხორციელდეს ზედამხედველობა. იმ შემთხვევაში, თუ პრობაციის პერიოდში პირი იცხოვრებს კანონმორჩილად და შეასრულებს მასზე დაკისრებულ ყველა პირობას, სასამართლოს შეუძლია ძალაში დატოვოს თავისი გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში მიუსჯის სასჯელს.

4.2.3.2 სასჯელის გადავადება ზედამხედველობით

მსჯავრდებულის ხასიათის, ოჯახური მდგომარეობისა და დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, როდესაც სასჯელი არ ითვალისწინებს სამ წელზე მეტს, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შეუფარდოს მსჯავრდებულს ერთიდან ხუთ წლამდე სასჯელის გადავადება ზედამხედველობით. ასეთ შემთხვევაში ზედამხედველობის მიზანს წარმოადგენს პრობაციის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევის მონიტორინგი და ამავე დროს ფსიქოლოგიური დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენა. ამავე პერიოდში მსჯავრდებულს შესაძლოა დაუდგინდეს ცალკეული პირობები, რათა შემცირდეს ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული პრობაციის პერიოდში არ დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, სასამართლოს შეუძლია ძალაში დატოვოს თავისი გადაწყვეტილება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მიუსჯის სასჯელს.

4.2.3.3 სასჯელის გადავადება

მსჯავრდებულის ხასიათის, ოჯახური მდგომარეობისა და დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია მიიღოს სასჯელის გადავადების გადაწყვეტილება, როდესაც სასჯელი არ ითვალისწინებს ორ წელზე მეტს. სასჯელი შეიძლება გადავადებული იყოს ერთიდან ხუთ წლამდე. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული ამ პერიოდში იცხოვრებს კანონმორჩილი ცხოვრებით, სასამართლოს შეუძლია ძალაში დატოვოს თავისი გადაწყვეტილება. თუ მსჯავრდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს, სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს მას პატიმრობა. გამონაკლის შემთხვევებში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია ძალაში დატოვოს სასჯელის გადავადება და დაამატოს ზედამხედველობის მოთხოვნა, გააგრძელოს პრობაციის პერიოდი მაქსიმუმ ხუთი წლით და გამოსცეს დამატებითი მოთხოვნები.

4.2.3.4 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

მსჯავრდებულის ხასიათის, ოჯახური მდგომარეობისა და დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, როდესაც სასჯელი არ ითვალისწინებს ხუთ წელზე მეტს, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულს შეუფარდოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა 50-დან 400 საათამდეა, რასაც სასამართლოს მიერ შეიძლება დაემატოს გარკვეული პირობები, რათა მსჯავრდებულმა არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. მსჯავრდებულმა შეუფარდებული საათების რაოდენობა უნდა შეასრულოს ერთი წლის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული არ იმუშავებს მისივე საათებს ერთი წლის მანძილზე, ან ამ პერიოდში ჩაიდენს ახალ დანაშაულს, მას შეეცელება სასჯელის ფორმა და შეუფარდება პატიმრობა. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ყოველი ორი შეუსრულებელი საათი გათანაბრებულია პატიმრობის ერთ დღესთან.

4.2.3.5 დამატებითი მოთხოვნები

სასამართლოს შეუძლია გასცეს ბრძანება დამატებით მოთხოვნებზე, როდესაც მსჯავრდებულს უფარდებს სასჯელის პირობით გადავადებას, სასჯელის გადავადებას, სასჯელის გადავადებას ზედამხედველობით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას და პირობით გათავისუფლებას. აღნიშნული შესაძლოა აგრეთვე გამოყენებული იყოს საპატიმრო ალტერნატივების დროს. მოსამართლეს ან პროკურორს შეუძლია გასცეს შემდეგი სახის ბრძანებები:

გაიაროს ტრენინგი და მიიღოს კვალიფიკაცია;

გაიაროს სოციალური ტრენინგისა და ქვევის მოდიფიკაციის შესაბამისი პროგრამები;

მკურნალობის კურსის გავლა დამოკიდებულების მქონე საშუალებებისაგან გათავისუფლებისათვის;

სპეციალური ფსიქოლოგიური პროგრამების გავლა;

განსაზღვრული ადგილებისა და გარკვეულ პირთა წრის მონახულებისაგან თავის შეკავება;

აზარტული თამაშებისაგან თავის შეკავება.

4.2.3.6 პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის როლი

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის როლი, როგორც წინასწარი გამოძიების პროცესში, ისე სასამართლო განხილვის პერიოდში, ერთი და იგივეა, რაც შემდეგში მდგომარეობს: სასამართლოსათვის გადაწყვეტილების მიღების გასაადვილებლად შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებამდე პრობაციისა და შუამავლობის ელემენტების გამოყენება. ამ სამსახურის საქმიანობა ხელს უწყობს სასამართლოებს სასჯელის შეფარდებაში.

4.2.3.7 სხვა სოციალური სამსახურების როლი

არასრულწლოვანთა შემთხვევებში, ახალგაზრდების კურატორები სასამართლოებისათვის აზრადებენ შესაბამის მოხსენებებს და იძლევიან რეკომენდაციებს. მოხსენება შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას სპეციალურ პროგრამებზე, რომელიც გაიარა ბავშვმა საქმის დაწყების შემდეგ (მაგალითად, სოციალური პროგრამა ან ფსიქოლოგიური რჩევები).

4.2.4 სასამართლო განხილვის შემდგომი პერიოდი

4.2.4.1 სასჯელთა აღსრულება საზოგადოებაში

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ყველაზე რთულ მხარეს წარმოადგენს საქმიანობა სასამართლო განხილვის შემდგომ პერიოდში და მოიცავს სასჯელთა აღსრულებას, აგრეთვე ზედამხედველობასა და დამატებითი პირობების ელემენტებს, რომლებიც წარმოადგენს სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტულ დარგს. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა ასევე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულება. სიტყვა პრობაცია გულისხმობს შემდეგს: არასაკატიმრო სასჯელთა ორგანიზება და მართვა, მსჯავრდებულისათვის ინდივიდუალური დახმარების აღმოჩენა და სასამართლოს ან პროკურორის მიერ დაკისრებული პირობების შესრულება, რათა არ მოხდეს ახალი დანაშაულის ან მიუღებელი საქციელის ხელშეწყობა ჩადენა.

აღნიშნული წარმოადგენს პრობაციისა და შუამავლობის სამსახურისათვის მინიჭებულ კონტროლის მექანიზმს, რომელიც უნდა შეასრულოს მსჯავრდებულმა ზედამხედველობის ქვეშ. ის აგრეთვე გულისხმობს პირობებსა და გარემოებებს, რომელშიც შეიძლება მოხდეს მსჯავრდებული, ასევე შეიძლება გულისხმობდეს სასჯელის შეცვლას ან დანიშვნას.

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის მიერ მიღებული სტანდარტების თანახმად, მათი საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს დაზარალებულთან მუშაობა.

სასამართლო განხილვის შემდგომ ეტაპზე პრობაციისა და შუამავლობის სამსახური შეიძლება აგრეთვე ჩართული იყოს შუამავლობაში მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის, რათა მოკავრდეს არსებული კონფლიქტი მხარეებს შორის და დადებითად გადაწყდეს კომპენსაციის საკითხები.

4.2.4.2 ზედამხედველობა

კანონის თანახმად, ზედამხედველობა განსაზღვრულია, როგორც პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის რეგულარული კონტაქტი მსჯავრდებულთან, რათა პრობაციის პერიოდის დასაწყისში მოხდეს ზედამხედველობის გეგმის ერთობლივი შემუშავება, მისი შესრულება და სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის დაკისრებული პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. ზედამხედველობის გეგმა იწერება პრობაციის ოფიცრის მიერ, არა უგვიანეს კლიენტთან სამი შეხვედრის შემდეგ და მისი გადახედვა უნდა მოხდეს ყოველ ექვს თვეში.

მსჯავრდებულს, რომელსაც დაუწესდება ზედამხედველობა, ვალდებულია ითანამშრომლოს პრობაციის ოფიცერთან და გამოცხადდეს მასთან იმ პერიოდულობით, რომელიც დადგენილია ზედამხედველობის გეგმის მიხედვით, აცნობოს თავისი საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო, სასამართლოს მიერ დადგენილი პირობები და ის სხვა გარემოებები, რომლებიც ზედამხედველობის გეგმის თანახმად, განსაზღვრულია პრობაციის ოფიცრის მიერ. მსჯავრდებულს აგრეთვე ევალება ნება დართოს პრობაციის ოფიცერს მოინახულოს იგი სახლში (2002 წლის 1 იანვარს ძალაში შესული სისხლის სამართლის კანონის 26-ე მუხლი).

ზედამხედველობა გულისხმობს კლიენტისათვის რჩევებისა და მითითებების მიცემას, დადებით ზეგავლენას მის ყოფაქცევაზე და სასამართლოს მიერ დადგენილი პირობების შესრულებაზე კონტროლს. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული გადის სამკურნალო ან ყოფაქცევით პროგრამას, პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ახდენს იმ ორგანოთა კოორდინაციას, რომლებიც ახორციელებენ ამ პროგრამებს. ასეთი სახის მომსახურების სისტემა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა სასამართლოებისა და პროკურორების მოლოდინის საგანს, სულ ახალი დაწყებულია.

ყოველ ექვს თვეში ერთხელ პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს მოხსენება მიღწეული შედეგების შესახებ, რომელიც შეიცავს შემდეგ ფორმას: პირადი ინფორმაცია კლიენტის შესახებ (ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო/განათლება, სოციალური კონტაქტები და რით არის დაკავებული თავისუფალ დროს), სასამართლოს მოთხოვნები (მათი შესრულება პრობაციის პერიოდში ან შუამავლობის შედეგად), ზედამხედველობის შედეგები (კლიენტის თანამშრომლობის დონე, ზედამხედველობის შედეგების შეფასება) და მომავალი ზედამხედველობის გეგმა.

4.2.4.3 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდებისას პრობაციისა და შუამავლობის სამსახურს ევალება სასჯელის ორგანიზება და მართვა, კავშირი იმ პირებთან, რომლებიც აკონტროლებენ სამუშაოს და სასჯელის დროს მსჯავრდებულთან მუშაობენ ინდივიდუალურად. ინდივიდუალური მუშაობა კლიენტთან გულისხმობს რჩევების მიცემას, მისი მოტივაციის გაზრდას სასჯელის მოხდისათვის და სასამართლოსათვის მოხსენებების გაკეთებას. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს უწესდება სხვა მოთხოვნები, პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ეხმარება კლიენტს მათ განხილვასა და შესრულებაში.

კანონის თანახმად, სასჯელის დროს სასამართლო ითვალისწინებს კლიენტის ფიზიკურ მონაცემებს და მის შესაბამისობას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელთან.

ახალი სისხლის სამართლის კანონპროექტის თანახმად, პრობაციისა და შუამავლობის სამსახური მუნიციპალიტეტებთან ერთად პასუხისმგებელი იქნება სასჯელის აღსრულებაზე და იმუშავებენ სოციალური კეთილდღეობის ორგანიზაციებთან, რომლებსაც ახალი კანონის შესაბამისად, შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

4.2.4.4 სხვა სანქციები, რომლებიც არ შეიცავენ პატიმრობას

გარდა იმ სანქციებისა და ნორმებისა, რომლებიც შეიცავენ პრობაციის ელემენტებს, სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს სხვა სანქციები და ზომები, რომლებიც არ შეიცავენ პატიმრობას (სასჯელის გადაადგება, მკურნალობის ბრძანება და ა.შ.). ასეთ საქმეებში პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის მონაწილეობა არ არის მკაცრად რეგლამენტირებული. ერთი მხრივ, კანონი ადგენს, რომ პრობაციის პერიოდში პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ზედამხედველობას გაუწევს მსჯავრდებულის ყოფაქცევას და უზრუნველყოფს ისეთი სანქციების აღსრულებას, რომლებიც არ გულისხმობენ პირდაპირ პატიმრობას, მეორე მხრივ კი, ნათელია, რომ თუ ეს სამუშაოები სასამართლოს თანამშრომლებისგან პირდაპირ გადაინაცვლებს პრობაციისა და შუამავლობის სამსახურში, ეს გამოიწვევს სამსახურის გადატვირთვას. დღესდღეობით ასეთი სახის სანქციებისა და ზომების ინდივიდუალური ცენტრების პრაქტიკა ცვალებადია, ვინაიდან მთელი ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ არ მოხდეს პრობაციისა და შუამავლობის სამსახურების გადატვირთვა.

4.2.4.5 სხვა სოციალური სამსახურების მიერ წარმოებული სამუშაოები

მკურნალობა და ყოფაქცევითი პროგრამები, როგორც სანქციების გამოყენება, უზრუნველყოფილია იმ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ სამუშაოებს. ამ ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ სასამართლო ბრძანებებს, დღესდღეობით არ გააჩნიათ არანაირი მხარდაჭერა და საჭიროებენ ისეთი სახის გამოსავლის მოძებნას, როგორც არის, მაგალითად, აკრედიტაციის სისტემა და საგრანტო დახმარება. სამედიცინო დაწესებულებები ახორციელებენ პროფლაქტიკურ ღონისძიებებს.

4.2.4.6 პატიმრობის აღსრულება

პატიმრობა ხორციელდება საპატიმრო დაწესებულებებში. კანონი პატიმრობის შესახებ №169/1999 განსაზღვრავს პატიმრობის რეჟიმებს. მსჯავრდებულების განთავსება ხდება ოთხი რეჟიმიდან ერთ-ერთში. ერთი რეჟიმიდან მეორეში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღება მსჯავრდებულის, ციხის დირექტორის, პროკურორის ან სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე. საპატიმრო სასჯელის დროს პატიმრებს დახმარებას უწევენ სოციალური მუშაკები, მასწავლებლები და ფსიქოლოგები. ჩხეთის რესპუბლიკაში რეჟიმების რაოდენობა მეტად ლიმიტირებულია. ციხეებში არსებობს ნარკოტიკებისგან თავისუფალი რეჟიმი, ვადამდე გასათავისუფლებელთა და სპეციალური დაწესებულება, სადაც დედებს შეუძლიათ სასჯელი მოიხადონ შვილებთან ერთად.

პატიმარს გათავისუფლებამდე უტარდება გათავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამა, რომელიც აზრადებს მას ციხის გარეთ ცხოვრებისათვის.

მსჯავრდებულს უფლება აქვს აგრეთვე (თუ არსებობს დაიტერესება მისი მხრიდან) ჰქონდეს კავშირი სოციალურ კურატორთან. სოციალურ კურატორს შესაძლებლობა აქვს მოინახულოს იგი ციხეში, გაუწიოს სოციალური მეურვეობა და მოამზადოს გათავისუფლებისთვის (მაგალითად, დაეხმაროს სამსახურის ან ბინის მოძებნაში, დაამყაროს კონტაქტი ოჯახის წევრებთან). პატიმრებს საშუალება აქვთ გამოიყენონ სოციალური კურატორების სისტემა გათავისუფლების შემდეგ. ახალგაზრდების კურატორები ანალოგიურ დახმარებას უწევენ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს. მღვდლები პატიმრებს სულიერად ეხმარებიან. პრობაციისა და შუამავლობის სამსახური არ ასრულებს არანაირ საქმიანობას, სანამ პირი იმყოფება პატიმრობაში.

4.2.4.7 ვადამდე გათავისუფლება ზედამხედველობით

პიროვნება შეიძლება ვადამდე გათავისუფლდეს, თუ მან მოიხადა სასჯელის ნახევარი, პატიმრობის პერიოდში კარგად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, შეიძლება იმაში დარწმუნება, რომ იგი მომავალში იცხოვრებს კანონმორჩილი ცხოვრებით, ან იძლევა გარანტიას, რომ იგი გააგრძელებს გამოსწორებას (სისხლის სამართლის კოდექსის 61-64 მუხლები).

პატიმრის ვადამდე გათავისუფლებისას სასამართლო ადგენს საპრობაციო პერიოდს, ერთიდან შვიდ წლამდე და შეუძლია დაუდგინოს მსჯავრდებულს პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ზედამხედველობა. ასეთ შემთხვევებში მსჯავრდებულს ევალება ითანამშრომლოს პრობაციისა და შუამავლობის სამსახურთან, ხოლო ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს ზედამხედველობა და მოახსენოს სასამართლოს მიღწეული შედეგების შესახებ. აღნიშნული ხორციელდება ანალოგიურად პირობითი სასჯელისა, ზედამხედველობით ან სასჯელისგან პირობით განთავისუფლებისას ზედამხედველობით.

სხვა ჯგუფები, რომლებიც ჩართული არიან ვადამდე გათავისუფლებაში, არიან იმ პროგრამების განმახორციელებლები, რომლებსაც ითვალისწინებს ზედამხედველობის პირობები. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურები პასუხისმგებელი არიან დადგენილი პირობების შესრულებაზე და პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების კოორდინაციაზე. ვადამდე გათავისუფლებულ პატიმრებს, ნებაყოფლობით საფუძველზე, შეუძლიათ გამოიყენონ სოციალური ან ახალგაზრდების კურატორების მიერ წარმოებული მომსახურება.

4.2.4.8 ციხის შემდგომი მზრუნველობა

საპატიმრო ან არასაპატიმრო სასჯელის დასრულების შემდეგ მსჯავრდებულს შეუძლია მოითხოვოს სოციალური კურატორის დახმარება. პრობაციისა და შუამავლობის სამსახური არ არის ჩართული ნებაყოფლობით მოთხოვნილ შემდგომ მზრუნველობით სამუშაოებში.

4.2.4.9 ინდივიდუალური შეწყალება და საერთო ამნისტია

თანხმად კონსტიტუციისა, პრეზიდენტს უფლება აქვს გამოაცხადოს ამნისტია და შეიწყალოს პირი. ცალკეული პირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია პირობითი ამნისტიაც. ასეთ დროს პირობების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ სასამართლოებს. შეწყალებისა და ამნისტიის საკითხებში პროზაიკისა და შუამავლობის სამსახური არანაირ ფუნქციას არ ასრულებს.

4.3 შეჯამება

არსებული კანონი ითვალისწინებს საზოგადოებრივი სანქციების ფართო სპექტრს. 1990 წელს კანონში შევიდა მთელი რიგი ცვლილებებისა, რამაც საფუძველი ჩაუყარა 2002 წლის 1 იანვარს მიღებულ ახალ კანონს. პროზაიკისა და შუამავლობის გამოყენების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია პროკურორისათვის მინიჭებული სისხლის სამართალწარმოებისათვის მიმართულების შეცვლის უფლება. ეს არის ალტერნატიული გზა საყოველთაოდ დამკვიდრებულისა, როდესაც პროკურორი პიროვნებას წაუყენებს ბრალს და საქმეს აგზავნის სასამართლოში, ხოლო შემდეგ სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა მიმართულებით წაიყვანოს საქმე.

პროზაიკისა და შუამავლობის სამსახური მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსჯავრდებულებთან დაკავშირებით შესაბამისი მოხსენებების მომზადებაში. წინასწარი გამოძიების პროცესში პროზაიკისა და შუამავლობის სამსახური მუშაობს მსჯავრდებულებსა და დაზარალებულებთან, რა დროსაც იყენებს შუამავლობას და სპეციფიკურ საპროზაიკო ღონისძიებებს. ამ ეტაპზე, ყველა სახის კონტაქტი პროზაიკისა და შუამავლობის სამსახურთან დამყარებულია ნებაყოფლობით საფუძველებზე. აღნიშნული სამუშაოების შედეგად შესაძლებელია როგორც შეთანხმების მიღწევა მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის, აგრეთვე მოხსენების მომზადება შუამავლობის შედეგებზე; ასევე იძლევა წინასაგამოძიებო მოხსენების მომზადების საშუალებას. საპროზაიკო საქმიანობის სხვა, ძალიან მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს ზედამხედველობა გირაოს დროს.

პროზაიკისა და შუამავლობის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი ამოცანა გულისხმობს საზოგადოებრივი სანქციების წარმართვას. პირველსა და უმთავრესს წარმოადგენს პროზაიკის პერიოდში მსჯავრდებულის ზედამხედველობა და მეურვეობა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის უზრუნველყოფა, პროკურორის ან სასამართლოს მიერ დადგენილი პირობების შესრულების კონტროლი და სასამართლოს (პროკურორის) ინფორმირება კლიენტთან მუშაობის შედეგების შესახებ. პროზაიკისა და შუამავლობის სამსახური აგრეთვე მუშაობს დაზარალებულთან და ეხმარება მას კონფლიქტის შედეგების მოგვარებაში. საზოგადოებრივი სანქციების იმპლემენტაციისას ასევე გამოიყენება შუამავლობა, რათა დადებითად გადაწყდეს როგორც დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის კონფლიქტი, ისე მიყენებული ზიანის კომპენსაციის საკითხი. კანონი პროზაიკისა და შუამავლობის შესახებ საშუალებას იძლევა, რომ ისეთი საქმეები, რომლებიც არ წარმოადგენს პროზაიკისა და შუამავლობის ეროვნული სამსახურის საქმიანობის პირდაპირ ვალდებულებას, წარმართონ არაკომერციულმა ორგანიზაციებმა.

ახალგაზრდების კურატორები წარმოადგენენ ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური და სამართლებრივი დაცვის სისტემის შემადგენელ ნაწილს და თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ალტერნატიული სანქციების აღსრულების დარგში, ისეთ საქმეებზე, სადაც სასამართლოს ან პროკურორის მიერ მსჯავრდებულებისათვის ხდება განსაზღვრუ-

ლი მოთხოვნების დადგენა და მათში მონაწილეობა (მაგალითად, ფსიქოლოგიური რჩევების პროგრამები), მთავარ როლს თამაშობენ ის ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ამ პროგრამებს.

საპატიმრო სასჯელის მოხდა ხდება ციხეში და ცალკეულ პირთა წრისათვის შექმნილია სპეციალური რეჟიმები (ნარკოტიკებისგან თავისუფალი ზონა, დედისა და ბავშვის დაწესებულება). პატიმრებისათვის სოციალური დახმარების გაწევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ციხის თანამშრომლები და განსაკუთრებით ციხის სოციალური მუშაკები. მსჯავრდებულს, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მისივე ნებაყოფლობით მოთხოვნის შემთხვევაში, მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ სოციალური კურატორები.

დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემა და შეფასების პროცედურა, საზოგადოებრივი აზრი და კლიენტთა შეხედულებები

5.1 დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება

პრობაციისა და შუამავლობის სამსახური განსაზღვრულია, როგორც სამთავრობო ორგანიზაცია, რომლის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძოდ კი იუსტიციის დეპარტამენტიდან. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ხარჯვით ნაწილს კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით აკონტროლებს იუსტიციის დეპარტამენტი, რომელიც რეგულარულად ყოველ ათ კვირაში იღებს ინფორმაციას და ყოველწლიურად აკეთებს საბოლოო დასკვნას. ყოველწლიური ხარჯვითი ნაწილი იყოფა თავებად, კერძოდ: ხელფასი, გადასახადები, დაზღვევის ხარჯები, სამსახურის ხარჯები, ქირის ხარჯები და ა. შ. სამსახურის ხარჯვითი ნაწილი უნდა შეესაბამებოდეს ამ საბიუჯეტო სტრუქტურას. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურს შეუძლია აგრეთვე მოიპოვოს გრანტები EU/PHARE პროგრამებიდან. დაფინანსების სხვა წყაროები არ არსებობს. ბიუჯეტს მართავს ხელმძღვანელობა და ფინანსური დეპარტამენტი, ხოლო კონტრაქტების დადების უფლება მხოლოდ დირექტორს აქვს. პრობაციის გჯგუფებს უფლება აქვთ განკარგონ მხოლოდ მცირე თანხები, ისეთ საქონელზე ან მომსახურებაზე, როგორცაა ფოსტა, საკანცელარიო საქონელი, მცირე შესაკეთებელი სამუშაოები და ა. შ. დიდი ოდენობის შესყიდვები (მაგალითად: ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და ა. შ.) ხორციელდება მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ და საბანკო გადარიცხვების მეშვეობით.

ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ დახმარებას, ფინანსდებიან სახელმწიფო დეპარტამენტების (შრომისა და სოციალური ურთიერთობების, განათლების, შინაგან საქმეთა სამინისტრო) ან სხვა დაწესებულებების მიერ. ქვეყანაში არ არსებობს სისტემა, პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის გარდა, რომ ახორციელებდეს შესაბამის საქმიანობას და ჰქონდეს მუდმივი დაფინანსების წყარო.

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის 2001 წლის ბიუჯეტი და დამატებითი ხარჯები მოყვანილია ტაბულებში №2, №3 და №4:

ტაბულა 2: პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის წლიური ხარჯვითი ნაწილი 2001 წელს

წლიური ხარჯი	Czk	ევრო
ხელფასი	37.9 მილიონი	1.2 მილიონი
სხვა ხარჯები	22.4 მილიონი	0.7 მილიონი
საერთო ხარჯი	60.4 მილიონი	1.9 მილიონი

ტაბულა 3: საშუალო ხარჯი თითო თანამშრომელზე

საშუალო თვიური ხარჯი თითო თანამშრომელზე (147 თანამშრომელი)	Csk	ევრო
ხელფასი	15,943	497
სხვა ხარჯები	12,151	370
საერთო	28,094	867

ტაბულა 4: თითოეული კლიენტის დღიური ხარჯი

საშუალო დღიური ხარჯი თითოეულ კლიენტზე	Csk	ევრო
ხელფასი	759.2	23.7
სხვა ხარჯები	576.6	18.1
საერთო	1337.8	41.7

5.2 რეგისტრაციის სისტემა და შეფასების პროცედურები

დღესდღეობით არ არსებობს ურთიერთკავშირი არსებულ საინფორმაციო სისტემებს შორის (მაგალითად, პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის კლიენტების ინფორმაცია არ უკავშირდება ციხეს ან სასამართლოს). ანალოგიურად, სოციალური სამსახურების მიერ წარმოებულ საქმიანობაზე არ არსებობს ერთიანი სისტემა. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის გუნდები აწარმოებენ მხოლოდ ჩვეულებრივ დოკუმენტაციას და ჩანაწერებს კლიენტთა შესახებ. ელექტრონული სტატისტიკური ბაზა არსებობს მხოლოდ საქმეების რაოდენობისა და გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნული ბაზა გამოიყენება მხოლოდ, როგორც თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის საფუძველი. ქვეყანაში არ არსებობს საერთო საინფორმაციო ბაზა, რომელშიც შეტანილი იქნება ინფორმაცია სისხლის სამართალწარმოების შესახებ. პენიტენციალური სამსახური ახორციელებს თავის სტატისტიკას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ბრალდებულ და გასამართლებულ პირთა შესახებ, ხოლო იუსტიციის დეპარტამენტი რეგულარულად აქვეყნებს მას.

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურმა დაასრულა პილოტური პროექტი, რომელიც გულისხმობდა პრობაციისა და შუამავლობის სტატისტიკის შექმნას. სისტემა განთავსებულია ადგილობრივ ოფისებში, რომელიც მომავალში დაკავშირებული იქნება ერთმანეთთან და შესაბამისი შეფასების განხორციელების შემდეგ საფუძველს ჩაუყრის ახალი პროგრამების შექმნას.

კრიმინოლოგიისა და სოციალურ საკითხთა ინსტიტუტმა პრობაციისა და შუამავლობის სამსახურისათვის ჩაატარა კვლევა, ალტერნატიული სასჯელებისა და ვალდებულებების დარგში. გარდა ამისა, მათ მიერ ითარგმნა საერთაშორისო პუბლიკაციები და მიეწოდათ მრავალი მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

5.3 შეჯამება

სამართლის სისტემის მომავალმა რეფორმამ უნდა შექმნას კავშირი სისხლის სამართალწარმოების პროცესში მონაწილე ყველა სამსახურის საინფორმაციო სისტემებს შორის, რაც ხელს შეუწყობს პირადი ინფორმაციის მეტ დაცულობასა და ურთიერთ-კოორდინაციას. პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ცდილობს დაამყაროს საინფორმაციო კავშირები სასამართლოებთან, ციხის სამსახურებსა და სხვა სოციალური საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან.

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის კლიენტთა უფლებები

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის კლიენტებს აქვთ იგივე უფლებები, რაც ყველა სხვა მოქალაქეს. სამოქალაქო უფლებათა სისტემა ემყარება რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და სტანდარტებს, ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დოკუმენტში ჩამოყალიბებულ ევროპულ ხელშეკრულებებსა და სტანდარტებს, სისხლის სამართალსა და კოდექსში არსებულ სხვა სტანდარტებს. 2000 წლიდან კლიენტებს უფლება მიეცათ მიმართონ ომბუდსმენს ან უფლებათა სახელმწიფო დამცველს (კანონი 349/1999).

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ოფიცერთა და თანამშრომელთა ვალდებულებებში არაპირდაპირი გზით აღწერილია კლიენტთა სპეციფიკური უფლებები. პრობაციისა და შუამავლობის შესახებ კანონის თანახმად (№257/2000), მათ ევალებათ იმოქმედონ კანონის ფარგლებში, პატივი სცენ და დაიცვან ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და პირადი ღირსება. მათ აგრეთვე ევალებათ დაიცვან კონფიდენციალობა ყველა ისეთ ფაქტზე, რომლებიც მოთთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულებისას, გარდა ისეთი შემთხვევების, როდესაც მათ უნდა აცნობონ ოფისს ან თავიდან აიცილონ არაკანონიერი საქციელის ჩადენა.

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის დებულების თანახმად, კლიენტებს უფლება აქვთ უჩივლონ ამ სამსახურის თანამშრომლებს (პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ორგანიზაციული დებულების ნაწილი 6, მუხლი 6.2). საჩივრებს იძიებს მიმართულების უფროსი. კლიენტებს უფლება აქვთ საჩივრით მიმართონ პირდაპირ იუსტიციის სამინისტროს, რომელიც, როგორც წესი, უზრუნველბა პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის გამოძიების დირექტორს. ჩხეთის რესპუბლიკაში არ არსებობს დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც მოახდენს რეაგირებას და შეაფასებს კლიენტის მიერ დაწერილ საჩივარს.

სისხლის სამართალწარმოების დროს, ყოველი პირი, რომელიც განაცხადებს, რომ არ იცის ჩეხური ენა. უფლება აქვს გამოიყენოს მშობლიური ენა. ვინაიდან პრობაციისა და შუამავლობის სამსახური ფორმალურად არ წარმოადგენს სამართალწარმოების მონაწილე მხარეს, პრობაციის კლიენტებთან მიმართებით არსებობს ექვეები და სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციები ამ უფლებების არსებობის შესახებ, მიუხედავად სამსახურის მიერ თავისი საქმიანობის განხორციელებისას ამ უფლების საჭიროებისა.

წინასწარი გამოძიების პროცესში კლიენტები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის მიერ შეთავაზებული დახმარების მიღებაზე. მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის შუამავლობაში მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინასწარი პატიმრობა იცვლება ზედამხედველობით). პატიმრობის შემდგომ ეტაპზე კლიენტისა და პრობაციის ოფიცრის ურთიერთობა დამოკიდებულია, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებაზე აგრეთვე იმაზე, თუ რა შედეგს გამოიწვევს აღნიშნული პრობაციისა და შუამავლობის სამსახურისათვის. სასჯელი განსაზღვრავს კლიენტზე დაკისრებულ მოთხოვნებს, რომელიც უფრო ნათლად იქნება გაწერილი პრობაციის ოფიცრის მიერ შედგენილ ზედამხედველობის გეგმაში. პატიმრობის შემდგომ ეტაპზე მსჯავრდებულის მიმართ წარმოებული ყველა სახის სამუშაოების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს კლიენტს, მიუხედავად ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მისი თანხმობა საჭირო არ არის (მაგალითად, ინფორმაციის მოპოვება მისი ნასამართლობის შესახებ).

საერთო რაში შეიძლება ითქვას, რომ პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის თანამშრომლები, პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის მიზნების თანახმად, ეწვიან სისტემატურ თვითგანათლებას, რაც შემდგომში იწვევს კარგად დაბალანსებულ ურთიერთობებს და მინიმუმამდე ამცირებს კონფლიქტურ სიტუაციებს.

პატიმართა საჩივრების განხილვა ხდება ციხის საჩივართა განყოფილებასა და ციხის დირექტორთან. ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც განახორციელებდა მონიტორინგს საჩივართა განხილვის ობიექტურობაზე.

არსებული მიღწევები

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია სისხლის სამართლის სისტემისა და სოციალური სამსახურების სისტემის რეფორმაზე. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის კონცეფციის თანახმად, მისი საქმიანობის მთავარი ელემენტი ხორციელდება წინასწარი გამოძიების პროცესში. სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების უკანასკნელ ვარიანტში განსაზღვრულია, რომ საქმეთა უმეტესი ნაწილი უნდა შეწყდეს პროკურორის მიერ წინასწარი გამოძიების პროცესში. პრობაციისა და შუამავლობის სამსახური თამაშობს მნიშვნელოვან როლს შუამავლობის მეშვეობით საკითხთა მოგვარებაში. პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის საქმიანობა აგრეთვე ხელს უწყობს წინასწარი გამოძიების პროცესში დოკუმენტების კარგად მოზადებას, რაც შემდგომში საზოგადოებრივი სანქციების გამოყენების ხელშემწყობი ფაქტორი ხდება. ალტერნატიული ვალდებულებებისა და სასჯელების შესაფარდებლად ძალიან მნიშვნელოვანია ხელშეწყობა ჰარმონიული მუშაობის წარმართვისათვის პრობაციისა და შუამავლობის სამსახურს, პოლიციას, სასამართლოსა და პროკურატურას შორის. ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის სამართლებრივ სისტემაში ინტეგრაციისათვის. ასეთი ტიპის ერთობლივმა მუშაობამ დადებითი გავლენა უნდა იქონიოს პრობაციისა და

შუამავლობის სამსახურის სისხლის სამართალწარმოების პროცესში დამკვიდრებასა და სასჯელის და ალტერნატივების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის თანამშრომლობა ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც საქმიანობენ სოციალურ სფეროში. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებს უფლება აქვთ ჩართული იყვნენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განხორციელებაში. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ასეთი ტიპის თანამშრომლობა გაზრდის როგორც ალტერნატიული სასჯელების გამოყენების საშუალებას, აგრეთვე მათ ეფექტურობას. ამ მიმართულებით არასამთავრობო სექტორის ჩართვა განხორციელდა მთელი რიგი პილოტური პროექტებისა. ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე ნებაყოფლობითი ორგანიზაციების ჩართვა სასამართლოში მიმდინარე შუამავლობის პროცესში, რაც ხელს შეუწყობს შუამავლობის სამსახურების გაძლიერებას.

პრობაციის ოფიცერთა საქმიანობის მხარდასაჭერად საჭიროა სპეციალური პროგრამების შემუშავება. პრობაციის/რესოციალიზაციის პროგრამების განვითარებას სჭირდება არა მარტო განვითარება, არამედ ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა. ისეთი ორგანიზაციების დაფინანსების საკითხის მოგვარება, რომლებიც განხორციელებენ ამ პროგრამებს, საჭიროა გადაწყდეს იუსტიციის დეპარტამენტისა და შრომისა და სოციალური ურთიერთობების დეპარტამენტის ერთობლივი თანამშრომლობით.

ჩეხეთის რესპუბლიკაში პრობაციისა და შუამავლობის სამსახური წარმოადგენს ინოვაციას და მას ყველა საშუალება აქვს მტკიცედ მოიკიდოს ფეხი სამართლებრივ სისტემაში. ქვეყანაში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა უპირატესობას ანიჭებს საზოგადოებრივი სანქციების და შესაბამისი სასჯელებისა და ზომების გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებას. ამავე დროს, სოციალური სამსახურების სისტემის რეფორმამ ხელი უნდა შეუწყოს სისხლის სამართლის ახალ მიმართულებებს. ამ პროცესში პრობაციისა და შუამავლობის სამსახურს შეუძლია შეასრულოს ძალიან მნიშვნელოვანი როლი. პოლიტიკის შეცვლამ უკვე გამოიწვია რეალური შედეგები, კერძოდ, ციხეებში შემცირდა ხალხის რაოდენობა.

8.1 მისამართები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართები და ვებგვერდები:

Ministry of Justice,
Vysehradská 16,
Praha 2 – Nove Mesto.
tel.: +420 2 21 997 111
e-mail: posta@msp.justice.cz
www.justice.cz

Press Department
tel.: +420 2 21 997 123
fax: +420 2 24 921 657
e-mail: ichaloupkova@msp.justice.cz
Information for the Public:
tel.: +420 2 21 997 271
+420 2 21 997 275
fax: +420 2 24 921 657

General Headquarters,
Prison Service,
Soundi 1672/1a,
140 67 Praha 4.
Press Department:
Mgr. Miloslava Havlickova
tel.: +420 2 6103 4557
e-mail: Mhavlickova@grvs.justice.cz
www.vscsr.cz

Institute of Criminology and Social
Prevention,
nam. 14. října 12,
150 21 Praha 5.
tel.: +420 2 57 104 111
fax: +420 2 57 104 403

Probation and Mediation Service of the
Czech Republic,
Letenska 3,
Praha 1.
118 00
e-mail: gstern@msp.justice.cz
tel.: +420 2 57 199 411
+420 2 57 199 413
fax: +420 2 57 199 412
<http://www.justice.cz>

Judicial Academy of the Czech Republic
machova 200,
471 27 Straz pod Ralskem.
tel.: +420 425 85 20 85 (+420 487 852 085)

Ministry of Interior.
Department of the Prevention of
Criminality,
Nad Stolou 3,
P.O.B.21/OP,
170 34 Praha 7.
tel.: +420 2 6143 2255,
fax: +420 2 61 43 3504,
e-mail: sekropk@mvr.cz
<http://www.mvr.cz>

Office of Public Protector of Rights
(Ombudsman).
Udolni 39,
Brno. 602 00.
tel.: +420 5 42 542 111
<http://www.ochrance.cz>

Association for the Development of Social
Work in Criminal Justice (SPJ),
Sokolska 26,
120 00 Praha 2.
tel.: +420 2 9618 0297-8
fax: +420 2 2426 2145
e-mail: institut@spi.cz
www.spi.cz

White Circle of Security, Association for
Assisting Victims of Crime,
Duskova 20.
Praha 5. 150 00
tel.: +420 2 5731 7110
fax: +420 2 5731 7110
e-mail: kkb@volny.cz

e-mail: IKSP@iksp.justice.cz

Ministry of Labor and Social Affairs,
Na Poricnim pravu 1,
128 01 Praha 2 – Nove Mesto.
tel.: +420 2 21 92 1111
fax: +420 2 24 91 83 91
+420 2 21 92 26 64
e-mail: posta@mpsv.cz

Department of Social Services,
tel.: +420 2 21 92 25 85
e-mail: milena.jaburkova@mpsv.cz
www.mpsv.cz

PARTNER ORGANISATIONS (EXAMPLES)

KROK,
Community Centre,
Rakovskeho 3138,
140 00 Praha 4.
T: +420 2 402 13 10
F: +420 2 402 13 12
E: krok@iol.cz

SANANIM,
Novovysocanska 604 A,
190 00 Praha 9.
tel.: +420 2 8482 2872,8482 5817
fax: +420 2 66 31 53 06
e-mail: office@sananim.cz
www.sananim.cz

Salvation Army,
Petzilkova 2565/23,
158 00 Praha 5.
tel./fax +420 2 5161 1229
e-mail: info@annadaspasy.cz
www.armadaspasy.cz

LATA – Students Association for
Assisting Young People at Risk,
Senovazne nam_sti 24,
110 00 Praha 1.
tel./fax: +420 2 24 102 361
e-mail: lata@adam.cz
lata.web3.cz

Association of Cities and Municipalities
of the Czech Republic,

Czech Helsinki Committee,
 Jeleni 5/199,
 Praha 1, 110 00.
 T: +420 2 20 51 52 23
 F: +420 2 24 37 23 34
 E: helsincz@helsincz.anet.cz
 I: www.helcom.cz

Pacovska 31,
 Praha 4, 140 00.
 tel.: +420 2 6121 1300
 fax: +420 2 6121 1318
 e-mail: smocr@smocr.cz

LIBRARIES

Association of Social Work in Criminal
 Justice (SPJ)
 Institute of Criminology and Social
 Prevention.

კრიმინალური სტატისტიკა

ტაბულა ა: დანაშაულები, ბრალდებულები და წინასაგამოძიებო შედეგები 1997-2001 წლებში

წინასწარი გამოძიების ეტაპი	1997	1998	1999	2000	2001
დანაშაულთა საერთო რიცხვი	174214	178056	185957	186307	191021
ბრალდებულთა რაოდენობა	85347	84066	73905	84855	86074
გასამართლების შეწყვეტა პროკურორის მიერ	12505	12355	23835	12022	12363
გასამართლების პირობით გადავადება	4537	3114	4641	6166	7704
მოსამართლის მიერ გასამართლების პირობით გადავადება	2707	1735	2717	3299	3299
დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის შეთანხმება	221	129	200	228	224

ტაბულა ბ: თავისუფლების აღმკვეთი სასჯელები 1997-2001 წლებში

საპატიმრო სასჯელები	1997	1998	1999	2000	2001
გასამართლებულ პირთა საერთო რიცხვი	57974	59777	54083	60182	63211
მდედრობითი	5245	5416	4696	6792	6961
ასაკი 15-17	6311	6438	4605	3805	4155
ასაკი 18-24	20914	21379	18887	19738	21429

რეგიდივისტები	9228	10020	9582	9574	9932
პატიმრობა	13377	13934	14656	12533	14114
1 წელზე ნაკლები	8290	8757	8987	8407	93665
1-5 წელი	4501	4560	4951	3563	4129
5-15 წელი	554	587	700	547	603
15 წელზე მეტი	28	26	17	15	15
სამუდამო პატიმრობა	4	4	1	1	2
პირობით გათავისუფლება	3409	3247	3374	4054	4300

ტაბულა გ: არასაპატიმრო სასჯელები 1997-2001 წლებში

არასაპატიმრო სასჯელები	1997	1998	1999	2000	2001
სასჯელის გადავადება	37018	37191	33059	32817	35617
სასჯელის გადავადება ზედამხედველობით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა	92	92	43	94	112
ჯარიმა	4734	4703	2634	3324	3571
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა	1600	1776	3215	7084	8835
სხვა	1059	396	329	495	642
შეწყვეტა	1693	1863	1774	2084	2071
ზედამხედველობის პირობითი შეწყვეტა		279	591	753	926

ტაბულა დ: სხვა სანქციები 1997-2001 წლებში

სხვა სანქციები	1997	1998	1999	2000	2001
დამატებითი სანქციები	9022	9627	9529	9868	11296
საქმიანობის უფლების ჩამორთმევა	5585	6091	5866	5927	6631
ჯარიმა	846	775	745	605	686
სხვა	2591	2761	2918	3336	3979
მკურნალობის ბრძანება	581	617	630	534	633
ალკოჰოლი	239	260	227	175	185
ნარკოტიკები	119	144	183	170	212
სხვა	223	213	220	189	236
არასრულწლოვანთა აღზრდა	41	27	29	32	39

თავი 4

ესტონეთი

რაიტი კუზნე

ძირითადი ინფორმაცია ქვეყნისა და პრობაციის სისტემის ისტორიული განვითარების შესახებ

1.1 პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული წარსული

1918 წლის 24 თებერვალს, როდესაც ქ. ტალინში შეიქმნა დროებითი მთავრობა, გამოცხადდა ესტონეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა ორწლიანი განმათავისუფლებელი ომი რუსეთთან და 1920 წლის 2 თებერვალს დასრულდა ქ. ტარტუში ხელმოწერილი მშვიდობის შეთანხმებით. 1940 წლიდან ესტონეთი ოკუპირებულ იქნა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიერ და 1944 წლიდან საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილად იქცა. ესტონეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა კვლავ გამოცხადდა 50-წლიანი საბჭოთა მმართველობის შემდეგ, 1991 წლის 20 აგვისტოს.

ესტონეთი მოიცავს 45.000 კვადრატულ კილომეტრს. მოსახლეობა 1.4 მილიონზე ოდნავ მეტია. ესტონეთის სტატისტიკური ოფისის მონაცემების თანახმად, უმუშევართა რაოდენობა 2001 წელს შეადგენდა 12.6%-ს. ესტონელები ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობის 65.3%-ს შეადგენენ, რუსები - 28%-ს. უკრაინელები, ბელორუსები და ფინელები ქვეყნის მოსახლეობის უმცირესობებს წარმოადგენენ. 2001 წლის მეოთხე კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი წარმოადგენდა 5.879 კრონს (376 ევროს). 2001 წელს ქვეყნის მოსახლეობის 59.7% დასაქმებული იყო ეკონომიკის მესამეხარისხობრივ სექტორში, 7.1% - პირველად სექტორში და 33.1% - მეორეულ სექტორში.

ესტონეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით. ქვეყნის მეთაურია პრეზიდენტი. ესტონეთის პარლამენტი შედგება 101 წევრისგან, რომელთაც ირჩევენ 4 წლის ვადით. უკანასკნელი არჩევნებისას საპარლამენტო ბარიერი გადალახა შვიდმა პოლიტიკურმა პარტიამ: ცენტრალური პარტია, პროპარტიული გაერთიანება, მისალები, რეფორმების პარტია, კოალიციური პარტია, ესტონელი მმართველი ხალხის პარტია და ესტონელი გაერთიანებული ხალხის პარტია. რეალურად (2002 წლის 28 თებერვლიდან), მმართველ კოალიციას წარმოადგენს ცენტრალური პარტია და რეფორმების პარტია.

ესტონეთში ჩამოყალიბებულია სამეტაპიანი სასამართლო სისტემა. პირველი ინსტანციის სასამართლოებს წარმოადგენენ რაიონული და ქალაქის სასამართლოები, მეორე ინსტანციის სასამართლოებს სააპელაციოები და უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს უზენაესი სასამართლო. იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი ამოცანაა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციონირებისა და განვითარების (ტრენინგი, ინფრასტრუქტურა, საბიუჯეტო წყაროები და ა. შ.) ხელშეწყობა. იუსტიციის სამინისტროს ფუნქციაა აგრეთვე პრობაციის დეპარტამენტის კოორდინაცია, განვითარება და ზედამხედველობა, ვინაიდან ეს დეპარტამენტი წარმოადგენს პირველი ინსტანციის სტრუქტურულ ერთეულს.

1992 წლიდან ქვეყანაში გაიზარდა დანაშაულის დონე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოველწლიურად ფიქსირდებოდა 40.000 დანაშაული. 2001 წელს პოლიციის მიერ დაფიქსირებული 58.497 დანაშაულიდან გაიხსნა მხოლოდ 19.016 (33%). დანაშაულთა საერთო რაოდენობიდან 45.149 (77%) იყო ქონებრივი დანაშაული, რომელთა შორის ქურდობა წარმოადგენდა 37.393-ს. ხსენებული დანაშაულების უდიდეს ნაწილს

სოციალური საფუძველი (უმუშევრობა) ჰქონდა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი სერიოზული დანაშაულების პროპორციამ მნიშვნელოვნად დაიკლო მაშინ, როცა ამავე პერიოდში გაიზარდა ქონებრივი დანაშაულების რაოდენობა. პოლიციიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დანაშაულთა 50% ხდებოდა ქ. ტალინში.

1.2 პრობაციის სამსახურის ისტორია

1.2.1 პრობაციის სამსახურების შექმნა ესტონეთში

ესტონეთის პირველი დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1940) არ არსებობდა პრობაციის მსგავსი სამსახური, სოციალური კეთილდღეობის საკითხები რეგულირდებოდა ადგილობრივი მთავრობებისა და რამდენიმე ნებაყოფლობითი დამხმარე ასოციაციის მეშვეობით. საბჭოთა პერიოდში (1991 წლამდე) პრობაციის სამსახური პრაქტიკულად არ არსებობდა, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა პირობით ვადამდე გათავისუფლებასა და სასჯელის გადავადებას.

1.2.2 პრობაციის სისტემის განვითარების ქრონოლოგია

დანაშაულის დონის ზრდისა და ციხეებში დიდი რაოდენობით ხალხის ყოფნის გამო საჭირო გახდა საზოგადოების უსაფრთხოების გარანტიისათვის ახალი მეთოდების მოძიება. პრობაციის სისტემის შექმნის გასამართლებლად ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა ციხეებში პატიმართა რაოდენობის შემცირება.

1991 წელს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით დაიწყო სისხლის სამართლის კანონის რეფორმირება. გეგმაში იყო სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანა და სისხლის-სამართლებრივი სასჯელების იმპლემენტაცია. 1993 წელს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნით, ემიგრანტმა ესტონელმა ექსპერტმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება პრობაციის შესაძლო ესტონურ მოდელზე, რომელშიც აღწერა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და ამ სისტემის იმპლემენტაციისათვის გადასადგმელი ნაბიჯები.

1996 წელს იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა კანონპროექტზე - პრობაციის ზედამხედველობის აქტი (შესაბამისად ამზადებდნენ სხვა საკანონმდებლო ცვლილებებსაც) და ამავე დროს მუშაობდნენ იმპლემენტაციის გეგმასა და ბიუჯეტზე. პრობაციის ზედამხედველობის აქტზე მუშაობა დასრულდა 1997 წელს და ძალაში შევიდა 1998 წლის მაისში. აღნიშნული აქტის შესამუშავებლად გამოყენებულ იქნა სხვა ქვეყნების კანონები, რომლებიც მართავდნენ ანალოგიურ სისტემებს. უმთავრეს წყაროებს წარმოადგენდნენ გერმანია, ავსტრია და საფრანგეთი.

პრობაციის სისტემის რეგულირება ხდებოდა შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: უნდა მომხდარიყო მოვალეობების მორგება პრობაციონერებზე; მონაზოპრობაციის ოფიცრის ინდივიდუალური მუშაობის კლიენტთან; სასჯელის აღსრულებაში მოსამართლის ჩართვა.

1998 წლის 1 მაისიდან დაიწყო პირველი ეტაპი პრობაციის სისტემის იმპლემენტაციისა. ესტონეთში რაიონული და საქალაქო სასამართლოების დონეზე შეიქმნა

13 პრობაციის დეპარტამენტი. რეგიონები და დიდი ქალაქები დაყოფილი იყო რაიონებად, სადაც 35 ჯგუფში მუშაობდა 110 თანამშრომელი, რომლებიც გადიოდნენ ტრენინგს იუსტიციის სამინისტროსა და უცხოელი ექსპერტების მეშვეობით. მეორე ეტაპი დაიწყო 1999 წელს, როდესაც 54-მა თანამშრომელმა გაიარა შესაბამისი მომზადება. 1999 წლის 1 ოქტომბერს ისინი დაინიშნენ თანამდებობებზე. დღესდღეობით ესტონეთში შექმნილია 17 პრობაციის დეპარტამენტი და მუშაობს 189 პრობაციის ოფიცერი.

1.2.3 კერძო თუ სახელმწიფო?

პრობაციის სისტემის შექმნას წინ უძღოდა დეტალური ანალიზი და თანამშრომლობა უცხოელ ექსპერტებთან. ითვალისწინებდნენ რა სხვადასხვა ქვეყნის (დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, გერმანია და ა. შ.) გამოცდილებას, მიმდინარეობდა ორგანიზაციული სტრუქტურის სხვადასხვა ვარიანტის განხილვა. ვინაიდან პრობაციის სისტემა გულისხმობდა ახალი დაწესებულების შექმნას, გადაწყდა, რომ შექმნილიყო ეროვნული პრობაციის სისტემა. პრობაციის ზედამხედველობის აქტის თანახმად, შესაძლებელი გახდა პრობაციის ფუნქციების დელეგირება პრობაციის ზედამხედველ ასოციაციებზე. პრობაციის ზედამხედველობის ასოციაციები განიხილება, როგორც არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებმაც ასოციაციის დებულების თანახმად, პრობაცია დაადგინეს ერთ-ერთ თავიანთ ფუნქციად. დღესდღეობით არ არის შექმნილი არც ერთი ასეთი ასოციაცია და პრობაცია რჩება ეროვნულ დაწესებულებად. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს პრობაციის სისტემის მიერ წარმოებული საქმიანობის ზუსტი აღწერისა და მისი შეფასების სისტემის უქონლობა. ამავე დროს პრობაციის ზედამხედველ ასოციაციების შექმნა პირდაპირ კავშირშია არასახელმწიფო სექტორთან, სადაც შეიძლება ბევრი მომსახურების ყიდვა.

1.2.4 პროფესიონალური თუ ნებაყოფლობითი?

პრობაციის ზედამხედველობის აქტის თანახმად, პრობაციის ზედამხედველებს წარმოადგენენ პრობაციის ოფიცრები ან ნებაყოფლობით მომუშავე პრობაციის მუშაკები. პრობაციის ოფიცრები არიან სასამართლო სისტემის მუშაკები, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ და მათი საქმიანობა რეგულირდება როგორც სახელმწიფო მოხელეთა დებულებით, აგრეთვე სამსახურის შესაბამისი პირობებით. პრობაციის ზედამხედველობის აქტი საშუალებას იძლევა საპრობაციო საქმიანობაში ჩაერთონ პრობაციის ნებაყოფლობითი მუშაკები. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საზოგადოების ჩართვა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში. დღესდღეობით პრობაციის დეპარტამენტებში, დაახლოებით, ათი უხელფასო მუშაკია.

1.2.5 დახმარება თუ კონტროლი?

პრობაციის შექმნამდე ზედამხედველობა სასჯელის გადავადებისას ხორციელდებოდა პოლიციის ორგანოების (მილიცია) მეშვეობით. იგი მოიცავდა მხოლოდ გარკვეული პერიოდულით მილიციაში გამოცხადებას და არაფერი ჰქონდა საერთო რეაბილიტაციასთან. ცნობილია აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა სოციალური მუშაკის პროფესია, როგორც ეს დასავლეთის ქვეყნებშია დამკვიდრებული. ამ პერიოდში

დახმარება ხორციელდებოდა მხოლოდ მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანების მიმართ; სოციალური მუშაკებისთვის არ არსებობდა არანაირი ტრენინგი საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

პრობაცია აერთიანებს ორ ელემენტს: კონტროლი და სოციალური მხარდაჭერა. კონტროლი ხორციელდება პოლიციასა და სხვა შესაბამის სამსახურებს შორის ინფორმაციის გაცვლის მეშვეობით. სოციალური მხარდაჭერა ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების სოციალური მუშაკების, შესაბამისი ქსელის და კლიენტის მეშვეობით. ძალიან მწელია ზუსტი პროცენტული მაჩვენებლის მოპოვება, რომელშიც მოცემული იქნება ბალანსი კონტროლსა და სოციალურ სამუშაოებს შორის, ვინაიდან პრობაციის სამსახური უფრო მეტად ფოკუსირებულია რჩევების მიცემასა და დახმარებაზე, ვიდრე ზედამხედველობაზე.

1.2.6 ცენტრალიზებული თუ დეცენტრალიზებული?

ესტონეთის პრობაციის სისტემა ცენტრალიზებულია; პრობაციის დეპარტამენტები წარმოადგენს რაიონული და საქალაქო სასამართლოების დეპარტამენტებს. 1998-2001 წლებში, როდესაც შეიქმნა პრობაციის სისტემა, პრობაციის დეპარტამენტები შეიქმნა იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში, სადაც დეპარტამენტის ხელმძღვანელებს ნიშნავს იუსტიციის სამინისტრო. ამის განხორციელება აუცილებელი იყო, რათა სისტემას დაეწყო ფუნქციონირება. 2002 წლიდან პრობაციის დეპარტამენტები წარმოადგენდნენ სასამართლო სისტემის შემადგენელ ნაწილს. იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს დეპარტამენტების კოორდინაციას და ხელს უწყობს ქვეყნის მასშტაბით მის განვითარებას. ამჟამად, მიმდინარე სასამართლო რეფორმა ზრდის იუსტიციის სამინისტროს როლს პრობაციის სისტემის მენეჯმენტის სფეროში.

1.3 შეჯამება

პატიმართა რაოდენობისა და დანამაულის დონის ზრდამ საჭირო გახადა ცვლილება კრიმინალურ პოლიტიკაში. პრობაციის სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ საზოგადოების დამოკიდებულება მსჯავრდებულების მიმართ შეიცვალა უარყოფითი მიმართულებით. მანამდე არსებული პოლიციის ზედამხედველობა შეიცვალა მსჯავრდებულთა რეაბილიტაციით. შეიქმნა სრულიად ახალი სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს ორ სხვადასხვა ფუნქციას: ზედამხედველობა და სოციალური მხარდაჭერა.

პრობაციის სამსახურის დებულება და სამართლებრივი საფუძვლები

2.1 პრობაციის სამართლებრივი საფუძვლები

პრობაციის სამსახურის საქმიანობა განისაზღვრება სასჯელის გადავადებითა და პირობით ვადამდე გათავისუფლებით. ესტონეთში სამართლებრივი პასუხისმგებლობა ასაკია 15 წელი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში - 13. პრობაციის კანონმდებლობა არ ასხვავებს სრულწლოვნებსა და არასრულწლოვნებს. მას შემდეგ, რაც პრობაციის დეპარტამენტი მიიღებს სასამართლო ბრძანებას ან მოთხოვნას წინასაგამოძიებო მოხსენებაზე ან ციხიდან ინფორმაციის მოპოვებაზე, იწყება პრობაცია.

პრობაციის სისტემის საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპები ასახულია სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. 2002 წლის 1 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის თანახმადაც პრობაციის სისტემამ განიცადა ფუნდამენტური ცვლილებები (საზოგადოებრივ-სათვის სასარგებლო შრომა, პრობაცია, როგორც დანაშაულის თავიდან აცილების საშუალება და ა. შ.). გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ამ წიგნის მომზადების პროცესში სისხლის სამართლის კოდექსი მნიშვნელოვნად გაზრდის პრობაციის ფუნქციებს, საჭიროა ორივე კოდექსის ზუსტი განხილვა.

არსებული სისხლის სამართლის კოდექსი (RT 1992,20, 287; RT I2001,73,452; 85,510; 87, 526; 2002, 9, 45; RT III2002, 11, 108; RT I 2002, 13, 80; 30, 176; 32, 189) და ახალი სისხლის სამართლის კოდექსი (RT I 2001, 61, 364) ადგენს პრობაციის პერიოდში პრობაციონერთა უფლებებსა და მოვალეობებს და პრობაციის ოფისების ძირითად საქმიანობას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (RT I 1995, 6/8, 69; 2000, 56, 369; 84, 533; 86, 542; 2001, 3, 9; 53, 306; 313; 56, 333; 65, 378; 100, 645; 102, 676) განსაზღვრავს პრობაციის ოფიცრის როლს წინასწარი გამოძიების და სასამართლო განხილვის ეტაპზე. არსებული კანონმდებლობის თანახმად, წინასწარი გამოძიების ეტაპზე პრობაციის ოფიცრის როლი განისაზღვრება მოსამართლის ან პროკურორის მოთხოვნით წინასაგამოძიებო მოხსენებების მომზადებით. მომავალში ამას კიდევ დაემატება მორიგების (შუამავლობის) როლი.

პრობაციის ზედამხედველობის აქტი (RT I 1998, 4, 62) განსაზღვრავს პრობაციის სისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურას, პრობაციის ოფიცრისათვის საჭირო კვალიფიკაციას და განსაზღვრავს პრობაციის ამოცანებს. პრობაციის ზედამხედველობის აქტი განსაზღვრავს როგორც პრობაციის სისტემის მთლიან ორგანიზაციულ სტრუქტურას, ისე პრობაციის ოფიცრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ფუნქციას, რაც წარმოადგენს ახალი სისტემის უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო ნაწილს.

აღნიშნული კანონების გარდა, იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადდა მთელი რიგი მეორეული საკანონმდებლო აქტებისა, კერძოდ, იუსტიციის მინისტრისა და გენერალური მდივნის ბრძანებები, რომლებიც დეტალურად არეგულირებენ პრობაციის ოფიცრის საქმიანობას. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

სახელმძღვანელო პრობაციისათვის (დამტკიცებული იუსტიციის მინისტრის მიერ 1998 წლის 6 მაისს); აღნიშნული სახელმძღვანელო განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებს პრობაციისათვის;

სახელმძღვანელო პრობაციის მომზადებისათვის (დამტკიცებული იუსტიციის მინისტრის მიერ 1998 წლის 6 მაისს);

პრობაციაში დასაქმებულ ნებაყოფლობით პირთა ჩართვის პროცედურა;

რაიონული და საქალაქო სასამართლოების პრობაციის დეპარტამენტების საქმიანობის წესებს (დამტკიცებული იუსტიციის მინისტრის მიერ 1998 წლის 6 მაისს), რომელიც განსაზღვრავს პრობაციის დეპარტამენტების განლაგებასა და სტრუქტურას და თანამშრომელთა ფუნქციებს;

რაიონული და საქალაქო სასამართლოების საზედამხედველო კონტროლის პროცედურა - განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრის მიერ საზედამხედველო კონტროლის განხორციელების პროცედურას მიზნებისა და მიღწეული შედეგების შესრულებაზე.

2.2 დებულება

ესტონეთში პრობაციაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტრო. იუსტიციის სამინისტროს მიერ განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა საფუძველზე შემუშავდა მთელი იუსტიციის სისტემის განვითარების ოთხწლიანი გეგმა. ამ გეგმის თანახმად, იუსტიციის სამინისტროს მიერ ყველა დეპარტამენტისათვის (მათ შორის პრობაციაც) განისაზღვრა მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. აღნიშნული გეგმის განსახორციელებლად ყველა პრიორიტეტს თან დაერთო საფუძვლების შესაბამისი ჩამონათვალი.

იუსტიციის სამინისტროს მთავარ მიზანს წარმოადგენს ისეთი სამართლებრივი სისტემის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება კანონის უზენაესობასა და კონსტიტუციაზე, რათა დაცული იყოს ყველას უფლება და ყველას სამართლებრივი თვითშეგნება. აღნიშნულის მისაღწევად შექმნილი განვითარების გეგმა (2005 წლამდე) ადგენს შემდეგ პრიორიტეტებს:

ადამიანის უფლებების დაცვა;

ყველამ უნდა იცოდეს თავისი უფლებები და მოვალეობები;

კანონებმა უნდა დააკმაყოფილონ საზოგადოების მოლოდინი.

პრობაციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულზე ეფექტური ზედამხედველობის გაწევა, რეაბილიტაციის ხელშეწყობა და აღნიშნულის შედეგად დანაშაულის შემცირება.

2.2.1 პრობაციის ძირითადი მიზნები

2005 წლამდე არსებული პრობაციის სტრატეგია ითვალისწინებს შემდეგი მიზნების შესრულებას:

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დამკვიდრების დაგეგმვა (2002);

ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც დაეხმარება პრობაციას სხვა სააგენტოებთან, არაკომერციულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ორგანოებთან თანამშრომლობაში (2003); რესურსების ნაყოფიერად გამოყენება;

პრობაციის სამსახურებრივი სტანდარტების იმპლემენტაციით (2002);

სამსახურებრივი სტანდარტების საფუძველზე საქმიანობის შეფასების საერთო კრიტერიუმის შემუშავება (2003);

პრობაციაში ნებაყოფლობით დაქირავებულთა შრომის გამოყენება (2002);

პრობაციის ზედამხედველობის ასოციაციების შექმნა და ჩართვა.

შიდა ტრენინგისა და სერტიფიცირების მეშვეობით პროფესიონალი პრობაციის ოფიცრებისაგან შემდგარი ორგანოს შექმნა (2005).

საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით პრობაციის სისტემის მხარდაჭერა.

თანახმად განვითარების სტრატეგიისა, პრობაციის დეპარტამენტი დასახული მიზნების მისაღწევად ადგენს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას. განვითარების სტრატეგიისა და სამუშაო გეგმის შემუშავებისას პრობაციის დეპარტამენტი შეიძლება ჩართული იყოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით.

2.2.2 დანაშაულის თავიდან აცილება

ესტონეთში დანაშაულის თავიდან აცილებისთვის ერთობლივად ზრუნავენ იუსტიციის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სოციალურ ურთიერთობათა სამინისტრო. აღნიშნულის მისაღწევად კოორდინირებულ როლს ასრულებს იუსტიციის სამინისტრო, სადაც შექმნილია დანაშაულის თავიდან აცილებისა და პრობაციის სამმართველო.

იმისათვის, რომ დადგენილიყო დანაშაულის თავიდან აცილების პრიორიტეტები, მთავრობამ შექმნა დანაშაულის თავიდან აცილების საბჭო. ეს ორგანო საზოგადოების უსაფრთხოების გაზრდის მიზნით ორგანიზებას უწევდა დანაშაულის თავიდან აცილებას ეროვნულ, ადგილობრივ და სახალხო დონეზე. დანაშაულის თავიდან აცილების საბჭო იკრიბება წელიწადში ოთხჯერ, იხილავს არსებულ კრიმინალურ პრობლემებს და სახავს გზებს მათ გადასაჭრელად. აღნიშნული ორგანო ამტკიცებს დანაშაულის თავიდან აცილების ყოველწლიურ სტრატეგიას, რომელიც დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით ეროვნულ დონეზე სხვადასხვა ორგანოებს უდგენს შესასრულებელ ამოცანებს.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად სხვადასხვა პროექტისა და ადგილობრივი ინიციატივების მეშვეობით აგრეთვე ჩართულია სხვადასხვა არაკომერციული ორგანიზაცია (მაგალითად, მეზობელთა მეთვალყურეობა). ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ დონეზე მოქმედი ორგანიზაციების საქმიანობა უფრო მეტად ემყარება შემთხვევითობას, ვიდრე დასახული მიზნის მიღწევას. ამავე დროს აქტიური საუბარი მიმდინარეობს პრობაციის სისტემის რეორგანიზაციაზე, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს იუსტიციის სამინისტრო.

ესტონეთში პრობაციის სისტემა დანაშაულის თავიდან აცილების საქმიანობაში არ არის პირდაპირი ფორმით ინტეგრირებული, თუმცა ამ საქმეში მას კვლავ მნიშვნელოვანი როლი უკავია. იმ დროს, როდესაც ყველა სამინისტროს საქმიანობა ფოკუსირებულია დანაშაულის თავიდან აცილების პირველად ეტაპზე, პრობაციის სამსახურის მისია გულისხმობს რეკვიზიტების თავიდან აცილებას, რაც პრობაციის დეპარტამენტის ყოველდღიური საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს (თავიდან აცილების მეორე ეტაპი).

პრობაციის სამსახური, კლიენტებთან პირდაპირი საქმიანობის გარდა, დანაშაულთა რისკის მატარებელ სხვადასხვა ჯგუფთან ახორციელებს პროექტებს, რომელთა წარმატებაც დამოკიდებულია მუდმივ დაფინანსებასთან.

პრობაციის ოფიცერთა წარმატებული საქმიანობა დამოკიდებულია ადგილობრივ ორგანოებთან აქტიურ თანამშრომლობაზე, სკოლებში საინფორმაციო დღეებისა და ლექციების მოწყობაზე, სემინარების ორგანიზებასა და დასწრებაზე, ადგილობრივ კომიტეტებში მონაწილეობის მიღებაზე და ა. შ. დანაშაულის პრევენციის საქმეში პრობაციის სამსახურის მთავარ პარტნიორებს წარმოადგენენ პოლიცია, ადგილობრივი მთავრობები და საგანმანათლებლო დაწესებულებები. მკიდრო თანამშრომლობა ხორციელდება არაკომერციულ სექტორთანაც.

2.2.3 კომპენსაცია, შუამავლობა და მსხვერპლთა მხარდაჭერა

დღესდღეობით ესტონეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მორიგებას მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის, თუმცა მომზადებულია შესაბამისი კანონპროექტი. ამ საკითხის გადასაწყვეტად პრობაცია წარმოადგენს ყველაზე შესაბამის ორგანოს, ვინაიდან ამისათვის ახალი სამსახურის შექმნა მოითხოვდა როგორც დამატებით რესურსებსა და თანამშრომელთა ტრენინგს, აგრეთვე დამატებით დროს.

ესტონეთში სამართლებრივი სისტემა ძირითადად მიემართება მსჯავრდებულებს, ხოლო დაზარალებულების მხარდაჭერაზე ფიქრი ახალი დაწყებულია. სოციალური ურთიერთობების სამინისტრო, ეკლესიებისა და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მეშვეობით ახორციელებს დაზარალებულთა დახმარებას. დაზარალებულთა მხარდაჭერის ორგანიზაციების გამოსავლენად ყოველწლიურად ტარდება ტენდერები. პრობაციის ოფიცრები ზოგიერთ საქმეზე მუშაობენ დაზარალებულთან, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ უყურადღებოდ დატოვონ დაზარალებულები. ესტონეთში საუბარი მიმდინარეობს აგრეთვე პრობაციის სამსახურისა და დაზარალებულთა მხარდაჭერის სამსახურის გაერთიანებაზე, მაგრამ ვინაიდან პრობაცია სასამართლო სისტემის შემადგენელი ნაწილია და უწევს გარკვეული მომსახურების ყიდვა არასახელმწიფო სექტორიდან, ასეთი შერწყმა არ იქნება გამართლებული.

2.3 შეჯამება

პრობაციის სამსახური მოთავსებულია სასამართლო სისტემაში, რომლის მიზნებსა და სტრატეგიას ადგენს იუსტიციის სამინისტრო. აღნიშნული სამსახური პრობაციის ოფიცრების მიერ კლიენტებთან მუშაობისა და ადგილობრივი კავშირების მეშვეობით ახორციელებს დანაშაულის თავიდან აცილებას. დღესდღეობით არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მორიგებას, მაგრამ უახლოეს პერიოდში ეს ფუნქცია, ალბათ, მიენიჭება პრობაციის სამსახურს. ესტონეთში დაზარალებულთა მხარდაჭერის პროგრამას ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მეშვეობით ახორციელებს სოციალური ურთიერთობების სამინისტრო. მას შემდეგ, რაც ძალაში შევა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი და პრობაციის სამსახურს დაევალება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება, აგრეთვე პრობაცია მიიღებს არასრულწლოვანთა სანქციის ფორმას, სამსახურის როლი დანაშაულის პრევენციაში მნიშვნელოვნად გაფართოვდება.

პრობაციის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა

3.1 სასამართლო სისტემა ესტონეთში


პრობაციის სამსახურს ესტონეთში აქვს ერთიანი ცენტრალიზებული ეროვნული სისტემა, რომელიც ჩამოყალიბებულია რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში. მათს საქმიანობას კოორდინაციას უწევს და ავითარებს იუსტიციის სამინისტრო. იუსტიციის სამინისტრო შედგება დეპარტამენტებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია სამმართველოებად. სამმართველოების ამოცანებს წარმოადგენს მთავრობის შესაბამისი

მიმართულებების კოორდინაცია და განვითარება. პრობაციის სამსახურის საქმიანობაზე პასუხისმგებელია სასამართლოების დეპარტამენტის შემადგენლობაში არსებული დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სამმართველო.

დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სამმართველო შედგება ექვსი თანამშრომლისგან (მათ შორის, სამმართველოს უფროსი), რომელთა შორის სამის ფუნქციაა პრობაცია, ორისა კი დანაშაულის პრევენცია. სამმართველო პრაქტიკულ რჩევებს აძლევს დეპარტამენტებს, აწყობს ტრენინგებს და უწევს ზედამხედველობას, აფასებს დეპარტამენტების საქმიანობას და წარმოადგენს პრობაციის სისტემას.

2002 წლის 1 იანვრის მონაცემებით პირველი ინსტანციის რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში შექმნილია 17 პრობაციის დეპარტამენტი, რომელშიც დასაქმებულია 187 პრობაციის ოფიცერი და კონტროლდება 7.077 კლიენტი. პრობაციის დეპარტამენტი აგრეთვე იყენებს ნებაყოფლობით დაქირავებულებს, რომელთა რაოდენობა დღესდღეობით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ათია. თითოეული დეპარტამენტის უფროსი ხელმძღვანელობს პრობაციის ოფიცრებსა და სამდივნოს. დეპარტამენტები დაყოფილია 32 გუნდად და 2 საინფორმაციო ცენტრად, რომლებიც უზრუნველყოფენ სამსახურის ფუნქციონირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ესტონეთის სასამართლო სისტემის სტრუქტურა მოცემულია სქემა 1-ში.

სქემა 1: ესტონეთის სასამართლო სისტემა




პრობაციის დეპარტამენტის უფროსები ანგარიშვალდებული არიან შესაბამისი საქალაქო ან რაიონული სასამართლოების დირექტორების წინაშე. თითოეული პრობაციის დეპარტამენტის ბიუჯეტის საკითხი წყდება შესაბამისი სასამართლოს დაფინანსების ფარგლებში და მათი შენობებიც განთავსებულია ან სასამართლოს ტერიტორიაზე, მაგრამ ცალკე შესასვლელით, ან დამოუკიდებელ შენობაში.

3.2 საპრობაციო ზედამხედველობის სისტემა

პრობაციის დეპარტამენტზე ზედამხედველობას ახორციელებენ რაიონული ან საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მიერ დანიშნული მოსამართლე და იუსტიციის სამინისტრო. იუსტიციის სამინისტროს მხრიდან საზედამხედველო კონტროლს ახორციელებს სამინისტროს პრობაციისა და დანაშაულის თავიდან აცილების სამმართველო (სქემა 2).

სქემა 2: პრობაციის სამსახურის სტრუქტურა



3.2.1 პრობაციის ოფიცრების განათლება და შიდასამსახურებრივი ტრენინგი

1998-99 წლებში, როდესაც შეიქმნა პრობაციის სამსახური, პრობაციის ოფიცრების დანიშვნა მოხდა პრობაციის საზედამხებველო აქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, შესაძლებელი იყო მეორეული განათლების მქონე პირთა აყვანა სამსახურში. ეს გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ იმ პერიოდისათვის არ იყო შესაძლებელი შესაბამისი სოციალური განათლების მქონე პირთა სწრაფი მოძიება და დასაქმება. 1998-99 წლებში დასაქმებულმა ყველა ოფიცრმა გაიარა შესაბამისი ორთვიანი ტრენინგი, სადაც მათ შეასწავლეს პრობაცია, ფსიქოლოგია, სამართალი და მასწავლებლობა.

2000 წლიდან დადგინდა, რომ პრობაციის თანამშრომლები უნდა ყოფილიყვნენ უმაღლესი განათლებით სოციოლოგიის, პედაგოგიის ან ფსიქოლოგიის დარგში. მათ დამატებით ევალუბრდით იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული ტესტების ჩაბარებაც. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ კანდიდატებს მიემართათ საქალაქო ან რაიონული სასამართლოებისათვის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ უმაღლესი დაწესებულებები დიდად დაინტერესდნენ პრობაციის ოფიცერთა ტრენინგის კურსების ჩატარებით, შესაძლებელია უახლოეს პერიოდში მოხდეს მისაღები ტესტების განვრცობა.

იუსტიციის სამინისტრო გამოყოფს დაფინანსებას პრობაციის დეპარტამენტის შიდასამსახურებრივი ტრენინგისათვის. გარდა ამისა, ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეეხება ყველა პრობაციის დეპარტამენტს, იუსტიციის სამინისტრო აწყობს ერთობლივ ტრენინგებს. პრობაციის დეპარტამენტები მონაწილეობენ როგორც ყოველწლიური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, აგრეთვე თვითონ ადგენენ თავიანთი დეპარტამენტების ტრენინგის გეგმებს.

1999 წლიდან იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო შიდასამსახურებრივი ტრენინგები, რაც ითვალისწინებდა პრობაციის ოფიცერთა მხრივ ცალკეული საქმის წარმოებას და ზედამხებველობას. აღნიშნულის მთავარი მიზანია თანამშრომლობის გაუმჯობესება პრობაციის ოფიცრსა და პრობაციონერს შორის დისკუსიისა და სიმბეჭედების გადასაბეის გზით.

3.2. 2 პრობაციის ოფიცერთა სამსახურებრივი დატვირთვა

2002 წლის 1 იანვრისათვის, როდესაც პრობაციონერთა საერთო რიცხვი შეადგენდა 7.077-ს, ერთ ოფიცერზე მოდიოდა 38 კლიენტი. პრობაციის ოფიცერთა დატვირთვა ყველა რეგიონში განსხვავებულია, თუმცა ყველაზე დიდი დატვირთვა მოდის ესტონეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. პრობაციის საზედამხებველო აქტის თანახმად, თითოეულ პრობაციის ოფიცერს უნდა ჰქონდეს მაქსიმუმ 30 საქმე, რაც ეფექტური საქმიანობის წარმართვისათვის აღიარებული საერთაშორისო სტანდარტია. დანაშაულის მაღალი დონისა და ლიმიტირებული ბიუჯეტიდან გამომდინარე, საჭირო გახდა უფრო რეალისტური შეხედულების ჩამოყალიბება და 30-ის ნაცვლად, საქმეების რაოდენობა 40-დან 45-მდე გაიზარდა.

3.2.3 პრობაციის ოფიცერთა ესტონური ასოციაცია

2000 წლის 8 ივნისს, პრობაციის ოფიცერთა ინიციატივით შეიქმნა პრობაციის ოფიცერთა ესტონური ასოციაცია, რომელიც ადგენს მის სტატუსსა და შემდეგ მიზნებს:

საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, პრობაციის ოფიცერთა საქმიანობის გაუმჯობესება ყველა დონეზე;

პრობაციის ოფიცერთა საქმიანობის ფართოდ გაშუქება;

პრობაციის ოფიცერთა დასაქმებასა და საქმიანობის შეფასებაში წვლილის შეტანა.

პრობაციის განვითარებასთან დაკავშირებით პრობაციის ოფიცერთა ესტონურ ასოციაციასა და იუსტიციის სამინისტროს შორის დაიდო ხელშეკრულება. პრობაციის ოფიცერთა მესამედი ამ ასოციაციის წევრია.

3.3 შეჯამება

ესტონეთის პრობაციის საზედამხებველო სისტემა შექმნილია იუსტიციის სამინისტროს მიერ, რომლის დეპარტამენტებიც ანგარიშვალდებული არიან პირველი ინსტანციის რაიონული და საქალაქო სასამართლოების მიმართ. პრობაციის ოფიცრები წარმოადგენენ სასამართლოს ოფიცრებს, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ პროფესიული კვალიფიკაცია. პრობაციის დეპარტამენტების ბიუჯეტის გათვალისწინება ხდება სასამართლოების დაფინანსების დროს. პრობაციის ოფიცრებს მიღებული უნდა ჰქონდეთ სოციალური მუშაკის, მასწავლებლის ან ფსიქოლოგის განათლება. თანამშრომელთა პროფესიონალიზმზე ზრუნვა ხორციელდება სამსახურის შიდა ტრენინგების მეშვეობით. პრობაციის ოფიცრებმა თავიანთი ინტერესების დასაცავად შექმნეს პრობაციის ოფიცერთა ესტონური ასოციაცია.

სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან მუშაობა

4.1 წინასიტყვაობა

ამ თავში აღწერილია პრობაციის სამსახურის როლი როგორც წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში, ისე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისას. 2002 წლის 1 სექტემბრიდან არსებულ სისხლის სამართლის კოდექსს ჩაანაცვლებს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. შედეგად პრობაციის სამსახურს დაეკისრება ახალი მოვალეობები. იმისათვის, რომ უფრო ზუსტად აღწეროთ არსებულ კოდექსსა და ახალ შორის არსებული ცვლილებები, ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ არის მოყვანილი.

არსებული სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლებულები და სასჯელგადავადებულები ხვდებიან პრობაციის ზედამხებველობის ქვეშ. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ამ ფუნქციებს კიდევ ემატებათ პატიმრობისა და ჯარიმების შეცვლა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან არასრულწლოვნებისთვის პრობაციის, როგორც სასჯელის ფორმის შეფარდება. ორივე კოდექსის თანახმად, პრობაციის შეფარდება ხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვე-

ტილების საფუძველზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, წინასწარი გამოძიების პროცესში, სასამართლო განხილვის პროცესში და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისას შესაძლებელია სანქციებისა და პროცედურების გამოყენება. პროზაციის ოფიცერი იწევს საქმიანობას, როდესაც ძალაში შედის სასამართლო გადაწყვეტილება.

4.2 სანქციების სისტემა

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სასამართლოს ძირითად სასჯელებად შეუძლია შეუფარდოს ჯარიმა, ცალკეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და დაკავება ან პატიმრობა. გარდა ძირითადი სასჯელებისა, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ერთი ან ორი დამატებითი სასჯელი. დამატებითი სასჯელის სახედ აგრეთვე გამოყენებული შეიძლება იყოს როგორც ჯარიმა, ისე გარკვეული თანამდებობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხდება პროზაციის შეფარდება, დამატებითი სასჯელების ხანგრძლივობის ვადა გრძელდება პროზაციის ვადის დასრულებამდე.

სისხლის სამართლის კოდექსი განასხვავებს დანაშაულებსა და მცირე დარღვევებს და ადგენს შესაბამის სასჯელებს. ამავე დროს უმეტესი ნაწილი სისხლის სამართლის კოდექსისა საერთოა როგორც დანაშაულებისათვის, ისე მცირე დარღვევებისთვის. მაგალითად, დანაშაულისათვის ძირითადი სასჯელი შეიძლება იყოს ფინანსური სასჯელი ან პატიმრობა, ხოლო მცირე დანაშაულისათვის დაკავება ან ჯარიმა. ერთი დანაშაულისათვის პირს შესაძლოა მიესაჯოს ერთი ძირითადი და რამდენიმე დამატებითი სასჯელი. ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე შეეხება ჩვეულებრივ ბრალდებულს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დამატებითი სასჯელები: გარკვეული საქმიანობის აკრძალვა, ავტომობილის მართვის უფლების ჩამორთმევა, იარაღის ან ტყვია-წამლის ქონის უფლების აკრძალვა, ნადირობისა და თევზაობის უფლების ჩამორთმევა, გასახლება და ჯარიმა. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, შესაძლებელია სასჯელის მოხდა ნაწილობრივ, ანუ ნაწილის პატიმრობით და ნაწილის საზოგადოებრივი მეთვალყურეობის ქვეშ.

სქემა 1: სასჯელები არსებულ სისხლის სამართლის კოდექსში

სასჯელები
ძირითადი

დამატებითი

ჯარიმა;
საქმიანობის აკრძალვა;
დაკავება;
პატიმრობა;
ღირსების მემკვიდრის ტარების
უფლების ჩამორთმევა;
ჯარიმა;
გარკვეული თანამდებობის ან
პროფესიის უფლების ჩამორთმევა,
მათ შორის, მართვის უფლების.

სქემა 2: სასჯელები ახალ სისხლის სამართლის კოდექსში

სასჯელები
ძირითადი

დამატებითი

პატიმრობა;
ფინანსური სასჯელი;
იურიდიული პირის იძულებითი
გაუქმება;
საქმიანობის აკრძალვა;
მართვის უფლების ჩამორთმევა;
იარაღის ან ტყვია-წამლის ქონის
უფლების ჩამორთმევა;
ნადირობის ან თევზაობის უფლების
ჩამორთმევა;
გასახლება;
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა
პატიმრობით, როგორც ცვლილება.

სქემა 3: ზომები და პირობები

	წინასაგამომიგებო	სასამართლო განხილვისას	სასამართლო განხილვის შემდეგ
ზომები	შინაპატიმრობა; პირადი თავდებობა; პატიმრობაში დაბრუნება; არასრულწლოვნებთან მიმართებით საგანმანათლებლო ზომები; პროცედურული ჯარიმა; დაკავება; იძულებითი დასწრება.	შინაპატიმრობა; პირადი თავდებობა; პატიმრობაში დაბრუნება; პროცედურული ჯარიმა; დაკავება; იძულებითი დასწრება;	არასრულწლოვნებთან მიმართებით საგანმანათლებლო ზომები; კონფისკაცია; სამედიცინო მკურნალობა;
პირობები			თავდებობა; ზედამხედველობა და მოთხოვნები პირობით ვადამდე გათავისუფლებისას.

4.3 სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე პრობაციის სამუშაოების მიმოხილვა

4.3.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი წინასწარი გამოძიების დროს და პირველი ინსტანციის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების წარმართვისას ადგენს სტანდარტებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა სასამართლოსათვის, პროკურატურისა და ყველა იმ ორგანოსათვის, რომლებიც აწარმოებენ წინასწარ გამოძიებას ესტონეთის ტერიტორიაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართალწარმოებას იწყებს გამოძიებელი ან პროკურორი, იმ პროცესუალური აქტის ან პირველადი საგამოძიებო საქმიანობის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების დაწყების საფუძველს. საჩივრის მიღების შემდეგ, ათი დღის ვადაში, გამოძიებელი, პროკურორი ან სასამართლო ატყობინებს მომჩივანს საჩივრის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ.

არსებული კანონმდებლობის თანახმად, პრობაციის სამსახური არ არის ჩართული წინასწარი გამოძიების პროცესში. წინასწარი გამოძიების პროცესში ბრალდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ზომები (სქემა 3). ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, რომელიც ძალაში შევა 2003 წელს, პრობაცია დაემატა, როგორც პრევენციული ზომა. ზოგიერთ შემთხვევაში, პროკურორს შეუძლია სთხოვოს პრობაციის ოფიცერს მოაზრადოს წინასაგამოძიებო მოხსენება ბრალდებულის შესახებ. ძალიან ხშირად, როდესაც საქმე აღძრულია უმნიშვნელო საკითხზე და მის გამოსაძიებლად ძალიან მცირე დროა, წინასაგამოძიებო მოხსენების მოსამზადებლად დრო აღარ რჩება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად, წინასწარი გამოძიება სრულდება ბრალის წაყენებით, რომელიც გადაიგზავნება სასამართლოში პროკურორის მიერ.

4.3.2 სასამართლო განხილვის პროცესი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეებს პირველ ინსტანციაში იხილავენ საქალაქო ან რაიონული სასამართლოები. სისხლის სამართლის საქმის განხილვა ხორციელდება იმ სასამართლოში, რომლის ოურისდიქციაც ვრცელდებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია იმის დადგენა, თუ სად მოხდა დანაშაული, ან თუ დანაშაული მოხდა რამდენიმე რაიონში, საქმეს იხილავს ის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზე დასრულდა წინასწარი გამოძიება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე, სასამართლოში საქმის შესვლის შემდეგ ათ დღეში, იღებს გადაწყვეტილებას გაასამართლოს თუ არა პირი. არასრულწლოვანთა გასამართლების გადაწყვეტილებას იღებს არასრულწლოვანთა რეგიონალური კომიტეტი.

4.3.2.1 წინასაგამოძიებო მოხსენება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის გასამართლებისას მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას პრობაციის ოფიცრის დანიშვნის შესახებ. მოსამართლის მოთხოვნით, პრობაციის ოფიცერი აგროვებს ინფორმაციას წინასაგამოძიებო მოხსენებისათვის, რომელიც შემდგომ ინახება სასამართლოს საქმეში. არასრულწლოვნებთან მიმართებით ყოველთვის უნდა მოხდეს პრობაციის ოფიცრის დანიშვნა და წინასაგამოძიებო მოხსენების მომზადება. პრობაციის ოფიცრები მონაწილეობას არ იღებენ სასამართლო განხილვაში.

საპრობაციო ზედამხედველობის სახელმძღვანელო განმარტავს პრობაციის ოფიცრის საქმიანობას წინასაგამოძიებო მოხსენების მომზადებისას. წინასაგამოძიებო მოხსენების მიზანია შეაფასოს:

ბრალდებულის პიროვნება, ხასიათი და სოციალური გარემოებები;

ბრალდებულისათვის პრობაციის შეფარდების მნიშვნელობა;

ბრალდებულისათვის პირობების წყველების მიზეზი და მათი შესაბამისობა.

წინასაგამოძიებო მოხსენება შეიცავს ინფორმაციას ბრალდებულის შესახებ, წინასაგამოძიებო მოხსენების დამწერი პირის შესახებ, წინასაგამოძიებო მოხსენების მომზადებაში გამოყენებული საშუალებების (წყაროს) ჩამონათვალს, ბრალდებულის სიტუაციის მოკლე ანალიზს, დანაშაულის ხელშეკრულ ჩადენის რისკს და დაბოლოებას.

პრობაციის ოფიცრმა მოხსენების მომზადებისას ბრალდებული უნდა დაკითხოს, სულ მცირე, ერთხელ, ხოლო თუ ბრალდებულს სურვილი აქვს, ან იგი 18 წლამდე ასაკისაა, დაკითხვას შეიძლება დაესწროს სამართლებრივი წარმომადგენელი. პრობაციის ოფიცერი უნდა დარწმუნდეს, რომ მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები სწორია და შეესაბამება სიმართლეს. პრობაციის ოფიცრმა, თუ მიეცემა ამის შესაძლებლობა, უნდა დაკითხოს მეგობრები, კოლეგები, ოჯახის წევრები, სკოლის მეგობრები და ბრალდებულის სამართლებრივი წარმომადგენლები. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ცხოვრობდა ბავშვთა საერთო საცხოვრებელში, პრობაციის ოფიცრს შეუძლია ჩართოს მოხსენებაში შესაბამისი დაწესებულების თანამშრომელთა მოსაზრებები.

საბოლოოდ, პრობაციის ოფიცერი თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე შესთავაზებს მოსამართლეს ან პროკურორს პირისთვის პრობაციის შეფარდებას და წარუდგენს თავის მოსაზრებას, როგორც მსჯავრდებულის პიროვნების შესახებ, აგრეთვე პრობაციასთან მისი შესაბამისობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ პრობაციის ოფიცერი მიიჩნევს, რომ პირს არ უნდა შეეფარდოს პრობაცია, იგი თავის რეკომენდაციებს წარუდგენს ალტერნატიული ქმედობის შესახებ.

პრობაციის შეთავაზების შემთხვევაში უნდა მოხდეს დადგენა შესაბამისი მიზნებისა და მოთხოვნებისა, პრობაციის პერიოდისა, მიზნის მისაღწევად საჭირო ზედამხედველობის გეგმისა, იმისა, თუ როგორ განხორციელდება ზედამხედველობა, მოთხოვნების დაყენებისას სოციალური გარემოებებისა და თუ არსებობს დანაშაულის ხელახლა ჩადენის ალბათობა, მათი თავიდან აცილების გზებისა. იმ შემთხვევაში, თუ პრობაცია გულისხმობს მკურნალობის პროგრამას, მოხსენება უნდა შეიცავდეს სპეციალისტის აზრს ბრალდებულის მდგომარეობის შესახებ და მის შესაბამისობას ამ პროგრამისადმი.

წინასაგამოძიებო მოხსენების მომზადებისას პრობაციის ოფიცერი წინასწარ ადგენს პრობაციის ვადას. მოხსენება დაკავშირებულია ზედამხედველობის პერიოდის მომზადებასთან, რომელიც იწყება დანაშაულის ჩადენიდან და გრძელდება პრობაციის ოფიცრისა და მსჯავრდებულის ერთობლივი მუშაობისას.

4.3.3 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი

პრობაციის ზედამხედველობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო და პრობაციის ოფიცერი აღასრულებს მას. ამ საკითხებთან მიმართებით სხვაობაა ძველსა და ახალ სისხლის სამართლის კოდექსებს შორის.

4.3.3.1 სასჯელის გადავადების ზედამხედველობის ბრძანება

სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლი ადგენს, რომ თუ სასამართლო გაითვალისწინებს დანაშაულის გარემოებებს და ბრალდებულის პიროვნებას, აუცილებელი არ არის მან მოიხადოს საპატიმრო სასჯელი და იგი შესაძლოა გათავისუფლდეს ზედამხედველობის ქვეშ. ასეთ შემთხვევებში სასამართლო ადგენს, რომ პირის მიმართ არ იქნეს გამოყენებული სასჯელი, თუ იგი ამ პერიოდში (1-დან 3 წლამდე) არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და შეასრულებს პრობაციის ოფიცრის მიერ საპრობაციო პერიოდში მისთვის წაყენებულ პირობებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 47(1) მუხლის თანახმად, ყველა პირს, რომელსაც შეეფარდება ზედამხედველობა, უდგინდება შემდეგი პირობები:

პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას დროული გამოცხადება;
სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულების დოკუმენტური მასალის წარდგენა პრობაციის ოფიცრისათვის;

იცხოვროს დადგენილ ადგილას;

15 დღეზე მეტი ხნით საცხოვრებლის დატოვების შემთხვევაში მიმართოს პრობაციის ოფიცერს ნებართვის მისაღებად;

საცხოვრებლის, სამსახურის ან სასწავლებლის შეცვლის თაობაზე ნებართვის მისაღებად მიმართოს პრობაციის ოფიცერს.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი უშვებს სასჯელის გადავადებას ზედამხედველობის გარეშე.

4.3.3.2 საპატიმრო სასჯელის გადავადება

სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო გაითვალისწინებს დანაშაულის გარემოებებსა და მსჯავრდებულის ხასიათს და გადაწყვეტს, რომ მსჯავრდებულისათვის პატიმრობა ან ფინანსური სანქცია შეუსაბამოა, შეუძლია გამოიყენოს სასჯელის გადავადება. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება სასჯელის ნაწილობრივ ან მთლიანად აღსრულების შესახებ, როდესაც მსჯავრდებული 3-დან 5 წლის ვადაში არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. სასამართლოს შეუძლია გამოსცეს ბრძანება სასჯელის ნაწილობრივ მოხდაზე.

4.3.3.3 მსჯავრდებულის ქვევის ზედამხედველობა

სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლი არეგულირებს მსჯავრდებულის ქვევის ზედამხედველობას. თუ სასამართლო გაითვალისწინებს დანაშაულის გარემოებებსა და

მსჯავრდებულის ხასიათს და გადაწყვეტს, რომ მსჯავრდებულისათვის პატიმრობის ნაცვლად, შესაძლებელია სასჯელის გადავადების გამოყენება. ასეთ შემთხვევებში, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება სასჯელის ნაწილობრივ ან მთლიანად აღსრულების შესახებ, როდესაც მსჯავრდებული 18 თვიდან 3 წლამდე ვადაში არ ჩაიდინს ახალ დანაშაულს და შეასრულეს მასზე დაკისრებულ საზედამხედველო მოთხოვნებსა და ვალდებულებებს (სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლი).

75-ე მუხლის თანახმად, ზედამხედველობის პერიოდში დადგენილია შემდეგი მოთხოვნები:

სასამართლოს მიერ დადგენილ მისამართზე ცხოვრება;

სასამართლოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით გამოცხადება პრობაციის დეპარტამენტში;

მსჯავრდებულის მიერ პრობაციის ოფიცრის სახლში მიღება და ინფორმაციის მიწოდება სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე;

15 დღეზე მეტი ხნით საცხოვრებლის დატოვების შემთხვევაში, პრობაციის ოფიცრისგან შესაბამისი ნებართვის მოპოვება;

საცხოვრებლის, სამუშაოს ან სასწავლებლის შესაცვლელად პრობაციის ოფიცრისგან შესაბამისი ნებართვის მოპოვება.

აღნიშნულ მოთხოვნებზე დამატებით სასამართლოს შეუძლია ბრძანების ხანგრძლივობის მანძილზე დააკისროს დამატებითი მოვალეობები.

4.3.3.4 სასჯელის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეცვლა

არსებული სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა საშუალებას სასჯელი შეიცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. აღნიშნულის საშუალებას იძლევა ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლი: სასამართლოს შეუძლია ორ წლამდე პატიმრობა შეცვალოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით. პატიმრობის ერთი დღე უთანაბრდება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხ საათს. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის პატიმრობით შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მსჯავრდებულის თანხმობით. შრომა უნდა აღსრულდეს 24 თვის მანძილზე. ამ პერიოდში პიროვნებაზე ხორციელდება ზედამხედველობა. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, შესაძლებელია ჯარიმის შეცვლა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით. პრობაციის ოფიცერი ორგანიზებას უკეთებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის განხორციელებას, რომელიც ძირითადად ნებაყოფლობითი სექტორისა და ადგილობრივი მთავრობის ხელშეწყობით ხდება.

4.3.3.5 სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად პირობით ვადამდე გათავისუფლება

სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, პატიმარს საშუალება ეძლევა კარგი საქციელისა და საქმის მიმართ პასუხისმგებლური დამოკიდებულებისათვის გათავისუფლდეს პირობით ვადამდე ადრე პრობაციის ზედამხედველობის ქვეშ. გარდა ამისა, შესაძლებელია დარჩენილი პატიმრობის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა. პირის პირობით ვადამდე გათავისუფლება ან პატიმრობის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა შესაძლებელია, თუ მსჯავრდებულს მოხდელი აქვს სასჯელის ნახევარი, ან შეფარდებული

სამწლიანი პატიმრობისას მოხდელი აქვს სასჯელის, სულ მცირე, ორი მესამედი. პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადა არ აღემატება სამ წელს და მას თან ერთვის მოვალეობების შესრულება.

სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლი ადგენს, რომ პირმა, რომელმაც ჩაიდინა მეორე ხარისხის დანაშაული, ან პირველი ხარისხის დანაშაული დაუდევრობით, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს პირობით ვადამდე ადრე, მაგრამ მას მოხდელი უნდა ჰქონდეს სასჯელის ნახევარი და ეს სასჯელი არ უნდა იყოს ექვს თვეზე ნაკლები. თუ პირმა ჩაიდინა პირველი ხარისხის დანაშაული წინასწარი განზრახვით, შეიძლება შეეფარდოს პირობით ვადამდე გათავისუფლება, თუ მას მოხდელი აქვს სასჯელის, სულ მცირე, ორი მესამედი. ასეთ შემთხვევაში ზედამხედველობის პერიოდი ვრცელდება დარჩენილი სასჯელის ვადაზე და არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები. პირობით ვადამდე გათავისუფლებისას ზედამხედველობის განხორციელებას ანორციელებს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლი.

არსებული და ახალი სისხლის სამართლის კოდექსების თანახმად, თუ პირს შეფარდებული აქვს სამუდამო პატიმრობა, იგი შეიძლება გათავისუფლდეს სასამართლოს მიერ ნებართვით, თუ მას მოხდელი აქვს სასჯელის 30 წელი. ასეთ შემთხვევაში ნებართვის პერიოდი 5-დან 10 წლამდეა.

4.3.3.6 შეწყალება

ესტონეთის კონსტიტუციის 78-ე მუხლის მე-19 პარაგრაფის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეწყალების პეტციების განხილვის პროცედურებზე დაყრდნობით, რომელიც დამტკიცებულ იქნა პრეზიდენტის 1997 წლის 3 დეკემბრის №26 დეკრეტით, უფლება აქვს შეიწყალოს მსჯავრდებული, გაათავისუფლოს იგი ან შეუმციროს მას სასჯელი.

რესპუბლიკის პრეზიდენტი იხილავს იმ მსჯავრდებულთა პეტციებს შეწყალების შესახებ, რომელთა მიმართაც ესტონეთის სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. თუ ესტონეთის მოქალაქეებმა დანაშაული ჩაიდინეს სხვა ქვეყანაში და მათ მიმართ უცხო ქვეყნის სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო არსებული საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, სასჯელს იხდიან ესტონეთის ტერიტორიაზე, მათ უფლება აქვთ მიმართონ პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით.

პეტციების განხილვის დროს ყურადღება ექცევა პირის კრიმინალურ წარსულს, ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობას, როგორ იქნა ეს დანაშაული ჩადენილი, მოხდელი სასჯელის ხანგრძლივობას, პირის ოჯახურ მდგომარეობას, ჯანმრთელობასა და სხვა გარემოებებს. შეწყალების წინაპირობას წარმოადგენს მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და მისი მონანიება. იმ შემთხვევაში, თუ უარი ითქვა შეწყალებაზე, მისი ხელშეორედ განხილვა შესაძლებელია ერთი წლის შემდეგ. როგორც წესი, სანამ არ გავა ერთი წელი, რესპუბლიკის პრეზიდენტი არ იხილავს ასეთ საქმეებს და ისინი ინახება საქმეებში. ამ პროცესში პრობაციის სამსახური არ მონაწილეობს.

4.4 პრობაციის ზედამხედველობა

4.4.1 როგორ ახორციელებს პრობაცია ზედამხედველობას

პრობაციის ოფიცერების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას არეგულირებს სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პრობაციის ზედამხედველობის აქტი და მეორეული კანონმდებლობა. პრობაციის საქმიანობა ინიცირებულია, სასამართლოს მიერ პირის პირობით ვადამდე გათავისუფლებით ან გასამართლებით.

პრობაციის დეპარტამენტი ხსნის ახალ საქმეს პრობაციონერზე, როდესაც მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი შედის კანონიერ ძალაში და დეპარტამენტი იღებს მას. პრობაციის ოფიცერს ასახელებს სასამართლო ბრძანებით, ან მას განსაზღვრავს დეპარტამენტის უფროსი. საქმის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ იგზავნება შეტყობინება პოლიციასა და სასამართლოში.

საქმის პრობაციის დეპარტამენტში დარეგისტრირების შემდეგ პირველი შეხვედრა პრობაციის ოფიცერსა და პრობაციონერს შორის უნდა მოხდეს ხუთი დღის ვადაში. პირველი შეხვედრისას მნიშვნელოვანია თანამშრომლობისთვის საფუძვლის ჩადება. ამის მისაღწევად საჭიროა შვიდი გარემო, რათა გაიმართოს თავისუფალი საუბარი. პირველი გასაუბრებისას პრობაციის ოფიცერი უხსნის პრობაციონერს მის უფლებებსა და მოვალეობებს, სამსახურის სამუშაო პირობებს, შედეგებს, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს დაკისრებული პირობების შეუსრულებლობას, განიხილავს პრობაციონერის პირადსა და სოციალურ მდგომარეობას, როგორ მოხდება მასთან მომავალი მუშაობის წარმართვა, თანხმდებიან მომავალ შეხვედრებზე და ამოწმებს, რა სახის დახმარება ესაჭიროება მას.

პრობაცია წარმოადგენს დინამიკურ პროცესს, რომლის ბუნება და კურსი მოითხოვს მუდმივ განახლებას. პრობაციონერთან შეხვედრის სიხშირე დამოკიდებულია მის ცხოვრების სტილსა და საჭიროებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პრობაციონერი შეწყვეტს ოფისში გამოცხადებას, პრობაციის ოფიცერი უნდა შეეცადოს მასთან კავშირის აღდგენას (შეტყობინებები ოფისში გამოცხადების შესახებ, სახლში მონახულება წინასწარი ან მის გარეშე შეტყობინებით). ისეთ შემთხვევაში, თუ ეს არ გამოიღებს შედეგს, პრობაციის ოფიცერი წერს შესაბამის წარდგინებას დანიშნული სასჯელის აღსრულების შესახებ.

4.4.2 ზედამხედველობის დაგეგმვა

ზედამხედველობის გეგმის შედგენა ხდება კლიენტთან ერთობლივი თანამშრომლობით, პრობაციის პერიოდის გათვალისწინებით. გეგმა დგება მას შემდეგ, რაც რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ანალიზი უკეთდება კლიენტის მდგომარეობას. პრობაციის ოფიცერი აქტიურად მუშაობს ცენტრალურსა და ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებთან, რათა მოიძიოს რესურსები კლიენტის რესოციალიზაციისათვის. ზედამხედველობის გეგმა უნდა იყოს სპეციფიკური და ნათელი და ზედმეტად არ შეზღუდოს პრობაციონერის თავისუფლება. ზედამხედველობის გეგმის შედგენისას პრობაციის ოფიცერი ანგარიშს უწევს კლიენტის ფსიქოლოგიურ, ფიზიკურსა და გონივრულ შესაძლებლობებს.

ზედამხედველობის გეგმა ადგენს სასამართლო ბრძანების მოთხოვნების შესრულებას, ადგენს გრძელვადიან მიზნებს და მათი შესრულების გეგმას, სთავაზობს პრობლემების მოგვარების მეთოდებს და ადგენს იმ პირთა და სპეციალისტთა წრეს,

რომლებსაც შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ პრობაციონერს. გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს შეხვედრებს სხვა დაწესებულებებში, რათა პრობაციონერმა მიიღოს საბუთო ან შესაბამისი განათლება, ინტერვიუებისა და სახლში მონახულების სიხშირეს და ზედამხედველობის ფორმას (ინდივიდუალური ან ჯგუფური).

ზედამხედველობის პროცესის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს პრობაციის ოფიცრის მიერ პრობაციონერის მხრიდან დანაშაულის ხელახლა ჩადენის შეფასება და თუ არსებობს ასეთი, რა ტიპის დანაშაულისა. იმ შემთხვევაში, თუ პრობაციონერის საქციელი იძლევა შემოთხუთების საფუძველს ან არსებობს რაიმე სხვა პრობლემა, პრობაციის ოფიცერმა, სიტუაციიდან გამომდინარე, უნდა იმოქმედოს სწრაფად იმისათვის, რომ ეს პრობლემები გადაიჭრას.

ზედამხედველობის პერიოდში პრობაციის ოფიცერი მუდმივად აწვდის სასამართლოს ინფორმაციას მიღწეული შედეგების შესახებ. მოხსენებები დგება ყოველ ოთხ თვეში და მოიცავს ინფორმაციას მიღწეული პროგრესის შესახებ. საპრობაციო პერიოდის დასრულებისას დგება უფრო ვრცელი მოხსენება, სადაც აღწერილია პრობაციის მანძილზე დასახული მიზნების შესრულება და პრობაციონერის მიერ მიღწეული პროგრესი.

არსებული სისხლის სამართლის კოდექსი, ახალი კოდექსისაგან განსხვავებით, მოითხოვს სხვანაირ რეაქციას პრობაციონერის მიერ სასამართლოსგან დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისას. თანახმად არსებული კოდექსისა, პრობაციის ოფიცერი ვალდებულია რეაგირება მოახდინოს ყველა დარღვევაზე, როდესაც ახალი კოდექსით რეაგირება მხოლოდ მაშინ არის საჭირო, როდესაც მოხდება დაკისრებული მოვალეობების სერიოზული დარღვევა ან ჩადენილია ახალი დანაშაული.

იმ შემთხვევაში, თუ პრობაციონერი დაარღვევს პრობაციის პირობებს, პრობაციის ოფიცერი ვალდებულია ჩამოართვას მას წერილობითი განმარტება. თუ დარღვევა სერიოზული ხასიათისაა, პრობაციის ოფიცერი წერილობით მიმართავს სასამართლოს და სთხოვს დანიშნული სასჯელის აღსრულებას. აღნიშნული წარდგინება სასამართლომ უნდა განიხილოს ათი დღის ვადაში და გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება: პატიმრობა, დამატებითი ვალდებულებები, ან არ დააკმაყოფილოს პრობაციის ოფიცრის მოთხოვნა. პრობაციის ოფიცერი მოქმედებს სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად.

პრობაციის ზედამხედველობა დამთავრებულად ითვლება, თუ პრობაციონერი მოკვდა, მას მიესაჯა საპატიმრო სასჯელი, ან მოიხადა პირობითი მსჯავრი. იმ შემთხვევაში, როცა პრობაციონერი წესიერად მოიხდის პირობით მსჯავრს, მას უტარდება საბოლოო ინტერვიუ, რომლის დროსაც ისმინება კლიენტის აზრი პრობაციის ვადასთან მიმართებით.

4.5 შეჯამება

უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარმა საკანონმდებლო ცვლილებებმა არავითარი გავლენა არ იქონია დანაშაულის ზრდის ტენდენციაზე. სტატისტიკის თანახმად, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, მთელი რიგი დანაშაულებისა გაიზარდა 12%-ით. აღნიშნული უმთავრესად გამოწვეული იყო არაეფექტური სოციალური პოლიტიკითა და სოციალური სამსახურების სიმცირით. უმეტესწილად ჩადენილია ქონებრივი დანაშაულებები, ხოლო ძალადობრივი გზით ჩადენილი დანაშაულები უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად არ გაზარდილა.

ტაბულა 1: 1995-2000 წლებში რეგისტრირებული დანაშაულები

რეგისტრირებული დანაშაულები	1995	1996	1997	1998	1999	2000
ქონებრივი დანაშაული	32.887	29.130	33.455	37.504	41.991	45.641
ძალადობრივი გზით						
ჩადენილი დანაშაული	1.519	1.256	1.333	1.302	1.053	1.104
სულ ჯამში	39.570	35.411	40.958	45.721	51.539	57.799

ტაბულა 2-ში მოცემულია ინფორმაცია ამავე წლებში სასამართლოების მიერ შეფარდებული სასჯელების შესახებ. სასჯელთა საერთო რაოდენობის 25%-ს შეადგენს თავისუფლების შეზღუდვა და 25%-ს ჯარიმა. პირობითი სასჯელი შეადგენს 46%-ს. უკანასკნელი მონაცემები ნათლად ასახავს პრობაციის როლის ზრდას ამ მიმართულებით, როდესაც პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რიცხვი ძალიან მცირეა და არ წარმოადგენს პრობაციის სამსახურისთვის დიდ დატვირთვას.

ტაბულა 2: 1995-2000 წლებში სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელები

სასჯელები	1995	1996	1997	1998	1999	2000
პატიმრობა	1930	2199	2401	2027	2133	2333
სამუდამო პატიმრობა			5	4	4	
სიკვდილით დასჯა	4	4				
პატიმრობის გადავადება	3545	3779	4000	3540	4016	4465
დაკავება	213	276	299	274	308	469
ჯარიმა	2224	2160	2295	2382	2274	2910
სასჯელისგან						
გათავისუფლება	94	86	55	42	45	87
საქმიანობის აკრძალვა		6	4	2	4	8
დამატებითი სასჯელები	75	52	69	36	171	681
სულ ჯამში	8006	8510	9053	8267	8786	10261
ქალები	577	691	813	710	781	814
18 წლის ქვევით	104	110	196	141	121	140
კაცები	7430	7819	8240	7557	8105	9447
18 წლის ქვევით	1296	1441	1472	1361	1411	1477

ამავე პერიოდში, პატიმართა რაოდენობა არ განიცდიდა დიდ ცვლილებას (ტაბულა 3). ესტონეთში წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში მსჯავრდებულების ძალიან დიდი რაოდენობა კვლავ წინასწარ პატიმრობაში რჩება. ესტონეთში, ისევე, როგორც ბევრ აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყანაში, პატიმრობის დონე ძალიან მაღალია (ტაბულა 4). ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შემდეგ ალტერნატიული სანქციების ფართოდ გამოყენება, სავარაუდოდ, შეამცირებს ამ რიცხვს.

ტაბულა 3: 1995-2000 წლებში პატიმართა რაოდენობა

პატიმრები	1995	1996	1997	1998	1999	2000
პატიმრობაში დაბრუნება						
სასჯელის შეფარდებამდე	1671	1691	1540	1323	1639	1541
დაკავებულები	8	8	20	16	13	11
დეპორტაციის მოლოდინში	25	50	29	21	20	8
სიკვდილმისჯილები	5	13	10			
სამუდამო პატიმრობა - მსჯავრდებულები	2515	2876	3159	2999	3016	3236

ტაბულა 4: პატიმართა რაოდენობა 100.000 მოსახლეზე

წელი	1995	1996	1997	1998	1999	2000
შეფარდება	293.5	284.6	315.7	328.5	302.5	327.4

შემდეგ ტაბულაში მოცემულია პრობაციის ოფიცერთა და სოციალურ მუშაკთა რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ პატიმრებთან ციხეებში.

ტაბულა 5: ციხის სოციალური მუშაკებისა და პრობაციის ოფიცრების რაოდენობა და დატვირთვა 31.12.2001 წლისათვის

სოციალური მუშაკების ტიპი	სოციალური მუშაკების რაოდენობა	კლიენტების რაოდენობა
სოცმუშაკები ციხეში	36	4600
პრობაციის ოფიცრები	176	7100

2001 წლის 31 დეკემბრისათვის სასჯელმისჯილთა რაოდენობა და პრობაციის ვადის ხანგრძლივობა მოცემულია ტაბულა 6-ში. პატიმრების ყველა დიდი რაოდენობა სასჯელს იხდიდა 5-დან 10 წლამდე. 2001 წელს პრობაციონერთა უმეტესობას მიესაჯა პრობაციის ვადა ერთიდან ორ წლამდე.

ტაბულა 6: 31.12.2001 წლისათვის საპატიმრო სასჯელებისა და პრობაციის ბრძანებების ხანგრძლივობა

სასჯელის ხანგრძლივობა	პატიმრები	პრობაციონერები
1 წლამდე	172	807
1-დან 2 წლამდე	443	3743
2-დან 3 წლამდე	453	1928
3-დან 5 წლამდე	510	599
5-დან 10 წლამდე	1245	
10-დან 15 წლამდე	319	
15-დან 30 წლამდე	94	
სულ ჯამი	3236	7077

შემდეგ ტაბულაში მოცემულია შეწყალებისა და ამნისტიების რაოდენობა, რომელთა რაოდენობა უკანასკნელ წლებში შემცირებულია:

ტაბულა 7: 1995-2000 წლებში შეწყალებისა და ამნისტიების გამოყენება

წელი	1995	1996	1997	1998	1999	2000
პირები	9	7	9	4	2	1

4.5 შეჯამება

სამართლებრივი სისტემა რეგულირდება სხვადასხვა კანონის მეშვეობით. პრობაციის ოფიცრის მთავარ როლს წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ პრობაციის სამსახურს გაეზრდება ფუნქციები. ესტონეთის კონსტიტუციის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს შეიწყალოს მსჯავრდებული.

დაფინანსება, ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემა და შეფასების პროცედურები, საზოგადოებრივი აზრი და კლიენტთა შეხედულებები

5.1 დაფინანსება და ფინანსური ანგარიშვალდებულება

სასჯელის გამოყენების გამართლებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი ეფექტურობის გათვალისწინება, არამედ ისიც, თუ რა უჯდება მათი აღსრულება საზოგადოებას. ეს უპირატესობას ანიჭებს ევროპულ პრინციპებს სისხლის სამართლის

პოლიტიკასთან მიმართებით, რომელიც ასახულია სახელმწიფო აუდიტის ოფისის მოხსენებაში „იუსტიციის სამინისტროს საქმიანობა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სფეროში“ (2002).

პრობაციის ზედამხედველობის სისტემა ფინანსდება ცენტრალური მთავრობის მიერ, რისთვისაც იუსტიციის სამინისტრო ითვალისწინებს შესაბამის ხარჯებს რაიონული და საქალაქო სასამართლოებისთვის. იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სამართლებლო აკონტროლებს პრობაციის ოფიცერთა სასწავლო ბიუჯეტს, რომლის ნაწილიც გამოყოფილია პრობაციის დეპარტამენტებისთვის ეროვნული სასწავლო სემინარების მოსამზადებლად. ადგილობრივი პრობაციის დეპარტამენტის უფროსი, თანამშრომელთა საჭიროებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს სწავლებისათვის გამოყოფილ ბიუჯეტს.

პრობაციის დეპარტამენტის ბიუჯეტის განკარგვისთვის პასუხისმგებელია შესაბამისი სასამართლოს ადმინისტრატორი. საბიუჯეტო სახსრების გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებენ აგრეთვე იუსტიციის სამინისტრო და სახელმწიფო აუდიტის ოფისი. იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილია ანგარიშვალდებულების სისტემა, რაც ნათლად წარმოაჩენს ხარჯვით ნაწილს.

ტაბულა 8: პრობაციისა და ციხის სამსახურების ხარჯი და დატვირთვა

	პრობაციის სამსახური	ციხის სამსახური
წლიური ხარჯვითი ნაწილი	1.26 მილიონი ევრო	14.8 მილიონი ევრო
თანამშრომელთა რაოდენობა	189	2365
დატვირთვა	7100	4754
თითოეული მსჯავრდებულის ხარჯი	177 ევრო	3113 ევრო

თუ შევადარებთ რა უჯდება სახელმწიფოს ერთი პატიმრის შენახვა და საპრობაციო ზედამხედველობა, ვნახავთ, რომ მათ შორის ძალიან დიდი სხვაობაა. ხარჯვითი ნაწილი, რომელიც მოცემულია ტაბულა 8-ში, არ შეიცავს ინფორმაციას ახალ ციხეებში ჩადებული ინვესტიციებისა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდიდა თითოეული პატიმრის შენახვის ხარჯებს. ესტონეთში გადასახადის გადამხდელებს ერთი პრობაციონერის ზედამხედველობა თვეში 30 ევრო უჯდებათ მაშინ, როცა ამავე პერიოდში პატიმრის შენახვა უჯდებათ 300 ევრო.

5.2 რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები

მას შემდეგ, რაც პრობაციის დეპარტამენტი სასამართლოდან მიიღებს ბრძანების ასლს, ხდება მისი დარეგისტრირება და პრობაციონერზე იხსნება საქმე. პრობაციონერთა რეგისტრაცია კომპიუტერიზებულია და ყველა ინფორმაცია, რომელიც შედის სარეგისტრაციო ბაზაში, აგრეთვე იბეჭდება და ინახება დოკუმენტების ფაილში.

გარდა აღნიშნული სარეგისტრაციო ინფორმაციისა, პრობაციის ოფიცერს საქმეში შეაქვს აგრეთვე ინფორმაცია პრობაციონერთა მიმართ წარმოებული საქმიანობის შესახებ, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ინტერვიუების შესახებ, სახლში მონახულების თაობაზე და ა. შ. რეგისტრაცია აგრეთვე მოიცავს პრობაციის ოფიცრის მიერ მომზადებულ მოხსენებას

სასამართლოსათვის. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება შეუძლიათ მხოლოდ პრობაციის ოფიცერებს, ხოლო კლიენტს მხოლოდ საკუთარ თავზე. ვინაიდან ინფორმაცია პრობაციონერის შესახებ მოიცავს პირადულ ინფორმაციას, მისი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა შეიძლება აკრძალული იყოს. საზოგადოების ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია, რაც არ არღვევს კონფიდენციალურობას პროცენტის პირადი ცხოვრების შესახებ. იუსტიციის სამინისტროს, როგორც პრობაციის სამსახურის კოორდინატორს, მუდმივად ესაჭიროება პრობაციის დეპარტამენტების საქმიანობის მიმოხილვა. იუსტიციის სამინისტროს, პრობაციის დეპარტამენტებიდან ყოველთვიურად მიწოდება ინფორმაცია საქმეთა რაოდენობის შესახებ, სპეციალურ, ჩვეულებრივ და წინასაგამოძიებო მოხსენებების რაოდენობის შესახებ. გარდა ამისა, დეპარტამენტი 6 თვეში ერთხელ აკეთებს მიმოხილვას თავისი საქმიანობისა და კლიენტების შესახებ. მიმოხილვა შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სქესი, ასაკი, ეროვნება, სასჯელის ხანგრძლივობა, კლიენტის დასაქმების სტატუსი და ა. შ. სტატისტიკურ ინფორმაციას პრობაციის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ იუსტიციის სამინისტრო რეგულარულად აქვეყნებს თავის ვებ-გვერდზე (www.just.ee).

5.3 საზოგადოების მოსაზრება და კლიენტთა შეხედულებები

ვინაიდან პრობაციის სამსახურს ესტონეთში აქვს ძალიან მოკლე ისტორია, ამიტომ ამ დარგში მხოლოდ მცირე გამოკვლევები არსებობს. პრობაციის სამსახურის საქმიანობის შესახებ მუდმივად ისმის მოსაზრებები სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის მიერ. დღესდღეობით არ შესწავლილა პრობაციის კლიენტთა შეხედულებები ამ დარგთან მიმართებით. ამ თემის მიმართ ინტერესი გამოიჩინეს სოციალური სამუშაოების სტუდენტებმა და ეს გამოკვლევა, სავარაუდოდ, დასრულდება 2003 წლისათვის.

პრობაციის მომავალი დამოკიდებულია საზოგადოებაში ალტერნატიული სასჯელების გამოყენების იდეის დამკვიდრებაზე. ადგილობრივ დონეზე მედიასთან მუშაობას ახორციელებენ პრობაციის დეპარტამენტის უფროსები, ხოლო ცენტრალურ დონეზე იუსტიციის სამინისტრო. იუსტიციის სამინისტროს PR-ის სამმართველოს ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციის გავრცელება პრობაციის საქმიანობის შესახებ და ამ სამსახურის მიმართ დადებითი განწყობის შექმნა საზოგადოებაში.

საზოგადოების განწყობა ალტერნატიული სასჯელების მიმართ სკეპტიკურია. საზოგადოებაში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ მათ მსჯავრდებულების უფრო მეტად დასჯის სურვილი აქვთ. სამართალდამცავი ორგანოები არიან საზოგადოების მეტადი მეთვალყურეობის ქვეშ და მედია ცდილობს სკანდალების ან რაიმე სხვა პრობლემების გამომავარაგებას, რაც შემდგომში ხდება საინფორმაციო გადაცემების განხილვის საგანი.

ესტონეთის უდიდესი პოლიტიკური პარტიები თავიანთი პროგრამების პრიორიტეტებად ასახელებენ დანაშაულის თავიდან აცილებას და შემცირებას. ამ საკითხის მიმართ თითქმის ყველა პარტიას იდენტური მიდგომა აქვს, თუმცა სხვადასხვა გზით. ერთი მხრივ, ისინი მიუთითებენ, რომ დანაშაულის თავიდან აცილება უნდა მოხდეს ახალგაზრდების მიმართ ეფექტური პოლიტიკის გატარებით, რომლის მიზანიც იქნება ახალგაზრდებში დანაშაულის, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის თავიდან აცილება. ისინი აგრეთვე მხარს უჭერენ მოსაზრებას, რომ საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა უნდა მოხდეს პოლიციის, საზღვრის დაცვის, საბაჟოს, დაცვის ლიგის და მთელი საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით. მხოლოდ რამდენიმე პარტია (მაგალითად, მოდერატები)

ფიქრობენ, რომ დანაშაულის თავიდან აცილება უნდა მოხდეს დანაშაულის სოციალური საფუძვლების დადგენით, რაც მათი აზრით დანაშაულის უპირველეს მიზეზს წარმოადგენს.

პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური მოძრაობები ყოველთვის უჭერენ მხარს იმ იდეას, რომ საზოგადოების უსაფრთხოებისა და დანაშაულის დონის დაკლებისათვის საჭიროა, როგორც უკეთესი კანონმდებლობა, აგრეთვე მეტი ფინანსური რესურსის მოპოვება პოლიციისათვის და მათი რეპუტაციის გაზრდა. ეს პარტიები უპირატესობას ანიჭებენ იდეას, რომ დანაშაულის კლებისა და ალტერნატიული სანქციების გამოყენებისათვის პოლიცია წარმოადგენს ექსპერტს.

ბევრი პოლიტიკოსი აგრეთვე მოითხოვს, რომ მსჯავრდებულები დაისაჯონ მკაცრად და საერთოდ, ყველა დანაშაული იყოს დასჯადი ან გაკიცხული. სხვადასხვა მოსაზრება არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ამის მიღწევა. ესტონეთის პოლიტიკურ სცენაზე გამოსული ახალი მოძრაობა „რეს-პუბლიკა“ ითხოვს ნაკლებად ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის დამკვიდრებას და საზოგადოებისგან მსჯავრდებულების დიდი ხნით იზოლაციას. ისინი განიხილავენ სასჯელის გადავადებას, როგორც „საშუალების მიცემას კრიმინალისათვის თავისუფლად დატოვოს სასამართლო დარბაზი“.

5.4 შეჯამება

პრობაციის სამსახურს აფინანსებს სახელმწიფო, რაც ბევრად უფრო იაფია, ვიდრე პატიმრობა. იმისათვის, რომ იუსტიციის სამინისტროს ჰქონდეს სრული წარმოდგენა სისტემის ფუნქციონირების შესახებ, იგი მუდმივად იღებს ხარჯვით და სტატისტიკურ ინფორმაციას პრობაციის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. პრობაცია ნაკლებად შესწავლილი დარგია და ამ მიმართულებით კვლევას აწარმოებენ სტუდენტები. ძალიან ცოტაა ინფორმაცია საზოგადოების შეფასებისა და პრობაციის კლიენტთა შეხედულებების შესახებ. იუსტიციის სამინისტროსთვის პრობაციის ზედამხედველობის პოპულარიზაცია ერთ-ერთი პრიორიტეტია, რათა გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა ალტერნატიული სანქციების შესახებ.

პრობაციის კლიენტთა უფლებები

6.1 სამართლებრივი საფუძვლები

ვინაიდან პრობაციის ოფიცრის საქმიანობა გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების გამოყენებასა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას, პრობაციის კლიენტთა უფლებების დაცვა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკითხს. ესტონეთის კონსტიტუცია ადგენს, რომ დაცული უნდა იყოს ყველას უფლება. ესტონეთის პრობაციის სამსახურის ოთხწლიანი არსებობის მანძილზე იყო მთელი რიგი საჩივრებისა ოფიცერთა წინააღმდეგ, თუმცა არც ერთი არ დადასტურებულა. ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს პრობაციონერთა უფლებების დაცვის დაბალანსება დაზარალებულთა უფლებებთან.

თანახმად კანონმდებლობისა, მსჯავრდებულს აქვს სამი საშუალება, შეცვალოს გადაწყვეტილება ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფორმა: 1) მიმართოს უფრო მაღალ თანამდებობის პირს ან ზემდგომ ორგანოს; 2) მიმართოს საჩივრით

სამართლის კანცლერს (ომბუდსმენს); 3) მიმართოს საჩივრით სასამართლოს. აღნიშნული გზები წარმოადგენენ სასჯელის აღსრულებისას პრობაციის ოფიცრის კონტროლის შიდა ან გარე მექანიზმებს.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივრით მიმართავენ ზემდგომ ორგანოს ან უფრო მაღალ თანამდებობის პირს (იუსტიციის სამინისტრო; სასამართლოს თავმჯდომარე), ავტომატურად იწყება შიდა გამოძიება. ასეთ შემთხვევაში ხდება საჩივრის განხილვა და თუ დარღვევა ნამდვილად მოხდა, გამოიყენება დისციპლინარული ზომები. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროში დამკვიდრებულია პრაქტიკა პრობაციის სამსახურის საქმიანობის ყოველწლიური შემოწმებისა.

მეორე საშუალებას წარმოადგენს საჩივრით მიმართვა სამართლის კანცლერთან ან ომბუდსმენტთან. სამართლის კანცლერი წარმოადგენს დამოუკიდებელ თანამდებობის პირს, რომელსაც შემდეგი ფუნქციები აქვს: განახორციელოს კონტროლი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი მთავრობების საქმიანობის კონსტიტუციისთან შესაბამისობაზე და განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობაზე. სამართლებრივი კანცლერისთვის საჩივრით მიმართვის უფლება აქვს ყველას, მათ შორის, როგორც პატიმრებს, აგრეთვე სხვა შეზღუდული უფლებების მქონე პირებს. სამართლის კანცლერს უფლება აქვს შევიდეს ნებისმიერი დაწესებულების ტერიტორიაზე (მათ შორის, ციხეები) და გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია. სამართლის კანცლერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ფორმა, თუმცა სამართლის კანცლერისათვის მინიჭებული უფლებებიდან გამომდინარე, ისინი ყოველთვის სრულდება.

პრობაციონერებისათვის მესამე საშუალებას წარმოადგენს პრობაციის ოფიცრის ქვევაზე ან გადაწყვეტილებაზე საჩივრით მიმართვა ზედამხედველი სასამართლოსათვის. სასამართლოს უფლება აქვს უარი თქვას საჩივრის განხილვაზე, პრობაციის ოფიცრის ქმედობა მიიჩნიოს ნაწილობრივ ან მთლიანდ უკანონოდ, ან გასცეს ბრძანება მიყენებული ზარალის კომპენსაციის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებს მხარეებს, მათ უფლება აქვთ მიმართონ სააპელაციო სასამართლოს.

პრობაციის ოფიცრისა და კლიენტის პირველი შეხვედრის დროს ოფიცერი პრობაციონერს აცნობს თავის უფლებებს პრობაციის პერიოდში ყოფნისას და ხელს აწერიანებს შესაბამის დოკუმენტზე. კლიენტს უფლება აქვს მოსთხოვოს პრობაციის დეპარტამენტის უფროსს ოფიცრის შეცვლა ან უჩივლოს მას როგორც დეპარტამენტის უფროსთან, აგრეთვე ზემდგომ ორგანოებში. საჩივრის მიღების შემდეგ იწყება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

პრობაციის ოფიცრები და სოციალური მუშაკები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ კლიენტთან შეთანხმებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მაგალითად, კლიენტის სახლში მონახულება ხდება მასთან შეთანხმებით (თუ ეს შესაძლებელია), აგრეთვე პრობაციონერს ეცნობება წინასწარ, რომ მის შესახებ ინფორმაციას მოიპოვებენ მისი სამუშაო ადგილიდან. აღნიშნული პრინციპები უფრო მეტად არაფორმალურია, ვიდრე ფორმალური, მაგრამ ისინი აღიარებულია პრობაციის ოფიცრების მიერ, როგორც სოციალური სამუშაოების საფუძვლები: რაც შეიძლება ნაკლები ზარევა კლიენტთა პირადულ ცხოვრებაში. ამ პრინციპების დაცვა აგრეთვე დამოკიდებულია კლიენტის მხრიდან თანამშრომლობაზე, თუმცა ამ საკითხზე კლიენტთა თანხმობა არ იქნება საჭირო, თუ ინფორმაცია მოითხოვება სასამართლოდან ან სხვა სამართლებრივი მიზნით.

6.2 შეჯამება

პრობაციის სამსახურის საქმიანობა ემყარება სოციალური სამუშაოების ფუნდამენტურ საფუძვლებს, რომლის თანახმადაც, კლიენტის პირადულ ცხოვრებაში უნდა მოხდეს მინიმალური ჩარევა. პრობაციონერებს თავიანთი კონსტიტუციური უფლებების დასაცავად უფლება აქვთ შეეცალონ თანამდებობის პირების გადაწყვეტილებები ან ქმედობები. ესტონეთში არ არის შექმნილი სპეციალური ასოციაციები, რომლებიც დაიცავდნენ პრობაციონერების უფლებებს ან იქნებოდნენ მათი უფლებების წარმომადგენლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კლიენტების უფლებების დაცვა უნდა განვიხილოთ მათი ბრალულობის კონტექსტით, დაზარალებულთა უფლებებითა და მსჯავრდებულებთან დამოკიდებულებაში საზოგადოების ინტერესით.

არსებული მიღწევები

7.1 ცვლილებები კანონმდებლობაში

2002 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ჩანაცვლებს არსებულ კოდექსს. ახალი კოდექსის თანახმად, მნიშვნელოვნად გაიზარდება ალტერნატიული სასჯელების გამოყენება და დამკვიდრდება სასჯელის ისეთი ფორმები, როგორებიც არის სასჯელის გადავადება ზედამხედველობის გარეშე და პაკტირობის ან ფინანსური სასჯელის შეცვლა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით პრობაციის ოფიცრის ზედამხედველობის ქვეშ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტის თანახმად, პროკურატურის მოთხოვნით ან გამომძიებელი მოსამართლისა და სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, შეიძლება დადგინდეს საპრობაციო ზედამხედველობა, როგორც პრევენციული ზომა. კანონპროექტი აგრეთვე ითვალისწინებს მორიგების გამოყენებას, თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ განხილვის საგანია, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდება და ძალაში შევა 2003 წლის მეორე ნახევარში.

ცვლილებები, რომელიც შევა სასამართლო აქტში, აგრეთვე ითვალისწინებს პრობაციის ოფიცრის, როგორც სასამართლოს ოფიცრის, როს. აგრეთვე ბევრი ცვლილებები შევა სასამართლოს თავმჯდომარისა და სასამართლოს ადმინისტრაციული დირექტორის ფუნქციებში. სასამართლო აქტის თანახმად, სასამართლოს ადმინისტრაციას აღარ ექნება სასამართლოს სხვა ფუნქციები და მომავალში პრობაციის დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებული იქნება სასამართლოს კლერკთან. ამ ახალი აქტით უახლოეს პერიოდში ესტონეთში დარჩება მხოლოდ რვა პირველი ინსტანციის სასამართლო. აღნიშნული აგრეთვე გამოიწვევს ცვლილებებს პრობაციის დეპარტამენტის საქმიანობასა და სტრუქტურაში, მაგრამ იმისათვის, რომ კვლავ ადვილი იყოს პრობაციის კლიენტებთან დაკავშირება, დეპარტამენტები კვლავ იმავე ტერიტორიებზე იმოქმედებენ.

7.2 პრობაციის ზედამხედველობის ხარისხი

ესტონეთის პრობაციის სამსახურმა დაამტკიცა თავისი ეფექტურობა და ქმედითობა. პრობაციის სამსახურის მხარდასაჭერად გადამხდელების მიერ გადახდილი გადასახადები

წარმოადგენენ მხოლოდ მცირე ნაწილს იმ თანხისა, რომელიც ესაჭიროება ციხეების შენახვას. ძალიან მნიშვნელოვანია მოხდეს პრობაციის სამსახურის საქმიანობის შეფასება, რათა გადასახადის გადამხდელებმა იცოდნენ, თუ სად მიდის მათი ფული.

2001 წლის 10 აპრილს, იუსტიციის სამინისტროს მიერ შეიქმნა 11-კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომლის ამოცანაც იყო პრობაციის სტანდარტების ფორმულირება, განსაზღვრულიყო სამსახურის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების წრე და შესაბამისი ხარისხის ინდიკატორები და კრიტერიუმები, რათა მომხდარიყო კლიენტთან გაწეული მუშაობის შეფასება. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ პრობაციის დეპარტამენტის უფროსები, პრობაციის ოფიცრები და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები. 2002 წელს ამ ჯგუფის წევრებმა განისაზღვრეს ცვლილებები.

სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა პრობაციის ოფიცრების საქმიანობის არეალი და სამსახურებისათვის საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ხარისხი. სამსახურის სტანდარტები ძალაში შევა 2003 წლიდან. მას შემდეგ, რაც ისინი პილოტირებული იქნება დეპარტამენტებში. იუსტიციის სამინისტრო სამსახურის სტანდარტებს სავალდებულოს გახდის პრობაციის ყველა ოფიცრისათვის. სამსახურის სტანდარტები უფრო ნათელს მოჰქვინს ოფიცრების საქმიანობის საფუძვლებს.

7.3 ინფორმაციული ტექნოლოგიები

პრობაციის ყველა ოფიცერს აქვს ინტერნეტში ჩართული პირადი კომპიუტერი. კომპიუტერების შეკეთებას უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროს ტექნიკური განყოფილება.

მას შემდეგ, რაც ესტონეთში ფუნქციონირება დაიწყო პრობაციამ, 1998 წლის 1 მაისს შეიქმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევდა პრობაციის ოფიცრებს ეწარმოებინათ საქმეები ელექტრონულად. დღეს ეს პროგრამა მოქმედებულობდა და მოითხოვს განახლებას. ვინაიდან ძველის განახლება ძვირი იყო, გადაწყდა, რომ შეემუშაებინათ ახალი ინფორმაციული სისტემა. 2000 წლის შემოდგომაზე ინფორმაციული ტექნოლოგიების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ამ სისტემის შემუშავებაზე; გამოიყო შესაბამისი დაფინანსება. ინფორმაციულ სისტემას დაამუშავებს იუსტიციის სამინისტრო. ვინაიდან ესტონეთში მრავალი საინფორმაციო ბაზა არსებობს, გადაწყდა, რომ პრობაციის ბაზა დაკავშირებულიყო პოლიციის, სასამართლოს, ციხეების და სხვა პარტნიორების საინფორმაციო ბაზებთან. ეს გააუმჯობესებს ხარისხსა და ინფორმაციის გაცვლის საშუალებებს სხვადასხვა ორგანოს შორის. აღნიშნული საინფორმაციო სისტემა საშუალებას აძლევს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სამმართველოს აწარმოოს კონტროლი და შეაფასოს პრობაციის სამსახურების საქმიანობა სტატისტიკის ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით. ინფორმაციის სისტემის გრძელვადიანი მიზანია, რომ საქმეთა წარმოება წარიმართოს მთლიანად ფურცლების გარეშე.

7.4 პრობაციის ოფიცრების ტრენინგი

2002 წლიდან უმაღლესი განათლების დაწესებულებებმა, რომლებიც ახორციელებდნენ სწავლებას მასწავლებლობასა და სოციალურ სამუშაოებში, დაიწყეს პრობაციის ოფიცრებისათვის სასწავლო სტანდარტების შემუშავება. ეს ხელს შეუწყობს პროფესიონალი

თანამშრომლების მოდინებას. პროზაციის ოფიცერთა ტრენინგი მიმდინარეობს ესტონეთის ყველა უმაღლეს სასწავლებელში.

7.5 შეჯამება

უახლოეს პერიოდში მოხდება ბევრი ცვლილება პროზაციის სამსახურის სტრუქტურასა და კანონმდებლობაში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია პროზაციის ოფიცერთა საქმიანობის შეფასება, რაც გახდება სამსახურის გადარჩენის საფუძველი. პროზაციის ოფიცერებს მალე დაემატება ახალი ფუნქციები. ეს ნიშნავს, რომ სამსახური გამოიყენებს თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და დაელოდება შედეგებს.

მისამართები და შესაბამისი პუბლიკაციები

Estonian Ministry of Justice

Tonismagi 5a

15191 Tallinn

Tel: +372 (0) 6 208 100

fax: +372 (0) 6 208 109

E-mail: info@just.ee

www.just.ee

Professional Association of Probation

Officers

Mooni 109

Tallinn 13424

Tel: +372 (0) 6 542 638

Fax: +372(00 6 542 724

Probation supervision Departments:

Harju County Court Probation

Department,

Maardu 74111, Orumetsa 8

Tel: +372 6 384 137

Fax: + 372 6 003 581

Ida Viru County Court Probation

Department

Johvu 41532, Jaama 26

Tel: +372(0) 33 78 072

Jarva County Court Probation Department

Paide 72720, Tallina 18

Tel: +372 (0) 38 48 726
Fax: + 372 (0) 38 48 727

Jogeva County Court Probation Department
Jogeva 48304
Piiri 4
Tel:+372 (0) 7768292
Fax: +372 (0)7768298

Laane County court Probation Department
Haapsalu 90502, sadama 21
Tel: +372(0)4720025

Laane-Viru County Court Probation Department
Rakvere 44313, Tallina mnt 28
Tel: + 372 (0) 3223447
Fax: +372(0)3223909

Narva city court Probation Department
Narva 20308, Mai tn2.
Tel:+ 372 (0)3572622
fax:+ 372(0) 3572 621

Rapla County Court Probation Deptment
Rapla Sauna 5
tel: +372(0) 48 90 641

Parnu County Court Probation Department
Parnu 80099, Kuninga
Tel: +372 90) 22044
Fax: +372(0) 79570

Polva County Court Probation Department
Polva vald 63309.Mammaste
tel: + 372(0)7995130
fax: +372(0) 7994520

Saare County Court Probation Department
Kuresaare, Lossi 2
Tel: +372(0)4521685

Tartu County Court Probation Department
Tahe 116
51013
Tel: +372(0) 7 362 707

Tallinn City Court Dountoun Probation Department
Tatari 39
Tallinn 10116
Tel: +372(0) 6 414 198
fax: + 372(0) 6 414 199

Tallinn City Court Mustamae Probation Department
Mooni 109
Talinn 13424
Tel: + 372 (0) 6 101 127
Fax: + 372 (0) 6 542 724

TaLLinn City Court Lasna,ae Probation Department
Suur-Sojamae 10
Tallinn 11415
Tel: +372(0) 6 101 127
Fax; + 372(0) 6 211 437

Valga County Cort Probation Department
Valga 68204, Vabaduse 5
Tel: + 372(0) 766108
Fax: +372(0) 761623

Niljandi County Court Probation Department
Viljandi 71020
Posti tn 22.
Tel: +372 (0) 43 548 83
Fax: + 372 (0) 43 548 98

Websites:

Estonian Ministry Of Justice

<http://www.just.ee>

Estonian Legal Translation Centre <http://www.legaltext.ee/>

Official State Web Centre [http:// www.riik.ee/en](http://www.riik.ee/en)

Statistical Office Of Estonia <http://www.stat.ee>

თავი 5

უნგრეთი

კლარა კერეში
გეზა გოჟტონი
ზოლტან ბოგშუტზი
დავიდ ელიასი

ძირითადი ინფორმაცია უნგრეთის შესახებ და პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება

1.1 ზოგიერთი ფაქტი პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ

ქვეყნის სრული სახელწოდება:	უნგრეთის რესპუბლიკა.
ტერიტორია:	93.30 კვადრატული კილომეტრი.
მოსახლეობა:	10.1 მილიონი; დადგენილია, რომ უნგრელების ერთი მესამედი ცხოვრობს საზღვარგარეთ, უმეტესწილად, მეზობელ ქვეყნებში.
დედაქალაქი:	ბუდაპეშტი (მოსახლეობა: 2 მილიონი, რაც საერთო რაოდენობის 20%-ს შეადგენს).
ადმინისტრაციული სტრუქტურა :	7 რეგიონი, 19 ოლქი, 20 ურბანული დასახლება, 1 დედაქალაქი (შედგება 23 რაიონისგან), 214 ქალაქი და 2.898 სოფელი
მოსახლეობა:	89.9% უნგრელი, 5.7% რომანელი, 2.1 % გერმანელი, 1.0% სლოვაკი, 0.8% ხორვატი, 0.3% რუმინელი, 0.1% პოლონელი.
GDP ერთ სულ მოსახლეზე:	12.283 ევრო
წლიური ზრდა:	5.5%
ინფლაცია:	10%
უმუშევრობის დონე:	9.4%
ცხოვრების მინიმალური საარსებო დონის დაბლა მყოფი მოსახლეობა:	12.1%

პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის შემდეგ პირველი თავისუფალი არჩევნები ჩატარდა 1990 წელს. უნგრეთის საპარლამენტო დემოკრატიის მთავარ ინსტიტუტებს წარმოადგენს პარლამენტი, პრეზიდენტი და მთავრობა. უნგრეთის პარლამენტი ერთპალატიანია ეროვნული ასამბლეა. პარლამენტი 138-ადგილიანია და ირჩევენ ოთხწლიანი ვადით, კომპინირებული სისტემით, მაჟორიტარული და პროპორციული წესით. პარლამენტში ადგილის მოსაპოვებლად საჭიროა 5%-იანი ბარიერის გადალახვა. პარლამენტი წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლებას. აღნიშნული ორგანო ინაწილებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას პრეზიდენტსა და მთავრობასთან. ოლქის ადმინისტრაციული სტრუქტურა ემყარება ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციის დეცენტრალიზებულ ერთეულებსა და ადგილობრივ ორგანოებს, რომელთა ხელმძღვანელებს აგრეთვე ოთხ-წლიანი ვადით ირჩევენ (პლუს 19 ბუდაპეშტში) ოლქის ან ქალაქებისა და სოფლების დონეზე. ადგილობრივი ხელისუფლების 3.168 წევრის უფლებები დაცულია კონსტიტუციის მიერ. მათი დაფინანსება ძირითადად ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ისეთ რაიონებში, სადაც მაცხოვრებელთა უმრავლესობას მოსახლეობის უმცირესობანი წარმოადგენენ, შექმნილია უმცირესობების ადგილობრივი საბჭოები.

უნგრეთში კრიმინალური პოლიტიკის განვითარებაზე გავლენა იქონია კრიმინალიზაციის სწრაფმა ზრდამ და სასჯელების გამკაცრებამ. 1997 წლიდან სისხლის სამართლის პოლიტიკა იმართებოდა იდეოლოგიით „კანონი და ბრძანებები“, რომლის თანახმადაც, ძალაში შევიდა მთელი რიგი ახალი სასჯელებისა და მოსამართლეებს აუკრძალა თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების საშუალება. აღნიშნული მიღწეულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის გზით და მის ძირითად პრინციპად სიმკაცრის დამკვიდრებით. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობაში ნელ-ნელა მაინც ხდება ალტერნატიული სასჯელების დამკვიდრება (ძალაში შევა 2003 წლის 1 იანვარს), კერძოდ: საქმეების შეწყვეტა, საზოგადოებისა და დაზარალებულისათვის შესაბამისი კომპენსაციის მიცემით.

1.2 პრობაციისა და სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება

ქვეყანაში არსებული სასამართლო სისტემა და სისხლის სამართალი შეიქმნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ერთიანი სახელმწიფო სასამართლოები და სამეფო პროკურატურა შეიქმნა 1872 წელს. 1878 წლის აქტი 4 და 1896 წლის აქტი 1 შეიცავდნენ პირველ სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს. აღნიშნული აქტები, მხოლოდ მცირედი ცვლილებებით ძალაში იყო მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე. სოციალისტურ პერიოდში უნგრეთში იყო ორი სისხლის სამართლის კოდექსი (1961 წლის აქტი 5 და 1978 წლის აქტი 4) და 2 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1951 წლის აქტი 3 და 1973 წლის აქტი 1). 1990 წლის შემდეგ უნგრეთში არ შექმნილა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. ნაცვლად ამისა, კოდექსი განახლდა და მოვიდა შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და საკონსტიტუციო სახელმწიფოს მოთხოვნებთან.

თუ როგორ მოხდა უნგრეთის პრობაციის სისტემის შექმნა და განვითარება, უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ დამოუკიდებლად აღწერთ პრობაციის ოფიცერების მუშაობას არასრულწლოვან და სრულწლოვან მსჯავრდებულებთან.

1.2.1 1978 წლამდე სრულწლოვან მსჯავრდებულთა პრობაციის ისტორიული განვითარება

უნგრეთში საპრობაციო საქმიანობა (პატიმრებისათვის ძალიან უბრალო ფორმით დახმარების აღმოჩენა) ხორციელდებოდა საუკუნეების მანძილზე. მოგვიანებით, ციხეების საეკლესიო მისიებს შესაძლებლობა მიეცათ გარკვეული გავლენა ჰქონოდათ ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ უნგრეთის „ისტორიული ეკლესიები“ ამ ამოცანებს ასრულებდნენ ისეთი დამოუკიდებელი ასოციაციების მეშვეობით, როგორებიც არის ბეთანია (რომანულ-კათოლიკური), ფეხე დიაკვნები (კალვინისტები) და ქალაქ დებრეცენში იმედის სახლი (რეფორმირებული ეკლესია).

პატიმრებზე მზრუნველობა ხორციელდებოდა ძალიან ადრეული ეტაპიდან: თანახმად 1878 წლის სისხლის სამართლის კოდექსისა (ქსემეგის კოდექსი), ამ მიზნებისათვის შეიქმნა სპეციალური ბიუჯეტი, რომელიც იესებოდა ჯარიმებით. სისხლის სამართლის რეფორმის სარეკლამო მოძრაობასთან ერთად გაიზარდა საქველმოქმედო აქციებიც. „პატიმართა მზრუნველობის“ კონცეფცია გაფართოვდა მას შემდეგ, რაც დაიწყო

ცვლილებები დანაშაულის კონცეფციაში, უარყოფილ იქნა კლასიკური სისხლის სამართლის სკოლის პრინციპები, ინდივიდუალიზმი და ჩატარდა სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევები დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დასადგენად. 1933 წელს შეიქმნა მფარველთა ასოციაციების უნგრული გაერთიანება, რომელიც შედგებოდა 33 წევრისგან, თუმცა მათ არ შეეძლოთ თანამშრომლობა სახელმწიფოს მიერ მართულ ორგანიზაციებსა და მის თანამშრომლებთან.

სოციალისტური პერიოდში სჯეროდნო, რომ სამსახურში მთლიან განაკვეთზე მუშაობა აღმოფხვრიდა ციხის შემდგომი მზრუნველობის საჭიროებას და ორმოცდაათიანი წლებიდან ის თითქმის მთლიანად უარყოფილ იქნა. მინისტრთა კაბინეტის №1954/1105 რეზოლუცია არეგულირებდა ციხიდან გათავისუფლებული პატიმრებისთვის სამსახურის მოძებნაში დახმარების აღმოჩენის საკითხს, რაც ფაქტობრივად ციხის შემდგომი მზრუნველობის ერთადერთ ამოცანას წარმოადგენდა. ამ ფუნქციის უზრუნველყოფა 1960 წლიდან დაევალით ადგილობრივ მთავრობებს. კაბინეტის №12/1965 რეზოლუციით აღდა ციხის შემდგომი მზრუნველობის დარგში მომუშავეთა სისტემა. ამ რეზოლუციის მთავარ ნაკლოვანებას წარმოადგენდა სისტემატური მენეჯმენტის უქონლობა. იუსტიციის სამინისტროს №11/1967 დეკრეტით პატიმართა ციხიდან გათავისუფლებისათვის მოწადება გახდა ციხის სამსახურის ამოცანა. ჯანმრთელობის სამინისტროს №9/1966 დეკრეტით შესაძლებელი გახდა ნებაყოფლობითი პრობაციის ოფიცრების დანიშვნა. პრობაციის სამსახურის განვითარებაზე ზრუნვა დაევალით ადგილობრივ საზღოებს, თუმცა არ მომხდარა მათთვის დამატებითი რესურსების გამოყოფა. თანახმად კანონისა №1975/20, მთავრობას დაევალია განხორციელებინა სასამართლო სისტემაში ციხის შემდგომი მზრუნველობა და რაიონულ სასამართლოებში შეიქმნა ახალი პრობაციის ოფიცრების თანამდებობები. ციხის სამსახურის წინადადებების საფუძველზე ზედამხედველობის განხორციელება დაევალით სასამართლოებს. სასამართლოს უფლება ჰქონდა პრევენციული ზომის სახით მსჯავრდებულისათვის შეეფარდებინა იძულებითი ქვევითი მოთხოვნები და პრობაციის ოფიცრს ევალებოდა მისი აღსრულება. პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პატიმრებზე კონტროლს ახორციელებდა პოლიცია. პრობაციის სისტემის განვითარების პირველი ეტაპი დასრულდა 1978 წელს.

1.2.2 1978 წლამდე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პრობაციის ისტორიული განვითარება

ბავშვთა კეთილდღეობის საქველმოქმედო ორგანიზაციებმა განვითარება დაიწყეს მას შემდეგ, რაც დაიწყო რეფორმები კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რომელიც, თავის მხრივ, კონტროლის ფუნქციებსა და სოციალურ მზრუნველობასაც მოიცავდა. 1908 წლის სისხლის სამართლის კოდექსის (რეფორმატორული სკოლის) თანახმად, არასრულწლოვანთა მიმართ დამკვიდრდა დროებითი აღზრდა-მზრუნველობა და პირობითი გათავისუფლება პრობაციით. იუსტიციის სამინისტროს უფლება ჰქონდა სასამართლოებში წარედგინა პრობაციის ოფიცრები, რომლებსაც დახმარებას უწევდნენ ნებაყოფლობით დაქირავებული პირები. პრობაციის ოფიცრები ახორციელებდნენ ზედამხედველობას და შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებას. 1913 წლის 21-ე აქტით შეიქმნა საბუშო სახლები. მე-17 აქტმა შექმნა დამოუკიდებელი სასამართლოები, რომლებიც იხილავდნენ არასრულწლოვანთა საქმეებს.

ამ პერიოდში ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული ნებაყოფლობითი დახმარების იდეა: ოგი გამოიყენებოდა ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური უზრუნველყოფის, მეთვალყურეობის, ციხის შემდგომი მზრუნველობისა და სხვადასხვა სოციალური დაცვის

მიმართულებით წარმართული საქმიანობისათვის. აღნიშნული იყო როგორც ავტორიტარული, აგრეთვე საქველმოქმედო ხასიათისა. უნგრეთში პროზაიკის სისტემა შეიქმნა 1910 წლიდან, სადაც არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ პროზაიკის დარგში 1940 წლამდე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდნენ საქველმოქმედო ორგანიზაციები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, №1951/34 საკანონმდებლო დეკრეტის თანახმად, არასრულწლოვანთა კონტროლისა და მზრუნველობის პასუხისმგებლობა დაეკისრა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. აღნიშნული გადაწყვეტილებით საწყის ეტაპებს დაუბრუნდა როგორც საქველმოქმედო საქმიანობა ამ დარგში, აგრეთვე პროზაიკაც.

ეს სიტუაცია დააჩქარა კაბინეტის რეზოლუციამ №2016/1969 და განათლების სამინისტროს რეზოლუციამ №131/1970, რომლის თანახმადაც ახლიდან შეიქმნა პროზაიკის სისტემა არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის. სისტემა სტრუქტურულად ექვემდებარებოდა ბავშვების და ახალგაზრდების რაიონული სამსახურების დირექტორებს. 1974 წლიდან არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის დაიწყო იძულებითი ციხის შემდგომი მზრუნველობა.

1.2.3 პროზაიკის ისტორიული განვითარება 1978 წლის შემდეგ

1978 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა გაყო ციხის შემდგომი მზრუნველობა და პროზაიკა და ეს უკანასკნელი გადაქცევა კოდიფიცირებულ სისხლისსამართლებრივ ზომად. პროზაიკის ოფიცრის მიერ ზედამხედველობის განხორციელება სასამართლოს შეეძლო შეეფარდებინა მხოლოდ, როგორც ძირითად სასჯელზე არსებული დამატებითი ზომა ან გადავადებული საპატიმრო სასჯელი: როდესაც ციხის მოსამართლეს შეუძლია შეუფარდოს პროზაიკა პირობით ვადამდე გათავისუფლებისას და მხოლოდ ცალკეული გამონაკლისებისას, პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ.

საკანონმდებლო დეკრეტით №1979/11 (რომელიც კვლავ ძალაშია მცირედი ცვლილებებით) შეიქმნა სტრუქტურა და არსი პროზაიკისა. სასამართლო სისტემაში, როგორც რაიონული სასამართლოების შემადგენელ ნაწილში, შეიქმნა სრულწლოვანთა პროზაიკის სამსახურები. საკანონმდებლო დეკრეტის №1979/11 თანახმად, პროზაიკის ოფიცრის ამოცანები შემდეგნაირად არის აღწერილი: პროზაიკის ოფიცერი კონტროლითა და რჩევების მიცემის გზით უნდა დაეხმაროს მსჯავრდებულს, რომ მან არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული; დაეხმაროს მსჯავრდებულს სოციალურ ინტეგრაციასა და აღნიშნულის მისაღწევად შესაბამისი სოციალური პირობების შექმნაში. აღნიშნული დოკუმენტში აგრეთვე მოცემულია პროზაიკის არსებობისას სპეციალური ყოფაქცევის მითხოვნების ჩამონათვალი, რომელსაც შეუძლია მიმართოს სასამართლო. იმ პერიოდში პროზაიკის ოფიცრებად მომუშავე 102 სრულწლოვან თანამშრომელს მიეცა გამასწორებელი მუშაობის კონტროლის დავალება და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ ხდებოდნენ სისხლის სამართალწარმოების მონაწილეები.

90-იანი წლების დასაწყისში გაუქმდა სიკვდილით დასჯა, გამასწორებელი სამუშაოები და განგრძობითი სასჯელები. 1993 წლიდან დამკვიდრდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელი სრულწლოვნებისთვის, რომლის აღსრულებაც დაეკისრათ პროზაიკის ოფიცრებს. 1997 წლის LXXIII აქტით განისაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კანონები, რომელიც დღესაც ძალაშია.

1995 წლის XLI აქტით გასამართლების შეწყვეტისას არსრულწლოვანთა პროზაიკის ოფიცრებს დაეკისრათ ზედამხედველობის შესრულება. აღნიშნულის განხორციელება სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ შესაძლებელი გახდა 1999 წლიდან.

1997 წლის ბავშვების დაცვისა და მზრუნველობის ურთიერთობების ადმინისტრირების აქტმა XXCI, მნიშვნელოვნად შეცვალა უნგრეთის ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა და ზუსტად განასხვავა ერთმანეთისგან მხარდაჭერა და მომხმარებელი ინტერვენცია (ჩარევა). აღნიშნული აქტის თანახმად, ბავშვთა დაცვის სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს როგორც პრობაციის ოფიცრების მიერ ახალგაზრდების ზედამხედველობა, ისე ახალგაზრდა მსჯავრდებულთა დაწესებულებებში ან პრევენციულ დაკავების ადგილებში სასამართლოს ბრძანებით განთავსებულ ახალგაზრდათა მზრუნველობა. 1978 წლის 119-ე მუხლის თანახმად, კეთილდღეობის სამინისტრო უნდა დარწმუნდეს, რომ პრობაციის ოფიცრები ახორციელებენ ზედამხედველობას, ხოლო იუსტიციის სამინისტრომ აკონტროლოს მათი საქმიანობა. ქვეყნის მზრუნველობის სამსახურის სისტემაში შექმნილი არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახური გადაიქცა სახელმწიფო სამსახურად, რომელიც ანგარიშვალდებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს აღმასრულებელი ოფისების წინაშე.

1.3 შეჯამება

უნგრეთის პრობაციის სამსახურს დიდი ხნის ისტორია აქვს. პრობაციის ორმაგი მიზნები (ზედამხედველობა და მხარდაჭერა) დაბალანსებულ იქნა 1970-80-იან წლებში: მსჯავრდებულები სოციალურ დახმარებას იღებენ თავიანთ სამუშაო ადგილებსა და სოციალური უსაფრთხოების სისტემით. ამის შემდეგ შეიცვალა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მაგრამ პრობაციის სამსახურებმა ვერ შეძლეს ახალი სიტუაციის ეფექტურად შეფასება და ვერ მოახერხეს შეეცვალათ მეთოდები ან ესწავლათ სხვა პროფესიებში არსებული ახალი მიდწევიები (მაგალითად, სოციალური სამსახური).

პრობაციის სამსახურების სისტემის დებულება და საკანონმდებლო საფუძვლები

2.1 საკანონმდებლო საფუძვლები

უნგრეთს აქვს კონტინენტალური საკანონმდებლო სისტემა, რაც ნიშნავს, რომ სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენენ არა პრეცედენტს, არამედ სასამართლო პრაქტიკაში გამოყენებულ, კანონმდებლობაზე დაფუძნებულ, საპროცესო და მატერიალურ ვალდებულებებს. პარლამენტის მიერ მიღებული აქტები სავალდებულოა უნგრეთის მთელ ტერიტორიაზე ყველა მოქალაქისათვის და საკანონმდებლო იერარქიაში უმაღლეს დონეზე დგანან. კანონის მთავარ წყაროებს წარმოადგენს კონსტიტუცია და სხვადასხვა კოდექსი (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი). სოციალისტური სისტემიდან დარჩენილია და ძალაშია აგრეთვე არსებული საპრეზიდენტო საბჭოს სტატუტები. აღნიშნულს შეესაბამება სტატუტი, რომელიც იურიდიულ ძალას ანიჭებს სასჯელთა აღსრულებას. მთავრობას შეუძლია გამოსცეს სტატუტები და ბრძანებები, ხოლო მინისტრებს უფლება აქვთ გამოსცენ ბრძანებები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში. კანონი უფლებამოსილებას ანიჭებს ადგილობრივ ორგანოებს გამოსცენ დადგენილებები (ინსტრუქციები) მათ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობისთვის. უზენაეს სასა-

მართლოს უფლება აქვს დანერგოს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც არ წარმოადგენს არც პრეცედენტს და არც სამართლის წყაროს.

პრობაციის ოფიცერთა ფუნქციებს, ერთი მხრივ, განსაზღვრავს სისხლის სამართლის კოდექსი და მეორე მხრივ, სტატუტი, რომელიც სასჯელთა აღსრულებას ანიჭებს იურიდიულ ძალას. კანონმდებლობა პრობაციის შესახებ შეიცავს როგორც არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართებით გამოცემული სოციალური და ოჯახური ურთიერთობების სამინისტროს სტატუტებს, აგრეთვე იუსტიციის სამინისტროს სტატუტებს.

ძირითად სასჯელთა რიგებიდან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება წარმოადგენს პრობაციის ოფიცერთა ვალდებულებას. პირს, რომელსაც შეუფარდებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ვალდებულია შეასრულოს სასამართლო სანქციით დაკისრებული სამუშაო. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება მსჯავრდებულის პირადი თავისუფლების შეზღუდვა. მსჯავრდებულმა, სულ მცირე, კვირაში ერთხელ უხელფასოდ უნდა განახორციელოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. სამუშაოს ყველაზე მცირე ვადა ერთი დღე, ყველაზე დიდი ორმოცდაათი. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ერთი დღე შეესაბამება ექვს სამუშაო საათს. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული არ შეასრულებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, მას აღნიშნული სასჯელი შეეცვლება საპატიმროთი, შემდეგი შეფარდებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ერთი დღე პატიმრობის ერთ დღესთან. პრობაციის ოფიცერი სასჯელის აღსრულებაზე ანგარიშვალდებულია ციხის მოსამართლის წინაშე. პრობაციის ოფიცერმა უნდა შეამოწმოს სამუშაო პირობები და მსჯავრდებულის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება.

ისეთი ზომების გამოყენებისას, როგორებიც არის: პირობით ვადამდე გათავისუფლება, სასჯელის შეწყვეტა, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან საპატიმრო სასჯელის გადავადება, პრობაციის ოფიცერი განახორციელებს ზედამხედველობას. არასრულწლოვან მსჯავრდებულს გამასწორებელი სკოლიდან გათავისუფლებისას აგრეთვე უწესდება ზედამხედველობა. ზედამხედველობის მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულის პრევენცია ახალი დანაშაულის ჩადენისაგან, დახმარების აღმოჩენა საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის და აღნიშნულის მისაღწევად შესაბამისი სოციალური პირობების შექმნა. პრობაცია შეფარდებულმა პირმა უნდა შეასრულოს ბრძანებამი მითითებული ძირითადი და სპეციალური მოთხოვნები. აღნიშნული შეიცავს პირის დახმარებისათვის საჭირო ვალდებულებებსა და აკრძალვებს, რათა მან მიაღწიოს კანონმორჩილი ცხოვრების სტილს. ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას მსჯავრდებულისთვის წარმოადგენს შემოსავლიან სამსახურში დასაქმება. იმ შემთხვევაში, თუ პრობაციონერი გადაწყვეტს სამუშაოს ან საცხოვრებლის შეცვლას, მან ამის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს პრობაციის ოფიცერს. სასამართლომ მსჯავრდებულს შეიძლება დააკისროს ისეთი სპეციალური მოთხოვნების შესრულება, როგორებიცაა განსაზღვრულ მისამართზე ცხოვრება, გაიაროს სწავლების კურსი ან არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი.

სრულწლოვანი მსჯავრდებულების პრობაციას ახორციელებენ რაიონული სასამართლოს პრობაციის ოფიცერები. პრობაციის ოფიცერები ახორციელებენ მსჯავრდებულთა პიროვნულ ზედამხედველობას და კოორდინაციას უწევენ ზედამხედველობის დარგში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციას. გარდა აღნიშნულისა, პრობაციის ოფიცერები ახორციელებენ სასამართლოსათვის წინასაგამომიებო მოხსენების მომზადებას. იმ შემთხვევაში, თუ პრობაციონერი დაარღვევს დადგენილ მოთხოვნებს, ასეთ შემთხვევაში პრობაციის ოფიცერმა უნდა მიმართოს პროკურორს, რომელიც აღნიშნული მიმართვის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თავის მხრივ, მიმართავს სასამართლოს შემდეგი მოთხოვნებით: გადავადებული საპატიმრო სასჯელის პატიმრობით შეცვლით, პირობით ვადამდე

გათავისუფლების შეწყვეტით, შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებით და შეჩერებული სასჯელის ნაცვლად მისი შეფარდებით.

არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე ზედამხედველობას ახორციელებენ რაიონული მზრუნველობის სამსახურების, პრობაციის ოფიცრები. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს სასჯელის დროს შეუსრულდება თვრამეტი წელი, მასზე პასუხისმგებლობა კვლავ რჩება აღნიშნული სამსახურის პეროგატივად. პრობაციის ოფიცერი, პრობაციონერი და მისი სამართლებრივი წარმომადგენელი ერთად განიხილავენ დანაშაულის ჩადენის მიზეზებს, ახალი დანაშაულის ჩადენის საშიშროებას და ყოველთვის აღნიშნულის გათვალისწინებით ადგენენ პრობაციის გეგმას. იმ შემთხვევებში, როდესაც პრობაციონერს წარმოექმნება პრობლემები, მათ გადაჭრაში მას უნდა დაეხმაროს პრობაციის ოფიცერი და თუ საჭირო გახდება, იმოქმედოს, როგორც კლიენტის ადვოკატმა.

გარდა იმ პირობისა, რომლებსაც შეფარდებული აქვთ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და პრობაცია, კლიენტთა მესამე ჯგუფს წარმოადგენს გათავისუფლებული პატიმრები. ციხის შემდგომი მზრუნველობის მთავარ მიზანს წარმოადგენს ყოფილ პატიმართა საზოგადოებაში ხელახლა ინტეგრაციის საქმეზე დახმარების აღმოჩენა და ამისთვის საჭირო სოციალური პირობების შექმნა. გათავისუფლებულმა პირმა შეიძლება ითხოვოს დახმარება და მხარდაჭერა სამსახურის მოძებნაში, საცხოვრებლის პოვნაში, განათლების მიღებასა და მკურნალობაში. ციხის შემდგომ მზრუნველობას პრობაციის ოფიცერი ახორციელებს ადგილობრივ ორგანოებთან, დამქირავებლებთან და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

პრობაციის ოფიცერი თავის საქმიანობას წარმართავს კანონის მოთხოვნათა საფუძვლების ფარგლებში და მისი საქმიანობის ყველა ეტაპი ზუსტად არის გაწერილი. ნებისმიერი სპეციალური მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდნენ მსჯავრდებულებს ან გარემოებებს, მაგრამ ამავე დროს უნდა ემყარებოდნენ კანონის მოთხოვნებს.

პრობაციის ოფიცერთა ზედამხედველობა უნდა შეეფარდოთ იმ სრულწლოვან მსჯავრდებულებს, რომლებიც წარმოადგენენ შეწყვეტილი ან გადავადებული საპატიმრო სასჯელის ან ადრე ნასამართლები პირის მიმართ შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის საგანს. სხვა შემთხვევებში, აღნიშნულის შეფარდება დამოკიდებულია მოსამართლის გადაწყვეტილებაზე. პრობაცია ყოველთვის სავალდებულოა, როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანია. პრობაციის შეფარდებისას კანონი არ აზოგადებს დანაშაულის სახეობებს. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, პრობაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელის გადავადების შემთხვევაში მსჯავრდებულის ზედამხედველობისას ან პირობით ვადამდე გათავისუფლების წარმატებით დასრულებისთვის. სისხლის სამართლის კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების თანახმად, განსაკუთრებულ შემთხვევაში ციხის მოსამართლეს შეუძლია ყოფილ პატიმარს საპატიმრო სასჯელის სრულად მოხდის შემდეგ შეუფარდოს პრობაცია. აღნიშნული ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე გადაწყვეტს, რომ ეს ხელს შეუწყობს პირის რესოციალიზაციას და დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენციას. ასეთ შემთხვევებში პრობაციის პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს ორი წელი, თუმცა ამის შესაძლებლობა გაუქმდა 2001 წელს, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები (აქტი XIII, 2001).

მსჯავრდებულის ასაკთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ ერთი განმარტება. დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის 14-დან 18 წლის ასაკამდე მსჯავრდებული არასრულწლოვანად მიიჩნევა. თუ მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის იყო 18 წლის, ის მიიჩნევა სრულწლოვანად. ახალგაზრდა სრულწლოვანთა კონცეფცია ჯერჯერობით უცნობია უნგრეთის სისჯიანთა სისტემისათვის. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება შეფარდოს მსჯავრდებულს, თუ სასჯელის დროს მას შეუსრულდა

18 წელი. უნგრეთში პრობაცია ხორციელდება ორი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიმართ ორი სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ.

არასრულწლოვნებისათვის შესაფარდებელ სანქციებთან მიმართებით არსებობს აგრეთვე სხვა განსხვავებები. არასრულწლოვნებისათვის პატიმრობის მინიმალური და მაქსიმალური ხანგრძლივობა უფრო მცირეა. არ შეიძლება მათი ჭონების კონფისკაცია; ჯარიმა შეეფარდებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი ან მნიშვნელოვანი დანაზოგი. გამასწორებელი სკოლის შეფარდება შესაძლებელია მხოლოდ არასრულწლოვნებისთვის. აღნიშნული გამოიყენება, თუ ეს გამოიწვევს მსჯავრდებულის განათლების დონის ამაღლებას. მისი ხანგრძლივობის ვადაა 1-დან 3 წლამდე.

2.2 პრობაციის სამსახურების მისია

უნგრეთის პრობაციის სამსახურებს ჯერჯერობით არ შეუქმნიათ სპეციფიკური დებულებები. ქვეყანაში მოქმედი ორი დამოუკიდებელი ორგანიზაციის ურთიერთ-სხვაობებზე და სხვადასხვა პროფესიულ წარსულზე მიმდინარეობს აქტიური საუბარი, რომელიც მომავალში იქონიებს გავლენას ამ სამსახურების დებულებების შემუშავებაზე. არასრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრების არაპირდაპირ დებულებას წარმოადგენს სოციალური მუშაკების ეთიკური კოდექსი, რომელიც პირველად შეიქმნა 1994 წელს სოციალური სამუშაოებისა და სოციალური პოლიტიკის ასოციაციების მიერ, ხოლო მოგვიანებით, 1999 წელს, განაახლა სოციალურ მუშაკთა უფრო ფართო ჯგუფმა. არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახურებს გავლენა აქვს აღნიშნულ კოდექსზე, ვინაიდან ეს სამსახურები არიან სოციალური და ოჯახური ურთიერთობების სამინისტროს სტრუქტურაში არსებული მეურვეობის ოფისების შემადგენელი ნაწილი. აღნიშნულის გამო მიმდინარეობს საუბარი პრობაციის ოფიცრების ფუნქციებზე, კერძოდ, კონტროლია ეს, თუ დახმარება. ვინაიდან პრობაცია წარმოადგენს სასჯელის ფორმას, არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახურები თავიანთ ფუნქციას ხედავენ არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის სოციალური დახმარების აღმოჩენასა და ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენციაში. სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი ადგენს, რომ, მეორე მხრივ, სასჯელის მიზანს წარმოადგენს გრძელვადიანი „დახმარება ან კონტროლი“ საკანონმდებლო დეკრეტის №11/1979 92-ე მუხლი განსაზღვრავს პრობაციის „ზედამხედველობას, როგორც: „მსჯავრდებულის კონტროლისა და რჩევების მიცემის გზით ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენციას და შესაბამისი პირობების შექმნით მის საზოგადოებაში ინტეგრაციას“. დაცული საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, სასჯელის მიზანს წარმოადგენს კანონის დამრღვევის ან სხვათა შეკავება დანაშაულის ჩადენისაგან. სხვაობები ამ ორ მიმართულებას შორის ამკარაა: ერთი მხრივ, პიროვნებისათვის დახმარების გაწევა და განათლების მიცემა და მეორე მხრივ, საზოგადოების დაცვა. აღნიშნულის დაბალანსება პრობაციის ოფიცრის პირადი პასუხისმგებლობაა.

2.2.1 დანაშაულის თავიდან აცილება

1978 წლის IV აქტის მე-7 მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის ან სხვა პირის პრევენცია დანაშაულის ჩადენისაგან. სისხლის სამართლის კოდექსის 83-ე მუხლი ადგენს, რომ სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობასა და კანონდამრღვევის მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული რისკის დონეს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ პრობაციის სამსახურს არ აკისრია სხვა როლი დანაშაულის პრევენციის საქმეში.

2.2.2 კომპენსაცია, შუამავლობა და დაზარალებულთა დახმარება

დაზარალებულს, ჩადენილი დანაშაულის შედეგებიდან გამომდინარე, უფლება აქვს მიიღოს კომპენსაცია მსჯავრდებულისაგან. სამწუხაროდ, მსჯავრდებულებს ხშირად არ აქვთ ამის განხორციელების საშუალება, რის გამოც, ფორმალურად ამის მიღწევა ხდება სისხლის ან სამოქალაქო სასამართლოს მიერ შესაბამისი პროცედურების განხორციელების შემდეგ. უნგრეთში ამ მიზნის მიღწევაში პრობაციის ოფიცრები არ თამაშობენ არანაირ როლს.

უკანასკნელი წლების მანძილზე, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევათ დაზარალებულებს. 1996 წლიდან, ძალადობრივი დანაშაულის შედეგად, დაზარალებულებს მიეცათ საშუალება მიეღოთ კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის კრიმინალური ზიანის სახელმწიფო კომპენსაციის ფონდიდან. კაბინეტის გადაწყვეტილება №1074/1999 არეგულირებს ძალადობრივი გზით ჩადენილი დანაშაულისას კრიმინალური დაზიანებების ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხს. სახელმწიფო კომპენსაციის ფონდის ხელმძღვანელობა ადგენს კომპენსაციის ოდენობას. უნგრეთის 19 ოლქში განთავსებულია 12 ადგილობრივი დაზარალებულთა მხარდაჭერის ოფისი, რომლებიც სტრუქტურულად შედიან შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზარალებულთა მხარდაჭერის დეპარტამენტში. ზოგიერთ დიდ ქალაქში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის განთავსებულია დროებითი თავშესაფრები ქალებისა და ოჯახებისთვის. აღნიშნულთაგან უმეტესობა წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას. დაზარალებულებს შეუძლიათ არაკომერციული სამსახურებისგან მიიღონ სამართლებრივი და სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარება.

2.3 შეჯამება

უნგრეთის კანონმდებლობა განსაზღვრავს პრობაციის ოფიცრთა ამოცანებს და მათი უფლებამოსილების საზღვრებს. ორ სხვადასხვა რეგულაციას წარმოებულ საქმიანობას შორის არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობები: სოციალური სამუშაოების წარმოება უფრო დამახასიათებელია არასრულწლოვნებისათვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საჭივრით მიმართვის საშუალებას ანიჭებს დაზარალებულებს. სახელმწიფო ორგანო ვალდებულია განახორციელოს ძალადობრივი გზით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლის კომპენსაცია. დღესდღეობით შესაძლებელია დაზარალებულის რეპარაცია, თუმცა აღნიშნულის უფრო ფართოდ გამოყენებისათვის აუცილებელია ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღება.

პრობაციის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა


3.1 ორგანიზაციული სტრუქტურა

უნგრეთში პრობაციას ახორციელებს ორი სხვადასხვა ორგანო, რომელთა საქმიანობა განზოგადებულია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 14 წელია. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდას არასრულწლოვანთა პრობაცია შეიძლება შეეფარდოს, თუ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მისი ასაკი 14-დან 18 წლამდეა. თუ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მსჯავრდებული 18 ან მეტი წლისაა, ზედამხედველობას ახორციელებს სრულწლოვანთა სამსახური.

ორივე სამსახური (არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა) წარმოადგენს რაიონულ სამსახურს, მაგრამ საქმიანობენ სხვადასხვა სექტორში და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი არიან. არასრულწლოვანთა პრობაცია წარმოადგენს ბავშვთა მზრუნველობის სისტემის შემადგენელ ნაწილს, როდესაც სრულწლოვანთა პრობაცია სასამართლო სისტემის შემადგენლობაშია (სქემა 1). შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შექმნილია 19 რაიონული სააღსრულებო ოფისი და 1 ბუდაპეშტის ოფისი. ამ რაიონებში შექმნილია მეურვეობის ოფისები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახური. სრულწლოვანთა პრობაციის სამსახური სტრუქტურულად განთავსებულია იუსტიციის ეროვნულ საბჭოში, რომელიც წარმოადგენს უზენაეს სასამართლოს. მის შემადგენლობაშია 19 რაიონული სასამართლო და ბუდაპეშტის სასამართლო. სასამართლოს სტრუქტურაში რამდენიმე განყოფილებაა, რომელთა შორის ერთ-ერთი არის სისხლის სამართლის სამმართველო. ამ სამმართველოს შემადგენლობაში არსებული სამართალდამცავი განყოფილების სტრუქტურაში შედის პრობაციის სამსახური.


სქემა 1: უნგრეთის პრობაციის სამსახურის ანგარიშვალდებულება

არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახური სრულწლოვანთა პრობაციის სამსახური



არასრულწლოვანთა საქმიანობას არეგულირებს სამი სამთავრობო დეპარტამენტი. სოციალური და ოჯახური ურთიერთობების სამინისტრო პასუხისმგებელია პროფესიონალური ზედამხედველობის განხორციელებაზე. სახელმწიფო პროკურატურის ოფისები პასუხისმგებელი არიან სახელმწიფო სააგენტოების კანონიერ საქმიანობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტრო აღმასრულებელი ოფისების მეშვეობით აკონტროლებს თანამშრომელთა საქმიანობას (სქემა 2).

სქემა 2: არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახურების ზედამხედველობა




მსჯავრდებულისათვის სასჯელის შეფარდებას შეიძლება რამდენიმე წელი დასჭირდეს (როგორც სრულწლოვანს, აგრეთვე არასრულწლოვანს), რაც ზიანს აყენებს არა მხოლოდ იურისპრუდენციის შესაბამისობასა და ეფექტურობას, არამედ პრობლემატურ უქმნის აგრეთვე პრობაციას. სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, არასრულწლოვანი პრობაციონერების მხოლოდ 48%-ს ეფარდება სასჯელი, როდესაც კვლავ არასრულწლოვანები არიან. დარჩენილთა უმეტესობა პრობაციის დაწყებისას 18-დან 25 წლის ასაკისანი არიან, 2% 25 წლის ზევითაა. პრობაციის დასრულებისას 22% კვლავ არასრულწლოვანები არიან, 72% 18-დან 25 წლამდეა, 6% კი 25 წლის ზევითაა. ისეთ საქმეებზე, რომლებშიც პრობაციონერთა ასაკი 18-დან 25-მდე და 25-დან 30 წლამდეა, ხშირად იწვევს გაურკვეველობას ორ ორგანიზაციას შორის. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც პრობაციონერთა ასაკი 18-დან 30 წლამდეა, ზედამხედველობის განხორციელება მოეთხოვება ორივე სამსახურს. ვინაიდან არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რომლის მეშვეობითაც მოხდება პრობაციის ოფიცრების ინფორმირება აღნიშნული ფაქტების შესახებ, ხდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ორივე სამსახური ერთდროულად ახორციელებს თავის საქმიანობას ერთი და იმავე პირის მიმართ. ყველა ასეთი შემთხვევისას პრობაციონერი აცნობებს პრობაციის ოფიცრს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ არსებობს კანონი, რომელიც განმარტავდა, თუ რომელმა სამსახურმა უნდა განახორციელოს ზედამხედველობა. ამ საკითხის დარეგულირება ძირითადად ხდება დანერგული პრაქტიკის მეშვეობით და თუ პრობაციონერზე პირველად საქმიანობის განხორციელება დაიწყო სრულწლოვანთა პრობაციამ, ეს საქმე ბოლომდე მასთან რჩება.

3.2 პრობაციის ოფიცრები

დედსდღობით უნგრეთში პრობაციის ოფიცრად მუშაობს 241 პირი: 177 არასრულწლოვნების და 64 სრულწლოვნების მიმართულებით. თანახმად კანონისა, დადგენილია, რომ არასრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრებს უნდა ჰქონდეთ მაქსიმუმ 45 საქმე (ჯგუფის უფროსს - 25), რაც მისცემს მათ ნაყოფიერი საქმიანობის საშუალებას. რაც შეეხება სრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრებს, მათი საქმეთა რაოდენობა არ არის ლიმიტირებული კანონით, რის გამოც ძირითადად ერთ ოფიცერზე მოდის 150-200 საქმე, ხოლო ზოგიერთ რაიონში - 400-600, რაც თავისთავად არ იძლევა ნორმალური საქმიანობის წარმართვის საშუალებას.

სქემა 3: სრულწლოვანთა პრობაციის სამსახურის დატვირთვა



- პრობაციის ოფიცერთა რაოდენობა სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ
- საქმეების რაოდენობა / პრობაციის ოფიცერი

არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახური ფუნქციონირებს, როგორც დამოუკიდებელი დეპარტამენტი მეურვეობის ოფისის შემადგენლობაში (სქემა 1). ყველა სასამართლოს სისტემაში შემავალი სამართალდამცავი განყოფილების სტრუქტურაში შედიან სრულწლოვანთა ოფიცრები, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ჯგუფს აქვს კარგად ჩამოყალიბებული ამოცანები, ისინი არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ერთეულს. არც არასრულწლოვანთა პრობაციასა და არც სრულწლოვანთა პრობაციაში არ არსებობს სხვადასხვა მიმართულების ვიწრო სპეციალიზაციები. ამ ორგანოებში საქმეები იგზავნება გეოგრაფიული დაყოფის მიხედვით.

უნგრეთში არ გამოიყენება ნებაყოფლობით დაქირავებულთა შრომა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ძალიან ბევრი რამ არის საკეთებელი. ორივე ორგანიზაციაში პრობაციის ოფიცრად მუშაობის დასაწყებად საჭიროა უნივერსიტეტის ხარისხი ან დიპლომი. არასრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრებისთვის აღნიშნული შეიძლება იყოს ხარისხი სოციალურ სამუშაოებში, სოციოლოგიაში, პედაგოგიაში, სახელმწიფო ადმინისტრირებაში ან თეოლოგიაში. სრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრებს ესაჭიროებათ უნივერსიტეტის ხარისხი პედაგოგიაში, იურისპრუდენციაში, ფსიქოლოგიაში და სახელმწიფო მართვაში. უცნაურია, მაგრამ ამ ჩამონათვალში არ ფიგურირებს ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი -

სოციალური სამუშაოები. მიუხედავად ამისა, მთელ რიგს პრობაციის ოფიცრებისა აქვს აღნიშნული განათლება. არც ერთი პრობაციის სისტემა არ ახორციელებს თავისი თანამშრომლების გადამზადებას ან როტაციას ერთი სისტემიდან მეორეში. აგრეთვე არ ხდება საქმეთა ან ზედამხედველობის ერთობლივი განხილვა. არასრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრებმა უნდა ჩააბარონ სპეციალური გამოცდები სახელმწიფო მართვაში. ტრენინგის ერთადერთი საშუალებას წარმოადგენს სოციალური და ოჯახური ურთიერთობების სამინისტროსა და უნგრეთის არასრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრთა ასოციაციის მიერ მოწყობილი ერთდღიანი სემინარები და იშვიათი ლექციები. სრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრებს მოეთხოვებათ გამოცდების ჩაბარება სასამართლო პროცესში და ხანდახან ეროვნული იუსტიციის საბჭოსა და უნგრეთის პრობაციის ოფიცრთა ასოციაციის მიერ ეწყობა ტრენინგები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბევრი პრობაციის ოფიცერი თავის საქმიანობას ახორციელებს პროფესიული პრაქტიკის საფუძვლების გარეშე და თავისი საქმიანობისას ეყრდნობა ყოველდღიურ პრაქტიკას, რაც გადაწყვის ძალიან დიდ საშიშროებას ქონის.

პრობაციის ოფიცრები საქმიანობენ სამართლებრივი საფუძვლების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ორივე სამსახური ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ავითარებს სამსახურის პროფესიულ სტანდარტებს. ოფისებში კლიენტები ცხადდებიან 2-ჯერ ან 3-ჯერ. კვირის სხვა დღეები ეთმობა ადმინისტრაციულ საქმიანობასა და კლიენტების გარე სამუშაოებს. ამ სამსახურებს ძალიან მცირე ადმინისტრაციული დახმარება აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობაცია არ არის რენტაბელური, ვინაიდან ძირითად ადმინისტრაციულ საქმიანობას ასრულებენ კვალიფიცირებული და კარგი ხელფასის მქონე თანამშრომლები.

თანამშრომელთა ასაკი ორივე ორგანიზაციაში მერყეობს 40 წელსა და საექსპო ასაკის ფარგლებში. ტექნიკური მდგომარეობა ორივე სამსახურში არაადეკვატურია. ეს სამსახურები განიცდიან არა მხოლოდ კომპიუტერული ტექნიკის ნაკლებობას, არამედ აგრეთვე შესაბამის საოფისე ფართებსაც. მხოლოდ ბუდაპეშტის არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახურს აქვს ნორმალური სამუშაო პირობები.

პრობაციის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება აგრეთვე პრობლემურია. არც ერთ სამსახურს არ გააჩნია პროფესიონალურ სტანდარტებზე დამყარებული შეფასებისა და ხარისხის კონტროლის სისტემა. არასრულწლოვანთა პრობაციის საქმიანობას რეგულარულად ამოწმებენ სოციალური და ოჯახური ურთიერთობების სამინისტრო და იუსტიციის სამინისტრო, ხოლო თანახმად არასრულწლოვანთა პრობაციის სისტემის კანონისა, შეფასება დაიწყება 2002 წლიდან. ამ მხრივ უფრო მძიმე მდგომარეობაა სრულწლოვანთა პრობაციის სამსახურთან მიმართებით, ვინაიდან არ არსებობს რეგულარული შეფასების საკანონმდებლო საფუძვლები, რომელიც დამყარებული იქნება პროფესიონალურ სტანდარტებზე.

ორივე სამსახური თანამშრომლობს სასამართლოებთან, პროკურატურებთან, ციხეებთან, ადგილობრივ ორგანოებთან, ბავშვთა დაცვის სამსახურებთან, ბავშვთა მზრუნველობის სამსახურებთან, ოჯახების მხარდაჭერის ცენტრებთან, სამკურნალო დაწესებულებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დროებით თავშესაფრებთან და ა. შ. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან მიმართებით, სრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრები მუშაობენ დასაქმების ცენტრებთან და სასჯელის განხორციელების ადგილებთან.

ორივე სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს აგრეთვე ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: პრობაციის ოფიცრთა უნგრული ასოციაცია, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პრობაციის ოფიცრების უნგრული ასოციაცია, ეროვნული დასაქმების სახელმწიფო ფონდი, უნგრეთის წითელი ჯვარი, უნგრეთის მალტური

საქველმოქმედო ორგანიზაცია, ჰუმანიტარული ფონდი და ა. შ. პრობაციის ოფიცერთა უზრუნველყოფის ასოციაცია არის ორგანიზაცია CEP-ის წევრი.

3.3 შეჯამება

აღსრულებულიყოფიდან და სრულყოფილიყოფიდან პრობაციის სამსახურები მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი სისტემები, რაც უფრო აერთიანებს მათს საქმიანობას. ამ ორ სამსახურს სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლები აქვს, არ არსებობს ერთიანი პროფესიული სტანდარტები, რეგისტრაცია და ადმინისტრირება, არ ხდება ინფორმაციის ზუსტი და დროული გაცვლა, რაც არ იძლევა სამსახურების საქმიანობის რეალური შეფასების საშუალებას. არ ჩატარებულა კვლევები პრობაციის მიმართულებით და არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც კოორდინირებას გაუწევს პრობაციის საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით. სრულყოფილიყოფიდან პრობაციის ოფიცერთა რაოდენობა არარეალურად მცირეა არსებულ საქმეებში, კვალიფიკაცია ორივე სამსახურში ძალიან დაბალია, საჭიროა მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი და დამხმარე პერსონალი.

უნგრეთის პრობაციის სამსახურებისათვის თანამშრომლობა წარმოადგენს ყველაზე რთულ მხარეს, ვინაიდან სრულყოფილიყოფიდან პრობაციის სამსახური არ არის სამინისტროს ან სახელმწიფო სააგენტოს შემადგენელი ნაწილი, რის გამოც მისი საქმიანობა გაურკვეველია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ პრობაციის ოფიცერთა საქმიანობა უდნობია როგორც სისხლის სამართლის სისტემაში მოქმედი ორგანიზაციებისათვის (მათი სოციალური საქმიანობიდან გამომდინარე), აგრეთვე სოციალური პოლიტიკის ორგანიზაციებისათვის (გამომდინარე მათი სისხლისსამართლებრივი ხასიათიდან). აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული სისტემა არც სტრუქტურულად და არც აღჭურვილობით არ შეესაბამება 21-ე საუკუნის მოთხოვნებს.

სისხლის სამართალწარმოების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მუშაობა ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან

4.1 წინასიტყვაობა

4.1.1 წინასაგამოძიებო, სასამართლო განხილვის და განხილვის შემდგომი ეტაპები

სასჯელთა აღსრულების სამართლებრივი საფუძვლები ასახულია სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. სამართლებრივი საფუძვლების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები აისახა მე-2 თავში.

წინასწარი გამოძიების მიზანია დაადგინოს, ვინ შეიძლება იყოს ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში და არსებობს თუ არა საფუძვლები მის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნის დასაწყებად. უნგრეთის სისხლის სამართლის პროცესში პოლიციას აქვს დამოუკიდებელი საგამოძიებო როლი. პოლიციის მიერ გაგზავნილ საქმეს იხილავს პროკურორი და შეუძლია პირს ბრალი წაუყენოს ან გამოიძახოს სასამართლოში. სისხლის

სამართლის საპროცესო ფაზას მთლიანად წარმართავს პროკურატურა. პროკურორს შეუძლია გასცეს ბრძანება დამატებით გამოძიებაზე, გადაავადოს ან საერთოდ შეწყვიტოს გამოძიება.

თუ არსებობს სამართლებრივი საფუძვლები, გამოძიებას შეუძლია მოითხოვოს ისეთი იბულებითი ზომები, როგორებიცაა: დაკავება, პირადი ჩხრეკა და საცხოვრებლის ჩხრეკა. ამას ახორციელებს პოლიცია პოლიციის ოფიცრის ან გამოძიებაზე პასუხისმგებელი პროკურორის ბრძანების საფუძველზე. ხანდახან ამ პროცესუალურ მოქმედებას პოლიცია ახორციელებს სასამართლოს ბრძანების საფუძველზეც. 1994 წლის პოლიციის აქტის თანახმად, თუ პირის დაპატიმრება ან დაკავება ხდება ადგილობრივ წინასწარი დაკავების საკანში, ამის პასუხისმგებლობა ეკისრება პოლიციას.

სასამართლო განხილვის ეტაპი იწყება მას შემდეგ, რაც პროკურორი ბრალდებულს წაუყენებს ბრალს. სასამართლო განხილვის მოსამართლე, როგორც განყოფილების პრეზიდენტი, წარმოდგენილ მტკიცებულებებს იხილავს არსებითი განხილვისას. სასამართლო განხილვა სრულდება, როდესაც სასამართლო გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს აკისრია როლი სასჯელთა აღსრულების პროცესში. საკანონმდებლო დეკრეტის №11/1979 თანახმად, სისხლის სამართლის სასჯელების აღსრულების ეტაპზე, სასამართლოებს ჩამოერთვათ ზოგიერთი პასუხისმგებლობა და გადაეცათ რაიონის სასამართლოების სპეციალიზებულ (ციხის) მოსამართლეებს. ციხის მოსამართლის საქმიანობა წარმოადგენს სასამართლო სისტემის განუყოფელ ნაწილს.

სასამართლო განხილვის შემდგომ ეტაპზე სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელი არიან ციხის სამსახური, პოლიცია, სასამართლოს ადმინისტრაცია და პრობაციის ოფიცრები. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ციხის მოსამართლე გასცემს ბრძანებას, პირის პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მისთვის ზედამხედველობის დაწესებაზე, ამ ფუნქციის განხორციელება შეიძლება დაავალოს პოლიციას (ცნობილია, როგორც დანაშაულის პრევენციის ზედამხედველობა). საკანონმდებლო დეკრეტის №11/1979 თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას, აღნიშნული პოლიციური ზედამხედველობა შეიძლება განხორციელდეს პრობაციის ზედამხედველობის პარალელურად.


სასჯელთა აღსრულების პროცესში ციხის მოსამართლეს აკისრია მნიშვნელოვანი როლი. მათ შეუძლიათ შეცვალონ სასამართლოს არსებითი განხილვის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (პატიმრის ნაკლები უსაფრთხოების ციხიდან მაღალი უსაფრთხოების ციხეში გადაყვანით, ან პირიქით). 1979 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ეს პასუხისმგებლობა საერთოდ ჩამოაცილა სისხლის სამართალ-წარმოებას, ხოლო 1993 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ციხის მოსამართლის უფლებამოსილება.

4.1.2 სასამართლო სისტემა

სახელმწიფო პროკურორები წარმოადგენენ უნგრეთის სასამართლო სისტემის შემადგენელ ნაწილს. პროკურორების მთავარ ამოცანას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეების სასამართლოში წარდგენა. მათი უფლებები გაწერილია ქვეყნის კონსტიტუციაში, შესაბამის კანონებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში. მათს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს გამოძიების სამართლიანობის დაცვა. არასრულწლოვანთა სახელმწიფო პროკურორს აკისრია ვალდებულებები არასრულწლოვნების მიმართ. 1989 წლიდან პირის დაკავებაზე გადაწყვეტილებას იღებს სპეციალიზებული მოსამართლე,

ბოლო აღნიშნულის მოთხოვნის ვალდებულება სასამართლოს წინაშე აკისრია პროკურორს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი).


სქემა 4:



4.1.3 ციხის სისტემა

იუსტიციის სამინისტრო აღარ წარმართავს სასამართლოების საქმიანობას, მაგრამ ადგილი აქვს ეროვნულ იუსტიციის საბჭოში. ციხის სათავო ოფისები ანგარიშვალდებული არიან იუსტიციის სამინისტროს მიმართ. ციხის სამსახურები პასუხისმგებელი არიან წინასაგამოძიებო დაკავებისა და საპატიმრო სასჯელების აღსრულებაზე. ციხის სამსახური აღასრულებს პატიმრობას, დაახლოებით, წინასწარი პატიმრობის 2/3-ს, ჯარიმის გადაუხდელობას და იძულებით მკურნალობას. ციხეების ორი კატეგორიაა: 14 ეროვნული და 17 რაიონული. აგრეთვე არსებობს ერთი სრულწლოვანთა წინასწარი დაკავების ცენტრი და ორი არასრულწლოვანთა, რომელთაც მართავს სოციალური და ოჯახური ურთიერთობების სამინისტრო. 12 ციხეში მოქმედებს საწარმოები.

სქემა 5: ციხის სისტემის სტრუქტურა




არასრულწლოვანთა დაკავების ცენტრები და გამასწორებელი სკოლები წარმოადგენენ სოციალური და ოჯახური ურთიერთობების სამინისტროს პასუხისმგებლობის საგანს. 2001 წლის 31 დეკემბრისათვის ქვეყანაში არსებობდა 2 წინასწარი დაკავების ცენტრი, ერთი გამასწორებელი სკოლა ბიჭებისათვის და ერთი წინასწარი დაკავების ცენტრი და გამასწორებელი სკოლა გოგონებისთვის.

უნგრეთის პრეზიდენტს შეუძლია შეწყალების მეშვეობით აპატიოს ან შეუმცროს სისხლის სამართლის სანქცია ან კრიმინალური ქმედობის სხვა სამართლებრივი შედეგები. პრეზიდენტს უფლება აქვს გასცეს ინდივიდუალური შეწყალებები. წინასწარი გამოძიების პროცესში გენერალურ პროკურორს უფლება აქვს დაიწყოს შეწყალების პროცედურა, რის შემდეგაც ამ საქმეს პრეზიდენტს წარუდგენს იუსტიციის მინისტრი. ამ პროცესის წარმართვისათვის საჭიროა მთელი რიგი დოკუმენტებისა, მაგალითად, მოხსენება ციხიდან, ინფორმაცია პოლიციიდან, ინფორმაცია სოციალური მდგომარეობის შესახებ, სერტიფიკატი კარგი ყოფაქცევის შესახებ და ა. შ.

4.1.4 სასამართლო სისტემა

უნგრეთს აქვს კარგად ჩამოყალიბებული სამდონიანი სასამართლო სისტემა: ადგილობრივი სასამართლოები (131), რაიონული სასამართლოები (20) და უზენაესი სასამართლო. ადგილობრივი და რაიონული სასამართლოები წარმოადგენენ პირველ ინსტანციას. ისეთ საქმეებზე, სადაც ადგილობრივი სასამართლოები ფუნქციონირებენ, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოები, რაიონულ სასამართლოებს აქვთ სააპელაციო სასამართლოს ფუნქცია. უზენაესი სასამართლო მოქმედებს, როგორც სააპელაციო სასამართლო, როდესაც გასაჩივრებული ადგილობრივი სასამართლოდან რაიონულ სასამართლოებში შესული გადაწყვეტილებები. უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს აგრეთვე გადახედოს გამოტანილ გადაწყვეტილებებს, როგორც კანონის დაცვის განსაკუთრებულ ზომას. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ყველა სასამართლოსათვის კანონის ზუსტად და ერთიანად გაგება და ქვემდგომი სასამართლოებისათვის იურიდიული რჩევების მიცემა. სისხლის სამართლის კოდექსის უკანასკნელმა მოდიფიკაციამ მისცა აპელაციების მიღების საშუალება, რამაც სასამართლო სისტემა გადააქცია ოთხდონიან სისტემად. აღნიშნული გამოიწვევს სასამართლო სისტემის რადიკალურ ცვლილებებს, თუმცა აღნიშნული ცვლილება ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში. უნგრეთის სასამართლო სისტემა ერთიანია. არ არსებობს სპეციალური სამხედრო ან არასრულწლოვანთა სასამართლოები. აღნიშნული სიტუაციების დასარეგულირებლად შექმნილია არასრულწლოვანთა და სამხედრო პირთა საბჭოები.

სქემა 6: სასამართლო სისტემა უნგრეთში



უნგრეთის სისხლის სამართალში დამკვიდრებულია სანქციათა ორმაგი სისტემა, თუმცა შესაძლებელია სანქციათა ინდივიდუალიზაცია.

სისხლის სამართლის კოდექსი ახდენს განსხვავებას სასჯელებსა და ზომებს შორის და ნათლად აზოგადებს ძირითად და დამატებით სასჯელებს. პატიმრობა უნდა განვიხილოთ, როგორც უფრო მკაცრი სასჯელის ფორმა, ვიდრე ჯარიმა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. უნგრეთში პატიმრობის გადავადგება არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სანქციას. ძირითადი სასჯელები შეიძლება კომბინირებულ იქნეს დამატებით სასჯელებთან ან ზომებთან, გარდა ჯარიმისა, რომელიც არ შეიძლება კომბინირებულ იქნეს დამატებით ჯარიმასთან. სასჯელთა სისტემა არ ითვალისწინებს

სიკვდილით დასჯას. 1990 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გამოაცხადა არაკონსტიტუციურად.

4.2 სანქციების სისტემა

სანქციების სისტემა შედგება სასჯელებისგან, ზომებისგან და პირობებისგან. სასჯელები შეიძლება დაეყოს ძირითად სასჯელებად და დამატებით სასჯელებად, ხოლო ძირითადი სასჯელები, თავის მხრივ, იყოფა საპატიმროდ და არასაპატიმროდ. საპრობაციო სამუშაოები ზოგიერთი მათგანისათვის სავალდებულოა, მაგალითად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და პრობაციის ბრძანებები, ხოლო სხვებისთვის წარმოადგენს არჩევანის საკითხს, მაგალითად, პირობით ვადამდე გათავისუფლებულ ახალგაზრდა მსჯავრდებულთა ზედამხედველობისას. პირობები წარმოადგენენ წინასწარი გამოძიებისას, სასამართლო განხილვისას ან მის შემდგომ ეტაპზე, პროკურატურისა და სასამართლოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. სქემა 7 იძლევა სანქციათა სისტემის მიმოხილვის საშუალებას.

სქემა 7: სანქციების სისტემის მიმოხილვა

	სასჯელები
ძირითადი	პატიმრობა პირდაპირი; გადაეადებული (შეიძლება დაემატოს პრობაცია ან სავალდებულოა); საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (საპრობაციო სამუშაოები სავალდებულოა); ჯარიმა.
დამატებითი	სახელმწიფოებრივი საქმიანობის ჩამორთმევა; პროფესიული პრაქტიკის ჩამორთმევა; მართვის უფლების ჩამორთმევა; გასახლება; დეპორტაცია; დამატებითი ჯარიმა.

არასაპატიმრო

ზომები

გაფრთხილება;

შეჩერებული სასჯელები (შეიძლება დაემატოს პრობაცია ან სავალდებულოა)

უფლების ჩამორთმევა;

ქონების კონფისკაცია;

სასჯელის გადავადება ზედამხედველობის ბრძანება;

+ არასრულწლოვნები და რეციდივისტები (პრობაცია სავალდებულოა);

+ სხვა მსჯავრდებულები (შეიძლება დაემატოს პრობაცია);

პრობაციის ბრძანება დიფერენციაციული სასჯელით;

+ არასრულწლოვნები და რეციდივისტები (პრობაცია სავალდებულოა);

+ სხვა მსჯავრდებულები (შეიძლება დაემატოს პრობაცია);

ზედამხედველობა პირობით ვადამდე

გათავისუფლებისას;

+ არასრულწლოვნები და რეციდივისტები (პრობაცია სავალდებულოა)

+ სხვა მსჯავრდებულები (შეიძლება დაემატოს პრობაცია);

გამასწორებელი სკოლებიდან

გათავისუფლებული ახალგაზრდა

მსჯავრდებულების ზედამხედველობა.

საპატიმრო

იძულებითი მკურნალობა;

ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობა;

ახალგაზრდა მსჯავრდებულების

გამასწორებელი სკოლები.

4.2.1 ძირითადი სასჯელები

შესაძლოა გამოვეყნოთ შემდეგი ძირითადი სასჯელები:

პატიმრობა: სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, პატიმრობა ყველაზე ფართოდ გავრცელებული სისხლის სამართლის სანქციაა. მისი შეფარდება შესაძლებელია განსაზღვრული დროით ან სამუდამოდ. პატიმრობის ფიქსირებული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 წელს. დანაშაულთა ერთობლიობის ან რეციდივიზმის შემთხვევაში, შესაძლებელია 20-წლიანი პატიმრობის მისჯა. პატიმრობის მინიმალური ვადა სრულწლოვნებისათვის 2 თვეა, ხოლო არასრულწლოვნებისთვის 1 დღე. სამუდამო პატიმრობა ყოველთვის ექვემდებარება შემდგომ განხილვას. სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდებისას ყოველთვის ხდება განმარტება სასჯელის მოხდის რეჟიმისა: მკაცრი, ჩვეულებრივი ან დაკავების ცენტრი.

სასამართლოს შეუძლია გადაავადოს პატიმრობა პრობაციის პერიოდით, არაუმეტეს 1 წლით. განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლოა აგრეთვე გადავადება ისეთი სასჯელისა, რომლებიც 1 წელზე მეტია, მაგრამ არ სცდება 2 წელს. მისდამინორის დროს სასჯელის გადავადება შესაძლოა ერთიდან სამ წლამდე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისას ორიდან ხუთ წლამდე. პერიოდის განსაზღვრა უნდა მოხდეს წლებში და ის არ უნდა იყოს შეფარდებულ საპატიმრო სასჯელზე ნაკლები. პატიმრობის სასჯელის გადავადებისას სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებული მოათავსოს პრობაციის ოფიცირის ზედამხედველობის ქვეშ. თუ მსჯავრდებული რევიდივისტია, ასეთი ზედამხედველობა სავალდებულოა. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსჯავრდებული დაარღვევს სასამართლოს მიერ დაკისრებულ პირობებს ან ზედამხედველობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულისათვის შეეფარდება პირდაპირი პატიმრობა, მსჯავრდებულს უნდა გაუუქმდეს სასჯელის გადავადება და მოიხადოს საპატიმრო სასჯელი.

პიროვნება, რომელიც იხდის პატიმრობის დადგენილ ვადას, შეიძლება გათავისუფლდეს პირობით ვადამდე ადრე. მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს პირობით ვადამდე ადრე, თუ მან მკაცრი რეჟიმის ციხეში მოიხადა შეფარდებული სასჯელის 4/5 ან 3/4 - ჩვეულებრივ ციხეში და 2/3 - დაკავების ცენტრში. პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადა არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები და ის სრულდება ძირითადი სასჯელის ვადის დასრულებისას. 1998 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შესულმა ცვლილებებმა სამუდამო პატიმრობაშეფარდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების დირექტივები ბევრად მკაცრი გახადა. სამუდამო სასჯელის შეფარდებისას სასამართლო უშუაეს პირობით ვადამდე გათავისუფლების საშუალებას. ასეთ შემთხვევებში, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას არსებობს ადრეული თარიღის დადგენის ორი საშუალება: თუ დანაშაული გავლენას ახდენს სასჯელის განსაზღვრაზე, მაშინ სასამართლომ უნდა დაადგინოს მინიმალური ვადა სასჯელის მოხდისა „სულ ცოტა 20 წელი“, ხოლო თუ დანაშაულს არ გააჩნია განსაზღვრული პატიმრობის ვადა, მაშინ სასჯელის ვადა არ უნდა იყოს „30 წელზე“ ნაკლები. განახლებული სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, რომ სამუდამო პატიმრობისას პირობით ვადამდე გათავისუფლება შესაძლებელია 15 წლის შემდეგ, ნაცვლად ფორმალურად დადგენილი 10 წლისა. სამუდამო პატიმრობა შესაძლოა შეცვლილი იყოს ვადიანი პატიმრობით შეწყალების გზით. ციხის მოსამართლემ პირობით ვადამდე გათავისუფლების განხილვისას უნდა გაითვალისწინოს პატიმრის გარემოებები და მისი ყოფაქცევა ციხეში.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა: უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ბრძანება გულისხმობს 1-დან 50 დღემდე უხელფასო იძულებით მუშაობას. სამუშაოს სახეობას განსაზღვრავს სასამართლო. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება არასრულწლოვანი მსჯავრდულისთვის შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სამართალწარმოების პროცესში გახდება 18 წლისა. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 1 დღე შეფარდება 6 სამუშაო საათს. სასამართლო ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო დაადგენს პატიმრობას შემდეგი შეფარდებით: პატიმრობის 1 დღე საზოგადოების სასარგებლო შრომის 1 დღესთან.

ჯარიმა: სანქციათა სისტემა იცნობს მხოლოდ ერთი სახეობის ჯარიმას - დღიური ჯარიმა, რომლის შეფარდებაც ხდება მსჯავრდებულის დღიური შემოსავლის გათვალისწინებით. დღიური ჯარიმის სისტემის დროს, დღეების შეფარდება დამოკიდებულია დანაშაულის სერიოზულობაზე და ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობაზე. დღეების რაოდენობა მერყეობს 30-დან 540 დღემდე. ყოველდღიური შემოსავლის გრაფა შეიძლება განმარტდეს გამოიყურება: 100-20.000 უნგრული ფორინტი (0.4-83 ვერო). ყველაზე დიდი თანხა, რომელიც შეიძლება ჯარიმის სახით შეეფარდოს პირს, არის 10.800.000 ფორინტი ან 44.700

ვერო. დღიური ჯარიმის შეფარდებისას ანგარიში ეწევა ბრალდებულის შემოსავალს, დანაზოგებს და სხვა ფინანსურ მდგომარეობას. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, შესაძლებელია ბრალდებულის დაპატიმრება დაკავების ცენტრში, შემდეგი შეფარდებით: დღიური ჯარიმის ერთი დღე პატიმრობის ერთ დღესთან. ასეთი შემთხვევებისას, პატიმრობის ყველაზე მოკლე პერიოდი შეიძლება იყოს ორ თვეზე ნაკლები. სისხლის სამართლის კოდექსის უკანასკნელი განახლებისას დამკვიდრდა ახალი ელემენტი, კერძოდ უნდა გათვალისწინებულ იქნეს შესაძლო შემოსავალი, რომელიც დანაშაულის ჩადენის შედეგად მიიღო (ან უნდა მიეღო) მსჯავრდებულს. ამ მუხლის გამოყენებისას საჭიროა სიფრთხილის დაცვა, რათა არ მოხდეს ფინანსური მოგების ორჯერ დათვლა.

4.2.2 დამატებითი სასჯელები

დამატებითი სასჯელის შეფარდება შესაძლებელია ძირითადი სასჯელის ნაცვლად, როგორც სასჯელის დამოუკიდებელი ფორმისა, თუ სასჯელი ითვალისწინებს პატიმრობას, არაუმეტეს სამი წლისა და მიზანი შესაძლოა მიღწეულ იქნეს ამ გზით. დღესდღეობით ასეთი სახის დამატებითი სასჯელი მხოლოდ ერთია. განვიხილოთ შემდეგი დამატებითი სასჯელები:

სახელმწიფო საქმიანობის ჩამორთმევა: განზრახ დანაშაულის ჩადენისას, როდესაც ხდება პირის პირდაპირი დაპატიმრება და არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო საქმიანობაში, მას უნდა ჩამოერთვას ეს უფლება. უფლების ჩამორთმევის ხანგრძლივობა 1-დან 10 წლამდეა და იწყება სასჯელის შეფარდების მომენტიდან;

პროფესიული პრაქტიკის უფლების ჩამორთმევა: შესაძლოა მსჯავრდებულს აეკრძალოს პროფესიული საქმიანობა, თუ ჩადენილი დანაშაული სერიოზულ ზიანს აყენებს მის პროფესიას ან პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, მან ჩაიდინა განზრახ დანაშაული. სასჯელის შეფარდება შესაძლებელია განსაზღვრული ვადით (1-10 წელი) ან მუდმივად.

მანქანის მართვის უფლების ჩამორთმევა: სასამართლოს შეუძლია ჩამოართვას მსჯავრდებულს მანქანის მართვის უფლება, თუ პირმა ჩაიდინა სერიოზული ავტო-დანაშაული ან დანაშაულების ჩასადენად იყენებდა ავტომობილს. უფლების ჩამორთმევის ხანგრძლივობა ანალოგიურია ზემოთ მოყვანილი დამატებითი სასჯელებისა.

გასახლება: სასამართლოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულთა შესაძლოა ერთიდან ხუთი წლის ვადით გასახლებული იყოს ერთი ან ორი დასახლებული პუნქტიდან ან ქვეყნის გარკვეული ტერიტორიიდან.

დეპორტაცია: სასამართლოს შეუძლია გასცეს ბრძანება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე დეპორტირებული იყოს უნგრეთის ტერიტორიიდან. პიროვნება ვალდებულია დატოვოს ქვეყნის ტერიტორია და დაბრუნდეს მხოლოდ სპეციალური ნებართვით.

ჯარიმა, როგორც დამატებითი სასჯელი: მსჯავრდებულს შეიძლება შეეფარდოს დამატებითი ჯარიმა, თუ იგი დანაშაულს ჩაიდენს მოგების მიღების მიზნით ან ეს იქნება მისი შეკავების ეფექტური გზა. სასამართლოს აღნიშნულის შეფარდება შეუძლია მხოლოდ ფიქსირებული ვადით პატიმრობასთან ერთად.

4.2.3 ზომები

თანახმად უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსისა, სასჯელი წარმოადგენს პრინციპულ სამართლებრივ მიზანს, ხოლო ზომებს ვეალებათ ამ პრევენციული ეფექტის

გაზრდა. სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, ზოგიერთი ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

დამოუკიდებლად, სასჯელის შეფარდების ნაცვლად (იძულებითი მკურნალობა, საყვედურის გამოცხადება, სასჯელის გადავადება) ან

დამატებით სხვა ზომებთან ან ძირითად სასჯელებთან. ზომები შესაძლოა დაყოფილი იყოს თავისუფლების შეზღუდვის დონეების მიხედვით.

4.2.3.1 არასაპატიმრო ზომები

ზომების უმეტესობა არასაპატიმროა და მათი ჩამონათვალი ქვემოთაა მოცემული:

გაფრთხილება: სასამართლო გამოხატავს თავის უკმაყოფილებას და მსჯავრდებულს, შესაბამისი გაფრთხილების მიცემით, უბრძანებს აღარ ჩაიდინოს დანაშაული;

შეჩერებული სასჯელები: თუ შევადარებთ სასჯელის გადავადებას შეჩერებულ სასჯელთან, ენახავთ, რომ პირველ შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს პატიმრობის ვადას და შემდეგ გარკვეული ვადით გადავადებს მათს აღსრულებას, ხოლო მეორე შემთხვევაში სასჯელზე გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია პრობაციის პერიოდზე. დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო დაუბრუნდება თავდაპირველი დანაშაულის განხილვის პროცესს.

სასამართლომ სასჯელის შეჩერება შესაძლოა შეუფარდოს ისეთ დანაშაულებებზე, რომლებიც არ ითვალისწინებს 2 წელზე მეტ ხანს პატიმრობას და არსებობს ალბათობა, რომ მსჯავრდებული აღარ ჩაიდენს დანაშაულს მომავალში. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლოა სასამართლომ გამოიყენოს სასჯელის შეჩერება, როდესაც დანაშაული ითვალისწინებს 3 წელზე ნაკლებ პატიმრობას. სისხლის სამართლის სასამართლოს მონსამართლე შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება სამოქალაქო სამართალზე დაყრდნობით ან უბრძანოს დაზარალებულს კომპენსაციის მოთხოვნა სამოქალაქო სასამართლოში.

სასჯელი შეიძლება შეჩერებულ იქნეს 1-დან 3 წლამდე. სასჯელის შეჩერება შესაძლოა კომბინირებული იყოს პრობაციის ოფიცის ზედამხედველობასთან. აღნიშნული სავალდებულოა არასრულწლოვნებისა და რეციდივისტებისთვის, ხოლო სხვა შემთხვევებში გამოიყენება შეხედულებისამებრ.

თუ შეჩერებული სასჯელისას არ ხორციელდება ზედამხედველობა, მსჯავრდებული ვალდებულია იცხოვროს კანონმორჩილად და საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში დაეხმაროს საკუთარ თავს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო გასცემს ბრძანებას პრობაციის ოფიცის მიერ ზედამხედველობის განხორციელების შესახებ, მსჯავრდებული ვალდებულია შესრულოს სასამართლოს მიერ დადგენილი პირობები. დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო გააუქმებს სასჯელს და შეუფარდებს სხვა სასჯელს. თუ მსჯავრდებული არღვევს ზედამხედველობის მოთხოვნებს, მას შეიძლება გაუგრძელოს ზედამხედველობა მხოლოდ ერთხელ და არაუმეტეს ერთი წლისა.

კონფისკაცია: სასამართლოს შეუძლია უბრძანოს დანაშაულის ჩადენის ნებისმიერი იარაღის კონფისკაცია;

ქონების კონფისკაცია სავალდებულოა, თუ ის მოპოვებულია დანაშაულებრივი ქმედობით ან რაიმე სახის უკანონო გზით. ამ ზომის მთავარ მიზანს წარმოადგენს ყველას ინფორმირება, რომ მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენის გზით ვერ მიიღებს შემოსავალს და ვერ შეიძენს ქონებას.

პრობაცია: სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს პირს ზედამხედველობა პრობაციის ოფიცრის მიერ, თუ პირობით ვადამდე გათავისუფლების ან შერჩეული სასჯელის ან საპატიმრო სასჯელის გადავადების პირობები მოითხოვს რეგულარულ ზედამხედველობას. ზედამხედველობის განხორციელება სავალდებულოა არასრულწლოვნებისა და დანაშაულის ხელშეწყობით ჩამდენთათვის. სხვა შემთხვევებისას ამ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების ზედამხედველობას ახორციელებენ არასრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრები. სავალდებულო ზედამხედველობის შემთხვევები, აგრეთვე ასახულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც, პროკურორს შეუძლია შეწყვიტოს გასამართლება და უბრძანოს ზედამხედველობა.

ყველა პრობაციონერისთვის დადგენილია შემდეგი მოთხოვნები: არ შეწყვიტოს კავშირი, მიაწოდოს ზედამხედველობის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, იცხოვროს კანონმორჩილი ცხოვრებით და იზუმაოს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს სამუშაო ადგილი, მაგრამ არა სამუშაოს სახეობა.

შეიძლება არსებობდეს სხვა სპეციალური მოთხოვნები, როგორებიცაა: განსაზღვრულ ადგილას იძულებითი ცხოვრება, განსაზღვრული ადგილების მონახულებისგან თავის შეკავება, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლური სასმელების მოხმარებისგან თავის შეკავება, ფინანსების ხარჯვის კონტროლი პრობაციის ოფიცრის მიერ. უკანასკნელ შემთხვევაში, პრობაციონერს ევალება განსაზღვრული თანხა ხელფასიდან შეინახოს სასამართლოს საბანკო ანგარიშზე დეპოზიტის სახით. სასამართლოს შეუძლია დააკისროს პრობაციონერს გარკვეული ადგილის ან პირის მონახულება, ხოლო არასრულწლოვანს - განათლების მიღება.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც პრობაციონერი დაარღვევს დადგენილ პირობებს, პრობაციის ოფიცერი მიმართავს პროკურორს, რათა საქმე დაბრუნებული იყოს სასამართლოში. დარღვევები დამოკიდებულია შეფარდებულ სასჯელზე:

თუ საპრობაციო პერიოდი დამოკიდებულია შერჩეულ სასჯელზე, პროკურორი საქმეს აბრუნებს სასამართლოში ახალი გადაწყვეტილების მისაღებად და სასამართლომ აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება;

თუ პრობაციონერი დაარღვევს პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და გადავადებული პატიმრობის პერიოდს, პროკურორი საქმეს უბრუნებს ციხის მოსამართლეს;

საქმის არსებითი განხილვის მოსამართლესა და ციხის მოსამართლეს შეუძლიათ გააგრძელონ პრობაციის პერიოდი (არა უმეტეს ერთი წლისა), ან გააუქმონ სასჯელი და გასცენ ბრძანება პატიმრობის ვადის სრულად ან ნაწილობრივ მოხდისა.

4.2.3.2 საპატიმრო ზომები

საპატიმრო ზომა სამი სახეობისაა:

იძულებითი სამედიცინო მკურნალობა: თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა სერიოზული ძალადობრივი დანაშაული და შეუძლებელია მისი დასჯა, ვინაიდან იგი ქმედობაუნუნაროა და მოსალოდნელია, რომ ის კვლავ გააგრძელებს ანალოგიური დანაშაულების ჩადენას, სასამართლომ უნდა შეუფარდოს იძულებითი სამედიცინო მკურნალობა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ციხის სამსახურში არსებულ დახურული ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში. მკურნალობის საჭიროების განხილვა მიმდინარეობს ყოველწლიურად.

ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობა: სასამართლოს შეუძლია უბრძანოს იძულებითი მკურნალობა, თუ დანაშაულის ჩადენა დაკავშირებულია ალკოჰოლიზმთან და სასამართლო უფარდებს ექვს თვეზე მეტი ხნით პირდაპირ პატიმრობას.

გამასწორებელი სკოლა არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის: გამოიყენება არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ. გამასწორებელ სკოლაში ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს ერთი წლიდან სამ წლამდე. მას შემდეგ, რაც არასრულწლოვანი მოიხდის ერთწლიან სასჯელს გამასწორებელ სკოლაში, სასამართლოს შეუძლია გასცეს ბრძანება მის დროებით გათავისუფლებაზე, არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ.

4.3 სანქციები

სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე შესაძლო სანქციების ჩამონათვალი მოცემულია სქემა 8-ში:

სქემა 8: სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე შესაძლო სანქციების ჩამონათვალი

სანქციები

წინასაგამოძიებო	სასამართლო განხილვისას	სასამართლო განხილვის შემდეგ
<p>შეჩერებული გასამართლება; არასრულწლოვანთა საქმეებზე სოცგამოკითხვის მოხსენება და პრობაციის გეგმა; პოლიციის მიერ დაკავება; წინასწარი პატიმრობა; შინაპატიმრობა; ნარკომანიის მკურნალობა; სანქციები სასამართლომდე; წინასწარი სასამართლო განხილვა; მოკლე განხილვა.</p>	<p>პატიმრობა; სასჯელის გადავადება; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; ჯარიმა; დამატებითი სასჯელები; საყვედურის გამოცხადება; ქონების კონფისკაცია; სასჯელის შეჩერება; პრობაცია; იძულებითი მკურნალობა; არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის გამასწორებელი სკოლა.</p>	<p>პირობით ვადამდე გათავისუფლება/ პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმება; ზედამხედველობის პირობების შეცვლა; სასჯელის გაუქმება; დარღვევის შემდეგ სასჯელის შეცვლა პატიმრობით; ციხის შემდგომი მკურნალობა; იძულებითი მკურნალობის გაუქმება; პოლიციის ზედამხედველობა.</p>

პრობების სახეობები

ზედამხედველობა	ზედამხედველობა	ზედამხედველობა
პრობაციის	პრობაციის	პრობაციის
ოფიცრის მიერ;	ოფიცრის მიერ;	ოფიცრის მიერ;
ყოფაქცევითი მოთხოვნები;	ყოფაქცევითი	ყოფაქცევითი
	მოთხოვნები;	მოთხოვნები;
მკურნალობა.	მკურნალობა.	მკურნალობა.

4.3.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი

წინასწარ გამოძიებას ინიცირებას უკეთებს პოლიცია ან პროკურატურა. გამოძიების დროს არ არსებობს საკანონმდებლო მოთხოვნა პრობაციის ჩართვისა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც საქმე შეეხება არასრულწლოვნებს ან გასამართლება შეჩერებულია. პრობაციის სამსახურის ჩართვის პირველი ეტაპი სისხლის სამართალწარმოებაში, დამოკიდებულია მსჯავრდებულის ასაკზე, სრულწლოვანია იგი თუ არასრულწლოვანია:

გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც გასამართლება შეჩერებულია, სრულწლოვანთა პრობაციის სამსახური ჩართულია სასჯელის შეფარდების შემდეგ;

არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახური შეიძლება ჩართული იყოს ყველა ეტაპზე, დაწყებული პოლიციის მიერ ადგილობრივი ხელისუფლების ნოტარიუსთან არასრულწლოვნის წარდგენით, დამთავრებული მოხსენების ვალდებულებით არასრულწლოვნის დაკავების შესახებ.

4.3.1.1. სანქციები, რომლებშიც ჩართულია პრობაციის სამსახური

სანქციები, რომლებშიც ჩართულია პრობაციის სამსახური წინასწარი გამოძიების ეტაპზე:

შეჩერებული სისხლისსამართლებრივი დევნა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147/A მუხლი). პროკურორს უფლება აქვს შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც სრულწლოვნებთან აგრეთვე არასრულწლოვნებთან მიმართებით, მაგრამ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ სრულწლოვანს ჩადენილი დანაშაულისათვის შეიძლება შეეფარდოს 5 წელზე ნაკლები პატიმრობა, ხოლო არასრულწლოვანს - 3 წელზე ნაკლები. აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს დაზარალებულს, რომლის წინააღმდეგობის შემთხვევაშიც, პროკურორი საქმეს უგზავნის სასამართლოს. საპრობაციო პერიოდი დგინდება 1-დან 2 წლამდე. ამ პერიოდში, პროკურორს შეუძლია დაუდგინოს მსჯავრდებულს შესაბამისი აკრძალვები. როგორც წინასაგამოძიებო, აგრეთვე სასამართლო განხილვის ეტაპებზე პრობაციის მოთხოვნები ერთი და იგივეა. მას შემდეგ, რაც გაკეთდება პრობაციის ოფიცრის მოხსენება და შეჩერდება სისხლისსამართლებრივი დევნა, პროკურორი გასცემს პრობაციის ბრძანებას, რის შემდეგაც ზედამხედველობას ახორციელებენ არასრულწლოვანთა ან სრულწლოვანთა პრობაციის სამსახურები. პროკურორს შეუძლია განსაზღვროს სპეციალური ყოფაქცევითი მოთხოვნები.

2003 წლის დასაწყისიდან ძალაში შევა ახალი მოთხოვნები, რომლებსაც გავლენა ექნებათ სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებაზე (1998 წლის XIX აქტი). შეჩერებული სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციალურ სახედ წარმოდგენილი იქნება რეპარაცია და ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევა 2003 წლის 1

იანვარს. იგი მეტ ყურადღებას დაუთმობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლას სხვა სახის ალტერნატიული სასჯელით. საპრობაციო პერიოდის ვადა არ შეიცვლება (1-დან 2 წლამდე) და დამოკიდებული იქნება დანაშაულის სერიოზულობასა და ნებისმიერ დამამძიმებელსა და შემამსუბუქებელ გარემოებებზე. ნარკოტიკებით დაავადებული მსჯავრდებული, რომელიც მზად იქნება ნებაყოფლობით ჩაიტაროს მკურნალობა, სპეციალური განხილვის საგანი იქნება ასეთი გადაადგილებისთვის. გასამართლება შეიძლება არ იყოს გადავადებული, თუ მსჯავრდებული რეციდივისტა ან შეჩერებული სისხლისსამართლებრივი დევნის დროს ჩაიდენს ახალ დანაშაულს (ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223(1) მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი დევნის შეჩერებისას ითხოვს ყოფაქცევითი მოთხოვნების დამატებას და დარწმუნებას, რომ მსჯავრდებული შესაბამეა ამ მოთხოვნებს და თანახმაა მათ შესრულებაზე, საჭიროა მოხდეს მისი წინასწარი დაკითხვა. აღნიშნულს უნდა ეთანხმებოდეს დაზარალებულიც და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი მოსმენა. პროკურორს უფლება აქვს დაუდგინოს და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს შემდეგი მოთხოვნები: დანაკარგის რესტიტუცია, დაზარალებულთა კომპენსაცია, დაზარალებულთა რეაბრაცია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულებით, ნარკომანების ან ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობა და ა. შ. პრობაციის ოფიცერები მხარს უჭერენ და აკონტროლებენ ამ მოთხოვნების შესრულებას.

არასრულწლოვანთა საქმეებზე სოციალური მდგომარეობის მოხსენება და ზედამხედველობის გეგმა (კეთილდღეობის სამინისტროს №7/1998 დეკრეტის მუხლი 4(2)). საგამომიებო ორგანოებს (პოლიცია ან პროკურატურა) შეუძლიათ სთხოვონ არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახურს მოამზადონ წინასაგამომიებო მოხსენება (გამოკითხვა სოციალური მდგომარეობის შესახებ). პრობაციის ბრძანების მიღებისას (წინასაგამომიებო ეტაპზე პროკურორის მიერ), პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანი და მისი მშობლები იხილავენ საქმეს და პრობაციის ოფიცერი ამზადებს ზედამხედველობის გეგმას (კეთილდღეობის სამინისტროს №7/1998 დეკრეტის მუხლი 4(1ა)). გეგმაში უნდა აისახოს არასრულწლოვნის, მშობლების და პრობაციის ოფიცრის გასაკეთებელი სამუშაოები და განისაზღვროს ის ორგანიზაციები, რომლებსაც შემდგომში დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ დანაშაულის პრევენციის საქმეში.

4.3.1.2 სანქციები და ჩარევები, რომლებშიც არ არის ჩართული პრობაციის სამსახური

წინასწარი გამოძიების ეტაპზე ძალიან ბევრია ისეთი სანქცია და გადაწყვეტილება, რომელშიც პრობაციის სამსახური არ არის ჩართული:

დაკავება პოლიციის მიერ: პოლიციას უფლება აქვს ბრალდებული დაკავებული ჰყავდეს 72 საათით, სანამ მიმდინარეობს გამოძიება.

წინასწარი პატიმრობა: სახელმწიფო პროკურორის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია აიყვანოს პირი წინასწარ პატიმრობაში. კანონი სასამართლოსგან მოითხოვს დაპატიმრების ავტომატურ განხილვას. წინასწარი დაკავების ვადა უნდა გრძელდებოდეს სამ წელზე მეტ ხანს და მისი წინასწარი დაკავების მიზეზებისა და საჭიროებების განხილვა უნდა მოხდეს ყოველ ექვს თვეში. იმ შემთხვევაში, თუ სამი წლის შემდეგ საქმე არ დასრულდება, პირი უნდა გათავისუფლდეს.

შინაპატიმრობა: სისხლის სამართლის პროცესის ახალი კანონი (ზოგიერთი ნაწილი კვლავ არ არის ძალაში) შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს პირს უბრძანოს შინაპატიმრობა (1999 წლის CX აქტის 99B მუხლი). აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს

შემდეგნაირად: სასამართლო უბრძანებს პირს არ დატოვოს საცხოვრებელი ადგილი. ამაზე კონტროლს ახორციელებს პოლიცია. სასამართლო განიხილავს საცხოვრებელ სახლს, როგორც დაკავების ადგილს (იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს №2/2000/26 თებერვალი, დირექტივა შინაპატიმრობის აღსრულების შესახებ). არსებობს უფრო მკაცრი ფორმა შინაპატიმრობისა, როდესაც პირს უფლება არა აქვს დატოვოს სახლის ტერიტორია და პოლიცია უფლებამოსილია მუდმივად აკონტროლოს იგი. უნგრეთში შინაპატიმრობა შეიძლება პირს შეეფარდოს წინასწარი პატიმრობისას და პოლიცია მის კონტროლს ახორციელებს ელექტრონული საშუალებების გარეშე. პრობაციის ოფიცრები არ არიან ამ პროცესში ჩართული.

საქციები სასამართლოს გარეშე: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 350-ე მუხლის თანახმად, პატიმრობის გადავადება (ერთ წელზე ნაკლები). ჯარიმა და შერჩევითი სასჯელები შესაძლოა შეეფარდოს პირს არსებითი განხილვის გარეშე, თუ მსჯავრდებული აღიარებს დანაშაულს და დანაშაული მცირე სერიოზულობისაა (დასჯადია 2 წლამდე პატიმრობით). პრობაციის ოფიცრის მიერ ზედამხედველობის განხორციელება შეიძლება დაწესდეს პატიმრობის გადავადებისა და სასჯელების შერჩერებისას.

ნარკომანიის მკურნალობა: სისხლის სამართალწარმოება შესაძლოა შერჩევითი იქნეს ნარკომანიის მკურნალობის გამო. აღნიშნულს შესაძლოა დაეთანხმოს პოლიცია, პროკურორი ან მოსამართლე. ნარკოტიკებით დაავადებული, რომელიც ჩაიდენს ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ დანაშაულს (რომელიც ისევეა 2 წლამდე პატიმრობით), არ დაისჯება და გაიგზავნება, სულ მცირე ექვსი თვით სამკურნალოდ, თუ სასჯელის შეფარდებამდე წარმოადგენს შესაბამის მტკიცებულებას. აღნიშნულ პროცესში პრობაციის სამსახური არ არის ჩართული.

გაადვილებული სამართალწარმოება: როდესაც ჩადენილი დანაშაული მცირე სერიოზულობისაა, საქმის ფაქტები ნათელია, ბრალდებული თავს დანაშავედ ცნობს და სახეზეა მტკიცებულებანი, სასამართლოს შეუძლია, საქმის არსებითი განხილვის გარეშე, პირს შეუფარდოს ჯარიმა ან დამატებითი სასჯელი.

დანაშაულის აღიარება: დანაშაულის აღიარება იძლევა საშუალებას სამართალწარმოების გაადვილებისა. თუ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სამართალწარმოების გაადვილებას შეიძლება დაეთანხმოს მოსამართლე, პროკურორი და დაცვის მხარე. ამ პროცედურის შედეგად შესაძლებელია ნაკლებად მკაცრი სასჯელის შეფარდება, თუმცა სასჯელის შემცირება არ წარმოადგენს მთავარ მიზანს. ამ პროცედურის განხორციელება შეუძლებელია არასრულწლოვნებთან მიმართებით (სისხლის სამართლის კოდექსის 304 (ბ) მუხლი).

4.3.2 სასამართლო განხილვის ეტაპი

გარდა ისეთი საქმეებისა, რომლებშიც ჩართული არიან არასრულწლოვნები, სასამართლო განხილვებში პრობაციის ოფიცრები არ მონაწილეობენ. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო განხილვებზე საჭიროა წინასაგამოძიებო მოხსენებების წაკითხვა. მოხსენება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დანაშაულის გარემოებების შესახებ და რა გავლენის მოხდენა შეუძლია აღნიშნულს შესაბამისი სასჯელის შეფარდებაზე (კეთილდღეობის სამინისტროს №7/1998 დეკრეტის მუხლი 4(2)). პროკურატურიდან და სასამართლოდან შესაბამისი მიმართვის მიღების შემდეგ პრობაციის ოფიცერი ამზადებს ზედამხედველობის გეგმას (კეთილდღეობის სამინისტროს № 7/1998 დეკრეტის მუხლი 9(8)).

4.3.3 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი

სანქციათა ჩამონათვალი და პროცესუალური კანონები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იყოს სასამართლოს მიერ, ასახულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და №11/1979 საკანონმდებლო დეკრეტში. პროცესუალური კანონები ციხის მოსამართლისათვის და დეტალური ინფორმაცია სანქციათა აღსრულებისა შესაძლოა მომიტებულ იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სპეციალურ თავში და №11/1979 საკანონმდებლო აქტის პირველ ნაწილში.

4.3.3.1 სანქციები, რომლებშიც ჩართულია პრობაციის სამსახური

სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი წარმოადგენს პრობაციის ოფიცრების საქმიანობის ყველაზე აქტიურ ფაზას. ქვემოთ მოყვანილია ჩამონათვალი სასამართლო სანქციებისა:

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების ბრძანება (№ 11/1979 საკანონმდებლო დეკრეტის მუხლი 60): მანამდე, სანამ ციხის მოსამართლე დაამტკიცებს პირისათვის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შეფარდებას, მსჯავრდებული ისმენს პრობაციის ოფიცრის წინადადებებს და ამის შესაბამისად განსაზღვრავს აღსრულების ადგილს. აღნიშნულის შეფარდებისას, ანგარიში უნდა გაეწიოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას, პროფესიონალურ კვალიფიკაციას, შრომისუნარიანობას და დანაშაულის ბუნებას (მუხლი 60). პრობაციის ოფიცერი უნდა დარწმუნდეს, რომ მსჯავრდებული ასრულებს მასზე დაკისრებულ შრომით ვალდებულებას, ხოლო დამსაქმებელი უზრუნველყოფს შესაბამის სამუშაო პირობებს (მუხლი 63).

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გადავადება: 65-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის მოთხოვნით შესაძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დაწყების გადავადება (მაქსიმუმ 3 თვით) ან შეწყვეტა (მაქსიმუმ 30 დღით).

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ბრძანების აღსრულებისას, ზუსტად არის გაწერილი დამსაქმებლისა და პრობაციის ოფიცრის ამოცანები №11/1979 საკანონმდებლო დეკრეტის 62-63-ე მუხლებში. დამსაქმებელმა უნდა აცნობოს სასამართლოს მსჯავრდებულის მიერ მუშაობის წესების დარღვევის, სამუშაო ადგილის შეცვლის საჭიროებისა და დასრულების შესახებ. ეს ყოველივე უნდა აკონტროლოს პრობაციის ოფიცერმა.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გაუქმება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლი): პროცედურა იწყება მას შემდეგ, რაც დამსაქმებელი აცნობებს სასამართლოს, მსჯავრდებულის მიერ პირობების შეუსრულებლობის შესახებ. სასამართლო დამსაქმებლის მტკიცებულებას და პრობაციის ოფიცრის მოხსენებას აგზავნის რაიონის პროკურორთან, რომელსაც შეუძლია დაიბაროს პრობაციის ოფიცერი მოსმენაზე ან მოსთხოვოს მას სოციალური მდგომარეობის შესახებ მოხსენების გაკეთება. ამ დოკუმენტაციის მიღების შემდეგ პროკურორი მიმართავს ციხის მოსამართლეს და შესაძლოა მოითხოვოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეცვლა საპატიმრო სასჯელით. პროკურორის აგრეთვე უფლება აქვს შესთავაზოს ციხის მოსამართლეს საბუშაო ადგილის შეცვლა №11/1979 საკანონმდებლო დეკრეტის მუხლი (11ა).

შეჩერებული სასჯელის გაუქმება: მსჯავრდებულმა, რომელსაც შეეფარდება პრობაცია, განსაზღვრულ დროს უნდა მიმართოს ადგილობრივ პოლიციას ან პრობაციის სამსახურს. აღნიშნული ხორციელდება 48 საათის ფარგლებში, როდესაც პირს შეფარ-

დებული აქვს სასჯელის შეზღუდვა, გათავისუფლებულია საპატიმრო სასჯელიდან ან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მიეცა შესაბამისი წერილობითი ინსტრუქცია. აღნიშნულის შეუძრულებლობა განიხილება, როგორც მოთხოვნების დარღვევა და მსჯავრდებულის მხრიდან ამ სიტუაციაში მოსალოდნელი სანქციებისათვის თავის არიდება. მსჯავრდებულს აგრეთვე ვეალება მუშაობა, თუ მას ამის შესაძლებლობა აქვს (1993 წლის XXXII აქტი).

პატიმრობის გადავადებელი სასჯელის აღსრულება: იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული დარღვევს სასამართლოს მიერ დადგენილ პირობებს ან პირდაპირი პატიმრობა აქვს შეფარდებული და პრობაციის პერიოდში ჩაიდენს ახალ დანაშაულს, მას გაუუქმდება სასჯელის გადავადება და აღსრულება დადგენილი სასჯელი.

პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 362-ე მუხლი): პირობით ვადამდე გათავისუფლების პერიოდში მსჯავრდებულზე ზედამხედველობა პრობაციის ოფიცრის ვადლებულდება. იუსტიციის მინისტრის დირექტივის №7(1-3) თანახმად, პრობაციის ოფიცერი იწყებს გაუქმების პროცედურას, რის შესახებაც მიმართავს პროკურორს. პირობით ვადამდე გათავისუფლება უნდა შეწყდეს, თუ გათავისუფლებული ჩაიდენს საპატიმრო სასჯელით დასჯად დანაშაულს. პროკურორი საკვანძო უზავენის ციხის მოსამართლეს, სისხლის სამართლის კოდექსის 48(4) მუხლის თანახმად, თუ ვადამდე გათავისუფლებული ჩაიდენს საპატიმრო სასჯელით დასჯად დანაშაულს, მას უუქმდება პირობით ვადამდე გათავისუფლება. ასეთ შემთხვევაში, თუ სასამართლო შეუფარდებს სხვა სასჯელს, შემდეგ მისი გადასაწყვეტია გაუუქმოს თუ არა პირობით გათავისუფლება.

მოვალეობების შეცვლა (პატიმრობის გადავადების, სასჯელის შეზღუდვის ან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას): პრობაციის ოფიცერი შეუძლია მოითხოვოს მოვალეობების შეცვლა. იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველობის კვლევები პირი არღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, პრობაციის ოფიცერი ევლებულია აცნობოს პროკურორს (საკანონმდებლო დეკრეტის №11/1979 მუხლები 100-101).

არასრულწლოვანთა დაკავების ცენტრიდან პირობით ვადამდე გათავისუფლება: პრობაციის ოფიცრებს მოეთხოვებათ დაეხმარონ არასრულწლოვნებს რეაბილიტაციასა და განათლების მიღებაში (საკანონმდებლო დეკრეტის №11/1979 მუხლი 50).

ციხის შემდგომ მზრუნველობას ახორციელებენ პრობაციის ოფიცრები ადგილობრივ ორგანოებთან, დამსაქმებლებთან, საქველმოქმედო და სხვა ორგანიზაციებთან ერთად. ამ პროცესში მსჯავრდებულთა მონაწილეობა ნებაყოფლობითია, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობაციის ოფიცერი ვეალება მსჯავრდებულისთვის დახმარების აღმოჩენა, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი უარს განაცხადებს თანამშრომლობაზე, ეს არ წარმოადგენს პროცესუალური მოქმედებების დაწყების საფუძველს.

4.3.3.2 სანქციები, რომლებშიც არ არის ჩართული პრობაციის სამსახური

სასამართლო განხილვის შემდგომ ეტაპზე ბევრი სანქციაა, რომელშიც პრობაციის ოფიცერი არ მონაწილეობენ. ამ სანქციების უმეტესობა გამოიყენა ციხის მოსამართლის მიერ:

პირობით ვადამდე გათავისუფლება: საკანონმდებლო დეკრეტის №11/1979 მე-6 და მე-8 მუხლების თანახმად, ციხის მოსამართლე, მას შემდეგ, რაც მოუსმენს პატიმარსა და ციხის თანამშრომელს, იხილავს ციხიდან გაგზავნილ წინადადებას მსჯავრდებულის პირობით გათავისუფლების შესახებ. იუსტიციის მინისტრის დეკრეტში №79(1) ასახულია, რა სახის შეფასება უნდა მოხდეს პატიმრისა, სანამ მოხდება სასამართლოში მისი

კანდიდატურის განსახილველად წარდგენა. პირობით გათავისუფლება წარმოადგენს ციხის მოსამართლის პრეროგატივას და არ ხდება ავტომატურ რეჟიმში. არ შეიძლება გათავისუფლება რეციდივისტების, ბანდების, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წევრებისა და იმ პირებისა, რომლებსაც არ მოუხდიათ სასჯელის, სულ მცირე, ორი თვე.

ჯარიმის შეცვლა/ვადის გაგრძელება/გადავადება;

ავტომობილის მართვის ან პროფესიული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; იძულებითი მკურნალობის დამატება (სსკ მუხლი 373);

პოლიციის ზედამხედველობა: პოლიციამ შეიძლება განახორციელოს მონიტორინგი გათავისუფლებულ მსჯავრდებულზე, რომელიც გასამართლებული იყო, სულ მცირე, 2 წლით განზრახ ჩადენილი დანაშაულის ან რეციდივიზმისათვის (1994 წლის XXIV აქტის, მუხლი 35(2)). პოლიციის ეს ამოცანა არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც ზედამხედველობა, რაც წარმოადგენს სანქციათა სისტემის შემადგენელ ნაწილს (ვინაიდან ის არ არის ნახსენები სისხლის სამართლის სანქციათა სისტემაში) და არც ციხის შემდგომი მზრუნველობის იმ სახეს, რომელიც წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ნაწილს. ასეთი ტიპის პოლიციის მონიტორინგი უნდა დასრულდეს ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, მაქსიმუმ, ერთ წელში ან უფრო ადრე. პრობაციონერის ყოფაქცევის შემოწმების გზით, რათა მან საფრთხე არ შეუქმნას საზოგადოებას, პოლიცია ეხმარება პრობაციის აღსრულებას (საკანონმდებლო დეკრეტი №11/1979, მუხლი 4(2)).

4.4 სასჯელები

4.4.1 რეგისტრირებული დანაშაულები

უნგრეთში უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, რეგისტრირებული დანაშაულების რიცხვი გაოთხმაგდა. პოლიტიკური სისტემის ცვლილებიდან გამომდინარე, შეუძლებელია სტატისტიკური შედარების გაკეთება 80-იანსა და 90-იან წლებს შორის. ორი სრულიად განსხვავებული შეხედულების მქონე საზოგადოების აზრი დანაშაულზე, სისხლის-სამართლებრივ პოლიტიკაზე, სასჯელებსა და პრაქტიკაზე იმდენად განსხვავებულია, რომ შედარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იურისპრუდენციის ან პოლიტიკური მეცნიერების რაკურსით.

1980-მა წელმა უნგრეთის დანაშაულის ისტორიაში გამყოფი როლი შეასრულა. ამ წლის შემდეგ გაიზარდა მთელი რიგი დანაშაულობებისა და მათი რაოდენობა გაოთხმაგდა უკანასკნელი ორი დეკადის მანძილზე. დანაშაულების რეგისტრირებულმა რიცხვმა 1980 წლიდან 1990 წლამდე იმატა 130.470-დან 341.061-მდე, ხოლო 1999 წელს გადააჭარბა 500.000-ს. საზოგადოება შემოფოტებული იყო დანაშაულის ამ დონით ზრდის გამო, თუმცა ეს არ იყო მხოლოდ უნგრული მოვლენა; იგივე მდგომარეობა იყო ყოფილი სოციალისტური ბლოკის წევრ ყველა ქვეყანაში.

1988 წელს ქონებრივი დანაშაულის რაოდენობა შეადგენდა ყველა დანაშაულის 2/3-ს; 1995 წლისათვის ეს რიცხვი გაიზარდა 3/4-მდე. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა თაღლითობის რიცხვი. ადრე თაღლითობის რიცხვი სხვა დანაშაულებთან მიმართებით შეადგენდა 3-4%-ს, დღეს მისმა რიცხვმა 20%-ს მიაღწია და სისხლის სამართლის სტატისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ყოველ 10 დანაშაულში ერთი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაა. დღესდღეობით ქონებრივი და

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დანაშაულები სტატისტიკურად შეადგენს ყველა დანაშაულის 90%-ს.

უკანასკნელი ორი დეკადის მანძილზე სხვა დანაშაულებთან მიმართებით არ მომხდარა ძალადობრივი და უსიამოვნებების გზით ჩადენილი დანაშაულების ზრდა, მაგრამ შეიცვალა მკვლელობების ბუნება და რიცხვი. 1989 წლიდან 1995 წლამდე მკვლელობების რაოდენობა გაორმაგდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სასტიკი, შურისძიების ნიადაგზე და ეგზეკუციის ტიპის მკვლელობების რიცხვი. მეორე მხრივ, ზოგიერთი ტიპის ძალადობრივი დანაშაულობები ისევე ძველ ზღვარზე დარჩა (გამომძალავ, ჩხუბი, ყანალობა).

გამოჩნდა და საკმაოდ სწრაფად გავრცელდა საერთაშორისო კავშირების მქონე ორგანიზებული დანაშაულები. აღნიშნული ჯგუფები დაკავებული იყვნენ იარაღითა და ნარკოტიკებით, ასევე ანტიკვარიატით ვაჭრობით, ადამიანების ტრეფიკინგით, პროსტიტუციითა და კორუფციით. შეემა ეკონომიკამ მიადნია მოულოდნელ ზღვარს და ექსპერტების შეფასებით შეადგენდა ქვეყნის ეკონომიკის 30%-ს. ყოველწლიურად იზრდებოდა ეკონომიკური დანაშაულობების რიცხვიც. აღნიშნული გამოწვეული იყო პრივატიზაციით, საზღვრების გახსნით, ინფლაციითა და დამსჯელი სანქციების რეალბასთან მიყვანით. აგრეთვე მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამდებობრივი დანაშაულები და კორუფცია. პროსტიტუციასა (ქურის პროსტიტუცია, მასაჟის სალონები) და ნარკოტიკებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ დანაშაულის ჩადენისას, კარგი საფუძველი აღმოაჩნდათ, მაგრამ ეს საზოგადოების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

1980-იანი წლებიდან 1999 წლამდე გაორმაგდა მსჯავრდებულთა რაოდენობა. ყოველ 10.000 მოსახლეზე 1999 წელს მოდიოდა 138.7 მსჯავრდებული, როდესაც ეს რიცხვი 1980 წელს 72 იყო. გამოვლენილ დამნაშავეთა რაოდენობა ბევრად ნაკლები იყო რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვთან მიმართებით. სამართალდამცავი ორგანოები ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დანაშაულის ზრდისა და სტრუქტურის ცვლილების გამო. წინა დეკადებთან შედარებით, დანაშაულთა გახსნის რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდებოდა 1990 წლიდან. 1980 წელს რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი 130.470 იყო, რომელთაგან გახსნილ იქნა 74%, 1999 წელს კი გახსნილ საქმეთა რაოდენობამ 52% შეადგინა. იმ პერიოდში დაკავებულ დამნაშავეთა რაოდენობა 2.7-ით გაიზარდა, მაგრამ იმ პირების რიცხვი, რომელთა დაკავებაც ვერ მოხერხდა, 7.1 იყო. ერთი სიტყვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა გაუხსნელი საქმეების რიცხვი.

საგანგამო დონემდე გაიზარდა დანაშაულში მონაწილე ახალგაზრდების რიცხვი. 1980 წელს არასრულწლოვნები და ახალგაზრდები შეადგენდნენ დამნაშავეთა საერთო რაოდენობის 34%-ს, ხოლო 1995 წელს ამ რიცხვმა 41% შეადგინა. მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი საქმიანობა, რომლებიც ჯერ კიდევ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის (14 წელი) დაბლა იყვნენ. ისინი ძირითადად ჩადიდნენ ძალადობრივ და ქონებრივ დანაშაულებს. ქონებრივმა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულებმა მნიშვნელოვნად გაზარდა დაზარალებულთა რიცხვი, რომელთაც არ მიუღიათ არც ფინანსური კომპენსაცია და არც ბოდიში, ან რომელთა მიმართაც, ქვეყანაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო კომპენ-საციის მიღება.

4.4.2 გასამართლების პრაქტიკა

1989 წელს მომხდარმა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია არა მხოლოდ დანაშაულის სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველებში, არამედ აგრეთვე სასჯელის შეფარდებაში კანონმდებლობისა და კანონის აღსრულების პროცესის

მეშვეობით. მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა 1980 წლიდან (4.613) 1999 წლამდე (8.717) გაორმაგდა, შედარებით სტაბილური გახდა შემდგომში, 1999 წელს (7750). უარესობისკენ შეიცვალა აღნიშნული მდგომარეობა სრულწლოვნებთან მიმართებითაც. თუ სრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა 1980 წელს 51.720 იყო, 1999 წლამდე ეს რიცხვი გაიზარდა 69.5%-მდე (87.693 სრულწლოვანი მსჯავრდებული).

დანაშაულის საზოგადოებაზე გავლენის ნახვა შესაძლებელია იმ მსჯავრდებულთა პროპორციის შედარებით, რომლებმაც ხელმეორედ ჩაიდინეს დანაშაული. არასრულწლოვანმა მსჯავრდებულებმა, რომლებმაც ჩაიდინეს პირველი დანაშაული, გაიზარდა 1/5-ით, ხელმეორედ დანაშაულის ჩამდენთა რიცხვი კი გაიზარდა 2.5-ით.

დაიწია იმ მსჯავრდებულთა ასაკმა, რომელთაც ჩაიდინეს პირველი დანაშაული. 1980-1997 წლებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა არასრულწლოვანთა რიცხვი, რომლებსაც ჰქონდათ კრიმინალური წარსული (დაახლოებით, 20%-ის ფარგლებში), თუმცა შემდეგ იწყო მატება და 1998 წლისათვის შეადგინა 25%, ხოლო 1999 წლისათვის 28%. კრიმინალური წარსულის მქონე მსჯავრდებულთა რაოდენობის პროპორცია არასრულწლოვნებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია სრულწლოვნებში. სრულწლოვნების რიცხვი, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული, გასამზავდა, მაგრამ დრამატულად იმატა იმ სრულწლოვნების რიცხვმა, რომლებსაც ჰქონდათ კრიმინალური წარსული. მათი რიცხვი გაიზარდა 2-2.5-ჯერ.

პოლიტიკური სისტემის ცვლილებებამდე უნგრეთში პატიმრობას დიდი ხნის პრაქტიკა ჰქონდა. 1993 წლამდე პირდაპირი პატიმრობის რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატებოდა გადავადებულთა რაოდენობას. ამავე დროს დიდად იკლო ციხეში პატიმრობამ, რაც გამოწვეული იყო პატიმრობის გადავადების ხშირი გამოყენებით. ამ პერიოდის დასაწყისში საპატიმრო სასჯელის გადავადებულთა რაოდენობა 20%-ზე ოდნავ მეტი იყო, შემდგომ ცოტა დაიკლო, მაგრამ 1999 წლისათვის კვლავ 20%-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი დაკავება გამოიყენება არაპროპორციულად ქონებრივი დანაშაულებისათვის.

სასჯელები, რომლებიც გულისხმობდა სამუშაოების შესრულებას ფართოდ არ გამოიყენებოდა. ძირითადად ამის მიზეზი იყო აღსრულების სირთულე. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, სხვა სასჯელებთან შეფარდებით, ეკავა 2.8%-ი. უკანასკნელ პერიოდში დაიწყო ჯარიმების ფართოდ გამოყენება და ყველა სასჯელის თითქმის ნახევარს შეადგენს. 1997 წელს ჯარიმების 21% შეიცვალა საპატიმრო სასჯელით, რისი მთავარი მიზეზიც გადაუხდელობა იყო.

1980 წლიდან 1988 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა დამატებითი სასჯელებისა და ზომების რიცხვი, კერძოდ, 2.2%-დან 14%-მდე, ხოლო 1999 წელს ეს რიცხვები შეიცვალა 16%-დან 19%-მდე. აღნიშნული პროპორცია მნიშვნელოვნად გაიზარდა არასრულწლოვნებთან მიმართებით, კერძოდ, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე - 60%-დან 70%-მდე.

4.4.3 პატიმართა რაოდენობა

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე უნგრეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა პატიმართა რაოდენობა. ციხეები საშინლად გადატვირთულია: იმ დროს, როდესაც 2002 წლის 7 თებერვლისათვის ციხეებში იყო 10.799 ადგილი, იქ მოთავსებული იყო 17.514 პირი. მსჯავრდებულების 49% ის პირები იყვნენ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული. მათი 40% უნგრეთის ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაა. ტაბულა 1 გვიჩვენებს პატიმართა საერთო რაოდენობას:

ტაბულა 1: 1990-2001 წლებში პატიმართა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით

საერთო რაოდენობა

წელი	წინასწარ პატიმრობაში მყოფნი	მსჯავრდე ბულები	იძულებითი მკურნალობა	ჯარიმის გადაუხდე ელობა	საერთო რაოდენობა
1990	3246	8897	146	30	12.319
1991	4264	10326	152	68	14810
1992	4272	11424	143	74	15913
1993	3557	9390	130	119	13196
1994	3433	9390	121	196	13143
1995	3183	8928	128	215	12455
1996	3455	8986	147	174	12763
1997	3660	9408	165	172	13405
1998	3909	10171	173	113	14366
1999	4114	10800	181	15	15110
2000	4105	11201	173	60	15539
2001	4263	12755	194	63	17275

ეჭვი არ არის, რომ 1990 წლიდან უნგრეთის სასამართლოები ნაკლებად იყენებდნენ საპატიმრო სასჯელებს, მაგრამ მსჯავრდებულებს უფრო გრძელვადიან სასჯელებს უსჯიდნენ, ვიდრე მანამდე. 1980-იდან 1988 წლამდე მნიშვნელოვნად შემცირდა 6 თვეზე ნაკლები ვადით მისჯილთა რაოდენობა. 1990 წლიდან ამ რიცხვმა დაიწყო მატება და 1999 წელს კვლავ ძველ ნიშნულს მიაღწია. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე 12-თვიანი პატიმრობის რიცხვი ყოველთვის იყო 70%-ზე მეტი. 1991 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა 1-დან 5 წლამდე სასჯელთა რაოდენობა. აგრეთვე იზრდება 5 წელზე მეტხნიანი საპატიმრო სასჯელები.

უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლების პრაქტიკა. მსჯავრდებულთა 1/3 გათავისუფლდა პირობით ვადამდე ადრე, ხოლო დანარჩენებმა სრულად მოიხადეს სასჯელი. ორი წლის წინ პატიმართა 20% სწავლობდა ვაჭრობას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პატიმართა უმრავლესობა რომანული წარმომობისაა, თუმცა 1992 წლიდან არ არსებობს მონაცემები მათი რაოდენობის შესახებ. ტაბულა 2-ში მოცემულია ინფორმაცია მსჯავრდებულთა პატიმრობის რეჟიმების შესახებ.

ტაბულა 2: 1999 წლის 31 დეკემბრისათვის მამრობითი და მდედრობითი სქესის მსჯავრდებულები პატიმრობის რეჟიმების მიხედვით

რეჟიმის სახე	მამრობითი	მდედრობითი	საერთო რიცხვი
მკაცრი რეჟიმის ციხე	3168	170	3338
საშუალო რეჟიმის ციხე	5993	403	6396
დაკავება	278	40	318
ჯარიმისა და საზოგადოებისათვის			
სასარგებლო შრომის დამრღვევები	397	24	421
ახალგაზრდა მსჯავრდებულთა ციხე	187	12	199
დაკავებული ახალგაზრდა			
მსჯავრდებულები	126	2	128
საერთო რიცხვი	10149	651	10800

4.4.4 შეჯამება

დღესდღეობით, როგორც საზოგადოების, აგრეთვე პოლიტიკოსთა ყურადღება მიმართულია ციხეებში ადგილების რაოდენობაზე. უკანასკნელი წლების მანძილზე იუსტიციის სამინისტროს ყურადღება გადატანილი იყო სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა წინასწარი დაკავების ცენტრების მშენებლობაზე. ამ გეგმის შესრულება დასრულდა 2001 წელს, მაგრამ ამჟამად კვლავ საკნების უკმარისობაა.

საზოგადოებრივმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ უნგრეთში მოსახლეობას ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს კრიმინალური პრობლემატიკის თაობაზე. უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს დანაშაულის დონეზე, საზოგადოების დიდი ნაწილი უკმაყოფილოა არსებული მდგომარეობით და ვარაუდობენ მის გაუარესებას. უსაფრთხოების შეგრძნება ემყარება პირად გამოცდილებას, მაგრამ დამატებით ფაქტორად შეიძლება აღვიქვათ მედიის გავლენა. გამოკითხულთა უმეტესობა უკმაყოფილოა სამართალდამცავი ორგანოების (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლოები) საქმიანობით და ელიან, რომ მთავრობა გააძლიერებს დანაშაულის კონტროლის პოლიტიკას.

შესაძლებელია, რომ გაიზარდოს ძირითადი და დამატებითი სასჯელების კომბინირებული გამოყენება. პრაქტიკაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება ძალიან შეზღუდულია. საჭირო არის მთელი რიგი ცვლილებების გატარება კანონმდებლობაში და სანამ სასამართლოს ახალი კანონები შევა ძალაში, მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

არსებული სამართლებრივი საფუძვლები არ იძლევიან ზედამხედველობის აღსრულების ეფექტურ საშუალებას; დანაშაულის პრევენციისათვის არსებული დირექტივები არასაკმარისია და საჭიროა ეფექტური სტრუქტურა. ზედამხედველობა, რომელსაც ეწევა სრულწლოვანთა პრობაციის სამსახური, ძირითადად ხორციელდება ოფისებში. აღნიშნული ზედამხედველობა არაეფექტურია და მსჯავრდებული კვლავ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სისტემა დღესდღეობით კარგავს თავის რეალურ აზრს. არ მიმდინარეობს ჯგუფური მუშაობა მსჯავრდებულებთან,

ვინაიდან ოფიცრებს არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა ასეთი სახის მუშაობისთვის. მსკავრდებულთა კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად არ არის შემუშავებული სპეციალური პროგრამები. პრობაციის ოფიცრები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას განიცდიან რესურსების უკმარისობას: ერთადერთი მხარდაჭერა, რომელიც მათ შეუძლიათ აღმოუჩინონ თავიანთ კლიენტებს, ეს არის ფინანსური დახმარება. ისინი ვერ ეხმარებიან მათ, მაგალითად, სამუშაოს მოძებნასა და ბინით უზრუნველყოფაში. მთელი სისტემა მოითხოვს გადახედვას, რის შემდეგაც, აღნიშნული შესაძლოა უფრო ეფექტური გახდეს ნაკლები ფინანსური მხარდაჭერითაც.

დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები, საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები

5.1 დაფინანსება და ფინანსური ანგარიშვალდებულება

ჩვენ უნდა განვიხილოთ პრობაციის სამსახურების პროფესიონალური მდგომარეობა, როგორც ნაწილობრივ დამოუკიდებელი, რაც გამოწვეულია მისი დაფინანსების საშუალებებით. ვინაიდან სრულწლოვანთა პრობაციის სამსახური წარმოადგენს რაიონული სასამართლოების, ხოლო არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახური მეურვეობის ოფისების შემადგენელ ნაწილს, მათი დაფინანსებაც გათვალისწინებულია ამ ორგანიზაციების ბიუჯეტში. ვინაიდან მათ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი ბიუჯეტი, სამსახურების ხარჯის შეფასება მხოლოდ დაახლოებით შეიძლება.

სასამართლო სისტემის შემადგენლობაში მუშაობს 7.498 თანამშრომელი, რომელთა შორის პრობაციის ოფიცერი 65-ია. სასამართლოს ბიუჯეტი თანამშრომლებისათვის (მოსამართლეები, კლერკები, სამოქალაქო მოსამსახურეები უნივერსიტეტის/კოლეჯის/სკოლის განათლებით, დამხმარე პერსონალი), გამომდინარე მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილებიდან, შედგება ხელფასებისა და სხვა ხარჯებისგან. თანამშრომელთა სხვადასხვა ჯგუფი იღებს სხვადასხვა ხელფასს, რაც დარეგულირებულია კანონმდებლობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეები იღებენ ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს. მოსამართლეებსა და სასამართლოს სხვა თანამშრომლებს შორის ხელფასის ასეთი არათანაბარი განაწილება დაფიქსირებულია ყველა სასამართლოში. ადგილობრივ გარემოებებზე დაყრდნობით შესაძლებელია, ხელფასის გარდა, სხვა შემოსავლების მიღება. რაიონული სასამართლოების ბიუჯეტები იძლევიან ხელფასის ზუსტ მონაცემებს, მაგრამ არ არსებობს არანაირი ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა დამატებითი დაფინანსების შესახებ. სავარაუდოდ, ამ დამატებითი ხარჯების გადანაწილება ხდება ხელფასების შესაბამისად.

უნგრეთში სამთავრობო ორგანოებისათვის სახელმწიფო ან კერძო ფონდიებიდან დამატებითი შემოსავლების მიღების ტიპური გზაა პარალელური არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა. ამის მთელი მაგალითია პრობაციის ოფიცერთა ასოციაციები: ერთი - სრულწლოვანი პრობაციის ოფიცრებისთვის და მეორე - არასრულწლოვნებისთვის. მათი შემადგენლობა პირველ შემთხვევაში 65-ია, ხოლო მეორეში 177. აღნიშნულ

ორგანოებს, როგორც დამოუკიდებლეს თანამშრომელთა ტრენინგისა და საინფორმაციო ბუკეტების დასაბუქდად, შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება კერძო ან სამთავრობო ფონდებიდან. აღნიშნული ტიპის დაფინანსება არ არის მნიშვნელოვანი და არც მუდმივი.

ამ სამსახურების მიერ გაწეული ხარჯების კონტროლი არ ხორციელდება. მაგალითად, 2001 წელს, ნაცვლად იმისა, რომ შემოწირულობები დაკარგულიყო იმ ორგანოთა ბიუჯეტში, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან ეს სამსახურები, აუცილებელი გახდა დიდი ძალისხმევა, რათა ამ სამსახურებს მიეპყროთ კერძო დონორების ყურადღება.

უნგრეთში შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება ციხის სისტემის ხარჯის შესახებ. ყველა ახალი ადგილის შექმნა ჯდება, დაახლოებით, 49.231 ევრო. იმ დროს, როდესაც ქვეყანაში 17.000 პატიმარია, თითოეული პატიმრის შენახვა წელიწადში ჯდება 7.495 ევრო.

ტაბულა 3: ციხისა და პრობაციის თანამშრომელთა დატვირთვა

	პრობაციის სისტემა	ციხის სისტემა
წლიური ხარჯი	უცნობია	131.275.954 ევრო
თანამშრომელთა რაოდენობა	177+65	7.243
თითოეული თანამშრომლის დღიური დატვირთვა		
(კლიენტთა რაოდენობის მიხედვით)	45 (არასრულწლოვნების 3ს)	241
	64.5 (სრულწლოვნების 3ს)	

ხარჯის შემოწმება ხდება ისეთივე გზით, როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოებში, კერძოდ: ორგანიზაციაში იერარქიულად. ეროვნული აუდიტის ოფისს უფლება აქვს ჩაატაროს ინსპექტირება სამ წელიწადში ერთხელ.

5.2 რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სხვადასხვა რაიონში დამკვიდრებულია სხვადასხვა ტიპის საქმიანობის პრაქტიკა, არ არსებობს ერთიანი ფორმებისა და კომპიუტერული მეთოდების გამოყენების გზები, არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა პრობაციებს არ გააჩნიათ საერთო პრაქტიკა. გამომდინარე ორი სისტემის სხვადასხვა პრიორიტეტებიდან და ამოცანებიდან, მათი საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი სხვადასხვა პროპორციულობითაა გადანაწილებული (მაგალითად, არასრულწლოვნებთან მიმართებით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების შემთხვევები იშვიათია და ამ მიმართულებით დატვირთვის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, ხოლო სრულწლოვნების შემთხვევაში არ იკვეთება მოხსენებები სოციალური მდგომარეობის შესახებ). არასრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრები მსჯავრდებულებთან თავიანთი საქმიანობის 30%-ს უთმობენ პირად კონტაქტებსა და ადმინისტრირებას, 20%-ს - მოხსენებებს, 20%-ს - სხვა ორგანიზაციებთან კავშირების დამყარებას, 20%-ს სხვა ადმინისტრაციულ ამოცანებს (მსჯავრდებულების მოძებნას, მათთან დარეკვას და ა. შ.) და 10%-ს - ზედამხედველობის გეგმის მომზადებას. სრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრების საშუალო დრო შემდგენაირად არის გადანა-

წილებული: 45% კლიენტთა ინტერვიუები და ამ საკითხთან დაკავშირებული ადმინისტრირება (გამომდინარე ბევრი საქმეებიდან, მცირე დრო ეთობრა ზედამხედველობის გეგმებისა და მოხსენებების მომზადებას), 25% - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (ინტერვიუ, სამუშაო ადგილის შემოწმება, ადმინისტრირება), 20% - ადმინისტრაციული ამოცანები, 10% - სხვა ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება.

სამინისტროს დეკრეტები და აქტები ზუსტად ასახავენ პრობაციის ორივე სისტემაში საქმეთა აღსრულებასთან დაკავშირებით განსაზოგადოებულ საქმიანობას. ზოგიერთ მოვალეობის აღწერას თან ერთვის განმარტებები (მაგალითად, არასრულწლოვანთა პრობაციის შემთხვევაში ზედამხედველობის დაგეგმვას და სრულწლოვანების შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებას). ყველა დანარჩენ შემთხვევაში პრობაციის ოფიცრებს მინიჭებული აქვთ დიდი თავისუფლება (მაგალითად, რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი და რა დრო დაუთმონ ამ ნაბიჯის შესრულებას). სამსახურებს შორის არსებული განსხვავებული პრაქტიკა და დებულებების უქონლობა ძალიან ართულებს ერთიან მუშაობას.

ერთადერთი კომპიუტერული სისტემა მოქმედებს ბუდაპეშტის არასრულწლოვანთა პრობაციის სამსახურში, რომლის შექმნაც და პროგრამების შემუშავებაც დაფინანსებული იყო PHARE-ს მიერ. ყველა სხვა სამსახურის საქმიანობა დაფუძნებულია ფურცლებით მუშაობასთან, რომელიც ამასთანავე არასტანდარტიზებულია. პრობაციის ოფიცრები და შესაბამისი ორგანიზაციები (პოლიცია, სასამართლოები) ინფორმაციებს ცვლიან ხელნაწერი მოთხოვნების მეშვეობით. ინფორმაციის დაცვის აქტის თანახმად, მსჯავრდებულთა შესახებ პირადი ინფორმაცია დაცული უნდა იყოს არასანქცირებულ პირთა მხრიდან მოპოვებისგან. მსჯავრდებულებს არ გააჩნიათ ინფორმაცია მათ შესახებ არსებულ ინფორმაციაზე დაშვებასთან დაკავშირებით, ვინაიდან არ არსებობს ასეთი სახის დებულება, ხოლო პრობაციის ოფიცრებს ამ მიმართულებით სხვადასხვა მოსაზრება აქვთ. პრობაციონერებს არ ჰყავთ მათი ინტერესების დამცველი ან წარმომოხილი პრობლეების მოგვარების ორგანიზაციები.

პირველი ინტერვიუს დროს პრობაციის ოფიცრები მსჯავრდებულებს აცნობენ სასჯელის შედეგებს და აგროვებენ შესაბამის ინფორმაციას, მაგალითად, პირადობის მოწმობის ნომერს, ტელეფონის ნომერს, დეტალებს დამსაქმებლის შესახებ, შემოსავლის წყაროს, ოჯახურ მდგომარეობასა და საცხოვრებლის საკითხს. ამის შემდეგ ეს ყველაფერი იწერება. ორივე სამსახურის შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც შეიქმნება და დარეგისტრირდება საქმე პრობაციონერებზე, მისი გამოყენების საშუალება ეძლევათ პრობაციის ოფიცრებსა და შიდა მენეჯერებს.

არასრულწლოვანთა შემთხვევებში, მეურვეობის ოფისები ყოველთვიური და წლიური სტატისტიკის სახით აწვდიან ინფორმაციას რაიონის სააღსრულებო ოფისს, სადაც შეტანილია ძირითადი ინფორმაცია (პრობაციონერთა ინფორმაცია, დამთავრებული საქმეების რაოდენობა, მიმდინარე და ახალი საქმეები), ხოლო სრულწლოვანთა შემთხვევებში, აღნიშნული ინფორმაცია ციხის მოსამართლისგან მიეწოდება ეროვნულ იუსტიციის საბჭოსა და იუსტიციის სამინისტროს. ვინაიდან ამ საკითხთან მიმართებით არ არსებობს მეტად დეტალური ანალიზი, შეუძლებელია უფრო ხარისხიანი, რაოდენობრივი და შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება საპრობაციო საქმიანობის შესახებ. არსებული ინფორმაციის გამოყენებით შეუძლებელია ზუსტი შეფასების გაკეთება და შემდგომი პოლიტიკის დაგეგმვა. უკანასკნელი წლების მანძილზე პრობაცია არ წარმოადგენდა პოპულარული კვლევის საგანს და ამ დარგის შესახებ ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ გაძნელებული იყო, თუმცა, მხოლოდ მცირე გამოწკლისის გარდა, მკვლევრები არც ცდილობდნენ მის მოპოვებას.

5.3 საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები

პრობაცია არასოდეს ყოფილა საზოგადოებრივი აზრის კვლევის საგანი. უფრო დიდი ორგანიზაციები (რაციონული სასამართლოები) ეწევიან საინფორმაციო და PR-პოლიტიკას, მაგრამ პრობაციის საკითხებისა და კლიენტთა შეხედულებების თვალსაზრისით არაფერი გაკეთებულა.

5.4 შეჯამება

პრობაცია, და განსაკუთრებით კი სრულწლოვანთა პრობაცია, ცუდად ფინანსდება. საპრობაციო საქმიანობის ზოგიერთი სფერო მოწესრიგებულია, ზოგიერთი არა. არ არსებობს ერთიანი საქმიანობისა და რეგისტრაციის სისტემა. მსჯავრდებულის ზედამხედველობის დროს არ ხდება არც მისი საჭიროებებისა და მიზნების შეფასება და არაჰინდის რა უნდა შესთავაზოს სისტემამ. სტატისტიკური ინფორმაცია არ არის ადვილად მოსაპოვებელი და არ ახდენს საპრობაციო საქმიანობის ხარისხიან და რაოდენობრივად ადეკვატურ შეფასებას, რათა მოხდეს მისი გამოყენება შემდგომი პოლიტიკის დასაგეგმად.

პრობაციის კლიენტთა უფლებები

უნგრეთში სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი ადგენს მსჯავრდებულთა უფლებებს, მაგრამ ძირითადად კონცენტრირებულია საპატიმრო სასჯელმისაღილ პირთა ადამიანის უფლებებზე. არ არსებობს სამართლებრივი განმარტება იმ მსჯავრდებულების უფლებებისა, რომლებსაც შეფარდებული აქვთ ალტერნატიული სანქციები. მათი უფლებები დამყარებულია ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების ფუნდამენტურ საფუძვლებზე, რომლითაც მთლიანად იმართება სამართლებრივი სისტემა. პრობაციონერთა უფლებები უფრო მეტად განხილულია პროცედურულ დონეზე, ვიდრე პირდაპირ.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, პრობაციის კლიენტებსა და ციხის შემდგომ მზრუნველობის ქვეშ მყოფებს თანაბარი უფლებები აქვთ. პრობაციის ოფიცერებს უფლება აქვთ მონიხახლონ მსჯავრდებულები ციხეებში და მისცენ რჩევები ციხის დატოვების შემდგომ ცხოვრებაზე, აგრეთვე მათ მიერ არჩეულ საფუძვლებზე დაყრდნობით დაეხმარონ სამსახურის მოძიებაში. პრობაციის ოფიცერები, საჭიროების შემთხვევაში, ესმარებიან მსჯავრდებულებს ოჯახთან ურთიერთობის აღდგენაში.

მსჯავრდებულის პირადი მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია პრობაციის ვალდებულებების დამატება. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განხორციელებისას ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით მკაცრი კანონები მოქმედებენ. მსჯავრდებულმა უნდა მისცეს საშუალება დამსაქმებელს გაეცნოს ინფორმაციას მის შესახებ. სასჯელის განხორციელების პროცესში დამსაქმებელი პასუხისმგებელია მსჯავრდებულის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებული საჩივრს შეიტანს შეჩერებულ სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, პროკურორმა უნდა განაახლოს საქმის სამართალწარმოება. გამასწორებელი სკოლიდან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისას პრობაციის ოფიცერმა,

გამასწორებელმა სკოლამ და ოჯახმა უნდა დაიწყო ერთობლივი მუშაობა, არასრულწლოვნის შესაბამისი ცხოვრებისათვის მოსაშუადგებლად. აგრეთვე მათ უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანი საცხოვრებლით და მისცენ სწავლის ან მუშაობის გაგრძელების საშუალება.

კანონი არ განმარტავს ფორმალურ ან არაფორმალურ სტანდარტებს პრობაციისათვის. არ არსებობს უფლება, რომელიც პრობაციის კლიენტებს ჩივილის ნებას დართავდა. საჩივრებს იხილავს სამართალწარმოების მთელ პროცესზე პასუხისმგებელი პროკურორი. ქვეყანაში არ არსებობს ორგანო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა პრობაციის სამსახურების საქმიანობას; სრულწლოვან პრობაციის კლიენტებთან საქმიანობას აკონტროლებს ციხის მოსამართლეების უფროსი, ხოლო არასრულწლოვნებთან მეურვეობის ოფისის უფროსი. პროკურატურა სამართლებრივად პასუხისმგებელია ორი ჯგუფის საქმიანობაზე. საჩივრების განხილვის პროცედურა არ არის განმარტებული.

პრობაციის ოფიცრებმა უნდა ითანამშრომლონ ოჯახების დახმარების ცენტრებთან, ვინაიდან ისინი ახორციელებენ უფასო სამართლებრივ დახმარებას.

სისხლის სამართლის პროცედურის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ბრალდებულის უფლება - მთელი სამართალწარმოების მანძილზე გამოიყენოს მშობლიური ენა, რაც აგრეთვე გარანტირებულია ზედამხედველობის განხორციელების დროს.

როგორც წესი, მაღალი დიდი სხვაობაა დროში დანაშაულის ჩადენიდან სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე, რისი ნათელი მაგალითიც არის ის, რომ არასრულწლოვანთა პრობაციის კლიენტთა 50%-ს შეადგენენ სრულწლოვნები. რაც შეეხება სასჯელის შეფარდებასა და მის აღსრულებას, ამ მიმართულებით დავიანება ძალიან მცირეა.

უნგრეთში მოქალაქეთა კონსტიტუციურ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს იცავს ომბუდსმენი. მსჯავრდებულს ყველა სხვა სამართლებრივი გზების ამოწურვის შემდეგ უფლება აქვს საჩივრით მიმართოს ომბუდსმენს. ომბუდსმენის ოფისი იხილავს საჩივრებს ინდივიდუალურად და კანონის დარღვევის შემთხვევაში დგამს შესაბამის ნაბიჯებს. ომბუდსმენს არა აქვს უფლება გამოიძიოს სასამართლო სისტემის შემადგენელი ორგანოს საქმიანობა, ანუ ის ვერ გამოიძიებს სრულწლოვანთა პრობაციის ოფიცერთა საქმიანობას. მას აღნიშნული ქმედობის უფლება აქვს არასრულწლოვანთა პრობაციის ოფიცრებთან მიმართებით.

უნგრეთში არ არსებობს პრობაციის ინსპექტორატი, მაგრამ იუსტიციის სამინისტროს ციხის დეპარტამენტი ახორციელებს სასჯელთა აღსრულების ზედამხედველობას.

როდესაც კანონმდებლობა განმარტავს პატიმართა უფლებებს, არაფერია ნათქვამი იმ მსჯავრდებულებზე, რომლებსაც შეფარდებული აქვთ ალტერნატიული სასჯელები. კანონმდებლობის მეორე მნიშვნელოვან სისუსტეს წარმოადგენს სავალდებულო პროფესიული სტანდარტებისა და პრობაციის კლიენტთა საჩივრების განხილვის პროცედურის უქონლობა, რაც მოითხოვს სასწრაფო გამოსწორებას.

არსებული მიღწევები

უნგრეთში სისხლის სამართლის სისტემა ხანგრძლივი ცვლილებების საგანს წარმოადგენს. 1996 წელს, იუსტიციის სამინისტრომ სასჯელებისა და ზომების შესახებ 1979 წლის მე-11 აქტის გასაახლებლად და აღსრულების ახალი აქტის შესაქმნელად შექმნა პროფესიონალური კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მდივნის მოადგილე. აღნიშნული კომიტეტის შემადგენლობაში

შედიოდნენ შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლები, მოსამართლეები, პროკურორები, პროზაიკის ოფიცრები, პროზაიკის ოფიცრთა ეროვნული ასოციაციების წარმომადგენლები და აკადემიკოსები. არსებულმა კომიტეტმა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისას დაადგინა შემდეგი პრობლემები:

საჭიროა სამართალდაცვაი ორგანიზების მუდმივმოქმედი ქსელის განვითარება;

უნდა მოხდეს დადგენა იმ ორგანიზაციების დეტალური ურთიერთობისა და პასუხისმგებლობებისა, რომლებსაც წვლილი შეაქვთ სამართლის აღსრულების პროცესში;

საჭიროა ისეთი ცენტრალური ორგანოს შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებაზე;

აუცილებელია დაიწეროს პროზაიკისა და ციხის შემდგომი მზრუნველობის წესები. ციხის შემდგომი მზრუნველობა უნდა განიხილებოდეს, როგორც სოციალური სამუშაო;

პროზაიკის პირობები უნდა განახლდეს და საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს;

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პატიმართა ციხის შემდგომ მზრუნველობას.

პროზაიკის სამსახურებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილ სამუშაოებს ესაჭიროება უფრო დეტალური დებულებები;

პოლიციის ზედამხედველობისას დამატებითი სასჯელების არსებობის გასამართლებლად საჭიროა მოხდეს განხილვა;

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი პირობების შექმნა;

უნდა მოხდეს უფრო ფართოდ გაცნობიერება, რომ პროზაიკა დანაშაულის პრევენციის მნიშვნელოვანი საშუალებაა და პროზაიკის ოფიცრებს მეტი როლი უნდა მიენიჭოთ მსჯავრდებულის პირველი დამატომრებისა და გამოძიების პროცესში;

პროზაიკის ოფიცრებმა უნდა მოამზადონ მოხსენებები და ეს განსაკუთრებით უნდა სრულდებოდეს მაშინ, როდესაც შესაძლოა პირობების დამატება.

2001 წელს უნგრეთში დაიწყო ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მომზადება და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მთავრობის სისხლის სამართლის პროგრამაში შეტანილი იქნა ალტერნატიული სასჯელების ახალი ხედეა. 2001 წელს შეიქმნა ახალი კოდიფიკაციის კომისია იმისათვის, რომ ემუშავათ 1978 წლის IV აქტი დამატებების შესატანად და ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შესაქმნელად. დღესდღეობით კომისია სწავლობს სისხლის სამართლის სანქციათა სტრუქტურასა და ალტერნატიული სასჯელების დამკვიდრების საკითხს. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევა 2003 წლის 1 იანვარს, ალბათ, გამოასწორებს დაზარალებულთა მდგომარეობას. 2002 წლის დასაწყისში იუსტიციის სამინისტრომ შემდგომი პოლიტიკის დოკუმენტში გამოაქვეყნა თავისი მოსაზრებები. აღნიშნული წინადადებები ფუნდამენტურად შეცვლიან პროზაიკის სამსახურის არსებულ კონტექსტუალურ და ორგანიზაციულ სტრუქტურას და ამ სამსახურს გახდინა დანაშაულის შემგირებისა და კონტროლის სამთავრობო პოლიტიკის მთავარ ელემენტად. ამ წინადადებების მთავარ ელემენტებს წარმოადგენს:

პროზაიკის სამსახურის ორგანიზაციული რესტრუქტურისა (დაფინანსება, პროზაიკის სამსახურის გეოგრაფიული და ფუნქციონალური ასპექტები, პროფესიული მენეჯმენტის გაძლიერება, სამინისტროდან წამოსული სახელმძღვანელოები);

რეგულირების პრაქტიკა (პროფესიული სტანდარტების არსებობა);

ტრენინგის განახლება (პროფესიული ტრენინგისა და შიდასამსახურებრივი განგრძობითი ტრენინგის უზრუნველყოფა);

წინადადებების მიზანს წარმოადგენს:

პროფესიული სტანდარტებისა და სამსახურის ეფექტურობის გაზრდა;

ადგილობრივი პრობაციის სამსახურებისათვის დახმარების გაწევა, რათა იმოქმედონ ეროვნული მიზნებისა და სტანდარტების თანახმად;

მიაღწიონ ზომიერ აქტიურობას, პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებას;

გაიზარდოს მენეჯმენტის ეფექტურობა;

გაიზარდოს პრობაციის სამსახურში სამართალდამცავი ორგანოების ოფიცრების კონფიდენციალურობა;

გაიზარდოს ალტერნატიული სანქციების კონფიდენციალურობა;

შეიქმნას სხვა სამსახურებსა და ორგანიზაციებთან მუდმივი საერთაშორისო თანამშრომლობა;

განმტკიცდეს ადგილობრივ საზოგადოებებსა და სამსახურებს შორის ურთიერთობები.

აღნიშნული წარმოადგენს საფუძველს მომავალი პროფესიული სტანდარტების შესაქმნელად.

მთავარი მისამართები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართები და ვებგვერდები

Ministry of Justice

H-1055 Budapest, Kossuth ter 4

1363 Budapest, Pf. 54

Tel: +36 1 441-3003

Fax: +36 1 441-3002

E-mail: im@im.hu

Website: www.im.hu

General Directorate of The Prison Service

H-1054 Budapest

Steindl Imre utca 8

Tel: +36 1 301-8100

Hungarian ASSociation of Adult Probation Officers

(Magyar Partfogok Orszagos Szovetsege_

H-1055 Budapest

Marko u. 27 2nd Floor apt 20/8

Tel: +36 1 332-3330, ext.614

Fax: +36 1 3114-699

E-mail: maposz@freemail.hu

Hungarian Association of Juvenili Probation Officers

H-1024 Budapest,

Margit krt.25/A. V.5.

E-mail: fiposz@freemail.hu

Hungarian Society for Criminology
 H-1053 Budapest
 Egyetem ter 1-3
 Tel: +36 1 2664-869
 Fax: +36 1 2670-820, ext. 27-32
 E-mail: mkt@ajk.elte.hu
 website: www.kriminologia.hu

National Institute of Criminology
 H-1122 Budapest,
 Maros u.6/a
 Postal address: 1525 Budapest, Pf.41.
 Tel: + 36 1 3567-566
 Fax: +36 1 3567-219
 E-mail: okri@okri.hu
 website: www.okri.hu

სტატისტიკა

ტაბულა ა: რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობა დანაშაულთა სახეობების მიხედვით

რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა

დანაშაულის სახეები	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
ქონებრივი დანაშაულები	391072	365235	393003	457188	358036	311611	317900
მძიმე დანაშაულები	219436	181733	178492	174338	157578	147444	
მსუბუქი დანაშაულები	171636	183502	214511	282850	200458	164167	
მაღალდობრივი დანაშაული	25731	24674	26987	28414	28277	29144	
მძიმე დანაშაულები	17184	16201	17607	18022	1772	18091	
მსუბუქი დანაშაულები	8547	8473	9380	10392	10554	11054	
დანაშაულთა საერთო რაოდენობა	502036	466050	514403	600621	505716	450673	

ტაბულა ბ: არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი მძიმე და მსუბუქი დანაშაულები

წელი	მსჯავრდებული	არასრულწლოვნები
	მძიმე	მსუბუქი
1980	46.7%	53.3%
1999	66.7%	33.3%

ტაბულა გ: სრულწლოვნების მიერ ჩადენილი მძიმე და მსუბუქი დანაშაულები

წელი	მსჯავრდებული	სრულწლოვნები
	მძიმე	მსუბუქი
1980	29.5%	70.5%
1999	41.2%	58.8%

ტაბულა დ: ერთ და მრავალ დანაშაულში მსჯავრდებული არასრულწლოვნები

წელი	მსჯავრდებული	არასრულწლოვნები
	ერთჯერადი დანაშაული	მრავალი დანაშაული
1980	66.1%	33.9%
1999	47.1%	52.9%

ტაბულა ე: 1995-2001 წლებში ბრალდებული და მსჯავრდებული სრულწლოვნები

წელი	ბრალდებულ სრულწლოვანთა საერთო რიცხვი	საპატიმრო სასჯელები	გადავადებული სასჯელები	ჯარიმები	დამატებითი სასჯელები და ზომები
1995	76071	22954	13668	38070	14180
1996	74653	23224	13727	35894	14266
1997	79813	25512	15260	37944	14659
1998	88524	28721	17550	41907	16051
1999	87693	29465	17927	40911	14837
2000	86962	30270	18530	40014	13928
2001	87539	30418	18294	39911	13849

ტაბულა ვ: 1995-2001 წლებში ძირითადი სასჯელის გარეშე დამატებით სასჯელმისჯილი სრულწლოვნები

წელი	ბრალდებული სრულწლოვნები	დამატებითი სასჯელებისა და ზომების საერთო რიცხვი	შეჩერებული სასჯელები	მართვის უფლებაჩამორთმეულები
1995	76071	14180	13691	238
1996	74653	14266	13811	224
1997	79813	14659	14248	199
1998	88524	16051	15627	149
1999	87693	14837	14358	141
2000	86962	13928	13401	117
2001	87539	13849	13281	127

ტაბულა ზ: 1995-2001 წლებში ძირითად და დამატებით სასჯელმისჯილი სრულწლოვნები

წელი	ბრალდებულები	ძირითადი და დამატებითი სასჯელები	სახელმწიფო საქმიანობის ჩამორთმევა	პრობაცია	დამატებითი ჯარიმა	იძულებითი მკურნალობა
1995	76071	29698	8052	1615	2146	177
1996	74653	25863	8317	1638	1763	188
1997	79813	27078	9027	1762	2152	201
1998	88524	28886	9769	1964	2499	213
1999	87693	28910	10380	1789	2586	183
2000	86962	28103	10483	1528	2766	177
2001	87539	28081	10931	1406	2478	167

ტაბულა თ: 1995-2001 წლებში ბრალდებული და მსჯავრდებულები ახალგაზრდა მსჯავრდებულები

წელი	ბრალდებულები	პატიმრობა	გადავადებული პატიმრობა	ჯარიმა	დამატებითი სასჯელები და ზომები
1995	8504	2083	1486	510	5901
1996	8005	1890	1398	464	5643
1997	7247	1971	1423	477	4774
1998	7844	2217	1606	529	5041
1999	8802	2601	1909	750	5294
2000	7524	2103	1640	540	4727
2001	7029	1952	1476	374	4509

ტაბულა ი: 1995-2001 წლებში ძირითადი სასაქელის გარეშე დამატებითი სასაქელმისჯილი ახალგაზრდა მსჯავრდებულები

მსჯავრდებული ძირითადი სასაქელის გარეშე

წელი	მსჯავრდებული	სულ	შეჩერებული სასაქელი	გამასწორებელი სკოლა	მართვის აკრძალვა
1995	8504	5901	4932	159	206
1996	8005	5643	5060	112	143
1997	7247	4774	4199	162	92
1998	7844	5041	4410	232	97
1999	8802	5294	4701	191	88
2000	7524	4727	4368	255	71
2001	7029	4509	4143	297	54

ტაბულა კ: ძირითად სასაქელებთან ერთად დამატებითი სასაქელმისჯილი ახალგაზრდა მსჯავრდებულები

დამატებითი სასაქელები და ზომები

წელი	მსჯავრდებული	სულ	სახელმწიფო საქმიანობის ჩამორთმევა	პრობაცია	მართვის უფლების ჩამორთმევა	დამატებითი ჯარიმა
1995	8504	5665	341	5082	120	33
1996	8005	5917	285	5452	81	32
1997	7247	5252	306	4783	54	36
1998	7844	5774	330	5272	55	25
1999	8802	6350	393	5765	55	29
2000	7524	6359	210	6042	44	28
2001	7029	5937	227	5641	27	11

ტაბულა ლ: 2001 წელს სრულწლოვანთა პრობაციის სამსახურის დატვირთვა

სტატუსი	პრობაცია	ციხის შემდგომი მზრუნველობა	საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა
წლის დასაწყისში ახალი საქმეები	7004	66	3751
წლის მანძილზე	5639	567	3662

ტაბულა მ: სრულწლოვანთა პრობაციის სამსახურის მიერ განხორციელებული ზედამხედველობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დროს

წელი	წლის დასაწყისში	ახალი საქმეები	დასრულებული	მიმდინარე წლის ბოლოს
2000	3371	3068	2634	3751
2001	3751	3662	2664	4749

ტაბულა ნ: 1980-1999 წლებში პატიმრობის ხანგრძლივობა სრულწლოვნებისთვის

წელი	სულ	6 თვემდე	6-12 თვე	1-2 წელი	2-5 წელი	5 წელზე მეტი
1980	25066	12251	8727	2444	1387	244
1990	16121	4653	6284	2778	1503	363
1995	22969	10169	7848	2908	1646	398
1996	23239	10463	7837	3002	1507	430
1997	25256	11634	8407	3384	1605	496
1998	28738	13333	9569	3569	1774	493
1999	29474	12491	10679	4040	1758	506

ტაბულა ო: 1996-1999 წლებში ციხის სისტემაში დაკავებული უცხოელები

დაკავებულები	1996	1997	1998	1999
საერთო რიცხვი	12763	13405	14366	15110
მათ შორის უცხოელები	593	638	623	729
პროცენტული შეფარდება	4.6%	4.7%	4.3%	4.8%

ტაბულა პ: 1999 წლის 31 დეკემბრისათვის დაკავებულ უცხოელთა პატიმრობის რეჟიმები

რეჟიმი	რაოდენობა	%
მკაცრი რეჟიმი	71	9.7%
საშუალო რეჟიმი	148	20.3
დაკავება	20	2.7
იძულებითი მკურნალობა	2	0.2
წინასწარი დაკავება	488	66.9
სულ	729	100.0

თავი 6

ლატვია

ანგელიტა კამენსკა

პრობაციის სისტემის ისტორიული განვითარება და ძირითადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ

1.1 პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული წარსული

ლატვია წარმოადგენს ერთ-ერთს სამი ბალტიის რესპუბლიკიდან, რომელიც მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიის ზღვაზე. მისი მეზობელი ქვეყნებია ესტონეთი, რუსეთი, ბელორუსია და ლიტვა. სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის გამო ლატვიის ტერიტორიას ყოველთვის იპყრობდნენ უფრო დიდი ერები, რამაც განსაზღვრა ლატვიისა და ლატვიელების ბედი. ლატვიის რესპუბლიკა დაარსდა 1018 წლის 18 ნოემბერს. მიუხედავად მისი ოკუპაციისა საბჭოთა კავშირის (1940-1941, 1945-1991) და ნაცისტური გერმანიის მიერ (1941-1945), ეს სახელმწიფო 1920 წლიდან ხანგრძლივი დროის მანძილზე აღიარებული იყო სხვა ქვეყნების მიერ. 1991 წლის 21 აგვისტოდან ლატვიამ გამოაცხადა თავისი დე ფაქტო დამოუკიდებლობის აღდგენა.

ლატვიის მოსახლეობა შეადგენს 2.37 მილიონს. ეთნიკური თვალსაზრისით შემდეგი მდგომარეობაა: 58.2% ლატვიელები, 29.2% რუსები, 4% ბელორუსები, 2.6% უკრაინელები, 2.5% პოლონელები, 1.4% ლიტველები და 2.1 % სხვა ერები. ლატვიის მოქალაქეების ეთნიკური სიმრავლე გამოწვეულია ომის შემდგომი იმიგრაციით, რის შედეგადაც, ეთნიკური ლატვიელების შემადგენლობამ 1935 წლის 77%-დან 1989 წელს 52%-მდე დაიკლო. ლატვიის მოსახლეობის, დაახლოებით, 1/3(800.000) ცხოვრობს დედაქალაქში, რიგაში. რიგა დაარსდა 1201 წელს. ლატვიური ენა წარმოადგენს ბალტიურ ენას, რომელიც ეკუთვნის ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს და ერთ-ერთ უძველეს ენად მიიჩნევა ამ ოჯახის ენებს შორის. აღნიშნული ენა არ მიეკუთვნება არც სლავურ და არც გერმანულ ენებს და ენათესავენა მხოლოდ ლიტვურს.

ლატვია დემოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკაა. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან პარლამენტს, საეიმას, რომელიც შედგება 100 დეპუტატისგან. საპარლამენტო არჩევნები ტარდება ყოველ 4 წელიწადში. ქვეყნის მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი 4 წლის ვადით. პრეზიდენტი ხელს აწერს კანონებს, ნიშნავს პრემიერ-მინისტრს (რომელიც ხელმძღვანელობს მთავრობას) და ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციებს. ლატვია იყო პირველი აღმოსავლეთევროპული ქვეყანა, რომელმაც პრეზიდენტად აირჩია ქალი ვაიკე ვირა-ფრეიბარგა. ლატვიის საარჩევნო სისტემა პროპორციულ-წარმომადგენლობითია. ლატვიის მოქალაქეებს არჩევნებში მიღების უფლება 18 წლის ასაკიდან აქვთ. უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 2002 წლის 5 ოქტომბერს. სავარაუდოდ, მოსალოდნელია ცენტრალურ-მემარჯვენე კოალიციის გამარჯვება, ეინარს რეჰსეს (ახალი დროის პარტია) ან ანდრის სკელეს (სახალხო პარტია) ხელმძღვანელობით.

ეკონომიკის მთავარ სექტორებს წარმოადგენენ ელექტრონიკა და მექანიკური მშენებლობა, ქიმიური და ფარმაცევტული ინდუსტრია, ხის მასალის წარმოება, საკვების წარმოება, ტექსტილი და ინფორმაციული ტექნოლოგიები. ლატვიას სამი უდიდესი პორტი აქვს: ვენტსპილსი, რიგა და ლიეპაია. ვენტსპილსი წარმოადგენს ბალტიის ზღვის რეგიონში უდიდეს პორტს და ტვირთბრუნვის თვალსაზრისით ერთ-ერთ უდიდესს ევროპის 15 პორტს შორის. 2001 წელს GDP ზრდის დონე იყო 7.7%, როდესაც ინფლაცია იყო 2.5%. 2001 წელს უმუშევრობის დონე 13.1% იყო. მთავარ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს ევროკავშირი.

უახლოეს წლებში ლატვია შეეცდება გახდეს ნატოსა და ევროგაერთიანების წევრი.

1.2 პრობაციის სამსახურის სისტემის ისტორია

1.2.1 ომებს შორის პერიოდი 1918-1940

ლატვიაში 1918 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ძალაში იყო რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა. იუსტიციის სამინისტროს მიერ 1920 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა ემუშავა სისხლის სამართლის კოდექსის განახლებაზე, მაგრამ ახალი კოდექსი 1933 წლამდე არ შესულა ძალაში. ახალი კოდექსი ეფუძნებოდა რუსულ კანონებს, რომელშიც შეტანილი იყო მნიშვნელოვანი ცვლილებები. რუსული კანონმდებლობით არსებული რვა კატეგორიის სასჯელის ნაცვლად, ლატვიური ითვალისწინებდა მხოლოდ ხუთს: 1) იძულებითი მუშაობა ცხოვრების ბოლომდე ან ოთხიდან თხუთმეტ წლამდე, პირადი უფლებების ჩამორთმევით; 2) ერთიდან ოთხ წლამდე გამასწორებელი პატიმრობა; 3) ორი კვირიდან ოთხ წლამდე პატიმრობა; 4) ერთი დღიდან ექვს თვემდე პატიმრობა; 5) ჯარიმა. ახალი კოდექსიდან ამოღებულ იქნა დემორტაცია, ვინაიდან ლატვიას არ გააჩნია კოლონიები და აგრეთვე ამოღებულ იქნა შინაპატიმრობა და ციხესიმაგრეში დაპატიმრება. სიკვდილით დასჯა გაუქმდა ჩვეულებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და დატოვებულ იქნა მხოლოდ სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსში.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი გაიზარდა 10-დან 12 წლამდე. 18 წლის ქვევით მყოფი ახალგაზრდებისათვის არ შეიძლებოდა პატიმრობის ან იძულებითი მუშაობის შეფარდება. ამის ნაცვლად მათ ეფარდებოდა გამასწორებელ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში პატიმრობა. ასეთ შემთხვევებში დაპატიმრება და ჯარიმა, შესაძლოა შეეკლიოდა მენიშენისა და გაფრთხილების მიცემის სახით. მხოლოდ 18 წლის და მეტი ასაკის პირები შეიძლება ყოფილიყვნენ დაპატიმრებულები, მაგრამ ამ შემთხვევაშიც პატიმრობის ვადა განახევრდა. 1922 წელს შემოღებულ იქნა სასჯელის გადავადება. სასამართლოს უფლება ჰქონდა გამოეყენებინა სასჯელის აღსრულების გადავადება, როდესაც მსჯავრდებულს შეფარდებული ჰქონდა საპატიმრო სასჯელი, წინასწარი პატიმრობა, ჯარიმა, ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა ან სხვა მოვალეობები. იმ პირებს, რომლებსაც შეფარდებული ჰქონდათ პატიმრობა ან უფრო მკაცრი სასჯელი, ეფარდებოდათ 5-წლიანი პრობაცია, ხოლო სხვა შემთხვევებში 3 წელი. სხვა სიახლეს წარმოადგენდა კანონი, რომლის თანახმადაც, ბრალდებული არ ისჯებოდა, თუ მან არ იცოდა, რომ ქმედობა დანაშაულებრივი იყო. ლატვიურმა კოდექსმა აგრეთვე შემოიღო სოციალური პრევენციის ზომა: ლოთებისა და ნარკომანებისათვის 1 წლამდე ვადით სტაციონარული მკურნალობა და 6 თვიდან 2 წლამდე შრომითი კოლონიები „გამოუსწორებელი ზარმაცებისთვის“ გაზეთის თანახმად (1938 წლის № 13 Musu majas viesis):

„მათ ვინც ჩაიდინეს დანაშაული სიზარმაცის გამო, უნდა იმუშაონ 2 წლამდე შრომით კოლონიაში და დაკავდნენ ფერმერული საქმიანობით, რათა ისწავლონ მუშაობა გულითადად. მათხოვრებისა და მაწანწალების გარდა, კიდევ არიან სხვა კატეგორიის კანონის დამრღვევები. მათმა უმრავლესობამ ჩაიდინა მრავალჯერადი ქურდობა, შემდეგ კი თაღლითებად და ლოთებად გადაიქცნენ“

მაგები, რომლებიც არ ეხმარებოდნენ თავიანთ შვილებს, აგრეთვე იგზავნებოდნენ შრომით კოლონიებში; მათ იქ უხდიდნენ ხელფასს, რომლის უმეტესი ნაწილი ეგზავნებოდა ოჯახს. იმ კატეგორიის პირებს, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენდნენ საზოგადოებისათვის, უსაფრთხოების მიზნით შემოღებულ იქნა პატიმრობა 5-10 წლით.

უფლების ჩამორთმევის ბრძანება გულისხმობდა: პატივის უფლებას, სამხედრო წოდებას, პასიურ და აქტიურ საარჩევნო უფლებას (5 წლით), მეურვედ ყოფნის უფლებას და

პროფესიულ უფლებას (1 წლით). ამ უფლებების აღდგენა შეიძლებოდა ამნისტიით ან სასამართლო პროცესის მეშვეობით.

იძულებითი მუშაობის, გამასწორებელი პატიმრობის ან პატიმრობაშეფარდებულ მსჯავრდებულებს, რომლებსაც არ მოათავსებენ შრომით კოლონიაში ან წინასწარი დაკავების ქვეშ, შესაძლოა შეეფარდოთ პოლიციის ზედამხედველობა 3 წლამდე ვადით.

1923 წელს ცენტრალურმა ციხის დეპარტამენტმა შექმნა ოთხი შემსუბუქების საზოგადოება, რომელთა წარმომადგენლობები გაიხსნა ციხეების ახლო მდებარე დიდ ქალაქებში. ეს ორგანიზაციები მატერიალურ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევდნენ გათავისუფლებულ პატიმრებს, ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პატიმრებსა და პირობით მსჯავრდებულებს. ისინი აგრეთვე ახორციელებენ პატიმართა ოჯახების დახმარებას. ამ ორგანიზაციების განვითარებას ხელი შეუშალა კვალიფიციური თანამშრომლების, ფინანსური რესურსებისა და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის უქონლობამ. 1934 წელს, როდესაც დაიწყო ციხის რეფორმა, ციხის დეპარტამენტმა გადაწყვიტა შემოეღო ყოფილ პატიმართა მეურვის თანამდებობა და აღნიშნულის შესასრულებლად დანიშნავდა სამოქალაქო მოხელეს, რომელიც დაფარავდა რიგის რეგიონალური სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას. აღნიშნული იდეა მოწონებულ იქნა იუსტიციის სამინისტროს მიერ და პიროვნება დანიშნულ იქნა ამ თანამდებობაზე. მეურვის ფუნქციებში შედიოდა ციხეების მონახულება, გათავისუფლების შემდეგ რჩევების მიცემა პატიმრებისათვის კანონმორჩილი ცხოვრების დასაწყებად, ოჯახის წევრებთან და ყოფილ დამსაქმებლებთან კავშირის დამყარება დახმარება, გათავისუფლების შემდეგ საცხოვრებელითა და სამუშაოთი უზრუნველყოფა და მეურვეობის ქვეშ მყოფი პირების ზედამხედველობა. რიგში წარმოებულმა ერთწლიანმა საქმიანობამ დადებითი შედეგები გამოიღო, რის გამოც სამინისტროს მიერ მეურვეები კიდევ სამ რეგიონში იყვნენ დანიშნული. რამდენიმე წლის შემდეგ მეურვეობის ოფისებს საშუალება ჰქონდა სამსახური ემოვა ყველა იმ ყოფილი პატიმრისათვის, რომელსაც ამის სურვილი ექნებოდა. ციხის დეპარტამენტის დირექტორი კ. ვიეტმანისი წერდა: „სასამართლოს წინაშე წარმდგარ არც ერთ ყოფილ პატიმარს არ შეეძლო დაეჩვილა, რომ მათ დანაშაული იმიტომ ჩაიდინეს, რომ არ ჰქონდათ სამსახური“. პირველი მეურვეობის სახლი შეიქმნა რიგაში, სადაც განთავსების საშუალება ჰქონდა 50 ყოფილ პატიმარს. პატიმრებს, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ ეცხოვრათ კანონმორჩილი ცხოვრებით, მაგრამ ვერ პოულობდნენ სამსახურს ციხის შემდგომი ზედამხედველობის გამო, შეეძლოთ დარჩენილიყვნენ ამ სახლში. აღნიშნულ სახლს ჰქონდა რამდენიმე სახელოსნო, სადაც მუდმივი სამსახურის პოვნამდე მუშაობა შეეძლოთ ყოფილ პატიმრებს. მეურვეები ეხმარებოდნენ მათ ფულის შენახვაში.

1.2.2 საბჭოთა პერიოდი 1945-1990

1940 წლის 6 ნოემბერს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა „1940 წლის 26 ნოემბრიდან შერეებულყოფი ყველა დაუსრულებელი საკავშირო კოდექსების პუბლიკაცია და გამოყენებინათ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის კოდექსები: სისხლის სამართლის, სისხლის საპროცესო სამართლის, სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის პროცესის“

1957 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო მიხვდა, რომ რუსეთის ფედერაციის კოდექსები დაძველდა და თებერვალში გამოსცა ახალი კანონი, რომლის თანახმადაც, რესპუბლიკებს ტექნიკურად მიეცათ საშუალება შეექმნათ საკუთარი სასამართლო სისტემა, სისხლისა და სამოქალაქო სამართალი, და სასამართლო პროცედურები. 1958 წლის

დეკემბერში სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესატანად გამოიკა მიერთადი კანონები. სისხლის სამართლის კოდექსების შესაძრმუაეებლად მიწეეული იყენნ ბალტიის რესპუბლიკებიც, მაგრამ მიუხედავად ხრუმწოვის „დათობობის“ პერიოდისა, კოდექსები შემუშაეებულ იქნა საბჭოთა ბიუროკრატების მიერ და შემდგომში ფორმალურობის დასაცავად მიღებულ იქნა ბალტიის რესპუბლიკების უმადლესი საბჭოების მიერ. 1961 წლის 1 აპრილს ძალაში შევიდა ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები.

აღნიშნული კოდექსების თანახმად, სასჯელების ჩამონათვალში, თითქმის ყველა დანაშაული „სახელმწიფოს წინააღმდეგ“ (ფორმალურად კონტრეველუციური დანაშაულები) ითვალისწინებდა „გამონაკლის სისხლისსამართლებრივ ზომას“, რაც იყო სიკვდილით დასჯა. აღნიშნული სასჯელი შეეფარდებოდა შემდეგი სახის დანაშაულებს: ღალატი, მზიონაქი, ტერორიზმი, ანტისახელმწიფოებრივი ქმედობა და სხვა სერიოზული დანაშაულები. სხვა სასჯელები (სსკ 21 მუხლი) ითვალისწინებდნენ: 1) ძირითად სასჯელებს: პატიმრობა, გარკვეული თანამდებობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, სამსახურიდან გათავისუფლება, ჯარიმები, სოციალური ცენზურა (სავადღებულო სამხედრო სამსახურში განეეული ჯარისკაცი შესაძლოა გაზავანილი ყოფილიყო დისციპლინურ ბატალიონში); და დამატებითი სასჯელები: ქონების კონფისკაცია, მშობლის უფლების ჩამორთმევა, სპეციალური ტიტულების ან სამხედრო წოდების ჩამორთმევა. კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, შესაძლებელი იყო საცხოვრებლიდან გასახლება, რაც ნიშნავდა დეპორტაციას. აგრეთვე არსებობდა იძულებითი ჩასახლება კოლონიაში.

კოდექსის თანახმად, შესაძლებელი იყო გამასწორებელი მუშაობა პატიმრობის გარეშე, რაც გულისხმობდა მსჯავრდებულის ხელფასის 5%-დან 20%-მდე დაქვითვას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, მაგრამ პირს უფლება ჰქონდა ემუშავა თავის სამუშაო ადგილას ან სხვაგან, საკუთარ საცხოვრებელთან ახლოს. კოდექსის თანახმად, აგრეთვე შესაძლებელი იყო პირობითი მსჯავრისა და პირობითი გამასწორებელი სამუშაოს შეფარდება. პრობაციის პერიოდის ხანგრძლივობა დადგენილი იყო 1-დან 5 წლამდე. შეიძლებოდა მსჯავრდებულის ზედამხედველობას დამატებოდა ინდივიდუალური ან კოლექტიური მუშაობა.

1.2.3 დამოუკიდებლობის თავიდან მოპოვება

1991 წლის აგვისტოში ლატვიამ მოიპოვა დე ფაქტო დამოუკიდებლობა. 1992 წელს მიღებულ იქნა კანონი სასამართლო ხელისუფლების შესახებ, რომლის თანახმადაც, მოხდა სასამართლო სისტემის რეფორმირება და შეიქმნა კონტინენტურ ევროპულ მოდელზე დაფუძნებული ახალი სასამართლო სისტემა. 1993 წელს აღდგენილ იქნა 1922 წლის კონსტიტუცია.

1990 წელს დაიწყო მუშაობა სისხლის სამართლის კანონპროექტზე, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს. მთელი რიგი ისეთი სასჯელებისა, რომელთაც კავშირი არ ჰქონდათ თავისუფლების ჩამორთმევასთან (მაგალითად, სასჯელის გადავადება, გარკვეული თანამდებობის უფლების ჩამორთმევა, სახელმწიფო ცენზურა, მშობლად ყოფნის უფლების ჩამორთმევა, სამხედრო წოდების, სპეციალური ტიტულების, მედლებისა და ორდენების ჩამორთმევა) ამოღებულ იქნა ძველი კოდექსიდან. აგრეთვე ამოღებულ იქნა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის კონცეფცია. ახალმა კანონმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად დაადგინა 14 წელი. მანამდე სისხლისსამართლებრივი პასუ-

ხისმგებლობის ასაკად უმეტეს დანაშაულებზე დადგენილი იყო 16 წელი, ხოლო 14 წლის შემთხვევაში სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგებოდა მხოლოდ რამდენიმე დანაშაულთან მიმართებით (მკვლელობა, მარცვა, ქურდობა). მიმემ და განსაკუთრებით მიმემ დანაშაულის ჩადენისათვის გაიზარდა პატიმრობის ვადა და ნაცვლად ძველ კოდექსში არსებული 10 და 15 წლისა, მიაღწია 15 და 20 წელს. პატიმრობის ვადა განისაზღვრა 6 თვიდან სამუდამო პატიმრობით.

დამკვიდრდა სასჯელის ისეთი ახალი ფორმა, როგორცაა წინასწარი პატიმრობა, რომელიც ითვალისწინებდა თავისუფლების დაკარგვას 10 დღიდან 6 თვემდე. კანონის თანახმად, დამატებითი სასჯელის ფორმად დადგინდა პოლიციის ზედამხედველობა, რომელიც გულისხმობდა ციხიდან გათავისუფლებული პატიმრის მიმართ პოლიციის მიერ დადგენილი აკრძალვებისა და ყოფაქცევის კონტროლს. აგრეთვე გაორმაგდა მაქსიმალური ჯარიმის ოდენობა და მიაღწია 200 მინიმალური ხელფასის ოდენობას.

აგრეთვე გავრცელდა პირობითი სასჯელები. შესაძლებელი გახდა მსჯავრდებულებისათვის პატიმრობისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება და ამავე დროს დაჯარიმება. სასამართლოს მიერ პირობითი სასჯელის შეფარდებისას შესაძლებელია აგრეთვე დამატებითი სასჯელის დამატებაც, რაც ზშირად სასამართლოს აუცილებლად მიაჩნია. პრობაციის პერიოდად დადგინდა 6 თვიდან 3 წლამდე, მანამდე არსებული 6 წლის ნაცვლად, რომელსაც სისხლის სამართლის ძველი კოდექსი ადგენდა.

ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა არა მარტო დამკვიდრა ახალი ტიპის სასჯელები, არამედ აგრეთვე კრიმინალიზაცია გაუკეთა მცირე დონის ქურდობებს, რის გამოც 1999 წლის პირველი 8 თვის მანძილზე ძალიან გაიზარდა კრიმინალური სტატისტიკა:

„1998 წლამდე პოლიცია თავს არ იჩუხებდა მცირე დანაშაულების გამოძიებით (1 ლატი(0.6 \$0 ან ნაკლები), მაგრამ ახლა მათ უწყვეტ ამის გაკეთება. სახელმწიფო პოლიციის სპიკერმა თქვა, რომ 1992 წლიდან 1998 წლამდე იკლო დანაშაულთა რიცხვმა. სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა ეს კურსი შეცვალა. კანონის ცვლილებების შემდეგ პოლიციამ უნდა გამოიძიოს ყველა მცირე დანაშაული, თუნდაც ეს 1 ლატს ეხებოდეს“ (Baltic Times, 2000 წლის 28 სექტემბერი).

1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო სერიოზული საერთაშორისო და შიდა კრიტიკა წინასწარი დაკავების ვადის ხანგრძლივობისა და წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების დიდი ოდენობისა. იმ დროს, როდესაც 1991 წელს წინასწარ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთა რიცხვი აღწევდა 28%-ს, ამ რიცხვმა 2002 წელს 44%-ს მიაღწია. 2002 წელს პატიმართა რაოდენობის მიხედვით ლატვიას მე-17 ადგილი ეკავა მსოფლიოში, ყოველ 100.000 ადამიანზე 360 პატიმრით. 2000 წელს გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა გამოხატა თავისი შეშფოთება იმ არასრულწლოვნების მიმართ, რომლებიც დიდ დროს ატარებდნენ წინასწარი დაკავების საკეზში და რეკომენდაცია მისცა ლატვიას განეხილა თავისი კანონები არასრულწლოვნებთან მიმართებით და მოეყვანა საერთაშორისო სტანდარტებსა და კონვენციებთან შესაბამისობაში. რეკომენდაცია აგრეთვე ითვალისწინებდა, რომ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა უნდა მომხდარიყო ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, ხოლო წინასწარი პატიმრობა უნდა ყოფილიყო უმოკლესი ვადით, ამასთან, როგორც უკანასკნელი საშუალება. აგრეთვე იძლეოდნენ რჩევას, რომ ნაცვლად წინასწარი პატიმრობისა, ყოველ შესაძლო შემთხვევაში უნდა ყოფილიყო გამოყენებული ალტერნატიული ზომები.

ლატვიის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ წამების პრევენციის ევროპული კომისიის მიერ გაკეთებული მოხსენება, რომელიც გამოქვეყნდა 2001 წლის ნოემბერში, ლატვიის ხელისუფლებას ავალებდა იმპლემენტაცია გაკეთებინათ R (80) და R(92)17 რეკომენდაციის პრინციპებისათვის. შემდგომში დაწერილი

ვეროგაერთიანების განვითარების რამდენიმე მოხსენება ლატვიის შესახებ ხაზს უსვამდა, რომ „წინასწარი დაკავების პერიოდი სერიოზული შემოფოების საგანს წარმოადგენს. წინასწარი დაკავების საკნებში მოთავსებული არიან პატიმართა საერთო რაოდენობის 44%. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა არასრულწლოვნებთან მიმართებით, რომლებიც შეადგენენ წინასწარ პატიმრობაში მყოფთა საერთო რაოდენობის 70%-ს. წინასწარი დაკავების ვადები ასევე შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებისა. მოხსენება აგრეთვე მიუთითებს, რომ სახსრების უქონლობის გამო „ქვეყანაში არ არის შექმნილი პრობაციის საშაბური“, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ სისტემის იმპლემენტაციას. გადადებულია 2003 წლამდე.

2000 წლის აპრილში ბრასას არასრულწლოვანთა ციხე მონიხსულა ქვეყნის პრეზიდენტმა ვაირა ვიკე-ფრაიბერგამ. მან სასტიკად გააკრიტიკა არასრულწლოვანთა წინასწარი დაკავების ხანგრძლივი ვადა და დაკავების პერიოდს უწოდა „არანორმალურად გრძელი“. ლატვიის ადამიანის უფლებათა და ეთნიკურ სწავლებათა ცენტრმა თავის ყოველწლიურ მოხსენებაში აღნიშნა, რომ „2001 წელს უპირველესი პრობლემა ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში იგივე რჩება, რაც წინა წლებში იყო: სასამართლოების მიერ თავიანთი საქმიანობის შეუსრულებლობა იწვევს ხანგრძლივ წინასწარ პატიმრობას“.

მზარდადაა საერთაშორისო და ადგილობრივმა კრიტიკამ აიბულა მთავრობა ამ მიმართულებით ნაბიჯები გადაედგა, ვინაიდან ეს საკითხი შესაძლოა გამხდარიყო ვეროგაერთიანებაში შესვლის დაბრკოლების მიზეზი. 1999 წელს მიღებულ მთავრობის დეკლარაციაში დაპირებული იყო, რომ მოხდებოდა სისხლის სამართლის პოლიტიკის გადახედვა და ევროპულ სტანდარტებსა და ევროპული ქვეყნების გამოცდილებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

1990 წელს დაიწყო მუშაობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტზე და დასრულდა 2000 წელს, მაგრამ აღნიშნული კოდექსი არ პასუხობდა თანამედროვე კურსს, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და თავისი არსით მეტად საბჭოური იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიქმნა ახალი სამუშაო გეგმი ახალი კოდექსის პროექტის შესამუშავებლად, რომელიც გამოქვეყნდა 2002 წლის ოქტომბერში. ამავე წელს პარლამენტის მიერ მიიღო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასამართლო განხილვების დაჩქარებას.

2001 წელს შეიქმნა მთელი რიგი სამუშაო გეგმებისა, რომლებსაც უნდა ემუშავათ სისხლის სამართლის რეფორმის სფეროში. ერთ-ერთმა ასეთმა გეგმამ, რომელიც შექმნილი იყო სასჯელთა სისტემაში ცვლილებების შეტანის მიზნით, შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები: 1) პატიმართა რაოდენობის შემცირების მიზნით, აუცილებელი არ არის სასჯელი იყოს გრძელვადიანი ან მკაცრი; 2) საჭიროა საპატიმრო სასჯელების მეტი პრაქტიკული ალტერნატივა, რომლებიც არ ითხოვენ მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს; 3) სასამართლოებმა სასჯელების შეფარდებისას უნდა იხელმძღვანელონ დანაშაულის შედეგებითა და ზიანით, რა დროსაც უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოს, საზოგადოებისა და დაზარალებულის ინტერესები. ერთი წლის შემდეგ სამუშაო გეგმამ დაიწყო მუშაობა სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე, რათა მომხდარიყო არასაპატიმრო სასჯელების ფართოდ გამოყენება.

2001 წლის ზაფხულში ბავშვთა უფლებების დაცვის ეროვნულ ცენტრში შეიქმნა სხვა სამუშაო გეგმი, რომლის საქმიანობაც მიმართული იყო არასრულწლოვანთა იუსტიციის სტრატეგიის პროექტის შემუშავებისკენ. სტრატეგია ფოკუსირებული იყო ოთხ ძირითად მიმართულებაზე: დანაშაულის პრევენციის პროგრამებში ადრეული ჩარევა; ახალგაზრდა მსჯავრდებულები და სასამართლო სისტემა; ახალგაზრდა მსჯავრდებულები წინასწარი დაკავებისას; პატიმრობის შემდგომი პროგრამები. 2002 წლის ოქტომბერში აქტმა

განათლებისა და საგანმანათლებლო ზომების შესახებ პარლამენტში მიღწია მესამე მოხმენას.

ლატივის კანონმდებლობაში ტერმინი „პრობაცია“ პირველად გამოჩნდა 1998 წელს. სასჯელთა აღსრულების კოდექსის 120-ე მუხლი ადგენს, რომ პრობაციის სამსახური უნდა შეიქმნას იუსტიციის სამინისტროს დახმარებით. აღნიშნულის მიზეზი იყო იმ პერიოდისათვის პრობაციის ძალიან ვიწრო მიმართულებით გაგება, ანუ როგორც დახმარება ციხეებიდან და წინასწარი დაკავების დაწესებულებებიდან გამოსული პირებისათვის. დაფინანსების უქონლობის გამო პრობაციის სამსახურის შექმნა გადავადებულ იქნა 2002 წლის 1 აპრილამდე, მაგრამ 2002 წლის ოქტომბერშიც ლატვიაში არ არსებობდა პრობაციის სამსახური. ნავარაუდებია, რომ 2003 წლისთვის შეიქმნება პრობაციის სამსახური.

2001 წლის დეკემბერში იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა იუსტიციის, შინაგან საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების, კეთილდღეობის სამინისტროებისა და სასამართლოების, ადგილობრივი ხელისუფლების, მუნიციპალური ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფს უნდა შეემუშავებინა პრობაციის მოდელი და კანონი პრობაციის შესახებ. 2002 წლის ოქტომბერში სახელმწიფო მდივნის კომისიას მიეწოდა ორივე დოკუმენტი და აგრეთვე შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით განსახილველად გაეგზავნათ შესაბამისი სამინისტროებს. პარლამენტში მოხვედრამდე კანონმა შესაძლოა განიცადოს მნიშვნელოვანი ცვლილებები.

აღნიშნულმა საქმიანობამ ნიშანი მისცა მთავრობას, რომ საჭირო იყო არასრულწლოვანთა იუსტიციის რეფორმა. მიუხედავად აღნიშნულისა, აუცილებელია მეტი თანამშრომლობა სამუშაო ჯგუფებს შორის, რათა წარმოდგენილი იყოს სისხლის სამართლის რეფორმის ერთიანი გეგმა.

1.3 სასამართლო სისტემა

კონსტიტუცია და კანონი სასამართლო ხელისუფლების შესახებ ადგენს სამეტაპიან სასამართლო სისტემას: რაიონული სასამართლოები, რეგიონალური სასამართლოები და უზენაესი სასამართლო. რაიონული სასამართლოები წარმოადგენენ პირველ ინსტანციას ყველა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე, თუ კანონმდებლობით რაიმე სხვა არ არის გათვალისწინებული. სისხლის სამართლის საქმეებს იხილავენ ერთი პროფესიონალი მოსამართლე და ორი სხვა არაპროფესიონალი მოსამართლე (მსაჯული). რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს რეგიონალურ სასამართლოში ან კასაციის პროცედურით უზენაეს სასამართლოში. სერიოზული დანაშაულისას, სისხლის სამართლის საქმეებზე, რეგიონალური სასამართლოები წარმოადგენენ პირველ ინსტანციას. რაიონული სასამართლოების გადაწყვეტილებებზე რეგიონული სასამართლოები აგრეთვე მოქმედებენ, როგორც სააპელაციო სასამართლოები. კონსტიტუციისათან შეუსაბამობასთან დაკავშირებით საქმეებს იხილავს საკონსტიტუციო სასამართლო და შეუძლია გააუქმოს კანონები ან მათი ძალაში შესვლა. ამ მოსამართლეებს ნიშნავს პარლამენტი. 2001 წლის ივნისიდან ცალკეულ პირებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საჩივრით მიმართვის უფლება მიეცათ.

2001 წლის მარტისათვის ლატვიაში 423 მოსამართლე იყო: 219 რაიონულ სასამართლოში, 88 - რეგიონალურში და 38 - უზენაესში. ამ მოსამართლეთა უმრავლესობამ მუშაობა დაიწყო 1990 წლიდან. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოსამართლეთა უმეტესობა 60-70% (მათ შორის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა 30%) გადადგა საკუთარი ინიციატივით.

1994 წელს მიღებულმა კანონმა პროკურატურის შესახებ დაამკვიდრა ახალი პრინციპები და პროკურორებს მიანიჭა დამოუკიდებლობა და იმუნიტეტი. ლატვიის პროკურატურის სისტემა წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სამდონიან სისტემას, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი. სისტემა სამდონიანია: 1) რაიონული და ქალაქის პროკურატურები (მათი რიგები დამოკიდებულია რაიონებისა და ქალაქის სასამართლოებზე); 2) რეგიონალური პროკურატურა; 3) გენერალური პროკურატურა. პროკურორების ფუნქციებია: საგამოძიებო სააგენტოების საქმიანობის ზედამხედველობა, წინასწარი გამოძიების წარმოება, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და წარმოება, სასამართლო ხელისუფლების ყველა ინსტანციაში სახელმწიფოს სახელით ბრალმდებლად გამოსვლა, პროტესტების წარდგენა, სასჯელთა აღსრულების ზედამხედველობა და მონაწილეობის მიღება პატიმრობის პირობებისა და რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებულ სასამართლო განხილვებში. წინასწარი გამოძიების ეტაპზე პოლიცია პასუხისმგებელია გამოძიების წარმოებაზე; პროკურორის ამოცანაა წაუყენოს ბრალი მსჯავრდებულს და საქმე გადაუტანოს სასამართლოს.

პრობაციის სამსახურის სამართლებრივი საფუძვლები და დებულება

2.1 სამართლებრივი საფუძვლები

დღესდღეობით ლატვიაში არ არსებობს პრობაციის სამსახური. მიუხედავად ამისა, მთავრობაში წლების მანძილზე მიმდინარეობს დისკუსია სამსახურის შექმნის შესახებ. 2002 წლის ოქტომბერში იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილმა ჯგუფმა შეიმუშავა სამსახურის მოდელი და კანონი პრობაციის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები მთავრობაში წარმოადგენს განხილვის საგანს.

2.2 პრობაციის სამსახურის ფუნქციები და მთავარი მიზნები

კანონპროექტის მე-4 მუხლში მოცემულია ჩამონათვალი პრობაციის ეროვნული სამსახურის მთავარი მიზნებისა: განმეორებითი დანაშაულის პრევენცია, დანაშაულის შედეგების გაადვილებაში მსჯავრდებულების, დაზარალებულებისა და საზოგადოების ჩართვა, მსჯავრდებულების ზედამხედველობა საზოგადოებაში და მათი სოციალური ინტეგრაციისათვის ხელის შეწყობა, სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების ორგანიზება და განხორციელება, დანაშაულის პრევენციის პროგრამების დანერგვა, პრობაციის სამსახურის ფუნქციების შესრულებაში თანამშრომლობა სახელმწიფოსთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პრობაციის თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება. პრობაციის სამსახურის საქმიანობას წარმართავს თანამშრომლობის პრინციპები, რესურსების ოპტიმალური გამოყენება და სოციალური პრინციპების ჩართვა.

თანახმად კანონპროექტისა, პრობაციის ეროვნულ სამსახურს აკისრია შემდეგი ფუნქციები:

მოსამართლის ან პროკურორის მოთხოვნით, მსჯავრდებულის შესახებ შეფასების მოხსენების მომზადება;

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კოორდინაცია, როდესაც იმპლემენტაცია წარმოადგენს ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობას;

პირობითი მსჯავრდებულებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულების ზედამხედველობა;

დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის შუამავლობის ორგანიზება;

ციხიდან გათავისუფლებულ პირთათვის დახმარების აღმოჩენა;

მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრების საქმიანობის კოორდინაცია;

თანამშრომლობა ციხეებთან;

მუხლი 18 ადგენს საინფორმაციო ბაზის შექმნის საჭიროებას. პრობაციის სამსახური შექმნის შესაბამის საქმეებს მათს დაქვემდებარებაში მყოფი პირების შესახებ.

პრობაციის სამსახურის ორგანიზაცია

3.1 წინასიტყვაობა

დღესდღეობით ლატვიაში არ არსებობს პრობაციის სამსახური. მიუხედავად ამისა, მთავრობაში წლების მანძილზე მიმდინარეობს დისკუსია სამსახურის შექმნის შესახებ. 2002 წლის ოქტომბერში იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილმა ჯგუფმა შეიმუშავა სამსახურის მოდელი და კანონი პრობაციის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები მთავრობაში წარმოადგენს განხილვის საგანს.

3.2 პრობაციის სამსახურის ორგანიზაცია

შეთავაზებული წინადადებების თანახმად, პრობაციის სამსახური იქნება იუსტიციის სამინისტროს შემადგენელი ნაწილი, რომელსაც ექნება შემდეგი სტრუქტურა: პრობაციის ეროვნული სამსახურის ცენტრალური დეპარტამენტი და ადგილობრივი საქალაქო და რაიონული დეპარტამენტები.


საზოგადოებაში აგრეთვე მიმდინარეობს დისკუსია ლატვიისათვის პრობაციის სამსახურის ყველაზე უფრო მისაღებ მოდელზე. მთელი რიგი ექსპერტების მოთხოვნის თანახმად, მოდელი საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყოს სახელმწიფო პრობაციის თანამშრომლების, მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების დაქირავება, რათა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა განახორციელონ პრობაციის ფუნქციები. ზოგიერთ მუნიციპალიტეტსა და რეგიონში, პრობაციის ფუნქციები წარმატებულად ხორციელდება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლების მიერ და აღნიშნული უნდა გაგრძელდეს მთავრობის მიერ შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერით. ისეთ რეგიონებში, სადაც მუნიციპალური მთავრობები ფატარაა, შეიძლება საჭირო გახდეს სახელმწიფო პრობაციის ოფიცრების დაქირავება. პრობაციის ეროვნულ სამსახურს უნდა ჰქონდეს კოორდინატორის როლი და უნდა აკონტროლოს, რომ ქვეყნის მასშტაბით პრობაციის ფუნქციები ხორციელდება დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

პრობაციის ეროვნული სამსახურის განვითარება დაგეგმილია 3 ეტაპად. ადგილობრივი პრობაციის დეპარტამენტების შექმნა და მათზე ფუნქციების გადანაწილება მოხდება ეტაპობრივად. პირველ წელს შეიქმნება პრობაციის ეროვნული სამსახურის ცენტრალური და 6 რაიონული ოფისი. პრობაციის ოფისები ფუნქციონირებას დაიწყებენ თანამშრომელთა მინიმალური რაოდენობით და ნელ-ნელა გაიზრდებიან. დაიწყება პრობაციის თანამშრომელთა არჩევა და ტრენინგი. პრობაციის სამსახური ქვეყნის ტერიტორიაზე დაიწყებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კოორდინაციას და დღითიდღე ეს ფუნქცია გადავა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. პრობაციის სამსახური დაიწყებს ციხის შემდგომი მზრუნველობის განხორციელებას და პრობაციის საინფორმაციო ბაზის შექმნას.

პირველ წელს დაწყებულ ფუნქციებს მეორე წელს დაემატება არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის დანაშაულის პრევენციის საქმიანობა, პირობით მსჯავრდებულთა ზედამხედველობა და მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროგრამები. არსებულ პრობაციის 6 დეპარტამენტს დაემატება კიდევ 6 და მათი საერთო რიცხვი შეადგენს 12-ს. მესამე წელს პრობაციის დეპარტამენტები შეიქმნება დარჩენილ 14 რაიონში.

კანონპროექტის მე-5 თავში გათვალისწინებულია პრობაციის სამსახურის მრჩეველთა საბჭოს შექმნა და აღწერს მის ფუნქციებს. პრობაციის სამსახურის ეროვნული მრჩეველთა საბჭო და რაიონული მრჩეველთა საბჭოები დაიწყებენ მუშაობას პრობაციის სამსახურის რაიონულ და ეროვნულ დონეზე ერთობლივი პოლიტიკის შესამუშავებლად. საბჭოებს ექნებათ მრჩეველთა სტატუსი. ეროვნული პრობაციის სამსახურის მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებებს რაიონული მრჩეველთა საბჭოებისთვის ექნებათ დამაკავშირებელი ფუნქცია. ეროვნული მრჩეველთა საბჭო შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან ან მისი წარმომადგენლისგან, გენერალური პროკურორისგან ან მისი წარმომადგენლისგან, ეროვნული პოლიციის უფროსისგან ან მისი წარმომადგენლისგან, ადგილობრივი ხელისუფლების ასოციაციის თავმჯდომარისგან ან მისი წარმომადგენლისგან, ეროვნული ციხის სამსახურის დირექტორისგან ან მისი წარმომადგენლისგან, პრობაციის ეროვნული სამსახურის უფროსისგან ან მისი წარმომადგენლისგან და სხვა ორგანოების წარმომადგენლებისგან. ადგილობრივი მრჩეველთა საბჭოები შედგება შესაბამისი საკალაქო და რაიონული ორგანოების წარმომადგენლებისგან.

სქემა 1: პრობაციის სამსახურის შეთავაზებული სტრუქტურა



3.3 თანამშრომელთა საკითხები

პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომლებს შეადგენენ სამოქალაქო მოხელეები, პრობაციის ოფიცრები და ნებაყოფლობით მომუშავეები. ამ სამოქალაქო მოხელეების დანიშვნა მოხდება სახელმწიფო სამოქალაქო მოხელეების კანონის თანახმად და იმუშავენ პრობაციის სამსახურის ხელმძღვანელ მუშაკებად. ნებაყოფლობით მომუშავეები იქნებიან იმ კატეგორიის პირები, რომლებსაც გასაუბრების გავლის შემდეგ მიიჩნევენ, რომ შეუძლიათ საპრობაციო საქმიანობის შესრულება.

კანონპროექტში, პრობაციის სამსახურის შესახებ, არაფერი წერია პრობაციის თანამშრომელთა მიმართ წაყენებული მოთხოვნების თაობაზე. დაქირავებულ თანამშრომელთა უმრავლესობას ექნება განათლება სოციალურ სამუშაოებში. სოციალური სამუშაოები ლატვიაში ახალ დარგს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს სამი კოლეჯი და ერთი უნივერსიტეტი, სადაც ხდება სოციალური მუშაობის შესწავლა და დაახლოებით, 850 სტუდენტმა დაასრულა ეს ფაკულტეტი, მაინც არ არსებობს კარგად განვითარებული სოციალური სამუშაოების სამსახური. ბავშვის უფლებების დაცვის კანონის მუხლი 61(4) ადგენს, რომ კაბინეტმა „უნდა გააუმჯობესოს სოციალურ მუშაკთა და მასწავლებელთა სახელმწიფო პროგრამა“. აღნიშნული პროფესიის თანამშრომელთა მომზადების პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს კეთილდღეობის სამინისტროს, ხოლო სოციალური მუშაკებისათვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პეროგატივაა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ვალდებულება არ სრულდება სისტემატურად.

სისხლის სამართალწარმოების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მუშაობა ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან

4.1 წინასიტყვაობა

ლატვიის სისხლის სამართალი ახდენს დანაშაულის კლასიფიკაციას დანაშაულთა სიმძიმის მიხედვით: კრიმინალურ დანაშაულებად, ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებად. კრიმინალური დანაშაულები ისჯება 2 წლამდე პატიმრობით, ნაკლებად მძიმე დანაშაულები ისჯება 5 წლამდე პატიმრობით. მძიმე დანაშაულისათვის სასჯელი ითვალისწინებს 5-დან 10 წლამდე პატიმრობას და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის - 10 წელზე მეტს ან საზღვაო პატიმრობას.

4.2 სანქციების სისტემა და სისხლის სამართალწარმოების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პრობაციის მუშაობა

არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი წინასწარი გამოძიების ეტაპზე წარმოგიდგენს 8 ტიპის გირაოს: 1) წერილობითი დაპირება, რომ არ შეიცვლება საცხოვრებელი ადგილი; 2) პირადი თავდებობა; 3) ფულადი დეპოზიტი; 4) პოლიციის ზედამხედველობა; 5) შინაპატიმრობა; 6) პატიმრობა; 7) საშუალო პირის საშუალო ნაწილის მეთვალყურეობის ქვეშ დატოვება; 8) არასრულწლოვნის მშობელთა ან მეურვის ზედამხედველობის ქვეშ დატოვება. 1995 წლიდან წინასწარი გამოძიების ეტაპზე პატიმრობა მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა.

წერილობითი დაპირება, რომ არ შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს (მუხლი 73), ნიშნავს, რომ ბრალდებულს ან მსჯავრდებულს უფლება არა აქვს შეიცვალოს მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს (მოსამართლე) ნებართვის გარეშე;

პირადი თავდებობა (მუხლი 74) ნიშნავს პირის მიერ წერილობით თანხმობის მიცემას, რომ ბრალდებული ან მსჯავრდებული გამოძახებისთანავე გამოცხადდება გამომძიებელთან, პროკურორთან ან მოსამართლესთან, არ დაემალება გამომძიებლს და არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ასეთი სახის თავდებობა უნდა მოდიოდეს არანაკლებ ორი პირისგან;

ფულადი დეპოზიტი (მუხლი 75) ნიშნავს ფულის ან რაიმე ღირებულის მიცემას გამომძიებლისათვის, პროკურორისა ან სასამართლოსათვის, რაც იქნება იმის გარანტია, რომ ბრალდებული ან მსჯავრდებული დაძახებისთანავე გამოცხადდება გამომძიებელთან, პროკურორთან ან მოსამართლესთან და არ დაემალება გამომძიებლს ან არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. დეპოზიტზე ფულის ან რაიმე ღირებულის დატოვების უფლება აქვთ ბრალდებულს, ან ნებისმიერ სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. დეპოზიტის თანხას ადგენს საგამომძიებო ორგანო - გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე, ითვალისწინებს რა დანაშაულის სიმძიმეს, გამოწვეულ მატერიალურ ზარალს, პოტენციური სასჯელის სიმკაცრეს და დეპოზიტის შემომტანის ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ არანაკლებ მინიმალური ხელფასის 50 ოდენობას.

პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მოთავსება (მუხლი 75.1) ნიშნავს გადაადგილების შეზღუდვას შემდეგი საშუალებებით: ბრალდებულს ეკრძალება დატოვოს მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ან მონახულოს განსაზღვრული ადგილები ან

დაწესებულებები, გამოძიების, პროკურორის ან მოსამართლის ნებართვის გარეშე. შესაძლოა აგრეთვე ბრალდებულს დაუდგინდეს, რომ არანაკლებ კვირაში 2-ჯერ გამოცხადდეს პოლიციის განყოფილებაში და პოლიციას უფლება აქვს მონიხსნა პირის საცხოვრებელი ადგილი მისი ყოფაქცევის შესამოწმებლად.

შინაპატიმრობა (მუხლი 75.2) ნიშნავს ბრალდებულის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას შემდეგნაირად: მსჯავრდებულს უდგინდება, რომ მუდმივად არ დატოვოს საცხოვრებელი და ეკრძალება, როგორც ზეპირი, აგრეთვე წერილობითი ფორმით ან შუამავლის მეშვეობით კავშირის დამყარება იმ პირებთან, რომლებიც მითითებული არიან ბრძანებაში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პოლიციის მიერ ზედამხედველობის განხორციელება მის ყოფაქცევასა და საცხოვრებელ ადგილზე.

არასრულწლოვანთა ზედამხედველობა (მუხლი 81) ნიშნავს, რომ თუ არასრულწლოვანს შეეფარდება მშობელთა ან მეურვეთა ზედამხედველობა, პირი იძლევა წერილობით გარანტიას, რომ არასრულწლოვანი დამახებისთანავე გამოცხადდება პროკურორთან ან მოსამართლესთან და თვითონ აკონტროლებს არასრულწლოვნის ყოფაქცევას.

სამხედრო პირის მოთავსება სამხედრო ნაწილის ზედამხედველობის ქვეშ (მუხლი 81.1).

არ მოიპოვება არანაირი სტატისტიკა წინასწარი გამოძიების ეტაპზე გირაოს შეფარდების შესახებ. გენერალური პროკურატურის გამოუქვეყნებელი სტატისტიკის თანახმად, 2001-2002 წლებში პოლიციის მიერ 72 საათით დაკავებულთა 46%-ს შეეფარდა პატიმრობა. აღნიშნულის შემდეგ ყველაზე ხშირად გამოიყენება პოლიციის ზედამხედველობა და წერილობითი თანხმობა საცხოვრებლის შეცვლაზე უარის თქმის შესახებ და ყველაზე ნაკლებად გამოიყენება ფულადი დემოზიტი, პირადი თავდებობა და შინაპატიმრობა.

4.2.2 წინასაგამოძიებო დაკავება


2002 წლის დასაწყისში ლატვიის 15 ციხეში იჯდა 8.531 პატიმარი. ამ პატიმრების 43% ელოდებოდა სასამართლო პროცესის ჩატარებას. არასრულწლოვნებს შორის 63 % სასამართლოს მოლოდინში იყო. ლატვიაში ამ პრობლემას ბევრი სხვადასხვა მიზეზი აქვს. სისხლის სამართალწარმოების ყველა ქვემოთ მოყვანილ ეტაპზე შესაძლებელი იყო პატიმართა წინასწარდაკავებაში ყოფნა, კერძოდ:

როდესაც საქმეს იძიებს პოლიცია ან პროკურატურა და ჯერ არ გადაცემულა სასამართლოში ამ ეტაპზე სრულწლოვანთა დაკავების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და 6 თვე, ხოლო არასრულწლოვნებისთვის 6 თვე, რომელზეც უფლებას იძლევა მოსამართლე.

საქმე გადაეცა სასამართლოს, მაგრამ პროცესი ჯერ არ ჩატარებულა. აღნიშნული წარმოადგენს ყველაზე დიდ პრობლემას, ვინაიდან ამ ეტაპზე არ არის დადგენილი განხილვის ვადა. დიდ ქალაქებში, საქმეების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, ბრალდებულებს ძალიან დიდ ხანს უწევთ სასამართლო განხილვის ლოდინი. 2002 წლის ივნისში სასამართლო განხილვები რიგაში გაწერილი იყო 2004 წლის ჩათვლით. ძალიან ხშირად, სასამართლო პროცესის ჩატარებისას, მსჯავრდებულებს უკვე მოხდელი ჰქონდათ სასჯელის მაქსიმუმი.

ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ, მაგრამ მან მიმართა აპელაციას. ლატვიაში ეს ხალხი რჩება იმავე დაწესებულებებში, იმავე პირობებსა და რეჟიმში, სანამ არ მოხდება საქმის განხილვა აპელაციაში. სააპელაციო სასამართლოშიც, ანალოგიურად, ძალიან ბევრის საქმეა განსახილველი.

სქემა 2: 1991-2002 წლებში ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა შეფარდება



- წინასწარ პატიმრობაში მყოფი
- მსჯავრდებულები

2002 წლის 20 ივნისის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ისეთი სახის ცვლილებები, რომლებსაც უნდა ჰქონოდათ დადებითი გავლენა სისხლის სამართლის სისტემაზე. ბრალდებულისა და პროკურორის შეთანხმებით, შესაძლოა სასამართლო პროცესზე აცილებული იყოს მტკიცებულებათა განხილვის პროცედურა. აღნიშნულ ცვლილებამდე მნიშვნელობა არ ჰქონდა აღიარებდა თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ, პროცესზე მაინც საჭირო იყო მოწმეების დასწრება. იმ შემთხვევაში, თუ მოწმე არ გამოცხადდებოდა პროცესზე, საქმე გადაიდებოდა და ბრალდებული ელოდებოდა მომდევნო სასამართლო პროცესს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი კანონპროექტის თანახმად, შესაძლებელი გახდება კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წაწევა და დამნაშავის აღიარების შემთხვევაში, პროკურატურასა და დაცვის მხარეს სასამართლო-სათვის ერთობლივი ვიზიტიის შეთავაზების საშუალება ეძლევათ.

4.2.3 სისხლისსამართლებრივი დევნის პირობით გადავადება

2002 წლის ივნისში პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც, კრიმინალური დანაშაულებისა და მცირე დანაშაულებისას შესაძლებელი გახდა სისხლისსამართლებრივი დევნის პირობით გადავა-

დება. სისხლისსამართლებრივი დევნის პირობითი გადავადებისას პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას არ აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა მსჯავრდებულზე, თუ ის არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და შეასრულებს პრობაციის პერიოდში (3-დან 18 თვემდე) მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. პროკურორმა შეიძლება მოითხოვოს შემდეგი პირობების შესრულება: 1) დაზარალებულისათვის ზოდიშის მოხდა; 2) განსაზღვრულ ვადაში დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება; 3) გარკვეულ ორგანოში რეგულარული გამოცხადება; 4) ლოთობისა და ნარკომანიის მკურნალობის კურსის გაკლა; 5) განსაზღვრული საქმიანობის ან თანამდებობაზე მუშაობის აკრძალვა. იმ შემთხვევაში, თუ პირი დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება ახლიდან. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევა 2002 წლის 1 ნოემბერს.

აღნიშნული ცვლილებები განხილულ იქნა ძალიან დადებითად და შესაძლოა გამოიწვიოს როგორც მსჯავრდებულის, ისე დაზარალებულისათვის დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა და პროცესის დაჩქარება. მას შემდეგ, რაც შეიქმნება პრობაციის სამსახური, ის პასუხისმგებელი იქნება ამ საკითხების ადმინისტრირებაზე.

4.3 სასამართლო განხილვის ეტაპი

4.3.1 სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად შესაძლებელი სანქციები

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მსჯავრდებულს შეიძლება შეეფარდოს შემდეგი ძირითადი სასჯელები: პატიმრობა, წინასწარი პატიმრობა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან ჯარიმა. დამატებით ძირითად სასჯელებზე შეიძლება შეეფარდებული იყოს დამატებითი სასჯელები: 1) ქონების კონფისკაცია; 2) ლატვიის რესპუბლიკიდან დეპორტაცია; 3) ჯარიმა; 4) უფლებების შეზღუდვა; 5) პოლიციის ზედამხედველობა.

ძირითად და დამატებით სასჯელებს ახორციელებენ შემდეგი ორგანოები: 1) პატიმრობას ახორციელებს ციხის სამსახური; 2) წინასწარ პატიმრობასა და პოლიციის ზედამხედველობას ახორციელებს პოლიცია; 3) ჯარიმებს, ქონების კონფისკაციას და უფლებების შეზღუდვას ახორციელებენ სასამართლო აღმასრულებლები; 4) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ახორციელებენ ადგილობრივი ხელისუფლების საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ორგანოები; 5) დეპორტაციას ლატვიის რესპუბლიკიდან ახორციელებენ პოლიცია, საზღვრის დაცვა და მიგრაციისა და მოქალაქეობის ურთიერთობების ორგანო. თუ სასამართლოს მიერ პირს შეეფარდება პირობითი მსჯავრი და დაეკისრება გარკვეული პირობების შესრულება, სასჯელს აღასრულებს და მის საქმიანობას აკონტროლებს პოლიციის სასჯელთა აღსრულების ინსპექტორატი. თანახმად სქემა 3-ისა, მოცემულია, თუ რა ცვლილებები განხორციელდება მას შემდეგ, რაც ძალაში შევა კანონი პრობაციის სამსახურის შესახებ.

სქემა 3. სანქციების აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები

სანქციის სახეობა	სანქციების აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოები 2002 წლის ბოლომდე	თანახმად კანონისა პრობაციის შესახებ
<i>წინასწარი გამოძიების ეტაპი:</i> პოლიციის ზედამხედველობა ბრალის პირობით გადავადება	პოლიცია პოლიცია	პოლიცია პრობაციის სამსახური
<i>სასამართლო განხილვის ეტაპი</i>		
ძირითადი სასჯელები: პირობითი მსჯავრი წინასწარი დაკავება	პოლიცია პოლიცია	პრობაციის სამსახური პოლიცია
პატიმრობა საზ. სასარგებლო შრომა	ციხე ადგილობრივი ხელისუფლება	ციხე ადგილობრივი ხელისუფლება პრობაციის სამსახურთან ერთად
ჯარიმა პირობითი მსჯავრი	აღმასრულებელი პოლიცია	აღმასრულებელი პრობაციის სამსახური
დამატებითი სასჯელები: პოლიციის კონტროლი ქონების კონფისკაცია უფლებების შეზღუდვა	პოლიცია აღმასრულებელი აღმასრულებელი/ პოლიცია	პოლიცია აღმასრულებელი აღმასრულებელი
ექსტრადიცია	პოლიცია საზღვრის დაცვა მოქალაქეობის და მიგრაციის ორგანო	პოლიცია საზღვრის დაცვა მოქალაქეობის და მიგრაციის ორგანო
<i>განხილვის შემდგომი ეტაპი</i>		
ციხიდან პირობით გათავი სუფლება	პოლიცია ადგილობრივი ხელისუფლება	პრობაციის სამსახური ადგილობრივი ხელისუფლება

არსებული სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, 497 დანაშაულისათვის 476 შემთხვევაში ითვალისწინებს საპატიმრო სასჯელს, 287 შემთხვევაში ჯარიმებს და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას - 87 შემთხვევაში. ჯარიმების ოდენობა მერყეობს 1-დან 200 მინიმალურ თვიურ ხელფასს შორის. დიდი კრიტიკა იხმის სასამართლო აღმასრულებლების მისამართით, რომლებსაც ევალებათ ჯარიმების გადახდის უზრუნველყოფა. 2002 წლის ევროგაერთიანების განვითარების მოხსენება ადგენს, რომ კანონი სასამართლოს ნაფიცი აღმასრულებლების შესახებ, რომლის მიზანიც არის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება, რომლის მიღებაც წლების მანძილზე გადაიდო, სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული.

4.3.2 პირობითი სასჯელი

სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი ადგენს, რომ მსჯავრდებულს შესაძლოა შეეფარდოს პირობითი მსჯავრი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, წინასწარი პატიმრობა ან ჯარიმა. სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს პრობაცია ვადით - 6 თვიდან 3 წლამდე. პირობითი მსჯავრის შეფარდებისას სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს შემდეგი მოვალეობები:

განსაზღვრულ პერიოდში მოახდინოს ზიანის რესტიტუცია;

მსჯავრდებულის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი;

დადგენილ ორგანიზაციაში რეგულარული გამოცხადება;

არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილები;

განსაზღვრულ დროს იმყოფებოდეს თავის საცხოვრებელში;

სასამართლოს შეუძლია აგრეთვე დააკისროს მსჯავრდებულს მისი თანხმობით, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და ტოქსიკური საშუალების მკურნალობის კურსი.

მსჯავრდებულის მიერ დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან ადმინისტრაციული სახით დასჯადი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს არსებული სასჯელის აღსრულება ან გაუგრძელოს პრობაციის პერიოდი 1 წლით. თუ მსჯავრდებული პრობაციის პერიოდში ჩაიდენს ახალ დანაშაულს, სასამართლო შეუფარდებს მას საპატიმრო სასჯელის სრულ ვადას. 2002 წლის 1 თებერვლისათვის ლატვიაში პირობითი მსჯავრი შეფარდებული ჰქონდა 8.941 მსჯავრდებულს, რომელთა შორის მოვალეობების შესრულება დაეცისრა 2.174-ს, ანუ 24%-ს:

პოლიციაში გამოცხადება რეგულარულად - 855 საქმე;

განსაზღვრული დროის მანძილზე მიყენებული ზიანის რესტიტუცია - 658 საქმე;

პოლიციის ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი - 393 საქმე;

განსაზღვრულ დროს იმყოფებოდეს საცხოვრებელ ადგილას - 138 საქმე;

ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და ტოქსიკური საშუალების მკურნალობის კურსის გავლა - 71 საქმე;

არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილები - 59 საქმე.

დღესდღეობით პირობით მსჯავრდებულების ზედამხედველობას ახორციელებს ეროვნული პოლიციის სასჯელთა აღსრულების ინსპექტორატები. ქვეყანაში შექმნილია 46 პოლიციის ინსპექტორატი. პოლიციის ინსპექტორებს წლის მანძილზე აღსასრულებელი აქვთ 197-დან 969 საქმემდე, რომელთა შორის პირობითი მსჯავრის საქმე საშუალოდ 566-ია. აღნიშნული საქმიანობის განხორციელება უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია პრობაციის სამსახურის მიერ.

ლატვიაში ძალიან ხშირად სასამართლოები პირობითი მსჯავრის შეფარდებისას არ უფარდებენ პირობებს, რის გამოც აღნიშნული სასჯელის ფორმის სამართლიანობა ძალიან უარყოფით ემოციებს იწვევს საზოგადოებასა და მსჯავრდებულებში. კანონში უნდა მოხდეს ცვლილებების შეტანა, რათა მეტი საშუალება იყოს პირობების შეფარდებისა. კანონში უნდა მოხდეს დათქმის გაკეთება, რომლის საფუძველზეც მოსამართლეებს (ან ბრალის წაყენების პირობით გადავადების შემთხვევაში) უფლება ექნებათ შეუფარდონ ნებისმიერი სხვა სახის პირობა.

4.3.3 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

1999 წელს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შემდეგ შემოღებულ იქნა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელის ფორმა. სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს მსჯავრდებულს 40-დან 280 საათამდე მუშაობა. მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს საკუთარი სამსახურისა და სწავლისგან თავისუფალ დროს. მსჯავრდებულს შეუძლია იმუშაოს დღეში 2-დან 4 საათამდე და უნდა დაასრულოს სასჯელი 5-დან 10 თვის ვადაში. შეუსრულებლობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 2 საათი ეფარდება პატიმრობის 1 დღეს. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება, აგრეთვე ამისათვის შესაბამისი ორგანოს შექმნა ან პასუხისმგებელი პირის - კოორდინატორის დანიშვნა. მთელ რიგ დიდ ქალაქებში, მათ შორის, რიგშიც, მუნიციპალური პოლიციის მიერ შეიქმნა ავტონომიური საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ორგანოები, რომლებიც დაფინანსებას იღებენ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. ვინაიდან ამ მიმართულების განსავითარებლად მთავრობის მიერ არ გამოყოფილა არანაირი დაფინანსება და არ ჩატარებულა ტრენინგები, ამ დარგის განვითარებაში მონაწილეობა მიიღეს სოროსის ფონდმა ლატვიაში და საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა (გაერთიანებული სამეფო). 1999 წლიდან ტრენინგები ჩატარდა სასამართლოს, პოლიციის, ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამქირავებლების 1000-ზე მეტ წარმომადგენელს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება 1999 წლიდან (1.4%) ერთ წელიწადში გაიზარდა 4.7%-მდე და 2001 წელს მიაღწია 8%-ს.

უამრავმა ექსპერტმა აღნიშნა ლატვიაში მიმდინარე პროგრესი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების დარგში. ამავე დროს, აღიარებულ იქნა, რომ კანონმდებლობა მოითხოვს ცვლილებებს და მეტი შესაძლებლობების მიცემას სასჯელის ამ ფორმის გამოყენებისთვის. დღესდღეობით 87 დანაშაული ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების საშუალებას, რომლებიც ძირითადად წარმოადგენს მცირე დანაშაულებს და რის გამოც სასამართლოებს არა აქვთ საშუალება პირობების შეფარდებისა. სამუშაო ჯგუფი აქტიურად მუშაობას ამ მიმართულებით და ცდილობენ, რომ სასჯელის ამ ფორმის გამოყენებას მიეცეს მეტი საშუალება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან ერთად, დამატებით, შესაძლებელია ისეთი პირობების შეფარდება, როგორებიცაა: ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსის გავლა, ან განსაზღვრული ადგილების მონახულების აკრძალვა და ა. შ. პირობითი მსჯავრის დროს, სხვა პირობებთან ერთად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შესაძლოა შეტანილ იქნეს ერთ-ერთ პირობად.

4.3.4 დამატებითი სასჯელები:

ძირითად სასჯელებს შესაძლოა დაემატოს შემდეგი სახის დამატებითი სასჯელები: უფლებების შეზღუდვა (მუხლი 44) გულისხმობს ყველა სახის სამეწარმეო საქმიანობის, სპეციფიკური დასაქმების, განსაზღვრული თანამდებობის ან სპეციალური კანონით უზრუნველყოფილი უფლებებისა და სპეციფიკური უფლებების ჩამორთმევას. აღნიშნულის შეფარდება სასამართლოს შეუძლია 1-დან 5 წლამდე;

პოლიციის ზედამხედველობა (მუხლი 45) გულისხმობს ციხიდან გათავისუფლებული პირის ყოფაქცევის კონტროლს. აღნიშნულის შეფარდება შესაძლებელია მამინ, როდესაც პირს ეფარდება საპატიმრო სასჯელი სერიოზული ან განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულისათვის, არანაკლებ 1 წლითა და არაუმეტეს 3 წლით. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ შესაძლოა დადგინდეს შემდეგი აკრძალვები: 1) განსაზღვრული დროის მანძილზე არ დატოვოს საცხოვრებელი; 2) არ მოინახულოს განსაზღვრული საზოგადოებრივი თავმჯდომარის ადგილები; 3) პოლიციის ნებართვის გარეშე არ დატოვოს განსაზღვრული ადმინისტრაციული ტერიტორია; 4) გამოცხადდეს პოლიციის განყოფილებაში თვეში 1-4-ჯერ. სასამართლოს მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულების შესამოწმებლად პოლიციას უფლება აქვს დღის ნებისმიერ პერიოდში მოინახულოს პირის საცხოვრებელი ადგილი.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება (მუხლი 58). სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პირი შესაძლოა გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, თუ მოხდება მორიგება დაზარალებულთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან. გამოწვევის წარმოადგენს შემთხვევა, როცა დაზარალებული მცირეწლოვანია.

სასჯელისგან ან სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება (მუხლი 59). სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს არასრულწლოვანი სასჯელისგან და შეუფარდოს იძულებითი საგანმანათლებლო ზომები. სასამართლოს აგრეთვე შეუძლია გაათავისუფლოს პირი 58-ე მუხლში მოცვანილი შემთხვევებისას. სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს პირი სასჯელის მოხდისგან, თუ მის მიერ ჩადენილი კრიმინალური დანაშაული გამოწვეული იყო ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკური საშუალებების მიღებით, რაც ითვალისწინებს 2 წლამდე პატიმრობას და პირი თანახმაა გაიაროს შესაბამისი მკურნალობის კურსი. მსჯავრდებულს, რომელსაც დაუდგინდება, რომ არის ფსიქიკურად ავად, რაც საშუალებას არ აძლევს მას გააცნობიეროს ან აკონტროლოს საკუთარი ქმედობა, შესაძლოა სასამართლოს მიერ გათავისუფლებული იყოს სასჯელი მოხდისგან. სისხლის სამართლის მოთხოვნის თანახმად, შესაძლოა პირს ასეთ შემთხვევაში დაუდგინდეს იძულებითი მკურნალობა.

4.3.5 იძულებითი სამედიცინო მკურნალობის ზომები

პირს, რომელიც დაავადებულია ფსიქიკური აშლილობით და ცნობილ იქნა ქმედობაუუნაროდ ან შეზღუდული ქმედობაუუნარიანობის მქონედ, სასამართლოს შეუძლია დაუდგინოს შემდეგი სახის იძულებითი მკურნალობის სახეები: 1) სტაციონარული მკურნალობა სამედიცინო დაწესებულებაში; 2) სამედიცინო მკურნალობა ფსიქიატრიულ სავაადმყოფოში; 3) სამედიცინო მკურნალობა სპეციალიზებულ ფსიქიატრიულ სავაადმყოფოში ზედამხედველობის ქვეშ. დანაშაულის ხასიათისა და მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, თუ ეს პირი არ წარმოადგენს საშიშროებას საზოგადოებისათვის, სასამართლოს შეუძლია დაუდგინოს მას მკურნალობა საცხოვრებელ სახლთან

ახლოს მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში, ნათესავეებისა ან იმ პირების მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებსაც შეუძლიათ მისთვის მზრუნველობის გაწევა.

4.4 არასრულწლოვნები

4.4.1 წარსულში არსებული საკითხები

უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის დონე სტაბილურია. ისინი ჩადიან დანაშაულის საერთო რიცხვის 20%-ს. დანაშაულთა 2/3 ჩადენილია ჯგუფურად და თითქმის ნახევარი იმ პერიოდში, როდესაც ისინი არ იმყოფებიან სკოლაში ან სამსახურში. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის 70%-ს შეადგენს ქურდობა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 14 წელია. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემული არასრულწლოვნების საქმეების დარეგულირება შესაძლებელია სისხლის სამართლის კანონში არსებული განათლებისა და გამასწორებელი ზომების აქტით.

4.4.2 საგანმანათლებლო და გამოსწორების ზომები

საგანმანათლებლო და გამოსწორების ზომები შესაძლოა შეეფარდოთ არასრულწლოვნებს 11-დან 18 წლის ასაკამდე. ასეთი ზომები შესაძლოა შეეფარდოთ არასრულწლოვნებს შემდეგი დანაშაულების ჩადენისას: 1) კრიმინალური დანაშაულისას, როდესაც სასამართლო უარს განაცხადებს მათს დასჯაზე და მიმართავს საგანმანათლებლო და გამოსწორების ზომებს; 2) კრიმინალური დანაშაულისას, როდესაც სასამართლო პირობითი მსჯავრის ნაცვლად, მიმართავს საგანმანათლებლო/გამოსწორების ზომებს; 3) სისხლის სამართალში გათვალისწინებული დანაშაულისას, როდესაც პროკურორი და მისი თანხმობით, პოლიციის გამოძიებელი, უარს იტყვიან სისხლისსამართლებრივ დევნაზე და სასამართლოს მიმართავენ საგანმანათლებლო/გამოსწორების ზომების მოთხოვნით. არსებული კანონმდებლობის თანახმად, შესაძლებელია შემდეგი ზომების გამოყენება: გაფრთხილება, დაზარალებულის კომპენსაცია, თუ არასრულწლოვანს აქვს შემოსავალი და მიყენებული ზარალი არ შეადგენს მინიმალური თვიური ხელფასის ნახევარს (15 წლის ასაკიდან). აგრეთვე შესაძლოა ზომებია: არასრულწლოვნისათვის მუშაობის ბრძანების გაყვმა, რათა მან მოახდინოს მიყენებული ზიანის რეპარაცია (15 წლის ასაკიდან); მშობლების, ცალკეული პირების ან ორგანიზების მეთვალყურეობის ქვეშ მოთავსება ან საგანმანათლებლო გამასწორებელ დაწესებულებაში მოთავსება.

2002 წელს პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი არასრულწლოვანთა საგანმანათლებლო და გამასწორებელი ზომების შესახებ. შემოთავაზებული კანონპროექტის თანახმად, შესაძლებელია საგანმანათლებლო და გამასწორებელი ზომების შეფარდება ადმინისტრაციული დარღვევებისთვის და ამ საქმეების განხილვაზე პასუხისმგებელ ორგანოებს მიენიჭა უფლება საგანმანათლებლო/გამასწორებელი ზომების გამოსაყენებლად ეს საქმეები გადაუგზავნონ ადგილობრივი ხელისუფლების კომისიებს. სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ასეთი ზომების შეფარდების უფლება მხოლოდ სასამართლოების პრეროგატივაა. კანონპროექტმა აგრეთვე გაზარდა გამოსაყენებელი პირობების სახეები. აღნიშნული პროექტის თანახმად, გარდა არსებული ზომებისა, კიდევ დამატებულია შემდეგი: დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, მისთვის ბოდიშის მოხდა; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განხორციელება 10-დან 40

საათამდე და ყოფაქცევასთან დაკავშირებით სპეციფიკური აკრძალვების შეფარდება (30 დღიდან 12 თვემდე).

კანონპროექტის თანახმად, აკრძალვები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იყოს 30 დღიდან 12 თვემდე, შემდეგია: არ მოინახულონ განსაზღვრული ადგილები; 2) არ იქონიონ კავშირი განსაზღვრულ პირებთან; 3) განსაზღვრულ დროს იმყოფებოდნენ თავის საცხოვრებელ ადგილზე; 4) თვეში 1-4-ჯერ გამოცხადდნენ მითითებულ ორგანოში; 5) დაესწრონ განსაზღვრულ პროგრამებს; 6) გააგრძელონ მუშაობა ან იარონ საგანმანათლებლო დაწესებულებაში; 7) გაიარონ კონსულტაცია ფსიქოლოგთან, ექიმთან ან სხვა სპეციალისტთან.

კანონპროექტი საშუალებას აძლევს სასამართლოებს, ძირითად სასჯელთან ერთად გამოიყენონ ისეთი დამატებითი სასჯელის ფორმა, როგორიცაა: ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის სამკურნალო კურსის გავლა. კანონპროექტის 30-ე მუხლი იძლევა იმ ორგანოების ჩამონათვალს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბავშვების საგანმანათლებლო და გამოსწორების ზომების აღსრულებისთვის. პრობაციის ეროვნულ სამსახურთან თანამშრომლობის გზით მუნიციპალიტეტი ადგენს ამ ზომების განმახორციელებელ ორგანოებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვნის მოთავსება ხდება სოციალურ ან გამასწორებელ დაწესებულებაში. აღნიშნულ პირებსა და ორგანოებს წარმოადგენენ: ბავშვის მშობლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ეროვნული პოლიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაწესებულებები. აღნიშნული კანონის ძალაში შესვლა ნაგარაუდებია 2004 წლის იანვარში.

ტაბულა 1: 1995-2000 წლებში არასრულწლოვნების მიმართ გამოყენებული გამასწორებელი და საგანმანათლებლო ზომები

	1995	1996	1997	1998	1999	2000
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა საერთო რიცხვი:	592	921	830	897	749	904
მათ შორის, საგანმანათლებლო და გამასწორებელ ზომებზეფარდებული:	333	556	588	704	373	518
%	56%	60%	71%	78%	50%	57%

ინფორმაცია მოწოდებულია გენერალური პროკურატურისგან

დღემდე არასრულწლოვნების მიმართ ყველაზე ხშირად გამოყენებული ზომებია: გაფრთხილება და გამასწორებელ ან საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოთავსება. აღნიშნული გამოწვეული იყო სხვა ზომების მიმართ აღსრულების ეფექტური მექანიზმის უქონლობით. 2000 წლის აპრილიდან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს დაევეალათ ჰქონოდათ წამყვანი როლი როგორც ახალგაზრდა მსჯავრდებულების რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის საქმეში, ისე ახალგაზრდების დანაშაულის

პრევენციის საქმეში. ბევრ მათგანს, შესაბამისი დაფინანსების გარეშე, აღნიშნულის განხორციელება ძალიან უჭირს.

4.4.3 არასრულწლოვანთა ვალდებულებები სისხლის სამართლის კანონის მიხედვით

არასრულწლოვანთა სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კანონი შეიცავს სპეციალურ თავს (მუხლი 66). მათ შეიძლება შეეფარდოთ იმავე სახის ძირითადი სასჯელები, როგორც სრულწლოვნებს: ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, წინასწარი დაკავება და პატიმრობა. არასრულწლოვნებისთვის მაქსიმალური პატიმრობის ვადა დადგენილია 10 წელი და მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის 15 წელი. არასრულწლოვანი შეიძლება გათავისუფლებული იყოს პირობით ვადამდე ადრე, თუ მან მოიხადა ძირითადი სასჯელის არანაკლებ ნახევრისა. ჯარიმები ეფარდებათ მხოლოდ იმ არასრულწლოვნებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი შემოსავალი. არასრულწლოვნებთან მიმართებით ჯარიმის ოდენობა შეიძლება იყოს 1-დან 50-მდე მინიმალური თვიური ხელფასი. სასამართლოს აგრეთვე შეუძლია შეუფარდოს არასრულწლოვანს პირობითი სასჯელი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და ჯარიმა.

ტაბულა 2: 1998-2001 წლებში სისხლის სამართლის კანონის მიხედვით არასრულწლოვანთა სასჯელების შეფარდება

სასჯელის სახეობა	1998	1999	2000	2001
პატიმრობა	16.4%	20.4%	21.3%	19.1%
წინასწარი დაკავება	69.9%	73.6%	69.2%	65.9%
ჯარიმა	3.4%	2.5%	1.7%	1.1%
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა		0.2%	2.2%	3.8%
სხვა	10%	3.3%	5.6%	6.5%

ინფორმაცია მოწოდებულია სასამართლო სტატისტიკის დეპარტამენტიდან და იუსტიციის სამინისტროდან

4.5 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი

დღესდღეობით სასამართლო განხილვის შემდგომ ეტაპზე გამოიყენება შემდეგი ორი სახის სანქცია: შეწყალება და პირობით ვადამდე გათავისუფლება. გათავისუფლებულ პატიმართა დახმარება დაშვებულია კანონმდებლობით, მაგრამ არ ხორციელდება დაუფინანსებლობის გამო.

4.5.1 პირობით ვადამდე გათავისუფლება

სისხლის სამართლის 61-ე მუხლი ადგენს, რომ პატიმრობა მისჯილი პირი შეიძლება გათავისუფლებული იყოს სასჯელის ამოწურვამდე, პირობით ვადამდე ადრე. პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება შეეფარდოს პირს, თუ შესჯავრდებულს არ ჩაუდენია დარღვევები, გადაიხადა კომპენსაცია მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად

გამოწვეული ზარალისათვის, გაიარა ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის ან რაიმე სხვა ტიპის მკურნალობა.

პირობით ვადამდე გათავისუფლება შესაძლებელია, როდესაც სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ან მცირე დანაშაულისთვის პატიმარი მოიხდის სასჯელის არანაკლებ ნახევარს, სერიოზული დანაშაულისთვის სასჯელის არანაკლებ 2/3-ს და განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულისათვის სასჯელის არანაკლებ 3/4-ს. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დაუდგინოს პირს იგივე ვალდებულებები, რაც პირობითი მსჯავრისას. იმ შემთხვევაში, თუ პირი დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ან ჩაიდენს ახალ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ დანაშაულს, პირს შეიძლება შეეფარდოს დარჩენილი სასჯელის მოხდა.

ტაბულა 3: 1998-2001 წლებში პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პატიმართა შეფარდება

გათავისუფლებული პატიმრები	1998	1999	2000	2001
გათავისუფლებულთა საერთო რიცხვი	2730	2696	2296	2520
პირობით ვადამდე გათავისუფლებულები	1007	1029	794	782
%	37%	38%	35%	31%

ინფორმაცია მოწოდებულია ლატვიის ციხის ადმინისტრაციის მიერ

ტაბულა 3 გვიჩვენებს, რომ ლატვიაში პატიმართა 65% გათავისუფლებულია პატიმრობიდან სრული ვადის მოხდის შემდეგ და მხოლოდ 1/3 ვადამდე ადრე. აღნიშნული კი იმას მიუთითებს, რომ მსჯავრდებულთა უმეტესობაზე გათავისუფლების შემდეგ არ ხორციელდება არანაირი ზედამხედველობა.

4.5.2 შეწყალება

1993 წელს ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ სრულად იქნა აღდგენილი რესპუბლიკა ლატვიის კონსტიტუცია. ასევე, კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, პარლამენტმა აღუდგინა პრეზიდენტს იმ მსჯავრდებულთა შეწყალების უფლება, რომელთა მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა. 1995 წლის სექტემბერში, პრეზიდენტმა გუნტის ულმანისმა გამოაცხადა შეწყალების საბჭოს შექმნის შესახებ, რომელიც შედგებოდა 10 მრჩეველის უფლების მატარებელი წევრისგან. საბჭოს დაევალა განეხილათ სიკვდილიმისჯილთა თხოვნები შეწყალების შესახებ. 1998 წლის 16 ივნისს პარლამენტმა მიიღო კანონი შეწყალების შესახებ.

შეწყალების სამსახური საქმეებს განსახილველად უმზადებს პრეზიდენტს. კანონის თანახმად შესაძლებელია შემდეგი სახის შეწყალების თხოვნები: 1) სიკვდილით დასჯის სამუდამო პატიმრობით შეცვლა; 2) დარჩენილი სასჯელის ვადის ნაკლები სიმკაცრის სასჯელით შეცვლა; 3) ძირითადი სასჯელის მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმება; 4) დამატებითი სასჯელის მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმება; 5) სასამართლობაზე ინფორმაციის ამოღება.

შეწყალების თხოვნით მიმართვის უფლება აქვთ მსჯავრდებულს ან მის ოფიციალურ წარმომადგენელს, ადვოკატს, მშობლებს, შვილებსა და მეუღლეს. თხოვნა შეწყალების შესახებ ეგზავნება პრეზიდენტს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას შეწყალებისა ან უარის თქმის შესახებ. კანონი შეწყალების შესახებ ადგენს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომი მიმართვის ვადას. მკვლელობისათვის მსჯავრდებულმა შეწყალების თხოვნით უნდა მიმართოს სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ, თუ მსჯავრდებული სასჯელს იხდის განსაკუთრებული მნიშვნელობის მკვლელობისათვის, მას შეწყალების თხოვნით მიმართვის უფლება აქვს სასჯელის 2/3-ის მოხდის შემდეგ, ხოლო სამუდამო პატიმრობა-მისჯილს, სასჯელის 20 წლის მოხდის შემდეგ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ასეთი ტიპის თხოვნით მიმართვა შეიძლება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

1999 წლის 16 აპრილს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 პროტოკოლი, რომლის თანახმადაც მშვიდობიან პერიოდში არ შეიძლება სიკვდილით დასჯის შეფარდება და აღსრულება.

ტაბულა 4: 1993-2002 წლებში შეწყალების თხოვნები და მათი დაკმაყოფილების მაჩვენებლები

წელი	შეწყალების თხოვნა	შეწყალებულია რაოდენობა
1993	492	4
1994	382	18
1995	525	35
1996	590	60
1997	642	40
1998	500	31
1999	256	37
2000	201	43
2001	123	44
2002(1-ლი კვარტალი)	43	10

ინფორმაცია მოწოდებულია პრეზიდენტის კანცელარიის მიერ.

4.5.3 ციხის შემდგომი მზრუნველობა

მიუხედავად 1998 წელს მთავრობის მიერ მიღებული მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაციის შესახებ სახელმწიფო კონცეფციის დოკუმენტისა და 1999 წელს მიწინასწარ კაბინეტის მიერ მიღებული დებულებისა გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა მატერიალური დახმარების შესახებ, რომელმაც ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ხალხის დახმარების მოვალეობას, ციხის შემდგომი მზრუნველობის განხორციელების არც ერთი ინიციატივა არ დაფინანსებულა სახელმწიფოს მიერ. ციხიდან გათავისუფლებულ პატიმართა ერთადერთი დახმარება არის სეზონური ტანსაცმელი (მიღებული ჰუმანიტარული დახმარებიდან) და სახლამდე მგზავრობის ხარჯები, რომელთა გამოყოფაც ხდება ციხის შეკეთების ხარჯებიდან და არა სპეციალურად ამ მიზნისთვის გამოყოფილი ფონდიდან. ადგილობრივი ხელისუფლება მატერიალური სიმწირის გამო ახორციელებს ძალიან მცირე დახმარებას. ყოველწლიურად ციხეებიდან თავისუფლდება, დაახლოებით,

2500 პატიმარი, მაგრამ ყოფილ პატიმართა სიცოცხლური რეაბილიტაციის ცენტრებში მხოლოდ 50 ადგილია.

დაფინანსება, ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემები და პროცედურების შეფასებები, საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები

დღესდღეობით ლატვიაში არ არსებობს პრობაციის სამსახური და ამ თემაზე კონსულტაციები კვლავ გრძელდება. სამსახური შესაძლოა ნაწილობრივ დაფინანსდეს ცენტრალური ხელისუფლებისგან, ნაწილობრივ ადგილობრივი ხელისუფლებიდან, რომლებიც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ეწევიან. თავიანთ წვლილს შეიტანენ სამსახურის საქმიანობაში აგრეთვე ნებაყოფლობითი ორგანიზაციები.

პრობაციის კლიენტთა უფლებები

დღესდღეობით ლატვიაში არ არსებობს პრობაციის სამსახური. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის შექმნილი სპეციალური დებულებები, რომლებშიც ასახულია პრობაციის კლიენტთა უფლებები. მას შემდეგ, რაც ძალაში შევა კანონი პრობაციის შესახებ სპეციალური ყურადღება დაეთმობა პრობაციის კლიენტთა უფლებების განსაზღვრას.

არსებული მიღწევები

7.1 საკანონმდებლო შეთავაზებები პრობაციის სამსახურისათვის

ლატვიაში პრობაციის სამსახურის შექმნა შეთავაზებულ იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელმაც შეიმუშავა პრობაციის სამსახურის მოდელი და კანონპროექტი. დღესდღეობით აღნიშნული შეთავაზება წარმოადგენს მთავრობისა და საზოგადოების განხილვის საგანს.

ექსპერტების შეთავაზებით სამსახურს უნდა განეხორციელებინა პრობაციის სამსახურის ყველა ფუნქცია. ეს ნიშნავდა შემდეგი ფუნქციების დამატებას: ლატვიის ტერიტორიაზე დანაშაულის პრევენციის ინიციატივების კოორდინაციასა და პოპულარიზაციას, თავდების ზედამხედველობის პროგრამების ორგანიზება და კოორდინაცია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზემოქმედების ზომებით შეცვლის ორგანიზება და კოორდინაცია და ისეთ შემთხვევებში, სადაც საჭირო იქნებოდა ზედამხედველობის განხორციელება იმ პირების მიმართ, რომლებმაც პოლიციის ან პროკურატურის მეშვეობით ფორმალურად აიცილეს სასამართლო სისტემა. ასევე შეთავაზებული იყო, რომ პრობაციის სამსახურს ჩამოერთმია პოლიციისთვის იმ მსჯავრდებულებთან ზედამხედველობისა და მუშაობის ფუნქცია, რომლებსაც სასამართლოებმა შეუფარდეს პოლიციის კონტროლი.

აუცილებელი იქნება შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, რათა არ მოხდეს პრობაციის სამსახურის ზომავზე მეტად გადატვირთვა. უნდა არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ პრობაციის ოფიცერთა ლიმიტირებული რესურსები გამოყენებულ იქნეს იმ მიმართულებით, სადაც ეს ყველაზე მეტად იქნება საჭირო. სტრატეგია უნდა განვითარდეს ისე, რომ პრობაციის ოფიცრებმა უფრო მეტი დრო დაუთმონ მსჯავრდებულებთან ურთიერთობას და მათს ზედამხედველობას, ვიდრე ოფისებში დოკუმენტებზე მუშაობას.

7.2 პრობაციის ოფიცერთა ტრენინგი

ქვეყანაში არ არსებობს ეროვნული ან სისტემატური ტრენინგის პროგრამა სოციალური მუშაკებისათვის ან იმ პირებისათვის, რომლებიც უკვე ახორციელებენ პრობაციის ფუნქციებს. უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოციალურ სამუშაოთა ან პრობაციის გრძელვადიან განვითარებას ლატვიაში და აგრეთვე უნდა განისაზღვროს ის ორგანოები (ეროვნული პრობაცია, სოციალური სამუშაოების სამსახური ან სულ მცირე ეროვნული სააგენტო), რომლებიც დაადგენენ მუნიციპალიტეტებში სოციალური მუშაობისა და პრობაციის ფუნქციების შესასრულებლად საჭირო მინიმალურ პროფესიულ სტანდარტებს.

ტრენინგის შესაძლებლობების განვითარებისათვის საჭიროა კოლეგებსა და უნივერსიტეტებს საშუალება მიეცეთ შესაბამისი ტრენინგების ჩატარებისა იმ პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ მუშაობას ახალგაზრდა მსჯავრდებულებთან. ამ შემთხვევაში შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს დამეგობრების პროგრამებს იმ უნივერსიტეტებსა და კოლეგებს შორის, რომლებიც უკვე ახორციელებენ ანალოგიურ ტრენინგ-პროგრამებს. აღნიშნული ხელს შეუწყობს ორივე მხარეს პრაქტიკული ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარებასა და ტრენინგ-პროგრამების განვითარებაში.

7.3 სისხლის სამართლის სისტემის პოტენციური გაუმჯობესებები

საჭიროა აგრეთვე გათვალისწინებული იყოს სხვა რეფორმები, რომელშიც არ არის ჩართული პრობაციის სამსახური. წინასწარი დაკავების შემცირებას გამოიწვევს წინასწარი გამოძიების ფაზაში თავდებობის უფრო ფართოდ გამოყენება, რაც დაავალდებულებს ბრალდებულს და გაუზრდის სასამართლო პროცესზე დროულად გამოცხადების თვით-შეგნებას. ეს არა მხოლოდ შეამცირებს ხალხის რაოდენობას ციხეებში, არამედ გააძლიერებს „უდანაშაულობის პრეზუმფციას“ სისხლის სამართალწარმოების პროცესში. აღნიშნულის დაწყება შესაძლებელია ერთ გარკვეულ სასამართლოში პილოტური პროექტის მეშვეობით. სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პირთა მიმართ გამოსაყენებელი პირობების ჩამონათვალი უნდა გაფართოვდეს. აღნიშნულის განხორციელების შემთხვევაში პრობაციის ოფიცრებს მიეცემათ მეტი საშუალება გაითვალისწინონ პიროვნებების საჭიროებები და მოახდინონ შესაბამისი გავლენა ზედამხედველობის ქვეშ მყოფებზე.

7.4 არასრულწლოვნები

გასულმა წლებმა გვიჩვენა საჭიროება პილოტური პროექტების განვითარებისა, რომლის მიზანიც იქნებოდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია. ორ ლატვიურ ქალაქში (ცესის, ტუკუშს) განხორციელებული ახალგაზრდათა პრობაციის პილოტური

პროექტები მხარდაჭერილ იქნა კანადის კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ასოციაციის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და სოროსის ფონდ ლატვიის მიერ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლატვიაში მომავალი პრობაციის სამსახურის ჩამოყალიბებაში. კანადის კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ასოციაციების დახმარებით, ადგილობრივმა ნებავყოფლობითმა ორგანიზაციამ „ქალაქ რიგის მისიამ“, სასჯელმისჯილი მცირეწლოვნების რეაბილიტაციისათვის განახორციელა 5-თვიანი პროგრამა. მათ აგრეთვე წარმოადგინეს მცირეწლოვანთა დროებითი გათავისუფლების ბანაკების გამოყენების საშუალება, რომელიც შესაძლოა უახლოეს პერიოდში გახდეს წინასწარი დაკავების ალტერნატივა.

სხვა მნიშვნელოვანი წარმატებები, რომლებიც მოხდა არასრულწლოვანთა იუსტიციის სისტემაში, იყო პროექტები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ლატვიის ბავშვთა უფლებების დაცვის ბიურომ და გაეროს განვითარების პროგრამამ.

მისამართები, ტელეფონებისა და ფაქსის ნომრები, ვებგვერდები და შესაბამისი პუბლიკაციები

8.1

Ministry of Justice
Ilona Kronberga,
Head of the Working Group on the Probation Service
tel.: 371-9286425
<http://www.tm.gov.lv/>

Vitolds Zahars,
Director of Prison Administration
Stabu iela 89
Riga, LV 1009
tel.: 371-7208325
e-mail: ievpr@icm.gov.lv

Soros Foundation-Latvia
Angelita Kamenska, Director, Prison and Police Reform Programme
Alberta 13, Riga, LV 1010
tel: 371-7039241/265
fax: 371-7039243
e-mail: angel@sfl-paic.lv
www.sodi.lv

8.2

Concept Paper on Probation Service
Draft Law on Probation Service
Concept Paper on Alternative Punishments
Draft Criminal Procedure Code
Draft Law on Correctional and Educational Measures for Children
Criminal Law (<http://www.ttc.lv/>)

Asquith, Prof. Stewart (2002) Report on Alternatives Measures for Dealing with Young Offenders in Latvia, Prepared for UNDP Latvia. Centre for the Child & Society, University of Glasgow, Scotland.

Berzins, Andrejs (2002) Report to The Working Group on Probation in Latvia, On behalf of The Legal Reform Capacity Program in Latvia, Association of Universities and Colleges of Canada. European Union (2002) Regular Report on Latvia's Progress Towards Accession, Brussels. (2002) 1405.

King, Roy (1999) Report on the Latvian Prison System. Based on a visit to Latvia 19-23 April 1999 on behalf of the European Commission.

Koncepcija Par izmainam sodu sistama. Ar Ministru kabineta 2002. gada 20. jūnija rīkojumu Nr. 337 ("Latvijas Vestnesis", 10.07.2002., Nr. 104)

Open Society institute (2001) Monitoring the EU Accession Process: Judicial Independence. EU Accession Monitoring programme.

Rutkis, J. (ed.) (1967) Latvia: Country and People. Latvian National Foundation, Stockholm.

ტაბულა ა: 1990-2001 წლებში რეგისტრირებული დანაშაული

დანაშაულები	1990	1997	1998	1999	2000	2001
საერთო რიცხვი	34686	38205	36865	43969	50199	51082
განზრახ მკვლელობა	165	259	238	214	219	214
თავდასხმა დამამ						
პიმბელი გარემოებებით	373	500	427	429	424	367
ძარცვა	1649	829	609	2619	3160	3059
ბინის ქურდობა	4142	4418	4467	4706	5614	5439
სხვა ქონების ქურდობა	17470	17474	17057	17057	23258	23258
გახსნილი საქმეები	39.9%	51.4%	56.6%	47.0%	42.9%	45.5%
დანაშაულის რაოდენობა 10.000 მოსახლეზე	130	152	152	184	212	215

ტაბულა ბ: 1990-2000 წლებში მსჯავრდებულები

მსჯავრდებულები	1990	1995	1996	1997	1998	1999	2000
საერთო რიცხვი	12879	17261	17180	17494	17476	17084	17807
% ქალები	12.6%	8.8%	8.9%	10.3%	10.1%	10.1%	10.6%
% არასრულწლოვნები	19.4%	15.2%	15.8%	16.0%	17.35	15.9%	17.6%
% ადრე ნასამართლები	33.0%	40.1%	39.5%	41.2%	41.6%	38.0%	37.8%
% ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ჩადენილი დანაშაული	39.2%	47.6%	47.2%	46.4%	46.3%	44.6%	39.7%


ტაბულა გ: 1990-2001 წლებში მსჯავრდებულ პირთა სასჯელები

სასჯელი	1990	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
პირობითი	14.6%	41.4%	51.2%	53.2%	53.4%	57.6%	56.6%	54.8%
გადავადებული	12.5%	6.9%	6.2%	4.5%	3.5%	2.7%		
საპატიმრო	36.6%	29.0%	21.0%	25.3%	22.6%	22.3%	26.0%	25.8%
ჯარიმა	8.9%	18.1%	16.8%	15.0%	17.5%	15.8%	10.0%	8.0%
საზოგადოებისათვის								
სასარგებლო შრომა--					1.4%	4.7%	8.0%	
სხვა	27.4%	4.9%	4.8%	2.0%	3.0%	0.2%	3.8%	3.4%

ტაბულა დ: 1999-2001 წლებში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაშეფარდებული მსჯავრდებულები დანაშაულის სახეობის მიხედვით

დანაშაულის სახე	1999	2000	2001
მანქანის ნასვამ მდგომარეობაში			
მართვა	40.4%	36.0%	37.2%
ქურდობა	27.3%	33.0%	37.0%
უკანონო ხის ჭრა	9.8%	11.0%	7.7%
სამუშალო/ნაკლები სხეულის დაზიანება	8.7%	3.4%	14.1%
სხვა დანაშაულები	13.8%	16.6%	14.1%

სქემა ა: 2002 წლის იანვრისთვის მსჯავრდებულთა სასჯელის ხანგრძლივობა



თავი 7

ლიტვა

რამუნე ტამაშაუსკაიტე

ძირითადი ინფორმაცია ლიტვის შესახებ და პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება

1.1 პოლიტიკური სისტემა

ლიტვის რესპუბლიკა არის ბალტიის ქვეყანა, რომელსაც უკავია 65.200 კვადრატული კილომეტრი. ორ მსოფლიო ომს შორის მყოფი დამოუკიდებელი ქვეყანა ლიტვა ანექსირებულ იქნა საბჭოთა კავშირის მიერ 1940 წელს. 1990 წლის 11 მარტს ლიტვა გახდა პირველი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა. აღნიშნული აღიარებულ იქნა მხოლოდ 1991 წლის სექტემბერში (მას შემდეგ, რაც მოსკოვში მოხდა სამხედრო გადატრიალება - პუტჩი).

1992 წლის 25 ოქტომბერს რეფერენდუმის გზით მიღებულ იქნა ლიტვის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციის თანახმად, ლიტვა არის დემოკრატიული რესპუბლიკა და ყველა მოქალაქეს ანიჭებს უფლებას მიიღოს მონაწილეობა მთავრობაში როგორც პირდაპირი გზით, ასევე წარმომადგენლის არჩევით. კონსტიტუცია უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების მთავარ ფუნქციებს, რომლებიც ქვემოთ არის მოყვანილი.

ლიტვაში არის კარგად ჩამოყალიბებული დემოკრატია საპარლამენტო/საპრეზიდენტო სისტემით. ლიტვაში ხელისუფლება ტრადიციულია: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ერთპალატიანი პარლამენტი (სეიმას), 4-წლიანი ვადით არჩეული წევრებით.

ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლო არ არის სასამართლო სისტემის ძირითადი ნაწილის შემადგენელი. საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება პარლამენტის მიერ მიღებული კანონებისა და საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ და იმის თაობაზე ხომ არ არღვევენ პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები კონსტიტუციასა და კანონებს (მუხლი 102). საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს წარმოადგენს ლატვიის რესპუბლიკის მიერ დადებული საერთაშორისო შეთანხმებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება და იმ პარლამენტის წევრებისა და სახელმწიფო მოხელეების კონკრეტული ქმედობის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება, რომელთა მიმართაც დაწყებულია იმპიჩმენტის პროცედურა (მუხლი 105). ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს ე. წ. უარყოფითი საკანონმდებლო ხელისუფლება: მას შეუძლია განიხილოს მხოლოდ უკვე მიღებული კანონმდებლობა. მისი გადაწყვეტილებები ავტომატურად არ აღქმებს აქტებს, ისინი მხოლოდ ფორმალურად გაუქმებულია. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს გავლენა აქვთ სასამართლოებსა და სხვა ორგანოებზე, ვინაიდან ისინი ელოდებიან კანონმდებლობის შესაბამისი ნაწილის იმპლემენტაციის შეჩერებას.

აღმასრულებელი ხელისუფლება თავმოყრილია ქვეყნის პრეზიდენტის, რომელსაც ირჩევენ პირდაპირი ფარული კენჭისყრით ხუთწლიანი ვადით და პრემიერ-მინისტრის წარდგინებით პრეზიდენტის მიერ დანიშნული მინისტრთა კაბინეტის ხელში. ქვეყნის დღევანდელი პრეზიდენტი მხარს უჭერს ქვეყნის ნატოში, ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში შესვლას. 2002 წლის შემოდგომით უნდა ჩატარდეს

ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნები, რომელზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე, მაგრამ ნატოსა და ევროგაერთიანებისაკენ სწრაფვა კვლავ გაგრძელდება.

პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თანხმობით, ნიშნავს პრეზიდენტი. პრემიერ-მინისტრის წარდგინებით პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრებს. პრემიერ-მინისტრმა დანიშნებიდან 15 დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს მინისტრთა კაბინეტი, რომელიც პრეზიდენტმა შესათანხმებლად უნდა წარუდგინოს პარლამენტს. პრემიერ-მინისტრმა აგრეთვე პარლამენტს განსახილველად უნდა წარუდგინოს მთავრობის სამოქმედო გეგმა.

ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას ევალება: ადმინისტრირება გაუწიოს ქვეყნის ურთიერთობებს; დაიცვას ლიტვის რესპუბლიკის ხელშეუხებლობა და დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და სახელმწიფო უსაფრთხოება; მიიღოს როგორც კანონები და კანონების მისაღებად საჭირო საპარლამენტო რეზოლუციები, აგრეთვე პრეზიდენტის დეკრეტები; კოორდინაცია გაუწიოს სამთავრობო დაწესებულებებისა და სამინისტროების საქმიანობას; მოამზადოს ბიუჯეტის პროექტი, მიღების შემდეგ აღასრულოს იგი და პარლამენტს მოახსენოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ; მოამზადოს საკანონმდებლო აქტები და განსახილველად წარუდგინოს პარლამენტს; დაამყაროს და განავითაროს დიპლომატიური ურთიერთობების საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; განახორციელოს კონსტიტუციითა და კანონებით მთავრობაზე დაკისრებული სხვა მოვალეობები.

უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოხდა მთავრობის მთელი რიგი ცვლილებებისა. არსებული მე-13 მთავრობა, რომელიც შედგება სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სოციალ-ლიბერალებისაგან, ფორმირებულ იქნა ძველი მთავრობის დათხოვნის შემდეგ, 2001 წლის ივლისში. ახალი პრემიერ-მინისტრი არის ყოფილი პრეზიდენტი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი. ახალი მთავრობის პროგრამის თანახმად, ქვეყანა გააგრძელებს სწრაფვას ნატოსა და ევროგაერთიანებისაკენ, განახორციელებს ტრანსპარენტულ და რაციონალურ პრივატიზაციას, გააუმჯობესებს სახელმწიფო მართვას ისეთ პრობლემებთან მიმართებით, როგორებიცაა უმუშევრობა, სოციალური უსაფრთხოება, სიღარიბე, განათლება, ოჯახი, ბავშვები და ახალგაზრდების მხარდაჭერა. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და 13 მინისტრისაგან, რომელთა შორის მხოლოდ იუსტიციის მინისტრი და სოციალური კეთილდღეობისა და შრომის მინისტრები არიან პასუხისმგებელი სოციალური სამუშაოებისა და გამოსწორების მიმართულებებზე.

სოციალური კეთილდღეობისა და შრომის სამინისტრო პასუხისმგებელია, როგორც სოციალური მხარდაჭერისა და სოციალური დაზღვევის ეფექტური სისტემის შექმნასა და განხორციელებაზე, აგრეთვე სოციალური დაცვის სისტემის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანაზე. სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა სიღარიბის შემცირების სტრატეგია, რომელიც მიმართულია ყოფილი პატიმრებისა და სხვა მარგინალური ჯგუფების დახმარებისკენ.

მხოლოდ სასამართლოებს, როგორც სასამართლო ხელისუფლების ერთადერთ ორგანოს, უფლება აქვთ განახორციელონ მართლმსაჯულება და მათ ამის გაკეთება ევალებათ დამოუკიდებლად. საქმეთა გამოძიებისას მოსამართლეები უნდა დაეყრდნონ მხოლოდ კანონებს. სასამართლოები წარმოადგენენ ოთხდონიან, სამინისტრაციიან სისტემას: რაიონული, რეგიონული, სააპელაციო და ლიტვის უზენაესი სასამართლო. დანაშაულის სიმძიმიდან ან ბრალდებულის სტატუსიდან გამომდინარე, საქმეები იხილება რაიონულ ან რეგიონულ სასამართლოებში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლი). ასეთი საქმეების აპელაცია იმნიშნება რეგიონალურ და სააპელაციო სასამართლოებში. ლიტვის უზენაესი სასამართლო წარმოადგენს უკანასკნელი ინსტანციის სასამართლოს. რაიონული, რეგიონული და სააპელაციო სასამართლოების ყველა განაჩენები, გადაწყვეტი-

ლებები და ბრძანებები შეიძლება გასაჩივრებული იყოს უზენაეს სასამართლოში. ლიტვის უზენაესმა სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს შესაბამისობა, თანახმად არსებული კანონმდებლობისა. სასამართლოები განიხილება, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის უმთავრესი გარანტია. ყველა სასამართლო პროცესი გახსნილია საზოგადოებისათვის, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა დაცვა მოქალაქის, მისი ან მისი ოჯახის წევრების პირადულობის ან დასაცავია სახელმწიფო, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოება.

საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიმდინარე სახელმწიფო სისტემის რეფორმა ჯერ არ დასრულებულა, თუმცა უკვე არსებობს მთელი რიგი მიღწევებისა. შესაბამისი კანონის თანახმად (ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები და მისი საზღვრები), შექმნილია 10 რეგიონი 56 მუნიციპალიტეტით. ცენტრალური მთავრობა ხელისუფლებას უნაწილებს რეგიონებს, რათა გადაწყვეტილების მიღების საშუალება მიეცეს ადგილობრივ ხალხს. მუნიციპალიტეტები წარმოადგენენ თვითმმართველობის ორგანოებს, რომელთაც ხელმძღვანელობენ მერები და ადგილობრივი საბჭოები. საბჭოების წევრებს ირჩევს ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ხალხი სამწლიანი ვადით. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მთავრობების მხარდაჭერა. კონსტიტუციისა და კანონების მიერ მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, ადგილობრივ მთავრობებს შეუძლიათ იმოქმედონ თავისუფლად და დამოუკიდებლად (კონსტიტუციის მუხლი 120). ადგილობრივ მთავრობებს შეუძლიათ შეიბუშონ და მიიღონ თავიანთი ბიუჯეტი.

1.2 ლიტვის ეკონომიკა და დემოგრაფიული მდგომარეობა

ლიტვა ნელ-ნელა გამოდის რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისიდან. უმუშევრობის მაღალმა დონემ გააჭიანურა ეს პროცესი. მთავრობის ძალისხმევამ, გაეზარდა GDP. შედეგი გამოიღო 2000 წელს, როდესაც დაფიქსირდა GDP-ის ზრდა 3.9%-ით. ეკონომიკის აღდგენა გამოწვეული იყო ექსპორტის ზრდით (20.5%). 2001 წელს ექსპორტმა ევროგაერთიანებაში მიაღწია 21.2%-ს, რის გამოც საერთო ექსპორტის დონემ მიაღწია 47.9%-ს. ეკონომიკის გამოცოცხლების პირველი ნიშნები გაჩნდა 2001 წელს, როდესაც GDP-ს ზრდამ მიაღწია 4.4%-ს, ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა 12.9%-ით. 2002 წელს ევროგაერთიანებაში შესვლის ერთ-ერთ წინაპირობად მთავრობამ საკუთარი ფულადი ერთეული, ლიტასი, მიიღო უფრო მეტად ევროს, ვიდრე დოლარს. 2002 წლისათვის GDP-ს ზრდა ნაევარაუდებია 4.7%-ით.

2001 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 3.48 მილიონია, როდესაც 1997 წლის მონაცემებით 3,7 მილიონს შეადგენდა. მოსახლეობის კლების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს შობადობის კლება (2.02 -1990 წელს და 1.27 – 2000 წელს), რაც გამოწვეულია ეკონომიკური ცვლილებებითა და ქვეყანაში ცხოვრების სტანდარტების ზრდით.

ლიტვა წარმოადგენს ძალიან ჰომოგენურ სახელმწიფოს, სადაც მოსახლეობის 80.6%-ს შეადგენენ ლიტველები, 8.7%-ს - რუსები, 7%-ს - პოლონელები, 1.6%-ს - ბელორუსები და სხვა მცირე ერები. 2000 წელს მოსახლეობის 2/3 ცხოვრობდა ქალაქებში და 20.1% დასაქმებული იყო ინდუსტრიაში, 6.1% - მშენებლობაში და 54.2% - მომსახურების სფეროში. მიუხედავად ამისა, ლიტვის ეკონომიკა ძალიან არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე (19.6% დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში, ამის მიუხედავად, ამ სექტორში წარმოებული GDP წარმოადგენდა 7.6%-ს). სოფლის მეურნეობის დარგი

მოითხოვს რესტრუქტურისაზიას, ვინაიდან პრივატიზაციის პერიოდში ფერმერებისათვის გადაცემული მიწის ფართობები ძალიან პატარა და არ არის მომგებიანი.

ინდუსტრიის მთავარ დარგებს წარმოადგენენ: ელექტროძრავები, მეტალის სამუშაო იარაღები, ტელევიზიის საშუალებები, მაცივრები და საყინულეები, გემთმშენებლობა (პატარა გემები), რაფინირებული საწვავი, ტექსტილი, ავეჯის წარმოება, საკვების წარმოება, ოპტიკა, სოფლის მეურნეობის დანადგარები, ელექტროკომპონენტები, კომპიუტერები და ა. შ. დამოუკიდებლობის შემდეგ მიმე მრეწველობის უმეტესობა დაიშალა, ვინაიდან დამოკიდებული იყო საბჭოთა კავშირში არსებულ ერთიან სისტემაზე და მისი აღდგენის პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, მსუბუქი მრეწველობა ძალიან კარგად ვითარდება და ტექსტილი წარმოადგენს ექსპორტის უდიდეს ნაწილს.

ლიტვას გააჩნია ატომური ელექტრო სადგური, რომელიც აწარმოებს ელექტროენერჯიას არა მხოლოდ ქვეყნისათვის, არამედ აგრეთვე გააქვთ საზღვარგარეთ, თუმცა სადგური მოქმედებულისა და არ ითვლება უსაფრთხოდ. ევროგაერთიანებაში შესვლის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს 2009 წლამდე მისი დახურვა. აღნიშნული სადგურის დახურვა ძალიან მძიმედ იმოქმედებს ლიტვის ეკონომიკაზე და სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ძალაპარაკებები ამ საკითხზე გრძელდებოდა 2002 წლამდე. გადაწყდა, რომ ამ პროცესში ევროკავშირი მიიღებს ფინანსურ მონაწილეობას.

1.3 პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება

ლიტვაში არსებულმა დამსჯელმა სისტემის სამართლის პოლიტიკამ და გრძელვადიანმა საპატიმრო სასჯელებმა გამოიწვია ციხეების გადატვირთვა. 2001 წელს ციხის მოსახლეობა შეადგენდა 14.000 პატიმარს და 100.000 მოსახლეზე მოდიოდა 332 მსჯავრდებული. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 10 წლის მანძილზე ამნისტია სამჯერ იქნა გამოცხადებული, მაგრამ ზედამხედველობისა და მხარდაჭერის გარეშე გამომწვეული მსჯავრდებულები ახალ დანაშაულებს ჩადიოდნენ, რის გამოც მათ ხელახლა იჭერდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამნისტიას ჰქონდა მხოლოდ დროებითი ეფექტი, რის გამოც, მიუხედავად საზოგადოების წინააღმდეგობისა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პატიმართა რაოდენობა შეემცირებინათ ალტერნატიული სასჯელების მეშვეობით.

ლიტვაში პრობაციის სამსახურის ფუნქციას წარმოადგენს ურთიერთობა მსჯავრდებულებთან, რომელთაც შეფარდებული აქვთ პატიმრობის ალტერნატიული სასჯელები. ძირითად ალტერნატივებს წარმოადგენენ: სასჯელის გადავადება, პირობით ვადამდე გათავისუფლება და გამასწორებელი მუშაობა ხელფასის გარეშე (რომელიც არ უნდა ავეერიოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში). ამ უკანასკნელის შეფარდება თითქმის არ ხდება.

პრობაცია გულისხმობს მსჯავრდებულის ზედამხედველობას, მისი საქმიანობის კონტროლს და სოციალური დახმარების აღმოჩენას. საპრობაციო სამუშაოებს ახორციელებენ, ე. წ. გამასწორებელი ინსპექტორები, რომელთა მოვალეობაშიც შედის როგორც სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელების აღსრულების, აგრეთვე მსჯავრდებულებისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სოციალური დახმარების აღმოჩენა.

1972-73 წლებში გაჩნდა მოსაზრება, რომ მსჯავრდებულები, რომელთაც შეფარდებული ჰქონდათ ალტერნატიული სასჯელები საჭიროებდნენ ზედამხედველობას. შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომლის მოვალეობაშიც შედიოდა ალტერნატიულ სასჯელშეფარდებული მსჯავრ-

დებულების გამასწორებელი საქმიანობის ზედამხედველობა და კოორდინაცია. ამ მიზნით, მუნიციპალურ პოლიციაში ამ ფუნქციის განხორციელება დაეკისრა ერთ ან ორ პოლიციელს და დავალა მსჯავრდებულთა ზედამხედველობა. ამავე დროს შემოდებულ იქნა დროებითი თავშესაფრებიც. ეს იყო საერთო საცხოვრებელი იმ მსჯავრდებულებისათვის, რომელთაც მოიხადეს საპატიმრო სასჯელი. ამ საერთო საცხოვრებლის მოსახლეები დღის მანძილზე ეწეოდნენ მუშაობას მშრომელების (მუშების) სოციალური და საგანმანათლებლო ზეგავლენის ქვეშ. მათ უფლება ჰქონდათ საღამო გაეტარებინათ თავშესაფრის გარეთ, მაგრამ ღამე აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყვნენ. თავშესაფრებს ხელმძღვანელობდნენ ოფიცრები, რომლებიც პირდაპირ ანგარიშვალდებული იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური განყოფილების წინაშე. თავშესაფრები დაიხურა 1993 წელს, როდესაც ახალმა კონსტიტუციამ აკრძალა იძულებითი მუშაობა. 2000 წლამდე პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა ზედამხედველობას ახორციელებდნენ მუნიციპალური პოლიციები, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ციხეების განტვირთვაში. მიუხედავად იმისა, რომ პატიმართა უმეტესობა გათავისუფლდა ვადაზე ადრე, არ ჩატარებულა არანაირი ღონისძიება შემდგომი დასახლებისთვის.

მანამდე, სანამ ლიტვა კვლავ დამოუკიდებელი გახდებოდა, ზედამხედველობა ზედაპირული იყო და გულისხმობდა მხოლოდ მოხსენებების გაკეთებას. 1995 წლიდან სისტემამ განიცადა ცვლილებები და შესაძლებელი გახდა სასჯელის გადავადება. ერთ-ერთ პირობად მას დაემატა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. დღესდღეობით სასჯელის გადავადების 8%-დან 10%-მდე შეიცავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების ვადებულებას.

2000 წლის 1 სექტემბრიდან გამასწორებელმა სისტემამ შინაგან საქმეთა სამინისტროს იურისდიქციიდან გადაინაცვლა იუსტიციის სამინისტროს ციხეების დეპარტამენტში. ანალოგიურად გადავიდა 97 გამასწორებელი ინსპექტორი და 16.473 მსჯავრდებულის საქმე. 2000 წლის სექტემბრიდან 2002 წლის იანვრამდე იყო გარდამავალი პერიოდი, რა დროსაც გამასწორებელ ინსპექტორებს დახმარებას უწევდნენ, როგორც პოლიცია აგრეთვე ციხის დეპარტამენტი. ციხის დეპარტამენტის სტრუქტურაში გადასვლის შემდეგ გაფართოვდა გამასწორებელი ინსპექტორატების სტრუქტურა და ფუნქციონალური დატვირთვა. 2002 წლის აპრილისათვის ინსპექტორების რაოდენობა 112-ს მიაღწია (13.486 მსჯავრდებულის საქმე). სისტემის გადასვლამდე ინსპექტორატი წარმოადგენდა დეცენტრალიზებულ სტრუქტურას, რომელიც ანგარიშვალდებული იყო ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში განთავსებული პოლიციების წინაშე. ციხის დეპარტამენტის შემადგენლობაში სტრუქტურა გახდა ცენტრალიზებული და 2002 წლიდან შემოდებულ იქნა ახალი სტრუქტურა ალტერნატიული სანქციებისათვის. აღნიშნული უფრო დეტალურად იქნება განხილული მოგვიანებით.

დღესდღეობით, გამასწორებელი ინსპექტორატები განიცდიან მნიშვნელოვან რეფორმებს. ცოტა ხნის წინ არსებული კანონმდებლობით მსჯავრდებულთა ზედამხედველობისას ლიბერებული იყო ინსპექტორატების როლი და მათ არ ევალებოდათ დახმარების აღმოჩენა, რესურსების უქონლობისა და საქმეების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო მხოლოდ საქმეთა წარმოება და რეგისტრაცია. გამასწორებელი ინსპექტორები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობასა და შემდეგი სასჯელების აღსრულებაზე: სასჯელის გადავადება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მუშაობა ხელფასის გარეშე, მუშაობის ან ვალდებულებების აკრძალვა და პირობით ვადამდე გათავისუფლება. გამასწორებელ ინსპექტორატებს ეხმარებიან მუნიციპალიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაწესებულებები.

სასჯელების ან სასჯელებისას პირობების შევარდების უფლება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა და გამასწორებელ ინსპექტორებს უფლება აქვთ მიმართონ მათ

პირობების შეცვლის თხოვნით, თუმცა სასამართლოებს კანონით შეზღუდული აქვთ სასჯელთა შეცვლის საშუალება.

1.4 შეჯამება

დამოუკიდებლობის პირველი დეკადის დასასრულსა და ევროგაერთიანებაში შესვლის მცდელობისას ლიტვაში კვლავ რეფორმების გატარების უმნიშვნელოვანესი პერიოდაა. ეკონომიკურმა სიძნელებმა გამოიწვიეს მთელი რიგი პოლიტიკური არასტაბილურობებისა, რაც გამასწორებელი სისტემის განვითარების ხელის შეშლის მიზეზი გახდა. ლიტვა თავისი მკაცრი სასჯელების გამო დიდი ზეწოლის ქვეშ მოექცა როგორც საერთაშორისო მოლოდინების, ისე პატიმართა შესანახად საჭირო თანხების უქონლობის გამო.

გამასწორებელი ინსპექტორატების განვითარებამ გამოიწვია ახალი მიზნების დასახვა, რაც შემდეგში მდგომარეობდა: მსჯავრდებულთა ზედამხედველობისა და წინასწარი დაკავებიდან გათავისუფლების ზრდით საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და დაცულობის გაუმჯობესება. ზოგიერთმა გამასწორებელმა ინსპექტორატმა დაიწყო საზოგადოებაში არსებული სხვა შესაძლო პარტნიორების ძებნა. ახალმა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ გამასწორებელ ინსპექტორებს შესძინა ახალი როლი და დაუსახა ახალი მოთხოვნები.

ამავე დროს, როდესაც სახელმწიფო ფიქრობს ეკონომიკური ზრდის უსაფრთხოებაზე და საზოგადოების დამოკიდებულება მსჯავრდებულების მიმართ მტრულია, გამასწორებელი სისტემა არაადეკვატურად ფინანსდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულთა უსაფრთხო და ჰუმანური რეაბილიტაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ კერძო სექტორის მონაწილეობით. აგრეთვე აუცილებელი იქნება ეფექტური კერძო სექტორის განვითარება, ვინაიდან უცხოური ინვესტიციების შემოდინება კერძო სექტორში არ იქნება მუდმივი.

პრობაციის სამსახურის სამართლებრივი საფუძვლები და დებულება

2.1 სამართლებრივი საფუძვლები

2.1.1 სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ლიტვაში საკანონმდებლო სისტემა იერარქიულია, რომელიც იწყება კონსტიტუციით, კანონებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მთავრობის რეზოლუციებით, ადგილობრივი აქტებით, როგორცაა, მაგალითად, იუსტიციის მინისტრის ბრძანება, ციხეების დეპარტამენტის დირექტორის ბრძანება, გამასწორებელი ინსპექტორატების

ხელმძღვანელების ბრძანებები. როდესაც კანონები იერარქიულად არ შეესაბამება ერთმანეთს, უპირატესობა ენიჭება უმაღლესს.

თანახმად სისხლის სამართლის კოდექსისა, პრობაცია და სოციალური სამუშაოები შეესაბამება ყველა დანაშაულს, რომლებიც შეიძლება დასჯადი იყოს ალტერნატიული სანქციებით ან ნებისმიერ პირს, რომელსაც შეიძლება შეეფარდოს პირობითი მსჯავრი. ალტერნატიული სანქციების შეფარდება შესაძლებელია რამდენიმე დანაშაულისათვის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მას დანაშაულის პირველად ჩამდენის უფარდებენ. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა ალტერნატიული სანქციების გამოყენების მეტ შესაძლებლობას. სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, მალთან მცირეა იმ მსჯავრდებულებისა და დანაშაულობების ჩამონათვალი, რომელთა შემთხვევაშიც არ შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლების შეფარდება. სასჯელთა აღსრულების კანონპროექტის თანახმად, ციხის მმართველს ანიჭებს მეტ შესაძლებლობებს პირობით ვადამდე გათავისუფლების რეკომენდაციის მიცემისა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება კვლავ რჩება სასამართლოს პეროგატივად.

მსჯავრდებული 18 წლის ასაკიდან ითვლება სრულწლოვნად. აღნიშნული დადგენილია ახალი სისხლის სამართლის კოდექსით, თუმცა ამავე დროს დაშვებულია გამონაკლისი და როდესაც მსჯავრდებული 18-დან 21 წლამდეა, შესაძლებელია მისი გასამართლება, როგორც არასრულწლოვნის, თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ პირი თავისი სოციალური განვითარებით კვლავ არასრულწლოვანია (სისხლის სამართლის კოდექსის 81(2) მუხლი).

არასრულწლოვნებისთვის და სრულწლოვნებისთვის ერთი და იგივე სახის სისხლის სამართლებრივი სანქციებია, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა რეაბილიტაციური ან უფრო მსუბუქი სასჯელების შეფარდების საშუალებას.

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი იწყება 16 წლიდან; მხოლოდ რამდენიმე დანაშაული ითვალისწინებს პასუხისმგებლობის 14 წლის ასაკიდან დაწყებას (სსკ მუხლი 11). ახალ სისხლის სამართლის კოდექსში არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ცალკე თავი აქვს დათმობილი. კოდექსის იგივე მუხლი შეიცავს რეაბილიტაციურ სასჯელებს იმ მსჯავრდებულებისათვის, რომელთა ასაკი დანაშაულის ჩადენის დროს 14 წელზე ნაკლებია (ახალი სსკ მუხლი 13). ასეთი ზომების შეფარდება შესაძლებელია, როდესაც სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებული არასრულწლოვანს ჩადენილი აქვს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული ან მისდამენორო. სასამართლოს უფლება აქვს შეუფარდოს მაქსიმუმ სამი ერთმანეთის შესაბამისი ზომა (ახალი სსკ მუხლი 82).

პრობაციისა და სოციალური სამუშაოების საკანონმდებლო საფუძვლებს წარმოადგენს ლიტვის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის შემადგენელი კოდექსები: სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და გამოსწორების კოდექსი (ახალ კანონპროექტს ამავე საგანზე ეწოდება სისხლის სამართლის აღსრულების კოდექსი) და მთელი რიგი კანონებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ მხარდაჭერასა და რეინტეგრაციას.

კანონმდებლობის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც არეგულირებს სისხლის სამართლის დანაშაულებისას სასჯელის შეფარდებას, წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსი. მასში დეტალურად არის აღწერილი არა მხოლოდ ყველა სასჯელი და ზომა, არამედ ყველა დანაშაულისას შესაფარდებელი სასჯელები, რაც სასამართლოებს ანიჭებს სასჯელების შეფარდების კანონიერ უფლებას. გარდა ამისა, კოდექსი შეიცავს სასამართლოსათვის სასჯელთა აღსრულების გადავადების ძირითად პირობებს (სსკ მუხლი 47) და იძლევა იმ პირობების ჩამონათვალს, რომელთა შეფარდებაც შესაძლებელია სასჯელის გადავადებისას. კოდექსში აგრეთვე მოცემულია წინასწარი პატიმრობიდან

პირობით გათავისუფლების (მუხლი 54), არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების (მუხლი 52) და სავალდებულო სარეაბილიტაციო ზომების (მუხლი 61) გამოყენების საშუალებები. 2000 წლის 26 ოქტომბერს მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. მას იგივე სტრუქტურა აქვს და უფრო დეტალურად განხილული იქნება ქვემოთ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს პირობით გათავისუფლების პროცესს (მუხლი 412) და პირობით გათავისუფლებაზე უარის თქმას (მუხლი 413). ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულ იქნა 2002 წლის 14 მარტს.

გამოსწორების კოდექსი არეგულირებს როგორც პატიმრობიდან პირობით გათავისუფლების, სასჯელგადავადებულების და პირობით გათავისუფლებულების ზედამხედველობის, აგრეთვე მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომლების უფლებებსა და ვალდებულებებს და ციხიდან გათავისუფლებულთა ფინანსური მხარდაჭერის საკითხებს (მუხლი 84, 106, 108, 110, 111). აღნიშნულის მიუხედავად, რესურსების სიმცირის გამო ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენა არ არის ყოველთვის შესაძლებელი. ახალი სისხლის სამართლის აღსრულების კოდექსი ჯერ არ მიღებულა და განხილვის პროცესშია.

2.1.2 სანქციების აღსრულების სამართლებრივი საფუძვლები

კანონმდებლობის სამი ნაწილი უზრუნველყოფს ალტერნატიული სასჯელების აღსრულების საფუძვლებს. აღნიშნულის ძალაში შესვლისთვის მთავრობამ გამოსცა ორი რეზოლუცია. 2001 წლის 9 თებერვლის №149 მთავრობის რეზოლუცია, 2001-2004 წლებში ლიტვის რესპუბლიკის სამთავრობო პროგრამის დასამტკიცებლად გასატარებელი ზომების შესახებ, რომლის თანახმადაც, იუსტიციის სამინისტროს დაველა 2003 წლისათვის მოქმადებინა ლიტვის პრობაციის სისტემის მოდელი; 1997 წლის 21 იანვარს გამოცემული მთავრობის რეზოლუცია № 36, რომლის თანახმადაც, გამასწორებელ ინსპექტორებს დაველათ ისეთი სახის სასჯელის აღსრულების უზრუნველყოფა, როგორც არის გამოსასწორებელი სამუშაოები ხელფასის გარეშე.

პრობაცია არ არის შეზღუდული სასჯელების აღსრულებისას. ის აგრეთვე შეიცავს სოციალურ დახმარებასა და მხარდაჭერას, შესაბამის კანონქვემდებარე და სხვა სამართლებრივ აქტებს. თანახმადაც კანონისა სოციალური სამსახურების შესახებ (№1-1579, მიღებული 1996 წლის 9 ოქტომბერს), ყოფილი პატიმრები შეეყვანილი არიან იმ ჩამონათვალში, რომელიც საჭიროებს სოციალურ დახმარებას (მუხლი 4). მასში აგრეთვე მოცემულია ჩამონათვალ სოციალური დახმარებებისა, ძირითადი და სპეციალიზებული სოციალური მომსახურებისა და მათი შემადგენლობა, განსაზღვრული სოციალური სამსახურების კატალოგში, რომელსაც ყოველწლიურად აშუადებს. ამტკიცებს და აქვეყნებს სოციალური უსაფრთხოებისა და შრომის სამინისტრო (მუხლი 5). კატალოგის მიღება ხდება ყოველწლიურად და აქვს კანონქვემდებარე აქტის ძალა. კანონი აგრეთვე იძლევა ჩამონათვალ სოციალური მომსახურების განმარტაციულზელი სააგენტოებისა და მათს პასუხისმგებლობებს შემდგენლობად: 1) სოციალური დახმარებისა და შრომის, ჯანმრთელობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები; 2) რეგიონის მმართველები; 3) მუნიციპალური მმართველები (მუხლი 6).

1994 წელს მთავრობამ აგრეთვე მიიღო რეზოლუცია სოციალური დახმარების კონცეფციის შესახებ. კონცეფცია შეიცავს როგორც მსჯავრდებულებს, აგრეთვე ლიტვის მოქალაქეების სხვა მარგინალურ ჯგუფებს. აღნიშნული გეთავაზობს უფრო ეფექტური სოციალური დახმარების განსახორციელებელ სტრატეგიას. 2000 წლის 1 ივნისს სოციალური კეთილდღეობისა და შრომის სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა სიღარიბის

დამღვეის სტრატეგია, რომელიც სხვა მარგინალურ ოჯახებთან ერთად, შეიცავს მსჯავრდებულებსაც. სტრატეგია უშვებს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის ზომების გამოყენებას. მიუხედავად ამისა, ფინანსების უქონლობის გამო ვერ ხერხდება ყველა ზომის გამოყენება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მთავრობამ მიიღო მთელი რიგი რეზოლუციებისა, რომლებიც არეგულირებდნენ გათავისუფლებულ პატიმართა სოციალურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას (1996 წელს და 1999 წელს). იმ პერიოდისათვის ორივე ეს რეზოლუცია ძალზე პროგრესული იყო, თუმცა მუნიციპალურ დონეზე ფინანსების უქონლობის გამო მათი იმპლემენტაცია ვერ მოხერხდა. 1992 წელს გამოცემული რეზოლუცია უშუალოდ შეეხებოდა მსჯავრდებულებებს, ვინაიდან არეგულირებდა ყოფილ პატიმართა დროებითი თავშესაფრების და დასაქმების საკითხს. ამ რეზოლუციის თანახმად, ყოფილ პატიმრებს უფლება ჰქონდათ დარჩენილიყვნენ თავშესაფარში 6 თვის მანძილზე, საიდანაც 1 თვე უფასო იყო, ხოლო შემდეგ უნდა გადაეხადათ ქირის ფული. მთავრობის მიერ აგრეთვე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა სპეციალურ ფულად დახმარებას ყოფილი პატიმრებისთვის, თუმცა გადახდა დამოკიდებული იყო ციხის ფინანსურ შესაძლებლობებზე.

პრობაციის ორგანიზაციების ფორმალური ადმინისტრაციული კანონები და დებულებები, რომლებიც არეგულირებდნენ მათს მუშაობას, ამოცანებსა და კომპეტენციას, შემდეგია:

2000 წლის 16 აგვისტოს, იუსტიციის მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პატიმრებს უნდა აღმოუჩინონ სოციალური დახმარება, დაეხმარონ დასაქმებაში, ფულით, საჭმლით.

2001 წლის 27 დეკემბერს იუსტიციის მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, პატიმრებს უნდა ჩაუტარდეთ სამართლებრივი და სოციალური განათლების პროგრამები, დაეხმარონ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ადაპტაციასა და დადებითი ჩვევების და ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შექმნაში.

2002 წლის 3 იანვარს იუსტიციის მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, დამტკიცებულ იქნა გამასწორებელი ინსპექტორების მუშაობის ინსტრუქციები. აღნიშნული არეგულირებს გამასწორებელი ინსპექტორების მუშაობას ციხის დეპარტამენტში, აგრეთვე ანგარიშვალდებულებას, მთავარ ამოცანებსა და ფუნქციებს, თანამშრომლობას პოლიციასთან და სხვა შესაბამის ორგანოებთან. ციხის დეპარტამენტის თანამდებობის პირები ზედამხედველობას უწევენ ინსპექტორებს. ანალოგიური ინსტრუქციები არეგულირებენ გამასწორებელი ინსპექტორების მიერ ზედამხედველობისა და სოციალური დახმარების განხორციელებას.

იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ რეგიონალური გამასწორებელი ინსპექტორატების დებულებებში ასახულია 5 რეგიონალური გამასწორებელი ინსპექტორატის მიზნები, სამუშაოები, კომპეტენციის სფეროები და ორგანიზაციული სტრუქტურა.

2.2 პრობაციის ორგანიზაციების მისია

2.2.1 დებულება

ლიტვის გამასწორებელ ინსპექტორატს არ გააჩნია დებულება, ვინაიდან ციხის დეპარტამენტს, რომელიც ხელმძღვანელობს პრობაციის განვითარებას, აქვს მოკლე დებულება: სისხლის სამართლის სასჯელების აღსასრულებლად ჰუმანური და დემოკრატიული სისტემის შექმნა. დებულების თანახმად, ორი ძირითადი მიმართულებაა: 1) სისხლის სამართლის სასჯელებისა და წინასწარი დაკავების აღსრულება; 2) საპატიმრო სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაცია და თავისუფლების ჩამორთმევა. 2003 წლისათვის დეპარტამენტი ამზადებს ახალ მიზნებს, რომლებიც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება არსებულისგან, მაგრამ შეიცავს ალტერნატიული სასჯელების აღსრულებას.

ვინაიდან პრობაციის სისტემა ციხის დეპარტამენტის შემადგენელი ნაწილია, ალტერნატიულ სასჯელთა აღსრულებისათვის საჭირო სტრატეგია და დებულება იგივეა, რაც მთელი გამასწორებელი სისტემისათვის. ციხის დეპარტამენტს აქვს შემდეგი მიზნები:

სამართლებრივი რეფორმისა და სისხლის სამართლის იუსტიციის რეფორმის ფარგლებში სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულების სისტემის რეფორმირების ორგანიზება და იმპლემენტაცია;

წინასწარ პატიმრობაში მყოფთათვის დადგენილი კანონიერი სტანდარტების უზრუნველყოფა;

საპატიმრო სასჯელების აღსრულების უზრუნველყოფა;

უხელფასო გამასწორებელი სამუშაოების, გარკვეული სამუშაოს ან ვალდებულებების აკრძალვის, საპატიმრო სასჯელის გადაადგმის და პირობითი მსჯავრის აღსრულების უზრუნველყოფა;

საწესდების კანონის შესაბამისად აღსრულების უზრუნველყოფა და მსჯავრდებულებისათვის გამასწორებელი პროგრამების ორგანიზება.

ციხის დეპარტამენტი დიდ ძალისხმევას არ ხარჯავს ალტერნატიულ საწესდებსა და რეინტეგრაციაზე. მიზნებში დეპარტამენტის ფუნქციები უფროა ასახული, ვიდრე სტრატეგიული სამიზნეებისა. აღნიშნული ემყარება ევროპის საბჭოს ციხის მინიმალური სტანდარტებისა და არასაპატიმრო საწესდების სამართლებრივ დადგენილებას. ლიტვამ რატიფიკაცია გაუკეთა ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას და სხვა მნიშვნელოვან ხელშეკრულებებს. ის ცდილობს თავისი სისტემა საერთაშორისო მოთხოვნებს შეუსაბამოს.

2.2.2 პრიორიტეტები და მისი საფუძვლები

ლიტვაში პრობაციის სისტემის ჩამოყალიბება ადრეულ ეტაპზეა, რის გამოც პრიორიტეტებმა უნდა განსაზღვრონ სახელმძღვანელო პრინციპები და განვითარონ ორგანიზაციული სტრუქტურა. დღესდღეობით დიდი ყურადღება ეთმობა ორგანიზაციულ სტრუქტურას და რეგიონალური ოფისების უფროსების დანიშვნას. შესაბამისი ძალისხმევა მიმართულია სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემის ყველა დარგში, დაწყებული საკანონმდებლო საფუძვლებით და გაგრძელებული ტრენინგითა და საქმიანობით.

ეროვნულ დონეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დანაშაულის პრევენციის ყველაზე სასწრაფო და საუკეთესო გზას წარმოადგენს არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია. არასრულწლოვნებთან მუშაობის წარმოება, სხვადასხვა მიზნების გამო, წარმოადგენს გამასწორებელი ინსპექტორების პრიორიტეტულ ამოცანას. 2001 წლამდე არასრულწლო-

ვანთა ინსპექტორები ზედამხედველობდნენ არასრულწლოვანთა ალტერნატიული სანქციების აღსრულებას. არასრულწლოვანთა ინსპექტორები პასუხისმგებელი იყვნენ როგორც დანაშაულის პრევენციასა და დანაშაულის გამოძიებაზე, აგრეთვე მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მცდელობაზე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ერთმა და იმავე პირმა არ გამოიძიოს დანაშაულები და არ იმუშაოს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციაზე. აქედან გამომდინარე, ალტერნატიულ სასჯელმისჯილი არასრულწლოვნების ზედამხედველობა დაეკალათ გამასწორებელ ინსპექტორებს. გამასწორებელი ინსპექტორებისათვის ეს ახალ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა. ამ ცვლილებების სხვა მიზეზი იყო ის, რომ არასრულწლოვანთა უმრავლესობას საპატიმრო სასჯელის ნაცვლად ესჯებოდა ალტერნატიული სასჯელები და არასრულწლოვნებს უფრო ადრე პირობით გათავისუფლების უფლება ჰქონდათ. შედეგად, ნათელია, თუ რატომ არ არიან არასრულწლოვნები პრობლემატიკური ჯგუფი სასამართლოებისათვის, პოლიციისა და სხვა სამართალდამცემი ორგანოებისთვის. კაუნასის გამასწორებელი ინსპექციის გუნდი, არასრულწლოვანთა პოლიციის ინსპექტორებსა და ბავშვთა უსაფრთხოების ცენტრთან ერთად, ახორციელებს პროგრამას არასრულწლოვნებისა და მათი მშობლებისათვის. ანალოგიური პროგრამა მიმდინარეობდა კლაიპედაში, მაგრამ დღესდღეობით აღარ გრძელდება. ლიტვის სხვა ქალაქებში ხორციელდება სხვა პროგრამები.

2.2.3 კომპენსაცია, შუამავლობა და დაზარალებულთა დახმარება

„Restorative Justice“ აღმდგენი იუსტიციის პრინციპები ჯერ არ არის დამკვიდრებული არსებულ კანონმდებლობაში და მათს განვითარებაზე ზრუნვა ახალი დაწყებულია. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს აღმდგენი იუსტიციის მთელ რიგს პირობებისა. უპირველეს ყოვლისა, მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან, თუ ის ჩაიდენს განსაზღვრულ დანაშაულს, აღიარებს დანაშაულს, შეუთანხმდება დაზარალებულს და გადაიხდის კომპენსაციას (სსკ მუხლი 53). სასჯელის გადავადებასთან ერთად, სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს შეუფარდოს რეპარაციული პირობები: კომპენსაცია, ბოდიშის მოხდა დაზარალებულისათვის, დაზარალებულის დახმარება მიყენებული ზარალის აღდგენაში (სსკ 471 მუხლი). არსებობს სპეციალური პირობები არასრულწლოვნების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებასთან მიმართებით, კერძოდ: დანაშაულის აღიარება, მონანიება და კომპენსაციის გადახდა ან თანხმობის მიცემა მომავალში რეპარაციის განხორციელებაზე.

დაზარალებულთა უფლებებისა და მხარდაჭერის ჯგუფების მიმართ ინტერესები მას შემდეგ გაჩნდა, რაც 1997 წელს ლიტვაში ჩატარდა დანაშაულის მსხვერპლთა საერთაშორისო გამოკითხვა. მიუხედავად ამისა, არც დაზარალებულთა მხარდაჭერი ჯგუფები შექმნილა და არც რაიმე ნაბიჯები გადადგმულა დაზარალებულთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს დაზარალებულთა ფონდის შექმნის პირობას (სსკ მუხლი 1), მაგრამ აღნიშნული ჯერ არ განხორციელებულა. მოსალოდნელია, რომ კანონმდებლობაში შეტანილი იქნება ისეთი ზომები, რომლებიც დაიცვენ დაზარალებულთა უფლებებს.

2.2.4 დანაშაულის პრევენცია

დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენცია, უფრო ფართო გაგებით, ვიდრე კონკრეტული დანაშაულის სახისა, ჯგუფური ან ინდივიდუალური საქმიანობისას, არ წარმოადგენს ლიტვის პრობაციის სისტემის სპეციფიკურ მიზანს. ყველა კლიენტთან ხდება ინდივიდუალური მიდგომა, ხდება მისი პრობლემების გამოკვლევა, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ოჯახისა და მეზობლების ჩართვა, რათა მოხდეს პრობლემის მიზეზის დადგენა.

გამასწორებელი ინსპექტორატები გამოეყო პოლიციას და მონაწილეობას არ იღებს დანაშაულის პრევენციაში. პრობაციისა და სოციალური სამსახურების დარგში მიმდინარეობს არასრულწლოვანთა იუსტიციის პროექტები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენცია და მთავარ როლს თამაშობს არასრულწლოვანთა პოლიციის ინსპექტორატები: კაუნსის არასრულწლოვანთა პრობაცია და სოციალური კეთილდღეობისა და შრომის სამინისტროს პილოტური პროექტი, რომელიც გულისხმობს წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ არასრულწლოვნებისათვის რეაბილიტაციის ცენტრის შექმნას. მუნიციპალური სოციალური სამსახურები აგრეთვე ახორციელებენ დანაშაულის პრევენციის პროგრამებს, მაგალითად, ვილნიუსის საქალაქო საერთო საცხოვრებელში - პროექტი, სახელწოდებით „კრიზკელე“ (გზაჯვარედინი). პროექტის მიზანია გათავისუფლებულ პატიმართა საზოგადოებაში ინტეგრაცია. ასეთი ტიპის პროექტები სხვა ქალაქებშიც მიმდინარეობს. ლიტვაში უფრო ხშირია გათავისუფლებულ პატიმართა რეაბილიტაციის პროექტები, ვიდრე წინასაგამომიებო ეტაპის პროექტები.

გამასწორებელი ინსპექტორები არ არიან პირდაპირ ჩართული დანაშაულის პრევენციის პროგრამებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი საქმიანობა მთლიანად აქეთ-კენაა მიმართული. მათ საქმიანობაში დანაშაულის თავიდან ჩადენის პრევენცია შეიცავს შემდეგ ასპექტებს: მსჯავრდებულთან და მათი ოჯახის წევრებთან გასაუბრება, მისი ყოფაქცევის შესამოწმებლად სახლში მონახულება, სასამართლოს მიერ დაკისრებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა, სოციალური დახმარება, სამსახურისა და საცხოვრებლის მონახვა, ფორმების შევსება და ინფორმაციის მიწოდება სოციალური დახმარების სააგენტოების შესახებ.

გამასწორებელი ინსპექციის თანამშრომლები ქ. როკისკისში მსჯავრდებულებს ასწავლიან კომპიუტერს, აწყობენ საცეკვაო კლუბებს.

2.2.5 თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან

გამასწორებელ ინსპექტორებს მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ პოლიციასთან, ცვლიან ინფორმაციას მსჯავრდებულების შესახებ, ამოწმებენ ყველაზე რთულ მსჯავრდებულებს და დადიან მათთან სახლში მონახულებლად; როდესაც სკოლები აწყობენ სასწავლო შეხვედრებს ციხეებში, მასწავლებლებს აწვდიან ინფორმაციას ახალგაზრდა მსჯავრდებულების შესახებ და ესაუბრებიან ადგილობრივ ინსპექტორებს დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით; ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს სთხოვენ დროებით თავშესაფრებს და იხილავენ მათს ყოფაქცევას; დასაქმების სამსახურებს სთხოვენ ინფორმაციის მიწოდებას ვაკანსიების შესახებ და ეხმარებიან მსჯავრდებულებს დასაქმებაში; აქტიურად თანამშრომლობენ აგრეთვე ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან, რაც ცალკე იქნება განხილული.

2.2.6 მიზნების მისაღწევად ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები

პრობაციის წარმატების მისაღწევად ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენს როგორც პრობაციის შექმნის სამთავრობო პროგრამა, ასევე მხარდაჭერა იმ სამთავრობო დეპარტამენტების მხრიდან, რომლებმაც ხელი მოაწერეს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციაში დახმარების შეთანხმებას; პრობაციის მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდაზე, რომელიც გულისხმობს ლიტვის იურიდიულ უნივერსიტეტში გამასწორებელი სპეციალისტებისათვის ტრენინგების ჩატარებას; და სურვილს იმ ნებაყოფლობითი სექტორის გაფართოებისა, რომელიც ჩართული იქნება ამ სფეროში.

განვითარების ხელის შემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს საზოგადოების მხარდაჭერა საპატიმრო სასჯელისა და რეალური სასჯელის მიმართ (თუ არ გაუქმდება სიკვდილით დასჯა, იქნება მოთხოვნა მისი აღსრულებისა); პრობაციის ოფიცერთა დამოკიდებულება, რომ მოხსენების დაწერა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბალანსი კონტროლსა და ზედამხედველობას შორის; ლიტვაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სამუშაო პირობები სავალალო მდგომარეობაშია; თანამშრომლობის დაბალი დონე გამასწორებელ ინსპექტორებსა და ადგილობრივ სოციალურ სამსახურებს შორის; ციხის დეპარტამენტში გადასვლის შემდეგ გამასწორებელი ინსპექტორების არადამაკმაყოფილებელი ტრენინგი.

2.3 შეჯამება

კანონმდებლობაში არსებული სასჯელების სისტემა სასამართლოებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ალტერნატიული სასჯელები. მას შემდეგ, რაც გამასწორებელი ინსპექტორატები პასუხისმგებელი გახდნენ მსჯავრდებულთა ზედამხედველობაზე, მას თავისი წვლილი შეაქვს დანაშაულის პრევენციაში ზედამხედველობისა და დახმარების მეშვეობით. დებულების თანახმად, ინსპექტორატებს უფლება აქვთ არა მხოლოდ ზედამხედველობისა, არამედ სოციალური დახმარების აღმოჩენისაც. მიუხედავად ამისა, მათ არ გააჩნიათ მსჯავრდებულთა სრული სოციალური რეაბილიტაციის არც უფლება და არც პასუხისმგებლობა. მათ ევალებათ დაიხმარონ საზოგადოებაში მომუშავე ოჯახები. გამასწორებელი ინსპექტორატები სხვა ორგანოების მხრიდან ფორმალურად არიან მხარდაჭერილი, მაგრამ, ამავე დროს, რეალობა ის, რომ ყველაფრის მიღწევა და მიღება შეუძლებელია ფინანსური პრობლემების გამო.

პრობაციის ორგანიზება


3.1 სისხლის სამართლის სანქციათა აღსრულების სისტემათა სტრუქტურა

3.1.1 ორგანიზაციული სტრუქტურა

ლიტვას, როგორც პატარა ქვეყანას, აქვს სასჯელთა აღსრულების ერთი ნაციონალური სისტემა. ალტერნატიული სანქციები წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის შემადგენელ ნაწილს და ქმნის იმ სტრუქტურის შემადგენელ ნაწილს, რომელიც

პასუხისმგებელია ყველა სასჯელის აღსრულებაზე. ორგანიზაციული სტრუქტურა მოცემულია სქემა 1-ში:

სქემა 1: სასჯელთა აღსრულების სტრუქტურა




იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს ციხის დეპარტამენტის ზედამხედველობას, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელია, ჯარიმის გარდა, ყველა სისხლის სამართლის საჩქიების აღსრულებაზე (ჯარიმებს აღსრულებენ სასამართლო აღმასრულებლები). ციხის დეპარტამენტი ზედამხედველობს რეგიონალურ გამასწორებელ ინსპექტორატებს. რეგიონალური ინსპექტორატები ზედამხედველობენ ადგილობრივი გამასწორებელი ინსპექციების ოფისებს. რეგიონალური გამასწორებელი ინსპექტორატები შეიქმნა დიდ ქალაქებში: ვილნიუსი, კაუნასი, კლაიპედა, შაულიაი და პანევეჟისი. რეგიონალური გამასწორებელი ინსპექტორატები მოქმედებენ დამოუკიდებლად და ჰყავთ უფროსები, ბუღალტრები, ანგარიშები და მენეჯმენტის სისტემა. მიუხედავად ამისა, ისინი არ არიან სრულიად ავტონომიურები და ციხის დეპარტამენტის დირექტორი განსაზღვრავს ფინანსურ ვალდებულებას, უშვებს მნიშვნელოვან დოკუმენტებს და აძლევს მნიშვნელოვან რჩევებს.

3.1.2 ციხის დეპარტამენტის სტრუქტურა

ციხის დეპარტამენტის სტრუქტურა მოცემულია სქემა 2-ში:

სქემა 2: ციხის დეპარტამენტის ფუნქციონალური მართვის სქემა 2001 წლის იანვრისათვის



გამასწორებელი ინსპექტორატების და მათ შორის, რეგიონალური ერთეულების ყოველთვიურ საქმიანობას ზედამხედველობს ციხის დეპარტამენტის გამასწორებელი ინსპექციების განყოფილება. ეს განყოფილება ანგარიშვალდებულია დირექტორის მოადგილის წინაშე გამასწორებელი სამუშაოების დარგში (შესაბამება სოციალურ სამუშაოებს), რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მოადგილეს არსებულ სამს შორის (უსაფრთხოების, გამასწორებელი სამუშაოებისა და უზრუნველყოფის დარგში). იმ დროს, როდესაც კონტროლი წარმოადგენს საპატიმრო სასჯელის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, ხოლო პრობაციის შემთხვევაში კონტროლი და დახმარება დაბალანსებულია, ორივე იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს წარმატებული რეინტეგრაცია. სწორედ ეს იყო ციხის დეპარტამენტის შემადგენლობაში პრობაციის შეყვანის მიზეზი. შესაძლოა ამ გადაწყვეტილების სხვა მხრიდან შეხედვა, როდესაც უპირატესობა ენიჭება პატიმრობას და ალტერნატიული სასჯელები მეორე პლანზე გადადის. გამასწორებელი ინსპექციების განყოფილება ხელმძღვანელობს 5 რეგიონალურ ოფისს, დირექტივების, პრაქტიკული რჩევების, ტექნიკური დახმარებისა და სხვადასხვა საშუალებების მიცემის გზით. ყველა რეგიონალური ოფისი ახორციელებს თავის რეგიონში არსებულ ადგილობრივი ოფისების ფუნქციას. 2002 წლის მარტში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ პრაქტიკული რჩევების, საშუალებებისა და ადგილობრივი ოფისების ზედამხედველობის პასუხისმგებლობა გადაეცა რეგიონალურ ოფისებს.

გამასწორებელი ინსპექციების გუნდები პასუხისმგებელი არიან ალტერნატიული სასჯელების აღსრულებაზე. ყველა გუნდი, მათ შორის რეგიონალური, პასუხისმგებელია 53-დან ერთ ტერიტორიულ ერთეულზე. რეგიონალური ოფისები, კლიენტებთან მუშაობის გარდა, პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი ოფისების საქმიანობაზე. თანამშრომელთა რაოდენობა 130 ოფიცერია, რომელთა შორის 5 დირექტორია, 5 - დირექტორის მოადგილე და 120 - ინსპექტორი და უფროსი ინსპექტორი. ცვლილებები დიდი არ არის: 2000 წლიდან, რაც სამსახური გადავიდა ციხის დეპარტამენტის სტრუქტურაში, სამსახური დატოვა 4-მა ოფიცერმა და 15 ახალი იქნა მიღებული. სამსახური განიცდის თანამშრომლების უკმარისობას. თითო ინსპექტორზე, საშუალოდ, მოდის 120 საქმე. დირექტორები პასუხისმგებელი არიან მენეჯმენტზე, როდესაც მათი მოადგილეები დაკავებული არიან როგორც მენეჯმენტით, ისე ზედამხედველობით. უფროსი ინსპექტორები მუშაობენ მსჯავრდებულებთან და ასრულებენ გამასწორებელი ინსპექტორებისთვის დაკისრებულ ყველა ვალდებულებას. ვილნიუსის გარდა, საქმიანობაში ჩართულია მხოლოდ რამდენიმე წყნაყოფლობით მომუშავე, რის გამოც დატვირთვა ძალიან მაღალია.

ლიტვაში 48 ინსპექციის გუნდია. ვინაიდან ადგილობრივი ოფისები ძალიან პატარებია და ამასთანავე განიცდიან თანამშრომელთა ნაკლებობას, იქ არ ხდება სამუშაოებისა და საქმეების დაყოფა სპეციალიზაციის მიხედვით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ნაწილობრივი სპეციალიზაციის ნიშნები შეიმჩნევა ისეთ დიდ ქალაქებში, როგორც ვილნიუსია, სადაც ზოგიერთი მიმართულება, მაგალითად, არასრულწლოვნები და მდედრობითი სქესის მსჯავრდებულები გამოყოფილია.

ყველა ახალ თანამშრომელს მოეთხოვება უმაღლესი განათლება, სადაც უპირატესობა ენიჭება იურისპრუდენციას, სოციალურ სამუშაოებს ან ფსიქოლოგიას, მაგრამ პოლიციიდან გადმოსულ ინსპექტორებს არ გააჩნიათ შესაბამისი განათლება. ციხის დეპარტამენტის სასწავლო ცენტრმა გამასწორებელი ინსპექტორებისთვის მოაწყო 1-კვირიანი გასაცნობი კურსი, რომელსაც მოჰყვა სამკვირიანი კურსი. ეს უკანასკნელი მოიცავდა სამართლებრივ საკითხებს, ზედამხედველობას, ფსიქოლოგიას და სოციალური დახმარების უნარ-ჩვევებს. ეს კურსი არასაკამრისია, რის გამოც სასწავლო ცენტრი შევდეთის ციხისა და პრობაციის სამსახურის დახმარებით ამუშავებს ახალ სასწავლო კურსს.

მენეჯმენტისა და თანამშრომელთა შეფასება ხდება კვარტალურად, მათ მიერ ციხის დეპარტამენტისათვის მომზადებული მოხსენებების საფუძველზე. მათი საქმიანობის პირდაპირი გზით შემოწმება ხდება, სულ მცირე, ოთხ წელიწადში ერთხელ. ციხის დეპარტამენტის გამასწორებელი ინსპექციის თანამშრომლები და 5 რეგიონალური დირექტორი პრაქტიკულ დახმარებას უწევენ გამასწორებელ ინსპექტორებს, ზედამხედველობენ მათს საქმიანობას და აძლევენ დამატებითი ტრენინგის გავლის საშუალებას.

3.2 სხვა ორგანიზაციები

3.2.1 ადგილობრივი ხელისუფლების სოციალური სამსახურები

ადგილობრივი ხელისუფლების სოციალური სამუშაოების სააგენტოები სულ უფრო მეტად ერთვებიან სოციალურ სამუშაოებში მსჯავრდებულთა მიმართ. სოციალური კეთილდღეობის ცენტრები ეხმარებიან ნებისმიერ მსჯავრდებულს, ყოველგვარი სხვაობის გარეშე მათ მოიხადეს სასჯელი სრულად, თუ გათავისუფლდნენ ვადამდე ადრე. ისინი უწევენ ისეთივე დახმარებას ყოფილ მსჯავრდებულებს, როგორც სხვა გაკვირვებულ ჯგუფებს, ყოველგვარი განსხვავების გარეშე, არიან ისინი ყოფილი პატიმრები, თუ იხდიდნენ საზოგადოებრივ სასჯელს. დახმარების მისაღებად მათ უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი პირობები: უნდა იყოს ობოლი, ხეივარი, ნარკომანი და აკმაყოფილებდეს ერთ სპეციალურ მოთხოვნას რეგისტრირებული უნდა იყოს შრომის ბირჟაზე. ყოფილ მსჯავრდებულებს სოციალური სამსახურები უწევენ მთელ რიგს ისეთი ტიპის სოციალური დახმარებებისა, როგორებიცაა თავშესაფარი, საკვები, საბანაო კუპონი, მეორეული ტანსაცმელი და პასპორტის უქონლობის შემთხვევაში, დროებითი დოკუმენტები. გათავისუფლებული პირებისათვის, ერთადერთ სპეციალიზებული დახმარებას წარმოადგენს ვილნიუსის თავშესაფარში მიმდინარე პროექტი „გზაჯვარედინი“. ეს პროექტი მსჯავრდებულებისათვის უზრუნველყოფს ტრენინგს, მეურვეობასა და დასაქმებასთან დაკავშირებით რჩევების მიცემას. როგორც ადრე აღვნიშნეთ გამასწორებელმა ინსპექტორატებმა დაიწყეს არაფორმალური თანამშრომლობა სოციალური კეთილდღეობის სააგენტოებთან, რის გამოც ადგილობრივი ხელისუფლების სოციალური სამსახურები ინფორმაციას აწვდიან გამასწორებელ ინსპექტორებს მსჯავრდებულთა ყოფაქცევის შესახებ, როდესაც ის არ არის ზედამხედველობის ქვეშ.

3.2.2 ნებაყოფლობითი ორგანიზაციები (არასამთავრობო ორგანიზაციები)

როგორც წესი, არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ უფასო საკვებით უზრუნველყოფას (ეკლესიის ორგანიზაციები), კონსულტაციების მიცემასა და საქმიანობას (LIAPO, CARITAS და ზოგიერთი არასრულწლოვანთა ორგანიზაცია) ან, უფრო ნაკლებად, დაბინავებას (LIAPO, PAA, კაუნასის ქალთა კრიზისული ცენტრი). არასრულწლოვნები განიხილებიან, როგორც ყველაზე მტკივნეული ჯგუფი, რის გამოც შექმნილია რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებიც ახორციელებენ კონსულტაციების მიცემას, სოციალურ დახმარებას, დასაქმებას და ცოტაოდენ ფინანსურ დახმარებას. უმეტესი საქველმოქმედო და საეკლესიო ორგანიზაცია მსჯავრდებულებს ეხმარება სამომხმარებლო საქონლით. საეკლესიო ორგანიზაციები ეწევიან აქტიურ საქმიანობას ლიტვის მთელ ტერიტორიაზე, სოფლებშიც კი, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს მცირე რესურსების გამო

საშუალება არა აქვთ დაეხმარონ მსჯავრდებულებს. არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო აქტიური არიან ისეთ დიდ ქალაქებში, როგორებიცაა ვილნიუსი, კუნსასი და კლაიპედა. ის ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალიზდებიან მსჯავრდებულებთან მუშაობაში უკვე ვახსენეთ ზევით. ქვეყანაში არსებობს კიდევ რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებსაც შეუძლიათ დახმარების აღმოჩენა მსჯავრდებულებისათვის, მაგრამ ისინი მსჯავრდებულებს არ განიხილავენ თავიანთ სამიზნე ჯგუფად. ისინი ძირითადად დაკავებული არიან არასრულწლოვნებზე მზრუნველობით და უმეტესობა მათგანი წარმოადგენს დღის მანიპულაციის სამედიცინო დახმარების ცენტრს.

3.3 შეჯამება

მხოლოდ გამასწორებელ ინსპექტორებს შეუძლიათ განახორციელონ კონტროლი და დაეყრდნონ დამსჯელ ზომებს, როდესაც სხვა ნახსენები ორგანიზაციები კონვენცირებული არიან, მსჯავრდებულთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სოციალური დახმარების აღმოჩენაზე. ქვეყანაში არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალიზდებიან მსჯავრდებულებთან, არასრულწლოვნებთან, ხეიბრებსა და სხვა საჭიროების მქონე ხალხთან მუშაობაში. გამომდინარე თანამშრომელთა არასაკმარისი რაოდენობიდან, რესურსებისა და შესაბამისი ტრენინგიდან, გამასწორებელ ინსპექტორებს საშუალება არა აქვთ აღმოუჩინონ შესაბამისი სოციალური დახმარება მსჯავრდებულებს.

მას შემდეგ, რაც გამასწორებელი ინსპექტორატები გადავიდა ციხის დეპარტამენტის შემადგენლობაში, გადაიღვა ძალიან ბევრი კარგი ნაბიჯი უფრო ეფექტური თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად იმ ორგანოებს შორის, რომლებიც აწარმოებდნენ მუშაობას ერთსა და იმავე კლიენტთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაბიჯები სწორი მიმართულებით არის გადადგმული, ჯერ კიდევ ძალიან დიდი გზა არის გასავლელი.

სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მუშაობა ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან

4.1 სანქციათა არსებული სისტემა

სიტყვა სანქცია აქ იხმარება ქოლგის მსგავს ტერმინად, რომელიც შეიცავს ყველა სახის ინტერვენციას, რომელიც შესაძლოა სასჯელთა აღსრულებისას განხორციელებული იყოს პოლიციის, სახელმწიფო ბრალმდებლის, გამომძიებელი მოსამართლის, საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის, სპეციალიზებული მოსამართლის ან ციხის ორგანოების მიერ. აღნიშნული შეიცავს სასჯელებს, პირობებს, სასჯელის გადავადებას, პირობით ვადამდე გათავისუფლებას და ისეთი სახის სპეციალიზებულ ინტერვენციებს, როგორიცაა დაზარალებულის კომპენსაცია, შინაპატიმრობა, დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა, უფლებების ჩამორთმევა და ა. შ.

ლიტვაში ერთადერთი სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, არის სისხლის სამართლის კოდექსი. იგი იძლევა სისხლის სამართლის დანაშაულების სრულ ჩამონათვალს. სისხლის სამართლის კოდექსში მომხდარმა ცვლილებებმა განაზოგადა ერთმანეთისგან არასრულწლოვანთა, სრულწლო-

ვანთა და იურიდიულ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. სქემებში 3, 4 და 5 მოცემულია სასჯელების, ზომებისა და პირობების ჩამონათვალი, რომლებიც შეესაბამება სრულწლოვნებს. მთელი რიგი სანქციების გამოყენება შესაძლებელია წინასწარი გამოძიებისა და სასჯელთა აღსრულების პროცესში. მთელი რიგი სანქციების ჩამონათვალის მოძიება შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და გამოსწორების კოდექსში.

სქემა 3: სასჯელები სრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის

<i>ძირითადი სასჯელები</i>	სამუდამო პატიმრობა; პატიმრობა; გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების უფლების ჩამორთმევის გარეშე; ჯარიმა.
<i>დამატებითი სასჯელები</i>	ქონების კონფისკაცია; ჯარიმა; გარკვეული საქმიანობის ან მოვალეობების აკრძალვა.

იურიდიულ პირებს შეეფარდებათ შემდეგი სახის სანქციები: ჯარიმები, ქონების კონფისკაცია, საქმიანობის შეზღუდვა და სამართლებრივი სტატუსის ჩამორთმევა. წინასაგამოძიებო ზომები, რომლებიც შესაძლოა დანაშაულის გამომძიებელმა ორგანომ შეუფარდოს ბრალდებულს, ასახულია სასჯელთა აღსრულების კოდექსში; ეს არის: თავდებობა და დაპირება, საცხოვრებლის დატოვების აკრძალვა შესაძლოა შეფარდებული იყოს გამომძიებლების მიერ (მუხლი 100); შინაპატიმრობის შეფარდება შეუძლია მხოლოდ გამომძიებელს პროკურორის თანხმობით (მუხლი 100); წინასწარი პატიმრობის შეფარდება შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში, იგი უნდა განხორციელდეს იმ მოსამართლის თანდასწრებით, რომელიც შეუფარდებს შესაბამის ზომას (მუხლი 104); წინასწარი დაპატიმრების ვადა განსაზღვრულია იმავე კოდექსში და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი გამოძიების ეტაპზე. მას შემდეგ, რაც დაიწყება საქმის არსებითი განხილვა, ბრალდებული შესაძლებელია დაკავებული იყოს იმ ვადით, რამდენიც საჭირო იქნება.

სქემა 4: ზომები სრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის

ზომები

<i>წინასწარი გამოძიების ეტაპი</i>	<i>სასამართლო განხილვის ეტაპი</i>	<i>სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი</i>
თავდებობა; წინასწარი პატიმრობა;	იძულებითი მკურნალობა;	სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან

დაპირება, რომ არ
გაემგზავრება;
შინაპატიმრობა.

(ფსიქიატრიული)
გამასწორებელი
ზომები
არასრულწლოვნე
ბისთვის.

პირობით
გათავისუფლება ან
სასჯელის უფრო
მსუბუქით
შეცვლა;
პირობითი
გათავისუფლება
პატიმრობიდან.

სასამართლოს არსებითი განხილვა ითვლება დასრულებულად, როდესაც სასამართლო გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას და შეუფარდებს მსჯავრდებულს სასჯელს და ან ზომას (პირობებს). აღნიშნული ითვლება სასამართლო განხილვის ფაზად. ამ ეტაპზე სასამართლო წარმოადგენს ერთადერთ ორგანოს, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა სანქციას უფარდებს სასამართლო.

სისხლის სამართლის კოდექსის სტრუქტურის თანახმად, სასჯელის გადავადება მოცემულ სქემა 3-ში არ ფიგურირებს, როგორც სანქცია, ვინაიდან ის მიბმულია სპეციალურ ზომებს. არსებული კოდექსის თანახმად, დადგენილია მოთხოვნები, რომლებზე შესაძლოა შეფარდებული იყოს საპატიმრო სასჯელის გადავადებისას.

სქემა 5: პირობები სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის

სასჯელის გადავადებისას ან პირობით გათავისუფლებისას დადგენილი პირობები

*სასამართლო განხილვის
ეტაპი*

დაზარალებულისათვის
ზოდიშის მოხდა;
სამედიცინო მკურნალობისას
დაზარალებულისათვის
დახმარების აღმოჩენა;
შრომის ბირჟაზე
რეგისტრირება ან
თანხმობის მიცემა,
რომ სასამართლოს ნებართვის
გარეშე არ შეიცვლის სამსახურს;
გაივლის კურსს, მონაწილეობას
მიიღებს მუშაობის ტრენინგის
პროგრამაში;
სქესობრივი გზით გადამდები
დაავადებების ან ნარკომანიისა
და ალკოჰოლიზმის სამკურნალო
პროგრამის გავლა;
ზედამხედველი ორგანოს მიერ

*სასამართლო განხილვის
შემდგომი ეტაპი*

სამუშაო დროის გარდა,
სახლში ყოფნა;
გარდა სამუშაოსთან დაკავშირებული
საქმიანობისა, განსაზღვრული
ადგილების მონახულების
აკრძალვა;
ზედამხედველი ორგანოს
ნებართვის გარეშე
7 დღეზე მეტი ხნით სახლის
დატოვების აკრძალვა;
თვეში 1-4-ჯერ გამოცხადება
ზედამხედველი ორგანოში.

განსაზღვრულ ადგილას ცხოვრება;
1000 საათამდე საზოგადოებისათვის
სასარგებლო შრომის განხორციელება.

პრობაციის პირობების დარღვევისათვის სასამართლოს შეუძლია გააუქმოს გადავადება და შეუფარდოს სასწრაფო პატიმრობა. იმ შემთხვევაში, თუ გადავადება არ წარმოადგენს ცალკე სანქციას, მისი გაუქმება შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. სასჯელის გადავადებისას პრობაცია არ წარმოადგენს პირდაპირ ვალდებულებას, მაგრამ აღნიშნული სასჯელი მოიცავს პრობაციის მსგავსს.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ბრალდებული შესაძლებელია გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ: ის პირველად ჩაიდენს დანაშაულს, ჩადენილი დანაშაული განსაზღვრულია, როგორც მსუბუქი, აღიარებს დანაშაულს, მოახდენს რესტიტუციას და შეთანხმდება დაზარალებულთან (სსკ მუხლი 53).

არასრულწლოვნებს შეეფარდებათ ანალოგიური სასჯელებისა და ზომებისა, გარდა იძულებითი გამასწორებელი ზომებისა, რომლის შეფარდებაც მხოლოდ მათთვის არის შესაძლებელი. ეს უკანასკნელი ადგენს შემდეგ მოთხოვნებს:

დაზარალებულისათვის სახალხოდ ბოდიშის მოხდა;

ზიანის ნებაყოფლობით აღდგენა ან ამ სამუშაოებისათვის ფულის გადახდა;

მშობელთა ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრება;

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 20-დან 100 საათამდე განხორციელება;

45 დღემდე განსაზღვრულ დროს სახლში ყოფნის აუცილებლობა (კომენდანტის საათი);

სამ წლამდე ვადით სპეციალურ საგანმანათლებლო სკოლაში მოთავსება (სსკ მუხლი 61).

სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელის შეცვლის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. აქედან გამომდინარე, სასამართლო განხილვის შემდგომ ეტაპზე ყველა გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს.

4.2 სანქციების სისტემის პროექტი, რომელიც ძალაში შევა 2003 წლის 1 იანვარს

ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსს (მიღებულია და ძალაში შევა 2003 წელს), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სასჯელთა აღსრულების კოდექსის კანონპროექტი (რომელიც შეცვლის გამოსწორების კოდექსს). კანონპროექტები კვლავ განიცდიან ცვლილებებს, რის გამოც შესაძლებელია კიდევ ბევრი პირობა შეიცვალოს. ახალი კანონმდებლობა ითვალისწინებს სანქციათა სრულიად განსხვავებულ და სრულყოფილ სისტემას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც გაითვალისწინა ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა, ეს არის განსხვავების დადგენა ფელიონიებსა და მისდამინორებს შორის. ახალი კოდექსები ძალაში შევა ერთობლივად და ითვალისწინებენ შემდეგ სანქციათა სისტემას:

სქემა 6: სანქციები

სანქციები ფელონიებისას

სახელმწიფო უფლებების ჩამორთმევა;
განსაზღვრული თანამდებობის და განსაზღვრული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;
ჯარიმა;
თავისუფლების შეზღუდვა;
წინასწარი დაკავება;
პატიმრობა;
სამუდამო პატიმრობა.

სანქციები მისდამინორებისას

სახელმწიფო უფლებების ჩამორთმევა;
განსაზღვრული თანამდებობის და განსაზღვრული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;
ჯარიმა;
თავისუფლების შეზღუდვა;
წინასწარი დაკავება;
პატიმრობა;
სამუდამო პატიმრობა.

სქემა 7: სისხლის სამართლის ზომები

სისხლის სამართლის ზომები

წინასწარი გამოძიების ეტაპი

სასამართლო განხილვის ეტაპი

სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი

დაკავება;
შინაპატიმრობა;
თავდებობა;
დოკუმენტების ამოღება;
სასამართლოში პირობის დადება და პოლიციაში პერიოდული გამოცხადება.

სპეციალური უფლებების გადავადება;
კომპენსაცია;
უხელფასო მუშაობა;
დანაშაულის მსხვერპლთა ფონდში შენატანის გაკეთება;
ქონების კონფისკაცია.

სასჯელის უფრო მსუბუქით შეცვლა
ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან პირობით გათავისუფლება;
პატიმრობიდან პირობით გათავისუფლება.

სქემა 8: პირობები

პირობები

წინასწარი გამოძიების ეტაპი

სასამართლო განხილვის ეტაპი

სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი

დანაშაულის აღიარება;

კომპენსაცია;

სამუშაო დროის

კომპენსაცია;
დაზარალებულისათვის
ბოდიშის მოხდა;
საფუძვლის არსებობა,
რომ აღარ ჩაიდენს
დანაშაულს მომავალში;
დანაშაულის პირველად
ჩამდენი.

დაზარალებულისთვის
ბოდიშის მოხდა;
სამედიცინო მკურნალობისას
დაზარალებულისთვის
დახმარების აღმოჩენა;
სამსახურის მოძებნა ან
თანხმობის მიცემა,
რომ არ შეიცვლის
სამსახურს სასამართლოს
თანხმობის გარეშე;
კურსის გავლა,
სწავლის გაგრძელება ან
მუშაობის შემსწავლელ
ტრენინგში მონაწილეობა;
სექსობრივი გზით გადამდები
დაავადებების ან ნარკოტიკებისა
და ალკოჰოლიზმის სამკურნალო
პროგრამის გავლა;
ზედამხედველი ორგანოს
მიერ დადგენილ ადგილზე
ცხოვრება;
საზოგადოებისათვის
სასარგებლო შრომის
300 საათის შესრულება
(მსჯავრდებულის
თანხმობით).

გარდა, სახლში
ყოფნის ვალდებულება;
სამსახურებრივ
საქმიანობასთან
დაკავშირებული
გარემოებების გარდა,
განსაზღვრული
ადგილების
მონახულების
აკრძალვა;
ზედამხედველი ორგანოს
თანხმობის გარეშე
7 დღეზე მეტი ხნით
სახლის დატოვების
აკრძალვა;
თვეში 1-4-ჯერ
ზედამხედველ ორგანოში
გამოცხადება.

4.2.2 არასრულწლოვნები

სანქციების სისტემა არასრულწლოვნებისათვის მოყვანილია ქვემოთ.

სქემა 9: სანქციების სისტემა არასრულწლოვნებისთვის

სასამართლო განხილვის ეტაპი

გამასწორებელი ზომები

გაფრთხილება;
ზიანის რესტიტუცია;
უხელფასო გამასწორებელი მუშაობა;
წინასწარი დაკავება და მშობლების ან
სხვა პირების მზრუნველობა;
მოქმედების აკრძალვა;
სპეციალურ გამასწორებელ/დისციპლინარულ
დაწესებულებაში მოთავსება.

4.2.3 იურიდიული პირები

სანქციები, რომლებიც შეიძლება შეეფარდოდ იურიდიულ პირებს შემდეგია: ჯარიმები, საწარმოს საქმიანობის შეზღუდვა და საწარმოს გაუქმება.

4.3 არსებული და პროექტი სანქციების შედარება

კანონმდებლობის ორივე ვერსიაში ერთნაირი პირობებია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელსაც ითვალისწინებს ახალი კანონმდებლობა, ეს არის წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამოძიების გადავადება, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია, თუ: 1) მსჯავრდებული მიაღწევს შეთანხმებას დაზარალებულთან. ამ შემთხვევაში, ყველა ზემოთ ნახსენები პირობა, გარდა დანაშაულის პირველად ჩადენისა, სავალდებულოა. ამ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი და ეთანხმება წინასწარი გამოძიების მოსამართლე (ახალი სსკ მუხლი 207);

2) თავდების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ყველა ზემოთ ნახსენები პირობა სავალდებულოა და გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი (ახალი სსკ მუხლი 208). როდესაც ბრალდებული ეკვიპიტანილია რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში, რომელთა შორის ერთი ან ორი წარმოადგენს მისდამინოროს ან მცირე ხარისხის დანაშაულს, ხოლო დანარჩენი - მძიმე ამ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, პროკურორს შეუძლია შეწყვიტოს მისდამინოროს და მცირე დანაშაულების გამოძიება. აღნიშნული არ განხორციელდება, თუ მისდამინორმა ან მცირე ხარისხის დანაშაულზემა გამოიწიეს მატერიალური ზარალი ან ზარალის ქმედობა ინიცირებული იყო. პროკურორის გადაწყვეტილებას, გამოძიებისთვის თავის დანებების შესახებ, უნდა დაეთანხმოს მოსამართლე (ახალი სსკ მუხლი 209). წინასწარი გამოძიების გადავადება აგრეთვე შესაძლებელია, თუ ბრალდებული დაეხმარა გამოძიებას, კრიმინალური ორგანიზაციების საქმიანობის დადგენაში (ახალი სსკ მუხლი 210).

სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური მუხლი არეგულირებს როგორც ჩვეულებრივი, აგრეთვე პატიმრობის ალტერნატიული სასჯელების შეფარდების პირობებს (ორივე კოდექსს აქვს მეტად ერთნაირი სტრუქტურა). ამავე დროს, თანახმად კოდექსის ძირითადი ნაწილისა, შესაძლებელს ბრალდებულს შეეფარდოს უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე ამას ითვალისწინებს კონკრეტული დანაშაული. სასამართლოს უფლება აქვს შეუფარდოს ბრალდებულს უფრო მსუბუქი სასჯელი როდესაც: გაითვალისწინებს დანაშაულის ყველა გარემოებას; თუ ბრალდებულმა განახორციელა რესტიტუცია ისეთი შემთხვევებისას, როდესაც არსებობს შემამსუბუქებელი გარემოებები და მსჯავრდებული უვლის ავადმყოფს მაშინ, როცა სხვას არავის შეუძლია ამის განხორციელება; თუ მსჯავრდებულს ჰყავს მცირეწლოვანი შვილები და მის გარდა, არავინა ჰყავთ მომვლელი; როდესაც დამნაშავის რთლი დანაშაულის ჩადენაში მცირეა, ან როდესაც დანაშაული შეწყვეტილ იქნა ნებაყოფლობით. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია იმ პირის მიმართ, რომელმაც გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს და არასრულწლოვნის მიმართ, თუ არსებობს შემამსუბუქებელი გარემოებები და არასრულწლოვანმა, სულ მცირე, ნაწილობრივ განახორციელა რესტიტუცია (სსკ მუხლი 54).

სოციალური სამსახურები ჩართული არიან იმ სისხლის სამართლის სანქციების შეფარდებაზე, რომლებიც შეფარდებულია სასამართლოს არსებითი განხილვისას და მის შემდგომ ეტაპზე. დღესდღეობით მიმდინარეობს განხილვა გამასწორებელი ინსპექტორატების როლის გაზრდაზე, მაგრამ ამ საკითხთან მიმართებით ჯერჯერობით არ მიღებულია არანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილება. აღნიშნულს უფრო დეტალურად განვიხილავთ შემდეგ თავებში.

4.4 წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპები

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე, გამასწორებელ ინსპექტორატებს არ მოეთხოვებათ ჩართვა. ზემოთ ნახსენები გამოძიების გადავადება არ მოითხოვს პრობაციისა და სოციალური სამსახურების ჩართვას, ვინაიდან სასჯელის გადავადება ფაქტობრივად ნიშნავს სასჯელის აღსრულების გადავადებას და შეზღუდვების სტატუსის დათვლა იწყება გადავადების დასრულების შემდეგ. აღნიშნული განხილულია პარაგრაფში 4.5.

სასამართლო განხილვის ეტაპზე ყველა მსჯავრდებულს აქვს უფლება მიიღოს სოციალური დახმარება, მაგრამ პრაქტიკულად ეს უფლება მხოლოდ არასრულწლოვნების მიმართ ხორციელდება. ეს უკანასკნელნი წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე უფლებამოსილი არიან მიიღონ დახმარება სოციალური მუშაკებისგან ან მშობლებისგან. ბავშვთა უფლებების დაცვის სააგენტო ჩართულია მოსმენებში როგორც წინასწარი გამოძიების ეტაპზე, აგრეთვე არსებითი განხილვისას. ისინი არიან არასრულწლოვნის წარმომადგენლები და ამზადებენ მოხსენებას, როგორც მისი ფსიქოლოგიური, მორალური და ფინანსური გარემოებების, აგრეთვე საგანმანათლებლო ისტორიის შესახებ.

4.5 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი

ძირითადი სანქციები, რომელთა ზედამხედველობასაც ახორციელებენ გამასწორებელი ინსპექტორები, შემდეგია:

სასჯელთა გადავადება, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებულს შეეფარდა საპატიმრო სასჯელი, მაგრამ მისი აღსრულება გადავადებულია 1-დან 3 წლამდე. აღნიშნულის შემთხვევაში, სასამართლო სხვა აკრძალვებთან ერთად უფარდება, სულ მცირე, ერთ პირობას. გადავადების ვადის დასრულების შემდეგ ხდება პიროვნების წარდგენა სასამართლოს წინაშე, სადაც იხილება სასჯელის მოხდის საკითხი. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი აყენებს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: სასამართლომ უნდა დაადგინოს დრო, რომლის მანძილზეც მსჯავრდებულმა პირმა უნდა შეასრულოს სასამართლოს მიერ დაკისრებული პირობები. თუ სასჯელის გადავადების პერიოდში მსჯავრდებულს: 1) შეასრულებს სასამართლოს მიერ დაკისრებულ მოვალეობებს, არ დაარღვევს წესრიგს და არსებობს საფუძველი, რომ ეს პიროვნება მომავალში იცხოვრებს კანონმორჩილი ცხოვრებით და აღარ ჩაიდენს დანაშაულს, სასჯელის გადავადების ვადის დასრულების შემდეგ, სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს იგი სასჯელისაგან; 2) თუ პირი შეასრულებს სასამართლოს მიერ დაკისრებულ მოვალეობებს, მაგრამ დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სახდელები ან დისციპლინარული სანქციები, სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს სასჯელის გადავადება ერთი წლით; 3) თუ პირი უმიზეზოდ დაარღვევს მასზე

სასამართლოს მიერ დაკისრებულ მოვალეობებს ან დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მოიხმარს დიდი რაოდენობით ალკოჰოლურ სასმელებს ან ჩაიდენს სხვა დარღვევებს, რომლისთვისაც ორჯერ შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელები ან დისციპლინარული სასჯელები, ზედამხედველი ორგანოს რეკომენდაციით, სასამართლომ უნდა გააფრთხილოს პირი, რომ სასჯელის გადავადება შესაძლოა გაუქმებული იყოს. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება კვლავ გააგრძელებს დაკისრებულ მოვალეობების შეუსრულებლობას ან დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, სასამართლომ უნდა გააუქმოს სასჯელის გადავადება და შეუფარდოს დადგენილი სასჯელის აღსრულება (ახალი სსკ მუხლი 75).

პატიმრობიდან პირობით გათავისუფლება გულისხმობს პიროვნების სასჯელის მოხდამდე გათავისუფლებას. ამ დროს სასამართლო, სხვა აკრძალვებთან ერთად, მსჯავრდებულს უფარდებს სპეციფიკური პირობების შესრულებასაც. სასჯელის დასრულების შემდეგ, ავტომატურად, სასამართლო ჩარევის გარეშე, წყდება ზედამხედველობაც.

უხელფასო გამასწორებელი მუშაობა (არ არის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა), გულისხმობს პიროვნების მუშაობას თავისივე სამსახურში განსაზღვრული ვადით (ორ წლამდე) და მისი ხელფასის განსაზღვრული ოდენობა (5%-დან 20%-მდე) იქცეობა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. არსებობს აგრეთვე ძირითადი შეზღუდვები, რომელთა შესრულებაც ევალება მსჯავრდებულს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ზედამხედველობა წყდება ავტომატურად, სასამართლოს ჩარევის გარეშე. მას შემდეგ, რაც ძალაში შევა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, ეს უკანასკნელი სანქცია გაუქმდება.

4.6 გამასწორებელი ინსპექტორატები

4.6.1 ძირითადი

გამასწორებელ ინსპექტორებს მოეთხოვებათ ერთნაირად იმუშაონ ყველა მსჯავრდებულთან. მათ არ ევალებათ დიდი სოციალური მუშაობის ჩატარება იმ პირების მიმართ, რომლებსაც შეეფარდათ უფლების ჩამორთმევა. გამასწორებელი ინსპექტორატების კანონები, რომლებსაც შეესაბამება იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 22 იანვრის ბრძანება № 16, ადგენენ ორ ძირითად მიზანს: ალტერნატიული სანქციების აღსრულება და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა დახმარება როგორც ციხის შემდგომ მოწყობაში, აგრეთვე ალტერნატიულ სასჯელშეფარებულ პირთათვის სოციალური დახმარების გაწევაში.

გამასწორებელი ინსპექტორების ფუნქციებს წარმოადგენს სასამართლო სანქციების აღსრულება: ისინი არეგისტრირებენ სასჯელებს, ხსნიან საქმეებს მსჯავრდებულების შესახებ, შესაბამის ორგანოებს აწვდიან ინფორმაციას, აცნობენ მსჯავრდებულებებს უფლებებსა და მოვალეობებს, ბრძანებას, რომლის მიხედვითაც მან უნდა მოიხადოს სასჯელი, პასუხისმგებლობებს დარღვევების შემთხვევაში, ეხმარებიან შრომის ბირჟაზე რეგისტრაციისათვის შესაბამისი დოკუმენტების მომზადებასა და უხელფასო შრომის განხორციელებაში და დადგენილი მოთხოვნების შესასრულებელ პერიოდში ახორციელებენ ზედამხედველობას.

მათ საერთო ფუნქციას წარმოადგენს როგორც მსჯავრდებულთა მიმართ დადგენილი ვალდებულებების შესრულების, აგრეთვე კანონმორჩილ მოქალაქედ ჩამოყალიბების უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს ზედამხედველობენ სხვა ისეთი ორგანოები, როგორებიცაა დამსაქმებელი, სამკურნალო დაწესებულება ან

შესაბამისი, მსჯავრდებულს ევალება გამასწორებელ ინსპექტორატში წარადგინოს მოხსენება მისი ყოფაქცევის შესახებ.

დარღვევების შემთხვევაში გამასწორებელ ინსპექტორებს ევალებათ გაარკვიონ როგორც ამის მიზეზი, აგრეთვე ის გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე. გამასწორებელ ინსპექტორებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე. ამავე დროს გამასწორებელი ინსპექტორები შეზღუდული არიან ისეთი სამართლებრივი მოთხოვნებით, როგორცაა, მაგალითად, სამი დარღვევის შემთხვევაში სასამართლოსათვის შესაბამისი მიმართვის აუცილებლობა, კერძოდ, პირობითი გათავისუფლების გაუქმება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად. გამასწორებელ ინსპექტორებს შეუძლიათ სხვა მოქმედებების განხორციელება, კერძოდ, როდესაც სასამართლო გადადებს სასჯელს ინსპექტორთან გამოცხადების პირობით, ამ შემთხვევაში, გამოცხადების პერიოდულობას სასამართლო ადგენს მხოლოდ პირველი სამი თვის მანძილზე. ამ ვადის გასვლის შემდეგ გამასწორებელ ინსპექტორებს შეუძლიათ გამოცხადების პერიოდულობა შეცვალონ ან დატოვონ იგივე. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, როგორც წესი, გამასწორებელი ინსპექტორები მსჯავრდებულებს უდგენენ თვეში ერთხელ გამოცხადებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამასწორებელ ინსპექტორებს უფლება აქვთ აგრეთვე მიიღონ გადაწყვეტილება პირისათვის საცხოვრებელი ტერიტორიის დატოვების ნებართვის მიცემის ან უარის თქმის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული ასრულებს ყველა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და გამოხატავს გამოსწორების სურვილს, გამასწორებელ ინსპექტორებს შეუძლიათ დააჯილდოვონ იგი და მიმართონ სასამართლოს სასჯელის ვადაზე ადრე გაუქმების მოთხოვნით (სსკ მუხლი 54).

გამასწორებელ ინსპექტორებს აგრეთვე უფლება აქვთ მიმართონ სხვადასხვა ზომას: ოფიციალური გაფრთხილება, სასჯელები და ალტერნატიული სანქციის გაუქმება, როგორც უკანასკნელ საშუალებას. მიუხედავად ამისა, გამასწორებელი ინსპექტორები არ იყენებენ თავის დამსჯელ უფლებებს სრულად ან ხშირად, ვინაიდან სასამართლო ასეთი საქმეების განხილვისას მაინც ეყრდნობა დარღვევების რაოდენობას.

გამასწორებელი ინსპექტორები მუშაობენ აგრეთვე საქმეებზე. საქმეებზე მუშაობის ოფიციალურ საფუძველს წარმოადგენს კანონები გამასწორებელი ინსპექციების შესახებ. ძირითადად საქმეებზე მუშაობა გულისხმობს ინფორმაციის მოგროვებას მსჯავრდებულების შესახებ და ცოტაოდენი პრაქტიკული და სოციალური დახმარების აღმოჩენას. საქმიანობის შესრულებისას მთავარ ამოცანად ჩაითვლება სახლში მისვლა და კავშირის დამყარება ოჯახთან, დამსაქმებელთან ან მასწავლებელთან. სოციალური დახმარების ყველაზე ხშირ სახეს წარმოადგენს მსჯავრდებულის თავშესაფარში დაბინავება, სამართლებრივი რჩევების მიცემა და ზოგიერთ შემთხვევაში, ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენა.

გამასწორებელმა ინსპექტორებმა უნდა ითანამშრომლონ სხვა ორგანიზაციებთან. პოლიცია ეხმარება მათ მსჯავრდებულების ზედამხედველობაში. ამ თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ინფორმაციის გაცემა მსჯავრდებულისა და მისი ყოფაქცევის შესახებ. ინფორმაცია აგრეთვე მიეწოდება როგორც პროკურატურას, როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულს შეეფარდება ზედამხედველობის, მკურნალობის ან განათლების პირობა, აგრეთვე შრომის ბირჟებს, დამჭირებულებსა და მუნიციპალური სოციალური კეთილდღეობის სააგენტოებს, ვინაიდან ისინი ეხმარებიან მსჯავრდებულებს დაბინავებასა და დოკუმენტების მომზადებაში. სხვადასხვა გამასწორებელი სააგენტო მუშაობს სხვადასხვა სააგენტოსთან, მაგალითად, ალიტუს გამასწორებელი ინსპექცია თანამშრომლობს როკისკის საგანმანათლებლო ფსიქოლოგიის ცენტრთან და ბავშვთა სულიერი რეაბილიტაციისა და დასაქმების ცენტრთან. როდესაც გამასწორებელ ინსპექციებს კავშირი აქვთ ისეთ

ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიური არიან საზოგადოებაში, მათ მიმართავენ მსჯავრდებულებთან დაკავშირებითაც. აღნიშნული ასახულია ინსტრუქციაში 8.4 და დამტკიცებულია იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 3 იანვრის № 1 ბრძანებით.

4.6.2. სასჯელის გადავადება

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის გადავადებისას ადგენს პირობებს. ამას ეწოდება თავისუფლების შეზღუდვა და დადგენილია შემდეგი პირობები: 1) სასჯელის მოხდისას მსჯავრდებულს ევალება დადგენილი აკრძალვების დაქვემდებარება და ნაბრძანები მოვალეობების შესრულება. აგრეთვე, სამ თვეში ერთხელ სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს წინაშე შესაბამისი მოხსენების გაკეთება აკრძალვებისა და მოვალეობების შესრულების შესახებ; 2) სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს ოფიცერს უფლება აქვს მონიხაულოს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილი და დარწმუნდეს აკრძალვებისა და მოვალეობების შესრულებაში; 3) პირს, რომელსაც შეეფარდება თავისუფლების შეზღუდვა, უნდა აცნობოს, სულ მცირე, შვიდი დღით ადრე, სასჯელის შემფარდებელ სასამართლოს ან სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს მისამართის მოსალოდნელი შეცვლის შესახებ. სასამართლომ ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სასჯელის აღმასრულებელ ორგანოს; 4) იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაუდგენს პირს აკრძალვებს ან შეუფარდებს ვალდებულებებს, რომლებიც არ არის ასახული სისხლის სამართლის სტატუტში, მისი განხორციელების პროცედურა შეიძლება განისაზღვროს სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს მიერ. ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და არ ექვემდებარება გასაჩივრებას (სასჯელთა აღსრულების კანონპროექტის მუხლი 52). ეს პოლიციასა და გამწვორებელ ინსპექტორატებს ანიჭებს შემდეგ უფლებებს: 1) თავისუფლების შეზღუდვის სასჯელის აღმასრულებელ ორგანოს ევალება შექმნას ინდივიდუალური საქმე პატიმრის შესახებ; ორგანომ უნდა აკონტროლოს სასჯელის აღსრულება და უზრუნველყოს მსჯავრდებულის მიერ მასზე დაკისრებული აკრძალვებისა და მოვალეობების შესრულება. მან უნდა წახალისოს და დასაჯოს პატიმარი. ორგანომ უნდა გამოიკვლიოს მსჯავრდებულის წარსული, წარმომავლობა და ჩაატაროს ყველა ის ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფილია კოდექსით; 2) იმ შემთხვევაში, თუ საპატიო მიზეზით პატიმარს არ შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, სასამართლოს, აღმასრულებელი ორგანოს რეკომენდაციის საფუძველზე, შეუძლია შეცვალოს ისინი, დანაშაულის მსხვერპლთა ფონდში შესაბამისი შენატანით (სასჯელთა აღსრულების კანონპროექტის მუხლი 53).

4.6.3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი სასჯელი (დღესდღეობით აღნიშნული წარმოადგენს პირობის სახეს, მაგრამ იშვიათად გამოიყენება). საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება შესაძლებელია მხოლოდ მსჯავრდებულის თანხმობით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პირობებია: 1) პირს, რომელსაც შეეფარდება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, უნდა განხორციელოს უხელფასო სამუშაო, იმ საათების რაოდენობით თვეში, რასაც დაუდგენს სასამართლო; 2) პირს, რომელსაც შეეფარდება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, არ ეხება დასაქმების, არდადეგებისა და სოციალური დაზღვევის კანონები; 3) საწარმომ, სააგენტომ ან ორგანიზაციამ, სადაც

უნდა განხორციელდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დარეგულირებული უსაფრთხო სამუშაო ადგილების, პირობების დაცვა. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის წარმოება მძიმე ან ძალიან მძიმე პირობებში აკრძალულია; 4) სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, თუ მსჯავრდებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულებისას მოკვდება ან დაზიანდება საწარმოს, სააგენტოს ან ორგანიზაციის ბრალით, ზიანი უნდა აანაზღაუროს შესაბამისმა ორგანომ.

სასჯელის აღსრულებისას გამასწორებელმა ინსპექტორებმა უნდა შექმნან დამოუკიდებელი საქმე იმ პირზე, რომელსაც შეეფარდება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. მათ უნდა განსაზღვრონ ადგილი, სადაც მოხდება სასჯელის აღსრულება და გასაკეთებელი სამუშაოს სახეობა; სასჯელის აღსრულებისას განხორციელონ ზედამხედველობა დამსაქმებლის მიერ სასჯელის აღსასრულებლად საჭირო პირობების შესრულების უზრუნველყოფა; მსჯავრდებულთა წახალისება და დასჯა; პოლიციისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მისი წარსულის დასადგენად; კოდექსით დაკისრებული სხვა საქმიანობის განხორციელება. თუ სასჯელის შეფარდების შემდეგ გამოვლენილი იქნება, რომ მსჯავრდებული არის პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი, ან საპენსიო ასაკისაა, ან ქალს აქვს დეგრეტული შევსება, ან რაიმე სხვა მიზეზით არ შეუძლია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განხორციელება, სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს რეკომენდაციით, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს სასჯელის ფორმა და დაავალოს მას შესაბამისი თანხის შეტანა დანაშაულის მსხვერპლთა ფონდში (სასჯელთა აღსრულების კოდექსის 47-ე მუხლი). დამსაქმებელი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებას, უნდა: 1) აკონტროლოს სამუშაო ადგილზე მსჯავრდებულის ყოფიქცევა; 2) აცნობოს სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს მსჯავრდებულის სიკვდილის ან შეფარდებული სასჯელის შეუსრულებლობაზე; 3) უზრუნველყოს მსჯავრდებული შესაბამისი დამცავი ტანსაცმლითა და სამუშაო იარაღებით; 4) აწარმოოს მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული სამუშაოს ხანგრძლივობის დათვლა და ყოველთვიურად მიაწოდოს ინფორმაცია სასჯელის აღმასრულებელ ორგანოს; 5) შეასრულოს კოდექსით დადგენილი პირობები სასჯელის ამ ფორმის განსახორციელებლად (სასჯელთა აღსრულების კოდექსის მუხლი 48).

4.6.4 პირობით გათავისუფლება

საპატიმრო სასჯელმეფარდებული პირების გათავისუფლება შეიძლება პირობით, თუ მათი რეაბილიტაცია შესაძლებელია საზოგადოებაში ზედამხედველობით. იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის დაწესებულებიდან პირობით გათავისუფლებულ პირს აქვს მუშაობის შესაძლებლობა, მაგრამ უარს აცხადებს მის შესრულებაზე, ან სისტემატურად არღვევს შრომის დისციპლინას, ან არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, სასამართლოს ბრძანების საფუძველზე იგი დაკავებულ უნდა იქნეს და გაიზავნოს დარჩენილი სასჯელის მოსახდელად. თუ პირს, რომელსაც თავდებში გადახდილი აქვს თანხა და იგი იზრუნება დარჩენილი სასჯელის მოსახდელად, აღნიშნული თანხა უნდა ჩაირიცხოს ციხის დეპარტამენტის ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც პირობით არის გათავისუფლებული, შეასრულებს მასზე დაკისრებულ ყველა პირობას, ვადის დასრულების შემდეგ, 15 დღის ვადაში, მას უკან უნდა დაუბრუნდეს თანხა. ძირითადი პირობები იგივეა, რაც თავისუფლების შეზღუდვის დროს (სასჯელთა აღსრულების კოდექსის მუხლი 165).

წინასწარი დაკავების ცენტრებიდან და სისხლის სამართლის დაწესებულებიდან გათავისუფლებულ პირებს უწყვეტ დახმარებას. მათი გათავისუფლების შემდეგ გზის ხარჯები სახლამდე ან სამსახურამდე შესაძლოა დაფაროს სისხლის სამართლის დაწესებულებამ. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ პირი შესაძლოა უზრუნველყოფილი იყოს მეზავრობისას საჭირო საკვებით ან ფულით. იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ ამინდის შესაფერისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, შესაძლოა უზრუნველყოფილი იყვნენ ამითაც. გათავისუფლებულ პატიმრებს შესაძლოა მიეცეთ ერთჯერადი გრანტი, ერთი თვის საარსებო მინიმუმის ფარგლებში. მოხუცები და ხეივანები შესაძლოა საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე მოთავსებული იყვნენ მოხუცთა და ხეივანთა სახლებში. იმ არასრულწლოვნებს, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები, შესაძლოა ციხის ან წინასწარი დაკავების ცენტრის მმართველის მიერ მოთავსდნენ სკოლა-ინტერნატებში ან დაენიშნათ მეურვე (სასჯელთა აღსრულების კოდექსის მუხლი 191). ანალოგიურ პირობებს შეიცავს არსებული გამოსწორების კოდექსი, თუმცა რესურსების უქონლობის გამო აღნიშნული ხშირად არ ხორციელდება. ციხეები ასეთი სახის დახმარებას ახორციელებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ შესაბამისი რესურსები.

გამასწორებელი ინსპექტორები არ ასრულებენ არავითარ როლს ციხეებში. ერთ-ერთი შეთავაზებული წინადადება იყო, მისცემოდათ მათ საშუალება დაეწყათ პატიმრებთან ურთიერთობა, თუმცა ეს ისევ შეთავაზებად რჩება. კანადის მთავრობასთან დადებული შეთანხმების კანადა ლიტვის გამოსწორების პროექტის თანახმად, ნებაყოფლობითი ორგანიზაცია LIAPO დადიოდა ქალთა და არასრულწლოვანთა ციხეებში და პატიმართა გათავისუფლებამდე 6 თვით ადრე ახორციელებდა პირველ კონტაქტებსა და შეფასებას. ვინაიდან ეს ორგანიზაცია ვილნიუსიდან იყო, ისინი ახორციელებდნენ გასაუბრებას მხოლოდ იმ მსჯავრდებულებთან, რომლებიც უნდა დაბრუნებულიყვნენ ვილნიუსში.

მსჯავრდებული შესაძლოა გათავისუფლებული იყოს არსებითი სასჯელის მოხდამდე შემდეგ გარემოებებში: პირობით გათავისუფლებისას; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან პირობით გათავისუფლებისას (რომელიც არ შეიცავს რაიმე სახის დახმარებას ან ზედამხედველობას); დროებითი დატოვებისას ოჯახური კრიზისის გამო (ზედამხედველობა შესაძლოა განხორციელდეს ციხის ოფიცრის მიერ, მაგრამ არა გამასწორებელი ინსპექტორის მიერ), ან სამუშაოდ გათავისუფლებისას (ვინაიდან პატიმრებზე პასუხისმგებელია ციხე, პატიმართა დახმარების ასოციაცია, ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, ამიტომ გამასწორებელი ინსპექტორები არ ახორციელებენ ზედამხედველობას).

4.6.5 ციხის შემდგომი მზრუნველობა

გამასწორებელი ინსპექტორები წყვეტენ საქმიანობას მას შემდეგ, რაც მოხდება დაკავების ორდენის გაცემა ან დასრულება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან პირობით გათავისუფლების ვადა, პირი იქნება შეწყალებული ან ამნისტირებული. მუნიციპალური სოციალური სამსახურები ახორციელებენ ისეთი სახის დახმარების აღმოჩენას, როგორცაა თავშესაფრით, საქმლით და საბანაო ვაუჩერებით უზრუნველყოფა.

პატიმართა დახმარების ასოციაციამ შექმნა რეაბილიტაციის ცენტრი ქ. ვილნიუსის ცენტრში. დღესდღეობით პროექტის თანამშრომლები მუშაობენ იმ კლიენტთა ჯგუფის დადგენაში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ცენტრის მუშაობისას. ისინი მუშაობენ კლიენტთა ოთხ ჯგუფთან: 1) კრიმინალური წარსულის მქონე ნარკოტიკების მომხმ-

რებლები ან დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფნი; 2) სამუშაოდ გათავისუფლებული პატიმრები; 3) ალტერნატიულ სასჯელმისჯილი მსჯავრდებულები; 4) ყოფილ პატიმრებს, რომლებიც არიან ლოთები, უსახლკაროები, რომლებიც არიან რისკის მატარებელი ან რაიმე მიზეზით შეუძლიათ თავშესაფარში ცხოვრება. ასოციაცია გეგმავს კიდევ ორი ჯგუფის შექმნას: ერთში იქნებიან პირობით გათავისუფლებული ყოფილი პატიმრები, ხოლო მეორეში - შრომის ბირჟაზე რეგისტრირებული უმუშევარი ყოფილი პატიმრები.

ნებაყოფლობითა ორგანიზაციამ LIAPO-მ დაიწყო მუშაობა ნორდ-ბალტის ციხის პროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა მცირე პირობით ვადამდე გათავისუფლების პილოტურ პროექტს, რომელიც მიმართული იყო ვილნიუსის მკაცრი რეჟიმის ციხიდან გათავისუფლებული მამაკაცების მიმართ. აღნიშნული პროექტი ფინანსდებოდა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. 2000 წლის ბოლოს, მას შემდეგ, რაც დასრულდა აღნიშნული დაფინანსება, LIAPO-ს საქმიანობის დაფინანსება დაიწყო კანადა-ლიტვის გამოსწორების პროექტმა. ისინი ვილნიუსში გათავისუფლებულ სრულწლოვან და არასრულწლოვან მსჯავრდებულებს უწევდნენ მრავალი სახის სარეაბილიტაციო მომსახურებას. LIAPO-ში ნებაყოფლობით დასაქმებული თანამშრომლები ახორციელებდნენ ინგლისურის ინდივიდუალურ შესწავლას, კომპიუტერის მოხმარების საფუძვლების ტრენინგს, ლიტერული ენის შესწავლას. LIAPO-მ აგრეთვე შეიმუშავა აგრესიის მართვის პროგრამა გათავისუფლებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის. ამ პროგრამის განხორციელება ჩაფიქრებული იყო კიდევ ორი ჯგუფისათვის (ვილნიუსის ციხის მსჯავრდებულებისა და გზაჯვარედინის პროექტის კლიენტებისთვის), მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო ეს პროექტები ჯერ არ დაწყებულა. LIAPO აგრეთვე ახორციელებდა გათავისუფლების წინა პერიოდის პროგრამას, რომელიც მიმართული იქნებოდა ვილნიუსის ციხეში მყოფი ნარკომანი პატიმრებისადმი. ეს პროგრამა შეიცავს როგორც ინდივიდუალური რჩევების მიცემასა და ჯგუფურ ფსიქოთერაპიას, აგრეთვე ლექციებს ნარკოტიკების მიღების შედეგად გამოწვეულ ზიანზე და სოციალურ/გონებრივ უნარ-ჩვევების ტრენინგს. ეს ორგანიზაცია აგრეთვე ინფორმაციას აწვდის მსჯავრდებულებს გათავისუფლების შედეგ არსებული სოციალური დახმარების შესახებ.

კარიტასმა ვილნიუსში დაიწყო მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროექტი, რომელიც კონცენტრირებულია ცხოვრების უნარ-ჩვევებზე, დასაქმებასა და ტრენინგზე. ეს პროექტი შექმნილი იყო არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის, რის გამოც კარიტასის ნებაყოფლობით დაქირავებული თანამშრომლები, არასრულწლოვანთა მოსახელთა დადიან კაუნასისა და პრაიენიშკეს არასრულწლოვანთა ციხეებში, რომელიც კაუნასთან ძალიან ახლოს მდებარეობს.

კაუნასში მდებარე ქალთა კრიზისული ცენტრი ეხმარება წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებულ ქალებს და აქვს ცოტადენი ადგილი თავშესაფარის მისაცემად.

4.7 სასჯელთა შეფარდების პრაქტიკა

4.7.1 მცირეოდენი ინფორმაცია დანაშაულისა და დანაშაულის დონის შესახებ

ამ თავში მოცემულია ინფორმაცია სასჯელთა შეფარდების პრაქტიკასა და სტატისტიკაზე, არსებული დანაშაულის სახეობებსა და მსჯავრდებულთა რაოდენობაზე. თითოეულ ტაბულაში მოცემულია ამა წლის 1 იანვრის ინფორმაცია. იგი მოწოდებულია ლიტვის დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან.

ლიტვაში იზრდება წლიური დანაშაულის ოდენობა, თუმცა უმეტესობა მათგანი ქონებრივი დანაშაულია. 2000 წელს რეგისტრირებული 82.300 დანაშაულიდან 53.225 (65%) იყო ქურდობა, ხოლო 2001 წელს რეგისტრირებული 79.265 დანაშაულიდან 48.899 (62%) იყო ქურდობა, რაც წარმოადგენს რეგისტრირებული დანაშაულის 2/3-ს. 1997-98 წლებში დაიკლო ძალადობრივი გზით ჩადენილმა დანაშაულთა რიცხვმა, თუმცა შემდეგ კვლავ დაიწყო ზრდა.

შემფოთების საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ იზრდება ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულების რიცხვი. 1999 წელს გამოძიებულ საქმეთა მხოლოდ 696 იყო დაკავშირებული ნარკოტიკებთან, როდესაც 2000 და 2001 წლებში ეს მონაცემები შემდგენიარად გამოიყურებოდა: 926 და 1039. ამ დანაშაულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საზღვრების გახსნა. ყველაზე მძიმე მდგომარეობა ამ მხრივ არის დედაქალაქში, ვილინიუსში და ერთადერთ საპორტო ქალაქ კლაიპედამში.

დანაშაულთა დიდი რაოდენობას ჩადიან ახალგაზრდები. 2000 წელს 25.046 გახსნილი საქმიდან 3.578 ჩადენილი იყო არასრულწლოვნების მიერ. ამ რიცხვმა 2001 წელს მიაღწია 3.668-ს (26.662 გახსნილი საქმიდან), რაც დანაშაულთა საერთო რიცხვის 14%-ს შეადგენს. არასრულწლოვნების უმეტესობა არ წარმდგარა სასამართლოს წინაშე, მათი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის დაბალი ასაკის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო. ამავე დროს, ბევრი ახალგაზრდა, რომლებმაც მიაღწიეს სრულწლოვანთა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს (18), ჩადის დანაშაულს. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილმა დანაშაულმა ყოველ 10.000 მოსახლეზე 2000 და 2001 წლებში შეადგინა 14.9 და 14.6.

1967 წელს მიღებულმა სისხლის სამართლის კოდექსმა განიცადა მრავალი ცვლილება. 1999 წლამდე მომხდარი ყველა ცვლილება, რომელიც გამოწვეული იყო საზოგადოების მოთხოვნით, თვით ქონებრივი დანაშაულისთვისაც კი ზრდიდა სასჯელთა დონეს. საბოლოოდ, 1999 წლის დეკემბერში კოდექსში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, დაახლოებით, 50 კატეგორიის დანაშაულზე გამოიწვია სასჯელის კლება. მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენდა დანაშაულთა ბევრ კატეგორიაზე სასჯელთა მინიმალური ზღვრის ამოღება, რაც მოსამართლეებს მეტ თავისუფლებას ანიჭებდა. მეორე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა 1999 წლის ივნისში ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 პროტოკოლის რატიფიცირება. ამავე წლის დეკემბერში გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

2000 წლის 26 დეკემბერს მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი (ძალაში შევა 2003 წლის დასაწყისში). ახალი კოდექსი იძლევა ალტერნატიული სანქციების ფართოდ გამოყენების, აგრეთვე მათი სხვადასხვა დანაშაულებისთვის შეფარდების საშუალებას.

4.7.2 რეგისტრირებული დანაშაულისა და მათ შორის, გახსნილთა პროცენტული მაჩვენებლები

რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა და მათი გახსნის პროცენტული მაჩვენებელი ზუსტად არ ასახავს ლიტვაში არსებულ სტაბილურ კრიმინალურ დონეს. მეორე მხრივ, ეს მონაცემები ძალიან იცვლება ყოველ ქალაქსა და ყოველ რაიონში. ამ სქემების ნახვისას ნათლად იკვეთება, რომ სასჯელთა უმეტესობა წარმოადგენს კანონმდებლობის ცვლილებისა და სასჯელთა შემადგენლობის პროდუქტს.

ტაბულა 1: რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულები

წელი	1998	1999	2000	2001
რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა	78.149	77.108	83.370	79.265
გახსნილ საქმეთა პროპორცია	40.3%	41%	40.4%	42.5%

4.7.3 დანაშაულთა რაოდენობა

ტაბულა 2-ში მოცემულია ლიტვაში ყველაზე უფრო ხშირად ჩადენილი დანაშაულები. ქონებრივი დანაშაულები ბევრად უსწრებენ ძალადობრივ დანაშაულებს და შესაბამისად, ამ დანაშაულებისთვის იზრდება სასჯელებიც, თუმცა აღნიშნულს არ უმოქმედია დანაშაულის ჩადენის დონეზე. მძიმე ძალადობრივი დანაშაულების რაოდენობა სტაბილურია. არსებობს მოსაზრება, რომ სხვაობა ქონებრივ და ძალადობრივ დანაშაულებს შორის გამოწვეულია ცხოვრების გაზრდილი სტანდარტებსა და მოლოდინებს და მოლოდინებსა და რეალობას შორის არსებული სხვაობების გამო.

ტაბულა 2: 1995-2002 წლებში რეგისტრირებული დანაშაულები სახეობების მიხედვით

წელი	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
ქურდობა	40252	41619	44597	47193	48213	47865	53865	48899
ბარცვა	4498	2837	3479	3971	3646	3376	4376	4185
მკვლელობა	523	502	405	391	356	343	398	378
სერიოზული ძალადობა	353	299	351	371	381	395	463	405
გაუპატორება	165	200	168	166	166	225	183	176

4.7.4 სასჯელმისჯილ პირთა რაოდენობა

ტაბულა 3-ში მოცემულია 2001 და 2002 წლებში სასჯელმისჯილთა რაოდენობა სანქციების მიხედვით. 2001 წელს საპატიმრო სასჯელმისჯილთა მცირე რაოდენობა გამოწვეულია 2000 წელს გამოცხადებული ამნისტიით. შედარებისათვის 2000 წლის 1 იანვრისათვის პატიმართა რაოდენობა შეადგენდა 14.566-ს. 2001 წელს პირობით გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა მცირე რაოდენობა გამოწვეული იყო იმავე მიზეზით.

ტაბულა 3: 2001 და 2002 წლებში სასჯელმისჯილ პირთა რაოდენობა სანქციათა სახეობების მიხედვით

სანქციები	2001	2002
საპატიმრო	9516	11566
სასჯელის გადავადება	11338	10245
გამასწორებელი მუშაობა		
თავისუფლების შეზღუდვის გარეშე	1062	1201
განსაზღვრული თანამდებობის ან განსაზღვრული საქმიანობის შესრულების უფლების შეზღუდვა	241	266
პირობითი გათავისუფლება	2986	2654
სასამართლო აღმასრულებელთა მიერ აღსრულებული ჯარიმები		

4.7.5 პატიმართა რაოდენობა

პატიმართა რაოდენობაზე გავლენა იქონია როგორც კანონმდებლობაში ადრე მომხდარმა ცვლილებებმა, ისე 1995, 1998 და 2000 წლებში გამოცხადებულმა ამნისტიებმა. ამნისტიის თანახმად, მსჯავრდებულთა გათავისუფლება ხდება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისა და შეფარდებული სასჯელის ხანგრძლივობის მიხედვით. ასეთ შემთხვევებში პატიმრების გათავისუფლება ხდება მხარდაჭერისა და ზედამხედველობის გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ ამნისტიები წარმოადგენს ძალიან მცირევადიან გამოსავალს, რაც გამოსწორების სისტემას ფულის დაზოგვის საშუალებას აძლევს. სიკვდილით დასჯის გაუქმების გამო გაიზარდა სამუდამო პატიმრობამისჯილთა რაოდენობაც. ტაბულაში მოცემულია ლეგალურად მყოფი უცხოელების მონაცემები, ვინაიდან უკანონო ემიგრანტების რაოდენობა, თუ ის საერთოდ არსებობს, ძალიან მცირეა. უცხოელთა უმეტესობა, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, არის რუსეთიდან, ბელორუსიიდან და ლატვიიდან.

ტაბულა 4: 1995-2002 წლებში პატიმართა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით

პატიმართა კატეგორიები	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
წინასწარპატიმრობაში	3703	3190	2423	2758	2601	2361	1915	1811
სასჯელმისჯილები	9431	10364	10007	11052	11983	12205	7601	9755
სამუდამო პატიმრობა	18	27	32	34	44	60	63	70
ლეგალური ემიგრანტები	33	86	66	101	138	197	142	129
საერთო რიცხვი	13134	13554	12430	13810	14584	14566	9516	11566

100.000 მოსახლეზე პატიმართა შეფარდების დასათვლელად გამოყენებულია 1997 და 2001 წლებში განხორციელებული მოსახლეობის აღწერის მონაცემები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ორი უკანასკნელი აღწერისას გამოვლინდა მოსახლეობის კლება. 1997 წელს ლიტვის მოსახლეობა შეადგენდა 3.7 მილიონს, ხოლო 2001 წელს - 3.5 მილიონს. 2001 წელს პატიმართა შეფარდება იყო 257/100.000 მოსახლეზე, ხოლო 2002 წელს - 332.

4.7.6 იმ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა, რომელთაც შეფარდებული ჰქონდათ ალტერნატიული სასჯელები

იმ მსჯავრდებულთა საერთო მონაცემები, რომლებსაც ყოველი წლის 1 იანვრისათვის შეფარდებული ჰქონდათ ალტერნატიული სასჯელები, მოცემულია ქვევით:

ტაბულა 4: 1995-2002 წლებში იმ მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომლებსაც შეფარდებული ჰქონდათ ალტერნატიული სასჯელები

ალტერნატიული სასჯელები	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
სასჯელის გადავადება	6992	10506	10624	11215	13430	13610	11338	10245
პირობით ვადამდე								
გათავისუფლებულები	1516	2442	3367	2873	2873	2986	2654	1829
გამასწორებელი სამუშაო თავისუფლების დაკარგვის გარეშე	1492	808	658	743	910	1211	1062	1201
სხვა	466	341	448	488	209	263	341	568
საერთო რიცხვი	10466	14097	15097	15319	17422	18070	15395	13843

ნათელია, რომ იზრდება იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც ეფარდებოდათ ალტერნატიული სასჯელები. 2001 და 2002 წლებში მომხდარი კლება გამოწვეული იყო ამნისტიების გამოცხადებით. 2001 წელს ბევრი მსჯავრდებული ამნისტირებული იყო სასჯელის შეფარდებამდე. 2002 წელს აგრეთვე მნიშვნელოვნად შემცირდა პირობითი გათავისუფლებულთა რაოდენობაც, რაც გამოწვეული იყო სასჯელის დასრულებამდე მათი ამნისტიით გათავისუფლებით. სხვა კატეგორიები არ არის ცალკე რეგისტრირებული, რის გამოც შეუძლებელია მათი ტაბულების წარმოდგენა.

4.7.7 გამასწორებელ ინსპექტორთა რაოდენობა

1998 წლის დასაწყისში ლიტვაში მომუშავე გამასწორებელ ინსპექტორთა რაოდენობა შეადგენდა 111-ს. მომდევნო 4 წლის მანძილზე ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 106, 101, 97 და 113. ნათელია, რომ მათ მალევე დიდი დატვირთვა აქვთ. ძნელი იქნება მუნიციპალური სოციალური მუშაკების საერთო რიცხვის დათვლა, ვინაიდან დიდი ქალაქების მუნიციპალიტეტებში განსაზღვრული იყო 3-დან 5-მდე სოციალური მუშაკი მაშინ, როცა სოფლის საკრებულოებში საერთოდ არავინ არ იყო. შეუძლებელია აგრეთვე წებით დაქირავებულთა რიცხვის დათვლა, ვინაიდან არ არსებობს ოფიციალური მონაცემები, თუმცა მათი უმრავლესობა თავმოყრილია ვილნიუსში და დასაქმებული არიან

ორ უმსხვილეს არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელშიც მუშაობს 10-ზე ოდნავ მეტი წევრით დაქირავებული. მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, არსებობენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და საეკლესიო კონგრეგაციები, რომლებიც სხვა სოციალურად გაჭირვებულ ხალხთან ერთად, ეხმარებიან აგრეთვე მსჯავრდებულებს.

4.7.8 საპატიმრო სასჯელის ხანგრძლივობა

ლიტვაში სასჯელის მინიმალური ხანგრძლივობა 3 თვეა. სტატისტიკის თანახმად, 2002 წლის 1 იანვრისათვის, იყო შემდეგი სასჯელმისჯილთა სასჯელის ხანგრძლივობა:

6 თვეზე ნაკლები	278
12 თვეზე ნაკლები	562
1-დან 3 წლამდე	3236
3-დან 5 წლამდე	2078
5-დან 10 წლამდე	2545
10-დან 15 წლამდე	802
15-დან 20 წლამდე	169
20-დან 25 წლამდე	8
საერთო რიცხვი:	9678

ნათელია, რომ შეფარდებულ სასჯელთა უმეტესობა 1-დან 5 წლამდეა, რადგან სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა საპატიმრო სასჯელის გადავადების საშუალებას, როდესაც სრულწლოვანი პირველად ჩაიდენს ნაკლები სიმძიმის დანაშაულს, ან როდესაც პირს მისჯილი აქვს 5 წლამდე სასჯელი, წინასწარი განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაულისთვის. 1 წლამდე სასჯელისას პირდაპირი პატიმრობა იშვიათად გამოიყენება, ვინაიდან უპირატესობა ენიჭება მათს გადავადებას.

4.7.9 ამნისტია

1995-დან 2001 წლამდე მთელი რიგი ადამიანებისა იყო ამნისტირებული. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში იყო სამი ამნისტია. ტახულა 5-ში მოყვანილია იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ამნისტირებული იყვნენ. შეწყალება ხდება პრეზიდენტის შეწყალების კომისიის მიერ ინდივიდუალურ საფუძვლებზე, მაგრამ ამ საშუალებით გათავისუფლებულთა რაოდენობა არ არის შთამბეჭდავი.

ტახულა 5: 1995, 1998 და 2000 წლებში ამნისტირებულთა რაოდენობა

	1995	1998	2000
ამნისტირებულები	557	30	2271
სასჯელის შემცირება			4897
გათავისუფლებული			
არასრულწლოვნები	197	1	186
არასრულწლოვნებისთვის			
სასჯელის შემცირება			18

ციფრებში ამკარა დიდი სხვაობა. 1998 წელში გათავისუფლებულთა მცირე რაოდენობა გამოწვეული იყო იმ ფაქტორით, რომ დანაშაულთა უმეტესობას თან ერთვოდა კომპენსაციის ვალდებულება. უკანასკნელი ამნისტია ძალიან ფართო იყო, მაგრამ ცოტა ხანში მსჯავრდებულთა დიდი რაოდენობა კვლავ უკან დაბრუნდა. ამის მიზეზი იყო სახელმწიფოს მოუზნადებლობა მათი სამუშაოთი და საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის და მსჯავრდებულთა ზედამხედველობისა და დახმარების გარეშე დატოვება.

დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები, საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები

5. 1 დაფინანსება

გამასწორებელი ინსპექტორატების დაფინანსების ერთადერთი წყარო სახელმწიფო ბიუჯეტია. მათი დებულება იძლევა შემოსავლის მიღების საშუალებას, თუმცა პრაქტიკაში ეს არ ხდება. 2001 წლამდე ინსპექტორატებს მართავდა პოლიცია. ინსპექტორატების ციხის დეპარტამენტში გადასვლის მიუხედავად, 2002 წლის 1 იანვრამდე მათი ბიუჯეტი კვლავ პოლიციაში რჩებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ციხის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში ყოფნის ადრეულ ეტაპზე გამასწორებელი ინსპექტორები მუშაობდნენ ციხის დეპარტამენტის ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ მათი ხარჯები იფარებოდა პოლიციის ბიუჯეტიდან. იმ წლებში არსებული ბიუჯეტის მონაცემები არ არსებობს. 2002 წელს მიღებული დაფინანსება შეადგენდა 3.7 მილიონ ლიტას, ანუ 1.07 მილიონ ევროს. ინსპექტორატებს არ მოუპოვებიათ დამოუკიდებელი დაფინანსება.

2002 წლისათვის ციხის დეპარტამენტისათვის გამოყოფილი იყო 91.5 მილიონი ლიტასი (26.5 მილიონი ევრო). აქედან 87.8 მილიონი ლიტასი (25.43 მილიონი ევრო) განკუთვნილი იყო ციხის სისტემისათვის. გამასწორებელი ინსპექტორატებისთვის გამოყოფილი იყო 24-ჯერ ნაკლები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზედამხედველობენ მსჯავრდებულთა იმავე რაოდენობას, რაც ციხეებშია. ციხის დეპარტამენტის ბიუჯეტი ძალიან შეშქიდრობებულია და შეუძლია მხოლოდ სპეციფიკური მიმართულებების გადაწყვეტა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მოხდება პირობების განვრცობა, მაშინ გამოცხადდება ამნისტია.

მუნიციპალური სოციალური სამსახურების დაფინანსება ხდება მუნიციპალური რესურსებიდან (მუნიციპალური გადასახადები, შემოსავლები, სახელმწიფო რესურსები). ყველა მუნიციპალიტეტი, სოციალურ სამსახურებს უყოფენ სხვადასხვა რაოდენობის რესურსს, რაც არ იძლევა მსჯავრდებულებზე დახარჯული თანხების ზუსტი განსაზღვრის საშუალებას.

არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება ძირითადად ხდება უცხოური ფონდებიდან. ისინი თანხებს იღებენ საერთაშორისო განვითარების სააგენტოებიდან. ეს უკანასკნელნი კონკურენციას უწევენ მუნიციპალიტეტებიდან და ადგილობრივი ხელისუფლებიდან მიღებულ დაფინანსებას. არასამთავრობო ორგანიზაციებს უფლება აქვთ შექმნან საკუთარი ფონდები, თუმცა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, როცა პოსტსაბჭოთა განვითარებადი კაპიტალისტური მენტალიტეტი ნიშნავს იმას, რომ

მოსახლეობის უმეტესობას სურვილი არა აქვს აღმოუჩინოს დახმარება ნებისმიერ საქველმოქმედო საქმიანობას და განსაკუთრებით მსჯავრდებულების მიმართ, ამის შესრულება ფაქტობრივად შეუძლებელია. შეუძლებელია იმ სხვა ორგანიზაციების ბიუჯეტების იდენტიფიკაცია, რომლებიც მუშაობენ მსჯავრდებულებთან, ვინაიდან ისინი არ ყოფნენ დაფინანსებას იმის მიხედვით, თუ ვისკენ არის მიმართული მათი მომსახურება, მსჯავრდებულების, თუ სხვა საკურორების მქონე ხალხის მიმართ. არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად არსებობენ პროექტების დაფინანსებით, რომელიც დამოკიდებულია კონტრაქტის მოგებასა და პროექტის ხანგრძლივობაზე.

გამასწორებელმა ინსპექტორატებმა, როგორც სახელმწიფო სამსახურებმა, უნდა იმოქმედონ დადგენილი კანონების მიხედვით და მაგალითად, მათ არა აქვთ უფლება სახელფასო ფონდი გამოიყენონ სხვა დანიშნულებით. ამავე დროს მათ უფლება აქვთ გადააადგილონ ერთ მუხლში არსებული თანხები. აღნიშნული კანონები მოქმედებს მუნიციპალური სამსახურების მიმართაც. ინსპექტორატების არსებული ბიუჯეტის დონე თანამშრომელთა ხელფასების გადემისა და ძირეული ინსპექტირების საქმიანობის წარმართვის საშუალებას იძლევა. მუნიციპალური სამსახურებისათვის ძირითადად ხდება დაფინანსების გამოყოფა ობიექტისა და ხეობებისათვის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არ ხდება მათი საქმიანობის სრულად დაფინანსება. ნებაყოფლობით ორგანიზაციების ფინანსების ხარჯვით ნაწილზე ერთადერთ შეზღუდვას, რომელსაც ადგენენ დამფინანსებელი ორგანიზაციები, ეს არის ანგარიშის ჩაბარება.

ტაბულა 6: პრობაციისა და ციხის სისტემის წლიური ბიუჯეტი

	პ/ს სისტემა	ციხის სისტემა
2002 წლის საერთო თანხა თანამშრომელთა რაოდენობა	1.07 მილიონი ევრო	25.43 მილიონი ევრო
2001 წელს	97	2732
2002 წელს	113	2724

5.2 ფინანსური ანგარიშვალდებულება

გამასწორებელი ინსპექტორატების ბიუჯეტის ხარჯვას ზედამხედველობს იუსტიციის სამინისტროს ციხის დეპარტამენტის ბუღალტერიის განყოფილება. მიმდინარე რეფორმების შემდეგ ხუთ რეგიონალურ ოფისს აქვს საკუთარი ბუღალტერიები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საერთო ბუღალტერიაზე. მიუხედავად ამისა, რეგიონალური გამასწორებელი ინსპექციები კვლავ რჩებიან ანგარიშვალდებულად ციხის დეპარტამენტის ბუღალტერიის განყოფილების წინაშე. მთელი ფინანსური ბუღალტერია ცენტრალიზებულია. მუნიციპალური სოციალური სამსახურები ანგარიშვალდებული არიან ანალოგიურად მუნიციპალური ბუღალტერიის განყოფილებისადმი. არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებენ დამფინანსებელი ორგანიზაციების საბუღალტრო მოთხოვნებს.

გამასწორებელი ინსპექციების ხარჯვითი ნაწილის შემოწმება ჯერ არ მომხდარა, თუმცა შემოწმების მექანიზმი შემდეგნაირია: ციხის დეპარტამენტის შიდა აუდიტი განსაზღვრავს გახარჯული რესურსების მიზანს. არ არსებობს გარე აუდიტის სისტემა, ვინაიდან სახელმწიფო აუდიტის სისტემა ახორციელებს აუდიტს, თუ არსებობს

მტკიცებულება თანხების არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა და სპეციალური საგამომიებო სამსახური იწყებს გამოძიებას კორუფციის ბრალდებით.

5.3 რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები

ციხის დეპარტამენტი აწარმოებს ინდივიდუალურ საქმეებს ყველა თავის თანამშრომელზე და მათ შორის, გამასწორებელ ინსპექტორებზეც. ინფორმაციის ზოგიერთი ნაწილი საიდუმლოა, ხოლო დარჩენილის გამოყენება შესაძლოა ღიად. პირადი და ოჯახური ინფორმაციის მოპოვება ხდება ოპერატიული გზით, რის გამოც საიდუმლოა და მასზე დაშვება აქვთ ხელმძღვანელსა და თანამშრომელს.

არსებულ საქმეთა რაოდენობისა და წარმოებული საქმიანობის შესახებ საერთო ინფორმაციაზე დაშვება ყველას აქვს, თუმცა არ ხდება მისი ფართოდ გამოყენება. გამასწორებელი ინსპექტორები წერენ კვარტალურ მოხსენებებს, სადაც აღწერენ თავიანთ საქმიანობას და უჩვეულო შემთხვევებს მსჯავრდებულთა და თანამშრომლების შესახებ. წლის ბოლოს მოხსენებებს საბოლოო სახე ეძლევათ. აგრეთვე ინახება გამასწორებელი ინსპექტორების საქმიანობის შედეგად მიღწეული შედეგები, სადაც მითითებულია, რამდენად ეფექტურად მოხდა ამკრძალავი და სოციალური ზომების აღსრულება. აგრეთვე მიმდინარეობს ჩანაწერების გაკეთება ისეთ საქმეებზე, სადაც აღწერილია უარის თქმის მიზეზები პირობით გათავისუფლებასა და ალტერნატიულ სანქციებზე.

თუ არსებობს მოთხოვნა ინფორმაციის მიღებაზე (გარდა პირადი ინფორმაციისა), შესაძლებელია მიწოდებული იყოს ორგანიზაციის თანხმობით. მიუხედავად ამისა, ამის ფართოდ გამოყენება არ ხდება.

5.4 შეფასების პროცედურები

გამასწორებელი ინსპექტორატების ერთ-ერთი ფუნქციაა მსჯავრდებულთა შესახებ ინფორმაციის მოგროვება და შენახვა. გამასწორებელი ინსპექტორები წერილობით აფიქსირებენ სასჯელმისჯილთა რაოდენობასა და შესაბამისი სასამართლოების ადგილმდებარეობას. აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება ხდება არა მხოლოდ სასჯელთა ეფექტურად აღსრულებისთვის, არამედ სტრუქტურის განსასაზღვრად და ორგანიზაციის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის გამოყენება აგრეთვე შესაძლებელია პოლიტიკის შემდგომი ანალიზისათვის.

ინფორმაცია დგება ყველა პირზე ინდივიდუალურად, რომელიც შეიცავს შემდეგს: სახელი, გვარი, ასაკი, განათლება, საცხოვრებლის მისამართი, სამუშაო, ჩადენილი დანაშაული, სასჯელის გასვლის ვადა, ადრე გათავისუფლების შესაძლებლობის თარიღი, სასამართლოს მიერ დაკისრებული პირობები, ფინანსური მდგომარეობა, თავისუფალ დროს არსებული ინტერესები, თანამონაწილეები, გაწეული აქვს თუ არა სოციალური დახმარება და ა. შ. კანონი არ ზღუდავს ინფორმაციის მოგროვებას. ინფორმაციის შენახვა ხდება მსჯავრდებულის საქმეში. არსებობს შიდა მოთხოვნა, მსჯავრდებულის შესახებ ყოველთვიურად საქმის გადამოწმების შესახებ.

ლიტვის გამოსწორების სისტემას არ გააჩნია კომპიუტერიზებული საინფორმაციო ბაზა. პოლიციამ შექმნა ასეთი ბაზა, მაგრამ არც ციხის დეპარტამენტს და არც გამასწორებელ ინსპექტორატებს იგი არ შეუქმნიათ. ინფორმაციის ჩაწერა კლიენტთა შესახებ ხდება პირად საქმეებში.

ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა გამასწორებელი ინსპექტორების საქმიანობის შესახებ, რომელიც კი ჩატარებულა, განხორციელა სამუშაო ჯგუფმა, რომელიც მუშაობდა პრობაციის კონცეფციის შემუშავებაზე და ფინანსდებოდა ფონდ „ღია საზოგადოება ლიტვის“ მიერ. იგი გამოქვეყნდება 2002 წელს.

5.5 საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები

პრობაცია/სოციალური სამსახურების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ არ ჩატარებულა რაიმე დიდი კვლევა ან შესწავლა კლიენტთა შეხედულებებისა. ვინაიდან ამ დარგს დამოუკიდებლად საქმიანობა სულ ახალი დაწყებული აქვს. გასამხედროებულ ორგანიზაციაში არ არსებობდა ინტერესი კლიენტთა შეხედულებების შეფასების მიმართ. ზოგიერთი ნებაყოფლობითი ორგანიზაცია წერდა, რომ კლიენტები არ არიან კმაყოფილნი მათ მიმართ განხორციელებული სოციალური დახმარებისა. ვინაიდან არ ხდება კლიენტთა საჭიროებების დადგენა. ნათელია, რომ კლიენტები ითხოვენ მხოლოდ მატერიალურ/ფინანსურ დახმარებას. ჩატარდა რამდენიმე გამოკვლევა გამოსწორების სისტემაზე, რომელმაც ნათლად აჩვენა, რომ საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს უფრო მკაცრ სასჯელებს და შემსუბუქება არ არის მოსალოდნელი. ლიტვის პრობაციის კონცეფციის შექმნისათვის შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა გამოკვლევა პატიმართა მოლოდინების შესახებ, მაგრამ მასში არ იყვნენ ჩართული ის პირები, რომლებსაც შეფარდებული ჰქონდათ პრობაცია. ყველა აღნიშნული გამოკვლევა მიმდინარეობდა ქუჩაში შემთხვევით არჩეული ხალხის გამოკითხვით. გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნდა გაზეთებში და ნაჩვენები იქნა ტელევიზიით. მიუხედავად ამისა, სერიოზული გამოკვლევა არ ჩატარებულა.

ზოგიერთი საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება პრობაცია/სოციალური კეთილდღეობის სისტემის მიერ, საზოგადოებასთან და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობებთან საზოგადოებრივ ცენტრებში შეხვედრების გზით. ზოგიერთი ინფორმაცია იბეჭდება გაზეთებში, უმეტესწილად ისეთებში, რომლებიც სპეციალიზდებიან სისხლის სამართალსა და სასამართლოს საქმიანობაზე. ხანდახან სტატიები იბეჭდება რეგიონალურ გაზეთებშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ უწყობს ხელს ხალხის განწყობის შეცვლას.

თანახმად ლიტვისათვის პრობაციის კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეთავაზებისა, დაიწყო PR-კამპანიები. პროექტის დასაწყისში, დაიწყო დიდი კამპანია პრობაციის შესახებ და მოხდა პრობაციის კონცეფციის საზოგადოებისათვის მიწოდება. ამ კომპანიის მიმართ გაჩნდა უარყოფითი დამოკიდებულება არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ პარლამენტის წევრებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეების მხრიდანაც. ახლა დაიწყო PR-კამპანიის ახალი ეტაპი, როდესაც ხდება საზოგადოების გაცნობა არა მხოლოდ პრობაციის უპირატესობისა ციხესთან, არამედ აგრეთვე წარმოადგენენ პრობაციონერთა მუშაობის ისეთ დადებით მხარეებს, როგორებიცაა, ქალაქში მიმდინარე სამუშაოებში მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობით, სამეზობლო გარემოს გაუმჯობესება და ა. შ.

პრობაციის კლიენტთა უფლებები

პრობაციის კლიენტთა უფლებების განსაზღვრად არ მომხდარა სპეციალური მუშაობა, ვინაიდან ეს სისტემა ძალიან ახალია. მიუხედავად ამისა, ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებების დაცვას, რომელიც გულისხმობს მსჯავრდებულთა უფლებებსაც. ლიტვამ მოახდინა ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებების უმეტესობის რატიფიცირება, რის გამოც მსჯავრდებულთა უფლებები განიხილება დიდი ყურადღებით და დარღვევების შემთხვევაში არსებული ნებისმიერი დახმარება იმპლემენტირებულია.

ყველა მსჯავრდებულს, რომელიც იმყოფება ზედამხედველობის ქვეშ, აქვს თავისი უფლებები და მოვალეობები და ამის შესახებ მას ინფორმაცია მიეწოდება პირველი გასაუბრების დროს. მსჯავრდებულებს სთხოვენ თავისი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის არა მხოლოდ ხელმოწერით დადასტურებას, არამედ აძლევენ თითოეული მათგანის დეტალურ განმარტებასაც. ხანდახან მსჯავრდებულებს აძლევენ ბუკლეტებს, რომლებშიც განმარტებულია მათი ძირითადი უფლებები და მოცემულია ჩამონათვალი ორგანიზაციებისა, რომელთაც მათი დახმარების სურვილი აქვთ (აგრეთვე რა სახის მომსახურებას სთავაზობენ). მიზეზი, რომლის გამოც ეს არ ხდება ლიტვის მთელ ტერიტორიაზე, არის ფინანსები: გამასწორებელ ინსპექტორატებს არა აქვთ საკმარისი თანხები ფურცლებისა და ასლის გადაღებების შესაძენად.

2001 წელს ლიტვა ასევე ერთად იმ პირთა დაცვის კონვენციას, რომელთაც შეესაბამება პირადი ინფორმაციის ავტომატური დამუშავება; ჩვენ გვაქვს აგრეთვე კონვენციის შესაბამისი კანონი პირადი ინფორმაციის სამართლებრივი დაცვის შესახებ. ვინაიდან გამასწორებელ ინსპექტორატებს არ გააჩნიათ კომპიუტერიზებული საინფორმაციო ბაზები, ეს კანონი არანაირი გავლენას არ ახდენს მათზე. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არსებობს დაუწერელი კანონი, რომლის თანახმადაც, საქმეების გადაგზავნა სასამართლოებისთვის, პროკურორისთვის, პოლიციისთვის, მიგრაციის სამსახურისა და ზოგიერთი სხვა სააგენტოსათვის ხდება მხოლოდ შესაბამისი საფუძვლის არსებობისას. აღნიშნული საფუძვლები შეიძლება იყოს: პოლიციისთვის სასჯელის გადავადება ან პირობით გათავისუფლება; მიგრაციის ოფისისათვის თუ მსჯავრდებულს ეკრძალება მისამართის შეცვლა; დამსაქმებლისთვის - თუ მსჯავრდებულს აქვს სამსახური. მუნიციპალურ სოციალურ სამსახურებს ევალებათ ამ კანონის დაცვა, ვინაიდან მათ აქვთ თავიანთი საინფორმაციო ბაზა. არასამთავრობო ორგანიზაციებს არ ევალებათ ამ კანონის დაცვა, რადგან, როდესაც ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ მსჯავრდებულის სახელით, მათ ურჩევნიათ, საქმე არავის არ გადაუგზავნონ. ძალიან ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციები ამყარებენ კარგ ურთიერთდამოკიდებულებას მსჯავრდებულებთან და ცდილობენ, რომ არ მიაწოდონ ინფორმაცია არავის, რათა არ გაიფუჭონ ურთიერთობა მსჯავრდებულთან. აღნიშნული გარკვეულწილად წარმოადგენს მაგალითს კომუნიკაციის პრობლემისა არასამთავრობოსა და გამასწორებელ სამსახურებს შორის, თუმცა კარგი მაგალითია ინფორმაციის დაცვისა. მეორე მხრივ, ზოგიერთ ნებაყოფლობით ორგანიზაციას დადებული აქვს ხელშეკრულება გამასწორებელ ინსპექციებთან, რომ მათ მიაწვდიან ინფორმაციას ისეთ საქმეებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ.

ყველა მსჯავრდებულს აქვს იგივე უფლება, როგორც სხვა მოქალაქეებს, იჩივლოს სასამართლოში ან ომბუდსმენთან. ეს უფლება არანაირად არ არის შეზღუდული. სისტემის შიგნით არ არსებობს საჩივრით მიმართვის ფორმალურად გაწერილი პროცედურა და ნებისმიერ მსჯავრდებულს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს რეგიონალური ინსპექ-

ტორატის უფროსს, ციხის დეპარტამენტს ან პირდაპირ იუსტიციის მინისტრს. ნებისმიერი საჩივარი წარმოადგენს გამოძიების დაწყების საფუძველს შიდა ან სხვა ორგანოს მიერ. პრაქტიკაში პატიმრები ძალიან ხშირად მიმართავენ ამ საშუალებას და არ არსებობს საფუძველი ამ საკითხზე ნერვიულობისა, თუმცა ალტერნატიულ სასჯელმისიჯილებს ჯერჯერობით არასოდეს უჩივლიათ. ვინაიდან სამსახური კვლავ განვითარების ეტაპზეა და ჯერჯერობით არ არის შექმნილი ფორმალური საფუძველები, საჩივარს პრობაციის მუშაკის წინააღმდეგ შესაძლოა ჰქონდეს ნებისმიერი საფუძველი. ეს კანონი საერთოა მთელი სისტემისათვის, რის გამოც სასჯელის აღსრულებისას ყველა მსჯავრდებულს დარწმუნებულია თავის უფლებებში.

ნებისმიერ გადაწყვეტილებას შეიძლება გადახედოს ზემდგომმა ორგანომ, მაგალითად, რეგიონალური ინსპექციის უფროსის გადაწყვეტილება შესაძლოა გადაიხედოს ციხის დეპარტამენტის მიერ, ციხის დეპარტამენტის გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრის მიერ და ა. შ. სასამართლოები წარმოადგენენ საბოლოო ინსტანციას და როდესაც ამოიწურება ყველა საშუალება, პირს უფლება აქვს მიმართოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირს, რომელსაც არ ესმის სამართალწარმოების ოფიციალური ენა, უფლება აქვს გამოიყენოს თარჯიმანი. ამ უფლების დარღვევა, წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს და საქმე დაბრუნებული უნდა იყოს ხელახლა განსახილველად.

ამავე კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე, პირს უფლება აქვს ჰყავდეს ადვოკატი. თუ პირს არა აქვს ამის საშუალება, სახელმწიფო უფასოდ გამოყოფს ადვოკატს. სამოქალაქო საქმეების შემთხვევაში, პირს უფასო ადვოკატის აყვანის უფლება აქვს, თუ მისი შემოსავალი იმაზე მცირეა, რაც მოცემულია 2001 წლის 22 იანვრის მთავრობის რეზოლუციაში №71, რომელიც ეხება იმ პირების ქონებასა და შემოსავალს, რომელთაც სახელმწიფოს მიერ გარანტირებული აქვთ იურიდიული დახმარება; აქვე განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იურიდიული დახმარებისათვის საჭირო მაქსიმალური თანხა. მიუხედავად ამისა, ამ უფლების გამოყენება ჯერ არ მომზდარა პრობაციის ოფიცრების წინააღმდეგ.

როგორც აღვნიშნეთ, პრობაცია/სოციალური მუშაკების ინსპექტირებისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება მათი მოხსენებები და დაუგეგმავი შემოწმებები, რომელსაც ახორციელებს ციხის დეპარტამენტი.

არსებული მიღწევები

ცვლილებების უმეტესობა მაშინ დაიწყებს განხორციელებას, როცა 2003 წლიდან ძალაში შევა ახალი კოდექსები. ამ ცვლილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები უკვე აღვწერეთ.

მთავრობის დონეზე პრობაციის სისტემის გაგების პირველი ნაბიჯები გადაიღდა 1999 წლის დასაწყისში. არსებული კონცეფცია ახალი იყო, რის გამოც არ მიღებულა ნათელი პოლიტიკური გადაწყვეტილება. ამ კონცეფციის განხილვას დიდი დრო დაეთმო. რეალური მუშაობა დაიწყო 2000 წლიდან, მას შემდეგ, რაც გამასწორებელმა ინსპექტორატებმა პოლიციიდან გადაინაცვლეს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში. ამავე დროს, ფონდმა „ღია საზოგადოება - ლიტვამ“, წამოიწყო ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა, რაც ითვალისწინებდა ლიტვაში პრობაციის კონცეფციის შექმნას. ეს ინიციატივა კარგად

მიმდინარეობს და წარმოადგენს პრობაციის განვითარებისათვის საჭირო კონცეპტუალურ და თეორიულ საშუალებას.

დღესდღეობით სამთავრობო პროგრამა შეიცავს პრობაციის სისტემის შექმნის გეგმას. იუსტიციის სამინისტრომ ის 2002 წლის ზაფხულში უნდა დაამტკიცოს. მოსალოდნელია, რომ იუსტიციის სამინისტრო მიიღებს ლიტვაში პრობაციის კონცეფციის შექმნის პროექტის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს. ეს საშუალებას მისცემს არსებულ სტრუქტურას, უზრუნველყოს ახალი ფუნქციებისა და რესურსების საფუძველები, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება პოზიტიური მიღწევების დანახვა.

გაუმჯობესების ერთ-ერთი მხარე იქნება გამასწორებელი ინსპექციების დეცენტრალიზაცია, რაც საშუალებას მისცემს მათ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეციდონ სასჯელთა აღსრულებას. ამავე დროს, იმედების მომცემია ნებაყოფლობითი სექტორის განვითარება და უფრო მეტად ჩართვა ამ საკითხებში.

კანონმდებლობა, რომელმაც ნებაყოფლობით ორგანიზაციებს მონაწილეობის მიღების ნება დართო, მიღებულ იქნა მხოლოდ 2001 წელს. მანამდე ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობა უკანონო იყო. მთავრობის რეზოლუცია, უფლებას აძლევს ნების დაქირავებულებს უფრო აქტიურები იყვნენ სოციალური კეთილდღეობის დარგში (მათ შორის ალტერნატიული სასჯელების დროსაც). გარდა ამისა, ფონდ „ღია საზოგადოება - ლიტვის პროექტს“ აქვს წინადადება, რომელიც გულისხმობს: საზოგადოებრივ სანქციებში, ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მეტ მონაწილეობას.

ლიტვის იურიდიულმა უნივერსიტეტმა დაიწყო იმ სოციალურ მუშაკთა ტრენინგი, რომლებიც სპეციალიზდებიან გამოსწორების და განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ სანქციებში. აღნიშნული ხელს შეუწყობს პრობაციის სამსახურის პროფესიონალიზმის გაუმჯობესებას.

ლიტვა, როგორც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა, წარმოადგენს ხელმძღვრის ევროპული კონვენციისა წამების, არაჰუმანური ან დეგრადირებული მოპყრობისა და დასჯის პრევენციის შესახებ. ლიტვა აგრეთვე წარმოადგენს წევრს ევროსაბჭოს „ნორდ-ბალტის“ ციხის პროექტისა, რომლის მიზანიც არის ბალტიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ციხის სისტემების ჰუმანიზაცია. მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა მიღწეული მეგობრობის პროექტების მეშვეობით, რა დროსაც საფუძველი ჩაეყარა თანამშრომელთა დამოკიდებულებას მსჯავრდებულთა მიმართ და მათი უნარ-ჩვევების განვითარებას. „ნორდ-ბალტის“ ციხის პროექტის მეშვეობით გამოსწორების სისტემაში იმპლემენტირებულ იქნა ბევრი დადებითი ცვლილება როგორც ციხეებში, აგრეთვე საზოგადოებრივ სასჯელებში.

ადრე ნახსენები LLAPO პილოტური პროექტი, აგრეთვე შეიქმნა „ნორდ-ბალტის“ ციხის პროექტის მეშვეობით, რომელსაც აფინანსებდა ნორვეგიის იუსტიციის სამინისტრო. აღნიშნულს ასევე დახმარებას უწევდა კანადა/ლიტვის გამოსწორების პროექტი და ახლა მუშაობენ მსჯავრდებულთათვის, რისკების/საჭიროებების განსაზღვრის მექანიზმის შემუშავებაზე. საერთაშორისო ორგანიზაციებს წვლილი შეუქმნა ამ დარგის განვითარებაში.

2002 წელს შედეთის ციხისა და პრობაციის ადმინისტრაციის მიერ აგრეთვე დაიწყო თანამშრომლობა, რომელიც ეფუძნებოდა პრობაციასთან მეგობრობას. ამ პროექტის მთავარ წვლილს წარმოადგენდა ტრენინგების მხარდაჭერა, რაც კარგად განვითარებული სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია.

სხვა მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს უკვე ნახსენები კანადა/ლიტვის გამოსწორების პროექტი. ეს პროექტი არ იყო მიმართული მხოლოდ პრობაციისკენ, მაგრამ ის შეზღვევ, რაც გამასწორებელი ინსპექტორატი გადავიდა ციხის დეპარტამენტის სტრუქტურაში, ალტერნატიული სანქციების აღსრულება პრიორიტეტად გამოცხადდა. აღნიშნულის შემდეგ დაიწყო პილოტური პროექტი, რომელიც ხორციელდებოდა ვილინის-

ში პატიმრობიდან დაბრუნებული ქალებისა და არასრულწლოვნებისთვის. შედეგად მიღწეულ იქნა ბევრი დადებითი შედეგი, კერძოდ, იწერებოდა რეკომენდაციები გამასწორებელი ინსპექტორებისთვის (სოციალური დახმარების გაზრდაზე და სხვა ორგანოებთან, განსაკუთრებით კი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თანამშრომლობის შესახებ), მზადდებოდა ტრენინგის მასალები, ეწყობოდა სასწავლო ცენტრის თანამშრომლების ტრენინგები და ემლეოდათ საჭირო რჩევები ტრენინგის პროგრამის შემუშავებისათვის. გარდა ამისა, პროექტი ეხმარებოდა ლიტვის პოლიტიკური მრჩეველების გავლენის ზრდას მსჯავრდებულთა და გამოსწორების თანამშრომელთა ურთიერთდამოკიდებულებაზე.

მისამართები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართები, ვებგვერდები და შესაბამისი პუბლიკაციები

8.1

Ministry of Justice,
Gedimino ave.30/1,
Vilnius LT-2600,
Lithuania.
tel.: +370 2 62 80 01
fax: +370 2 62 59 40
e-mail: tminfo@tic.lt,
website: <http://www.tm.lt/min/>

Ministry of Social Welfare and Labour,
Vivulskio 11,
Vilnius LT-2009,
Lithuania.
tel.: +370 2 60 37 90
fax: +370 2 60 38 13
e-mail: post@socmin.lt

Prison Department,
Sapiegos str.1,
Vilnius LT-2055,
Lithuania.
tel.: +370 2 62 67 67
e-mail: kd.auklejamasis@vrm.lt

Crime Prevention Centre of Lithuania,
Gyneju str. 6,
Vilnius LT-2001,
Lithuania.
tel.: +370 2 49 63 31
fax: +370 2 49 60 57
e-mail: nplc@nplc.lt
website: www.nplc.lt

Criminal Statistics Databases: www.nplc.lt:

Prison Department Training Centre,
Subaciaus str.21,
Vilnius LT-2001,
Lithuania.
tel.: +370 2 61 45 07
fax: +370 2 61 47 51
e-mail: prd_mc@centras.lt

Prisoners Aid Association,
Paneriu 10,
Vilnius,
Lithuania.
tel.: +370 2 65 22 01
globa@delfi.lt

I.IAPO,
Verciu 7 unit 99,
Vilnius,
Lithuania.
tel.: +370 2 78 86 70
+370 2 78 84 90
liapo@one.lt
evita.d@takas.lt

Municipal Consulting Agency Crossroads,
Verkiu 7 unit 99,
Vilnius,
Lithuania.
tel.: +370 2 78 86 70
+370 2 78 84 90

8.2

Common Country Assesment for Lithuania (September 2001). <http://www.un.lt/about.htm>
UNDP Human Development Report. <http://www.undp.lt/publications.htm>
information website of the Economy Bank: <http://www.ub.lt/index.php/lt/press/business/a/>, 11333
Crime Prevention Centre of Lithuania www.nplc.lt/stat/nus/nus5.htm
Working group of the Project for the Establishment of the Probation Concept for Lithuania,
under the Open Society Fund-Lithuania. 2002 m. birzelis 13 d. (it will be put on to www.nplc.lt).

თავი 8

რუმინეთი

იონ დურნესკუ

პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება და ძირითადი ინფორმაცია რუმინეთის შესახებ

1.1 პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული სიტუაცია

რუმინეთი არის აღმოსავლეთევროპული ქვეყანა, დაახლოებით, 22 მილიონი მოსახლით. მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენენ უნგრელები (7%). მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს რუმინეთის დასავლეთ ნაწილში, ტრანსილვანიაში. მეორე მცირე ერს წარმოადგენენ რომაელები (Rroma). კვლევის თანახმად (1993 წლის ზამფირ და ზამფირ), დაახლოებით, 1.010.000 რომაელები ცხოვრობენ რუმინეთში და წარმოადგენენ საერთო მოსახლეობის 4.6%-ს. რომას ასოციაციის ინფორმაციის თანახმად, რომაელები წარმოადგენენ ქვეყნის მოსახლეობის 10%-ს (2.5 მილიონზე მეტი), მაგრამ 1992 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის თანახმად, რომელი ხალხის რაოდენობა, დაახლოებით, 650.000-ია.

2001 წლის მონაცემებით, რუმინეთში საშუალო შემოსავალი შეადგენს 100\$ (დაახლოებით, 3 მილიონი ლეი). უმუშევრობის დონე 9%-ია (სტატისტიკის ეროვნული კომისია).

რუმინეთი 1947 წლიდან, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდნენ კომუნისტები, იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ. 1989 წლის რევოლუციის შედეგად დასრულდა კომუნისტური რეჟიმი და დამყარდა დემოკრატიული რეჟიმი. 2000 წელს ხელისუფლებაში მოვიდა არსებული მთავრობა. ხელისუფლებაში მყოფ ყველაზე მნიშვნელოვან პარტიას წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ხოლო დღესდღეობით ყველაზე მნიშვნელოვან ოპოზიციურ პარტიებს წარმოადგენენ დემოკრატიული პარტია, ლიბერალური პარტია და დიდი რუმინეთის პარტია.

რუმინეთში სასამართლო სისტემა დამყარებულია კონტინენტურ სამართალზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები ეფუძნება კონსტიტუციას, კოდექსებსა და სხვა სპეციალურ კანონებს. ძირითად საკანონმდებლო აქტს, რომელიც არეგულირებს სისხლის სამართლის საკითხებს, წარმოადგენს 1969 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. კოდექსმა განიცადა რამდენიმე ცვლილება და განახლება, მაგრამ მისი იურიდიული საფუძვლების სტრუქტურა 2002 წლისთვისაც იგივეა, რაც იყო 1969 წელს.

1.2 პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება

1.2.1 1936-დან 1991 წლამდე

მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის იდეა, რუმინულ კანონმდებლობაში პირველად გაჩნდა იტალიური პოზიტივიზმის გავლენით. სასჯელის გადაცდების, პირობით გათავისუფლების და ციხის შემდგომ მზრუნველობის კონცეფცია პირველად აისახა სისხლის სამართლის კოდექსში 1936 წელს. 1936 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლი ადგენდა, რომ ყველა რაიონულმა სასამართლომ კოორდინაცია უნდა გაუწიოს იმ

შემსუბუქების საზოგადოებების (არასამთავრობო ორგანიზაციები) საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ ყოფილ პატიმართა სოციალურ რეინტეგრაციას, განსაკუთრებით კი ციხეებიდან გათავისუფლებული ახალგაზრდა მსჯავრდებულებისა. თანამედროვე გაგებით, აღნიშნული წარმოადგენდა რეალურ ციხის შემდგომი მზრუნველობის სამსახურს, რომლის მიზანიც იყო „la crise de la liberation“.

ამავე კოდექსის 65-ე მუხლი რუმინეთის კანონმდებლობაში პირველად არეგულირებდა სასჯელის გადავადებას, რომელიც უმეტესწილად გამოიყენებოდა მოკლევადიანი პატიმრობის გადავადებისას. ამ ზომის დამკვიდრებისას გაკლენა იქონია ფრანგულმა მიმართულებამ („la loi de sursis“, „suris a l’execution“), რაც გულისხმობდა ბრალის წაყენების შემდეგ სასჯელის გადავადებას, ვიდრე ანგლო-საქსონურ სისტემაში დამკვიდრებულ ტრადიციას: სასჯელის ნაცვლად პრობაციის გამოყენებას. სასჯელის გადავადება დატოვებულ იქნა 1969 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, მხოლოდ უფრო განიერყო და მიიღო სხვა ფორმა, რაც გულისხმობდა სასჯელის გადავადებას ზედამხედველობით.

1.2.2 1991-დან 2000 წლამდე

1991 წლიდან ციხეების მთავარი ადმინისტრაცია გადავიდა იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში (ადრე მას კოორდინაციას უწევდა შინაგან საქმეთა სამინისტრო).

1994-1997 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა დანაშაულის დონე და 100.000 მოსახლეზე 421-დან 496-ს მიაღწია. სასჯელთა შეზღუდული დიპაზონის, აგრეთვე სასჯელთა შეფარდების სისტემიდან გამომდინარე, რუმინეთში იყო პატიმართა ერთ-ერთი ყველაზე დიდი რაოდენობა ევროპაში. „მსოფლიოს ციხის მოსახლეობის“ (2000 წელი, მთავარი ოფისი) მონაცემების თანახმად, ამ დროს ევროპაში 100.000 მოსახლეზე მოდიოდა 85 პატიმარი მაშინ, როცა რუმინეთში 225 იყო. ამ პერიოდში ციხის ადმინისტრაცია აწყდებოდა ძალიან ბევრ პრობლემას, რომელთა შორის ყველაზე დიდი ციხის გადატვირთვა იყო.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, იუსტიციის სამინისტრომ 1996 წლიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიმართ დაიწყო უფრო შემოქმედებითი მიდგომა. ერთ-ერთ პირველ ზომას წარმოადგენდა ქ. არადში (რუმინეთის დასავლეთ ნაწილში მდებარე საშუალო ზომის ქალაქი) ექსპერიმენტული პრობაციის ცენტრის შექმნა. ამ ექსპერიმენტმა გაერთიანა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, ციხეების მთავარი ადმინისტრაცია, ადგილობრივი სასამართლოები და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. მიზანს იყო რუმინეთის სისხლისსამართლებრივ და სოციალურ კონტექსტში პრობაციის ზოგიერთი ელემენტის გამოცდა (წინასაგამოძიებო მოხსენებები, ზედამხედველობა საზოგადოებაში).

აღნიშნული ექსპერიმენტი მხარდაჭერილ იქნა გაერთიანებული სამეფოს „ნოუ ჰაუს“ (know how) ფონდის მიერ. 1998 წელს „ნოუ ჰაუს“ ფონდის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა დაიწყო დახმარება პროექტისა „პრობაცია რუმინეთში“, რომლის მიზანიც იყო იუსტიციის სამინისტროსთან ერთად პრობაციის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნა. 2000 წლისათვის ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მიერ მიმდინარეობდა 11 პილოტური პროექტის განხორციელება. მათგან მხოლოდ ოთხი მიმდინარეობდა ციხეებში. ყველა პრობაციის პროექტი მიმდინარეობდა მინისტრის ბრძანებითა და ფონდ „ღია საზოგადოება - რუმინეთის“ დაფინანსებით.

პრობაციის მიღწევები გამომდინარეობდა ციხის სისტემაში არსებული მდგომარეობიდან, რადგანაც ნებაყოფლობითი სექტორის პროექტები მთლიანად საზოგადოებაზე იყო დაფუძნებული. მიუხედავად ამისა, ციხის სისტემასა და პრობაციას შორის ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი პროფესიული კავშირები, ხოლო უკანასკნელ წლებში არსებულმა მიღწევებმა პრობაცია უფრო დაახლოვა საზოგადოებასთან.

ამ პერიოდში განხორციელებულმა საქმიანობამ გამოიწვია შესაბამისი პოლიტიკის დასახვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა პროექტების განხორციელება არასრულწლოვნებისათვის (14-დან 18 წლამდე) და ახალგაზრდა სრულწლოვნებისთვის (18-დან 21 წლამდე).

პრობაციის საქმიანობა ექსპერიმენტულ ფაზაში შეიცავდა ოთხ ძირითად ელემენტს: პრევენტიციების მოწყობა მაგისტრატებისთვის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის;

მუშაობა სასამართლოებთან;

მუშაობა საზოგადოებაში და

მუშაობა ციხეებში.

მაგისტრატებისათვის პრევენტიციების მოწყობა მიზნად ისახავდა მათს ინფორმირებას პრობაციის როლზე, ალტერნატიული სასჯელების უპირატესობებზე, ევროგაერთიანების რეკომენდაციებზე (22/2000, 17/1992, 19/1999) გაეროს წესდებებზე (პეკინის წესები, ტოკიოს წესები და რიჰადის წესები) და ა. შ. შედეგად ზოგიერთმა მაგისტრმა სასჯელის შეფარდებისას დაიწყო მათი გამოყენება, მაგრამ სხვები უარს აცხადებდნენ კანონისათვის უფრო შემოქმედებითად და განახლებული გზით შეხედვაზე.

სასამართლოს დონეზე პრობაციის ოფიცრებმა დაიწყეს წინასაგამოძიებო მოხსენებების მომზადება, რათა დახმარებოდნენ მოსამართლეებს სასჯელთა ინდივიდუალიზაციის პროცესში. სასამართლოებთან მუშაობის ფილოსოფიას წარმოადგენდა საზოგადოებრივი სანქციების პოპულარიზაცია და საჭიროების გარეშე საპატიმრო სასჯელებზე უარის თქმა. ამ მოხსენებების უმეტესობა შეიცავდა ინფორმაციას მსჯავრდებულთა განათლებაზე, მათს სოციალურსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ახალი დანაშაულის რისკის შეფასებაზე. მოხსენების უკანასკნელი ფაზა შეიცავდა რეკომენდაციებს სასამართლოსათვის, მსჯავრდებულებთან ეფექტური მუშაობის გზების შესახებ. სასჯელის ინდივიდუალიზაციისას ეს მოხსენებები არ გამოიყენებოდა როგორც მტკიცებულება, არამედ როგორც დამატებითი გარემოებითი ელემენტი, ვინაიდან არც არსებულ კანონმდებლობაში და არც, სულ მცირე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლებში, არ არსებობდა შესაბამისი მოთხოვნა. აღნიშნულის შედეგად, სასჯელის შეფარდებისას მხოლოდ რამდენიმე მოსამართლე უწევდა ანგარიშს წინასაგამოძიებო მოხსენებებს.

ზოგიერთი ადგილობრივი პროექტი ახერხებდა იმას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული სასჯელებით შეცვლის სქემის შემუშავებისას დაემყარებინათ კარგი ურთიერთობები პროკურატურებთან.

მოსამართლებს, რომ ჰქონოდათ კიდევ სურვილი, მხარი დაეჭირათ პრობაციისათვის, კანონი არ აძლევდა მათ ამის საშუალებას. მაგალითად, თუ სასამართლო გამოიტანდა სასჯელის გადავადების გადაწყვეტილებას, კანონი პრობაციის პროექტებს ანიჭებდა მცირე უფლებამოსილებას საზოგადოებაში მსჯავრდებულთა ზედამხედველობის განხორციელებაზე. პრობაციის პროექტების მიერ განხორციელებული ზედამხედველობა ძირითადად ხორციელდებოდა ნებაყოფლობით საფუძვლებზე და უფრო მეტად შეიცავდა დახმარების ელემენტებს, ვიდრე კონტროლსა და დაკვირვებას.

ციხეებში მიმდინარე სპეციალური პროგრამები კონვენტრიკული იყო პატიმრებზე (სოციალური უნარ-ჩვევები, ალკოჰოლი და ნარკოტიკები, დანაშაულებრივი ყოფაქცევა) და

მათი ციხიდან გათავისუფლებისთვის მომზადებაზე. გარკვეული დროის შემდეგ ძალიან კარგი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა ციხის საგანმანათლებლო დეპარტამენტთან. სამწუხაროდ, რესურსების სიმცირის გამო, გათავისუფლების შემდეგ შესაძლებელი იყო მხოლოდ რამდენიმე პატიმრის დახმარება.

1.2.3 2000-დან 2002 წლის მარტამდე

2000 წლის სექტემბრიდან დაიწყო ექსპერიმენტების წარმატება, რის საფუძველსაც წარმოადგენდა მთავრობის დეკრეტი №92/2000, რომელიც არეგულირებდა ისეთი სახის სამსახურების შექმნასა და როლს, რომლებიც განახორციელებდნენ მსჯავრდებულთა ზედამხედველობას და ციხის შემდგომ მოწყობას. ეს იყო რუმინეთში პრობაციის განვითარების მეორე ეტაპი, რაც მიზნად ისახავდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას. 2001 წლის აგვისტოში, იუსტიციის სამინისტრომ 28 რაიონში (ქვეყნის 60%) შექმნა 28 სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის სამსახური, სადაც მუშაობა დაიწყო 110-მა პრობაციის მრჩეველმა. სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის სამსახურები (პრობაციის სამსახურის ახალი სახელი) შეიქმნა რაიონულ სასამართლოებში, თუმცა მათ ჰქონდათ დამოუკიდებელი სტატუსი და მათს საქმიანობაზე კოორდინაციას ახორციელებდა იუსტიციის სამინისტროს, სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის დირექტორატი. ამ სამსახურისთვის შექმნილი კონცეფცია ითვალისწინებდა სახელმწიფოს მიერ ყველა რაიონში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას და ამ სამსახურების თანამშრომლობას ადგილობრივ ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან (არასამთავრობო ორგანიზაციები). ამის გამო, რუმინეთის პრობაციის სამსახური განიხილება, როგორც კომბინირებული, რომელიც ეწყარება თანამშრომლობას მთავრობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. თანამშრომლობის საფუძვლებზე შეთანხმება უკვე მოხდა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი გზა გასავლელი, სანამ სისტემა დაიწყებს სრულ ფუნქციონირებას. ამ საკითხში მთავარ სიძნელეს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის საკითხი. იყიდის თუ არა სახელმწიფო არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურებას? განახორციელებენ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციები ზოგიერთ მომსახურებას მხოლოდ ნებაყოფლობით საფუძვლებზე? ეს არის მხოლოდ მცირე ოდენობა კითხვებისა, რომლებიც ითხოვენ გადაწყვეტას. აღნიშნული წარმოადგენს მიზეზს, რის გამოც სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის დირექტორატმა, თანახმად მთავრობის № 26/2000 დეკრეტის მოთხოვნისა, რომელიც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პრობაციის პრაქტიკას, განავითარა სტრატეგია პრობაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა.

დეკრეტის მეორე დადებით მხარეს წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ მაგისტრატის თვალით პრობაციის სამუშაოებს ენიჭებათ მეტი ლეგიტიმურობა. დღესდღეობით პრობაციის სამსახურები შექმნილია და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ ფუნქციონირებენ იმავე საკანონმდებლო კონტექსტით, როგორითაც მანამდე. სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არის ორი მნიშვნელოვანი კანონი, რომლებიც მართავენ სასჯელის შეფარდების პროცესს. ამ ორ კოდექსში მოცემულია საპრობაციო საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ძირითადი პირობები: სასჯელის გადავადება ზედამხედველობით (მუხლი 86(3)), არასრულწლოვანთა თავისუფლება ზედამხედველობის ქვეშ (მუხლი 103), საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არასრულწლოვნებისათვის (მუხლი 103(გ)), ამ სამი ზომის შეფარდება ხდება მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულს შესაბამება სპეციფიკური

პირობები და მსჯავრდებული აკმაყოფილებს მათ. 2000 წელს 75.407 მსჯავრდებულისა და 34.448-ს შეეფარდა საპატიმრო სასჯელი, 15.430-ს პირობითი სასჯელის გადავადება და მხოლოდ 445-ს სასჯელის გადავადება ზედამხედველობით. 2001 წელს ფაქტობრივად იგივე მდგომარეობა იყო, რადგან 82.047 მსჯავრდებულიდან, მხოლოდ 1.251-ს შეეფარდა სასჯელის გადავადება ზედამხედველობით (იუსტიციის სამინისტრო).

ახლად შექმნილი სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის/პრობაციის ფუნქციები არ არის კარგად ინტეგრირებული არსებულ სისხლის სამართლის პროცედურასთან. მაგალითად, როგორც ნათელი არ არის, რა ძალაუფლება აქვს წინასაგამომიებო მოხსენების შეფასებას, აგრეთვე ძალიან გაურკვეველია ურთიერთობები სასჯელის გამოშვებთან მოსამართლესა და სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის სამსახურს შორის.

1.2.4 არსებული მიღწევები

მთავრობის დეკრეტის დასამტკიცებლად და აგრეთვე პროკურატურისათვის მოხსენებების წარდგენის პასუხისმგებლობის დამატების გამო, 2002 წლის მარტში მიღებულ იქნა კანონი. ეს დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, ვინაიდან სამსახურს შეეძლო ჩართულიყო სისხლის სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე, თავიდან აეცილებინა უმიზეზო წინასწარი პატიმრობის გადაწყვეტილებები და ჩამოეყალიბებინა კარგი საფუძველი სისხლისსამართლებრივი სასჯელის ალტერნატიული შეცვლისათვის. ყველასათვის კარგად ცნობილი ფაქტია, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფებს, უმეტესწილად ეფარდებოდა საპატიმრო სასჯელები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ სამსახურის ერთ-ერთ სამიზნეს წარმოადგენდა - საჭიროების გარეშე პატიმრობის პრევენცია, რომლის მიღწევაც შესაძლებელია უფრო ეფექტური გზით.

მეტი ეფექტურობისათვის, ახლად შექმნილი სტრუქტურა საჭიროებს უკეთეს ინტეგრაციას სისხლის სამართლის სისტემაში და მსუბუქი საშუალებების ალტერნატივის (ჯარიმები და პირობითი სასჯელის გადავადება) ნაცვლად, უნდა გახდეს პატიმრობის რეალური ალტერნატივა. აღნიშნულის მისაღწევად არსებული მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების რეფორმირებისათვის. პრობაციის განვითარების თვალსაზრისით ეს იქნება მესამე ეტაპი.

პრობაციის განვითარების სტრატეგია იყო და კვლავ რჩება ნაბიჯ-ნაბიჯ მისაღწევ მიზნად. აღმოსავლეთ ქვეყნებში არსებული გამოცდილების თანახმად, ნათელია, რომ პრობაციის ეროვნული სამსახურის შექმნის სიძნელეები ეფუძნება მთელ რიგ ფაქტორებს: არასაკმარისად მომზადებული თანამშრომლები და შესაბამისი განათლების მისაღებად საჭირო პროგრამების უქონლობა, ექსპერტიზისა და გამოცდილების ნაკლებობა, პოლიტიკისა და სტრატეგიის განსავითარებლად არასაკმარისი დრო და ა. შ. ამ დროისათვის ძალიან მნიშვნელოვან მიღწევებად უნდა ჩაითვალოს:

პრობაციისა და ეფექტური განსჯადობის შესახებ საზოგადოებისა და სასამართლო ხელისუფლების ინფორმირების გაზრდა;

უნივერსიტეტის სისტემაზე დაფუძნებული პრობაციის ტრენინგის ეროვნული სისტემის განვითარება;

სასწავლო პროგრამები ორგანიზებულია სოციალური სამუშაოების სკოლებში და აქვს ორი ძირითადი ფორმა: სტუდენტებისთვის და უმაღლესი დასრულების შემდეგ;

მთელი ქვეყნის მასშტაბით ინფრასტრუქტურის განვითარება;

კლიენტთა დიდი რაოდენობა საზოგადოებაში ზედამხედველობის ქვეშ. დღეს-დღეობით არ არსებობს დანაშაულის განმეორების სტატისტიკა, მაგრამ კლიენტებთან მუშაობისას იკვეთება დადებითი შედეგების ნიშნები;

პრობაციის შესახებ სტატიების გამოქვეყნება და ა. შ.

1.3 შეჯამება

რუმინეთში პრობაციის განვითარება სამეტაპიანი იყო: ექსპერიმენტული ეტაპი, საკანონმდებლო ეტაპი და ინფრასტრუქტურის განვითარების ეტაპი. მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება ახალი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, დაიწყება მეოთხე ეტაპი დასრულებული პრობაციის სისტემისა.

საკანონმდებლო საფუძვლები და დებულება

2.1 საკანონმდებლო საფუძვლები

ძირითად აქტს, რომელიც უზრუნველყოფს პრობაციის სამუშაოებს, წარმოადგენს ზემოთ ნახსენები კანონი №129/2002; ეს არის სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს პრინციპებს, სტრუქტურას, ვალდებულებებს, თანამშრომელთა ტრენინგსა და ზოგიერთ პროცედურულ საკითხებს. იგი ძირითადად ორგანიზაციული კანონია, რომელშიც სამსახურის სტრუქტურა გამომდინარეა სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან.

მუხლი 1 ადგენს სამსახურის როლს:

„იმისათვის, რომ მოხდეს იმ პირთა სოციალური რეინტეგრაცია, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, მოხდეს მათი როგორც თავისუფლებაში დატოვება, ისე სასამართლოს მიერ შეფარდებული ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობა, იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში უნდა შეიქმნას სააგენტოები, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს და განახორციელებენ მსჯავრდებულთა სოციალურ რეინტეგრაციას და არასაპატიმრო სასჯელების ზედამხედველობას და მათ ეწოდოთ სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის სამსახურები“.

მუხლი 3 ხაზს უსვამს სამსახურის მზრუნველობით როლს:

„პირველ მუხლში აღნიშნული პირების მოთხოვნით, სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის სამსახურებს შეუძლიათ დაეხმარონ მათ და მისცენ რჩევები, რაც მიმართული იქნება მათი სოციალური რეინტეგრაციისა და გამოსწორებისაკენ“.

პრობაციის კანონის თანახმად, ამ ორ მუხლში მოცემულია კონცეფცია სოციალური რეინტეგრაციის კონცეფციისა, კერძოდ: დახმარებისა და დაკვირვების ერთიანობა. პრინციპები, რომლებიც ხაზს უსვამენ ამ მიზნებს, შემდეგია:

საზოგადოების ჩართვა. დანაშაული წარმოადგენს ადგილობრივი საზოგადოებების პრობლემას, რის გამოც გამოსავალი უნდა მოდიოდეს ამ საზოგადოებებიდან. მათი ჩართულობა უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს რესურსის საკითხს: საზოგადოებას საშუალება აქვს თავი მოუყაროს ისეთ რესურსებს, როგორცაა, მაგალითად: სამუშაო, დაბინავება, პრაქტიკული დახმარება და საჭიროების შემთხვევაში, ეს რესურსები ხელ-

მისაწვდომი გახადოს პრობაციის კლიენტთათვის. საზოგადოების ჩართვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს თანამშრომლობა ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან.

კონფიდენციალურობა. მეორე კონფიდენციალურობის პრინციპი, რომელიც ადგენს უცხოთა ინფორმაციასთან დაშვების საზღვრებს. კანონით ზუსტად არის განსაზღვრული პირთა წრე და პროცედურები საქმეებთან დამკვეთის;

დისკრიმინაციის საწინააღმდეგო. საპრობაციო საქმიანობა უნდა განხორციელდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რაც უნდა ემყარებოდეს შემდეგს: ეროვნებას, მოქალაქეობას, ეთნიკურ წარმოშობას, რასას, ენას, რელიგიას, სქესს, პოლიტიკურ შეხედულებას, აზროვნებას, სოციალურ წარმოშობას და რაიმე სხვა მიზეზს.

ინტერდისციპლინარული სამუშაო. პრობაციის მრჩეველებს უფლება აქვთ თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას მოიწვიონ „სხვა დარგის სპეციალისტები“. ეს პრინციპი პრაქტიკაში შეზღუდულია, ვინაიდან არ არსებობს მათი მოწვევისა და შესაბამისი ანაზღაურების გადახდის ზუსტი მექანიზმები. გარდა ინტერდისციპლინარული სამუშაოებისა, მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე სხვადასხვა სააგენტოს შორის, რომელიც არ არის მითითებული კანონში.

2.1.2 პრობაციის პრინციპები და ღირებულებები

ზემოთ ნახსენები პრინციპები ასახულია კანონში პრობაციის შესახებ. ამ პრინციპების საფუძველზე შეიქმნა სხვა ოფიციალური დოკუმენტები. ეს დოკუმენტებია: ხუთწლიანი გეგმა, ტრენინგის პოლიტიკა, ინფორმაციის მენეჯმენტის პოლიტიკა და PR-პოლიტიკა, რომლებიც შეიცავენ პრინციპებსა და მოთხოვნებს ამ მიმართულებით მუშაობისათვის. მაგალითად, ტრენინგის პოლიტიკა შეიცავს შემდეგ ვალდებულებებს: პრობაციის მრჩეველთა ტრენინგის, განგრძობითი ტრენინგის, ხელმძღვანელების ტრენინგის, ხარისხის შეფასების მექანიზმების და ამ პოლიტიკის მისაღწევად საჭირო რესურსების მოძიებას. სამუშაო სტანდარტებისა და ამ პოლიტიკის საფუძველზე გაიმართა მოლაპარაკება უნივერსიტეტებთან, რის შედეგადაც, სოციალური სამუშაოების ფაკულტეტებზე დაიწყო პრობაციის მოდულის შესწავლა. უნივერსიტეტები ასევე ჩართული არიან შიდა სამსახურებრივ ტრენინგებსა და ხელმძღვანელების ტრენინგებში. იდეას წარმოადგენს უნივერსიტეტებსა და ადგილობრივ სამსახურებს შორის ისეთი ხიდის გადგმა, რომელიც ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება.

PR-პოლიტიკა გულისხმობს სამსახურის დაცვას მედიის შეტევებისგან და სამსახურის საქმიანობის დადებითი მხრით მიწოდებას საზოგადოებისათვის. არსებობს იდენტიფიცირებული შეტყობინებები, რომელთა გავლასაც ვარაუდობს სამსახური:

დანაშაულის შემცირებით საზოგადოების უსაფრთხოების გაზრდა;

მსჯავრდებულის სოციალური რეინტეგრაციისათვის, სასამართლოთა მხარდაჭერა, რათა მოხდეს ყველაზე შესაბამისი სისხლის სამართლის ზომების/სასჯელების იდენტიფიცირება;

არასპატიმრო ზომებისა და სასჯელების აღსრულების ზედამხედველობის გზით საზოგადოების დაცვა;

საჭიროების გარეშე პატიმრობის უარყოფითი შედეგებისა და ხარჯების შემცირება.

ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე ობიექტებია:

აზრის შემქმნელები (პოლიტიკური ექსპერტები, ჟურნალისტები და ა. შ.);

მაგისტრატები, პოლიცია და ციხის თანამშრომლები;

არსებული და პოტენციური პრობაციის თანამშრომლები;

არასამთავრობო ორგანიზაციები.

ინფორმაციის მენეჯმენტის პოლიტიკა ხაზს უსვამს ინფორმაციის მნიშვნელობას კარგი მენეჯმენტის გადაწყვეტილების მიღებისას და ადგენს, რომ ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია ინფორმაციის მოგროვებაზე. ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა საჭირო საინფორმაციო სისტემა, სადაც ხდება ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი. ყველა დასახელებულ პოლიტიკას აქვს იმპლემენტაციის გეგმა, რომელიც რეგულარულად ახლდება.

სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის დირექტორატის მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტს წარმოადგენს ხუთწლიანი გეგმა, სადაც დასახულია მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მიზნები. გამომდინარე ხუთწლიანი გეგმიდან ყოველწლიურად ხდება სტრატეგიული გეგმის განვითარება. მაგალითად, განვითარების გეგმის თანახმად, 2002 წლისთვის ორ მთავარ მიზანს წარმოადგენს:

დანაშაულის შემცირებისა და საჭიროების გარეშე პატიმრობის ხარჯებისა და უარყოფითი შედეგების შემცირებისათვის ეროვნული პრობაციის სამსახურის განვითარება, რის შედეგადაც მოხდება მსჯავრდებულთა ზედამხედველობა საზოგადოებაში;

საზოგადოებრივი სასჯელისა და ზომების რაოდენობის გაზარდისა და სასჯელის შეფარდებისას მეტი თავისუფლების მიცემისათვის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში შესაბამისი დამატებების შეტანა.

რუმინეთში არსებობს ღირებულებები, რომლებიც ხაზს უსვამენ პრობაციის საქმიანობასა და ზემოთ ნახსენებ პრინციპებს:

ყველა ადამიანთან სამართლიანად, გახსნილად და პატივისცემით მოპყრობა;

ბრძოლის გამოცხადება იმ ყოფაქცევისა და ურთიერთობებისათვის, რომლებიც წარმოიშვა დანაშაულის შედეგად და რის გამოც დაზარალებული მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა;

მუდმივი მუშაობა ხალხში საუკეთესო ჩვევების გამოსავლენად და საკუთარ ქმედობებზე პასუხისმგებლობის აღებისთვის მათი მხარდაჭერა;

მსჯავრდებულთა და საზოგადოების საჭიროებებისა და ვალდებულებების აღიარებით მათი ერთმანეთთან მორიგება;

უზრუნველყოფა იმისა, რომ არ მოხდეს ხალხის დისკრიმინაცია.

2.1.3 დებულება

ყველა ზემოთ ნახსენები პრინციპი და ღირებულება ასახულია დებულებაში: „*რუმინეთის პრობაციის სამსახური საზოგადოებას და სასამართლოებს ემსახურება საზოგადოებაში მსჯავრდებულთა ზედამხედველობის გზით, რათა დაიკლოს როგორც დანაშაულმა, აგრეთვე საჭიროების გარეშე პატიმრობის ხარჯებმა და შედეგებმა.*”

ამ დებულებაში სამი მთავარი შეტყობინებაა:

პრობაციის სამსახური წარმოადგენს სასამართლოებთან მომუშავე საზოგადოების დაცვის სააგენტოს, რომელიც ადგენს ყველაზე შესაფერის სასჯელს დანაშაულის ჩამდენთათვის. აღნიშნული ხორციელდება უფრო მეტად კონტროლითა და დაკვირვებით, ვიდრე მზრუნველობით ან დახმარებით.

პრობაციის სამსახური ნიშნავს საზოგადოებრივი სანქციების გამოყენებას, როცა ეს შესაძლებელია. აღნიშნული შესაბამება იმ კონტექსტს, რის გამოც მოხდა ამ დაწესებულების შექმნა, როდესაც ციხეები გადატვირთული იყო. პრობაცია წარმოადგენდა და წარმოადგენს გამოსავალს ციხეების გადატვირთვისაგან;

პრობაციის სამსახური ამცირებს დანაშაულს და საჭიროების გარეშე პატიმრობის ხარჯებსა და გარემოებებს. ზოგიერთი გამოთვლის თანახმად, პრობაციის ხარჯი 8-ჯერ

ნაკლებია პატიმრობის ხარჯზე. გარდა ეკონომიკური შეღავათისა, ეს იძლევა პატიმრობის სოციალური და ფსიქოლოგიური გარემოებების მნიშვნელოვან შემსუბუქებას.

ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც მივალთ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ სამსახური ეფექტურია. რუმინეთში პრობაცია წარმოადგენს ახალ სამსახურს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ისე განვითარებული, რომ გავლენა იქონიოს სისტემაზე. მეორე მხრივ, კვლავ გრძელდება დებატები პოლიტიკოსებსა და მკვლევრებში, თუ როგორ უნდა მოხდეს გამასწორებელი სისტემის ეფექტურობის შემოწმება, რომელზეც პასუხი ჯერ არ გაცემულა, თუმცა არსებობს ზოგიერთი მთამბეჭდავი რეზულტატი, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

იმისათვის, რომ მოხდეს ნახსენები მიმართულებებისა და დებულების იმპლემენტაცია, კანონი №129/2002 სამსახურისათვის ადგენს შემდეგ ვალდებულებებს:

სასჯელის ზედამხედველობით გადაადგებისას ზედამხედველობის განხორციელება, ზედამხედველობის ზომების (სსკ მუხლი 86(1)(ა)-(დ)) თანახმად;

ზედამხედველობის განხორციელება თანახმად მოთხოვნებისა;

პერიოდულად მოსამართლესთან ან სხვა ოფიციალურ პირთან შეხვედრა;

მოსამართლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

სამსახურის შეცვლის შესახებ მიზეზების წარმოდგენა და მოხსენება;

მოხსენება ფინანსური საშუალებების შესახებ.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის სასამართლოს მიერ შეფარდებული ზედამხედველობის ქვეშ თავისუფლების (სსკ მუხლი 103) მოთხოვნების იმპლემენტაციის ზედამხედველობა;

სასამართლოს მოთხოვნით, წინასაგამოძიებო მოხსენების გაკეთება ბრალდებულის შესახებ;

არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდებისას თანმშრომლობა სახელმწიფო ორგანოებთან, რათა მოხდეს ვალდებულებების აღსრულება;

მსჯავრდებულის თხოვნის შემთხვევაში მისთვის რჩევების მიცემა სოციალურ, ჯგუფურ ან ინდივიდუალურ ყოფაქცევასთან დაკავშირებით;

დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდებისათვის, როგორც დაცვის სპეციალიზებული პროგრამების შექმნა და განვითარება, აგრეთვე სოციალური და სამართლებრივი დახმარების გაწევა;

ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირებისათვის, მათი თხოვნის საფუძველზე, სოციალურ რეინტეგრაციაში დახმარების გასაწევად და სასამართლოს მიერ შეფარდებული პირობების შესასრულებლად რეინტეგრაციის პროგრამების შემუშავება, როგორც ლატ-ვიურ, ასევე უცხოურ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა წარმომადგენლებთან ერთად;

სამუშაო ადგილების, განათლების საშუალებებისა და კვალიფიკაციის კურსების დასადგენად თანამშრომლობის წარმოება, როგორც სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, აგრეთვე იმ ტერიტორიაზე მყოფ იურიდიულ პირებთან და ცალკეულ ადამიანებთან;

პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა დახმარება და ზედამხედველობა;

კანონით დადგენილი ნებისმიერი სხვა ვალდებულება.

ყველა დასახელებული ვალდებულება ემყარება არსებული სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს და ზუსტად არ შეესაბამება პრობაციას ან საზოგადოებრივ სანქციებს. იმისათვის, რომ ციხეებში რეალურად შემცირდეს პატიმრების რაოდენობა, სისხლის სამართლის კოდექსში მეტი შესაძლებლობა უნდა მიეცეს შუამავლობას და საზოგადოებრივ სანქციებს.

არსებული სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებენ ისეთ დანაშაულებს, როდესაც პროკურატურას ან პოლიციას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ ბრალის წაყენება, თუ იქნება ოფიციალური საჩივარი დაზარალებულის ან დაზარალებულის წარმომადგენლის მხრიდან. ეს დანაშაულებია: სხეულის დაზიანება, საშიში ყოფაქცევა, სიტყვიერი ცილისწამება და ა. შ. აღნიშნული იძლევა სასამართლოს გარეშე საკითხის მოგვარების საშუალებას, როდესაც არ ხდება სახელმწიფოს ჩართვა. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული დათანხმდება მსჯავრდებულის მიერ რეპარაციის განხორციელებას, მას შეუძლია გამოიტანოს საჩივარი. ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმის აღსაძრავად საჭიროა ოფიციალური საჩივარი, ძალიან მცირეა და ამავე დროს არ არის სრულად გამოყენებული. რუმინეთის იუსტიციის სამინისტრო აპირებს აღმდგენი სამართლის „restorative justice“ ორი ექსპერიმენტის ჩატარებას, როდესაც განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან მიმართებით გამოყენებული იქნება კონფლიქტის მოგვარება, როგორც კლასიკური სამართლის ალტერნატიული საშუალება. ამ პროექტთან მიმართებით ერთ მნიშვნელოვან სიმწლეუს წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ქვეყანაში არ არსებობს სამსახურები ან ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, რომლებიც დაეხმარებიან დაზარალებულებს ან დაიცავენ მათს უფლებებს. დღესდღეობით პარლამენტის წევრებისგან მომდინარეობს მხოლოდ რამდენიმე საკანონმდებლო შემოთავაზება ოჯახურ ძალადობასა და ბავშვთა შურაგებყოფასთან დაკავშირებით, მაგრამ არაფერი ისმის დაზარალებულთა დაცვის თვალსაზრისით.

2.2 შეჯამება

დღესდღეობით პრობაციის საკანონმდებლო საფუძვლებს შეადგენს კანონი №129/2002 და მთავრობის დეკრეტი №92/2000, რომელიც არეგულირებს პრობაციის სამსახურის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და ფუნქციებს. კანონმდებლობის ამ ნაწილის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა სამთავრობო გადაწყვეტილება №1239/2000. სასჯელთა შეფარდების საკითხს არეგულირებს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. ყველა ეს კანონი განსაზღვრავს რუმინეთში პრობაციის პროფესიონალურ პროფილს.

პრობაციის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა

3.1 არსებული მდგომარეობა

კანონის თანახმად, პრობაციის სამსახური წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ ეროვნულ სამსახურს. მართვის პასუხისმგებლობა აკისრია იუსტიციის სამინისტროს სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის დეპარტამენტს (პრობაციის დეპარტამენტი). დეპარტამენტს ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული, იურისტის კვალიფიკაციის მქონე, პირი - დირექტორი.


სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის სამსახურები შექმნილია რაიონული სასამართლოების ახლოს, მაგრამ ისინი ემსახურებიან ყველა ადგილობრივ სასამართლოს (თითოეულ რაიონში 4-5 ადგილობრივი სასამართლო). დღესდღეობით შექმნილია 28 პრობაციის სამსახური (60%-იანი დაფარვით), რაც გამოწვეულია ლიმი-

ტირებული რესურსებითა და კვალიფიციური თანამშრომლების ნაკლებობით. 2002 წლისთვის დაგეგმილია დარჩენილი 13 რაიონული სასამართლოს გადაფარვაც და არსებული სამსახურის გაძლიერება.


3.2 ინსტიტუციური სტრუქტურა

პრობაციის სამსახურები ადმინისტრაციული თვალსაზრისით ექვემდებარება სასამართლოს პრეზიდენტებს (ხელფასები, შვებულებები) და პროფესიონალური თვალსაზრისით სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის დეპარტამენტს. დეპარტამენტი პასუხისმგებელია განვითარების პოლიტიკაზე, პრაქტიკულ სტანდარტებსა და მეთოდებზე და ა. შ. და ადგენს თანამშრომელთა რანჟირებას. მიუხედავად იმისა, რომ პრობაციის სამსახურები საქმიანობენ რაიონული სასამართლოების სტრუქტურაში, ისინი თავისუფალი არიან ყოველდღიურ საქმიანობაში.

სქემა 1: სასამართლო სტრუქტურა



სქემა 2: პრობაციის სამსახურების ანგარიშვალდებულება



ყველა სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც პრობაციის დეპარტამენტის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს იუსტიციის მინისტრი. დირექტორის მიერ წარდგენილი პირის არჩევა ხდება ღია კონკურსის მეშვეობით. სამსახურის უფროსად დანიშვნისათვის საჭიროა სულ მცირე ერთწლიანი მენეჯერული უნარ-ჩვევების მქონე თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი. თითოეულ სამსახურში დასაქმებულია 2-დან 15-მდე პრობაციის მრჩეველი.

პრობაციის სამსახურს მართავს და კოორდინირებს უკეთეს პრობაციის დეპარტამენტი. აღნიშნული ხორციელდება პრაქტიკული რჩევებისა და მიმართულებების მიცემითა და ინსპექტირებით. პრობაციის საქმიანობის მონიტორინგის მეორე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ეროვნული საინფორმაციო სისტემა. საინფორმაციო მენეჯმენტი

ხორციელდება თანამშრომელთა და კლიენტთა შესახებ ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის კომპიუტერული სისტემის მეშვეობით, რის შედეგადაც ყოველი თვის ბოლოს მიმდინარეობს იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო ბაზის განახლება და პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და მენეჯმენტის შესახებ ინფორმირება.

პრობაციის ამოცანები გაყოფილია პრობაციის სამსახურებსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას შორის. აღნიშნული თანამშრომლობა დაფუძნებულია იუსტიციის სამინისტროსა და ნებაყოფლობით ორგანიზაციებს შორის დამტკიცებულ სტრატეგიაზე. პრობაციის სამსახურის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ზედამხედველობის განხორციელება, ხოლო დახმარებასა და მხარდაჭერას უზრუნველყოფენ ნებაყოფლობითი ორგანიზაციები.

3.3 პრობაციის მრჩეველები

პრობაციის მრჩეველად ან პრობაციის ოფიცრად დანიშვნისათვის საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

უნდა იყოს რუმინეთის მოქალაქე და ცხოვრობდეს რუმინეთში;

იყოს სრულად შესაბამისი;

უნდა შეეძლოს რუმინულად კითხვა და წერა;

ჯანმრთელობით და ფსიქოლოგიურად შეეძლოს მათი მოვალეობების განხორციელება და სერტიფიცირებული უნდა იყოს ფსიქოლოგიისა და მედიცინის ექსპერტის მიერ;

იყოს, სულ მცირე, 25 წლის;

არ იყოს ნასამართლები, რაც შეუსაბამო სოციალურ რეინტეგრაციასა და ზედამხედველობაში მუშაობისათვის და ჰქონდეს უმწიკვლო რეპუტაცია;

უნდა ჰქონდეს სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, სოციოლოგის, პედაგოგის, იურისტის, თეოლოგის ან სამედიცინო კვალიფიკაცია ან გავლილი ჰქონდეს უმაღლესის შემდგომი სწავლება პრობაციაში;

უნდა ჰქონდეს გავლილი პრობაციის კურსი და არჩეული შესაბამისი ტესტირების საფუძველზე.

ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავეებსაც ევალუბათ იმავე კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

რაც შეეხება აუცილებელ ტრენინგს, არსებობს სისტემაში მოხვედრის ორი მთავარი გზა:

უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ზემოთ ნახსენებ ერთ-ერთ დარგში და დაესწროს პრობაციის მოდულს ან პრობაციის უმაღლესის შემდგომი სწავლების კურსებს;

უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ზემოთ ნახსენებ ერთ-ერთ დარგში და დაესწროს იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პრობაციის ინტენსიურ კურსს.

უახლოეს პერიოდში უპირატესობა მიენიჭება პირველ ვარიანტს. დღესდღეობით არის მცდელობა იმისა, რომ უნივერსიტეტებმა პრობაციის სამსახურებთან ერთად დაიწყონ პრობაციის კურსების ჩატარება. ამ თანამშრომლობაში იგულისხმება უნივერსიტეტების მხრიდან თეორიული განათლების მიცემა, ხოლო პრობაციის სამსახურები განახორციელებენ პრაქტიკული სწავლების ზედამხედველობას. დღესდღეობით აღნიშნულის განხორციელების თაობაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება რუმინეთის ოთხ უმაღლეს სასწავლებელთან. განათლების ხელმძღვანელი კომიტეტის მიერ თავმოყრილ იქნა იუსტიციის სამინისტროსა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები. ამ ჯგუფის მიზანს წარმოადგენს იმაში დარწმუნება, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს პრობაციის

მრჩეველთა შესაბამისი ტრენინგი. აღნიშნული ოთხი უნივერსიტეტი ახერხებს, რომ ყოველწლიურად 150 კაცს ჩაუტაროს ტრენინგი.

2001 წლის აგვისტოდან 28 სამსახურში მოხდა 102 პრობაციის მრჩეველის აყვანა (თითო სამსახურში - დაახლოებით, 4 პრობაციის მრჩეველი). ისინი ძირითადად მუშაობენ ერთი რაიონული სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიაზე, რომელიც ხშირად შედგება 5.400 კვადრატულ კილომეტრზე ერთმანეთისგან გაფანტული 4 ადგილობრივი სასამართლოსგან. არ არსებობს ოფიციალური პოლიტიკა, საქმეების რაოდენობის (თითო პრობაციის მრჩეველის დატვირთვის) შესახებ.

განათლების თვალსაზრისით 50%-ს აქვს იურიდიული განათლება, 30%-ს სოციალური სამუშაოების და 20%-ს ფსიქოლოგის, სოციოლოგისა და პედაგოგის განათლება.

თანამშრომელთა როლები არ არის ოფიციალურად განსაზღვრული და ძალიან დამაბნეველია. პრობაციის ოფიცრების სტატუსი მიახლოებულია კლერკებთან და ამის შედეგად ხელფასებიც ძალიან დაბალია. პრობაციის მრჩეველები კარიერის დასაწყისში იღებენ საარსებო მინიმუმზე ნაკლებს, რის გამოც ძალიან ბევრი ტოვებს სამსახურს; გადადიან უკეთეს შემოსავლიან სამსახურებში. ექვსი თვის მანძილზე რვა პრობაციის მრჩეველმა დატოვა სამსახური.

3.4 შეჯამება

პრობაციის სამსახური ანგარიშვალდებულია იუსტიციის სამინისტროს წინაშე. ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რის შედეგადაც პრობაციის მრჩეველებს აქვთ დამოუკიდებელი სტატუსი სასამართლოებში. დღესდღეობით შექმნილია 28 პრობაციის სამსახური (დაახლოებით, მთელი ქვეყნის 60%), მაგრამ 2002 წლისათვის დაგეგმილია, რომ პრობაციის სამსახურები დაფარავენ ქვეყნის მთელ ტერიტორიას.

სისხლის სამართალწარმოების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე წარმოებული მუშაობა ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან

4.1 სისხლის სამართალწარმოების პროცესი

რუმინეთის სისხლის სამართლის სისტემას ბევრი მსგავსება აქვს ფრანგულ სისტემასთან. სისხლის სამართალწარმოების პროცედურა ემყარება საპროცესო პრინციპებს, როგორცაა: უდანაშაულობის პრეზუმფცია, დაცვის უფლება, თავისუფლების გარანტია და ა. შ.

4.1.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი

ფართო განხილვით, სისხლის სამართალწარმოების პოცედურა შედგება სამი მთავარი ეტაპისგან: წინასწარი გამოძიება, საქმის არსებითი განხილვა და არსებითი განხილვის შემდგომი ეტაპი.

წინასწარი გამოძიების ეტაპი გაყოფილია წინასწარ და გამოძიების ფაზებად. წინასწარ ფაზას ახორციელებს პოლიცია პროკურატურის ზედამხედველობის ქვეშ. რუმინეთის კანონმდებლობით, პოლიციას უფლება აქვს დააკავოს პირი 24 საათით. 24 საათის შემდეგ პოლიციამ პროკურატურას ან სასამართლოს უნდა სთხოვოს პირის წინასწარ პატიმრობაში აყვანა. პოლიციის მიერ მოკვლევის დასრულების შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება და თუ საქმე შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, იგი პროკურატურაში იგზავნება. ამის შემდეგ იწყება გამოძიების ფაზა. ამ ეტაპზე პროკურატურა იღებს პასუხისმგებლობას ბრალდებულთან მიმართებით და შეუძლია შეუფარდოს მას შემდეგი პრევენციული ზომები: პირობა იმისა, რომ არ დატოვოს ტერიტორია ან პრევენციული დაკავება. პრევენციული დაკავების თავიდან ასაცილებლად, ბრალდებულს შეიძლება შეეფარდოს როგორც დროებით გათავისუფლება სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ, რაც გულისხმობს შესასრულებელი მოთხოვნების დაწესებას, ასევე დროებითი გათავისუფლება თავდებობით. პროკურატურას პრევენციული დაკავების უფლება აქვს მხოლოდ 30 დღით და ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურა დაამტკიცებს, რომ აღნიშნულისათვის არსებობს შესაბამისი პირობები. წინასწარი გამოძიების ან საქმის არსებითი განხილვის ეტაპებზე კიდევ არსებობს სხვა შესაძლო ზომები პროკურატურის ან სასამართლოსთვის. იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი პატიმრობა შეეფარდება ისეთ პირს, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა ბავშვებზე ან სხვა მასზე დამოკიდებულ პირებზე, წინასწარი პატიმრობის შემფარდებელი სასამართლო ხელისუფლების ორგანოს ევალება აგნობოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს. აგრეთვე შესაძლებელია სამედიცინო მკურნალობის ან სოსპიტალური მკურნალობის ბრძანება, რესტიტუციის ბრძანება და ქონების დაპატიმრების ბრძანება.

მას შემდეგ, რაც პროკურატურა დაასრულებს გამოძიებას, გამოტანილი იქნება ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილებათაგანი: გამოძიების დახურვა (ისეთი პროცედურული მიზეზებით, როგორცაა, მაგალითად: კანონით დადგენილ შემთხვევებში შესაბამისი საჩივრის არარსებობა); საქმის შეწყვეტა (ვინაიდან კანონი არ ითვალისწინებს ასეთი სახის დანაშაულს ან დანაშაული ჩადენილია სხვის მიერ, ან დანაშაული ძალიან უმნიშვნელოა); და საქმის გადაგზავნა სასამართლოში.

4.1.1.1 პრობაციის როლი

ამ ეტაპზე, 129/2002 კანონის თანახმად, პრობაციის სამსახურს შეიძლება ეთხოვოს პროკურატურისგან, რომ განახორციელოს ეკვიტანტილის ან ბრალდებულის შეფასება, რათა მოხდეს გარკვევა, რამდენად აუცილებელია მისთვის პრევენციული დაპატიმრების შეფარდება. ექსპერიმენტული ფაზის დროს, ასეთი ტიპის მოხსენებას ეწოდებოდა რისკის შეფასება, ვინაიდან აღნიშნული გამოიყენებოდა წინასწარი გამოძიებისა და არსებითი განხილვის დროს დანაშაულის ხელახლა ჩადენის რისკის შესაფასებლად. დღესდღეობით არ არსებობს ასეთი საქმიანობის განხორციელების პრაქტიკული წესი.

4.1.2 სასამართლო განხილვის ეტაპი

4.1.2.1 სასჯელთა კატეგორიები

სასამართლო განხილვის ეტაპი იწყება მას შემდეგ, რაც სასამართლოს პრეზიდენტი მიიღებს საქმეს პროკურატურიდან. საქმეში არსებული ფაქტების დასადგენად სასამართლომ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა და ამისათვის გამოიძახოს მოწმეები, ექსპერტები და ა. შ. თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლისა, სასჯელი წარმოადგენს იძულების და მსჯავრდებულის თავიდან აღზრდის ზომას. სასჯელის მიზანს წარმოადგენს შემდგომი დანაშაულების პრევენცია".

არსებობს სასჯელების სამი კატეგორია: ძირითადი სასჯელები, დამატებითი სასჯელები და დამხმარე ბრძანებები (სსკ მუხლი 53).

სქემა 3: სასამართლოს იურისდიქციაში არსებული სასჯელები

სასჯელთა კატეგორიები

სასჯელები

ძირითადი სასჯელები

სამუდამო პატიმრობა;
პატიმრობა 15 დღიდან 30 წლამდე;
ჯარიმა 1 მილიონი ლეიდან (33 ევრო)
500 მილიონ ლეიმდე (16.666 ევრო).

დამატებითი სასჯელები

განსაზღვრული უფლების ჩამორთმევა
1-დან 10 წლამდე (სახელმწიფო
თანამდებობაზე არჩევისა და ხმის
მიცემის უფლება; სახელმწიფო
თანამდებობის დაკავების უფლება;
უფლება გარკვეული თანამდებობის
დაკავებისა ან საქმიანობისა, რომელიც
დაკავშირებული იყო დანაშაულის
ჩადენასთან, შშობლის უფლება,
მეურვეობის ან მზრუნველობის
უფლება);
სამხედრო წოდების ჩამორთმევა.

დამხმარე ბრძანებები

ყველა ზემოთ მოყვანილი უფლების
ჩამორთმევა.

სასჯელის შეფარდებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს კანონით დადგენილი შეზღუდვები, დანაშაულისა და დამნაშავეს სერიოზულობა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუშუპებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

ჯარიმების ან პატიმრობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გადაავადოს სასჯელის აღსრულება. არსებობს გადავადების ორი ფორმა: პირობით გადავადება და ზედამ-

ხედველობით გადავადება. სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გადავადოს სასჯელი განსაზღვრული პერიოდით, თუ არსებობს შემდეგი პირობები:

სასჯელი ითვალისწინებს 3 წლამდე პატიმრობას ან ჯარიმას;

მსჯავრდებული არ ყოფილა გასამართლებული 6 თვეზე ხანგრძლივი საპატიმრო სასჯელით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებული იყო არასრულწლოვნების ასაკში, შეწყალებული იყო, ან დანაშაული არ იყო ჩადენილი წინასწარი განზრახვით, ან როდესაც არსებული კანონმდებლობით აღარ ითვლება დანაშაულად;

სასჯელის მიზნის მიღწევა შესაძლებელია მისი პირდაპირი აღსრულების გარეშე.

პირობითი გადავადების პერიოდი ითვლება ე. წ. ტესტად მსჯავრდებულისთვის და ხანგრძლივობა შეადგენს საპატიმრო სასჯელს დამატებული ორი წელი. ჯარიმის შემთხვევაში გადავადების ვადა 1 წელია.

სასჯელის გადავადებას ზედამხედველობით არეგულირებს სსკ-ის მუხლი 86, რომლის შეფარდებაც შესაძლებელია შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში:

სასჯელი ითვალისწინებს 4 წლამდე პატიმრობას;

მსჯავრდებული არ ყოფილა გასამართლებული 1 წელზე ხანგრძლივი საპატიმრო სასჯელით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებული იყო არასრულწლოვნების ასაკში, შეწყალებული იყო ან დანაშაული არ იყო ჩადენილი წინასწარი განზრახვით, ან როდესაც არსებული კანონმდებლობით აღარ ითვლება დანაშაულად;

მოხდება გათვალისწინება მსჯავრდებულის პიროვნებისა, მისი ყოფილი ციხისა და მიიჩნევა, რომ ეს სასჯელი აღსრულების გარეშე იქნება ისეთი სერიოზული ფაქტორი მისთვის, რომ იგი აღარ ჩაიდებს დანაშაულს.

ამ სასჯელის ხანგრძლივობა შეადგენს საპატიმრო სასჯელს დამატებული 2-დან 5 წლამდე, რომელსაც განსაზღვრავს მოსამართლე. გადავადების პერიოდში მსჯავრდებულმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები (სსკ მუხლი 86(3)):

სასამართლოს მიერ ზედამხედველობის განსახორციელებლად დადგენილ პირთან ან მოსამართლესთან გამოცხადება;

მისამართის შეცვლის ან 8 დღეზე მეტი ხნით გამგზავრების და დაბრუნების თარიღის შესახებ წინასწარ ინფორმირება;

სამუშაოს შეცვლასთან დაკავშირებული მიზეზების შეტყობინება;

ინფორმირება ზედამხედველობის განხორციელების ხელის შემშლელი ნებისმიერი გარემოების შესახებ.

სასამართლოს აგრეთვე შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილი მოვალეობის შესრულება:

განახორციელოს საქმიანობა ან დაესწროს ტრენინგისა და/ან სასწავლო კურსს;

სასამართლოს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს საცხოვრებელი ან არ დატოვოს განსაზღვრული ტერიტორია;

არ მოუახლოვდეს განსაზღვრულ ტერიტორიას;

არ ეკონტაქტოს განსაზღვრულ პირთა წრეს;

არ მართოს ნებისმიერი ავტომობილი ან განსაზღვრული ავტომობილი;

გაიაროს მკურნალობა, განსაკუთრებით დეტოქსიკაციის შემთხვევაში.

სქემა 4: სასჯელის გადავადებასთან დაკავშირებული პირობები და მოთხოვნები

პირობები სასჯელის გადავადებისათვის

სასჯელი ითვალისწინებს სამ- ან ოთხწლიან საპატიმრო სასჯელს ან ჯარიმას; მსჯავრდებულს არ ჰქონია მანამდე 6-თვიანი ან 1-წლიანი საპატიმრო სასჯელი შეფარდებული, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც პირი მსჯავრდებული იყო არასრულწლოვნების ასაკში ან შეწყალებული იყო, ან როდესაც დანაშაული არ იყო ჩადენილი წინასწარი განზრახვით, ან ამ ტიპის.

სტანდარტული მოთხოვნები

დანაშაულს აღარ ითვალისწინებს კანონი. სასჯელის მიღწევა შესაძლებელია პირდაპირი აღსრულების გარეშე. სასამართლოს მიერ ზედამხედველობისათვის განსაზღვრულ მოსამართლესთან ან სხვა პირთან გამოცხადება; მისამართის შეცვლისა და 8 დღეზე მეტი ხნით გამგზავრებისა და დაბრუნების თარიღის შესახებ წინასწარ ინფორმირება; სამსახურის შეცვლის მიზეზების ინფორმირება; ზედამხედველობის ხელის შემშლელი ნებისმიერი გარემოების შესახებ ინფორმირება.

დამატებითი არააუცილებელი მოთხოვნები

სასჯელის გადავადება ზედამხედველობით: განახორციელოს საქმიანობა ან დაესწროს ტრენინგისა და/ან სასწავლო კურსს; სასამართლოს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს საცხოვრებელი ან არ დატოვოს განსაზღვრული ტერიტორია; არ მიუახლოვდეს განსაზღვრულ ტერიტორიას; არ ეკონტაქტოს განსაზღვრულ პირთა წრეს; არ მართოს ნებისმიერი ავტომობილი ან განსაზღვრული ავტომობილი; გაიაროს მკურნალობა განსაკუთრებით დეტოქსიკაციის შემთხვევაში. ზედამხედველობის ბრძანება: არ მიუახლოვდეს განსაზღვრულ ტერიტორიას; არ ეკონტაქტოს განსაზღვრულ პირთა წრეს; განახორციელოს 50-დან 200 საათამდე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მაქსიმუმ დღეში 3 საათით, სკოლის შემდეგ, შაბათ-კვირას და დასვენების დღეებში.

4.1.2.2 პრობაციის როლი

უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს ესაჭიროება მეტი ინფორმაცია ბრალდებულის შესახებ და ამის განხორციელებას სთხოვს პრობაციის სამსახურს. იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება ყველაზე ეფექტური სასჯელის შესახებ, მოხსენება უნდა მომზადდეს 7 სამუშაო დღის მანძილზე. აღნიშნული მოხსენება შეიცავს შემდეგ ელემენტებს: დასაწყისი, ინფორმაცია ბრალდებულის შესახებ, რისკის შეფასება, გამოსწორების შესაძლებლობის შეფასება და დაბოლოება. ძირითადად ეს მოხსენება შეიცავს მაქსიმალურად ობიექტურ ინფორმაციას ბრალდებულის დანაშაულთან შესაბამისობის შეფასებით, მის სოციალურ და ფსიქოლოგიურ გარემოებებს, დანაშაულის გამომწვევ გარემოებებსა და დანაშაულის ხელახლა ჩადენის რისკის შესახებ.

მოხსენების ბოლოს პრობაციის მრჩეველები აფასებენ დანაშაულის ხელახლა ჩადენის რისკსა და რეაბილიტაციას. მოხსენების დამწერს აგრეთვე უფლება აქვს პირდაპირ მოითხოვოს საპატიმრო სასჯელი.

4.1.3 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი

4.1.3.1 ზედამხედველი მოსამართლე და პირობით გათავისუფლება

ყველა სასამართლოში შექმნილია დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს სასჯელთა აღსრულების ზედამხედველობას. ამ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს მოსამართლე. სასჯელის ძალაში შესვლის შემდეგ ეს დეპარტამენტი ახორციელებს მათს პრაქტიკაში გასატარებლად საჭირო საქმიანობას. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს არ დააკმაყოფილებს გადაწყვეტილება, მას შეუძლია მიმართოს აპელაციას, ან მოითხოვოს სასჯელის თავიდან გადახედვა.

საპატიმრო სასჯელის შემთხვევაში, მოსამართლე ახორციელებს ზედამხედველობას ციხის რეჟიმზე, რათა უზრუნველყოს პატიმრის უფლებების დაცვა და აგრეთვე ისმენს მათს საჩივრებს. სასჯელის განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ (გამომდინარე სასჯელიდან, ძირითადად 2/3) პატიმარს უფლება აქვს მოითხოვოს პირობით გათავისუფლება. ასეთი მიმართულების განხილვა სასამართლოს პრეროგატივაა. პირობით გათავისუფლების შემთხვევაში, ერთადერთი ვალდებულება, რაც ეკისრება მსჯავრდებულს, არის ის, რომ არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული.

4.1.3.2 პრობაციის როლი

პრობაციის სამსახური ახორციელებს იმ მოვალეობების ზედამხედველობას, რომელიც ეკისრება მსჯავრდებულს სასჯელის ზედამხედველობით გადავადებისას. ასეთ შემთხვევებში არსებობს ზუსტად დადგენილი დებულებები განსახორციელებელი ქმედობების შესახებ. აღნიშნული დარეგულირებულია მთავრობის №1239/2000 გადაწყვეტილებაში. როდესაც კლიენტი იმყოფება ზედამხედველობის ქვეშ, მას უფლება აქვს ითხოვოს რჩევების მიცემა ან დახმარება სამსახურთან და საცხოვრებელთან მიმართებით. ასეთ შემთხვევებში, დახმარებას ხშირად ახორციელებენ პრობაციის სამსახურებთან მომუშავე ნებაყოფლობითი ორგანიზაციები. პრობაციის მრჩეველს, რომელსაც ვეალება

ზედამხედველობის განხორციელება, აგრეთვე პასუხისმგებლობა აკისრია მიმდინარე დახმარების ზედამხედველობისა.

პრობაციის სამსახურმა რეგულარულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სასამართლოს ზედამხედველობის მიმდინარეობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული დაარღვევს სასამართლოთი დაკისრებულ მოვალეობებს, პრობაციის მრჩეველმა უნდა მისცეს მას წერილობითი გაფრთხილება. თუ მსჯავრდებული ამის შემდეგ კვლავ დაარღვევს, პრობაციის მრჩეველმა უნდა აცნობოს ამის შესახებ სასამართლოს.

უმეტესწილად პრობაციის სისტემაში მიმდინარეობს გონებრივ-ყოფაქცევითი მეთოდების განხორციელება. ყველა სამსახურს დადებული აქვს ხელშეკრულებული ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან ან ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ მსჯავრდებულებს სოციალურ რეინტეგრაციაში.

პრობაციის სამსახურები, ციხეებთან დადებული შეთანხმებების საფუძველზე, ახორციელებენ აგრეთვე სპეციალურ პროგრამებსა და გათავისუფლების წინა პერიოდის პროგრამებს პატიმრებისთვის. ეს პროგრამები ძირითადად ხორციელდება ციხის საგანმანათლებლო დეპარტამენტთან ერთად, რომელიც ქირაობს ისეთ მასწავლებლებს, რომელთაც აქვთ სოციალურ მუშაკად, ფსიქოლოგად ან მასწავლებლად მუშაობის სტაჟი. ამ პროგრამების მიზანს წარმოადგენს, სოციალური უნარ-ჩვევებისა და დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობების გაზრდის გზით, მსჯავრდებულთა დახმარება ციხიდან გათავისუფლების შემდგომ მოწყობაში.

4.2 სისხლის სამართლის სისტემა და პროცედურა არასრულწლოვნებისთვის

4.2.1 სპეციალური პირობები არასრულწლოვნებისთვის

თანახმად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა, ცალკეული გამოხაკლისების გარდა, არასრულწლოვნების მიმართ გამოძიება და სასამართლო განხილვა ისეთივეა, როგორც სრულწლოვნების მიმართ. სსკ 99-ე მუხლის თანახმად: „14 წლამდე არასრულწლოვანი არ არის სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი. 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვანი, სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ქმედობა ჩადენილია წინასწარი განზრახვით. 16 წლის ასაკიდან არასრულწლოვნის მიმართ დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“

თუ პირი 16 წლამდეა და საგამომიებო ორგანო საჭიროდ მიიჩნევს მის მოხმენას ან დაკითხვას, შეიძლება გამოძახებული იყვნენ მისი შშობლები ან მეურვეობის ორგანოები. მეურვეობის ორგანოებს აგრეთვე ევალუებათ არასრულწლოვნის შესახებ სოციალური მდგომარეობის მოხსენების მომზადება. სასამართლოს არსებითი განხილვა მიმდინარეობს პრივატულად და ასეთი საქმეების განსახილველად, სასამართლოს პრეზიდენტის მიერ გამოყოფილი არიან სპეციალური მოსამართლეები.

მცირეწლოვნებს შეეფარდებათ სასჯელები და საგანმანათლებლო ზომები. სასჯელის ფორმებია: საპატიმრო სასჯელი და ჯარიმები. ბავშვების მიმართ ასეთი სასჯელების გამოყენებისას, სხვაობას წარმოადგენს მხოლოდ მინიმალური და მაქსიმალური ვადები. საგანმანათლებლო ზომებს წარმოადგენს: გაფრთხილება, ზედამხედველობის ბრძანება, სასწავლო ცენტრში მოთავსების ბრძანება და სპეციალურ ჰოსპიტალში დაკავება.

ზედამხედველობის ბრძანების ხანგრძლივობის ვადა ერთწლიანია. საქმიდან გამომდინარე, ზედამხედველობა შეიძლება დაეკისროთ შშობლებს, ბავშვის ამყვან შშობ-

ლებს ან მასწავლებელს. იმ შემთხვევაში, თუ მათ არ შეუძლიათ ამის განხორციელება, ნათესავების თხოვნის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ზედამხედველობა შესაფერისი პირისგან ნათესავისგან ან ბავშვებზე ზედამხედველობის გამწევი ლეგალურად დაშვებული ორგანოსაგან. სასამართლოს შეუძლია დააკისროს ბავშვს შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

არ მიუახლოვდეს განსაზღვრულ ადგილებს;

არ დაამყაროს კავშირი განსაზღვრულ პირთა წრესთან;

დასვენებების დროს, შაბათ-კვირას ან სკოლის შემდეგ, მაქსიმუმ დღეში 3 საათით, განახორციელოს 50-დან 200 საათამდე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

სასწავლო ცენტრში მოთავსების ბრძანების შეფარდება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საჭიროება ბავშვისთვის განათლების ახლიდან მიღებისა, რა დროსაც მას ეძლევა შანსი, მიიღოს ისეთი ტიპის განათლება, როგორც მისი ინტერესის სფეროშია. სასწავლო ცენტრში დაკავება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საგანმანათლებლო ზომები შეუსაბამოა.

4.2.2 პრობაციის როლი

არასრულწლოვნების შემთხვევაში, პრობაციის სამსახურების პასუხისმგებლობას წარმოადგენს მათზე ზედამხედველობა, ვისაც ეფარდება ზედამხედველობის ბრძანება და მათი შეფასების თაობაზე მოხსენების გაკეთება. ბავშვებთან მუშაობისას, მეორე მნიშვნელოვანი სამსახურია დახმარების აღმოჩენა. პრობაციის სამსახურები, არასრულწლოვნებს პრიორიტეტულ ჯგუფად მიიჩნევენ.

სქემა 5: პრობაციის როლი არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით

ეტაპი	სისხლის სამართლის სააგენტოები	პრობაციის როლი
წინასწარი გამოძიება	პოლიცია პროკურატურა	რისკის განსაზღვრა, პროკურატურისთვის დახმარების გაწევა პრევენციული დაპატიმრების გადაწყვეტილების მიღებაში.
სასამართლო განხილვა	სასამართლო	სასჯელის ინდივიდუალიზაციაში სასამართლოსთვის დახმარების გაწევა.

ციხე

კლიენტთა მოთხოვნის
საფუძველზე დახმარების
აღმოჩენა; მოხსენება პროგრესის
შესახებ სასამართლოსათვის;
სპეციალური პროგრამები
ციხეებში; გათავისუფლების
წინა ეტაპის პროგრამები.

4.3 სასჯელბრუნთან დაკავშირებული სხვა სახის ჩარევები

პრობაციის სამსახურებს აქვთ სხვა ამოცანებიც, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს პრევენციული მუშაობა და მუშაობა შეწყალბულებთან. მთავარ საქმიანობას, რომელსაც პრევენციის თვალსაზრისით ახორციელებენ პრობაციის მრჩეველები, წარმოადგენს ციხის თანამშრომლებთან ერთად პრევენტივების მოწყობა ციხეებში. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს სოციალური ელემენტების ჩართვით ანტისოციალური ყოფაქცევის პრევენცია.

ამისტიცია: აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სასჯელის შეფარდებამდე, აგრეთვე მის შემდეგ. ამისტიცია ნიშნავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ მისი შეფარდება ხდება სასჯელის შეფარდებამდე, აღნიშნული აჩრებს გასამართლებას, ხოლო, თუ აღნიშნული ხორციელდება სასჯელის შეფარდების შემდეგ, მაშინ უქმდება სასჯელი. ამისტიციის მინიკება ხდება სპეციალური კანონით, ან ქვეყნის პრეზიდენტის მიერ. ამ დროს პრობაციის სამსახურს არ აკისრია არანაირი როლი.

შეწყალბა: სსკ 120-ე მუხლის თანახმად, შეწყალბა სრულად ან ნაწილობრივ აუქმებს სასჯელის აღსრულებას ან ამცირებს არსებულ სასჯელს. შეწყალბა ხორციელდება სპეციალური კანონით ან ქვეყნის პრეზიდენტის მიერ. №129/2002 კანონის თანახმად, შეწყალბებულთა მოთხოვნის შემთხვევაში, პრობაციის სამსახური პასუხისმგებელია მათ სოციალურ რეინტეგრაციაზე. აღნიშნულის განსახორციელებლად, პრობაციის სამსახურს დადებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამის სააგენტოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.


4.4 სასჯელის შეფარდების პრაქტიკა

4.4.1 დანაშაულის დონე და მსჯავრდებულთა ასაკი

აქამდე აღწერილი იყო სამართალი თეორიულად, მაგრამ როგორ ხორციელდება ის პრაქტიკულად? აღნიშნულის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს შესაბამისი სტატისტიკის მოყვანა, რომელიც წარმოაჩენს დანაშაულის სახეობებს, სასჯელის შეფარდების პრაქტიკას და ა. შ.

უკანასკნელი წლების მანძილზე დანაშაულის დონე მნიშვნელოვნად იცვლებოდა, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკური მდგომარეობითა და კანონში განხორციელებული ზოგიერთი ცვლილებით. დანაშაულის დონის ზრდა მოსალოდნელია 2002 წლისათვის. ქვემოთ მოყვანილი სქემები ეფუძნება იუსტიციის სამინისტროდან მიღებულ ინფორმაციას.


სქემა 6: 1997-2001 წლებში დანაშაულის დონე 100.000 მოსახლეზე



• დანაშაულის ოდენობა 100 000 მოსახლეზე

მსჯავრდებულთა ასაკის გადახედვისას ნათელი ხდება, რომ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა სტაბილურია და წარმოადგენს საერთო რიცხვის 10%-ს.

სქემა 7: 1997-2001 წლებში არასრულწლოვან და სრულწლოვან მსჯავრდებულთა ასაკი




□ სრულწლოვანები

■ არასრულწლოვანები

4.4. 2 სრულწლოვნები

ქონებრივი და ძალადობრივი დანაშაულები წარმოადგენს დანაშაულთა ძირითად სახეობებს, რომლებისთვისაც არიან მსჯავრდებული სრულწლოვნები.


სქემა 8: 1997-2001 წლებში ქონებრივი და ძალადობრივი დანაშაულებისთვის მსჯავრდებული სრულწლოვნები



ძალადობრივი დანაშაულების რაოდენობა წარმოადგენს 20.000-ს, როდესაც ქონებრივი დანაშაულების რაოდენობა ცვალებადია და თუ 1997 წლისათვის 50.000 იყო, 2000 წელს მიაღწია 30.000-ს. ქონებრივი დანაშაულები გამოწვეულია სიღარიბისგან. ზოგიერთი მონაცემის თანახმად, რუმინეთის მოსახლეობის 60% ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ.

მსჯავრდებულ ბავშვთა უმეტესობასაც ჩადენილი აქვს ანალოგიური დანაშაული, ანუ დაკავშირებული მატერიალური მოგების მიღებასთან.


სქემა 9: 1997-2001 წლებში ქონებრივი და ძალადობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არასრულწლოვნები



- კონტრბივი დანაშაული
- პალაღობრივი დანაშაული

სრულწლოვანთათვის შეფარდებული სასჯელების უმეტესობას წარმოადგენს პატიმრობა, სასჯელის გადავადება (ზედამხედველობით) და ჯარიმები.

სქემა 10: 1997-2001 წლებში სრულწლოვნებისთვის შეფარდებული საპატიმრო სასჯელები და ჯარიმები



საპატიმრო სასჯელების რაოდენობა განსაკუთრებით დიდი იყო 1998 წელს, როცა მათი რაოდენობა იმდენივე იყო, რამდენიც სასჯელის გადავადებისა და ჯარიმებისა ერთად. საპატიმრო სასჯელთა უმეტესობა იყო 1-დან 5 წლამდე. პროზაციის სამსახურის შექმნის შემდეგ, როგორც საზოგადოებაში ეფექტური ზედამხედველობის რეალური რეზულტატი, მოსალოდნელია ზედამხედველობით გადავადებულ სასჯელთა რაოდენობის ზრდა. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ზრდის შედეგად უფრო მეტად საპატიმრო სასჯელების ჩანაცვლება მოხდება, ვიდრე ჯარიმებისა და პირობით სასჯელის გადავადებისა.


4.4.3 არასრულწლოვნები

დღესდღეობით ყველაზე ხშირად არასრულწლოვნების მიმართ გამოიყენება საპატიმრო სასჯელი. მაგალითად, 1998 წელს არასრულწლოვანთა მიმართ შეფარდებული ყველა სასჯელის 46%-ს შეადგენდა პატიმრობა. სამწუხაროდ, იუსტიციის სამინისტროს არ გააჩნია დეტალური ინფორმაცია არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელების აღსრულების

შესახებ, მაგრამ სრულწლოვან მსჯავრდებულთა შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სულ მცირე, ნახევრის შემთხვევაში ხდება საპატიმრო სასჯელების პირობით გადავადება ან გადავადება ზედამხედველობის ქვეშ.

მიუხედავად ამისა, ეს სქემები იძლევა ნათელ სურათს, რომ საჭიროა სასჯელთა სახეობების გაზრდა, რათა უფრო ფართოდ ხდებოდეს საზოგადოებრივი სანქციების გამოყენება.

სქემა 11: 1997-2001 წლებში არასრულწლოვნებისთვის შეფარდებული სასჯელები




- ჯარიმა
- პატიმრობა
- გაფრთხილება
- საზოგადოებრივი ზედამხედველობა
- საგანმანათლებლო ცენტრი

4.4 პრობაციის სამსახურის დატვირთვა

2001 წლის სექტემბრიდან პრობაციის სამსახური შედგება 28 რაიონული სამსახურისგან. 2001 წლის სექტემბრიდან 2002 წლის მარტამდე პრობაციის სამსახურებს ჰყავდა 1902 კლიენტი. პრობაციის ორ მთავარ ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებრივი ზედამხედველობა და შეფასება (განსაზღვრება).


სქემა 12: 2001-2002 წლებში პრობაციის სამსახურების მიერ განხორციელებული შეფასება და ზედამხედველობა



სასამართლოებს, პრობაციის სამსახურებთან შესაბამისი კონსულტაციების გარეშე, გამოაქვთ ძალიან ბევრი გადაწყვეტილება სასჯელის გადავადების ზედამხედველობით. აღნიშნული წარმოშობს ძალიან ბევრ პრობლემას სამსახურისათვის, რაც გამოწვეულია არა მხოლოდ იმ ფაქტით, რომ ეს სამსახური ახალია რუმინეთში, არამედ იმიტომაც, რომ მსჯავრდებულებმა არ იციან თავიანთი ვალდებულებები. ამის გამო, პრობაციის მრჩეველებს უჭირთ პირველი შეხვედრის ორგანიზება.

კლიენტთა უმეტესობას წარმოადგენენ მამაკაცები (90%) და დანაშაულის პირველად ჩამდენები (84%). გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ პირები ზედამხედველობის ქვეშ ექცევიან დანაშაულის სახეობიდან გამომდინარე და მათ ეს დანაშაული პირველად აქვთ ჩადენილი, მიიჩნევა, რომ პრობაციის სამსახურებს ურთიერთობა აქვთ დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულებთან.


სქემა 13: 2001-2002 წლებში ზედამხედველობის ქვეშ მყოფთა მიერ ჩადენილი დანაშაულები



კლიენტთა უმეტესობას წარმოადგენდნენ არასრულწლოვნები (487) ან ახალგაზრდები, 18-დან 25 წლის ასაკამდე (635). სულ უფრო იზრდება მოთხოვნა მოხსენებებზე და ზედამხედველობის ქვეშ მყოფ კლიენტთა დიდი ოდენობა იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ სასამართლოს წინაშე რუმინეთის პრობაციის სამსახური იმკვიდრებს ადგილს. 2001 წლის სექტემბერში მოთხოვნილ იქნა 91 მოხსენება, ხოლო 2002 წლის მარტში - 226, რაც წარმოადგენს 200%-იან ზრდას.

2002 წლის მარტისთვის პრობაციის მრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 102-ს, რომელთა შორის 50%-ს ჰქონდა იურისტის კვალიფიკაცია, 29%-ს - სოციალური მუშაკის, 10%-ს - ფსიქოლოგის და 11%-ს - სხვა სახის განათლება. ყოველ მათგანს გავლილი ჰქონდა იუსტიციის სამინისტროს ან უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებული პრობაციის კურსები.

სქემა 14: 2002 წლის მარტისთვის პრობაციის მრჩეველთა განათლება



4.6 შეჯამება

ზემოთ მოყვანილ სქემათა უმეტესობა იძლევა ნათელ სურათს, რომ რუმინეთში სისხლის სამართლის სისტემა ფოკუსირებულია ციხეზე, თუმცა აშკარაა მისი შეცვლის სურვილი. მიუხედავად პრობაციის სამსახურის შექმნის ძალიან მცირე ვადისა, უკვე არსებობს მინიშნებები, რომ პრობაციის სისტემა შესაძლოა გახდეს საზოგადოებრივი სანქციების ეფექტური საშუალება.

დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, დაქვემდებარება, რეგისტრაციის სისტემა და შეფასების პროცედურები, საზოგადოებრივი აზრი და კლიენტთა შეხედულებები

5.1 დაფინანსება და ფინანსური ანგარიშვალდებულება

რუმინეთის პრობაციის სამსახური ფინანსდება მთავრობის მიერ, თუმცა არსებობს რამდენიმე კერძო ფონდი, რომელთაც საშუალება აქვთ დაეხმარონ სამსახურის განვითარებას. ამ ორგანოებს წარმოადგენენ:

გაერთიანებული სამეფოს (UK) საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს ოთხ მიმართულებაზე ფოკუსირებულ ტექნიკურ დახმარებას: სტრატეგიული განვითარება, სწავლების მენეჯმენტი, ინფორმაციის მენეჯმენტი და პრაქტიკის განვითარება;

პროგრამა MATRA, რომელიც ფინანსდება ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, რომელიც აფინანსებს რუმინეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პრობაციის კლიენტთათვის მომსახურების გაწევას (რჩევების მიცემა, პრაქტიკული დახმარება და ა. შ.).

სამართლებრივი რესურსების ცენტრი (სოროსის ღია ქსელის შემადგენელი ნაწილი), რომელიც ძირითადად მხარს უჭერს კანონმდებლობისა და გრძელვადიანი ტრენინგების განვითარებას. ექსპერიმენტულ ეტაპზე ფონდ „ღია საზოგადოება რუმინეთს“ ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი პილოტური პროექტების დაფინანსებაში (80%).

ევროგაერთიანების ფონდები PHARE, რომლებიც აგრეთვე ეხმარებოდნენ ტრენინგებისა და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

მთავარ ფინანსურ წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც ფარავს თანამშრომელთა ხარჯებს, მუზავრობას და ყველა დანარჩენ ხარჯს. ბიუჯეტის განსაზღვრის პასუხისმგებლობა აკისრია იუსტიციის სამინისტროს, რომელიც ყოველწლიურად განსაზღვრავს ყველა სასამართლოს ბიუჯეტს. რაიონული სასამართლოსათვის გამოყოფილი ბიუჯეტის რაღაც ნაწილს მოიხმარს პრობაციის სამსახური, მაგრამ მას არ გააჩნია დამოუკიდებლად განსაზღვრული თანხა. აღნიშნული იწვევს ეჭვის საფუძველს, რამდენად დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს პრობაცია სასამართლოსგან. მაგალითად, სადაც სასამართლოს პრეზიდენტი ხედავს პრობაციის სამსახურის საჭიროებას, იქ მათ აქვთ კარგი ოფისები და დამატებითი თანხები. იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს დაიქირაოს იმდენი პრობაციის მრჩეველი, რამდენსაც ის ჩათვლის საჭიროდ და გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი, მაგრამ ის ვერ განსაზღვრავს ისეთ ხარჯებს, როგორცაა, მაგალითად: მოგზაურობა, საკანცელარიო საქონელი, ავეჯი, ოფისები და ა. შ. აღნიშნული წარმოადგენს რაიონული სასამართლოს პრეზიდენტის პერეოგაცივას, რომელიც ამტკიცებს ხარჯვით ნაწილს. ყველა რაიონული სასამართლოს კომპეტენციაში არსებულ პრობაციის სამსახურის უფროსს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ხარჯები, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს პრეზიდენტზეა.

სასამართლოს ხარჯვით ნაწილზე რაიონული სასამართლოს პრეზიდენტი ანგარიშვალდებულია იუსტიციის სამინისტროს შიდა აუდიტის ოფისისა და რუმინეთის აუდიტის სასამართლოს წინაშე. თითოეული რაიონული სასამართლოს ფინანსური დეპარტამენტი აწარმოებს თითოეული სამსახურის ანგარიშს. არ არსებობს კავშირი წარმოებულ

საქმიანობასა და ბიუჯეტის განსაზღვრას შორის. ბიუჯეტის სისტემა ემყარება ორგანიზაციის დაფინანსებას (თანამშრომლები, საქმიანობა, ინვესტიციები) და არა რეზულტატებს ან შედეგებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელია პრობაციის სამსახურის ხარჯვისა და ეფექტურობის ანალიზის გაკეთება. ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ დაახლოებითი მონაცემებით. მაგალითად, 2002 წლისათვის პრობაციის სამსახურის ბიუჯეტი შესაძლოა შემდეგნაირად განისაზღვროს:

თანამშრომელთა ხარჯი: 300 ევრო x 12 თვე x 210 თანამშრომელი = 756.000 ევრო;

ოფისები, სხვა საქონელი და ა. შ.: 600 ევრო x 41 სამსახური = 24.600 ევრო;

მგზავრობა: 36.900 ევრო.


2002 წლისათვის პრობაციის სამსახურის ბიუჯეტი შესაძლოა განსაზღვრული იყოს 817.500 ევროდ. არსებული სტატისტიკისა და მიმართულებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გათვლილი იყოს, რომ პირველი 12 თვის მანძილზე ახლად შექმნილ პრობაციის სამსახურს ეყოლება 5.700 რეგისტრირებული კლიენტი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პრობაციის თითოეულ მრჩეველს, თავისი საქმიანობის პირველ წელს ეყოლება, დაახლოებით, 27 კლიენტი. კლიენტის ხარჯი შესაძლოა იყოს 143 ევრო. ეს მონაცემები გამომდინარეობს პრობაციის სამსახურის საქმიანობის პირველი წლიდან, რაც მომავალში შემცირდება, ვინაიდან უკვე იარსებებს ოფისები და სხვა საქონელი, რომელთა გამოყენება მომავალშიც იქნება შესაძლებელი.

ნებაყოფლობითი ორგანიზაციები ახორციელებენ საპრობაციო საქმიანობას და ანგარიშვალდებული არიან იმ ორგანიზაციების წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მათი პროექტების დაფინანსებას. მთავრობას აგრეთვე უფლება აქვს ინსპექტირება ჩაუტაროს თითოეული არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშს, რათა დარწმუნდეს აღნიშნულის ბუღალტრულ კანონთან შესაბამისობაში. დღემდე სახელმწიფოს არ დაუფინანსებია არც ერთი ის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქმიანობს პრობაციის დარგში. იუსტიციის სამინისტროს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს არასამთავრობო ორგანიზაციას ან სპეციფიკურ არასამთავრობო ორგანიზაციას დამფინანსებელთან, რათა მოხდეს აუცილებელი დაფინანსების მიღება.

2001 წელს ციხეების მთავარი ადმინისტრაცია ახორციელებდა 43 დანაყოფის საქმიანობის კოორდინაციას: 35 ციხე, 5 ციხის საავადმყოფო და 3 საგანმანათლებლო ცენტრი. 2001 წლის ბოლოსთვის ციხეებში, სადაც იყო 34.612 ადგილი, მოთავსებული იყო 49.840 პატიმარი. 2000 წლისთვის ციხეების გადატვირთვის ინდიკატორი იყო 139.2 (პატიმართა რაოდენობა ლოკინების რაოდენობასთან, გამრავლებული 6 კვ. მეტრზე).


პატიმართა საერთო რაოდენობიდან 5.077 იყო წინასწარ პატიმრობაში, 6.453 ელოდებოდა აპელაციას, 37.406 იყო მსჯავრდებული და 904 - ვინც თავი აარიდა ჯარიმის გადახდას.

სქემა 15: 2001 წლის დეკემბრისათვის დაპატიმრებულ პატიმართა სტატუსი



დანაშაულის ისტორიიდან გამომდინარე, 19.601-ს მანამდე მოხდელი ჰქონდა, სულ მცირე, ოთხწლიანი საპატიმრო სასჯელი, 9.763-ს ჰქონდა ადრე ჩადენილი დანაშაული და 20.476 იყო პირველად მსჯავრდებული.

სქემა 16: 2001 წლის დეკემბრისათვის მსჯავრდებულ პატიმართა კრიმინალური წარსული



ყველაზე მეტ საპატიმრო სასჯელს წარმოადგენდა 1-დან 5 წლამდე პატიმრობა (21.827). ციხის მთავარი ადმინისტრაციის მიერ დაქირავებული იყო 12.000 თანამშრომელი შემდეგი პროპორციით 1 თანამშრომელზე 8 პატიმარი. 2001 წლისათვის საერთო ბიუჯეტს წარმოადგენდა 2.322 მილიარდი ლეი (84 მილიონი ევრო), რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული პატიმრის წლიური ხარჯი იყო 1.685 ევრო. ერთი პატიმრის წლიური ხარჯი 11-ჯერ აღემატება პრობაციის კლიენტის ხარჯს.

ტაბულა 1: პრობაციისა და ციხის ხარჯი

	საერთო ბიუჯეტი (ევრო)	თანამშრომლები	კლიენტები/ პატიმრები	წლიური ხარჯი კლიენტი/პატიმარი
პრობაცია	2002 817.500	210	5700	143
ციხეები	2001 84.000.000	12.000	49.840	1685

5.2 რეგისტრაციის სისტემა და შეფასების პროცედურები

ყველა პრობაციის კლიენტს აქვს საკუთარი საქმე. საქმეები დაყოფილია ორ ნაწილად: დახმარებისა და ზედამხედველობის. საქმეების შემაჯგუფელი კომპონენტებია: ბრძანება, შეფასება, საჭიროებების შეფასება, ზედამხედველობის გეგმა და ყოველდღიური ჩანაწერები. საქმეები აგრეთვე შეიცავს მიმოწერას კლიენტსა და სამსახურს შორის და პერიოდულ მოხსენებას სასამართლოს წინაშე. ამ საქმეების წარმოების მიზანია ჩვენება იმისა, რომ ზედამხედველობა ეფექტურია და კანონის მოთხოვნები სრულდება.

ამავე დროს, მიმდინარეობს კომპიუტერიზებული სისტემის დანერგვა. პროგრამები ძალიან ჰგავს სტატისტიკურ პროგრამებს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას კლიენტებისა და თანამშრომლების შესახებ. პრობაციის სამსახური ყოველთვიურად ელექტრონული ფოსტის საშუალებით აგზავნის ინფორმაციას იუსტიციის სამინისტროში, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას კლიენტების შესახებ, მათი საქმიანობის შესახებ და თანამშრომლების შესახებ. საინფორმაციო ბაზა კლიენტების შესახებ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სახელი, გვარი, სქესი, ასაკი, ეთნიკური წარმოშობა, დანაშაული, ადრე ჩადენილი დანაშაულები, სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი, მოვალეობები და ზომები, მთავარი საჭიროებები, გაწეული მომსახურების სახეობები და ა. შ. ამ პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია მრავალი სახის სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება სიხშირე, ურთიერთკავშირი, რეგრესია და ა. შ. ინფორმაციის მენეჯერად ხდება პრობაციის მრჩევლის არჩევა და ტრენინგი, რათა მან მუდმივად ახორციელოს ინფორმაციის განახლება.

კანონი პრობაციის შესახებ №129/2002, ზუსტად განსაზღვრავს პრობაციის საქმეებზე დამკვეთის წესს:

მუხლი 14 - (1) კლიენტს, მის მიერ უფლებამოსილ პირს ან სახელმწიფო დამკველს, პირის თანხმობით, უფლება აქვთ სოციალური რეინტეგრაციისა და ზედამხედველობის საქმეებზე.

(2) საქმე შეიძლება აგრეთვე განხილულ იქნეს მოსამართლისა და პროკურორის მიერ, სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებით, არასრულწლოვანთა სასამართლო დარბაზში.

(3) საქმე შესაძლოა განხილული იყოს, პირის თანხმობითა და სოციალური რეინტეგრაციის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით, იმ ორგანოების მიერ, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების დამკვირვებლებად ან მსჯავრდებულთა დამცველებად.

სისტემის მიერ დეკლარირებულ მიზანს წარმოადგენს თანამდებობის პირების, სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოების ფართო მასების ინფორმირება. პერიოდულად იუსტიციის სამინისტრო აქვეყნებს ინფორმაციას პრობაციის საქმიანობისა და საქმეთა რაოდენობის შესახებ.

პროგრამა შეიცავს აგრეთვე ინფორმაციას თანამშრომლების შესახებ: განათლება, ასაკი, სქესი, ეთნიკური წარმოშობა, პროფესიონალური სტატუსი, კონფერენციებზე და ტრენინგებზე დასწრება. ეს ინფორმაცია უმეტესწილად გამოიყენება შიდა ტრენინგებისთვის და ადამიანური რესურსების განვითარებისათვის.

იუსტიციის სამინისტროს მიერ, ექსპერიმენტულ ეტაპზეც კი, დანიშნული იყვნენ პრობაციის საქმიანობის შემფასებელი ინსპექტორები. ისინი, რუმინულ კონტექსტში, პრაქტიკის შესაბამისი მოდელის დასადგენად ახორციელებდნენ პროექტების ინსპექტირებას. ინსპექტირების მეორე მიზანს წარმოადგენდა პროექტების მიმდინარეობის შეფასება. მას შემდეგ, რაც მოხდებოდა კომპიუტერიზებული ინფორმაციის სისტემის სრული დანერგვა და პრობაცია საქმიანობას განახორციელებს მთელი რუმინეთის ტერიტორიაზე, განხორციელდება საერთო და თემატური ინსპექციები.

5.3 საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები

ინსპექციების მოხსენებები და სასამართლოს პრეზიდენტების მიერ განხორციელებული მთელი რიგი გამოკვლევები (ჰაინეს და ლაზარ, პრესაში), აჩვენებს, რომ ამ ეტაპზე მოსამართლეები მათ მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგალითად, კვლევები იძლევიან შემდეგ ინფორმაციას:

რესპონდენტების 90%-ზე მეტმა მიუთითა, რომ პრობაციის სამსახურებმა უნდა განახორციელონ შეფასების მოხსენებები;

თითქმის ყველა მოსამართლე ფიქრობს, რომ პრობაციის სამსახურმა მსჯავრდებულთა ზედამხედველობა უნდა განახორციელოს საზოგადოებაში;

80%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ პატიმრობის ალტერნატიული სანქციები უნდა განახორციელოს პრობაციის სამსახურმა, 40%-ის აზრით კი, აღნიშნული უნდა განახორციელონ აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებმა;

მოსამართლეების 85% ფიქრობს, რომ სასჯელის შეფარდების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შეფასების მოხსენებებმა.

სასამართლოს პრეზიდენტების 94% ფიქრობს, რომ კანონი უნდა შეიცვალოს და მეტი საშუალება მიეცეს საზოგადოებრივი სანქციების გამოყენებას.

პრობაციის სამსახურის დამკვიდრების სარეკლამო კამპანიის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს პრესკონფერენციები, ბროშურები, პრეზენტაციები, წიგნები და სტატიები. მიუხედავად აღნიშნული PR-კამპანიისა, მაინც ძალიან მცირე საშუალებებია აქტიური საქმიანობისათვის.

5.4 დაბოლოება

პრობაცია 11-ჯერ იაფია ციხეზე. ზევით აღწერილ სხვა კვლევებთან ერთად, ეს რუმინეთში პრობაციის განვითარების კიდევ ერთი კარგი მაგალითია.

პრობაციის კლიენტთა უფლებები

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ძირითადი უფლებები დაცულია რუმინეთის კონსტიტუციაში. ზოგიერთი ისეთი უფლება, როგორებიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია და მიუკერძოებელი სასამართლო განხილვა, შეტანილია აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსში. გამომდინარე ბრალდებულის მდგომარეობიდან, მას აგრეთვე შეიძლება შეესაბამოს სხვა კანონებსა და დებულებებში ასახული უფლებები. პატიმართა უფლებები ასახულია ციხის კანონში №23/1969 და პრობაციონერთა უფლებები ძირითადად აღწერილია პრობაციის დადგენილებაში № 92/2000, რომელიც დამტკიცებულ იქნა 129/2002 კანონითა და მთავრობის გადაწყვეტილებაში №1239/2000, რაც წარმოადგენს სტანდარტულ ფორმას დადგენილება №92/2000-ის აღსრულებისათვის.

პრობაციის კლიენტის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა ზედამხედველობის პერიოდში მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მისი ინფორმირება. პრობაციის მრჩეველთან პირველი შეხვედრისას ყველა კლიენტი იღებს წერილობით ინსტრუქციას ყოფაქცევის შესახებ და იმის შესახებ, თუ რისი კეთება მოეთხოვება მას. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ შეუძლია წაკითხვა, მას უნდა წაუკითხოს პრობაციის მრჩეველმა. თუ კლიენტმა არ იცის რუმინული, პრობაციის მრჩეველმა უნდა უზრუნველყოს იგი თარგმანით.

აღნიშნული ინსტრუქციები აგრეთვე შეიცავენ ინფორმაციას გასაჩივრების პროცედურის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი უკმაყოფილოა პრობაციის მრჩეველის მიერ სასჯელის აღსრულების ფორმით, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს რაიონული სამსახურის უფროსს. თუ კლიენტი კვლავ უკმაყოფილო დარჩება, მას შეუძლია მიმართოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული სამსახურის უფროსს. პრობაციის დეპარტამენტში ამ საჩივრებს იხილავენ ინსპექტორები. ინსპექტორებს პრობაციის სამსახურის საქმიანობის შემოწმება დაევალებათ წელიწადში ერთხელ ან პრობაციის დეპარტამენტის დირექტორის თხოვნის საფუძველზე. პრობაციის კლიენტებს აგრეთვე უფლება აქვთ იჩივლონ რუმინეთის ომბუდსმენთან. ომბუდსმენს შეუძლია მოითხოვოს კლიენტის უფლებების გადახედვა როგორც საჩივრის საფუძველზე, აგრეთვე საკუთარი ინიციატივით.

მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის მიზნით, ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს მონიტორინგი ციხეებსა და პრობაციის სამსახურებში.

არსებული მიღწევები

რუმინეთში პრობაციის დარგში არსებული მიღწევების აღწერა საკმაოდ რთულია, ვინაიდან გადაწყვეტილებების მიღება პრობაციის შესახებ დამოკიდებულია მთელ რიგ არალოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ძალაზე. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მთელი რიგი მიმართულებების იდენტიფიკაცია.

კანონმა №129/2002 დაამკვიდრა პრობაციის საქმიანობის ორი ახალი ელემენტი. პირველს წარმოადგენს პრობაციის მუშაობა პროკურატურასთან. აღნიშნული გზას გაუსწრის საქმეების შეწყვეტას, რაც ვახდება საფუძველი წინასწარ პატიმრობაში მყოფთა შემცირებისა და ციხეებისა და პოლიციის საკნების გადატვირთულობისგან გათავისუფლებისა. აღნიშნულთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელდა ორი პროექტი აღმდგენი იუსტიციისა „restorative justice“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ისეთი ელემენტების ტესტირება, რომელთა გამოყენების საშუალებასაც იძლეოდა არსებული კანონმდებლობა, კერძოდ: შუამავლობა და ოჯახური კონფერენცია (განხილვა). აღნიშნული მიუთითებს სასამართლომდე საშუალებების განვრცობის ინტერესის არსებობას.

არსებობს აგრეთვე რამდენიმე ინიციატივა ციხის შემდგომი მზრუნველობის განხორციელებისა, ციხის მთავარ სამმართველოსა და პრობაციის დეპარტამენტს შორის. უახლოეს პერიოდში დაგეგმილია პრობაციის სამსახურებსა და ციხეებს შორის კავშირების განმტკიცება.

პროკურატურას, სასამართლოებს, ციხეებსა და პრობაციის სამსახურებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით იუსტიციის სამინისტროსა და ევროკომისიის დელეგაციის მიერ დაინერგა ინფორმაციული სისტემა CDMS (საქმეებისა და დოკუმენტების მენეჯმენტის სისტემა). მას შემდეგ, რაც სისტემა სრულად ამოქმედდება, ყველა ორგანიზაციას ექნება საშუალება ნახოს მსჯავრდებულთა საინფორმაციო ბაზა.

2003 წლიდან, მას შემდეგ, რაც ძალაში შევა ახალი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, გაიზარდა საპატიმრო სასჯელის ალტერნატივების რიცხვი, რაც სასჯელთა შეფარდებისას სასამართლოებს მისცემს მეტ საშუალებას.

საჭიროა პრობაციის თანამშრომელთა სტატუსის განსაზღვრა. დღესდღეობით ისინი არ წარმოადგენენ სამოქალაქო მოხელეებს, მაგრამ ისინი არიან კლიერკებსა და ექსპერტებს შორის და ეწოდებიან სასამართლო ხელისუფლების სპეციალიზებული თანამშრომლები. არსებობს მათი პროფესიული სტატუსის ფორმალური აღიარებისა და სამსახურის შესაბამისი პირობების განსაზღვრის საჭიროება. ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.

მათს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში აგრეთვე საჭიროა პარადოქსების მოგვარება: პრობაციის თანამშრომლები არიან კარგად მომზადებული იმისათვის, რომ განახორციელონ, როგორც ინდივიდუალური, აგრეთვე ჯგუფური მუშაობა კლიენტებთან, მაგრამ მათი ოფისები არ იძლევა ამის საშუალებას. უმეტესწილად კლიენტებს ხედებიან ისეთ ოთახებში, სადაც რამდენიმე პრობაციის მრჩეველი ზის ერთად.

პრობაციის კლიენტთა მიერ ჩადენილი დანაშაულებების უმეტესობა ქონებრივი დანაშაულებია, რაც გამომდინარეობს, მათი ეკონომიკური გაჭირვებიდან. პრობაციის სამსახურებს ვეალებათ მსჯავრდებულთა ციხის შემდგომ დასახლებაში ხელის შეწყობა, მაგრამ მათი პრობლემების მოგვარება ძალიან რთული საკითხია (ტრენინგი, სამსახურები, საცხოვრებელი და ა. შ.).

ციხის შემდგომი დასახლების უზრუნველსაყოფად საჭიროა შესაბამისი ბალანსის მოძებნა გონებრივ-ყოფაქცევით მიმართულებასა და საჭიროებებზე დაფუძნებულ, ნაკლებად ჩარევის მიმართულებას შორის.

მისამართები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართები, ვებგვერდები და შესაბამისი პუბლიკაციები

8.1

Ministry of Justice,
Probation Department,
Apolodor Street, No.17,
4 Floor, Room No.1,
Sector 5, Bucharest.
Website: www.probatiiune.ro
Tel.: 0040-1-4 10 73 55

General Division of Prisons,
Maria Ghiculeasa Street, No.47,
Sector 2, Bucharest.
E-mail: office@anp.ro
Tel.: 0040-1-687 78 95
Fax: 0040-1-2426078

Centre for Legal Resources (Member of the Soros open Network),
Arcului Street, No.19,
Bucharest.
Tel.: 0040-1-212 06 90 (1)
Fax: 0040-1-212 05 19 (20)

8.2

Abraham, P., Nicolaescu, V. and Iasnic, S. B. (2001). Introduction to Probation.
Edit. National. Bucharest.

Balahur, D. (2001). Socio-Legal Basis of Probation. Editura Themis. Craiova.

Durnescu, I., Haines, K., Lazar, C. and Willie, A. (2002). Probation in Romania

(available in Romanian and English). Editura Didactica si Pedagogica.Bucharest.

General Division of Prisons (2001). Annual Report. Bucharest

Haines, K. and Lazar, C. (in press). Survey of Courts Opinions about probation Services.

National Commission Statistics (2001). National Report. Bucharst.

Oledna, S. (2001). Probation in Romania. Policies, Legislation, Procedures. Pressa Universitara Clujeana. Cluj.

Poledna, S. (2002). Psycho-Social Interventions in Probation Work. Pressa Universitara Clujeana. Cluj.

თავი 9

სლოვენია

ირენა კრიჟნიკ

პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება და ძირითადი ინფორმაცია სლოვენიის შესახებ

1. 1 პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობა

სლოვენიას უკავია 20.271 კვადრატული კილომეტრი და გადაჭიმულია ალპებს, ადრიატიკისა და პანონიანის ფერდობებზე. მისი მეზობელი ქვეყნებია: იტალია, ავსტრია, უნგრეთი და ხორვატია. სლოვენიის მოსახლეობა შეადგენს 1.994.026-ს, რომელთა შორის სლოვენები 87.9%-ია. ოფიციალურ ენას წარმოადგენს სლოვენური. დედაქალაქია ლიუბლიანა. სლოვენიაში უნგრელები და იტალიელები წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობას და მათი ფუნდამენტური და სპეციალური უფლებები დაცულია კონსტიტუციით. საზოგადოებრივი კვლევის თანახმად, სლოვენიელების უმრავლესობა კათოლიკეა. სლოვენიაში რეგისტრირებულია, დაახლოებით, 30-მდე რელიგიური საზოგადოება, ასოციაცია და სულიერი ჯგუფი.

სლოვენიაში დამოუკიდებლობა მოიპოვა 1991 წლის 25 ივნისს. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სლოვენია გახდა იუგოსლავიის შემადგენელი ნაწილი და დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მის შემადგენლობაში რჩებოდა. თანახმად კონსტიტუციისა, პრეზიდენტი არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და წარმოადგენს სლოვენიის რესპუბლიკას. სლოვენიაში მთავარ საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს 90 დეპუტატისაგან შემდგარი ეროვნული ასამბლეა. ეროვნული საბჭო (40 წევრი) შედგება სოციალური, ეკონომიკური, პროფესიული და ადგილობრივი ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებისგან.

მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლება და ადმინისტრირების მთავარი ორგანო. არსებული მთავრობა (არჩეული 2000 წლის 15 ოქტომბერს) წარმოადგენს სლოვენიის ლიბერალური დემოკრატიის, სლოვენიის სოციალ-დემოკრატიულ ერთიანი სისის, სლოვენიის ხალხთა პარტიის, სლოვენიის პენსიონერთა დემოკრატიული პარტიისა და თითო-თითო უნგრული და იტალიური ეროვნული უმცირესობისგან შემდგარ კოალიციას.

ადამიანის უფლებათა დამცველი პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვაზე სახელმწიფო ორგანოებთან, ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სხვა სახელმწიფო იურისდიქციაში მყოფებთან. ომბუდსმენი თავის საქმიანობაში ავტონომიური და დამოუკიდებელია.

ადგილობრივი მთავრობების მთავარ ორგანოებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტები. დღესდღეობით 192 მუნიციპალიტეტია.

2000 წელს GDP იყო 9.105 \$; უმუშევრობის დონე იყო 7%. სლოვენიის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ფართოდ დაბალანსებული ბიუჯეტი, რომლის მიღწევაც ადვილი გახდება მას შემდეგ, რაც განხორციელდება საპენსიო და სოციალური დაცვის სისტემის რეფორმა, სახელმწიფო სუბსიდირების ევროგაერთიანების მიერ დადგენილ ზღვრამდე შემცირება და 1999 წლიდან ღირებულების გადასახადის დამატება. 2002 წლის მარტისთვის საერთო თვიური შემოსავალი შეადგენდა 1008 ევროს, ხოლო სუფთა შემოსავალი 635 ევროს.

კონსტიტუცია ადგენს, რომ მოსამართლეები თავიანთი ფუნქციების შესრულებისას დამოუკიდებლები არიან და მათ ზღუდავს მხოლოდ კონსტიტუცია და კანონი. სასამართლო ხელისუფლების საქმიანობას არეგულირებს ორი მთავარი კანონი და რამდენიმე

დებულება. სლოვენის რესპუბლიკის სასამართლო სისტემა შედგება საერთო და სპეციალიზებული იურისდიქციის სასამართლოებისგან, ხოლო ამ უკანასკნელების საქმიანობას არეგულირებენ სოციალური, დასაქმებისა და ადმინისტრაციული კანონები. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ რაიონული სასამართლოები (44), რეგიონალური სასამართლოები (11), უმაღლესი სასამართლოები (4) და სლოვენის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო. აგრეთვე არსებობს ოთხი სპეციალიზებული სასამართლო, რომლებიც იხილავენ სამსახურებრივ საკითხებს; ერთი მათგანი იხილავს სოციალური უსაფრთხოების საკითხებს, ხოლო ერთობლიობაში იწარმოებენ სააპელაციო სასამართლოს ფუნქციებს. სლოვენის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სასამართლოს აქვს უმაღლესი სასამართლოს სტატუსი. სასამართლო ორგანოს, რომელიც იცავს სლოვენის რესპუბლიკაში კანონიერებასა და კონსტიტუციონალიზმს, წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლო.

სახელმწიფო ბრალმძებლები, სასამართლოში სამართალწარმოების ინიცირებით, უყენებენ ბრალს იმათ, ვინც ჩაიდინეს კრიმინალური ან სხვა სახის დასჯადი ქმედობა. სლოვენის რესპუბლიკაში მოქმედებს სახელმწიფო პროკურორების 11 რეგიონალური ოფისი, 4 უმაღლესი სახელმწიფო პროკურორის ოფისი და გენერალური პროკურორის ოფისი.

უკანასკნელი წლების მანძილზე გაიზარდა რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა. ძალიან მწვლია იმის განზოგადება, რამ გამოიწვია დანაშაულის ზრდა, არის თუ არა ეს შედეგი რეალურად დანაშაულის ზრდის, თუ კანონმდებლობაში და დანაშაულთა რეგისტრაციაში განხორციელებული ცვლილებებისა. დანაშაულთა მიმართულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოება გაუარესებულია. გაიზარდა უკანონო ლტოლვილთა კონტრაბანდა, ხოლო ძალადობრივი დანაშაულები გახდა უფრო სასტიკი და ორგანიზებული. იზრდება აგრეთვე ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულების რიცხვი. ერთი მხრივ, ხალხი დაცულია ზოგადი ხასიათის დანაშაულისგან, მაგრამ მეორე მხრივ, ძალიან გაიზარდა სერიოზული და საშიში დანაშაულების რისკი. ძალიან დიდი ზრდა შეინიშნება ქონებრივ დანაშაულებსა და ნარკოტიკების უკანონო მოხმარებასთან დაკავშირებულ დანაშაულებში.

მას შემდეგ, რაც სლოვენია დამოუკიდებელი გახდა, გაიზარდა საქონლის, ხალხისა და კაპიტალის მოძრაობა, რამაც გავლენა იქონია სოციალურ გარემოებებზე. მიგრაციის ზრდა ხელს უწყობს ტრანსნაციონალურ და უცხოურ დანაშაულებრივ ქმედობებს. ეკონომიკური დანაშაულის არსებული დონე გამოწვეულია საბაზრო ეკონომიკით, ფონდების განვითარებითა და კაპიტალის დაურეგულირებელი გადაწაწილებით. სლოვენიაში დანაშაულის ზრდაზე გავლენა იქონია აგრეთვე ცხოვრების პირობების დაცემამ, უმუშევრობამ, უმუშევრობის შიშმა და გაზრდილმა ნაპრაღმა მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

1994-დან 2001 წლამდე სლოვენიაში მიიღო ახალი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, ახალი სისხლის სამართლის სანქციითა აღსრულების აქტები და ახალი კანონმდებლობა როგორც სამართლებრივი სისტემის, პროკურატურისა და სასამართლოების შესახებ, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტები. ყოველივე აღნიშნულის შედეგად წარმოიშვა ახალი ელემენტები. სასამართლო სისტემაში მოხდა რეორგანიზაცია, რამაც თავისი წვლილი შეიტანა სასამართლოების გადატვირთვისგან გათავისუფლებაში, გრძელი პროცედურების შემოკლებაში და მოსამართლეების რეფორმებით გამოწვეულ უკმაყოფილებაში. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობაში მოხდა დანაშაულთან ბრძოლის ძალიან კარგი საფუძვლების ჩაყრა. საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ისეთი მუხლები, რომლებიც არ შეესაბამებოდნენ კონსტიტუციას. აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად დამკვიდრე-

ბული იქნა წინასწარი პატიმრობის სამი ახალი ალტერნატივა, რაც ძალიან მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა.

1999 წლის იანვარში სისხლის სამართლის კოდექსში ძალაში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები და ნაცვლად არსებული 20-წლიანი მაქსიმალური საპატიმრო სასჯელისა, დამკვიდრდა 30-წლიანი. სლოვენიას არ გააჩნია სამუდამო პატიმრობა და 1957 წლამდე შედიოდა აბოლიციონისტური ქვეყნების რიგში. სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე დამკვიდრდა რამდენიმე ახალი ალტერნატიული სასჯელი და ზომა. მიუხედავად ამისა დღესდღეობით ინსტიტუციონალური და ორგანიზაციული საფუძვლების არადამაკმაყოფილებლად განვითარება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მოხდებოდა ალტერნატიული სანქციების ეფექტური გამოყენება. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე დაზარალებულებს და სისხლის სამართლის სისტემა ზევრად უფრო მგრძობიარე გახდა დაზარალებულთა მიმართ. ძალიან გაიზარდა მასშედიის ინტერესი დანაშაულის მიმართ.

1.2 პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება

სლოვენიაში პრობაციის სამსახური არ არსებობს. სოციალური საქმიანობის ცენტრები წარმოადგენს მთავარ ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან, როგორც ყველა მოქალაქის სოციალურ მომსახურებაზე, აგრეთვე ზოგიერთ საქმიანობაზე სისხლის სამართლის დარგში. სოციალური საქმიანობის ცენტრები არიან შრომის, ოჯახის და სოციალური ურთიერთობების სამინისტროს შემადგენლობაში. სოციალური საქმიანობის ცენტრების ეროვნული ქსელი და სამართლებრივი საფუძვლები შეიქმნა 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში.

პატიმრობის შემდგომი დახმარების მინიშნებები შეიძლება მოვიძიოთ 1951 წლის კანონმდებლობაში. გათავისუფლებულ პატიმართა დახმარების კომიტეტები შეიქმნა რაიონულ სახალხო საბჭოებში, რომლებიც ფუნქციონირებდნენ ნებაყოფლობით საფუძვლებზე. 1968 წლის შემდეგ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებებისა. იუგოსლავიის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკებსა და პროვინციებს უფლება ჰქონდათ სისხლის სამართლის სანქციების აღსრულებასთან დაკავშირებით მიეღოთ საკუთარი კანონმდებლობები. სლოვენია ამ დარგში თავისი პირველი კანონი მიიღო 1970 წელს.

1973 წლის სისხლის სამართლის სასჯელთა აღსრულების აქტი აღდგენდა, რომ გათავისუფლებულ პატიმართა ციხის შემდგომ მზრუნველობაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენდა სოციალური მზრუნველობის მუნიციპალური გაერთიანება, რომელსაც ეს ამოცანა დელეგირებული ჰქონდა სახელმწიფოს მიერ. სოციალური სამუშაოების ცენტრებში შექმნილმა საკოორდინაციო კომიტეტებმა გააერთიანა ყველა სამსახური, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ პატიმართა გათავისუფლების შემდეგ მათი სირთულეების მოგვარებაში. აგრეთვე გაძლიერდა ციხის სოციალური სამსახურები და მათი საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებად გადაიქცა გარე სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია. ციხის შემდგომი მზრუნველობის პროგრამები წარმოადგენენ პატიმართა მკურნალობის პროგრამების შემადგენელ ნაწილს.

1984 წელს შეიქმნა პატიმართა მრჩეველების თანამდებობები, რომლებიც მცირე დამატებებით დღესაც არსებობს. მრჩეველთა როლს ძალიან ხშირად ნებაყოფლობით საფუძველზე ასრულებენ როგორც სოციალურ მეცნიერებათა სტუდენტები, აგრეთვე სოციალური საქმიანობის ცენტრებში ნებაყოფლობით მომუშავე პირები. 1980 წლიდან დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებები არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობისას, რის

შედეგად საფუძველი ჩაეყარა პრევენციულ და არაინსტიტუციურ მეთოდებს. აღნიშნულის მისაღწევად გამოიყენებოდა ჯგუფური მუშაობა, საზოგადოებრივი მუშაობა, ქუჩის პროექტები და პრევენციული საშუალებები.

დღესდღეობით არსებული შუამავლობის მსგავსი შუამავლობის მიმართულებები სლოვენიაში ადრე არსებობდა. შუამავლობის საბჭოები შექმნილი იყო ყველა ადგილობრივ გაერთიანებაში და ახორციელებდნენ მკიდრო თანამშრომლობას პროკურატურებთან. ეს საბჭოები შეიქმნა 1959 წელს, მაგრამ 1965 წლიდან ინტერესი მათი საქმიანობის მიმართ შემცირდა.

დამოუკიდებლობის შემდეგ, 1992 წელს, მიღებულ იქნა ახალი კანონი სოციალური დაცვის სისტემის შესახებ. ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო, ვინაიდან კანონით დადგენილი პირობების თანახმად, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო ორგანოებსა და ცალკეულ პირებს, შეეძლოთ განეხორციელებინათ სოციალური დაცვის მომსახურება.

დღესდღეობით არსებული ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან სხვადასხვა სანქციებისა და ზომების განხორციელებაში:

სოციალური სამუშაოების ცენტრები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოს და ფინანსდებათ სახელმწიფოს მიერ. ისინი უზრუნველყოფენ:

პატიმართა დახმარებას გათავისუფლების შემდეგ;

სასჯელის ზედამხედველობით გადავადებისას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ციხის სამსახურთან ერთად;

არასრულწლოვანთა ზედამხედველობას სოციალური სამსახურის მიერ;

შუამავლობის სისტემას არასრულწლოვნებისათვის;

არასრულწლოვნებისთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ზედამხედველობას;

სოციალური ტრენინგის კურსების ორგანიზებას არასრულწლოვნებისთვის.

კერძო ორგანიზაციები, ე. წ. B&Z და პაპილოტ ინსტიტუტი, რომლებიც ჩართული არიან დაზარალებულთა დახმარებაში, რომელიც ფინანსდება როგორც სხვადასხვა სამინისტროს მიერ, აგრეთვე მთავრობის დასაქმების სექტის შემადგენელი ნაწილიდან, ე. წ. საზოგადოებრივად დაფინანსებული სამუშაოებისა.

შუამავლობა ხორციელდება გენერალური პროკურორის ოფისის მეშვეობით და ფინანსდება მთავრობის მიერ.

სახელმწიფო პროკურორები ზედამხედველობას ახორციელებენ მათი ინსტრუქციების შესრულებაზე.

ეროვნული ციხის სამსახური, სოციალური სამუშაოების ცენტრებთან ერთად ზედამხედველობენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულებას.

1.3 დაბოლოება

სოციალური მზრუნველობის დარგში, სახელმწიფოს როლი შეიცვლება მას შემდეგ, რაც ერთი მხრივ, სახელმწიფო სამსახურებისათვის მოხდება მათი საქმიანობის განსაზღვრა და მინიმალური სტანდარტების დადგენა, ხოლო მეორე მხრივ მოხდება მათი ზედამხედველობა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა უშვებს სოციალურ სამუშაოებში კერძო სექტორის ჩართვას, ამ დარგში სოციალური საქმიანობის ცენტრები კვლავ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ.

პრობაციის დებულება და საკანონმდებლო საფუძვლები

2.1 სამართლებრივი საფუძვლები

სასამართლოს ან პროკურორის მიერ ალტერნატივების შეფარდების საკანონმდებლო საფუძვლებს წარმოადგენენ სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სისხლის სამართლის სანქციათა აღსრულების აქტი. სისხლის სამართლის სანქციათა აღსრულების აქტი არეგულირებს სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა საპატირო სასჯელების აღსრულებას, ჯარიმებს, ავტომობილის მართვის უფლების ჩამორთმევას, უცხოელების დეპორტაციას, მისდამენორის სასჯელებს, გაფრთხილებებს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებს, საგანმანათლებლო ზომებს და განსაზღვრავს სისხლის სამართლის სასჯელების აღმასრულებელ ორგანოს (ციხის სამსახური). იუსტიციის სამინისტრო და სოციალური ურთიერთობების სამინისტრო განსაზღვრავენ როგორც მრჩეველთა პასუხისმგებლობებს სასჯელის ზედამხედველობით გადავადებისას, აგრეთვე მათს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს (მუხლი 143).

სლოვენიაში არ არსებობს პრობაციის სამსახური ან პრობაციის სისტემის შესაქმნელად საჭირო კანონმდებლობა, თუმცა სხვადასხვა კანონში ნახსენებია შემდეგი ორგანიზაციები ან პირები:

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში შუამავლობის პროცედურა ან მოგვარება, შესაძლოა განახორციელოს მედიატორმა. სისხლის სამართლის საქმეებისას შუამავლობის განსახორციელებლად საჭირო ინსტრუქცია გამოცემულია იუსტიციის მინისტრის მიერ და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მორიგებით შეცვლის ძირითადი ინსტრუქციები გამოცემულია გენერალური პროკურორის მიერ.

სისხლისსამართლებრივი დევნის პირობით გადავადება და შესრულება. გენერალური პროკურორის შეუძლია ინსტრუქციის გამოცემა.

სასჯელის ზედამხედველობით გადავადებისას ზედამხედველობა უნდა განახორციელოს სასამართლოს მიერ დანიშნულმა მრჩეველმა. სისხლის სამართლის სანქციათა აღსრულების აქტი ადგენს, რომ სოციალურ სამუშაოებზე პასუხისმგებელმა ცენტრმა, განაჩენის მიღებიდან 30 დღის მანძილზე, ზედამხედველობის განსახორციელებლად უნდა დანიშნოს სასამართლოს მრჩეველი. ამ მიმართებით არ არსებობს სპეციალური კანონქვემდებარე აქტები.

საქველმოქმედო ორგანიზაციის ან ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკეთილდღეოდ წარმოებული საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთობლივად, ციხის სამსახურისა და სოციალური საქმიანობის ცენტრების მიერ. არ არსებობს სპეციალური კანონქვემდებარე აქტები, დებულებები ან ინსტრუქციები.

არასრულწლოვანთა ინსტრუქციებსა და აკრძალვებს ახორციელებენ სოციალური სამუშაოების ცენტრები; არსებობს ინსტრუქციები და დოკუმენტები.

2.2.1 დებულება

სლოვენიაში არ არსებობს მნიშვნელოვანი დოკუმენტები როგორც პრობაციის სისტემის, ისე საზოგადოებრივ სანქციებსა და ზომებთან დაკავშირებით არსებულ სოციალურ სამუშაოებზე.

2.2.2 დანაშაულის პრევენცია

სლოვენიას არ გააჩნია დანაშაულის პრევენციის დაწერილი ეროვნული პოლიტიკა. კანონი პოლიტიკის შესახებ ადგენს, რომ სლოვენია შექმნის დანაშაულის პრევენციის ეროვნულ პროგრამას (მუხლი 135). 1997 წელს სლოვენიის მთავრობა შეეცადა შეექმნა ეროვნული სტრატეგია დანაშაულის წინააღმდეგ, მაგრამ შესაბამისი დაფინანსების არარსებობის გამო, შესაძლებელი იქნა მხოლოდ საწყისი ეტაპის შექმნა.

2.2.3 კომპენსაცია, შუამავლობა და დაზარალებულთა დახმარება

2.2.3.1 შუამავლობა (მორიგების პროცედურა)

სლოვენიაში შუამავლობა ხორციელდება გენერალური პროკურატურის ზედამხედველობის ქვეშ. 1995 და 1996 წლებში კრიმინოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა კვლევა ახალი საგანმანათლებლო ზომების შესახებ არასრულწლოვანთა იუსტიციის სისტემის ფარგლებში. სხვა ზომებს შორის, ინსტიტუტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო „დაზარალებულთან შუამავლობას მორიგების მისაღწევად, ზიანის ასანაზღაურებლად ან დაზარალებულისათვის სამუშაოს განსახორციელებლად“. ლიუბლიანას პროკურატურა თანამშრომლობდა კვლევის ამ ორგანიზაციასთან და ამ მიზნით მათ რამდენიმე შესაბამისი საქმე მიაწოდეს მკვლევრებს. ამ ექსპერიმენტის შედეგად, სლოვენიელი პროკურორები მთელ რიგ არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საქმეებს შუამავლობისათვის აწვდიან სოციალურ მუშაკებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 1998 წლის ოქტომბერში შევიდა შესაბამისი ცვლილება შუამავლობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 იანვარს. მედიატორები არიან დამოუკიდებელი პირები, რომელთა დაფინანსებაც ხდება პროკურატურის ბიუჯეტიდან. პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას საქმეების შუამავლობისთვის შესაბამისობის შესახებ. სლოვენიაში არ არის შექმნილი ეროვნული შუამავლობის ორგანიზაცია.

2.2.3.2 დაზარალებულთა დახმარების პროგრამა

სლოვენიაში ყველა სახის დანაშაულის მსხვერპლთათვის მიმდინარეობს ერთადერთი პროგრამა. სლოვენიაში დანაშაულის მსხვერპლთა ორგანიზებულ მზრუნველობაზე ფიქრი სულ ახალი დაწყებულია. უკანასკნელ პერიოდში ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია ქალთა და ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ, თუმცა არც ერთი პროექტი არ მოიცავს დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერას.

1997 წელს შეიქმნა ამ პროექტის კონცეპტუალური საფუძველი და მისი პირველი ფაზის იმპლემენტაცია დაიწყო 1998 წლის აპრილში. ამ პროექტის შექმნილი იყო კომერციული ფირმა „B&Z განათლების მწეწელები, მრჩეველი და მკვლევარი“ მოგვიანებით ამ ფირმამ საქმიანობა გადააბარა ცხოვრების ხარისხის განვითარების პაპილოტის ინსტიტუტს. ფირმამ თერთმეტ დიდ ქალაქში შექმნა დაზარალებულთა დახმარების ცენტრები, სადაც მუშაობდნენ მრჩეველები. პროექტს ესმარებოდა ბევრი სამინისტრო, მაგრამ მხოლოდ ორი უწყვედა ფინანსურ მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა,

რომ ეს პროგრამა შეტანილი იყო ეროვნულ-სოციალური კეთილდღეობის პროგრამაში, არსებული ფინანსური პრობლემების გამო მხოლოდ შვიდი ცენტრი აგრძელებს მუშაობას.

2.3 შეჯამება

სანქციებთან დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა ორგანო, მაგრამ დღესდღეობით სლოვენიაში არ არის შექმნილი ორგანო ან ორგანიზაცია, რომელიც, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე, გაუწევდა კოორდინაციას ამ საქმიანობას, ან შეიმუშავებდა საქმიანობის დოკუმენტებს და მისცემდა პრაქტიკულ რჩევებს.

პრობაციის ორგანიზაციული სტრუქტურა

სლოვენიაში არ არსებობს პრობაციის სისტემა. წინა თავებში აღვწერეთ ის ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან სისხლის სამართალწარმოებაში. სლოვენიას სურვილი აქვს პრობაციის პილოტური სექმის ან ალტერნატიული სანქციებისა და ზომების ორგანიზაციული საშუალებების დანერგვისა.

სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე მუშაობა ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან

4.1 1991 წლის სამართლებრივი საფუძვლები, რომლებშიც ცვლილებები შევიდა 1999 წელს

სისხლის სამართლის კოდექსში არსებული სასჯელის გადავადება და სასჯელის ზედამხედველობით გადავადება ეფუძნება ევროპული სასჯელის გადავადებისა და ანგლო-ამერიკული პრობაციის სისტემის კომბინაციას. 1977 წელს სისხლის სამართლის კოდექსში დამკვიდრდა სასჯელის გადავადება და სასჯელის ზედამხედველობით გადავადება, თუმცა მოსამართლეები ამ უკანასკნელს ძალიან იშვიათად იყენებენ. სისხლის სამართლის კოდექსში არ არის სხვა ახალი ტიპის ალტერნატიული სანქციები. ჯარიმები და სასამართლო გაფრთხილებები ძველ სისხლის სამართლის კოდექსშიც არსებობდა.

იმისათვის, რომ აღნიშნულ სანქციებს სინათლე მოეფინოს, საჭიროა განმარტება, კერძოდ: სასამართლო საპატიმრო სასჯელს უსჯის პირს, მაგრამ მისი აღსრულების გადავადება ხდება იმ პირობით, რომ მსჯავრდებული გადავადების ვადაში არ ჩაიდენს დანაშაულს და შეასრულებს სასამართლოს მიერ სასჯელის გადავადებასთან ერთად დაკისრებულ მოვალეობებს. აღნიშნულის დარღვევის შემთხვევაში, სასამართლო

იმპლემენტაციას გაუკეთებს მანამდე მისჯილ სასჯელს. ანგლო-ამერიკულ სისტემაში სასამართლოს მიერ პრობაციის გამოყენება ხდება სხვა მიმართულებით.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნებისთვის შემოღებული ახალი საგანმანათლებლო ზომები, რომელთაც ეწოდებათ აკრძალვები და ინსტრუქციები, დისციპლინარულ ცენტრებში მოთავსება და ზედამხედველობა მშობლებისა და ოჯახის წევრების მიერ. ძველ სისხლის სამართლის კოდექსში იყო გაფრთხილებების მიცემა და ზედამხედველობა სოციალური სამსახურების მიერ.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა წარმოადგენდა სამთვინი საპატიმრო სასჯელის ფორმას, რა დროსაც მჯავრდებულს ევალებოდა საქველმოქმედო ორგანიზაციების ან ადგილობრივი საზოგადოების სასარგებლოდ მუშაობა, რაც წარმოადგენდა ანალოგიას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკისა. სასჯელის განხორციელების ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. ამ სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებლობას ინაწილებენ ციხის სამსახური და სოციალური სამსახურების ცენტრები.

2000 წელს მიღებული სასჯელთა აღსრულების აქტის თანახმად, 6 თვემდე პატიმრობისას, შესაძლებელია პატიმრის სახლში დატოვება, რათა მან კვირის მანძილზე იმუშაოს ან ისწავლოს, ხოლო შაბათ-კვირას უნდა წავიდეს ციხეში. სასჯელის ასეთი ფორმით მოხდის შესახებ, პატიმრის თხოვნით ან ციხის თანამშრომელთა რეკომენდაციით, გადაწყვეტილებას იღებს ციხის სამსახურის დირექტორი.

1994 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლმა განიცადა რამდენიმე დამატება 1998, 1999 წლებში და 2000 წელს ჩამოყალიბდა „ბრალდებულის მიერ სისხლის სამართალწარმოების წარმატებით წარმართვისა და უსაფრთხო არსებობის ზომებად“, რომლებიც წარმოადგენდნენ წინასწარი პატიმრობის ალტერნატიულ საშუალებებს. შემოღებული იყო შემდეგი სახის ზომები: განსაზღვრული ადგილის ან პირის მონახულების აკრძალვა, პოლიციის განყოფილებაში გამოცხადება და შინაპატიმრობა. ძველი სისხლის სამართლის კოდექსი უკვე ითვალისწინებდა თავდებობას და აკრძალვას საცხოვრებელი ადგილის დატოვებისა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სახელმწიფო პროკურორს ანიჭებს მეტ საშუალებას სისხლის სამართალწარმოების პროცესში ალტერნატიული ზომების უფრო ფართოდ გამოყენებისა. ახალ ზომებს წარმოადგენს შუამავლობა და გასამართლების გადავადება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აგრეთვე ყურადღება გამახვილებული დაზარალებულებზე. ზოგიერთი საკითხი მიმართულია ბავშვების დაცვაზე. აგრეთვე სპეციალური საკითხები აქვს მიძღვნილი მოწმის (დაზარალებულის ან სხვის) გაუხმაურებლობას, თუ განმარტება საფრთხეს შეუქმნის მის ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს.

დაზარალებულებს შეუძლიათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა სისხლის სამართალწარმოებაში (მუხლი 59, 367), მაგრამ აგრეთვე შეუძლიათ მიმართონ სამოქალაქო სარჩელს (მუხლი 100, 105) ან კერძო სარჩელს (მუხლი 60, 63). არსებობს აგრეთვე მხარეებს შორის მოგვარების პრაქტიკა: სამართლებრივი დევნა შეიძლება გადავადდეს და მსჯავრდებულს პროკურორის მიერ დაევალოს გარკვეული ქმედობის შესრულება, რაც გულისხმობს კომპენსაციის გადახდას ან ზიანის აღდგენას და დანაშაულის მსხვერპლთა ფონდში შესაბამისი თანხის შეტანას. აღნიშნული ფონდი ჯერ არ შექმნილა. მეორე მეთოდს წარმოადგენს შუამავლობა.

თანახმად სისხლის სამართლის კოდექსისა, არასრულწლოვნების მიმართ დადგენილია ისეთი სახის სპეციალური სისხლის სამართლის სანქციები, როგორებიცაა ინსტრუქციები და აკრძალვები. ერთ-ერთი მათგანი გულისხმობს, თანხის გადახდით,

მუშაობით ან დანაშაულებრივი ქმედობის შედეგად მიღებული ზარალის ანაზღაურებით შეთანხმების მიღწევას მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის.

ზოგიერთი სისხლის სამართლის დანაშაულის (ძალიან მცირე რაოდენობის და შეიცავენ ნაკლებად მძიმე დანაშაულებს) სამართლებრივი დევნა ხორციელდება დაზარალებულის კერძო ბრალდების საფუძველზე. დანაშაულთა უმეტესობის მიმართ სისხლის სამართალწარმოება იწყება დაზარალებულის მიმართვის საფუძველზე.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის თანახმად, განმტკიცდა დაზარალებულთა მდგომარეობა, განსაკუთრებით კი კომპენსაციასთან მიმართებით. კოდექსის 41-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს სასჯელთა შეფარდების ძირითად წესს, სხვა შემამსუბუქებელ გარემოებებს შორის ასახელებს მსჯავრდებულის საქციელს დანაშაულის ჩადენის შემდეგ და განსაკუთრებით კი, მოახდინა თუ არა მსჯავრდებულმა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის რესტიტუცია (მუხლი 50). ჩვენ უკვე ვახსენეთ სასჯელის გადავადება, შუამავლობა და ინსტრუქციები და აკრძალვები.

4.2 სანქციების სისტემა

4.2.1 არსებული სანქციების მიმოხილვა

სლოვენიაში სისხლის სამართლის სანქციები იყოფა ძირითად სასჯელებად, დამატებით სასჯელებად, დამცავ ზომებად და საგანმანათლებლო ზომებად არასრულწლოვნებისთვის. სისხლის სამართლის სანქციებია: სასჯელები (პატიმრობა, ჯარიმა, მართვის უფლების ჩამორთმევა, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ქვეყნიდან დეპორტაცია), გამაფრთხილებელი სანქციები (სასჯელის გადავადება, სასჯელის ზედამხედველობით გადავადება, სასამართლო გაფრთხილება), დამცავი ზომები და საგანმანათლებლო ზომები.

სქემა 1: ძირითადი სასჯელები

<i>ძირითადი სასჯელები</i>	პატიმრობა 15 დღიდან 20 წლამდე და ხანდახან 30 წლით; ჯარიმა; სასჯელის გადავადება; სასჯელის ზედამხედველობით გადავადება; სასამართლო გაფრთხილება.
<i>დამატებითი სასჯელები</i>	ჯარიმა; მართვის უფლების ჩამორთმევა; უცხოელების დეპორტაცია.

სქემა 2: ზომები

დამკავი ზომები

იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა და პატიმრობა შესაბამის დაწესებულებაში;
 იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა საზოგადოებაში;
 ნარკომანებისა და ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობა;
 გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
 მართვის უფლების ჩამორთმევა;
 კონფისკაცია.

საგანმანათლებლო ზომები არასრულწლოვნებისთვის

გაფრთხილება;
 ინსტრუქციები და აკრძალვები;
 ზედამხედველობა სოციალური სამსახურების მიერ;
 საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსახილველად გადაცემა;
 არასრულწლოვანთა გამოსწორების სახლისათვის განსახილველად გადაცემა;
 ფსიქიკურად ან გონებრივად არასრულყოფილ ახალგაზრდათა დაწესებულებისათვის განსახილველად გადაცემა.

სამ თვემდე საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალიზაციის სპეციალური ფორმა

ადგილობრივი საზოგადოების ან საქველმოქმედო მიზნით მუშაობის ვალდებულება.

სქემა 3: პირობები

პირობები	წინასწარი გამოძიების ეტაპი	სასამართლო განხილვის ეტაპი	სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი
სამართლებრივი საფუძველი	შუამავლობის პროცედურა; გასამართლების გადავადება; ბრალდებულისათვის საცხოვრებლის დატოვების აკრძალვა; განსაზღვრული ადგილის ან პირთა მონახულების აკრძალვა;	სასჯელის გადავადება; სასჯელის გადავადება ზედამხედველობით; ზედამხედველობა სოციალური სამსახურების მიერ; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის	პირობით ვადამდე გათავისუფლება; ადრე გათავისუფლება.

პოლიციის განყოფილებაში ბრძანება.
გამოცხადება;
შინაპატიმრობა.

*პირობების
სახეები*

პირობის მიცემა;
აკრძალვა;
პოლიციაში რეგულარული
ან ყოველდღიური გამოცხადება;
შინაპატიმრობა;
სასამართლოს ნებართვის გარეშე
საცხოვრებლის მიტოვების
აკრძალვა.

ზედამხედველობა; სასჯელის ვადის
ვალდებულებები; დასრულებამდე
არ ჩაიდინოს ახალი არ ჩაიდინოს
დანაშაული, რესტიტუცია, ახალი
რეპარაცია, სხვა ვალდე დანაშაული.
ბულებები;
პატივი სცეს სასამართლოს
ინსტრუქციებს;
პატივი სცეს
არასრულწლოვანთა სასამართლოს
ინსტრუქციებს და სოციალური
სამსახურების მიერ არასრულ
წლოვანთა ზედამხედველობაზე.

4.2.2 ალტერნატიული სანქციები და ზომები სრულწლოვნებისთვის

სლოვენიაში ძალიან ძნელია ალტერნატივების ან არასაპატიმრო სასჯელების ინტერესის დონის აღწერა. ერთი მხრივ, ახალმა კანონმდებლობამ შემოიღო ახალი სანქციები და ზომები, ხოლო მეორე მხრივ, არ არსებობს მათი აღსრულების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რის გამოც პროკურორები და მოსამართლეები ხშირად არ მიმართავენ მათ. მეცნიერები და მკვლევარები ძალიან არიან დაინტერესებული ალტერნატივების აღსრულებით.

4.2.2.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი

სახელმწიფო ბრალმდებლის მთავარ უფლებას და ვალდებულებას წარმოადგენს მსჯავრდებულისთვის ბრალდების წაყენება. საქმის წარმოებისას კანონი პროკურორს უფლებას ანიჭებს იმოქმედოს სხვადასხვა მიმართულებით. მას შეუძლია დაიწყოს ან შეწყვიტოს სამართლებრივი დევნა. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი შეუსაბამოა ან არ შეიცავს გადაწყვეტილების მისაღებად საკმარის საფუძველს, პროკურორს შეუძლია მოითხოვოს მისთვის სრულყოფილი ფორმის მიცემა ან დროებით გადაავადოს სამართლებრივი დევნა. სახელმწიფო პროკურორს, აგრეთვე უფლება აქვს შეწყვიტოს საქმე, თუ არ არსებობს სისხლის სამართალწარმოების დაწყების შესაბამისი საფუძველი. პროკურორმა აგრეთვე უნდა შეწყვიტოს საქმე, თუ შუამავლობის შედეგად მიღწეულია შეთანხმება, სამართლებრივი დევნა გადავადებულია ან საქმე გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლით. ასეთ შემთხვევებში, პროკურორი გადაწყვეტილებას იღებს შესაძლებლობის პრინციპებიდან გამომდინარე. სლოვენიის კანონმდებლობა ადგენს სამართლებრივი დევნის არეულ სისტემას: კანონიერების პრინციპი სერიოზული დანაშაუ-

ლებსათვის და შესაძლებლობის პრინციპი მცირე დანაშაულებსათვის. პროკურორს შეუძლია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები:

მორიგება (შუამავლობა) (მუხლი 161 ა). პროკურორს შეუძლია მიმართოს მორიგებას ან შუამავლობას, როდესაც დანაშაული ისჯება ჯარიმით ან 3 წლამდე პატიმრობით. მედიატორს საქმეში ჩართვის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მსჯავრდებულის და დაზარალებულის თანხმობა. სახელმწიფო ბრალმძებელმა უნდა შეწყვიტოს საქმე მას შემდეგ, რაც მედიატორისგან მიიღებს მოხსენებას შეთანხმების შესახებ. შეთანხმების მიღწევა უნდა მოხდეს მაქსიმუმ სამ თვეში.

სამართლებრივი დევნის გადავადება (მუხლი 162): დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ისჯება ჯარიმით ან სამ წლამდე პატიმრობით, პროკურორს შეუძლია გადავადოს სამართლებრივი დევნა. ასეთ შემთხვევაში ბრალდებულმა უნდა შეასრულოს პროკურორის მიერ დაკისრებული შემდეგი ინსტრუქციები:

ზიანის შეკეთება ან კომპენსაცია;

თანხის გადახდა სახელმწიფო ორგანიზაციისათვის ან ქველმოქმედებისათვის ან დანაშაულთა მსხვერპლთა ფონდში;

საყოველთაოდ საჭირო საქმიანობის განხორციელება;

შეკეთების ვალდებულების აღება.

ინსტრუქციები უნდა განხორციელდეს მაქსიმუმ 6 თვის ვადაში, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში - 1 წლის ვადაში. პროკურორი ზედამხედველობას უწევს მათ განხორციელებას და შესრულების შემთხვევაში წყვეტს საქმეს.

შეწყვეტა (მუხლი 163): სახელმწიფო პროკურორისთვის არ არის აუცილებელი დაიწყოს სამართლებრივი დევნა ან შეუძლია შეწყვიტოს სამართლებრივი დევნა:

როდესაც სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, რომ სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მსჯავრდებული სასჯელისგან;

როდესაც სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, რომ დანაშაული დასჯადია ჯარიმით ან 1 წლამდე პატიმრობით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს წინასწარი პატიმრობის შემდეგ ალტერნატივებს:

ბრალდებულისათვის საცხოვრებელ ადგილას დარჩენის მოთხოვნა (მუხლი 195). სასამართლოს შეუძლია დაუდგინოს ბრალდებულს არ მიატყვის საცხოვრებელი ადგილი, არ დაიშალოს ან იცხოვროს განსაზღვრულ ადგილას სასამართლოს ნებართვის გარეშე. ბრალდებულის ქმედობები უნდა იყოს წერილობით დაფიქსირებული;

განსაზღვრულ ადგილას ან პირთან მიახლოების აკრძალვა (მუხლი 195): სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს განსაზღვრული ადგილიდან ან პირისგან მისაახლოებლად აკრძალული მანძილის დადგენა, რომლის დაცვა ევალება ბრალდებულს.

პოლიციის განყოფილებაში გამოცხადება (მუხლი 195ბ): სასამართლომ შეიძლება დაუდგინოს ბრალდებულს მის საცხოვრებელთან ახლოს მდებარე პოლიციის განყოფილებაში რეგულარული ან ყოველდღიური და განსაზღვრულ დროს გამოცხადება. გამოუცხადებლობის შემთხვევა პოლიციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სასამართლოს.

თავდებობა (მუხლი 196-199): ბრალდებულის გათავისუფლება შესაძლებელია თავდებში, საკუთარი პასუხისმგებლობით ან სხვა პირის თავდებობით. პირის თავდებში გათავისუფლებისას ყოველთვის ხდება თანხის ჩადება, რომლის ოდენობის დადგენაც ხდება დანაშაულის სიმძიმეიდან, ბრალდებულის პირადი და ოჯახური მდგომარეობიდან და ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე;

შინაპატიმრობა (მუხლი 199ა): სასამართლოს შეუძლია მიმართოს შინაპატიმრობის ბრძანებას, რაც გულისხმობს ბრალდებულის მიერ მუდმივი ან დროებითი საცხოვრებლის ან სამკურნალო ან მზრუნველობის განმახორციელებელი ორგანოს, შენობის დატოვების

აკრძალვას. ამ ბრძანების აღსრულებას აკონტროლებს სასამართლო პირადად ან პოლიციის მეშვეობით.

4.2.2.2 სასამართლო განხილვის ეტაპი

სლოვენიაში დანაშაულებს, რომელთა სასჯელი ითვალისწინებს ჯარიმას ან 3 წლამდე პატიმრობას, იხილავენ რაიონული სასამართლოები. რეგიონალური სასამართლოები იხილავენ უფრო მძიმე ხარისხის დანაშაულებს. ორივე სასამართლო წარმოადგენს პირველ ინსტანციას, ხოლო ორივესთვის სააპელაციო სასამართლოს წარმოადგენს უმაღლესი სასამართლო. რეგიონალური სასამართლო განხილვის მოსამართლე წარმოადგენს მოსამართლეთა კოლეგიის პრეზიდენტს. სასამართლოს წევრებს წარმოადგენენ ჩვეულებრივი მოქალაქეებისგან შემდგარი მსაჯულები, რომლებსაც ნიშნავს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტი, რომლის იურისდიქციაშიც შედის რეგიონალური სასამართლო. რაიონულ სასამართლოში მოსამართლე საქმეს დამოუკიდებლად იხილავს.

შესაძლებელია შემდეგი სანქციების შეფარდება:

ჯარიმები (სსკ მუხლი 38): ჯარიმის შეფარდება ხდება დღიური თანხით, რომელიც არ უნდა იყოს დღეში 5 ტოლარზე ნაკლები და სამას სამოც ტოლარზე მეტი, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც დანაშაული ჩადენილია სიძუნწის გამო და საერთო ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 1500 დღიური ოდენობა. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს 15 დღიდან 3 თვის მანძილზე;

სასჯელის გადავადება (სსკ მუხლი 50): სასამართლოს შეუძლია გადავადოს სასჯელის აღსრულება, როდესაც ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი ითვალისწინებს ორ წლამდე პატიმრობას ან ჯარიმას. ამ სასჯელის აღსრულება არ მოხდება, თუ მსჯავრდებული გადავადებულ პერიოდში (1-დან 5 წლამდე), არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. სასამართლოს შეუძლია მიიღოს სასჯელის პირობით გადავადების გადაწყვეტილება, თუ მსჯავრდებული მოახდენს დანაშაულის გზით მოპოვებული ქონების რესტიტუციას, ან დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის რეპარაციას, ან სისხლის სამართლის კანონით დაკისრებული რაიმე სხვა მოვალეობის შესრულებას. ასეთი მოვალეობის შესრულების ვადას წარმოადგენს გადავადების პერიოდი;

სასჯელის ზედამხედველობით გადავადების ბრძანება (სსკ მუხლი 56): ზედამხედველობა უნდა შეიცავდეს დახმარებას, ზედამხედველობას და სტატუსით დაკისრებულ პატიმრობას. ზედამხედველობის შეფარდებისას, სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს ერთი ან მეტი პირობების შესრულება. პირობები შეიძლება შეიცავდეს მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელ შემდეგ ამოცანებს:

შესაბამის დაწესებულებაში სამედიცინო მკურნალობის გაელის შეთავაზება;

ფსიქოლოგიური, თავისუფალი დროის გასატარებელი ან სხვა სახის რჩევების სესიებზე დასწრება;

სამსახურებრივი კვალიფიკაციის ამაღლება ან მისი ჯანმრთელობისა და შესაძლებლობებისათვის შესაფერისი სამსახურის დაწყება;

ხელფასის დახარჯვა იმის მიხედვით, რომ არ მიეყენოს ზარალი ოჯახს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მრჩეველს.

სასამართლო გაფრთხილება (სსკ მუხლი 61): სასამართლო გაფრთხილების შეფარდება შეიძლება ისეთ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებებში და ასეთი დანაშაულისთვის სასჯელი ითვალისწინებს ჯარიმას ან ერთ წლამდე პატიმრობას.

დამცავი ზომები (სსკ მუხლი 62): მსჯავრდებულს შეიძლება ებრძანოს შემდეგი დამცავი ზომები:

იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა და შესაბამის დაწესებულებაში პატიმრობა;

იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა საზოგადოებაში;

ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის მკურნალობის იძულება;

გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

მართვის უფლების ჩამორთმევა;

კონფისკაცია.

მსჯავრდებულს იძულებით მკურნალობა და შესაბამის დაწესებულებაში პატიმრობა ან იძულებით მკურნალობა უნდა შეეფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიუხედავად სხვა საწესების შეფარდებისა, ნავარაუდებია, რომ იგი ანგარიშს ვერ უწევს თავის ქმედობას.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ბრძანება (სსკ მუხლი 107): ამ სასჯელის შეფარდება შეიძლება, როდესაც საპატიმრო სასჯელის ვადა არ აღემატება 3 თვეს. ამ დროს მსჯავრდებულს პატიმრობის ნაცვლად მოეთხოვება 80-დან 240-საათამდე, არაუმეტეს 6 თვისა, ადგილობრივი საზოგადოების ან საქველმოქმედო მუშაობა. ასეთი სახის მუშაობამ არ უნდა შეუქმნას პრობლემები მის ჩვეულებრივ სამუშაო რეჟიმს.

არასაპატიმრო სასჯელების საზოგადოებაში ზედამხედველობა ხორციელდება სასამართლოს, სოციალური საქმიანობის ცენტრებისა და ციხის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ.

4.2.2.3 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი

მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულს შეეფარდება საპატიმრო სასჯელი, იგი გადადის ციხის ეროვნული ადმინისტრაციის იურისდიქციაში. გენერალურ დირექტორს მსჯავრდებულის თხოვნით ან ციხის თანამშრომლების რეკომენდაციით (მას შემდეგ, რაც იგი დაიწყებს სასჯელის ციხეში მოხდას) უფლება აქვს მსჯავრდებულს დართოს ნება სასჯელი მოიხადოს შაბათ-კვირას.

პირობით გათავისუფლების კომისია იღებს გადაწყვეტილებას პატიმრის პირობით გათავისუფლების შესახებ. კომისიის პრეზიდენტს, მის მოადგილეს, წევრებს და მათ მოადგილეებს, იუსტიციის მინისტრი ნიშნავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, გენერალური პროკურატორისა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების შემადგენლობიდან. სასამართლო განხილვის შემდგომ ეტაპზე შესაძლებელია შემდეგი სახის პირობითი გათავისუფლება:

პატიმრობა შაბათ-კვირას (საა მუხლი 12): გენერალურ დირექტორს უფლება აქვს დართოს ნება პატიმარს, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა დაუდევრობით და სასჯელი ითვალისწინებს ექვს თვემდე პატიმრობას, სასჯელი მოიხადოს შაბათ-კვირას, როდესაც მას აქვს სამსახური ან დადის სკოლაში, იქცევა კარგად და ეს მისი პირველი დანაშაულია. მსჯავრდებულს, ასეთ შემთხვევებში, შეუძლიათ იარონ სამსახურში და იცხოვრონ სახლში, გარდა არასამუშაო დღეებისა (ძირითადად შაბათ-კვირა), როდესაც უნდა იმყოფებოდნენ ციხეში. ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში გენერალურ დირექტორს შეუძლია მოითხოვოს სასჯელის მთლიანად ციხეში აღსრულება. გენერალური დირექტორის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებელი იყოს.

პირობით გათავისუფლება (სსკ მუხლი 109): პატიმარი, რომელიც მოიხდის სასჯელის ნახევარს, შესაძლოა გათავისუფლებული იყოს ციხიდან იმ პირობით, რომ იგი

დარჩენილ საპატიმრო ვადაში არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. პატიმარს, რომელსაც შეფარდებული აქვს 15 წელზე მეტხნაინი პატიმრობა, მისი პირობით გათავისუფლება შეიძლება მას შემდეგ, რაც იგი მოიხდის სასჯელის 3/4-ს. გამონაკლისია, როდესაც მსჯავრდებულის მიერ 1/3-ის მოხდის შემდეგ შეიძლება მისი გათავისუფლება. პირობით გათავისუფლებულ პატიმართა მიმართ არ ხორციელდება ზედამხედველობა. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლება.

ადრე გათავისუფლება (სა მუხლი 108): პროფესიული რჩევების საფუძველზე ციხის მმართველს შეუძლია უბოძოს პატიმარს ადრე გათავისუფლება, რომელიც იქცეოდა კარგად, აქტიურად მუშაობდა, მონაწილეობდა სხვა საქმიანობაში და მოხდელი აქვს სასჯელის 3/4 და დარჩენილი აქვს სასჯელის სრული ვადის მოხდამდე არაუმეტეს ერთი თვისა. ამ ტიპის პატიმრების მიმართ არ ხორციელდება ზედამხედველობა. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ ხდება.

4.2.3 სანქციები და ზომები არასრულწლოვნებისთვის

სლოვენიაში არასრულწლოვნებისთვის არ არსებობს არც ცალკე სასამართლო და არც სისხლისსამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, მაგრამ ორივე კოდექსი ცალკე თავების სახით ითვალისწინებს არასრულწლოვნებს და ჩვეულებრივ სასამართლოებში შექმნილია არასრულწლოვანთა მოსამართლეების კომისია და დანიშნულები არიან შესაბამისი მოსამართლეები. სრულწლოვნებისგან განსხვავებით, სისხლის სამართალწარმოება არასრულწლოვნების მიმართ ცოტა სხვანაირად წარმოებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირადულობას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას, განათლებას, ყოფაქცევას და იმ ოჯახურ გარემოს, რომელშიც არასრულწლოვანს უწევს ცხოვრება. დანაშაულის ჩადენის ფაქტთან ერთად, ძალიან დიდი ყურადღება ენიჭება აღნიშნულ ინფორმაციას როგორც სამართლებრივი დევნისას, აგრეთვე სასჯელის შეფარდებისას. სრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართალწარმოებისგან განსხვავებით, არასრულწლოვანთა კოლეგიები, საქმის შეწყვეტის ან საგანმანათლებლო ზომების მოდიფიკაციისა და პირობითი გათავისუფლების ბოძების გათვალისწინებით, ძალიან აქტიურ როლს თამაშობენ აგრეთვე საგანმანათლებლო ზომების შეფარდებისას.

სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს არასრულწლოვნებს როგორც საგანმანათლებლო ზომები, ჯარიმები, არასრულწლოვანთა ციხე, მართვის უფლების ჩამორთმევა და უცხოელი არასრულწლოვნების დეპორტაცია, აგრეთვე ყველა სახის დაცვითი ზომები, გარდა საქმიანობის უფლების ჩამორთმევისა.

სისხლის სამართლის კოდექსი არასრულწლოვნებს ასაკის მიხედვით ყოფს ორ ჯგუფად:

არასრულწლოვნები 14-დან 16 წლამდე;

არასრულწლოვნები 16-დან 18 წლამდე.

სისხლის სამართლის სანქციის შეფარდება არ შეიძლება დანაშაულის ჩამდენ 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისთვის. საგანმანათლებლო და დამცავი ზომები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორივე ჯგუფის არასრულწლოვნებისთვის, მაგრამ სასჯელები (ჯარიმები, არასრულწლოვანთა ციხე, მართვის უფლების ჩამორთმევა და უცხოელთა დეპორტაცია) შესაძლებელია მხოლოდ 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვნებისთვის და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

4.2.3.1 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები

სისხლის სამართლის სისტემა არასრულწლოვნებს ყოფს ორ ნაწილად: 16 წლამდე და 16-დან 18 წლამდე. პირველი ჯგუფის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი საშუალებები:

გაფრთხილება (სსკ მუხლი 76): გაფრთხილებისას სასამართლომ უნდა უთხრას არასრულწლოვანს, რატომ იყო მისი საქციელი მცდარი და გააფრთხილოს იგი, რომ დანაშაულის ხელახლა ჩადენის შემთხვევაში, მას უფრო მკაცრი სასჯელი შეეფარდება;

ინსტრუქციები და აკრძალვები (სსკ მუხლი 77): სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ ერთი ან რამდენიმე შემდეგი ინსტრუქციისა და აკრძალვის გამოცემა:

დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა;

დაზარალებულთან შეთანხმების მიღწევა, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად თანხის გადახდით ან მუშაობით;

რეგულარულად სიარული სკოლაში;

მსჯავრდებულის განათლებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შესაბამისი პროფესიული განათლების ან სამუშაო ცოდნის მიღება;

განსაზღვრულ დაწესებულებაში ან ოჯახში ცხოვრება;

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განხორციელება (6 თვის მანძილზე, მაქსიმუმ 120 საათი);

შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის გავლა;

საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური ან პროფესიული რჩევების მიღება;

სოციალური ტრენინგის კურსებზე დასწრება (არა ნაკლებ 4 საათის კვირაში);

მოძრაობის წესების კოდუქსში გამოცდის ჩაბარება;

მართვის უფლების ჩამორთმევა.

ინსტრუქციებისა და აკრძალვების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 1 წელს.

ზედამხედველობა სოციალური სამსახურის მიერ (სსკ მუხლი 78): იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვან მსჯავრდებულს, მის განათლებასთან, ტრენინგთან და შესაბამის განვითარებასთან დაკავშირებით ესაჭიროება პროფესიონალური დახმარება და ზედამხედველობა, სასამართლოს შეუძლია დასვას იგი სოციალური სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ. ზედამხედველობის შეფარდება ხდება განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები და სამ წელზე მეტი. ზედამხედველობის დროს არასრულწლოვანი მსჯავრდებული აგრძელებს ცხოვრებას თავისი შშობლების ან იმ პირების საცხოვრებელ მისამართზე, რომლებიც ეხმარებიან მას და სოციალური სამსახურის მიერ დანიშნული მრჩეველი ახორციელებს მასზე ზედამხედველობას.

საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის განსაზღვრულად გადაცემა (დაკავება) (სსკ მუხლი 79) ხდება არა ნაკლებ 6 თვისა და არა უმეტეს 3 წლისა;

არასრულწლოვანთა გამასწორებელი სკოლისათვის განსაზღვრულად გადაცემა (დაკავება) (სსკ მუხლი 80): ხდება არა ნაკლებ 1 წლისა და არა უმეტეს 3 წლისა;

ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩენილი ახალგაზრდების დაწესებულებაში დაკავება (სსკ მუხლი 81): ხდება იმ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების, რომლებსაც ფიზიკურ ან გონებრივ განვითარებასთან დაკავშირებით აქვთ პრობლემები. მსჯავრდებული რჩება დაწესებულებაში საჭიროებიდან გამომდინარე, მაქსიმუმ სამი წლით.

4.2.3.2 არასრულწლოვნები 16-დან 18 წლის ასაკამდე

სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი არასრულწლოვნის მიმართ შესაძლებელია შეფარდებული იყოს საგანმანათლებლო და დამცავი ზომები (იგივე რაც 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისთვის) და განსაკუთრებით შემთხვევებში ჯარიმა და პატიმრობა. აღნიშნულის გარდა, მათ შეიძლება დაემატათ ისეთი დამატებითი სასჯელები, როგორცაა: მართვის უფლების ჩამორთმევა და დეპორტაცია.

ჯარიმები 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვნებისთვის (სსკ მუხლი 88): აღნიშნულის შეფარდება შესაძლებელია, როდესაც დანაშაული ითვალისწინებს ჯარიმას ან ხუთ წლამდე პატიმრობას. ჯარიმის შეფარდების შემთხვევაში, უნდა მოხდეს მისი შესაძლებლობების და გადახდისუნარიანობის გათვალისწინება;

არასრულწლოვანთა ციხე (სსკ მუხლი 89): არასრულწლოვანი შეიძლება გაიგზავნოს არასრულწლოვანთა ციხეში, არანაკლებ ექვსი თვისა და არა უმეტეს ხუთი წლისა (განსაკუთრებულ შემთხვევებში 10 წლით);

დაწესებულებიდან პირობით გათავისუფლება: საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან არასრულწლოვანთა გამოსწორების სახლში არასრულწლოვნის ერთწლიანი ყოფნის შემდეგ, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს იგი პირობით ვადაზე ადრე. სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ამ პერიოდში მასზე ზედამხედველობა განახორციელოს სოციალურმა სამსახურებმა.

16-დან 18 წლამდე არასრულწლოვნის პირობით გათავისუფლება. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მსჯავრდებული არასრულწლოვანთა ციხიდან, მას შემდეგ, რაც იგი მოიხდის სასჯელის 1/3-ს და სასჯელის საბოლოო დასრულებამდე დარჩენილი იქნება არანაკლებ ექვსი თვისა. სასამართლოს შეუძლია დააკისროს არასრულწლოვან მსჯავრდებულს პირობით ვადამდე გათავისუფლების პერიოდში სოციალური სამსახურის ზედამხედველობა.

4.2.4 საპატიმრო რეჟიმები

1995 წელს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა ციხის ეროვნული ადმინისტრაცია, რომელიც პასუხისმგებელი იყო ციხეებისა და არასრულწლოვანთა გამასწორებელი სახლების მართვაზე. სლოვენიაში საპატიმრო სასჯელების მოხდა ხდება 6 ციხეში, რომელთა დაწესებულებები განთავსებულია 12 სხვადასხვა ადგილას და მათგან სამი წარმოადგენს ღია ტიპის ციხეს. ციხის ყველა შენობას აქვს ღია, ნახევრად ღია და დახურული განყოფილება. აღნიშნული ერთმანეთისგან განსხვავდება უსაფრთხოების დონითა და პატიმართა გადაადგილების აკრძალვებით. ციხის ეროვნული ადმინისტრაციის სისტემაში აგრეთვე შედის არასრულწლოვანთა გამასწორებელი სახლი. ციხეებში ადგილების რაოდენობა 1072-ია.

ციხის რეჟიმები ორიენტირებულია პატიმართა სოციოთერაპიულ მკურნალობასა და უსაფრთხოებისა და დაცვის დინამიკაზე. ხსენებული სამუშაო მეთოდები პირველად დაინერგა 1970 წელს. ჩვეულებრივი მეთოდია კვირაში ერთხელ ჯგუფური მუშაობის წარმოება მრჩევის ხელმძღვანელობით, რომელიც უმეტესწილად მასწავლებელია. მუშაობის მეორე სახეობას, ე. წ. თერაპიული საზოგადოება, წარმოადგენს ციხის მმართველის მიერ კვირაში ერთხელ ან თვეში ორჯერ ყველა თანამშრომლისა და პატიმრის ერთად შეკრებას.

4.2.4.1 ციხის პროგრამები

სლოვენის ციხეებში მუშაობენ სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და მასწავლებლები, რომლებიც ახორციელებენ შემდეგი სახის ციხის პროგრამებს:

სასჯელის დაგეგმვა. მას შემდეგ, რაც პირს მიესჯება საპატიმრო სასჯელი და მოხვედრა ციხეში, მისი პატიმრობის დასაგეგმად მიმდინარეობს მისი პიროვნების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მუშაობის შესაძლებლობის და სხვა დამახასიათებელი ნიშნების შეფასება. პატიმართა თანხმობის შემთხვევაში, ხდება მათი ჩართვა სპეციალურ პროგრამებში. ძალიან დიდ მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ციხის თანამშრომლებმა ამ პროგრამების განხორციელებისას იმოქმედონ გუნდური პრინციპით;

განათლება. საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს ციხის გარეთ არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად. როგორც მასწავლებლები დადიან ციხეებში, აგრეთვე პატიმრები ესწრებიან გაკვეთილებს ციხის გარეთ მდებარე დაწესებულებებში. საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს როგორც ცენტრალურ ციხეში, აგრეთვე გამასწორებელ სახლში.

საქმიანობა თავისუფალ დროს. ციხეების უმეტესობა ამ საქმიანობას ეწევა ციხის ტერიტორიაზე. აღნიშნული ზოგიერთ ციხეში ორგანიზებულია მასწავლებლების მიერ, ხოლო ზოგიერთში ყველა თანამშრომლის მიერ. ამ მხრივ, ყველა ციხეში, შერობებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით, სხვადასხვა მდგომარეობაა, მაგრამ საერთო თვალსაზრისით, ყველგან მძიმე ვითარებაა. ხანდახან ციხეებში მოდიან თეატრალური დასები და პოპულარული მომღერლები და აწყობენ კონცერტებს.

მუშაობისა და დასაქმების პროგრამები ხორციელდება ციხის შემადგენლობაში არსებული კომერციული ორგანიზაციების მიერ. მასში მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული პატიმარი. ამ საქმიანობისათვის მათ უხდებიან ფულს და ისინი თავისუფალი არიან ამ თანხის დახარჯვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. მთელი დროის მანძილზე დასაქმებულ პატიმრებს ხელფასს უხდის ის აგრეთვე სახელმწიფო. პატიმრები დაზღვეულებიც არიან მუშაობის დროს მიღებული დაზიანებისა და დაინვალიდებისას;

ჯანმრთელობაზე მზრუნველობა და პროგრამები პატიმრებისთვის. პატიმრებს აქვთ იგივე ჯანმრთელობის დაზღვევა, რაც სხვა მოქალაქებს; ციხეებში მუდმივად იმყოფებიან ციხის მედდები; კონტრაქტის საფუძველზე დაქირავებული გარკვეული სპეციალობის ექიმები ციხეში მოდიან კვირამი ორჯერ ან იმდენჯერ რამდენჯერაც საჭირო იქნება. კბილის ექიმები, გინეკოლოგები, ფსიქიატრები და სხვა სპეციალიზაციის ექიმები ციხეებში მუშაობენ კონტრაქტის საფუძველზე. ციხეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნულ პროგრამაში შიდსის წინააღმდეგ; პატიმართა მკურნალობა წარმოებს ყველა სხვა მოქალაქის ანალოგიურად. შიდსზე შემოწმება სავალდებულო არ არის, მაგრამ წარმოებს პატიმართა თხოვნის საფუძველზე. რეზულტატი ეცნობება მხოლოდ პატიმარს, რომლის გადასაწყვეტიც არის შემდგომში ამ ინფორმაციის გავრცელება ან დაფარვა. პრევენტივების მოპოვება შეიძლება ყველა ციხეში. დაწესებულია საგანმანათლებლო პროგრამები ტუბერკულოზის პრევენციისათვის. პატიმრებისა და თანამშრომლებისათვის ქვეყანაში ყველაზე ცნობილი ექსპერტების მიერ, რომელთაც კავშირი აქვთ ციხებთან, წელიწადში ერთხელ ეწყობა პრევენციული საგანმანათლებლო პროგრამები.

ნარკოტიკების დანიშნულების გარეშე მომხმარებელ პატიმართა პროგრამები. ნარკოტიკების პრობლემებზე მუშაობა ეროვნულ დონეზე უფრო ორგანიზებული გახდა 1994 წლიდან და მოიცავს ციხეებიც. ციხის სისტემაში, განსაკუთრებით კი რეგიონალურ ცენტრებში, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ სამკურნალო პროგრამებში მონაწილეობენ საზოგადოებაზე დაფუძნებული სამსახურები. იმ პატიმრებს, რომლებიც ნარკოტიკებს ციხეში მოხვედრამდე იყენებდნენ, მეტადონით მკურნალობენ. პატიმართა

მკურნალობისათვის მოსაზრადებლად მიმდინარეობს საგანმანათლებლო მუშაობა რეგიონალურ ცენტრებთან ერთად. ეს პროგრამები წარმოადგენენ საზოგადოებაში არსებულის ანალოგიას. მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად, ჯგუფურად ან კომბინირებულად. ზოგიერთ ციხეში შექმნილია ნარკოტიკებისგან თავისუფალი ზონები. საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია აგრეთვე ნარკოტიკების გასინჯვა. სხვადასხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაცია ჩართული არიან ციხეებში არსებულ ანტინარკოტიკულ მუშაობაში;

პროგრამები ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია 1981 წლიდან და მასში მონაწილეობას იღებენ გარედან მოყვანილი სპეციალისტები. გარედან მოტანილი პროგრამები შეასწავლეს თანამშრომლებს. აღნიშნულ პროგრამებს ისინი ახორციელებენ ექსპერტების მეთვალყურეობის ქვეშ;

ფსიქოლოგიური დახმარება და პროგრამები. მსჯავრდებულთა შემდგომი რჩევებისა და თერაპიისათვის მოსაზრადებლად ფსიქოლოგები უმეტესწილად ახორციელებენ ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ შეფასებას.

ფსიქიატრიული დახმარება და პროგრამები. ფსიქიატრები ინდივიდუალურად მუშაობენ პატიმრებთან;

რელიგიური პროგრამები. კათოლიკური ეკლესიის მღვდელი ყოველკვირეულად ნახულობს პატიმრებს. მოწყალების დები აგრეთვე მოდიან ციხეებში და აწყობენ ინდივიდუალურ რელიგიურ პროგრამებს. პატიმრების საჭიროებიდან გამომდინარე, ციხეებში დადიან სხვა რელიგიების წარმომადგენლებიც;

სოციალური სამუშაო და მომზადება გათავისუფლებისთვის: პროგრამის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს გათავისუფლებისათვის მომზადება, რომელიც იწყება სასჯელის დაწყებისას და გულისხმობს კავშირის დამყარებას სოციალური მზრუნველობისა და სხვა ორგანიზაციებთან. გათავისუფლების დაგეგმვისას ხდება პატიმართა მომზადება დაბინავების, სამსახურის, ფინანსური და სხვა სახის პრობლემების მოგვარებისათვის.

ნებაყოფლობით მომუშავე პირთა მიერ რჩევების მიცემა: აღნიშნული პროგრამა ფუნქციონირებს 1984 წლიდან და საკმაოდ კარგად არის ორგანიზებული სოციალური საქმიანობის ცენტრის მიერ. პატიმრის ან თანამშრომლის თხოვნის შემთხვევაში, ცენტრი გამოყოფს შესაბამის მრჩევლებს, რაც მიზანდ სახავეს მსჯავრდებულისათვის თავისუფლად საუბრის საშუალების მიცემას, პოზიტიურ მხარდაჭერას, საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის გაზრდას და ა. შ.

თანამშრომლობა ციხის გარეთ არსებულ ორგანიზაციებთან: ციხეებს აქვთ ძალიან კარგად განვითარებული ურთიერთობები სხვადასხვა უნივერსიტეტების ფაკულტეტებთან, რომელთა სტუდენტებიც გადიან პრაქტიკას და ახორციელებენ პროექტებს ციხეებში. ციხეები მუშაობენ აგრეთვე დასაქმების ორგანოებთან, სოციალური სამუშაოების ცენტრებთან, კარიტასთან, წითელ ჯვართან, სხვა სამინისტროებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო და ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან. ასეთი სახის თანამშრომლობას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს და ციხეებისთვის საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობის ერთ-ერთი საშუალებაა.

4.2.4.2 პირობები, რომლის შემთხვევაშიც მსჯავრდებულებს შეუძლიათ დატოვონ ციხე

ციხის მმართველს შეუძლია დააჯილდოვოს პატიმარი მკურნალობის პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის, ნაყოფიერი მუშაობისთვის, ციხეში არსებული წესების დაცვისთვის, აგრეთვე ანგარიში გაუწიოს პატიმრის პიროვნებას, დანაშაულის ბუნებას და სხვა ისეთ გარემოებებს, როდესაც შესაძლებელია მისთვის გარკვეული პრივილეგიების მინიჭება. აგრეთვე ანგარიში უნდა გაეწიოს დაზარალებულთა და იმ საზოგადოების რეაქციას, რომელშიც მოხდა დანაშაული.

ქვეყანაში შექმნილია პრივილეგიების კარგად განვითარებული სისტემა, რომელიც განსაკუთრებით ფოკუსირებულია ციხის დატოვებაზე:

თვეში ოთხჯერ სახლში ბადრაგის გარეშე გაშვება (48 საათამდე);

მთლიანი ან ნაწილობრივი ყოველწლიური შვებულება საზოგადოებაში;

დამატებითი შვიდდღიანი შვებულება საზოგადოებაში;

ციხესთან ახლოს გასასეირნებლად გაშვება სტუმრებთან ერთად.

ციხის დატოვების და ყოველწლიური შვებულების (სრულად ან ნაწილობრივ) მიცემა, როგორც წესი, არ ხდება, სანამ პატიმარი არ მოიხდის სასჯელის, სულ მცირე, მეოთხედს.

ის პატიმრები, რომლებიც სასჯელის მოხდის დროს თავს გამოიჩენენ, შეიძლება დაჯილდოვდნენ ციხის დატოვებით სასჯელის 1/5-ის მოხდის შემდეგ. ისეთი პატიმრები, რომლებიც მსჯავრდებული არიან ძალადობით ჩადენილ დანაშაულებში, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და უკანონო წარმოებაში, სექსუალურ დანაშაულებში ბავშვების მიმართ, როგორც წესი, არ ჯილდოვდებიან ციხის დატოვების პრივილეგიით, სანამ არ მოიხდინან სასჯელის ნახევარს.

მუშაობა ციხის გარეთ. პატიმარს შეუძლია სასჯელის ბოლო ექვს თვეს იმუშაოს ციხის გარეთ და განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ამას ითვალისწინებს პროგრამა, სასჯელის დასაწყისში ან მისი მსვლელობისას. ასეთ შემთხვევაში ციხე დებს ხელშეკრულებას დამსაქმებელთან, სადაც უნდა მოხდეს სამუშაოს წარმართვა;

ჯანმრთელობაზე ზრუნვა ციხის გარეთ. პატიმრებს შესაბამისი სამედიცინო მომსახურება შესაძლებელია გაეწიოს ციხის გარეთ; პატიმარი შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში იგზავნება ბადრაგით ან მის გარეშე;

სპეციალური პროგრამები ციხის გარეთ. პატიმრებს შეუძლიათ თავიანთი ინდივიდუალური პროგრამის ფარგლებში გაიარონ ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსები ციხის გარეთ;

განათლება. განათლება შესაძლებელია ორგანიზებული იყოს საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან ერთად ციხის გარეთ; პატიმრები ესწრებიან გაკვეთილებს დადგენილი გრაფიკის მიხედვით;

სასჯელის შეჩერება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია გენერალური დირექტორის მიერ თანამდებობრივად ან პატიმრის (ოჯახის წევრის) თხოვნით. სასჯელის შეჩერება შესაძლებელია მაქსიმუმ სამი თვით. იმ შემთხვევაში, თუ შეჩერება გამოწვეულია სამედიცინო მკურნალობის მიზეზით, მაშინ მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია მკურნალობის ვადაზე. გენერალური დირექტორის ნებთ სასჯელის შეჩერება გამოწვეულია სახით შესაძლებელია სამ თვეზე მეტი ხნით. შეჩერებული დრო არ ითვლება სასჯელის დროდ.

4.2.5 ციხის შემდგომი მზრუნველობა

პატიმრების გათავისუფლება ხდება მას შემდეგ, რაც ისინი მოიხდიან სასჯელის სრულ ვადას. იმ შემთხვევაში, თუ მათ ესაჭიროებათ სოციალური დახმარება ან მხარდაჭერა, მათ სხვა მოქალაქეების მსგავსად შეუძლიათ მიმართონ სოციალური სამუშაოების ცენტრს. ანალოგიური მდგომარეობაა იმ პატიმრების მიმართაც, რომლებიც გათავისუფლებული არიან ვადის დასრულებამდე.

4.2.6 ამნისტია და შეწყალება

თანახმად კანონისა ამნისტიის შესახებ (2001 წლის 4 დეკემბერი), ამნისტია 2001 წელს შეფერდათ არჩევით (იხ. ტაბულა გ). ამნისტია არ შეხება იმ მსჯავრდებულებს, რომლებმაც ჩაიდინეს სპეციფიკური დანაშაულები. სასჯელთა მეოთხედი შემსუბუქებული იყო. ამ ამნისტიის წინა ამნისტია გამოცემულ იქნა 1990 წელს.

შეწყალების უფლება აქვს რესპუბლიკის პრეზიდენტს (თანახმად 1995 წლის 4 აგვისტოს კანონისა შეწყალების შესახებ). პროცედურის ინიცირება შესაძლებელია როგორც თანამდებობრივად პრეზიდენტის მიერ, აგრეთვე პეტიციით. პროკურატურა და სასამართლო თავიანთ მოსაზრებას შეწყალების სამართლიანობის შესახებ აწვდიან იუსტიციის სამინისტროს. სამინისტრო პრეზიდენტს უგზავნის როგორც ინფორმაციას შეწყალების მთხოვნელთა შესახებ, ასევე მინისტრის მოსაზრებას შესაწყალებელ პირთა შესახებ.

4.3 სასჯელის შეფარდების პრაქტიკა

სასჯელის შეფარდების პოლიტიკა შეიცვალა, მაგრამ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა გაიზარდა (საპატიმრო სასჯელებით). აგრეთვე გაიზარდა საპატიმრო სასჯელების ხანგრძლივობა. ძალიან მწელია იმის განსაზღვრა, თუ რამ გამოიწვია სასჯელების გამკაცრება, გამოწვეულია თუ არა ეს კანონმდებლობის მიზეზით.

4.3.1 სისხლის სამართლის დანაშაულების სახეობები

ქონებრივი დანაშაულები (ქურდობა, ყაჩაღობა, თაღლითობა, გამოძალვა, ქონების დაწვა) წარმოადგენს ყველა დანაშაულის 38%-ს; მეორე დიდ ჯგუფს წარმოადგენს სატრანსპორტო დანაშაულები (სატრანსპორტო შემთხვევები დაუდევრობით, სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული პირისთვის დახმარების აღმოჩენა) და მესამე ადგილზეა ძალადობრივი დანაშაულები (მკვლელობა, სხეულის დაზიანება).

ტაბულა 1: 1995-2000 წლებში სრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები სახეობების მიხედვით

სისხლის სამართლის კოდექსით კლასიფიცირებული დანაშაულები	1995	1996	1997	1998	1999	2000
სიცოცხლის წინააღმდეგ	405	443	616	638	655	691
ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ	155	156	203	250	307	368
სახელისა და ღირსების წინააღმდეგ	92	101	95	111	95	84
სექსუალური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ	43	51	59	76	68	73
ჯანმრთელობის წინააღმდეგ	36	91	85	196	172	213
ქორწინების, ოჯახის და ბავშვების წინააღმდეგ	41	64	98	127	109	103
ქონების წინააღმდეგ	1453	1493	1899	2112	2189	2449
ეკონომიკის წინააღმდეგ	73	163	220	266	354	376
კანონიერი ტრანსაქციების წინააღმდეგ	242	325	495	565	402	425
სახელმწიფო მოხელეებისა და ოფიციალური ვალდებულების წინააღმდეგ	23	26	22	25	29	20
სასამართლო ადმინისტრაციის წინააღმდეგ	77	51	61	72	73	96
საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობის წინააღმდეგ	164	209	310	369	472	479
ქონებისა და ხალხის ძირითადი უსაფრთხოების წინააღმდეგ	80	60	78	72	84	53
საზოგადოებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოების წინააღმდეგ	543	662	769	831	705	811
გარემოს, ჰაერის და ბუნებრივი რესურსების წინააღმდეგ	23	26	36	22	27	30
სხვა დანაშაულები	12	21	19	24	42	33
სულ	3462	3942	4975	5729	5783	6304
ქალები	428	429	595	689	691	694
%	12.4%	10.9%	12%	12%	11.9%	11%

აქვეყნის სრულწლოვანთა შორის ყველაზე დიდი რაოდენობით ქონებრივი დანაშაულებია (75%), მეორე ადგილზეა დანაშაულები ძალადობით და მესამეზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოების წინააღმდეგ (ტაბულა 2):

ტაბულა 2: 1995-2000 წლებში არასრულწლოვნების (რომლებსაც შეეფარდათ საგანმანათლებლო ზომები და სასჯელები) მიერ ჩადენილი დანაშაულები სახეობების მიხედვით

დანაშაულთა სახეობები	1995	1996	1997	1998	1999	2000
ძალადობა	29	26	52	44	79	40
პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ	3		4	9	10	10
სექსუალური	3		4	9	10	10
ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ	2	3	19	31	44	
ქონებრივი	404	415	468	484	494	445
კანონიერი ტრანსაქციების წინააღმდეგ	16	15	3	4	8	
სასამართლო ადმინისტრაციის წინააღმდეგ	9	4	3	4	8	
საზოგადოებრივი წესრიგი	4	10	16	9	19	
ქონებისა და ხალხის ძირითადი უსაფრთხოების წინააღმდეგ	6	1	7	5	4	
საზოგადოებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოების წინააღმდეგ	16	11	25	24	11	9
სხვა დანაშაულები	4	7	6	5	12	87
სულ	499	500	617	636	706	591
გოგოები	59	31	30	40	55	33
%	11.8%	6.2%	4.9%	6.3%	7.8%	5.6%

გადავადებული სასჯელები და გადავადებული ჯარიმები წარმოადგენენ 1995 წელს შეფარდებული სასჯელების 70%-ს, ხოლო 2000 წელს 74%-ს. საპატიმრო სასჯელები შეადგენენ 1995 წელს შეფარდებული სასჯელების 15.9%-ს და 2000 წელს 17.4%-ს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება ძალიან იშვიათად ხდება და 2001 წელს ასეთი მხოლოდ 4 სასჯელი იყო. აგრეთვე ნაკლებად გამოიყენება ჯარიმები, ვინაიდან მათი დათვლის სისტემა ძალიან რთულია და პრაქტიკაში მათი დაწერვა რთულად მიმდინარეობს.

ტაბულა 3: 1995-2000 წლებში სრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის შეფარდებული სასჯელები

სასჯელები	1995	1996	1997	1998	1999	2000
სასამართლო გაფრთხილება	140	139	143	132	97	120
ჯარიმა	329	308	427	382	343	346
საპატიმრო სასჯელი	550	601	630	842	978	1099
გადავადებული სასჯელი	2398	2812	3683	4281	4301	4655

გადავადებული ჯარიმა	11	31	40	40	43	38
სულ გადავადებული სასჯელები	2409	2843	3923	4321	4344	4693
საგანმანათლებლო ზომები	2	3	4	1	5	0
გამართლება	26	27	31	31	31	22
დამცავი ზომები	6	21	17	20	28	24
სულ	2443	3942	4975	5729	5783	6304
ციხე შაბათ-კვირას					3	
საზოგადოებისათვის მუშაობა					0	

უკანასკნელი წლების მანძილზე სასამართლოები არასრულწლოვნებს ყველაზე ხშირად უფარდებენ სასამართლო გაფრთხილებასა და სოციალური სამსახურის მიერ ზედამხედველობას. სასამართლოები ძალიან იშვიათად მიმართავენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელს, ვინაიდან არ არსებობს ორგანიზაციული სტრუქტურა და სოციალური საქმიანობის ცენტრები ვერ ახორციელებენ ამ სასჯელის აღსრულებას.

ტაბულა 4: 1995-2000 წლებში არასრულწლოვნებისთვის შეფარდებული ზომები და სასჯელები

სასჯელები და ზომები	1995	1996	1997	1998	1999	2000
გაფრთხილება	290	267	264	224	237	174
ინსტრუქციები და აკრძალვები	14	48	100	98	130	134
ზედამხედველობა	146	149	207	251	285	241
საგანმანათლებლო დაწესებულება	28	22	26	38	25	10
გამასწორებელი სახლი	12	6	10	11	11	17
ჩამორჩენილ ბავშვთა დაწესებულება	1	0	0	1	0	0
არასრულწლოვანთა ციხე	7	3	1	1	4	9
ჯარიმა	1	5	9	12	13	5
სულ	499	500	617	636	706	591

1999, 2000 და 2001 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შუამავლობისა და გადავადებული სამართლებრივი დევნის საქმეები. 2001 წელს სახელმწიფო პროკურორის მიერ გადავადებულ იქნა სამართლებრივი დევნის 1865 საქმე (სრულწლოვნები) და მორიგება მიღწეულ იქნა 1274 საქმეზე (63.7%). პროკურორები ბრალდებულებს აკისრებენ შემდეგ ვალდებულებებს:

თანხის გადახდა ქველმოქმედებისათვის (ძირითადად ადგილობრივ საავადმყოფოებს);

ზარალის კომპენსაცია;

თანხის გადახდა სახელმწიფო ორგანოსათვის.

სხვა მოვალეობები ნაკლებად გამოიყენება.

ტაბულა 5 1996-2001 წლებში გადავადებული სამართლებრივი დევნები და მორიგებები

გადავადებული სამართლებრივი დევნა	1996	1997	1998	1999	2000	2001
ყველა საქმე				1865	1942	
მათ შორის არასრულწლოვნები				122	77	
წარმატებით დასრულებული საქმეები	142	243	349	582	982	1343
მათ შორის არასრულწლოვანი				96	69	
ყველა საქმიდან სრულწლოვანთა						
შეწყვეტილი საქმეები პროცენტულად	2.36%	4.08%	6.32%	8.8%	12%	15.4%

შუამავლობა შემოდებულ იქნა 2000 წლიდან და წარმატებული მორიგებები მიღწეულ იქნა შემდეგი საშუალებებით:

ბოდიში;

ზარალის კომპენსაცია;

მოპარული ნივთების დაბრუნება.

2000 წელს პროკურორების მიერ შეწყვეტილი საქმეებიდან 7.5% იყო წარმატებით დასრულებული, ხოლო 2001 წელს - 8%.

ტაბულა 6: შუამავლობა 2000 და 2001 წლებში

	2000	2001
შუამავლობისთვის გადაცემული საქმეები	2237	2071
წარმატებით დასრულებული საქმეები	837	932

არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური ინფორმაცია 1995-2000 წლებში წინასწარი დაკავების ნაცვლად ალტერნატივების გამოყენებისა. ერთი კი ნათელია, რომ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელი სამი წლის მანძილზე. 2001 წლის მონაცემები მოყვანილია ტაბულა 7-ში:

ტაბულა 7: 2001 წელს სასამართლოების მიერ წინასწარი პატიმრობის ნაცვლად გამოყენებული ალტერნატივები

ალტერნატივები	2001
საცხოვრებლის დატოვების აკრძალვა	0
განსაზღვრულ პირთან ან ადგილთან მიახლოების აკრძალვა	36
პოლიციის განყოფილებაში გამოცხადება	19
თავდები	0
შინაპატიმრობა	48
სულ	103

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1996 წელს პატიმართა რაოდენობა ყველაზე მცირე იყო. ამის შემდეგ პატიმართა რაოდენობა გაიზარდა. 90-იან წლებში კრიმინალური დონე საკმაოდ ნორმალური იყო, მაგრამ 1998 წლიდან დაიწყო ზრდა, რასაც ექსპერტები მიაწერენ რეგისტრაციის მეთოდის შეცვლას. შეიცვალა სასამართლო სისტემა, მიღებულ იქნა ზომები სასამართლოების განსატვირთავად, მაგრამ საზოგადოება და პოლიტიკოსები ითხოვდნენ უფრო მკაცრ სასჯელებს, მედია დიდ დროს უთმობდა კრიმინალს, ციხეებსა და სისხლის სამართლის სისტემას, შეიცვალა დანაშაულის სტრუქტურაც. ყოველივე ამან იმოქმედა მოსამართლეებზეც, რომლებიც ზოგიერთი დანაშაულისათვის იყენებდნენ ძალიან მკაცრ სასჯელებს. ამავე დროს, გაიზარდა როგორც საპატიმრო სასჯელების რაოდენობა, ისე სასჯელების ხანგრძლივობა. 2001 წელს პატიმართა რაოდენობა თითქმის იგივე იყო, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მაშინ, როდესაც 1989 წელს ეს რიცხვი შეადგენდა 1287-ს.

ტაბულა 8: 1995-2001 წლებში პატიმართა რაოდენობა

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
მსჯავრდებულები	478	428	471	511	611	728	773
წინასწარ პატიმრობაში მყოფნი	212	175	213	240	257	303	335
მისდამინორისთვის მსჯავრდებულები	34	47	41	31	52	71	67
არასრულწლოვნები	48	32	38	28	29	28	27
სულ	772	682	763	810	949	1131	1203
მათ შორის ქალები			33	18	27	39	50
% ქალები			4.3%	2.2%	2.8%	2.6%	4.2%
% უცხოელი პატიმრები			15%	15%	13%	14%	15%

4.4 შეჯამება

იზრდება ალტერნატიული სანქციებისა და ზომების გამოყენება. სლოვენიაში მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის საკითხი, რომ არ არსებობს შესაბამისი სტრუქტურა, რომელიც მათ აღასრულებდა, რის გამოც პროკურორები და მოსამართლეები ვრიდებიან მათ შეფარდებას. მეორე პრობლემას წარმოადგენს ალტერნატივების სტატისტიკის არარსებობა, რაც მოითხოვს სასწრაფო გადაწყვეტას.

დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები, საზოგადოებრივი აზრი და კლიენტთა შეხედულებები

5.1 დაფინანსება და ფინანსური ანგარიშვალდებულება

სოციალური საქმიანობის ცენტრების დაფინანსება ხდება მთავრობის მიერ და ისინი არ იღებენ არანაირ დახმარებას კერძო ფონდებიდან. არ არსებობს არანაირი ინფორმაცია სისხლის სამართლის სფეროში წარმოებული საქმიანობის ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ხარჯვითი ნაწილის შესახებ. აგრეთვე უცნობია რამდენი თანამშრომელია ჩართული ამ საქმიანობის განხორციელებაში.

ტაბულა 9: ციხის სამსახურის ხარჯვითი ნაწილი

ციხის სისტემა	2000	2001
წლიური თანხა	1.976.554 ევრო	2.422.925 ევრო
თანამშრომელთა რაოდენობა	859	873
პატიმართა რაოდენობა	1130	1202

5.2 რეგისტრაციის სიტემები და შეფასების პროცედურები

ქვეყანაში არ არსებობს ორგანიზაციებისა და თანამშრომლების მიერ წარმოებული საქმიანობის რეგისტრაციის ზუსტი სისტემა. გენერალური პროკურატურის ოფისი ყოველწლიურად აქვეყნებს ინფორმაციას გაწეული საქმიანობის შესახებ. ციხის ეროვნული ადმინისტრაცია თავის წლიურ ანგარიშში აქვეყნებს ინფორმაციას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესახებ. ქვეყანაში არ არსებობს სასამართლოს მიერ წინასწარი დაკავების ნაცვლად ალტერნატივების გამოყენების სტატისტიკური ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, 2001 წლის სასამართლო სტატისტიკაში შესაძლებელია იუსტიციის სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის მოპოვება, წინასწარი დაკავების ნაცვლად ალტერნატივის სამ შემთხვევაში გამოყენებისა. სისტემა საჭიროებს სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული ალტერნატივების თავმოყრას. სლოვენიაში პირადი ინფორმაციის გაცემის საკითხს არეგულირებს კანონი ინფორმაციის დაცვის შესახებ.

5.3 საზოგადოებრივი აზრი და კლიენტთა შეხედულებები

საზოგადოებრივი აზრისა და კლიენტთა შეხედულებების შესახებ სლოვენიაში არ არსებობს არანაირი კვლევა ან ამ საკითხის შესწავლა. ციხის სისტემაში ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს გამოკვლევა ციხეებში არსებული სოციალური კლიმატის შესახებ. უკანასკნელი წლების მანძილზე გამკაცრდა დამოკიდებულება მსჯავრდებულთა მიმართ.

5.4 შეჯამება

პროგრესიზმით არ არისცხადის ზუსტი ორგანიზაციული ტრუქტურა უნდა მოხდეს კვლევის შედეგების პროექტივით დანერგვა. აერთიანე საჭიროა ზუსტი რევიტრაციის სისტემა და შეჯამების პროცედურების დანერგვა.

პრობაციის კლიენტთა უფლებები

სლოვენის კონსტიტუცია შეიცავს სპეციალურ პირობებს, რომლებიც არეული-რებენ ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს. სისხლის სამართლის სასჯელთა აღსრულების აქტის თანახმად, სასჯელის აღსრულებისას მსჯავრდებულს იგივე უფლებები აქვს, რაც სლოვენის სხვა მოქალაქეებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მას ეს უფლებები შეეზღუდა ან აკრძალულია კანონით (მუხლი 4). უფრო მეტიც, იმისათვის, რომ სასჯელთა აღსრულება მოხდეს კანონიერად და პროფესიონალურად, საჭიროა ციხეებში შეაგროვონ, აწარმოონ და შეინახონ მსჯავრდებულთა საქმეები. პატიმრის შესახებ ინფორმაციის მოგროვება ხდება უშუალოდ მისგან ან მისი წერილობითი თანხმობით, ოჯახის წევრების, შვილად ამყვანი მშობლების ან მეურვისგან. ინფორმაციის შეგროვებისა და შენახვის წესს სპეციალური დებულებით ადგენს იუსტიციის სამინისტრო. ძირითადად ყველა კანონი მოითხოვს, რომ არ მოხდეს ინფორმაციის დანიშნულების გარეშე მოპოვება. ამ საკითხთან მიმართებით კანონმდებლობაში მხოლოდ მცირე გამონაკლისებია დაშვებული. ინფორმაციაზე დაშვების უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც შეეხება ინფორმაცია, საინფორმაციო ბაზის ადმინისტრატორს, ან ადმინისტრატორის მიერ განსაზღვრულ პირს და იმ პირებს, რომლებსაც ევალებათ ციხეების ფუნქციონირებაზე ზედამხედველობის წარმოება. პატიმრებს უფლება აქვთ ნახონ საკუთარი საქმე. პატიმართა საქმეების ნახვის უფლება აქვთ იუსტიციის სამინისტროს იმ თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ ციხის სამსახურში და კანონიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ციხის ადმინისტრატორებს ევალებათ ინფორმაცია პატიმართა შესახებ დაიცვან ოფიციალური საიდუმლოების სახით. ინფორმაციის ადმინისტრატორს ევალება საინფორმაციო ბაზასთან დაუშვას ის მომხმარებლები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ ამის უფლება.

ის პატიმარი, რომელიც მიიჩნევა, რომ მის მიმართ ადგილი აქვს ან ჰქონდა, წამებას ან სხვა სახის არაჰუმანურ მოპყრობას, შეუძლია ითხოვოს სამართლებრივი დაცვა და ციხის სამსახურს ევალება შესაბამისი მიმართვის გადაგზავნა პროკურორისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მოპყრობის შედეგად პატიმარს მიყენებული აქვს ზიანი, მას შეუძლია მოითხოვოს მისი კომპენსაცია უშუალოდ ზიანის მიმყენებელი პირისგან (მუხლი 83-84). იმ შემთხვევაში, თუ დაირღვევა პატიმრის სხვა გარანტირებული უფლებები, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს გენერალურ დირექტორს და თუ არ მოხდება რეაგირება ან პასუხი არადამაკმაყოფილებელი იქნება, მსჯავრდებულს უფლება აქვს მიმართოს იუსტიციის სამინისტროს. პატიმარს აგრეთვე უფლება აქვს მიმართოს საჩივრით იმ ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ ციხის ინსპექტირებას. სისხლის სამართლის სანქციათა აღსრულების აქტის თანახმად, მსჯავრდებულის უფლებების დასაცავად ციხე უფასო იურიდიული დახმარება უნდა აღმოუჩინოს მას. იმ სასამართლოებსა და ციხეებში, რომლებშიც ცხოვრობენ კომპაქტურად დასახლებული იტალიელი და უნგრელი უმცირესობები,

იტალიური და უნგრული ენები ოფიციალური ენებია. ამ ტერიტორიებზე სასამართლოებმა და ციხეებმა უნდა განახორციელონ სამართალწარმოება და გამოსცენ დოკუმენტაცია, როგორც სლოვენურ, აგრეთვე უმცირესობების ენებზე (უნგრული ან იტალიური). მსჯავრდებულს, რომელსაც არ ესმის ოფიციალური ენა, სასამართლომ უნდა დართოს ნება გამოიყენოს თარჯიმანი. როდესაც საჭიროა, თარჯიმნის გამოყენება ხდება პატიმარსა და ციხის თანამშრომლებს შორის კონტაქტის დამყარებისთვის.

სლოვენიაში არ არსებობს დამოუკიდებელი ციხეების ინსპექტორატი. ციხეების ინსპექტირებას ახორციელებენ იუსტიციის სამინისტრო, რაიონული სასამართლოების პრეზიდენტები, ადამიანის უფლებათა ომბუდსმენი და თანახმად საერთაშორისო აქტებისა, აღნიშნულის უფლება უნდა მიენიჭოთ აგრეთვე იმ ორგანოებს, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებს და ახორციელებენ წამების, არაადამიანური მოპყრობისა და დაცვის პრევენციას.

პატიმართა განათლების ინსპექტირებას ახორციელებს განათლების სამინისტრო. ციხეებში ექსპერტთა ზედამხედველობა და სამედიცინო საქმიანობის ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხორციელდება, თანახმად ჯანდაცვის სამსახურების რეგულირების აქტისა.

არსებული მიღწევები

ახალი კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე დაინერგა სხვადასხვა ალტერნატიული ზომა. სამართლებრივი დევნის ეტაპზე დაინერგა ორი ახალი ტიპის ზომა: სამართლებრივი დევნის გადავადება და შუამავლობა. სამართლებრივი დევნის გადავადება აჩქარებს სამართალწარმოებას და ამცირებს მცირე ნიშნის დანაშაულის საქმეების სასამართლოში მოხვედრას. ამ ზომის იმპლემენტაციამ გამოიწვია მთელი რიგი დადებითი ეფექტები. პროკურორს შეუძლია მისი გამოყენება ჩქარა და ეფექტურად. აღნიშნული წარმოადგენს ეკონომიურ და სწრაფ საშუალებას და დაზარალებულს შეუძლია მიიღოს კომპენსაცია, რაც შეიძლება მალე. სამართლებრივი დევნის გადავადება გამოიყენება პროკურორის მიერ და ამ პროცესში სასამართლო საერთოდ არ მონაწილეობს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ აღნიშნული ზომის გამოყენება უკვე ოთხი წელია, რაც მიმდინარეობს, სლოვენიაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ინფრასტრუქტურა შესაბამისი ვალდებულებების შესაფარდებლად. ჯერ კიდევ არ არის შექმნილი როგორც დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის ფონდი, აგრეთვე არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებას. საჭიროა ასეთი ტიპის ორგანიზაციის შექმნა, ასევე მოსაგვარებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებისას მსჯავრდებულთა ჯანმრთელობისა და ინვალიდობის დაზღვევის საკითხები.

შუამავლობა არის დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის დანაშაულის ჩადენის შედეგად წარმოშობილი უთანხმოების მოგვარების საშუალება. უთანხმოების მოგვარება ევალება ნეიტრალურ და დამოუკიდებელ მედიატორს. ამ ზომის გამოყენების შემთხვევაში, ორივე მხარეს ევალება შეთანხმების ხელშეკრულების ხელმოწერა.

გამომდინარე იმ ფაქტორიდან, რომ არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება იშვიათად ხდება. სასამართლოებს არ გააჩნიათ სტატისტიკური ინფორმაცია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესახებ.

ამ ზომასთან მიმართებით მოსამართლეები საჭიროებენ ტრენინგებსა და სემინარებს. ამ ტიპის სამუშაოების განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი ორგანიზაციული ქსელის შექმნა. ამ ორგანიზაციების მიერ უნდა მოხდეს კარგი კომუნიკაციის უზარების მქონე პირების დაქირავება და ტრენინგი; ზედამხედველობის განხორციელების ზუსტი პროცედურების გაწერა და შეფასების პროცედურის შექმნა. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განსახორციელებლად შესაქმნელია ციხის სამსახურებისა და სოციალური საქმიანობის ცენტრების ერთობლივი მართვის სახელმძღვანელო და დებულება.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე გაიზარდა წინასწარი დაკავების ალტერნატივების რიცხვი, მაინც არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა. სასამართლოების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკების უმრავლესობა არ შეიცავს ინფორმაციას სახლის დატოვების აკრძალვის შესახებ.

არასრულწლოვნებთან მიმართებით მოსამართლეები ძალიან ხშირად მიმართავენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, როგორც პირობას, მაგრამ აწყდებიან იმავე სახის პრობლემებს, რაზეც ზემოთ გვექონდა საუბარი. მოსამართლეების მიერ ანალოგიური რაოდენობით ხდება დაზარალებულისათვის ზოდიშის მოხდისა და შუამავლობის შეფარდება.

კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი სახის ალტერნატივა, მაგრამ მათი პრაქტიკაში დანერგვისათვის არ შექმნილა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. აღნიშნული წარმოადგენს სერიოზულ სისუსტეს. სასამართლო სისტემას ესაჭიროება კანონმდებლობის არსის ზუსტი განსაზღვრება, რათა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ინტერპრეტაციასა და ხელმძღვანელობის მიცემაში. სლოვენიის კანონმდებლობა არის ბუნდოვანი და არ არის შესაბამისად განმარტებული. აუცილებლობას წარმოადგენს სხვა ისეთი ტიპის ზომების დამატება, როგორცაა ნარკომანებისა და ალკოჰოლიკების მკურნალობის პროგრამები და მათ უნდა შეეცვალოს სასჯელები მკურნალობით. ანალოგიური ზომების შეფარდება პროკურორების მიერ ძალიან ეფექტური შედეგების მატარებელია.

გამოქვეყნდა ორი კვლევა. ერთი წარმოადგენს ახალ საგანმანათლებლო ზომებს არასრულწლოვნებისათვის, განსაკუთრებით კი შუამავლობა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და სოციალური ტრენინგის პროგრამები; მეორე წარმოადგენს ახალ ზომებს არსებულ სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში. ორივე სწავლის მიზანი იყო ახალი ზომები და მათი პრაქტიკაში გამოყენება. პირველი კვლევა აქცენტირებულია არასრულწლოვანთათვის ახალი ზომების პრაქტიკაში სტიმულირებაზე და ვარაუდობს, რომ მათი გამოყენება უნდა მოხდეს სამართალწარმოების დაწყებამდე ან დაწყებისთანავე და მათ, სასჯელის შეფარდების ნაცვალად, უნდა შეასრულონ საქმის შეწყვეტის ან სისხლის სამართალწარმოების ალტერნატივების როლი. ახალი ზომების იმპლემენტაცია მოითხოვს პროფესიულ თანამშრომლობას სასამართლო ხელისუფლებასა და სოციალურ მუშაკებს შორის. გარდა ამისა, საჭიროა შეიქმნას შესაბამისი სამუშაო პირობები და პროფესიონალთა გუნდი. კვლევის თანახმად, მიზანშეწონილი იქნება, თუ შუამავლობისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განსახორციელებლად შეიქმნება სპეციალური ორგანო, ხოლო ზოგიერთი ტიპის საქმიანობას წარმართავენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ეტაპობრივი განვითარებისა და იმპლემენტაციისათვის შემოთავაზებულია აგრეთვე პილოტური პროექტები. მეორე სწავლება აჩვენებს, რომ ახალი ზომების იმპლემენტაცია მხოლოდ ნაწილობრივ მოხდა. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ არ გამართლდა კანონმდებლების მოლოდინი და ახალი ზომების განმარტება არასაკმარისია. მომავალში, ალტერნატივების იმპლემენტაციისათვის სლოვენიაში უნდა შეიქმნას შესაბამისი ორგანიზაციული და პროფესიონალური სტრუქტურა. ევროპულ ქვეყნებში არსებობს მრავალი ასეთი სახის ორგანიზაცია. აღნიშნული ტიპის ორგანიზაციის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა სასამართლოებმა დაიწყონ ალტერნატივების უფრო მეტი ოდენობით გამოყენება.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსასრულებლად საჭიროა როგორც საზოგადოებრივი მასების მობილიზება დახმარების აღმოსაჩენად, ასევე შესაბამისი საქველმოქმედო ან ჩვეულებრივი ორგანიზაციების შექმნა.

ტრენინგები ალტერნატივების შესახებ უნდა ჩაუტარდეთ როგორც მოსამართლეებს, აგრეთვე სისხლის სამართლის სფეროში მოქმედ სხვა ორგანიზაციებს. სასამართლო პოლიტიკასა და კანონმდებლობაში მეტი ყურადღება დაეთმო რეპარაციას და დაზარალებულებზე ორიენტირებულ მუშაობას, მაგრამ საჭიროა პრაქტიკული ღონისძიებების უფრო მეტად განვრცობა და შესაქმნელია ფონდები დაზარალებულებისთვის. საჭიროა აგრეთვე ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც თავის თავზე აიღებს შუამავლობის საკითხებს.

ახალი სანქციებისა და ზომების იმპლემენტაციისათვის საჭიროა დადებითი საზოგადოებრივი აზრის და პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება. მნიშვნელოვანია ასევე საინფორმაციო სისტემის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემას.

ალტერნატივების კარგი ორგანიზება და მიწოდება დიდ გავლენას ახდენს მათს წარმატებით განხორციელებაზე, თუმცა ამ საკითხთან მიმართებით სლოვენიაში არსებული საკანონმდებლო საფუძვლები ჯერ კიდევ ძალიან შორს დგას იმ დონიდან, როდესაც მოხდება ალტერნატივების ეფექტური იმპლემენტაცია.

ძირითადი მისამართები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართები და ვებგვერდები

8.1

Ministrstvo za pravosodje,
(Ministry of Justice)
Zupanciceva 3,
1000 Ljubljana.
tel.: 386 61 478 52 71
fax: 386 61 251 01 00
rock.steblaj@gov.si

Uprava za izvrševanje kezenskih sankcij,
(National Prison Administration)
Tivolska 50,
1000 Ljubljana.
tel.: 386 61 478 52 70
fax: 386 61 478 54 70
ursiks@gov.si

Institut za Kriminologijo pri pravni Fakulteti v
Ljubljani,
(Institute of Criminology at the Faculty of Law)
Poljanski nasip 2,
1000 Ljubljana.
tel.: 386 61 420 32 42
fax: 386 61 420 32 45
inst.crim@uni-lj.si

Skupnost CSD,
(Association of Social Work Centers in
Slovenia)
Samova 9,
1000 Ljubljana.
tel.: 386 61 436 68 58
fax: 386 61 436 26 31
Skupnostcsd.korvadarja@siol.net

Drzavno tozilstvo RS,
(State Prosecutor-Generals Office)
Dunajska 22,
1000 Ljubljana.
tel.: 386 61 232 03 96
fax: 386 61 431 03 81
sonja.gasperlin@dt-rs.si

Vrhovno Sodisce RS
(Supreme Court of the Republic of Slovenia)
Tavcarjeva 9,
1000 Ljubljana.
tel.: 386 61 432 31 33
fax: 386 61 300 53 18
janko.marinko@sodisce.si

B & Z,
Grabloviceva 1,
1000 Ljubljana.
tel.: 386 61 433 96 39
fax: 386 61 433 96 39
sbabic@binz.si

Papilot Institut,
Grabloviceva 1,
1000 Ljubljana.
tel.: 386 61 231 27 42
fax; 386 61 433 96 39
sbabic@binz.si

Socialna zbornica,
(Chamber of Social Work)
Zemljemerska 12/IX,
1000 Ljubljana,
p.p.2004.
tel.: 386 61 433 60 30
fax: 386 61 433 52 96
info.soczbor@soczbor-sl.si

ტაბულა ა: 100.000 მოსახლეზე პატიმართა რაოდენობა 1 სექტემბრისთვის

წელი	პატიმართა რაოდენობა 100.000 მოსახლეზე
1995	32.7
1996	31.0
1997	39.0
1998	40.0
1999	47.3
2000	57.3
2001	58.0

უკანსკნელი წლების მანძილზე რაოდენობა გაიზარდა, თუმცა სხვა ევროპულ ქვეყნებთან მიმართებით კვლავ ყველაზე დაბალ სამეულშია.

ტაბულა ბ: 1995-2001 წლებში მსჯავრდებულ პატიმართა და არასრულწლოვანთა პირობითი და ადრე გათავისუფლება

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
პირობით გათავისუფლებულები							
პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიის მიერ	320	226	257	268	336	398	494
მათ შორის ქალები	5	6	5	16	8	16	14
მათ შორის არასრულწლოვნები	4	5	3	3	3	0	5
ადრე გათავისუფლებულები							
ციხის მმართველის მიერ	199	142	169	196	279	292	318
მათ შორის ქალები	7	6	3	11	0	14	26
მათ შორის არასრულწლოვნები			1	3		0	3
ადრე გათავისუფლებულთა საერთო რიცხვი	419	368	426	464	615	690	812
%	60.9%	74.5%	79.8%	74.2%	77.4%	78.9%	79.1%
სულ გათავისუფლებულები	689	494	534	625	795	874	1027

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პატიმრების 77%-ზე მეტი გათავისუფლებულ იქნა სასჯელის ვადის ამოწურვამდე. პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიის მიერ პირობით გათავისუფლებულები და ციხის მმართველების მიერ ადრე გათავისუფლებულები არ იმყოფებიან ზედამხედველობის ქვეშ.

ტაბულა გ: 1995-2001 წლებში ამნისტიები და შეწყალებები

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
შეწყალება	29	21	9	5	7	9	10
ამნისტია							
შემცირებული სასჯელი							955
გათავისუფლებულები						48	

Anton van kalmthout

e-mail: A.M.vKalmthout@uvt.nl

Jenny Roberts

e-mail: candjroberts@onetel.net

Sandra Vinding

e-mail: sv@crimprev.dk

ავტორები:

Zoltan Bogshutz Marko u.27. 2nd floor apt.20/8

Probation officer

Budapest Court

H-1055 Budapest,

Tel: 361 332 55 50 / 614 ext.

Fax: 361 311 46 99

e-mail: bozoltan@yahoo.com

Dagmar Doubravova

Chairwomen of Association for the development of Social Work in Criminal Justice (SPJ)

Soikolska 26,

Prague 2, 120 00

tel: +420 2 96 18 02 97

GSM +420 606 939 298

e-mail: Institut@spj.cz

Ioan Dumescu

Inspector

Ministry of Justice of Romania

Apolodor st. 17, 4 floor, room 1

Bucharest

Romania

Tel: 4093 318 500

e-mail: idumesc@just.ro

David Elias

Probation Officer

Budapest Court

Marko u. 27. 2nd Floor apt. 20/4.

H-1055 Budapest

Hungary

Tel: 361 332 55 50 / 399 ext.

Fax: 361 311 46 99
e-mail: delias@vnet.hu <mailto:delias@vnet.hu>

Geza Gosztanyi
Director of Regional Social Welfare Resource Center
V. Varoshaz utca 9 – 11
H-1052 Budapest
Hungary
Tel: 361 327 14 19
Fax: 361 327 18 64
e-mail: gosztonyi@budapest.hu

Anton van Kalnouthout
Professor at the University of Tilburg
Department of Criminal Law
PO Box 90153
5000 LE Tilburg
Phone: 31-13-4662254
Fax: 31-13-4668102
e-mail: A.M.vKalnouthout@uvt.nl

Anhelita Kamenska
Director, Prison and Police Reform Programme
Soros Foundation-Latvia
Alberta iela 13
Riga LV 1010
Latvia
Phone: 371-7039241 (work) /371-9126951 (mob)
Fax: 371-7039243
e-mail: angel@sl-paic.lv

Klara Kerezsi
Head of Department
National Institute of Criminology
XII. Maros u. 6/a.
H-1122 Budapest
Hungary
Tel: 361 356 75 66
Fax: 361 356 72 19
e-mail: okri@okri.hu <mailto:okri@okri.hu>

Irena Kriznik
Governor of Penal Institution of Ljubljana
Zapori Ljubljana, Povsetova 5
1000 Ljubljana
Slovenia
Tel: 3861 30 05 533
Fax: 3861 23 22 964
e-mail: irena.kriznik@gov.si
Rait Kuuse
Head of the Probation Division

Ministry of Justice of Estonia
Tomismagi str. 5a
15191 Tallinn
Estonia
Tel: 372 611 3135
Fax: 372 611 3101
e-mail: rait.kuuse@just.ee

Lenka Ourednickova
Vice chairwomen of Association for the development of Social Work in Criminal Justice (SPJ)
Sokolska 26,
Prague 2, 120 00
Tel: +420 2 96 18 02 97
GSM +420 605 445 187
e-mail: Institute@spj.cz

Pavel Stern
Director of Probation and Mediation Service of the Czech Republic
Letenska 3
11000 Prague 1
Czech Republic
Tel: 4202 57 199 411
Fax: 4202 57 199 412
e-mail: pstern@msp.justice.cz

Daniel Stoyanov
Chief of Managing Board
Association for Reintegration of Sentenced Prisoners
50 Aksakov str., floor 5, apt. left
1000 Sofia
Bulgaria
Tel: 359 48 972 309
Fax: 3592 988 64 10
e-mail: stoleo@yahoo.com

Ramune Tamasauskaite
Member of the Working Group on Establishing the Concept of Probation in Lithuania
Polocko 13-6
Vilnius LT-2007
Lithuania
Tel: 3705 2121826, mobile: 3706 8646336
Fax: 3702 375334
e-mail: r.tamasauskaite@vvspt.lt

Sandra Vinding
Social Consultant/Senior Probation Officer
The Danish Crime Prevention Council
odinsvej 19,2.,2600 Glostrup
Denmark.
Telephone: 0045 4344 8888
e-mail: sv@crimprev.dk

შინაარსი

1.	წინასიტყვაობა	3
2.	პრობაციის სისტემების ისტორიული განვითარება	3
2.1	ადრეული დახმარების გაწევა პატიმრებისთვის	4
2.2	პრობაციის სისტემაში მომუშავე პროფესიონალები და მოხალისეები	6
2.3	სახელმწიფო სამსახურების საქმიანობის უზრუნველყოფისას კერძო ორგანიზაციების ჩართულობა სახელმწიფო სტრუქტურებსა და კანონებში	7
	პრობაციის სამსახურების საკანონმდებლო საფუძვლები და დებულებები	9
3.1	დებულებები	9
3.2	ძირითადი ამოცანები	11
3.3	საპრობაციო სამუშაოების ეთიკა და პრინციპები	12
3.4	სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	13
3.5	დანაშაულის მსხვერპლი (დაზარალებული)	14
3.6	დანაშაულის თავიდან აცილება	15
3.7	აღმოსვლეთ ვერპოის ქვეყნების პრობაციის სამართლებრივი საფუძვლები	16
4.	საპრობაციო საქმიანობა: ციხიდან საზოგადოებაში	17
4.2	საზოგადოებრივი სანქციები და ზომები	18
4.3	წინასაგამოძიებო სანქციები და ზომები	20
4.4	ალტერნატიული სანქციები და ზომები	21
5.	პრობაციის ამოცანათა კატეგორიები	22
5.1	მოხსენებები	22
5.2	სანქციებისა და ზომების აღსრულება	23
5.3	მზრუნველობა, დახმარება და მხარდაჭერა	24
5.4	შუამავლობა	25
5.5	ციხის შემდგომი მზრუნველობა	26
6.	პრობაციის სისტემის ორგანიზება	26
6.2	ცენტრალიზებულად ორგანიზებული სახელმწიფო პრობაციის სამსახური	28
6.3	შერეული მოდელები	30
6.4	ზოგიერთი ორგანიზაციული დეტალი	31
6.5	საქმეთა რაოდენობა და სტრუქტურული ერთეულების ზომები	31
6.6	დაფინანსება	32
6.7	ციხეების ხარჯთან მიმართებით პრობაციის ხარჯის შეფარდება	32
6.8	აუდიტი	33
6.9	დაფინანსების პრობლემები	33
6.10	რეგისტრაცია და შეფასება	34
6.11	კლიენტების შეხედულებები და საზოგადოებრივი აზრი	36
7.	პრობაციონერთა უფლებები	37
8.	არსებული და მომავალი მიდრეკევი	38

თავი 2 **41**

ბულგარეთი **41**

ძირითადი ინფორმაცია ბულგარეთის შესახებ და პრობაცია/სოციალური

სამსახურის სისტემის ისტორიული განვითარება

1.1 ეკონომიკური და დემოგრაფიული სიტუაცია

1.2 პოლიტიკური მიდრეკევი და სახელმწიფო სტრუქტურა

1.3 პრობაციისა და სოციალური სამუშაოების სისტემის ისტორიული განვითარება

1.3.2. პრობაციის ზომები 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსში

1.3.3. საპრობაციო სამუშაოების წარმოება ციხეებში

1.3.4. პრობაცია, როგორც პატიმრობის ალტერნატივა

1.3.5 სახელმწიფო ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორი, რომლებიც ჩართული არიან პრობაციის ამოცანების შესრულებაში	45
1.4 შეჯამება	46
პრობაციის სამსახურის საკანონმდებლო ჩარჩოები და დებულება.....	46
2.1 საკანონმდებლო ჩარჩოები	46
2.2 დებულება	47
2.2.1 ძირითადი	47
2.2.2 მსჯავრდებულთან სოციალური მუშაობის პრინციპები	47
2.2.3 ციხეებში წარმოებული სოციალური სამუშაოების მთავარი ამოცანები და საფუძვლები	48
2.2.4 დანაშაულის პრევენცია	49
2.3 შეჯამება	49
პრობაციის სისტემის ორგანიზაცია	49
3.1 სასამართლო სისტემის სტრუქტურა	49
3.2 სტრუქტურა სახელმწიფო ორგანოებისა, რომლებიც არსით შეესაბამებიან სასჯელის აღსრულებას	51
3.3 ციხის სისტემა	52
3.4 სოციალური სამუშაოები ციხეებში	53
3.5 საპრობაციო მუშაობა არასრულწლოვნებთან	54
3.6 ზედამხედველი კომისიები	57
3.7 საპრობაციო ამოცანები, რომლებიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ	57
3.8 შეჯამება	58
სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან მუშაობა	59
4. სანქციების სისტემა	59
4.1.1 სრულწლოვანი მსჯავრდებულები	59
4.1.2 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	62
4.2 პრობაციის როლი სანქციათა სისტემაში	64
4.2.1 პრობაციის გამოყენება სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე	64
4.2.1.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი	64
4.2.1.2 სასამართლო განხილვის ეტაპი	65
4.2.1.3 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი	66
4.3 პენიტენციური პროგრამები	67
4.4 ზედამხედველობა და მხარდაჭერა პატიმრობის შემდეგ	68
4.5 სასჯელის შეფარდების პრაქტიკა	68
4.6 შეჯამება	71
დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, რეგისტრაცია	71
პრობაციის კლიენტთა უფლებები	72
არსებული მიღწევები	73
თავი 3	77
ჩეხეთის რესპუბლიკა	77
ძირითადი ინფორმაცია ჩეხეთის რესპუბლიკის შესახებ და პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება	78
1.1 პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული სიტუაცია	78
1.2 პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება	79
1.2.1 სასჯელის გადავადებისა და პირობით გათავისუფლების გაცნობა	79
1.2.2 სოციალური კურატორები	79
1.3 შეჯამება	81
პრობაციის სამსახურის საკანონმდებლო საფუძვლები და დებულება	82
2.1 სამართლებრივი საფუძვლები	82
2.2 მისია, მიზნები, შეფასება, საფუძვლები	83
2.2.1 დებულება	83
2.2.2 მიზნები	83

2.2.3 შეფასება.....	83
2.2.4 საფუძვლები.....	84
2.3 სამიზნე ჯგუფები.....	84
2.4 შეჯამება.....	85
პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ორგანიზება.....	85
3.1 პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა.....	85
3.2 თანამშრომლები.....	88
3.3 სხვა ტიპის სოციალური სამუშაოები.....	88
3.4 შეჯამება.....	89
სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მუშაობის წარმოება ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან.....	89
4.1 საზოგადოებრივი სანქციების გამოყენების სოციალური კლიმატი.....	89
4.2 პრობაცია და შუამავლობა სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე.....	90
4.2.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი.....	90
4.2.1.1 სახელმწიფო პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლება.....	91
4.2.1.2 სახელმწიფო პროკურორის უფლებამოსილება.....	91
4.2.1.3 მოსამართლის უფლებამოსილება წინასწარი გამოძიების პროცესში გადაწყვეტილების მიღებაზე.....	92
4.2.1.4 წინასწარი დაკავების პროცესში მოსამართლეებისა და პროკურორების სამართლებრივი უფლებამოსილება (პრობაციისა და შუამავლობის გამოყენება).....	93
4.2.1.5 შესაძლო სასამართლო გადაწყვეტილებები.....	93
4.2.1.6 შესაძლო სასამართლო გადაწყვეტილებები (პრობაციისა და შუამავლობის გამოყენება).....	93
4.2.2 პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის როლი.....	93
4.2.2.1 ძირითადი კომენტარები.....	93
4.2.2.2 შუამავლობა მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის.....	94
4.2.2.3 წინასაგამოძიებო მოხსენებები.....	95
4.2.2.4 ალტერნატიული სანქციების მხარდაჭერა.....	95
4.2.2.5 ზედამხედველობა გირაოს დროს.....	96
4.2.2.6 სხვა სოციალური სამსახურების როლი.....	96
4.2.3 სასამართლო განხილვის ეტაპი.....	96
4.2.3.1 ძირითადი.....	96
4.2.3.2 პრობაცია და შუამავლობა.....	96
4.2.3.2 სასჯელის გადავადება ზედამხედველობით.....	98
4.2.3.3 სასჯელის გადავადება.....	99
4.2.3.4 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.....	99
4.2.3.5 დამატებითი მოთხოვნები.....	99
4.2.3.6 პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის როლი.....	100
4.2.3.7 სხვა სოციალური სამსახურების როლი.....	100
4.2.4 სასამართლო განხილვის შემდგომი პერიოდი.....	100
4.2.4.1 სასჯელთა აღსრულება საზოგადოებაში.....	100
4.2.4.2 ზედამხედველობა.....	101
4.2.4.3 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.....	101
4.2.4.4 სხვა სანქციები, რომლებიც არ შეიცავენ პატიშრობას.....	102
4.2.4.5 სხვა სოციალური სამსახურების მიერ წარმოებული სამუშაოები.....	102
4.2.4.6 პატიშრობის აღსრულება.....	102
4.2.4.7 ვადამდე გათავისუფლება ზედამხედველობით.....	103
4.2.4.8 ციხის შემდგომი მზრუნველობა.....	103
4.2.4.9 ინდივიდუალური შეწყალება და საერთო ამნისტია.....	104
4.3 შეჯამება.....	104
დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემა და შეფასების პროცედურა, საზოგადოებრივი აზრი და კლიენტთა შეხედულებები.....	105
5.1 დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება.....	105
5.2 რეგისტრაციის სისტემა და შეფასების პროცედურები.....	106
5.3 შეჯამება.....	107

პრობაციისა და შუამავლობის სამსახურის კლიენტთა უფლებები	107
არსებული მიღწევები	108
8.1 მისამართები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართები და ვებგვერდები:.....	109
კრიმინალური სტატისტიკა	111
თავი 4	113
ესტონეთი.....	113
ძირითადი ინფორმაცია ქვეყნისა და პრობაციის სისტემის ისტორიული განვითარების შესახებ ...	114
1.1 პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული წარსული.....	114
1.2 პრობაციის სამსახურის ისტორია	115
1.2.1 პრობაციის სამსახურების შექმნა ესტონეთში.....	115
1.2.2 პრობაციის სისტემის განვითარების ქრონოლოგია.....	115
1.2.3 კერძო თუ სახელმწიფო?.....	116
1.2.4 პროფესიონალური თუ ნებაყოფლობითი?	116
1.2.5 დახმარება თუ კონტროლი?.....	116
1.2.6 ცენტრალიზებული თუ დეცენტრალიზებული?	117
1.3 შეჯამება	117
პრობაციის სამსახურის დებულება და სამართლებრივი საფუძვლები	118
2.1 პრობაციის სამართლებრივი საფუძვლები	118
2.2 დებულება	119
2.2.1 პრობაციის ძირითადი მიზნები	119
2.2.2 დანაშაულის თავიდან აცილება	120
2.2.3 კომპენსაცია, შუამავლობა და მსხვერპლთა მხარდაჭერა	121
2.3 შეჯამება	121
პრობაციის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა	121
3.1 სასამართლო სისტემა ესტონეთში	121
3.2 საპრობაციო ზედამხედველობის სისტემა.....	123
3.2.1 პრობაციის ოფიცრების განათლება და შიდასამსახურებრივი ტრენინგი	124
3.3 შეჯამება	125
სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან მუშაობა.....	125
4.1 წინასიტყვაობა	125
4.2 სანქციების სისტემა	126
4.3 სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე პრობაციის სამუშაოების მიმოსილვა.....	128
4.3.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი.....	128
4.3.2 სასამართლო განხილვის პროცესი.....	128
4.3.2.1 წინასაგამოძიებო მოხსენება.....	129
4.3.3 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი.....	130
4.3.3.1 სასჯელის გადავადების ზედამხედველობის ბრძანება	130
4.3.3.2 საპატიმრო სასჯელის გადავადება	130
4.3.3.3 მსჯავრდებულის ქვეყნის ზედამხედველობა	130
4.3.3.4 სასჯელის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეცვლა	131
4.3.3.5 სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად პირობით ვადამდე	131
გათავისუფლება	131
4.3.3.6 შეწყობა	132
4.4 პრობაციის ზედამხედველობა	133
4.4.1 როგორ ახორციელებს პრობაცია ზედამხედველობას	133
4.5 შეჯამება	134
4.5 შეჯამება	137
დაფინანსება, ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემა და შეფასების პროცედურები, საზოგადოებრივი აზრი და კლიენტთა მებედულებები	137
5.1 დაფინანსება და ფინანსური ანგარიშვალდებულება	137

5.2 რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები	138
5.3 საზოგადოების მოსაზრება და კლიენტთა შეხედულებები.....	139
5.4 შეჯამება.....	140
კროზაციის კლიენტთა უფლებები	140
6.1 სამართლებრივი საფუძვლები.....	140
6.2 შეჯამება.....	142
არსებული მიღწევები	142
7.1 ცვლილებები კანონმდებლობაში	142
7.2 პრობაციის ზედამხედველობის ხარისხი	142
7.3 ინფორმაციული ტექნოლოგიები	143
7.4 პრობაციის ოფიცრების ტრენინგი	143
7.5 შეჯამება.....	144
თავი 5	147
უნგრეთი	147
ბირთადი ინფორმაცია უნგრეთის შესახებ და პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება	148
1.1 ზოგიერთი ფაქტები პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ	148
1.2 პრობაციისა და სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება.....	149
1.2.1 1978 წლამდე სრულწლოვან მსჯავრდებულთა პრობაციის ისტორიული განვითარება.....	149
1.2.2 1978 წლამდე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პრობაციის ისტორიული განვითარება.....	150
1.2.3 პრობაციის ისტორიული განვითარება 1978 წლის შემდეგ.....	151
1.3 შეჯამება.....	152
პრობაციის სამსახურების სისტემის დებულება და საკანონმდებლო საფუძვლები.....	152
2.1 საკანონმდებლო საფუძვლები	155
2.2 პრობაციის სამსახურების მისია	156
2.2.1 დანაშაულის თავიდან აცილება	156
2.2.2 კომპენსაცია, შუამავლობა და დაზარალებულთა დახმარება.....	156
2.3 შეჯამება.....	157
პრობაციის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა	157
3.1 ორგანიზაციული სტრუქტურა.....	159
3.2 პრობაციის ოფიცრები	161
3.3 შეჯამება.....	161
სისხლის სამართალწარმოების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მუშაობა ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან.....	161
4.1 წინასიტყვაობა.....	161
4.1.1 წინასაგამომძიებო, სასამართლო განხილვის და განხილვის შემდგომი ეტაპები	162
4.1.2 სასამართლო სისტემა.....	164
4.1.3 ციხის სისტემა	166
4.2 სანქციების სისტემა.....	167
4.2.1 ძირითადი სასჯელები.....	169
4.2.2 დამატებითი სასჯელები	169
4.2.3 ზომები.....	170
4.2.3.1 არასაპატიმრო ზომები	171
4.2.3.2 საპატიმრო ზომები	172
4.3 სანქციები	173
4.3.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი	173
4.3.1.1 სანქციები, რომლებშიც ჩართულია პრობაციის სამსახური.....	174
4.3.1.2 სანქციები და ჩარევები, რომლებშიც არ არის ჩართული პრობაციის სამსახური	174
4.3.2 სასამართლო განხილვის ეტაპი.....	175
4.3.3 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი.....	176

4.3.3.1 სანქციები, რომლებშიც ჩართულია პრობაციის სამსახური.....	176
4.3.3.2 სანქციები, რომლებშიც არ არის ჩართული პრობაციის სამსახური.....	177
4.4 სასჯელები.....	178
4.4.1 რეგისტრირებული დანაშაულები.....	178
4.4.2 გასამართლების პრაქტიკა.....	179
4.4.3 კატიმართა რაოდენობა.....	180
4.4.4 შეჯამება.....	182
დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები, საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები.....	183
5.1 დაფინანსება და ფინანსური ანგარიშვალდებულება.....	183
5.2 რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები.....	184
5.3 საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები.....	186
5.4 შეჯამება.....	186
პრობაციის კლიენტთა უფლებები.....	186
არსებული მიღწევები.....	187
თავი 6.....	195
ლატვია.....	195
პრობაციის სისტემის ისტორიული განვითარება და ძირითადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ.....	196
1.1 პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული წარსული.....	196
1.2 პრობაციის სამსახურის სისტემის ისტორია.....	197
1.2.1 ომებს შორის პერიოდი 1918-1940.....	197
1.2.2 საბჭოთა პერიოდი 1945-1990.....	198
1.2.3 დამოუკიდებლობის თავიდან მოპოვება.....	199
1.3 სასამართლო სისტემა.....	202
პრობაციის სამსახურის სამართლებრივი საფუძვლები და დებულება.....	203
2.1 სამართლებრივი საფუძვლები.....	203
2.2 პრობაციის სამსახურის ფუნქციები და მთავარი მიზნები.....	203
პრობაციის სამსახურის ორგანიზაცია.....	204
3.1 წინასიტყვაობა.....	204
3.2 პრობაციის სამსახურის ორგანიზაცია.....	204
3.3 თანამშრომელთა საკითხები.....	206
სისხლის სამართალწარმოების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მუშაობა ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან.....	207
4.1 წინასიტყვაობა.....	207
4.2 სანქციების სისტემა და სისხლის სამართალწარმოების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პრობაციის მუშაობა.....	207
4.2.2 წინასაგამოძიებო დაკავება.....	208
4.3 სასამართლო განხილვის ეტაპი.....	210
4.3.1 სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად შესაძლებელი სანქციები.....	210
4.3.2 პირობითი სასჯელი.....	212
4.3.3 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.....	213
4.3.4 დამატებითი სასჯელები:.....	214
4.3.5 იძულებითი საპედიციინო მკურნალობის ზომები.....	214
4.4 არასრულწლოვნები.....	215
4.4.1 წარსულში არსებული საკითხები.....	215
4.4.2 საგანმანათლებლო და გამოსწორების ზომები.....	215
4.4.3 არასრულწლოვანთა ვალდებულებები სისხლის სამართლის კანონის მიხედვით.....	217
4.5 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი.....	217
4.5.1 პირობით ვადამდე გათავისუფლება.....	217
4.5.2 შეწყობა.....	218

4.5.3 ციხის შემდგომი მზრუნველობა	219
დაფინანსება, ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემები და პროცედურების შეფასებები, საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები	220
პრობაციის კლიენტთა უფლებები	220
არსებული მიღწევები	220
7.1 საკანონმდებლო შეთავაზებები პრობაციის სამსახურისათვის	220
7.2 პრობაციის ოფიცერთა ტრენინგი	221
7.3 სისხლის სამართლის სისტემის პოტენციური გაუმჯობესებები	221
7.4 არასრულწლოვნები	221
თავი 7	225
ლიტვა	225
ძირითადი ინფორმაცია ლიტვის შესახებ და პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება	226
1.1 პოლიტიკური სისტემა	226
1.2 ლიტვის ეკონომიკა და დემოგრაფიული მდგომარეობა	228
1.3 პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება	229
1.4 შეჯამება	231
პრობაციის სამსახურის სამართლებრივი საფუძვლები და დებულება	231
2.1 სამართლებრივი საფუძვლები	231
2.1.1 სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი	231
2.1.2 სანქციების აღსრულების სამართლებრივი საფუძვლები	233
2.2 პრობაციის ორგანიზაციების მისია	235
2.2.1 დებულება	235
2.2.2 პირობიტეტები და მისი საფუძვლები	235
2.2.3 კომპენსაცია, შუამავლობა და დაზარალებულთა დახმარება	236
2.2.4 დანაშაულის პრევენცია	237
2.2.5 თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან	237
2.3 შეჯამება	238
პრობაციის ორგანიზება	238
3.1 სისხლის სამართლის სანქციათა აღსრულების სისტემათა სტრუქტურა	238
3.1.1 ორგანიზაციული სტრუქტურა	242
3.2 სხვა ორგანიზაციები	242
3.2.1 ადგილობრივი ხელისუფლების სოციალური სამსახურები	242
3.2.2 ნებაყოფლობითი ორგანიზაციები (არასამთავრობო ორგანიზაციები)	242
3.3 შეჯამება	243
სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მუშაობა	243
ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან	243
4.1 სანქციათა არსებული სისტემა	243
4.2 სანქციების სისტემის პროექტი, რომელიც ძალაში შევა 2003 წლის 1 იანვარს	246
4.2.2 არასრულწლოვნები	248
4.2.3 იურიდიული პირები	249
4.3 არსებული და პროექტი სანქციების შედარება	249
4.4 წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპები	250
4.5 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი	250
4.6 გამასწორებელი ინსპექტორატები	251
4.6.1 ძირითადი	251
4.6.2 სასჯელის გადავადება	253
4.6.3 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა	253
4.6.4 პირობით გათავისუფლება	254
4.6.5 ციხის შემდგომი მზრუნველობა	255
4.7 სასჯელთა შეფარდების პრაქტიკა	256
4.7.1 მცირეოდენი ინფორმაცია დანაშაულისა და დანაშაულის დონის შესახებ	256

4.7.2 რეგისტრირებული დანაშაულისა და მათ შორის, გახსნილთა პროცენტული მაჩვენებლები	257
4.7.3 დანაშაულთა რაოდენობა	258
4.7.5 პატიმართა რაოდენობა	259
4.7.6 იმ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა, რომელთაც შეფარდებული ჰქონდათ ალტერნატიული სასჯელები	260
4.7.7 გამასწორებელ ინსპექტორთა რაოდენობა	260
4.7.8 საპატიმრო სასჯელის ხანგრძლივობა	261
4.7.9 აზნისტია	261
დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები, საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები	262
5. 1 დაფინანსება	262
5.2 ფინანსური ანგარიშვალდებულება	263
5.3 რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები	264
5.4 შეფასების პროცედურები	264
5.5 საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები	265
პრობაციის კლიენტთა უფლებები	266
არსებული მიღწევები	267
თავი 8	271
რუმინეთი	271
პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება და ძირითადი ინფორმაცია რუმინეთის შესახებ	272
1.1 პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული სიტუაცია	272
1.2 პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება	272
1.3 შეჯამება	277
საკანონმდებლო საფუძვლები და დებულება	277
2.1 საკანონმდებლო საფუძვლები	277
2.1.2 პრობაციის პრინციპები და ღირებულებები	278
2.1.3 დებულება	279
2.2 შეჯამება	281
პრობაციის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა	281
3.1 არსებული მდგომარეობა	281
3.2 ინსტიტუციური სტრუქტურა	282
3.3 პრობაციის მრჩეველები	284
3.4 შეჯამება	285
სისხლის სამართალწარმოების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე წარმოებული მუშაობა ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან	285
4.1 სისხლის სამართალწარმოების პროცესი	285
4.1.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი	286
4.1.1.1 პრობაციის როლი	286
4.1.2 სასამართლო განხილვის ეტაპი	287
4.1.2.1 სასჯელთა კატეგორიები	287
4.1.2.2 პრობაციის როლი	290
4.1.3 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი	290
4.1.3.1 ზედამხედველი მოსამართლე და პირობით გათავისუფლება	290
4.1.3.2 პრობაციის როლი	290
4.2 სისხლის სამართლის სისტემა და პროცედურა არასრულწლოვნებისთვის	291
4.2.1 სპეციალური პირობები არასრულწლოვნებისთვის	291
4.2.2 პრობაციის როლი	292
4.3 სასჯელებთან დაკავშირებული სხვა სახის ჩარევები	293
4.4 სასჯელის შეფარდების პრაქტიკა	293
4.4.1 დანაშაულის დონე და მსჯავრდებულთა ასაკი	293

4.4.2 სრულწლოვნები.....	295
4.4.3 არასრულწლოვნები.....	296
4.4 პრობაციის სამსახურის დატვირთვა	297
4.6 შეჯამება.....	299
დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, დაქვემდებარება, რეგისტრაციის სისტემა და შეფასების პროცედურები, საზოგადოებრივი აზრი და კლიენტთა შეხედულებები	300
5.1 დაფინანსება და ფინანსური ანგარიშვალდებულება.....	300
5.2 რეგისტრაციის სისტემა და შეფასების პროცედურები.....	303
5.3 საზოგადოების აზრი და კლიენტთა შეხედულებები.....	304
5.4 დაბოლოება.....	305
პრობაციის კლიენტთა უფლებები	305
არსებული მიღწევები	306
თავი 9	309
სლოვენია	309
პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება და ძირითადი ინფორმაცია სლოვენიის შესახებ.....	310
1.1 პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობა	310
1.2 პრობაცია/სოციალური სამსახურების სისტემის ისტორიული განვითარება	312
1.3 დაბოლოება.....	313
პრობაციის დებულება და საკანონმდებლო საფუძვლები.....	314
2.1 სამართლებრივი საფუძვლები.....	314
2.2.1 დებულება.....	314
2.2.2 დანაშაულის პრევენცია	315
2.2.3 კომპენსაცია, შუამავლობა და დაზარალებულთა დახმარება.....	315
2.2.3.1 შუამავლობა (მორიგების პროცედურა).....	315
2.2.3.2 დაზარალებულთა დახმარების პროგრამა	315
2.3 შეჯამება.....	316
პრობაციის ორგანიზაციული სტრუქტურა	316
სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე მუშაობა ბრალდებულსა და მსჯავრდებულსთან.....	316
4.1 1991 წლის სამართლებრივი საფუძვლები, რომლებშიც ცვლილებები შევიდა 1999 წელს	316
4.2 სანქციების სისტემა.....	318
4.2.1 არსებული სანქციების მიმოხილვა	318
4.2.2 ალტერნატიული სანქციები და ზომები სრულწლოვნებისთვის.....	320
4.2.2.1 წინასწარი გამოძიების ეტაპი	320
4.2.2.2 სასამართლო განხილვის ეტაპი	322
4.2.2.3 სასამართლო განხილვის შემდგომი ეტაპი.....	323
4.2.3 სანქციები და ზომები არასრულწლოვნებისთვის.....	324
4.2.3.1 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები	325
4.2.3.2 არასრულწლოვნები 16-დან 18 წლის ასაკამდე.....	326
4.2.4 საპატიმრო რეჟიმები	326
4.2.4.1 ციხის პროგრამები	327
4.2.4.2 პირობები, რომლის შემთხვევაშიც მსჯავრდებულებს შეუძლიათ დატოვონ ციხე.....	329
4.2.5 ციხის შემდგომი მზრუნველობა	330
4.2.6 ამნისტია და შეწყალება	330
4.3 სასჯელის შეფარდების პრაქტიკა.....	330
4.3.1 სისხლის სამართლის დანაშაულების სახეობები.....	330
4.4 შეჯამება	335

დაფინანსება, ფინანსური ანგარიშვალდებულება, რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები, საზოგადოებრივი აზრი	
და კლიენტთა შეხედულებები.....	336
5.1 დაფინანსება და ფინანსური ანგარიშვალდებულება.....	336
5.2 რეგისტრაციის სისტემები და შეფასების პროცედურები.....	336
5.3 საზოგადოებრივი აზრი და კლიენტთა შეხედულებები.....	336
5.4 შეჯამება.....	337
პრობაციის კლიენტთა უფლებები	337
არსებული მიღწევები	338